253917
3

ლანდილ ასათიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხარება

ქრისტიანული

ფილოსოფიის

ისტორიიდან

ტომი
I

თბილისი 2007

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის სასულიერო აკადემია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ასათიანი

ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან

ქრისტიანული პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების
ჩამოყალიბება და განვითარების ტენდენციები V საუკუნის I
მეოთხედის ჩათვლით

ტომი I

პედაგოგიკა

თბილისი
2 0 0 7

Ilia Chavchavadze State University
Tbilisi Theological Academy

ეროვნული
ბიბლიოთეკა

AVTANDIL ASATIANI

Essays from the history of Christian pedagogy

Forming general principles of Christian pedagogy and the basic tendencies of development including the first quarter of the fifth century

Volume I

K 253.917
3

პედაგოგიკა

Tbilisi
2007

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეც-2007
მემოდაბეულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს 239.971
3

წიგნი ეძღვნება ადრე გარდაცვლილი
დედ–მამის ნათელ ხსოვნას.

ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიის ნარკვევების I წიგნში გა-
ნალიზებულია ძველი და ახალი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი სა-
ფუძვლები, დახასიათებულია მოციქულობის ეპოქის და ადრეული
ქრისტიანობის პედაგოგიკის ძირითადი მიმართულებები, განხილულია
საკითხის ირგვლივ არსებული თანამედროვე თეორიები და მოცემუ-
ლია ავტორისეული დეფინიციები ქრისტიანული პედაგოგიკის შეს-
ახებ. ნაშრომში სისტემატურადაა გაშუქებული ქრისტიანული პედა-
გოგიკის ისტორიის უძველესი პერიოდი – პირველი კონფესიური
სკოლების ჩამოყალიბებიდან – V საუკუნის I მეთხედის ჩათვლით,
რომელიც მოიცავს ქრისტიანული სკოლების ძირითად მიმდი-
ნარეობებს: ბერძნულ-ალექსანდრიულს, სირიულ-ანტიოქიურს და
ლათინურ-რომაულს. მათ კვალდაკვალ წარმოდგენილია ეკლესიის
წმიდა მამათა და გამოჩენილ თეოლოგთა პედაგოგიური შეხედულე-
ბები.

როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში აღზ-
რდა–განათლების სისტემა ქრისტიანობის წიაღში ვითარდებოდა.
ამიტომ, რამდენადაც, ისტორიულად საქართველოც ქრისტიანული
სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, მისი ისტორიული ფეს-
ვების კვლევა-ძიება ხელს შეუწყობს არა მარტო ქრისტიანული პედა-
გოგიკის ისტორიის ნაკლებად ცნობილი მოვლენების გამომზეურე-
ბას, არამედ აღზრდა–განათლების განვლილი ისტორიის ერთო-
ბლიობაში გააზრებას. წიგნს პრაქტიკული დირებულებაც ექნება,
რაც სასულიერო სემინარიებსა და აკადემიებში ქრისტიანული პედა-
გოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის კურსის შესწავლას გულისხ-
მობს. წარმოდგენილი მასალები დახმარებას გაუწევს აგრეთვე საერო
უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიკის ისტორიის სასწავლო კურ-
სის სრულყოფას.

რედაქტორი: **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**
ელდარ ბუბულაშვილი
რეცენზენტები: **–თბილისის სასულიერო აკადემიის დეკანი, იღუმენი**
დოსითეოსი (დიმიტრი ბოგვერაძე)
–პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
გალაქტიონ სიხარულიძე
–ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
კარლო ბლაგიძე

გამომცემლობა „პედაგოგიკა"
ISBN 99928-11-87-0

The book is dedicated to the blessed
memory of my untimely gone parents

The book I of Christian Pedagogy historical essays analyzes the general principles of the Old Testament pedagogy. It characterizes the basic directions of Christian Pedagogy and considers the modern theories around this question. There are author's definitions on Christian pedagogy, and its earliest period _ from forming the first confessional schools till the beginning of the fifth century is illuminated systematically in this work. This period consists of the main courses of the following Christian schools: Greek-Alexandrian, Syrian-Antioch and Latin-Roman. Among them there are presented the pedagogical opinions of St. Fathers and well-known theologians.

It is known that the educational system had been developing within Christianity during centuries. As Georgia is historically the organic part of the Christianity the searching of its historical roots will help us not only to expose the less known events of Christian pedagogy, but also to analyze training and educating during the passed history. This time the attempt to present thoroughly the history of Christian pedagogy has failed. So, the 1st volume of the following work reflects the basic tendencies of forming and developing the general principle of Christian pedagogy including the 1st quarter of the 5th century. The second volume will reflect Christian schools and pedagogy in Byzantium; schools and pedagogy of Renascence and the reformation period in Western Europe and the classic teachers' opinions on theological trainings. The 3rd volume will be about the development of Christian educational hearths and pedagogical views in Georgia.

The book will also have a practical value that means studying Christian pedagogy and the history of the pedagogical course in theological seminaries and academies. Presented materials will also help High Secular Educational Institutions to perfect the educational course of the pedagogical history.

EDITOR: Doctor Of Historical Science – Eldar Bubulashvili

REVIEWERS:

Dean of Tbilisi Theological Academy – Father superior Dothiteos (Dimitry Bogveradze)

Doctor of Pedagogical Science – Professor Galaktion Sikharulidze

Doctor of philosophy _ Professor Karlo Blagidze

შესავალი

„იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი
თქვენი ზეცათაჲ სრულ არს".
(მათ. 5:48)

საუკუნეების განმავლობაში ქართული პედაგოგიკური აზროვნების ქვაკუთხედს ქრისტიანობა წარმოადგენდა, სწორედ სარწმუნოების წიაღში მიმდინარეობდა ქართველი კაცის მიერ სამყაროს აღქმა და მისი შემეცნება. ქრისტიანობის გავლენა განსაკუთრებულია ჩვენი ისტორიის ორიათასწლოვან მონაკვეთში მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაზე, საერთოდ სკოლის და პედაგოგიკური აზრის განვითარებაზე. რადგან ქართული პედაგოგიური აზროვნების საფუძველთა-საფუძველს ყოველთვის ქრისტიანული მრწამსი წარმოადგენდა. ამდენად, ქართული პედაგოგიკა, ისე როგორც ქართული კულტურა, ათეისტურ ეპოქამდე ქრისტიანული იყო. ამიტომ ისტორიულ ფესვებთან დაბრუნება არასდროს არ არის შეუძლებელი და დაგვიანებული, ეს მით უფრო მაშინ, როცა სამყაროს გაჩენიდან დღემდე კაცობრიობას იმაზე უკეთესი არაფერი შეუცვნია და უღიარებია, ვიდრე ადამიანთა სულების გამოხსნისათვის მაცხოვრის ღვთიური მოვლინება, მისი წამებით აღსასრული და დიდებით აღდგომა. რადგან სამყაროს აღქმისა და სულის გადარჩენისთვის ქართველმა ხალხმა, დანარჩენი ქრისტიანული სამყაროს მსგავსად, ყველაზე აღმატებული რელიგია აირჩია, ამიტომაც გახდა ქრისტიანული მოძღვრება, ჩვენი წინაპრებისათვის სიკეთესა და ბოროტებას შორის მარადიულ ჭიდილში გზის მანათობელი ლამპარი და უმაღლესი სასოება.

საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე აღზრდა-განათლების ქართული სისტემა ქრისტიანული რელიგიის წიაღში ვითარდებოდა, მისი წარმმართველი ქვაკუთხედი ძველი და ახალი აღთქმა იყო. ამიტომ, მართებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ბიბლიური წინაპრების ერთგულება ზეგარდმო მონიჭებული ფენომენის მიმართ, რომელსაც ძველი აღთქმის წიგნებში სიბრძნეს ადარებენ: „წვიმასავით მოდის დარიგება, ცვარივით ეპკურება ჩემი ნათქამი, როგორც შხაპუნა წვიმა მდელოზე, როგორც თქეში მწვანე ბალახზე" (რჯლ. 32:2), მათ

კარგად იცოდნენ, რომ წვიმა და ცვარი - წყლის ზეციური გამოხატულება, სიბრძნის სიმბოლო იყო, რომელიც ადამიანის არა მარტო ფიზიკური, არამედ გონიერი არსებობის ფორმებსაც წარმოადგენდა.

საქართველომ, როგორც ქრისტიანული სამყაროს შემადგენელმა ნაწილმა, რადგან განვითარების მთავარ ორიენტირად ქრისტიანობა აირჩია, მისი გავლენა განმსაზღვრელი გახდა საზოგადოებისათვის, შემთხვევითი არ ყოფილა ქართველისა და მართლმადიდებლის სინონიმებად ქცევაც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო ის ყოვლისმომცველი გავლენა, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ მოახდინა აღზრდა-განათლებისა და პედაგოგიური აზრის განვითარებაზე, სწორედ ამიტომაც იყო საუკუნეების მანძილზე ქართული სკოლები მეცნიერებისა და სულიერების სავანეები, ხოლო პედაგოგიკა – ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებული ეკლესიური პედაგოგიკა.

მას შემდეგ, რაც აღზრდა-განათლებას სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ხასიათი მიეცა, მასზე გადამწყვეტ იდეურ ზემოქმედებას ეკლესია ახდენდა. ეკლესიასა და სკოლას შორის ასეთი მიდგომები ქართულ სინამდვილეში შენარჩუნებულ იქნა მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე, სწორედ იმ ეპოქამდე, როცა განვითარებული მსოფლიო აქტიურად იწყებს განვლილი კულტურული მემკვიდრეობის ძირეულ შესწავლას და დადებითი გამოცდილების საფუძველზე სამომავლო ორიენტირების გარკვევას. ამ დროს ჩვენში ტოტალურად მკვიდრდება ათეისტური მსოფლმხედველობა, ყოველნაირად ცდილობდნენ ისტორიული მეხსიერების წაშლას, იდევნებოდა და ნადგურდებოდა მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული წარსული, რითაც საზრდოობდა ჩვენი კულტურა და განათლება. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ახალი რეალიების გათვალისწინებით სკოლა და პედაგოგიკა მემკვიდრეობით პრინციპებზე განვითარებულიყო, იგი პირიქით, უტოპიური იდეების ტყვეობაში მოექცა მთელი კომუნისტური რეჟიმის პერიოდში და ასეთ პირობებში ცოტა ვინმე თუ ახერხებდა სულიერ ღირებულებათა სამსახურს, რაც საერთო მდგომარეობაზე გავლენას ვერ ახდენდა. აქედან გამომდინარე, იგნორირებული აღმოჩნდა მრავალსუკუნოვანი ქრისტიანული პედაგოგიური მემკვიდრეობა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია თაობათა ზნეობრივ ფორ-

მირებაზე. კომუნისტურმა ტოტალიტალურმა სისტემამ ერთ-მანეთს დაუპირისპირა ცოდნა და რწმენა, ფაქტიურად, რწმენა გაიგივებული აღმოჩნდა უცოდინარობასთან, რაც, ეფიდეში შეცდომა იყო. სინამდვილეში რწმენა არის ისეთი ცოდნა, რომელიც უმაღლესი ჭეშმარიტების, ანუ ღვთიური სამყაროს შეცნობას ემსახურება, ამისთვის კი მარტო გონება არ არის საკმარისი, აქ უპირველესი ღვთიური მადლით აღსავსე გულია. რწმენა არამც თუ გამორიცხავს მიწიერი სამყაროს შემეცნებას, არამედ გულისხმობს მას, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს გვაძლევს სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე: „ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი ითქვა და დაიწერა ისეთი, რაც, ერთი შეხედვით, მათ დაპირისპირებას ამტკიცებს. ამტკიცებს იმასაც, თითქოს მეცნიერებით ყველაფრის ახსნა შეიძლებოდეს; მაგრამ, განა, შეიძლება მეცნიერების საშუალებით გადაწყდეს სულიერი პრობლემები, როცა იგი უძლურია, გაარკვიოს ფიზიკური წესრიგის ესა თუ ის მოვლენაც კი ? განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე სულიერს ? ისინი კი არ უპისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს" (2.373).

როგორც მისი უწმინდესობა ბრძანებს, არ შეიძლება ცოდნისა და რწმენის დაპირისპირება, დაპირისპირებული შეიძლება აღმოჩნდეს ცოდნა და არცოდნა. სწორედ არცოდნას ცვლის ცოდნა და არა – რწმენას. რწმენა იყო, არის და იქნება. იგი ადამიანის არსებობის დასაწყისიდან არსებობს და, ჩვენი აზრით, მანამ იარსებებს, სანამ ადამიანი საერთოდ არსებობს. ხოლო თუ რა შედეგს იძლევა ადამიანისათვის რელიგიურ გრძნობებზე ძალმომრეობა, ამის შესახებ ჩვენი დროის მოძღვარი ასეთ შეფასებას გვთავაზობს: „არსებობს ნებელობითი უარყოფა ღმრთისა და არსებობს უარყოფა უმეცრების გამო, როდესაც ადამიანს ხელოვნურად უქმნიან ათეისტურ კომპლექსებს. მაგრამ ეს უკვე რელიგია კი არა, კარიკატურული წარმოდგენაა ღმერთზე, მაშასადამე, ადამიანი უარყოფს არა ღმერთს, არამედ კარიკატურას, რომელსაც ბავშვობიდანვე რელიგიად უსაღებდნენ. ათეიზმის ეს სახე ყველაზე ადვილად იკურნება რელიგიის, როგორც ფენომენის

სერიოზული გაცნობისთანავე." (3.15-16). სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენი ხალხი, მაგრამ გასული საუკუნის ბოლოს, საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებას ეკლესიამ მიცა საშუალება, დაბრუნებოდა ტრადიციულ სულიერ-ფასეულობებს, ახლებურად გაეაზრებინა ისინი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობასთან მიმართებაში, რაც ზნეობრივი ღირებულებების პრიორიტეტულობაში უნდა ვლინდებოდეს. ამ მხრივ, მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა გასაკეთებელი გაცილებით მეტია.

რაც შეეხება წარსული პედაგოგიური მემკვიდრეობის კვლევას, ამ მხრივ ახლებურ გააზრებას მოითხოვს აღზრდა - განათლების ისტორია. მე-20 საუკუნეში ამ მხრივ სერიოზული მუშაობა ჩატარდა, მაგრამ გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმრავლესობა, გასაგები მიზეზების გამო, ბოლომდე არ აშუქებს ან გვერდს უვლის ჩვენი სკოლისა და პედაგოგიკის ქრისტიანულ ხასიათს. ამიტომ, აღნიშნული ხარვეზის შევსების ყოველგვარი მცდელობა გარკვეულ სამსახურს გაუწევს, როგორც თანამედროვე სკოლას და პედაგოგიკურ მეცნიერებას, ისე წარსული სულიერი და კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ქრისტიანული პედაგოგიკა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ერთ-ერთი ნაწილია, ამიტომ მისი თეორიული საფუძვლების გააზრება აუცილებელია იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის შესწავლისათვის, რასაც ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორია ჰქვია.

რადგან ქართული სკოლა და პედაგოგიკა მეტწილად ქრისტიანული იყო, მისი ისტორიაც უნდა გახდეს საგანგებო შესწავლის და პოპულარიზაციის ობიექტი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მას პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს ჩვენი სკოლისა და განსაკუთრებით კი სასულიერო აღზრდა – განათლების განვითარების საქმეში, რადგან წარსულისაგან მოკვეთილი მომავალი ვერასოდეს განვითარდება; ისტორია, აწმყო და მომავალი განუყოფელი მთლიანობაა.

საზოგადოების სეკულარიზაციამ, რასაც უკანსკნელ საუკუნეებში ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით გაზარდა საერო პედაგოგიკის ისტორიის კვლევის ინტერესი. ისტორიულ – პედაგოგიური ხასიათის პირველი შრომები ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოქვეყნდა. ეს იყო ფრანგი მეცნიერის – კ.

ფლიორის ტრაქტატი „სამეცადინო მეთოდები და მათი შერჩევა", რომლის შესავალ ნაწილში კრიტიკულად არის გაშუქებული აღზრდისა და სწავლების ისტორია. 1688 წელს ბერლინიაში დ. მორხოფმა გამოსცა ისტორიული ენციკლოპედია, რომელშიც მოცემული იყო პედაგოგიკის ისტორია დაწყებული რეფორმაციის ეპოქიდან. პირველ ნაშრომად, რომელშიც მთლიანობაშია მოცემული აღზრდის და განვითარების ისტორია, სამართლიანდ თვლიან გერმანელი მეცნიერის კ. მანგელსდორფის წიგნს „ცდა იმის გადმოცემისა თუ ათასწლეულთა განმავლობაში რას ამბობდნენ და აკეთებდნენ აღზრდის დარგში". (4.4). პედაგოგიკის ისტორიის კვლევისას სხვადასხვაგვარ მიდგომებს ჰქონდა ადგილი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ევოლუციურ–ბიოლოგიურ პროცესებს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო მეორენი აღზრდაში ფილოსოფიურ–ეთიკურ პრობლემებზე აკეთებდნენ აქცენტს. ჩვენი საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, საინტერესოა ცნობილი მეცნიერების პ. კაპტერევის, პ. სოკოლოვის, შ. ნუცუბიძის, ს. ყაუხჩიშვილის და გ. თავზიშვილის შრომები, რომლებიც ისტორიულ – პედაგოგიურ პროცესს განიხილავდნენ, როგორც ქრისტიანულ საეკლესიო – თეოლოგიურ და საერო – რეალისტურ მიმართულებათა თანაფარდობად აღზრდაში. სწორედ ასეთი მიდგომის მართებულობას ადასტურებს ისტორიული გამოცდილება და ამ სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევა – ძიება.

რაც შეეხება საკუთრივ ქრისტინულ პედაგოგიკას, დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული პრობლემატიკით გასულ საუკუნეში დაინტრესდნენ, ხოლო 50-60 – იანი წლებიდან დღემდე არაერთი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში. მათი მნიშვნელობა ჩვენი საკვლევი თემისთვის იმდენად მნიშვნელოვნად გვეჩვენა, რომ წინამდებარე შომაში საგანგებო მონაკვეთი მივუძღვენით (იხ. II თავი, მე-2 პარაგრაფი: ახალი აღთქმის პედაგოგიკა: პოლემიკა თეორიებსა და დეფინიციებზე).

უკანასკნელ პერიოდში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აქტიურად მუშაობენ ტრადიციული სულიერი ღირებულებების აღდგენა–დამკვიდრებაზე. ასეთი მიდგომაა პედაგოგიკის მიმართაც მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებში. ჩვენთვის განსა-

კუთრებით საინტერესოა ის სამეცნიერო– კვლევითი სამუშაოები, რასაც რუსეთში ატარებენ ქრისტიანული პედაგოგიკის სფეროში. სხვათა შორის, ქრისტიანულ პედაგოგიკაში ერთერთი პირველი წიგნი სწორედ რუსეთში გამოიცა (Вединский В. Воспитаніи дѣтей въ духѣ христіанскаго Ѣлагочестія, М., Въ типографіи Августа семена, при Императорской Медико-хирургической Академіи, 1844.), ხოლო უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მათ გამოსცეს ათეულობით ნაშრომი და სახელმძღვანელო მართლმადიდებლურ პედაგოგიკაში, მათგან გასაკუთრებით აღსანიშნავია: Священник Евгений Шестун „Православная педагогика" (Исторические психолого-педагогические очерки), Самара, 1998г; Зеньковский В.В. „проблемы воспитания в свете христианской антропологии, М.,1993г.; Антология педагогической мысли христианского средневековья. М.,1994 , т1.; Сурова Л.В. Православная школа сегодня, Владимир, 1996г.; Куломзина С.С. Наша церковь и наши дети. М., 1994. და სხვ.

რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა პროტოპრესვიტერ ვ.ვ. ზენკოვსკის „პედაგოგიკა", და მ. დობრონრავოვის შრომა „ბავშვთა აღზრდა-განათლება სადმრთო წერილისა და წმიდა მამების გამოცდილების მიხედვით". გარკვეული ძვრები დაიწყო ჩვენშიც ქრისტიანული პედაგოგიკის სწავლების თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებულ სასწავლებლებში: სასულიერო აკადემიებში, სემინარიებსა და გიმნაზიებში 2000 წლიდან შემოღებულია და იკითხება ქრისტიანული პედაგოგიკა (თბილისის სასულირო აკადემიასა და სემინარიაში ამ კურსის წაკითხვას პირადად ვუძღვები). ასევე რუსულიდან ითარგმნა დამხმარე სახელმძღვანელოები ქრისტიანულ პედაგოგიკაში. გამოიცა ცალკეული შრომები ზნეობრივ ღვთსმეტყველებაში, ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში და მართლმადიდებლურ ფსიქოლოგიაში.

ანტიკური კულტურისა და ქრისტიანული მწერლობის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვით უფროსი თაობის ქართველ მეცნიერებს კ. კეკელიძეს, შ. ნუცუბიძეს, ალ. წერეთელს, გრ. წერეთელს, ს. ყაუხჩიშვილს, მ. ბერძნიშვილს, გ. თავზიშვილს და სხვებს, რომლებმაც, იმდროინდელი იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, სათანადოდ შეაფასეს

საეკლესიო–თეოლოგიური და საერო მიმართულებათა თანარსებობა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში და მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნეს განათლების ისტორიის პრობლემებს.

უკანასკნელ ათწლეულში ქართველი მეცნიერების (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, გ. ალიბეგაშვილი, რ.ბარამიძე, ე.ბუბულაშვილი, ვ.გოილაძე, ს.ვარდოსანიძე, რ.თვარაძე, ზ.კიკნაძე, ს. ლობჟანიძე, მელიქიშვილი, ზ.მიმინოშვილი, გ.ურღულია, ე.ნადირაძე, ნ.პაპუაშვილი რ.სირაძე, გ.ფარულავა, ლ.წიქარიშვილი, ე.ჭელიძე, ლ. ხაჩიძე, და სხვათა) მიერ საყურადღებო ნაშრომები ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში და ცალკეული მონოგრაფიების სახით, რომლებმაც ქრისტიანული რელიგიის მრავალი ასპექტი გააანალიზეს და ბევრი შეუსწავლელი საკითხი საზოგადოებისთვის საცნაური გახადეს.

უკანსკნელ ათწლეულში მეცნიერ–პედაგოგების მხრივ არაერთი საკითხი იქნა შესწავლილი მონოგრაფიულად, გამოიცა ცალკეული შრომები. პედაგოგიკური თვასაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ც.მეგრელაძის "მოსწავლეთა რელიგიურ-ეთიკური აღზრდა სწავლების შინაარსის სრულყოფით" (სადოქტორო დისერტაცია), ბათუმი., 1993 წ.; თ.ბალანჩივაძის "სტუდენტი ახალგაზრდობის რელიგიური განათლება როგორც პედაგოგიური პრობლემა" (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1999 წ., რომლებიც პედაგოგიკური თეორიის თანამედროვე პრობლემას ქრისტიანული ზნეობის ჭრილში განიხილავენ. გ.კვანტალიანის ნაშრომი "რელიგიური აღზრდის პრობლემა კლასიკურ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში" თბ., 1990 წ.; მიზნად ისახავს პედაგოგიკის კლასიკოსთა (ი.ა.კომენსკი, ჯ.ლოკი, ჟ.ჟ.რუსსო, ჰ.პესტალოცი, ა.დისტერვეგი, კ. უშინსკი, ლ. ტოლსტოი, ი.გოგებაშვილი) შეხედულებების წარმოჩენას რელიგიური აღზრდა-განათლების შესახებ. ამავე პრობლემის ანალიზია მოცემული ნ. ფარცხალაიას გამოკვლევაში "იაკობ გოგებაშვილი რელიგიური აღზრდის შესახებ" თბ., 2001,წ. მართლმადიდებლურ პედაგოგიკას თეორიულ-ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს ი.ბასილაძე წიგნში "გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა", ქუთაისი, 2000 წ.; თეორიული პრობლემების განხილვას

ეძღვნება ზ. ცუცქირიძის ლექციების კურსი პედაგოგიკაში, (თავი XIV – „რელიგიური აღზრდა") თბ., 1997.; მოძღვრის ჰუმანურ–აღმზრდელობითი პრობლემებია განხილული თ. ბალაზონიას საკანდიდატო დისერტაციაში: „მოძღვრის - ჰუმანურ - აღმზრდელობითი სახე მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ სასულიერო პრესასა და მხატვრულ შემოქმედებაში", 2005 წ.

ქრისტიანული პედაგოგიკის საფუძვლების კვლევას საშურ საქმედ მიიჩნევს აკად. ნ. ვასაძე 2000 წელს გამოცემულ წიგნში „პედაგოგიკა", სადაც ავტორი მართებულად მიუთითებს: „რაც შეეხება „ქრისტიანულ პედაგოგიკას", იგი მრავალი საუკუნის წინ ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერება. მას ასწავლიან სასულიერო და მთელ რიგ სასწავლებლებშიც, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს. ამ საგნის ცოდნა და მისი ადგილის სწორი განსაზღვრა განსაკუთრებით საჭიროა მოცემულ ეტაპზე, როდესაც საქართველოში აღორძინება დაიწყო სასულიერო განათლების უდიდესმა ტრადიციებმა... სასულიერო გიმნაზიებისა და სასწავლებლების ქსელი იზრდება და მათში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვას პედაგოგიკური მეცნიერების დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება"(5.77). სწორედ რწმენისა და ცოდნის, ადამიანთა ზნეობრივი განწმენდისაკენ მიმავალ ოდროჩოდრო გზაზე სიარულში უცილობლად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პედაგოგიკურ მეცნიერებას და მის უძველეს მიმართულებას ქრისტიანულ პედაგოგიკას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პედაგოგიკა თავისი არსით სიყვარულის ზოგად-ქრისტიანულ დოგმატზეა ორიენტირებული, ამის შესახებ ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი" (იოან. 13:34), ხოლო პედაგოგიურ პროცესს გამჭოლ იდეად ბავშვის სიყვარული გასდევს, რაც საფუძველშივე აახლოებს მას ქრისტიანობის მარადიულ იდეალებთან.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიოში გრანდიოზული სახეცვლილება განიცადა იდეოლოგიამ. ძირეულად შეიცვალა ადამიანთა ცნობიერებაც, ძველმა იდეოლოგიურმა პოსტულატებმა არსებობა შეწყვიტეს, რამაც დიდი სიცარიელე

წარმოშვა ადამიანთა სულიერ სამყაროში, ამიტომ საზოგადოება სულიერი ქაოსის წინაშე აღმოჩნდა.

იმ ქვეყნებში, სადაც ქცევის ნორმებს ათეისტური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა, მათი გაქარწყლების შემდეგ, გულგატეხილობამ მოიცვა საზოგადოების დიდი ნაწილი, ამიტომ ადამიანთა რელიგიისაკენ შემობრუნება ბუნებრივ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა დღესაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში რელიგიის სახელით ებრძვიან, აწამებენ და ხოცავენ განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევრებს, რაც ადამიანურ ღირებულებათა თავზარდამცემი გაუკუღმართებაა. ასეთი რამ, არც თუ იშვიათად, რელიგიური დებულებების არასწორად გაგებასაც მოსდევს.

საბედნიეროდ, ქართულ სინამდვილეში ყოველთვის არსებობდა სულიერი კავშირი ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ამიტომაც შემობრუნდა ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე, ათეისტური მსოფლმხედველობის მატარებელი ნაწილი, შედარებით უმტკივნეულოდ, ტრადიციული, მართლმადიდებლური სარწმუნოებისაკენ.

რადგან ქრისტიანული მრწამსი და ზნეობა ყოველთვის განმსაზღვრელი იყო ქართული ყოფიერებისათვის, ამიტომაც აღმოჩნდა იგი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საფუძველთა-საფუძველი, აქედან გამომდინარე, ჩვენი დაინტერესებაც ქრისტიანული პედაგოგიკით, სწორედ მისმა აქტუალობამ და ამ სფეროში ადრე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ განაპირობა.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა – რამდენადაა საჭირო ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიის კვლევა მანამ, სანამ არ დაწერილა თვით ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული კურსი ? ასეთი კითხვა ზოგადად ლოგიკურია. მაგრამ თუ რამდენიმე დეტალს დავაზუსტებთ, აღმოჩნდება, რომ ობიექტურად ქრისტიანული პედაგოგიკა და აქედან გამომდინარე მისი ისტორია არსებობს მას შემდეგ, როცა მაცხოვარმა დაიწყო ამქვეყნიური მოღვაწეობა და ზეციური მოძღვრების ქადაგება. ამდენად ქრისტიანული რელიგიის წიაღში არსებული ყველა სასწავლებელი და თვით აღზრდა–განათლების სისტემა ქრისტიანული პედაგოგიკის ფარგლებში არსებობდა. რადგან რეალურად არსებობს თვით საგანი ანუ ქრისტიანული აღზრდა–განთლების სისტემა, ბუნებრივია, ორიათასწლოვანმა გამოცდილებამ თავისი ისტორია შექმნა. აქედან გამომდინარე,

თუკი სახეზეა საგანი, უნდა არსებობდეს მისი შემსწავლელი დარგი ანუ მეცნიერული მიმართულება (როგორც საერო პედაგოგიკაში: პედაგოგიკის თეორია და პედაგოგიკის ისტორია). ამიტომ კანონზომიერია, ქრისტიანული აღზრდა- განათლების ოცსაუკუნოვან განვლილ გზას ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორია ეწოდოს. ის ფაქტი, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს სრულყოფილი თეორიული კურსი ქრისტიანულ პედაგოგიკაში, ამას პრობლემის კვლევისას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან სხვა ენებზე ასეთი ნაშრომები დიდი ხანია შეიქმნა (იხ. წინამდებარე წიგნში: შესავალი და II თავის მე–2 პარაგრაფი), ხოლო ქართულ ენაზე ზემოხსენებული, ცნობილი მიზეზების გამო ასეთი რამ აქამდე ვერ მოხერხდა, მაგრამ თეორიული კურსის უქონლობა, ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიის შექმნას ხელს არ უშლის. რაკი ისტორია რეალურად არსებობს, საჭიროა მისი სისტემატიზირება, ანალიზი და შესაბამისი გადმოცემა, რაც წინამდებარე წიგნის უმთავრესი ამოცანაა, ხოლო თუ როგორ გავართვით თავი დასახულ მიზანს, ეს მკითხველის შესაფასებელია.

წინამდებარე შრომა შედგება ხუთი თავისგან. მასში განხილულია ძველი და ახალი აღთქმის პედაგოგიკა, ქრისტიანობის გავრცელება და კონფესიური სკოლების აღმოცენება. სათანადო მოცულობითაა წარმოდგენილი ბერძნულ-ალექსანდრიული, სირიულ-ანტიოქიური და ლათინურ - რომაული ქრისტიანული სკოლები რომის იმპერიის ფარგლებში. წიგნში გაანალიზებულია III–IV საუკუნეების ეკლესიის წმიდა მამებისა და გამოჩენილი ღვთისმეტყველების პედაგოგიკური შეხედულებები. რადგან წიგნი უპირატესად სასწავლო დანიშნულებით იქმნება, უმჯობესი იქნებოდა მასში დასრულებული სახით ყოფილიყო წარმოდგენილი ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორია, მაგრამ იმის გამო, რომ მთელი რიგი საკითხები დამუშავების პროცესშია, გადავწყვიტეთ, ამჯერად მკითხველს შევთავაზოთ მხოლოდ პირველი ნაწილი. ჩვენი აჩქარება სასწავლო პროცესში ამგვარი წიგნის საჭიროებამ განაპირობა.

რაკი ამჯერად წიგნში სრულად არ აისახა ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორია, ამიტომ ამ შრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილი იქნება: ქრისტიანული სკოლა და პედაგოგიკა ბიზანტიაში; აღორძინებისა და რეფორმაციის ეპო-

ქის სკოლა და პედაგოგიკა დასავლეთ ევროპაში; პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები სასულიერო აღზრდა–განათლების შესახებ; ქრისტიანული განათლების კერები და პედაგოგიური აზრი ძველ საქართველოში; სასულიერო სწავლებლები და პედაგოგიური აზრი ეგზარქოსობის პერიოდში, შრომა დასრულდება თანამედროვე პირობებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობაში არსებულ სასულიერო საწავლებლებში, სემინარიებსა და აკადემიებში მიმდინარე საწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო საქმიანობის ანალიზით.

საქართველოს პირობებში ასეთი ხასიათის წიგნის შექმნის მცდელობა ნაკარნახევია აღნიშნულ ბრობლემატიკაზე მრავალწლიანი მუშაობით, აგრეთვე იმ პრაქტიკული ღირებულებით, რაც ამგვარ შრომებს ენიჭება სასულიერო სემინარიებსა და აკადემიებში ქრისტიანული პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის კურსის შესწავლისას. წარმოდგენილი მასალები დახმარებას გაუწევს აგრეთვე საერო უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიკის ისტორიის სასწავლო კურსის სრულყოფას.

წიგნზე მუშაობისას ჩვენს წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა, რაც იმაში გამოიხატება, რომ კვლევის ობიექტად გავიხადეთ ძველი და ახალი აღთქმის წმინდა წიგნები. ამასთან ერთად, მოგვიხდა ღვთივგანბრძნობილი მამების რუდუნებით შექმნილი შრომების შესწავლა–გაანალიზება, რასაც დიდი კრძალვით ვაკეთებდით. თუმცა ჩვენი მცდელობა, როგორც წმინდა სახარებაშია ნათქვამი, მხოლოდ ერთ მიზნიდან გამომდინარეობდა: „სამკალი ბევრია, მუშაკნი კი–ცოტა" (მათ. 9:37). ამიტომ, ჩვენც შეძლებისდაგვარად გავისარჯეთ დასახული მიზნის მისაღწევად, მაგრამ წინამდებარე შრომას არ აქვს სრულყოფილების პრეტენზია და იგი უნებლიე შეცდომებისგანაც არ იქნება დაზღვეული, რისთვისაც შენდობას ვთხოვ უფალს, ხოლო მათი გამოსწორების მიზნით გამოთქმულ ყველა შენიშვნას და წინადადებას მადლიერებით მივიღებთ.

თავი I

ძველი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

§1. სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია–უმაღლესი ზნეობის საფუძველი

დაბადების წიგნის დასაწყისშივე ღმერთი გვაუწყებს, რომ „მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფრსკრულის პირზე. და სული იძვროდა წყლის პირზე" (დაბ.1:1). სწორედ ღმერთმა დაიწყო ამ უდაბურებისა და ქაოსისაგან მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება, რაც რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეოდა.

რადგან ღმერთის პირველივე ქმედება უსახურ-უდაბური, ქაოტური სამყაროს გარდაქმნისაკენ არის მიმართული, ამით ფაქტიურად საცნაური ხდება უზენაესი შემოქმედის ყოვლის-შემძლება, რომელიც უდიდეს სიკეთეს უყრის საფუძველს, თუმცა მისი ქმედება მატერიალიზებულია, მაგრამ მის მიერ სასიკეთო ძვრები სიტყვის ძალით ხდება და გზადაგზა ამით სამყაროც სრულყოფილებას იძენს. როგორც ბიბლია გვას-წავლის, ღმერთმა ადამს მეტყველების უნარი უბოძა. თავად ეს უნარი, ღმერთს ჰქონდა. მაშასადამე, ეს აქტიც ცხადყოფს, რომ ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი. ენის საშუალებით არა მარტო ადამიანები ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, არამედ, როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ: როცა ღმერთი ედემის ბაღში ჩამოდიოდა და ადამიანს ელაპარაკებოდა, ადამიანიც ელაპარაკებოდა ღმერთს. ეს ურთიერთობა ადამსა და მის შემქმნელს შორის ყოველგვარი შიშის გრძნობისაგან თავისუ-ფალი, სიყვარულით გამთბარი და გონივრული იყო. ე. ი. ღვთიური სამყარო არათუ გამორიცხავს, არამედ ამკვიდრებს წესრიგს და ჰარმონიას, რომლის უპირველესი შემოქმედი ღმერთია, ხოლო ქაოსი და უწესრიგობა, მრავალი მანკიერების და ბოროტების სათავეა, ამდენად, იგი ღვთიური ნების საპირიპირო მოვლენაა.

ღმერთის მიერ უსახურ-უდაბურობისაგან კარგად გამარ-თული სამყაროს შექმნა უმიზეზოდ არ იქნებოდა. შემთხვევით ღმერთს არაფერი გაუკეთებია, მისი ყველა ქმედება დიდ მიზნებს ემსახურება. მაშ რა იყო სამყაროს შექმნის მიზანი?

ღმერთი არის აბსოლუტური სრულყოფილება, ამიტომ სამყაროს შექმნით მას არაფერი არ მოემატებოდა, „რადგან უფალი ნეტარია და არ განიცდის არაფრის ნაკლებობას: „ეფა ვად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს" (საქმ. მოც. 17:25). არავის არ შეუძლია მიაგოს მას რაიმე ისეთი, რაც ღმერთს შეუძლია, რადგანაც ყოველივე მისგან გამოვიდა, მისკენ მიდის" (რომ. 11:36). წმინდა მამების აზრით, სამყაროს შექმნის მიზეზი ღვთაებრივი წყალობა იყო.როგორც ფსალმუნებშია ნათქვამი: „კეთილ არს უფალი და მოწყალე ყოველ მის საქმეში" (ფსალ. 144:9). ამდენად, სამყაროს შექმნის მიზეზი უფლის წყალობა და სიყვარული იყო.

გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, საერთოდ მადლს აქვს განვრცობის თვისება, რომელიც შემდეგ გარდამოედინება და ანიჭებს წყალობას და მადლს სხვა არსებებს. ამასთან დაკავშირებით წმ. მამა წერდა: „რადგანაც წყალობისა და მადლისათვის არ არის საკმარისი, ჭვრიტოს მარტო საკუთარი თავი, არამედ იგი განივრცობა, გარდამოდის, მოედინება გარეთ, სხვაგან, ამრავლებს, როგორც შეიძლება მეტად, ვისზეც ეს წყალობა გადმოდის. ამის მსგავსად ღმერთმა შექმნა ყოველივე ხილული და უხილავი – ანგელოზებრივი, ზეციერი ძალები იქნება ეს თუ ხილული მიწიერი სამყარო." ხოლო წმიდა იოანე დამასკელი ამბობს: „რადგანაც ყოვლადმოწყალე და ყოვლადსრულყოფილი ღმერთი არ დაკმაყოფილდა საკუთარი თავის ჭვრეტით, არამედ წყალობის გარდამომატების გამო, კეთილად ინება, რომ ყოველივე წარმოშობილიყო, რაც იქნებოდა შემდეგ ამ წყალობის მიმღები და რასაც ამ წყალობის მიღება ესაჭიროებოდა. შეიქმნა ღვთაებრივი აზრით, რომელიც მოვიდა ქმედებაში ღვთაებრივი სიტყვითა და სულით."

ამგვარად, სამყაროს შექმნის აქტი და ადამიანისთვის მასში განსაკუთრებული ადგილის მიკუთვნება, იმით იყო განპირობებული, რომ უფალს სურდა თავისი უსასრულო მადლით, წყალობითა და სიყვარულით ჰყოლოდა ის ქმნილებები, რომელსაც იგი მადლს მიანიჭებს, ისინი ეზიარებიან მის დიდებას და სწორედ მათზე განხორციელდება უსასრულო სრულყოფილებანი. უფლის დიდება, ისე როგორც ხატება და მსგავსება აირეკლება ადამიანში, რომელიც გვირგვინია ქმნილებათა შორის. ეს არის საჩუქრი და ნიჭი (9. 318).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის განდმრთობა იყო ის მიზანი, რომლის გამოც ღმერთმა სამყარო შექმნა. ესე იგი, ღვთაებრივი [illegible] ზიარება ღმერთმა ადმიანისთვის მოისურვა, თუმ[illegible] აღწევად გარკვეული პირობებიც დააწესა, რომელიც პირველ რიგში სათნო ცხოვრებასა და ღვთის დიდებას გულისხმობს. სწორედ ამისკენ მიმართავდა ღმერთი ჩვენს პირველ წინაპრებს, რომელთა პირველი მასწავლებელი და მოძღვარი თვით უფალი იყო, ხოლო უშუალო გზის გამკვალავი ის ღვთიური წესრიგი და ჰარმონია, რომელიც მიწიერ ქვეყანაში სწორედ მათთვის დაამკვიდრა ღმერთმა.

თვით ღვთიური წესრიგი და ჰარმონია უფლის სიბრძნეზეა აღმოცენებული, სწორედ ღმერთის სიბრძნით წესრიგმა და საყოველთაო ჰარმონიამ დაისადგურა სამყაროში. ამის თაობაზე იგავთა წიგნი გვაუწყებს: „უკუნისიდან ვარ დაფუძვნებული, თავიდანვე, მიწაზე უწინარეს. უფსკრულთა არყოფნისას დავიბადე, წყაროთა წყლების სიუხვის არყოფნისას. სანამ მთები დადგებოდნენ, ბორცვებზე ადრე დავიბადე. როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი მიწა და მინდვრები, სამყაროს დასაბამი მტვერი. როცა ის ცას ამყარებდა, მეც იქ ვიყავი, როცა წრეს ჰკრავდა უფსკრულის ზედაპირზე, როცა ღრუბლებს ამაგრებდა მაღლით, როცა ძლიერდებოდა უფსკრულთა წყაროები, როცა დაადგინა ზღვისთვის საზღვარი, როცა წყლებს არ გადაელახათ მისი ნაპირი, როცა აწესებდა დედამიწის საფუძვლებს, მე ვიყავი მის გვერდით აღმშენებლად.....ვხარობდი მისი მიწის სამყაროში, და იყო ჩემი სიხარული ადამის ძეთა მიმართ" (იგავ. 8:23-31). რადგან სიბრძნემ უფლის შემწეობით დაივანა ძალიან ადრე, ყოველივეზე უწინარეს, მისი დანიშნულება მაინც კონკრეტულია და იგი ადამიანის გაკეთილშობილებისკენ არის მიმართული, სიკეთე კი უფლის მცნებათა დაცვაში მდგომარეობს: „ისმინეთ ჩემი დარიგება, დაბრძენდით და ნუ განდიდდებით. ნეტარია კაცი, ვინც მომისმენს მე, ვინც ფხიზლობს ჩემს კარებთან დღენიადაგ....".(იგავ. 8:33-34). საყოველთაო წესრიგის მოსურნე ღმერთმა ყველაზე კარგად უწყის, თუ საით მოუწოდებს კაცობრიობას: „სამართლიანია ყოველი ნათქვამი ჩემი პირისა, არაა მასში არაფერი დაკლაკნილი და მრუდე. ყოვლად ნათელია ისინი გონიერებისათვის და სიმართლეა ცოდნის მპოვნელთათვის" (იგავ. 8:8-9). ყველაზე დიდი საუნჯე, რაც სამყაროში

არსებობს ადამიანისათვის–სიბრძნეა, ამიტომ თვალ-მარგალიტის შოვნაზე უფრო, სიბრძნეს უნდა დაეწაფოს ადამიანი, რადგან: „მე, სიბრძნე,--გვასწავლის ბიბლიური წიგნი,–ვმკვიდრობ გონიერებასთან და განსჯის ცოდნას ვპოვებ. უფლის შიში ბოროტების სიძულვილია. სიამაყე და ქედმაღლობა და ბოროტი გზა, და უკუღმართი პირი მძულს მე. ჩემია რჩევა და გონიერება, მე ვარ გონება, ჩემია ძალა” (იგავ. 8:12-14).

სამართლიანობის, წესრიგისა და საყოველთაო ჰარმონიის მოსურნე ღმერთმა თავისი ღვთიური მიზნების აღსრულებას სიბრძნე დაუდო. იგი მუდამ ასწავლის კაცთა მოდგმას იმ საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ სიბრძნე სიკეთე და სიცოცხლეა, ხოლო მისგან განდგომა დაღუპვას ნიშნავს: „ თავის გულზე დაიმედებული ბრიყვია, ხოლო სიბრძნით მავალი გადარჩება” (იგავ. 28:26). ვინც სიბრძნის გზით ივლის, მისი მოღვაწეობა გამართლებული იქნება და გონიერებას ეზიარება, ამიტომ მოუწოდებს ადამიანებს ღმერთი: „დატოვეთ სიბრიყვე და იცოცხლეთ და იარეთ გონიერების გზით” (იგავ.10,6).

დაბადების წიგნის მიხედვით, ვიდრე ღმერთი დედაკაცს შექმნიდა, ჯერ ყველა ცხოველი და სხვა ცოცხალი არსება მიჰგვარა ადამს, რომელმაც თითოეულ მათგანს სახელი დაარქვა. ამით უფალმა ცხადყო ადამის, ე.ი. მისივე შექმნილის, უპირატესობა ყველას მიმართ. ცოცხალ არსებათა შორის არ აღმოჩნდა ადამის შესაფერი თანაშემწე, იგი მარტოსული აღმოჩნდა. ამიტომ შექმნა ღმერთმა კაცის ნეკნიდან ქალი. ეს ეპიზოდი აშკარად ადასტურებს ადამიანის მაღალ მისიას ყველა სულდგმულთან შედარებით, რაც მანამდე შეუქმნია ღმერთს. ადამის განსხვავებულობა ცხოველებისგან მის სიცოცხლეს ადამიანურს და განსაცვიფრებელს ხდის. თუმცა არც სამყარო და არც დედამიწა ადამიანთა საკუთრება არ არის, ისინი ღმერთის საკუთრებაა: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკვიდრნი” (ფსალმ. 23;1). ადამიანები მდგმურები არიან ღმერთის მიწაზე, ის მათ არ ეკუთვნით. ამიტომ ბიბლიაშივე არის გაცხადებული ის პირობები, რომელთა დაცვა აუცილებელია ადამიანებისათვის. ხოლო რამდენად კარგად შეასრულებს ადამიანი ღვთის ნებას, მასზე არის დამოკიდებული მისი ცხოვრება, რადგან მთელი ქმნილება, ადამიანის ჩათვლით, შეიქმნა ღმერთის სამსახურად

და მისი ნების აღსასრულებლად (გამოცხ. 4;11). სწორედ ამ ზნეობრივ პოსტულატს ეფუძნება ქრისტიანული კეთილგონივრება, ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ღვთის ნების შესრულება მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, ხოლო მისგან გადახვევა საფრთხეს უქმნის არა მარტო ადამიანის ცხოვრებას, არამედ სამყაროს არსებობასაც. ეს საშიშროება უკანასკნელ საუკუნეში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რადგან მეცნიერების განვითარების შედეგად, ამჟამად შესაძლებელია პლანეტარული კატასტროფების ხელოვნურად გამოწვევაც კი, ამიტომ ადამიანზე ბევრი რამე არის დამოკიდებული, რაც ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რაიმე დედამიწაზე, რადგან ყველაფერი ადამიანისთვის არსებობს და არა პირიქით. ამის შესახებ იესო ქრისტემ მიგვითითა: თუ ღმერთმა ამდენი იზრუნა ხეებისა და ყვავილების გამშვენებაზე, ფრინველთა გამოკვებაზე – ეს ყველაფერი კი მხოლოდ ადამიანის მიწიერი საცხოვრისის სამკაულია, იგი უცილობლად უფრო მეტ მზრუნველობას გამოიჩენს ადამიანის მიმართ, რომელიც პატრონია ამ საცხოვრისისა (მათ. 6: 25-31). ეს საკითხი უფრო რომ გავაღრმავოთ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ადამიანის მნიშვნელობა ბევრად აღემატება სამყაროში არსებულ მატერიალურ ძალებს, რომლებზედაც თვით ადამიანები ვართ დამოკიდებულნი. მაგალითად, ჩვენ მზის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ მნიშვნელობის თვალსაზრისით მზე ადამიანს ემსახურება და არა პირიქით, იგი ადამიანისთვის შეიქმნა, როგორც მისი მსახური და ღვთაება, როგორც ძველ ხალხებს მიაჩნდათ. ჩვენ ვიცით მზის დანიშნულება და ადგილი, მან კი არ იცის ჩვენ შესახებ.

ფიზიკური სიცოცხლე საიდუმლოებად რჩება, არავითარი ცნობა არ არსებობს იმის თაობაზე, რომ თუნდაც ყველაზე პრიმიტიული მიკროორგანიზმები ოდესღაც სპონტანური თვითწარმოშობის შედეგად აღმოცენდნენ უსიცოცხლო მატერიისაგან, რაღაც შემთხვევით გარემოებათა წყალობით, „როგორც ჯართის გროვისგან ქარიშხალი ვერ წარმოქმნის თანამედროვე მანქანას (6. 16).

რაც უფრო მეტი გაოცება და მოწიწება დაგვეუფლება სიცოცხლის საოცრების მიმართ, მით უფრო მეტად დავაფასებთ სიცოცხლეს. უმადურობა შემოქმედის მიმართ,

გვეუბნება ბიბლია (რომ 1:11), სიცოცხლის გაუფასურებისაკენ გადადგმული ნაბიჯია, მისგან გამომდინარე მახინჯი შედეგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ადამიანის სხეული და ტვინი ზუსტად დაბალანსებული სისტემაა, რომელსაც სათანადო მოვლა ესაჭიროება. ზომიერება ადამიანმა ყველაფერში უნდა გამოიჩინოს, თვითნებობამ შეიძლება დაარღვიოს სხეულისა და ტვინის ფაქიზი სისტემა და უბედურებამდე მიიყვანოს ადამიანი. (ნიკოტინი, ალკოჰოლი, შიდსი, პროსტიტუცია.,. .).

იესო ქრისტე გვასწავლის: „მამაჩემი აქამდე იქმს, ასე აკეთებს და მეც ვაკეთებ" (იოან. 5:17). უფლის ამ სიტყვებში ღვთის განგებულება და სამყაროს მიმართ ღვთის მზუნველობა გამოსჭვივის. ზოგადად ღვთის განგებულებაში თეოლოგები მის ორ ფუნქციას გამოყოფენ, ესენია: შექმნილთა შენარჩუნება და სამყაროს მართვა. უფალი არა მარტო აცოცხლებს სამყაროს და ქვეყნიერებას, არამედ მიმართვს მას მისთვის ცნობილი მიზნებისაკენ. ღვთის განგებულების ამ ორ ფუნქციას ასევე გამოარჩევს წმ. იოანე დამასკელი: „ღვთის განგება არის ღვთის ზრუნვა იმაზე, რაც არსებობს". ან კიდევ: „ღვთის განგება ეს არის ნება ღვთისა, რომლითაც ყოველი მიიყვანება მიზანდასახულად და იმართება." არჩევენ ღვთაებრივი განგებულების ორ სახეს: ზოგადი და კერძო. ღვთის ზოგადი განგებულება მოიცავს მთელ სამყაროს ზოგადად, კერძო განგებულება კი განივრცობა ყველა საგანზე და მოვლენაზე ცალ-ცალკე, რაც უნდა მცირედ ჩანდნენ ისინი ჩვენს თვალში. ის ასევე ვრცელდება გარემომცველ ბუნებაზე და ცხოველებზეც. თუმცა, ღვთის განგებულების მთავარი ობიექტი დედამიწაზე მაინც ადამიანია. ღმერთმა იცის ყოველი ადამიანის გული (ფსალ. 138:20), გრძნობანი (ფსალ. 7:10), ამოსუნთქვაც კი (ფსალ. 77:11), აძლევს ადამიანებს მანამ, სანამ სთხოვენ რამეს (მათ. 6:32), აღუსრულებს სურვილს უფალი. თუკი ვინმე მას ევედრება გულწრფელად და ცოცხალი სარწმუნოებით (მათ. 17:20) და თუკი ეს თანახმა არის, შესაბამისია მისი ყოვლაწმიდა განგებულების, რომელიც მდგომარეობს ღვთის სასუფევლის ძიებაში (მათ. 6:33). თუ ადამიანი ითხოვს რაიმეს, მაგრამ არ მიეცემა, ისევ მის სასიკეთოდ ხდება ეს. ღმერთზე ჭკვიანი ვერ იქნება ადამიანი. თუ ყოვ-

ლადბრძენი და ყოვლადმოწყალე უფალი არ აძლევს რაიმეს, ე. ი. არ ყოფილა ადამიანისათვის საჭირო ის, რასაც იგი ითხოვს. (9. 396-397).

ადამიანს არათუ თხოვნას უსრულებს უფალი, არამედ ზოგჯერ სჯის კიდეც. ამისთვის მოუვლენს სტიქიურ და ფიზიკურ უბედურებებს. თუმცა, როგორც ღვთისმეტყველები თვლიან, ესეც ადამიანის სასიკეთოდ ხდება, რადგან ღმერთს უნდა ადამიანი მოაქციოს სინანულისკენ, შეაჩეროს ცოდვის ჩადენისაგან და სიკეთის გზაზე ატაროს. ამდენად, ღვთიური სასჯელი ბოროტება კი არა უკეთურებისგან ადამიანის დაცვაა, რაც საბოლოოდ სიკეთედ მასვე მოუბრუნდება. ამიტომ უნდა დაემორჩილოს ადამიანი ღვთიურ კანონებს და იმ ჰარმონიის თანაზიარი გახდეს, რასაც ეს კანონები ამკვიდრებენ თვით ადამიანის საკეთილდღეოდ.

ღვთიური წესრიგის გამოვლენად და დედამიწაზე ჰარმონიის დამყარებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ღმერთმა ადამიანს შემოქმედებითი და ესთეტიკური უნარი უბოძა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ღვთიური წესრიგი ადამიანის ჰარმონიული არსებობისათვის აუცილებელი პირობა იყო, ამიტომ ღმერთმა მიწის ერთ ნაწილში ბაღი გააშენა და იქ კაცი დაასახლა, რათა მისთვის მოევლო. ბაღში მარტო საკვებად გამოსაყენებელი ხეები კი არ იყო, იქ „სანახავად" საამო ხეებიც იდგა. აქედან გამომდინარე, ადამიანს უნარი შესწევს დააფასოს მშვენიერება, ამიტომაც აშენებენ ადამიანები ბაღებს – ესწრაფვიან სილამაზეს. ასეთი რამ ცხოველებს არ ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ გამრავლების პერიოდში ცხოველებსა და ფრინველებს ერთმანეთის კაშკაშა შეფერილობა იზიდავთ, ზოგიერთი ჯიშის ფრინველი საწინააღმდეგო სქესის ყურადღების მისაპყრობად მღერის კიდეც, მათ მშვენიერების აღქმის უნარი და შემოქმედებითი შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ასეთი უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს, რომლითაც იგი ღმერთს უახლოვდება. კაცობრიობის ისტორია – ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, ღმერთის, შემოქმედის მიბაძვაა. ხოლო ის, ვინც ღუპავს დედამიწას, აბინძურებს მდინარეებს, არღვევს ატმოსფერულ შრეებს და საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტას, ღმერთის წინააღმდეგ ილაშრებს, ამიტომ ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი ადამიანები დიდ ცოდ-

ვას სჩადიან. ძველ და ახალ აღთქმაში მნიშვნელოვანი მინიშნებებია მოცემული ამასთან დაკავშირებით. თანამედროვე მეცნიერები ზნეობრივ-ეკოლოგიურ აღზრდაში ბიბლიურ საფუძვლებს ხედავენ.

ადამიანმა სამყაროს ჰარმონიიდან ბევრი ისწავლა, სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ღმერთს, როცა მკაცრად რეგლამენტირებულ სამყაროს ქმნიდა. ზნეობის პირველი გაკვეთილები ადამიანებმა სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის წყალობით მიიღეს, რომლისკენაც უფალი დღენიადაგ მოუწოდებდა: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელიც შენს კარიბჭეებში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა" (რჯლ. 31,12).

სამყაროში არსებული ჰარმონია და წესრიგი ადამიანებში ყოველთვის იწვევდა დადებით განწყობას და აჯანსაღებდა საზოგადოებას. ამის შესახებ ავტორიტეტული აზრი გამოთქმული აქვს, როგორც ქრისტიანული სამყაროს, ისე სხვა აღმსარებლობის მიმდევრებს, მაგალითად, დიდი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი მიიჩნევდა, რომ „ცა მასში ქმნიდა ზნეობას". ხოლო ბიბლიური ფსალმუნთმგალობელი დავითის აზრით, ეს ცაც და ირგვლივ ყოველივე ღმერთის შემოქმედების ნაყოფია: „... შევხედავ შენს ცას–შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. უფალო, ჩვენო მბრძანებელო! რაოდენ დიდია შენი სახელი მთელს ქვეყანაზე" (ფსალმ. 8:4,10). ამის მიუხედავად, უფლის ნებით შექმნილი სამყარო მაინც წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, რადგან ადამიანმა ვერ გაამართლა იმედები, ამიტომაც ზრუნავს დღენიადაგ შემოქმედი დაცემული ადამიანის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის.

ადამის მოდგმამ ჯერ კიდევ ედემის ბაღში გაუცრუა იმედები ღმერთს, როცა არ დაემორჩილა უფლის ნებას და აკრძალული ხის ნაყოფი იგემა, რასაც შემდგომში ახალი იმედგაცრუება მოჰყვა კაენის საშინელი ცოდვის სახით: „იხილა უფალმა, რომ გამრავლდა ბოროტება ადამიანისა მიწაზე, და მისი გულის ყოველი წადილი მუდამ ბოროტება იყო. და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი მიწაზე და დამწუხრდა თავის გულში" (დაბ. 6, 5-6). ღმერთს არ შეუძლია

შეეგუოს გარყვნილებასა და ბოროტებას, ამიტომ განიჩრახა მიწის პირისაგან აღგვა და განადგურება ყოველივე იმისა, რაც მანვე დიდი სიყვარულით შექმნა. ეს აქტი თვალნათლივ მოგვანიშნებს, რომ ღმერთმა სამყარო სიკეთისა და წესრიგისათვის შექმნა ასე მიმზიდველი. მისი საბოლოო მიზანი ამ სამყაროს გვირგვინის–ადამიანის მაღალი ზნეობაა და არა მისი დაცემა, ბოროტების გამრავლება, რომელიც სწორედ ადამიანის სისუსტის ბრალია. ღმერთი ყველანაირად უწყობს ხელს დაცემულ ადამიანს ცოდვების გამოსყიდვაში. ეს პირველად გამოვლინდა მაშინ, როცა ღმერთმა ედემის ბაღიდან გამოაძევა ადამი და ევა. მათ საკუთარი შრომით უნდა მოეპოვებინათ სარჩო-საბადებელი, მაგრამ უფალი მაინც არ აკლებს მზრუნველობას დაცემულ ადამიანებს, თუმცა შედეგი კვლავ არასახარბიელო აღმოჩნდა, ამიტომ ღმერთმა სამყაროს წარღვნა მოუვლინა, მაგრამ სიკეთით აღვსილი ნოე და მისი შთამომავლები გადაარჩინა. ამის შემდეგ უფალი კვლავ აგრძელებს ნოეს შთამომავლებზე და სხვა სულიერებზე ზრუნვას: „აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი ძენი და უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ და აღავსეთ მიწა", და ადამიანის სისხლის დამღვრელის სისხლი ადამიანის მიერვე დაიღვრება" (დაბ. 9:6). ღმერთმა წარღვნის მოვლინებით დაასრულა გაურჩებული ადამის შთამომავლების დასჯა და ნოეს მემკვიდრეებთან აღთქმა დადო, რომელიც არსებითი ზნეობრივი ღირებულების შესრულებას ითვალისწინებს ადამიანთა მხრიდან, ხოლო თავის მხრივ ღმერთი, ნოეს მოდგმას (ადამიანებს) წარღვნით აღარ ემუქრება. თუმცა მისი ყურადღება სამყაროს კანონზომიერებათა დაცვასა და ადამიანთა ზნეობას ყოველთვის თავს დასტრიალებს.

მრავალი საუკუნე და ადამიანთა მოდგმის უამრავი თაობა დასჭირდა იმაში დარწმუნებას, რომ ადამმა და ევამ უმძიმესი ცოდვა ჩაიდინეს, სწორედ პირველი ცოდვიდან იმატა უკეთურებამ და პირველ ურჩობას მრავალი ბოროტება მიემატა. კაცობრიობის იმაში დარწმუნებას, რომ ღმერთთან ურჩობა და ცოდვით დაცემა კარგს არაფერს უქადდა თვით მას, მრავალი თაობის სიცოცხლე დასჭირდა, ბოლოს ყველას ცოდვის გამომსყიდველად უფალმა მოავლინა ძე მისი - იესო ქრისტე.

ღმერთი რომ იმ მომენტში გამოჩენილიყო, როცა ადამმა და ევამ პირველი ცოდვის ჩადენა განიზრახეს და, მაგი, ჩანაფიქრის შესრულებისათვის ხელი შეეშალა, ისინი, ვერასოდეს გაიგებდნენ იმას, თუ როგორი დამღუპველი შედეგები შეიძლება მოუტანოს თავისუფალი ნების ბოროტად გამოყენებამ.

ადამისა და ევას პირველცოდვამ გამოიწვია ღვთისაგან გაუცხოება, ამიერიდან ღმერთთან ურთიერთობა ადარ იქნება სასიამოვნო და შიშისაგან თავისუფალი, თუმცა ღმერთმა მაინც არ გაწირა მის მიერ შექმნილი ადამიანი და მუდამ ეხმარება მას ცოდვის გამოსყიდვაში: „უფალს არ წაურთმევია ადამიანისათვის არც ხატი ღვთისა, არც თავისუფალი ნება, სულიერ საწყისთა შემმეცნებელი გონება და სხვა. ღმერთი ადამიანს მოექცა, როგორც მკურნალი და აღმზრდელი – სამოსით დაფარა მისი სიშიშვლე. ღმერთმა ადამიანი ფიზიკურ სიკვდილს დაუქვემდებარა, რათა აეცილებინა მისთვის საბოლოო, სულიერი სიკვდილი, ანუ მასში ცოდვის საწყისების უკიდურესი, სატანურ ზღვარს მიღწეული განვითარება. საღვთო განგებულებამ წინასწარ განჭვრიტა ადამის ჯერ კიდევ განუმტკიცებელი თავისუფალი ნების დაცემა და მისი აღდგინებაც ასევე წინასწარ მოაწყო. ადამის ცოდვით დაცემა არ იქცა კაცობრიობის გამოუსწორებელ დაღუპვად. ღვთის წინასაუკუნო განჩინების თანახმად, მის ამაღორძინებელ ძალად დედამიწაზე გარდამომხდარი ძე ღვთისა იქცა” (3.108-109).

ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანთა ურთიერთობები გასასტიკდა. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ ბავშვის დაბადება დიდ ტკივილთან იქნება დაკავშირებული, შემდგომ მისი აღზრდა-განათლება ხომ ფათერაკებითაა აღსავსე, ხილო ლუკმა-პურისათვის უმძიმესი ჯაფა ადმიანის მუდმივი თანამგზავრია წუთისოფელში. მაგრამ თავდაპირველი ანტაგონიზმი მაინც კაცსა და ქალს შორის ჩაინერგა, რადგან მამაკაცები ცდილობენ თავიანთი უპირატესობა გამოიყენონ ქალებზე გასაბატონებლად, თუმცა ღმერთმა თავისი ხალხის სიყვარულის გამო აქაც დაამკვიდრა სიყვარულის იდეალი ცოლ-ქმარს შორის: „ ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქმნებიან” (დაბ. 2:24). უფრო შორს წავიდა ახალი აღთქმა ცოლ-ქმრობის წესითა და ქორწინების საიდუმლოს

სახით, რასაც განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანული ზნეობის ფორმირებაში, რომელთა შესახებ ახალ აღთქმაზე დაკვირვებისას გვექნება მსჯელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ითქვა, ცოდვითდაცემის შედეგად შრომა ადამიანს მძიმე ტვირთად ექცა, რასაც ავადმყოფობა და ეპიდემიებიც დაერთო. ამდენად, ადამიანის ცხოვრება აღარ იყო საამო და უსაფრთხო, თუმცა ღმერთი მასზე ზრუნვას აგრძელებდა და ხსნის გზაც მუდამ თავისუფალი იყო, მაგრამ ამისთვის, როგორც პავლე მოციქული ამბობს, გარკვეული პირობა იყო საჭირო: „ ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული" (რომ. 8:11). ღვთის დანაპირები ქიმერა რომ ნამდვილად არ იყო, ამაში კაცობრიობა იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით დარწმუნდა, ამიტომ ღმერთის მცნებათა მიმდევარ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმის რწმენა, „რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდება ხრწნილების მონობისაგან ღვთის შვილთა დიდების თავისუფლებისთვის" (რომ. 8:21). თუმცა, ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ეს ადვილად მისაღწევი ნამდვილად არ არის, რადგან ადამიანი დიდ ცოდვებშია ჩავარდნილი, როგორც ლუკას სახარებაშია ნათქვამი: „ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა, იცით კეთილ მისაცემთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, მეტადრე ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს" (ლუკ. 11:13). აქედან გამომდინარე, გონივრული დასკვნის გაკეთება თითქოს რთული არ უნდა იყოს, თუმცა „ერთი შეხედვით" ძალიან მარტივი მოვალეობის შეუსრულებლობა, ხშირად დიდ უსიამოვნებებს იწვევს, ანუ ის, რაც ძალიან იოლია, ძალიან რთული შესასრულებელი ხდება. სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ადამისა და ევას ცოდვით დაცემა. ამიტომაც არის აღზრდის პროცესი მრავალმხრივი და რთული.

ყველაზე სრულყოფილი, რაც ღმერთმა სამყაროში შექმნა, ადამიანი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ დაუშვა მისი გაამჰარტავნება, ამიტომ აურია ენა, რათა მათ ვეღარ გაეგრძელებინათ ბაბილონის გოდლის შენება და მიმოიფანტულიყვნენ დედამიწის სხვადასხვა მხარეში.

ღმერთის მიერ ენათა აღრევის აქტს კიდევ ერთი გარემოება ახლავს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

დედამიწაზე ჰარმონიის დამკვიდრებაში. როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, სამყაროს მრავალფეროვნება, მისი ჰარმონიულობის უმთავრესი წინაპირობაა, ამიტომაც ... ერები და ეროვნებები სრულყოფილებას სძენენ ჩვენს მიწიერ ცხოვრებას, რომლის განუყოფელი კომპონენტი ენათა მრავალფეროვნებაცაა. ამდენად, ღმერთის მიერ ბაბილონის გოდლის მშენებლობის შეჩერება, რასაც იმპულსი ენათა აღრევამ მისცა, ლოგიკურად სამყაროში წესრიგის და ჰარმონიის ისეთი შემადგენელი ელემენტების შემოტანის წინაპირობა გახდა, როგორიც ენების და ხალხების წარმოშობა იყო.

დაბადების წიგნში ღვთიური წესრიგისა და ჰარმონიის დამკვიდრების კიდევ რამდენიმე ეპიზოდია. მათგან გავიხსენოთ სოდომისა და გომორის განადგურების ამბავი, რომელიც დიდ ზნეობრივ-აღმზრდელობით პლასტებს შეიცავს, მაგრამ მასში ღვთიური წესრიგი და ჰარმონია მაინც მნიშვნელოვნად გვესახება. სწორედ ეს უკანასკნელნი არიან თავისთავად ზნეობრივ ღირებულებათა საფუძველი, რადგან ზნეობა კანონზომიერებას, წესრიგს და ადამიანთა შორის მართლზომიერ ქმედებას გულისხმობს.

რაც შეეხება სოდომის ეპიზოდს, იგი იყო ადამიანთა არა მარტო ზნეობრივი გაუკულმართება, არამედ ბუნების კანონზომიერებათა საწინააღმდეგო გამოწვევა და პროტესტი, რომელიც არ დაუშვა ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის მოსურნე უფალმა „... დაამხო ეს ქალაქები და მთელი მათი შემოგარენი, და ყოველი მკვიდრი ამ ქალაქისა და ყოველი მცენარე მიწისა“ (დაბ.19:25).

დედამიწაზე ღვთიური წესრიგი ყოველგვარი განვითარების და პროგრესის საფუძვლად არის მიჩნეული, ამიტომ უფალი დღენიადაგ დასტრიალებს თავს მისსავე შექმნილ ადამიანს და ზნეობრივი კატაკლიზმებისგან იცავს მას, თუმცა რადიკალური ზომებისგანაც არ იხევს უკან და ხშირად უმკაცრესი განაჩენიც გამოაქვს, მაგრამ სასჯელებიც მისსავე საკეთილდღეოდ წესდება, რათა არ განადგურდეს მთავარი - არ დაირღვეს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია.

გამოსვლათა წიგნში ღმერთი მრავალგზის მოუწოდებს თავის რჩეულ ხალხს დადგენილი წესების დაცვას (გამოს. 13:10), მაგრამ ეს მარტო ზოგადი მოწოდება როდია, აქ არის მოცემული ზნეობრივი კოდექსი და მთელი ცხოვრების საზ-

რისი (გამოს. 20:1-17), რომლის შესახებ საგანგებო მსჯელობა ცოტა ქვემოთ გვექნება. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამავე წიგნში უფალი რჩეულ ხალხს მოსეს მეშვეობით ყოველდღიური ცხოვრების ისეთ წესებს უდგენს, როგორიცაა: დადგენილება მსახურთა შესახებ, ადამიანის დაზიანების შესახებ, ქურდობისა და საზღაურის შესახებ, ადთქმებისა და შესაწირავების შესახებ, სამსხვერპლოს, გამოსასყიდის და სხვადასხვა აკრძალვების შესახებ (გამოსვ. 21,22,23).

როცა ღმერთმა შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული უმაღლესი არსება - ადამიანი, წესები და კანონები დაუდგინა, რომელიც ურთიერთდამოუკიდებელი და ამავე დროს, ერთმანეთის განმაპირობებელიც არის. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ, როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა, ან მზის სისტემის კანონზომიერებათა დარღვევა, რასაც კატასტროფები და სიცოცხლის განადგურება მოჰყვება, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა, რადგან ადამიანი მიწიერი ცხოვრების გვირგვინია, უფლის მიერ დადგენილი, და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია, ამიტომ ადამიანის მიერ ღვთიური წესრიგის დარღვევის თითოეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა, რაც ქრისტიანული ზნეობის ფუნდამენტურ დოგმატს წაროადგენს.

მიწიერი ცხოვრება ზედმიწევნით რაციონალურად არის მოწყობილი, როგორც ზემოთ ითქვა, ცოცხალი არსებები და არაცოცხალი სინამდვილე ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ განაპირობებენ ერთმანეთის არსებობას და მათ ფუნქციებს. ასეთი გონივრული ურთიერთმიმართება, სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია, იმის მტკიცე საფუძველია, რომ ადამიანებმა იწამონ ღმერთის არსებობა, რაც ხელს არ უშლის ცხოვრების ემპირიულ შემეცნებას, პირიქით, იგი შემოქმედის მიმართ რწმენით ადავსებს ადამიანს.

ერთი შეხედვით, თითქოს, ღმერთმა გამოარჩია ისრაელის ერი და მასზე დააწესა მზრუნველობა, მას დასტრიალებს თავზე და მათგან უფლის მიერ დადგენილი წესების შესრულებას განაპირობებს: „და ასწავლოთ ისრაელის ძეთ,

ყოველი წესი, რომელიც უთხრა მათ უფალმა მოსეს ხელით" (ლევ. 10:11). მაგრამ უფრო სიღრმისეულად თუ დავუკვირდებით უფლის სიტყვას, ჭეშმარიტება სხვაგვარია. ღმერთისთვის ადამიანი განირჩევა მხოლოდ იმით, რამდენად იცავს თუ ეწინააღმდეგება ღვთის განგებას. მართალია, უფლის რჩეული ხალხი ებრაელები იყვნენ, მაგრამ ღმერთისთვის მაინც ყველა ერთია, რადგან: „აბრაამი რომ გახდება დიდი და ძლიერი ერი, და მისით იკურთხება ყველა ერი" (დაბ. 18:18). ცხადია, ერთი რჩეული ერის მეშვეობით ღმერთი მთელ კაცობრიობაზე ზრუნავს. მისთვის არ არსებობს ეროვნული, რასობრივი და სხვა განსხვავებანი, მთავარია, ადამიანი ასრულებდეს უფლის მცნებებს. ასეთია ღვთიური წესრიგის გამოვლინება სხვადასხვა ხალხებთან მიმართებაში.

ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა ყველაზე ბრძნული აქტი იყო, ამიტომ არის იგი საყოველთაო წესრიგის ნიმუში. თუმცა, მარტო სამყაროს შექმნა ბევრი ვერაფერი სიკეთე იქნებოდა, ამას რომ მისი რაციონალური მოწყობა არ მოჰყოლოდა. სწორედ წესრიგსა და დედამიწის რაციონალურ გამართულობას განაპირობებს ცოდნა და უმაღლესი გონიერება, რადგან: „უფალმა სიბრძნით დააფუძნა დედამიწა, გონებით განამტკიცა ცა" (იგავ. 3,19). წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაზე კარგად მოწყობილი სამყაროც ვერას გახდებოდა, თუ მასში უწესრიგობა და ქაოსი დაისადგურებდა, მაგრამ ბრძნულად შექმნილს ისევ გონიერება მიჰყვება კვალში, რათა შეინარჩუნოს და მუდმივად განამტკიცოს ღვთიური წესრიგი უკვე ადამიანთა შორის, რადგან, სწორედ ადამიანთათვის შეიქმნა ყოველივე და მას ადამიანმა უნდა უპატრონოს ღვთის განგებულების შესაბამისად. ამდენად, ღვთიური წესრიგი და ჰარმონია არ არის რაღაც განყენებული იდეა–ფიქსი, მას კონკრეტული დანიშნულება აქვს, რაც ადამიანის მიერ მის დაცვასა და განმტკიცებაში მდგომარეობს. ამიტომ ადამიანმა უმაღლესი ზნეობის გაკვეთილები სამყარის ღვთიური წესრიგიდან უნდა მიიღოს.

უფლის მცნებათა დაცვა ღვთიური წესრიგის გამოვლენაა თითოეული ადამიანისაგან. ღმერთი კანონებისა და კანონზომიერებათა დაცვისაკენ მოუწოდებს ყველას. სიმართლის მსახურების შეგნება თაობიდან თაობაში უნდა გადადიოდეს, სწორედ ამით დამყარდება ღვთიური წესრიგი და ჰარმონია.

როგორც დაბადების წიგნი გვასწავლის: „ რადგან ამოვირჩიე, რომ ამცნოს თავის ძეებსა და თავის სახლს თავის შემდეგ, რომ დაიცვან გზა უფლისა, ქმნან სიმართლე და სამართალი, რათა შეუსრულოს უფალმა აბრაამს, რასაც შეჰპირდა” (დაბ. 18, 19).

ღვთიური წესრიგი უფლის განგებულების შესრულებას ავალდებულებს ყველას, მათ შორის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებმაც ყველა დანარჩენზე უფრო უნდა დაიცვან ღვთიური მცნებები და ამით სამაგალითონი გახდნენ თავიანთ ქვეშემრდომთათვის: „მაშ, მისმინეთ და შეიგნეთ, მეფენო, ისწავლეთ მთელი დედამიწის მსაჯულნო! ყურად იღეთ, მრავალთა მბრძანებელნო, ქედმაღლურად რომ დაჰყურებთ ხალხებს! უფალმა მიგანიჭათ ძალაუფლება, უზენაესმა-მეუფება; ის გამოიძიებს თქვენს საქმეებს და თქვენს ზრახვებსაც გამოსცდის” (სოლ. 6:1-3). მართალია, მეფეებს უმაღლესი ძალაუფლება უპყრიათ ხელთ, მაგრამ ეს ძალაუფლება უკონტროლო არაა. ყველა წესს უფალი ადგენს. ზღვარგადასულ ქცევას ღმერთი არ დაუშვებს, რადგან ღვთიური წესრიგი უმაღლესი ჰარმონიაა, რომელსაც ყველა უნდა ემსახუროს, ხოლო ხალხის წინამძღოლთ გაცილებით დიდი მისია აკისრიათ: „ბრძენი მსაჯული აღზრდის თავის ხალხს და გონივრულ მმართველობას დაამყარებს. როგორიცაა მმართველი, ისეთნივე არიან მისი მსახურნი. როგორიცაა ქალაქის თავი, ისეთნივე არიან მისი მცხოვრებნიც” (ზირ. 10:1-2). წესრიგისაკენ მოწოდება ღმერთისთვის თვითმიზანი არ არის, ღვთიური წესრიგი ყველასათვის სასარგებლოა, მისი მიმდევარი ადამიანი სრულყოფილია, რადგან ჰარმონიულად ეწერება ღვთიურ სამყაროში და მისი ორგანული ნაწილი ხდება, ხოლო უფლის მცნებათა დამრღვევი ეწინააღმდეგება სამყაროს ღვთიურ წესრიგს, მის ღვთიურ გამართულობას და დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ – ანაქრონიზმად იქცევა. ღმერთმა სამყარო წინააღმდეგობებისა და კატაკლიზმებისათვის კი არ შექმნა, არამედ მისი სურვილი საყოველთა სიყვარული და ჰარმონია იყო: „სიყვარული კი ისაა, რომ დაიცვა მისი კანონები, ხოლო კანონთა დაცვა უკვდავების საწინდარია, უკვდავება კი ღმერთთან გვაახლოებს” (სოლ. 6:19-19).

სამყაროს გაჩენიდან ღვთიური წესრიგი მისი აუცილებელი კომპონენტი იყო, სწორედ უსახურ-უდაბური ბნელეთისა

და ქაოსისაგან შექმნა ღმერთმა ყოველივე, რაც გვხიბლავს თავისი წესრიგითა და გამართულობით. სწორეს ეს არის ყველაზე დიდი მანიშნებელი იმისა, საიდან უნდა აიღოს ადამიანმა მაგალითი, ვის უნდა მიბაძოს მან, რადგან ყველაზე თვალსაჩინო სიბრძნე-სამყაროს ღვთიურობა, მისი წესრიგიანობა და ჰარმონიულობაა, ამიტომ გონიერია ის, ვინც ამას კარგად აღიქვამს და სწორ დასკვნებს აკეთებს. დასკვნა კი სავარაუდოდ ასეთი უნდა იყოს: „ბრძენთა სიმრავლე სამყაროს ხსნაა, გონიერი მეფე კი–ხალხის კეთილდღეობა" (სოლ. 6,24).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: რადგან სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია პირდაპირ შეესაბამება უფლის მიერ დადგენილ წესებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამყაროს უზენაესი არსება ადამიანი უფლის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშაა, აქედან გამომდინარე, ადამიანი ღვთიური წესრიგის მთავარი წარმმართველი ძალა უნდა იყოს, რაც უფლის მიერ დადგენილი წესებით ცხოვრებაში გამოიხატება. თუმცა, სწორედ ეს აღმოჩნდა ყველაზე რთული პრობლემა ცოდვით დაცემული ადამიანისათვის. ამიტომაც არის უფლის ძალისხმევა მიმართული ადამიანის გაკეთილშობილებისკენ, რაშიც გარკვეულ როლს ღვთიური რწმენით აღვსილი ადამიანის აღზრდა ასრულებს.

გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში მოზარდის განვითარების, პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული და მას ემპირიზმის თეორიის სახით იცნობენ. სწორედ ის გარემო პირობები ახდენს ბავშვის აღზრდაზე ზემოქმედებას (მემკვიდრეობასთან და აღზრდასთან ერთად), რომელიც ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის სრული განსახიერებაა. ამიტომ იგი ძველი აღთქმისეული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.

§2 ათი მცნება–ძველი აღთქმის აღზრდის იდეალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობის ისტორია და მათ შორის ებრაელი ხალხის ისტორია, მოსეს დროიდან ქრისტეშობამდე აღსავსეა უდიდესი საოცრებებით: ღვთიური გამოცხადებებით, წინასწარმეტყველთა ხილვებითა და უფლის ნების აღმსრულებელ მოციქულთა საქმეებით.

მსოფლიო წესრიგი და ჰარმონია, რომელიც ღმერთმა დაამკვიდრა სამყაროში, ადამიანის კეთილდღეობისათვის შეიქმნა. მაგრამ იგი ჯერ ჯიდევ არ იყო სრულყოფილი, სწორედ ამას ემსახურებოდა რჩეული ერის მონობიდან განთავისუფლება, რადგან თვით ღმერთმა უწყოდა უპირველესად, რომ ღვთიური წესრიგი და ჰარმონია მონობაში არ დამკვიდრდებოდა. თუმცა, არც მარტო თავისუფლება იყო ამისათვის საკმარისი, ამიტომ ღმერთი თავის რჩეულ ხალხს ყველაზე უმთავრესს–რჯულს აძლევს: „და ახლა ისმინე, ისრაელო, წესები და სამართალნი, რომელთაც მე გასწავლით თქვენ შესასრულებლად, რათა იცოცხლოთ და მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი მამების ღმერთი, გაძლევთ თქვენ" (რჯლ. 4,1). ეს იყო სრულიად ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში, სწორედ აქ, სინას მთაზე აუწყა ღმერთმა მოსეს და მისი სახით მთელ კაცობრიობას ცხოვრების მიზანი და ადამიანობის უმაღლესი მისია: „შეხედეთ, გასწავლეთ თქვენ წესები და სამართალნი, როგორც მიბრძანა მე უფალმა, ჩემმა ღმერთმა, აღსასრულებლად იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიდიხართ დასამკვიდრებლად" (რჯლ. 4,5). ფაქტიურად, სინას მთაზე მოხდა იმის საზეიმოდ აღიარება, რომ უფალი ღვთიური მისიის აღსასრულებლად ირჩევდა ებრაელ ხალხს, მაგრამ მას გარკვეულ პირობასაც უყენებდა: „...თუ მოუსმენთ ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან... და თქვენ იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად" (გამ. 19,5-6). ადამის მოდგმის ცოდვით დაცემის მიუხედავად, ღმერთი მაინც ზრუნავს მის შთამომავლებზე და ზნეობრივ კოდექსს უმზადებს, რომელშიც ყველაზე ბრძნული და წმიდა მცნებებია გადმოცემული, ვიდრე აქამდე

ვინმეს უნახავს ან მოუსმენია, რადგან მოსეს მცნებებს წარმართულ სამყაროში ანალოგი არ გააჩნდა. ადგ. ორსაბელ სტიქიურ პრინციპებებს, რომელიც პოლითეისტურ [illegible] იყო დაფუძვნებული, ათი მცნების სახით, სულიერებით აღსავსე ზნეობრივი ნორმები უპირსპირდება, რომელიც მიზნად ისახავდა ცხოვრების წესიდან ზღვარგადასული ეგოიზმის აღმოფხვრას და ადამიანთა შორის ჰარმონიული თანასწორობის დამკვიდრებას, რაც შემდგომში კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი გახდა.

ღმერთის მიერ მოსე წინასწარმეტყველისადმი ქვის ორ ფიცარზე დაწერილი ათი მცნება, ადამიანთა ზნეობრივი ქცევის ძირითად მარეგულირებელ პრინციპებს წარმოადგენს. ისინი თავისი მოწოდებით და დანიშნულებით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: პირველი ოთხი მცნება ღვთიურ წესრიგს და ადამიანის ღმერთთან მიმართებას ეძღვნება და მათ სარიტუალო-საკულტო დანიშნულება აქვთ. ეს მცნებებია: „მე ვარ უფალი ღმერთი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი, უცხონი, ჩემსა გარეშე; არა რაი აკეთო კერპი და არც რაიმე ხატება იმისა, რაც მაღლა ცაშია, რაც დაბლა მიწაზეა და რაც წყალშია, მიწის ქვემოთ; არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ამაოდ, რამეთუ უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ამაოდ იხსენებს; მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა – ჰყავ იგი: ექუს დღე იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშჯიდე, შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა“ (გამ. 20, 2-10).

მოსე წინასწარმეტყველის ზნეობრივ მცნებათა მეორე ჯგუფი, მეხუთედან–მეათეს ჩათვლით ადამიანთა შორის ურთიერთობებს და მათ პიროვნულ ქცევებს არეგულირებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რადთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა; არა კაცჰკლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა; არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყუეს მოყუასისა შენისა“ (გამ. 20, 12-17).

უფლის მცნებათა თავისებური დეფინიცია მოცემულია იგავთა წიგნში, სადაც მშობელი აფრთხილებს შვილებს:

„მცნება არის სანთელი, სჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლა და მხილება“ (იგავ. 6,23). ჩვენი აზრით, მოსეს ზნეობრივი კანონები იგავთა წიგნში წარმოდგენილი თვალთახედვით უნდა გავიაზროთ. უფლის მიერ ნაუწყები ზნეობრივი კოდექსი არ არის რაღაც განყენებული, ადამიანებს დაშორებული აბსტრაქცია, არამედ იგი თითოეული ადამიანის საკუთრებაა, რომელთა შესრულება ყველას მოვალეობაა. რადგან მცნება სანთელია, ხოლო სჯული – სინათლე, ჩვენ ადამიანებს მიწიერ ცხოვრებაში მათი სწავლა და განუხრელი შესრულება გვევალება. ამგვარი პრინციპით წარმოდგენილი დეფინიციით ჩვენს წინაშეა ძველადღქმისეული პედაგოგიკის მიზანი და ამოცანა. ადზრდის იდეალი იმ ზნეობრივ ნორმათა შესრულებაშია, რომელიც ათი მცნების სახით მოსემ სინას მთიდან ჩამოიტანა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ზნეობრივი კანონები საცნაური გახდა ადამიანთათვის, სრულიად ახალი ეტაპი იწყება კაცობრიობის ისტორიაში. უდიდესი გარდასახვა ხდება თვით ღვთის რჩეულ ერშიც, რომელიც ადრეც გამოირჩეოდა რელიგიურობით, მაგრამ ამიერიდან მათ მწყობრად ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსი მიემადლა უფლის მიერ, რაც, რასაკვირველია, მთელი კაცობრიობის საკუთრება ხდება მომავალში.

პირველი კატეგორიის მცნებებში ადამიანი წარმოდგენილია ღვთიური კოსმოგონიის სუბიექტად, რადგან, სწორედ ღმერთი აწესებს ადმიანთა შორის ურთიერთობის ნორმებს, ამით ადამიანი აღიარებულია სამყაროს გამორჩეულ ნიშანსვეტად, რადგან სწორედ მას მიმართავს ღმერთი და აფრთხილებს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“, მეორე მცნებაში დაგმობილია კერპების გაჩენა და მათი აღმართვა, რადგან ასეთ კერპებს ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვთ, ამიტომ მათ მხოლოდ ცდომილებაში შეჰყავთ ადამიანი, რადგან ყველა მოკვდავი მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს უნდა მსახურებდეს, როგორც ეს პირველ მცნებაშია მოცემული. მესამე მცნებაში ღმერთი კატეგორიულად კრძალავს უფლის სახელის ხსენებას ფიცისას: „არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა“. ღმერთი სიმართლეს და ჭეშმარიტების სამსახურს ასწავლის ყველას და რა გასაკვირია, რომ სიცრუის მიმართ იგი ასე კატეგორიულია. აღთქმის დარღვევა

დიდი ცოდვაა, ამიტომაც აფრთხილებს უფალი ადამიანებს: არ დაიფიცოთ ჩემი სახელი ტყუილზე და არ შებღალოთ სახელი თქვენი ღმერთისა (ლევ. 19, 12). წინააღმდეგ შემთხვევაში: „უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ამაოდ ახსენებს“ (გამ. 20, 7). მეოთხე მცნებაც ღვთიური წესრიგისკენ მოუწოდებს ადამიანებს, კერძოდ: „დაიცავი შაბათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი“ (გამ. 20, 8), რაც სამყაროს ექვს დღეში შექმნის ფაქტიდან გამომდინარეობს და მორწმუნეებს ავალდებულებს, კვირაში ერთი დღე ღმერთს მიუძღვნან, საუფლო დღესასწაულად აქციონ იგი, რადგან ამის მაგალითი თვით ღმერთმა მისცა ადამიანებს, მან ხომ ექვს დღეში შექმნა ყოველივე, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა.

მეორე კატეგორიის მცნებები, როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანის პიროვნულ ქცევას ეძღვნება. მათში ფაქტიურად მოცემულია ღვთის ხატად შექმნილი კაცის ქცევის რეგლამენტაცია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მხოლოდ მეხუთე მცნებაშია მოწოდება დედ-მამის პატივისცემის შესახებ, ხოლო დანარჩენში იმპერატიული აკრძალვა ისმის.

განსაკუთრებული დამოკიდებულებაა მოსეს რჯულში დედ-მამის მიმართ, ამ მცნების დარღვევა არა მარტო უმძიმეს ცოდვად ითვლება, არამედ ასეთი ადამიანი უმკაცრესად ისჯება: „ვინც თავის მამას ან დედას გაარტყამს, სიკვდილით უნდა მოკვდეს“ (გამ. 21,15). ასეთივე სასჯელია იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმე თავის მშობლებს დაწყევლის (ლევ. 20.9). იგავთა წიგნის თანახმად ყოველთვის უპატიებელია ძარცვაგლეჯა, მაგრამ ასეთი საქციელი, მშობლების მიმართ ჩადენილი, უფრო სამარცხვინოა: „მამის მძარცველი და დედის გამგდები შემარცხვენელი და უპატიო შვილია“ (იგავ. 19:26). უფლის მცნების დამრღვევი ვერასოდეს მიაღწევს პირად კეთილდღეობას: „მამის და დედის მაწყევარს სანთელი ჩაუქრება უკუნეთ წყვდიადში“ (იგავ. 20:20). სანთლის ჩაქრობა ადამიანის სულიერი განადგურებაა და რა უნდა იყოს მასზე უმძიმესი სასჯელი, ამიტომ მოუწოდებს ბრძენი შვილებს ყურადღებით მოექცნენ მშობლებს: „უსმინე შენს მამას, მან გშობა შენ და აბუჩად ნუ აიგდებ შენს დედას, როდესაც მოხუცდება იგი“ (იგავ. 23:22). როგორც სხვა მოთხოვნებს ამ მცნებებსაც ყავლი არ გასვლია, რადგან, სამწუხაროდ, დღესაც ხშირად ვხდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც აუგად იხსენე-

ბენ მშობლებს, ითვისებენ მათ ქონებას და დაუძლურებულ მოხუცებს ბედის ანაბარა ტოვებენ. ამიტომაც აქვს ღმრთის სიტყვას მარადიული ღირსება, იგი ხომ არასდროს კარგავდა დროსა და სივრცეში შემოსაზღვრული.

ბიბლიოთეკა
www.antioch.ge

რჩეულ ხალხში (ებრაელებში) ბავშვთა აღზრდა ცალსახად ოჯახურ ხასიათს ატარებდა. ოჯახურ ურთიერთობებს განაპირობებდა ღვთიური გამოცხადება და აქედან გამომდინარე, რელიგიური საფუძველი ჰქონდა ბავშვების მშობლებთან დამოკიდებულებას: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გაძლევს უფალი შენი ღმერთი.“ (გამ. 20:12). ეს მცნებები ადრეული ასაკიდან ასაზრდოებდა მოზარდის სულს. მშობლები ისევე ზრუნავდნენ ბავშვის სულიერებაზე, როგორც ღმერთი და უფლის კანონები მოუწოდებდათ ამას; ეს, უპირველეს ყოვლისა, უფლის შიშში და დედ-მამის მორჩილებაში გამოიხატებოდა: „თვალი მამის დამცინავი და დედის მორჩილების მოძულე – ამოკორტნიან მას ხევის ყორნები და შეჭამენ მას არწივის მართვენი (იგავ. 30:17). მშობლების წინაშე ამხედრება სასტიკ სასჯელს ექვემდებარებოდა: „თავისი მამისა და დედის ავად მაგინებელი სიკვდილით უნდა მოკვდეს“ (გამ. 21:17). ასეთივე სასჯელი ელოდა მასაც, „ვინც თავის მამას ან დედას გაარტყამს...“ (გამ. 21:15).

შიში და მოწიწება ვრცელდებოდა არა მარტო მშობლების მიმართ, არამედ ამგვარი იერარქია იყო დამკვიდრებული უფროსებსა და ბავშვებს შორის, რადგან უფალი მოუწოდებდა: „ჭაღარის წინაშე წამოდექი და პატივი ეცი მოხუცებულის სახეს“ (ლევ. 19;32). ღმერთის არსებობის რწმენა და მისგან გამომდინარე ღვთიური წესრიგი ფაქტიურად განაპირობებდა აღზრდის მიმართულებას.

ღმერთი ასევე დიდ ყურადღებას იჩენს მათ მიმართ, ვინც იცავს უფლის განგებულებას და თავისი გონიერებით მისაბაძ მაგალითს აძლევს საზოგადოებას: „ბრძენი შვილი მამას ახარებს, ბრიყვი შვილი კი დედამისის დარდია” (იგავ. 10,1). იგავთა წიგნის ამ სენტენციამ ფართო გავრცელება ჰპოვა ხალხში, რადგან მისი ჭეშმარიტი არსი ახლობელი და თვალსაჩინოა ყველასთვის. ღმერთი მზრუნველობას იჩენს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ყურადღებას არ აკლებს საკუთარ მშობლებს. ასეთი ადამიანები უფლის მადლით იქნებიან გარე-

მოცულნი: „მამის პატივისმცემელი ცოდვათაგან განიწმინდება" (ზირ. 3,3).

დედ-მამის პატივისცემა ჩვეულებრივი ნორმა იყო ღვთის რჩეული ერის ცხოვრებაში, მაგრამ ათი მცნების სახით მას კანონის ძალა მიენიჭა, რაც არა მარტო ბიოლოგიური მშობლების, არამედ ასაკით უფროსების პატივისცემასაც ითვალისწინებს. ამიტომ, საღვთო წიგნებში ხშირად არის წარმოჩენილი ღმერთის განსაკუთრებული დამოკიდებულება მოხუცების მიმართ და მათი გამორჩეული ადგილი საზოგადოებაში: „ჭაბუკთა დიდება მათი ძალაა, ხოლო მოხუცთა ბრწყინვალება–ჭაღარა' (იგავ. 20:29). რომელთა გათვალისწინება სწორედ ახალგაზრდობის უპირველესი მოვალეობაა.

იგავთა სიბრძნემ ყურადღების გარეშე არ დატოვა აღსაზრდელის გარემო პირობები და თანატოლთა წრე, რომელთა მხარდამხარ მიმდინარეობს აღზრდა: „ნუ დაემოყვრები ბრაზიანს და ფიცხ კაცთან ნუ მიხვალ, არ გაიწვრთნა მის გზებში და არ დაუგო მახე შენს სულს" (იგავ. 22:24-25). მეგობართა წრეს დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მთავარია, ახალგაზრდა ღვთისმოსავ და ბრძენ ადამიანებთან ერთად იზრდებოდეს და არა ბრიყვებთან: „უმეცრებთან დროს ნუ დაკარგავ, არამედ გონიერთა შორის იტრიალე." (ზირ. 27:12)–გაფრთხილებას იძლევა ბრძენი ზირაქი. უმეგობრო ადამიანი სრულყოფილი ვერ იქნება. ყველას ესაჭიროება თანამდგომი სიკეთესა და ბოროტების უამს, ამიტომ სამეგობროდ ბავშვობიდან უნდა განეწყოს მოზარდი: „მხოლოდ სულელი ამბობს–არა მყავს მეგობარი და არც მადლიერია ვინმე ჩემი სიკეთისათვისო....." (ზირ. 20:16). ასეთი დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია ძველი აღთქმის პედაგოგიკისათვის, რადგან მოყვასის სიყვარული მოსეს რჯულის ქვაკუთხედია. იგივე ზირაქის სიბრძნე გვასწავლის: „უფლის მოშიში მეგობრობას ისე წარმართავს, რომ როგორიც თვითონაა, ისეთივე იყოს მისი მოყვასიც" (ზირ. 6:16), ამიტომ დიდი დაკვირვებაა საჭირო, როცა თანატოლთა წრეს ვარჩევთ, რადგან ადვილად შესაძლებელია, ცუდ წრეში აღზრდამ სავალალო შედეგები გამოიღოს. გათავხედებულ ბავშვებში კეთილი თვისებების მოზარდიც მათ ყაიდაზე გადავა: „ვინც ფისს მიეკარება, გაისვრება, და ვინც ქედმაღალს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება" (ზირ. 13:1). ასეთივე აზრს ავი-

თარებს სოლომონ ბრძენიც: „ბრძენებთან დამავალი დაბრ-ძენდება, რეგვენთა მოყვასი კი გაუბედურდება" (იგავ. 13:20). უმეცარ და ბრიყვ ადამიანებთან ურთიერთობა ადამ-ევასა და მამა-პაპათა შემარცხვენელ საქციელადაა მიჩნეული: „ნუ ეხუმრები უმეცარს, რათა შენი წინაპრები არ შეურაცხყო" (ზირ. 8:4), აქედან მკაფიოდ ჩანს, რომ შვილების მიმართ უყ-ურადღებობა და მათი ცუდად აღზრდა ზნეობრივი ნორმების დარღვევადაა მიჩნეული. ძველი აღთქმა გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანის სულიერ ფორმირებას, ვიდრე უშუალოდ სწავლებას. კეთილგონიერება უფლის მცნებათა დაცვაში გამოიხატება. მოსეს რჯული ჯანსაღი ზნეობის საფუძველთა-საფუძველია, რომელშიც, ე.წ. მეორე კატეგორიის მცნებებში, განუზომლად, ამაღლებულადაა წარმოდგენილი მოყვასთან ურთიერთობა, ანალოგიური მიდგომებია დაფიქსირებული ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც.

კაცის მოკვდინება, რაც მეექვსე მცნებაშია დადგენილი, პირდაპირ უფლის ქმნილების დაცვას გულისხმობს, რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად - ღვთის ხატად შექმნა იგი. და შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად (დაბ. 1, 27). ამიტომ ადამიანის მოკვდინება ღმერთის საწინააღმდეგო ქმედებაა და იგი დაუშვებელია. ამასთან ერთად, გასათვალის-წინებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანი ღვთის წარმომადგ-ენელია, რომელმაც უნდა უპატრონოს ყოველივეს და იმეფოს დედამიწაზე. ამავე დროს, მას დიდი პასუხისმგებლობაც აკის-რია, რადგან იგი წარმოადგენს ღმერთს სხვა ქმნილებათათვის, ამიტომაც მან არ უნდა დაჩაგროს ისინი და არ მიაყენოს ტანჯვა, მით უმეტეს, არ ხელყოს მეორე ადამიანის სიცო-ცხლე, რადგან ადამიანი ღვთის ხატადაა შექმნილი (დაბ. 9:6). ამიტომ იგი ფასდაუდებელია. ადამიანის მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ჭკვიანი, ძლიერი, ლამაზი ან ჯანსაღია იგი. მთავარია, რომ იგი არის ადამიანი, ღვთის ხატად შექმნილი, ამიტომ უნდა დავიცვათ ავადმყოფები და უმწეონი: „ღარიბის მჩაგვრელი თავის შემოქმედს შეურაცხყ-ოფს, მათხოვრის მწყალობელი კი უფლის მადიდებელია (იგავ. 14:31).

რადგან ღმერთმა ყველა რასა ერთი ქალისა და კაცისა-გან წარმოშვა (შეს. 17: 26), არ არსებობს დაბალი მოდგმის ხალხი, ყველა ადამიანი, რომელი რასის წარმომადგენელიც არ

უნდა იყოს, ღვთის ხატადაა შექმნილი,. ყოველგვარი შეღლი და ანტაგონიზმი ცოდვაა და შემოქმედი ღმერთის [illegible] ფაა. ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, ღვთის [illegible] შექმნილი და ისეთსავე ფასეულობებს წარმოადგენენ ღმერთისთვის, როგორც მამაკაცები.

დიდი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია მეშვიდე მცნება, რომელიც მრუშობის წინააღმდეგაა მიმართული. ამ ზნეობრივი ნორმის დაცვა ოჯახური სიმტკიცის ქვაკუთხედს წარმოადგენს, სწორედ ოჯახში იღებს სათავეს ზნეობრივი მიმართება ამა თუ იმ მოვლენისადმი. სიძვა და მრუშობა ანგრევს და აცამტვერებს არა მარტო ოჯახურ ზნეობას, არამედ თავად პიროვნების მორალურ სახეს. მოღალატე ცოლ-ქმარი ბოროტებას ამრავლებს საზოგადოებაში. ყოველ ეპოქაში სამარცხვინოდ ითვლებოდა სქესობრივი აღვირახსნილობა. თვით ღმერთმა მოსეს კანონებამდე ადრე გაილაშქრა სოდომური ცოდვის წინააღმდეგ (ლევ. 18:22) და სხვა გადახრების მიმართ. ღმერთი არა მარტო კიცხავს გარყვნილებს და მრუშებს, არამედ „ვინც იმრუშებს ქმრიან ქალთან, ვინც იმრუშებს თავისი მოყვასის ცოლთან, სიკვდილით უნდა მოკვდნენ მრუში მამაკაციც და მრუში დედაკაციც“ (ლევ. 20:9). ასეთივე მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული სიძვა-მრუშობის სხვა გამოვლინების მიმართაც.

მეორე კატეგორიის ზნეობრივ მცნებებში ღმერთი ასევე კრძალავს ქურდობას. სამყაროს დასაბამიდან ქურდობა მიუღებელ ქმედებად ითვლებოდა, თუმცა მისი განზოგადება, როგორც ზნეობისთვის შეუფერებელი მოვლენისა, ყველაზე კარგად ძველი აღთქმის წიგნებმა შემოგვინახა, რამაც შემდგომ სრულყოფილი სახე ქრისტიანობაში ჰპოვა. გამოსვლათა წიგნში დაწვრილებითაა განხილული ქურდობისა და მისგან გამოწვეული საზღაურის შესახებ (გამ. 22:1-15). აქვეა დაწესებული სასჯელებისა და გამოსასყიდების ოდენობა და სახეები. მათ შორის გვხვდება ძალზე მკაცრი სასჯელებიც, რაც ამ დანაშაულის სიმძიმეზე მიუთითებს.

მეცხრე მცნება ცილისწამების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს მანკიერი თვისება, რომელიც სამყაროს გაჩენიდან არსებობს, უამრავ ბოროტებას აძლევს დასაბამს. მრავალი უდანაშაღო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ცრუ მოწმეთა ჩვენებებს ან მორალურად და მატერიალურად დაზარალდა,

ამიტომ მისი აღმოფხვრა, ბრძოლა მის წინააღმდეგ, ყველა დროში აქტუალური იყო. სხვათა შორის, მოსეს კანონებში წამოყენებული დებულებები, მარტო ძველ ეპოქას როდი ემსახურებოდა, მათი დაცვა დღესაც ისევე აუცილებელია, როგორც მაშინ, როცა ღმერთი სინას მთაზე ეცხადებოდა წინასწარმეტყველს. ცილისწამება ყველა ეპოქის მარადიული ბოროტება იყო, ამიტომ ასე ცალსახად ილაშქრებს ღმერთი მის წინააღმდეგ: „ნუ დაყრი ცრუ ხმებს: ხელს მისცემ უკეთურს, რათა ბოროტების მოწმე არ გახდე“ (გამ. 23:1), „არ მოიპაროთ, არ იცრუოთ და არ მოატყუოთ ერთიმეორე“ (ლევ. 19:11).

მეათე მცნებაში დაგმობილია შური და ყველა ნივთიერი მიდრეკილება, როცა მათი ხელში ჩაგდება დაუმსახურებლად სწადიათ. ღმერთი საგანგებოდ ჩამოთვლის იმ მანკიერებებს, რომელიც შურიან ადამიანს ჩაუსახლდება სულში და სხვისი ქონების დაპატრონებისათვის განაწყობს. სწორედ შურიანობა გახდა კაენის მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვის საფუძველი, ამგვარი ფაქტები მრავლადაა როგორც საღვთო ისტორიაში, ისე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მიუხედავად იმისა, ადამიანმა მოახერხა თუ არა სხვისი ქონების ხელში ჩაგდება, ისიც ცოდვად ითვლება თუ მან განიზრახა, ჩაიფიქრა ასეთი ქმედება. უკეთური გულისთქმაც დანაშაულის ტოლფასია და ამიტომაც ისჯება იგი ღმერთის განგებულებით. როგორც სხვა მცნებები, მეათე მცნებაც გააღრმავა ქრისტიანობამ და მასაც ყოვლისმომცველი მნიშვნელობა მიანიჭა.

იმის მიუხედავად, რომ ძველი აღთქმის ზნეობრივი კატეგორიები წარმოდგენილია ათი მცნების სახით, აღნიშნული მორალური სენტენციები გაბნეულია ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც, მაგრამ თავმოყრა და სისტემად ჩამოყალიბება საგანგებოდ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას. სწორედ სინას მთაზე ნაუწყები კანონები ამკვიდრებენ ადამიანთა თანასწორობას, უსამართლობამ ადგილი უნდა დაუთმოს უმაღლეს ღვთიურ სამართლიანობას, რაც საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების განვითარებას სრულიად ახლებურ მიმართულებას ანიჭებს. შემდგომში სწორედ მას დაეფუძვნება კანონშემოქმედების მთელი სისტემა. სწორედ სინას კანონებში გამოიხატა ხალხისა და ღმერთის კავშირი თავისუფალ პირობებში, რადგან რჩეული ერი მხოლოდ მოსეს მცნებების

შესრულებით შეძლებდა ღვთიური აღთქმის კეთილი საწყისის ცხოვრებაში განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსეს მცნებები უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებით გამოირჩევა. მათი მიზანი არ იყო რჩეული ხალხის ნივთიერი პირობების გაუმჯობესება, იგი გაცილებით მაღალ მიზნებს ემსახურებოდა: „იყავით ჩემთვის წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, და მე გამოგაცალკევეთ ხალხთაგან რათა ჩემი იყოთ“ (ლევ. 20:26). სხვათა შორის, შემდგომში ქრისტიანობამ ყოველგვარი გამოცალკევება უარყო და ყველა ხალხს ერთნაირი ყურადღება და სიყვარული უწილადა. ადამიანთა თანასწორობას, მათ შორის სხვადასხვა ერთა თანასწორობას ქრისტიანობამ ფუძემდებლური მნიშვნელობა მიანიჭა.

როგორც ცნობილია, ყოველი საზოგადოება გარკვეული ზნეობრივი ორიენტირებით ცხოვრობს, რაც გავლენას ახდენს მომავალი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაზე. სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესი, მორალური კატეგორიები ასრულებენ წარმმართველ როლს ახალგაზრდობის აღზრდაში. ხოლო თუ საზოგადოება იმდენად არის დაწინაურებული, რომ მას ქცევის მარეგლამენტიერებელი ნორმები აქვს, ეს უკვე დიდი წარმატებაა. მაგრამ სრულიად სხვა სიმაღლესთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა საუბარი ღვთის სიტყვაზე, ანუ მარადიულ, ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე სამყაროს შემოქმედზეა. ამდენად, ჩვენს წინაშეა არათუ სრულყოფილი, არამედ აღმატებული შინაარსის, ღვთიური სიბრძნით დატვირთული, უმაღლესი სულიერებით აღსავსე მოქმედებისა და არსობის საწყისი, უდიადესი მიზანი.

ძველი აღთქმის პედაგოგიკა არის ღმერთის მიერ მოსესთვის გამოცხადებულ მცნებებზე დამყარებული კანონის პედაგოგიკა, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „რწმენის მოსვლამდე კი მომწყვდეულები ვიყავით რჯულის მეთვალყურეობის ქვეშ, ვიდრე რწმენა გამოჩნდებოდა“ (გალ.3.23). კანონი საზოგადოებისაგან განყენებული არასოდეს ყოფილა, რადგან იგი საზოგადოების წიაღში იშვა, როგორც თვით ამავე საზოგადოების წევრთა ქცევის მარეგლამენტირებელი მთავარი ატრიბუტი. თუმცა, ასეთი მიდგომა ვრცელდება მხოლოდ ადამინთა მიერ შექმნილ კანონებზე, მაგალითად, ისეთებზე, როგორებიცაა: ჰამურაბის, მანუს ან ვახტანგ მეექვსის კა-

ნონები, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა მოსეს კანონებთან მიმართებაში, რომლის გაცხადება შემოქმედის მიერ მოხდა.

ღვთიურ კანონები, მოცემულ შემთხვევაში მოსეს ეთიკა მცნება და საერო კანონები, მათი წარმომავლობის მიუხედავად, შეიცავენ ადამიანთა ქცევის ნორმებს. ამით ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ ყოფაზე და მათ შორის ეთიკური ნორმების შესრულებაზე. თავისთავად ადამიანის ქცევა, შეიძლება იყოს კანონის შესაბამისი ან მისი საწინააღმდეგო. სწორედ საპირისპირო შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სანქცია, რომელიც კანონის პირდაპირი მოთხოვნაა. მაგრამ კანონის ამოქმედება ყოველთვის როდია საჭირო. ადამიანები უპირატესად იცავენ იურიდიული კანონის მოთხოვნებს, რადგან სამართლის ნორმების დარღვევამდე ადამიანი არღვევს ზნეობრივ ნორმას, რომელიც გარკვეულ საფეხურს წარმოადგენს სამართლის ნორმამდე. ამდენად, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები მჭიდრო კავშირში არიან და ზემოქმედებასაც ახდენენ ერთმანეთზე: „სამართლის ნორმის ნებისმიერ დარღვევას მოჰყვება ზნეობრივი ნორმის ხელყოფაც, მაგრამ ზნეობრივი ნორმების დარღვევას ყოველთვის არ მოჰყვება სამართლის ნორმის დარღვევა" (8.282). სწორედ ზნეობასა და სამართალებრივ ნორმებს შორის მოიაზრებოდა მთელი აღმზრდელობითი სისტემა უძველესი დროიდან, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა შესაბამისი სასწავლო–აღმზრდელობითი კერები.

კანონის არსებობა თავისთავად ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია. ამის შესახებ მკვლევარი გ. ლობჟანიძე წერს: „როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი ნორმები პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა გამაწონასწორებელ და საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელ ფაქტორებად გვევლინებიან, თუ სამართლის ნორმები ქმნიან ნორმატიულ სტრუქტურას, ზნეობა ადამიანთა თანაცხოვრების პრინციპებს უზრუნველყოფს" (8.281). მაგრამ თანაცხოვრების პრინციპები ადამიანს ეძლევა ღმერთის მიერ (მოსეს კანონები), ან კიდევ თვით ქმნის მას (ჰამურაბის კანონები). ორივე შემთხვევაში კანონი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე. პირველ შემთხვევაში აღმატებულად ზნეობრივს, მეორე შემთხვევაში –

ყოფა-ცხოვრებითს (სამართლებრივს). თუმცა გარკვეული ზნეობრივი ზემოქმედება ამ უკანასკნელსაც გააჩნია.

ყველა საზოგადოებაში მეტნაკლებად უწევენ ანგარიშს კანონის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოება ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რა მოჰყვება ამა თუ იმ ნორმის შეუსრულებლობას ან მის გადაჭარბებას, ამდენად, კანონი არსულებს შემაკავებელ ფუნქციასაც. ადამიანმა იცის, რა შეიძლება და რა არის დაუშვებელი. ამდენად, კანონი ადამიანის ქცევის გარკვეულ რეგლამენტაციას აწესებს, ხოლო ამით ამკვიდრებს საზოგადოებისთვის მისაღებ ზნეობრივ ნორმებს ან კრძალავს მიუღებელ ქცევებს. ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ძველი აღთქმის ათ მცნებაზე, აქ თვალნათლივ ჩანს მოსეს კანონების ზნეობრივი მნიშვნელობა, ამასთანავე ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას ზოგადად კანონის აღმზრდელობით ფაქტორებზე.

საზოგადოებაში კანონის მოთხოვნათა გავრცელების პროცესი, იმავე ამოცანებს ემსახურება, რასაც აღმზდელობითი საქმიანობა. ამიტომ ისეთი აღმატებული რჯული, როგორიც ქვის ორ ფიცარზე დაწერილი ათი მცნებაა, არ შეიძლებოდა მოსეს დროშივე არ გამხდარიყო საგანგებო შესწავლის ობიექტი. რადგან კანონი რჩეულ ერში ღმერთის არსებობის ნიშანი იყო, იგი ამიტომაც მოითხოვდა მთელი კანონის მოთხოვნათა უმკაცრეს შესრულებას (საქმ.23.3; რომ.2:25). საზოგადოება იმ შეგნებით ყალიბდებოდა, რომ მცნებათა დარღვევით ეწინააღმდეგებოდა თვით ღმერთის იდეალებს და უარს ამბობდა მასზე. კანონი მუდმივია და აუცილებელი ყველა თაობისათვის. ამიტომ მოსე და წინასწარმეტყველები კანონებს იღებენ ღმერთისგან, იწერენ და შემდგომ უკითხავენ, განმარტავენ და ასწავლიან ხალხს, რომ იგი უფრო გასაგები იყოს შესასრულებლად (1 ეზრ. 8,19). რჯულის ანუ სინას მთაზე გაცხადებულ კანონების აღმზრდელობით მნიშვნელობას საგანგებოდ აღნიშნავს პავლე მოციქული: „ვინაიცა რჯული იგი მზარდულ გვექმნა ჩვენ ქრისტეს მიმართ, რაითა სარწმუნოებითა განვმართლდეთ" (გალ. 3:24) ამდენად, ათი მცნება სათავეს უდებს რჯულის ანუ კანონის პედაგოგიკას, რომელმაც შეაჯამა ღმერთის მიერ სამყაროში დამკვიდრებული ღვთიური ჰარმონია და აღზრდის მიზნად სწორედ მოსეს კანონები დაამკვიდრა.

ათასეული წლების წინ საჭირბოროტოდ მიჩნეული ისეთი პრობლემები, როგორც ღვთის სიტყვამ ათი მცნების სახით შემოგვინახა, დღესაც ზღვარდაუდებელია, თუმცა [illegible] ადამიანის ცოდვების გამოსასყიდად მოვლენილმა მაცხოვარმა კიდევ უფრო სრულყო და განავითარა ადამიანის მისია და აქედან გამომდინარე, აღზრდის იდეალი.

ათი მცნების მთელი საზრისი აღმზრდელობით დანიშნულებას ატარებს. იმ დროს, როცა მოსემ სინას მთაზე ახალი კანონები მიიღო და ღმერთმა აღთქმა დადო რჩეულ ხალხთან, კაცობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გზების ძიებაში იყო, რომელსაც შემდგომში უნდა უზრუნველეყო მათი სწორი განვითარება და ყოფა-ცხოვრება. მოსეს კანონებში უფალი მიუთითებს, რომ ასეთი გზა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ადამიანის კავშირს შემოქმედთან მამაშვილური ხასიათი ექნება. ათი მცნება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის მიერ მოცემული ადამიანის სინდისის ნორმათა განსაზღვრება და მათი ობიექტური გადმოცემა.

ზოგადად ძველი აღთქმისეული აღზრდა პირდაპირ შეესაბამებოდა საღვთო გამოცხადებას. ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ისინი იყვნენ „ღვთის ხატად“ შექმნილნი, მაგრამ ამავე დროს ცოდვის მემკვიდრენი. მშობლები თავიანთი შვილების აღზრდისას ღვთიური კანონებით ხელმძღვანელობდნენ და ყოველი ადამიანის აღზრდა ღმერთის სამსახურისთვის მიმდინარეობდა, აღზრდის ძირითადი პრინციპი ასეთი იყო: „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფსალმ. 110:10). აღზრდა საღვთო გამოცხადების შესწავლით და გაცნობიერებით უნდა წარმართულიყო: „რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, განიწმინდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე...“ (ლევ. 11:44). მეორეს მხრივ, აღზრდის პროცესში აუცილებელი იყო გაეთავისუფლებინათ ბავშვები მავნე მიდრეკილებებისაგან და ცოდვებისაგან, რომლებიც ადრეულ წლებში იღებს სათავეს.

ისტორიული თვალსაზრისით, რჯულის ანუ მოსეს კანონების მოთხოვნათა დაცვა-შესრულების პერიპეტიები აღწერილია ეზრას წიგნში. თვით ეზრა მღვდელი იყო. იგი აარონის შთამომავალი და საღვთო რჯულის მასწავლებელია. წიგნი დაწერილია დაახლოებით 400 წელს ჩვ. წ.-მდე, როგორც ნეშტთა წიგნების დამატება. მის მთავარ პათოსს წარ-

მოადგენს იმის დამტკიცება, რომ იუდეველნი, მიუხედავად თავიანთი სამეფოს დაქცევისა და დევნილობისა, კვლავინდებურად ღვთისაგან რჩეულ ერად რჩებოდნენ. ეზრას წიგნში სწორედ ამ რწმენით შთაგონებული ადამიანების ცხოვრებაა აღწერილი, რომლებიც ტყვეობიდან დაბრუნებულნი აღადგენენ ტაძარს და განაახლებენ ეროვნულ რელიგიურ წესებს. ეზრაული იუდაიზმის უპირველესი ამოცანა კანონის უზენაესობის დაცვაა. სადვთო რჯულის ყველა მოთხოვნა ზუსტად უნდა შესრულდეს, ეს ღვთის რჩეული ერის პირდაპირი მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, ეზრაულმა იუდაიზმმა ვიწრო ეთნიკური ხასიათი შეიძინა და რჯულის მიმდევრობა იუდეველად აღზრდის საფუძვლად გამოცხადდა. ამიტომ ეზრა და რჯულის სხვა მასწავლებლები იწერენ და კითხულობენ მოსეს კანონებს, ასწავლიან მას, რომ იგი გახდეს უფრო გასაგები და ყველასთვის ადვილად შესასრულებელი (1 ეზრ. 8:19; 9:48).

პედაგოგიური თვალსაწიერიდან, მოსეს კანონების აღზრდის საფუძვლად დამკვიდრებამ, დღის წესრიგში დააყენა ისეთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიცაა თავისუფლებისა და განვითარების მიმართება კანონთან. ამიერიდან სწორედ ამ ჩარჩოებში განიხილებოდა ადამიანის აღზრდაზე და მის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე ღმერთისა და აღმზრდელის გავლენა.

§3. სიბრძნე და სწავლა-განათლება ძველ აღთქმაში

ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი ებრაელი ხალხის ისტორია ზოგად წარმოდგენას გვიქმნის აღზრდა-განათლების შესახებაც. როგორც „რჩეული ერის“ ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ძველ ებრაელთა აღზრდა-განათლების სისტემას, მეზობელი შუამდინარეთისა და ეგვიპტის ხალხების საგანმანათლებლო სისტემისაგან უფრო მეტი განმასხვავებელი აქვს, ვიდრე საერთო. ეს განსხვავება, პირველ რიგში, სარწმუნოებრივია. ბიბლიის თანახმად, ყოველგვარი სიბრძნე უფლისმიერია და ადამინებს იგი ღმერთისგან ეძლევათ, ამიტომ ცოდნის დაუფლება, ანუ სწავლის მიზანი ღმერთის საქმეთა წვდომაა, ღმერთის განგებულებითვე: „ ... უფლის შიშია სიბრძნე და

ბოროტისაგან განრიდებაა გონება“ (იობ. 28:28). ამგვარად, რადგან გონიერება ბოროტებისაგან გამიჯვნას [illegible] სიკეთე ყოფილა, რომელიც უფლის მცნებათა შეცნობა-შესრულებით მიიღწევა. თუმცა, სწავლისადმი დამოკიდებულებას ებრაელ ხალხში ცალსახად ღვთიური შინაარსი აქვს, ამიტომ წინასწარმეტყველები ყოველთვის წესისა და განგების განუხრელად შესრულებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, რადგან ღვთის სიტყვის მოსმენა არ იყო ჩვეულებრივი ამბავი, უფალთან კავშირი დიდ კრძალვას მოითხოვდა: „მისმინეთ და გაიგონეთ: ნუ ამაღლდებით, რადგან უფალი ლაპარაკობს“ (იერემ. 13:15).

როგორც ითქვა, ბიბლიის თანახმად, ცხოვრების უმაღლესი საზრისი ღვთის საქმეთა წვდომა, მასთან სულიერი კავშირია, რომელიც უფლის მცნებების შესწავლითა და დაცვით მიიღწევა, მაგრამ არსებობს ყოფითი საკითხები, რომელთა გადაწყვეტას ელემენტარული ცოდნა ესაჭიროება, თუმცა ისიც უფლის ნებით ხდება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება იყო ძველი აღთქმის თანახმად, ზოგადად სიბრძნისა და კერძოდ კი აღზრდა-განათლების მიმართ.

სხვა ხალხების მსგავსად, ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი ცოდნის დაუფლება, როგორიცაა წერა-კითხვა, ელემენტარული მათემატიკა, რომელსაც უკავშირდებოდა აღებ-მიცემობა, ვაჭრობა და მიწის მზომელობა; ვარსკვლავების მოძრაობა და კალენდარი, თუმცა წამყვანი ადგილი განათლებაში მაინც რელიგიური შინაარსის წიგნების შესწავლას ეჭირა.

რადგან აღზრდა-განათლებაში უმთავრესი საღვთო გამოცხადება იყო, აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა თაობათა შორის ურთიერთობას ენიჭებოდა, რაშიც განსაკუთრებულ როლს საოჯახო აღზრდა ასრულებდა. ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემის ისტორია საყოველთაოდ აღიარებულია, ამ მხრივ გამონაკლისი არც ბიბლიური ხალხები ყოფილან. ბავშვები პირველ გაკვეთილებს სწორედ ოჯახში ისმენდნენ. მამის მოწოდება ჩვეულებრივი ამბავი იყო: „მე მამას მისმინეთ, შვილებო და ისე მოიქეცით ... “ (ზირ. 3:1). მშობლები კატეგორიულებიც არიან შვილების მიმართ: „მისმინე, შვილო, მიიღე ჩემი შეგონება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩემს რჩევას ნუ უგულებელყოფ“ – აფრთხილებდა ბრძენი შვილებს (ზირ. 6:22).

ადზრდა-განათლებაში მთავარი უფლის გამოცხადება და ღვთიური სიბრძნე იყო, მაგრამ ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ხალხის წიგნიერებას ეკავა. „შეხედულება იმის შესახებ, თუ ძველი აღთქმის ხანაში, რამდენად ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა, გაყოფილია. ზოგიერთი თვლის, რომ განათლებას მხოლოდ წარჩინებულთა წარმომადგენლები ფლობდნენ. მაგრამ, მეორე მხრივ, როცა იესო ნავეს ძემ ქანაანის ქვეყანაში მზვერავები გაგზავნა, მათგან წერილობითი პასუხის მიღებას ელოდა; ხოლო მეფე ხიზკიას დროს ერთერთმა მუშამ გვირაბის კედელზე წარწერა დატოვა. საკმარისად შეიძლება სხვა ებრაული წარწერების მონახვა, რომლებიც ადასტურებენ, რომ განათლება ხალხში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული“ (4.246). ფაქტიურად, წერა-კითხვა მისაწვდომი ყოფილა მოსახლეობისათვის, რადგან ერთმა რიგითმა ჭაბუკმა შეძლო დაკითხვისას აზრის წერილობით გადმოცემა, როგორც ამის შესახებ მსაჯულთა წიგნი მოგვითხრობს: „და შეიპყრო ერთი სუქოთელი ჭაბუკი და დაჰკითხა იგი. და ჩამოუწერა მან სუქოთის მთავრები და მისი უხუცესები–სამოცდაჩვიდმეტი კაცი” (მსაჯ. 8:14)). ამ მოცულობის სიის შედგენა არა თუ უბრალოდ ანბანის ცოდნაზე, არამედ გაცილებით მეტ წიგნიერებაზე მიუთითებს. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ უფალი ხშირად მოუწოდებს ხალხის წინამძღოლთ, მთელი ისრაელის მოსახლეობას ასწავლონ რჯული: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელიც შენს კარიბჭეში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა; შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა” (რჯლ. 31:12). ღვთის სიტყვის დაუფლების საყოველთაო ხასითზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ უფლის სიტყვის შესწავლა მიუხედავად სქესის, ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ყველასათვის აუცილებელია. იგი განკუთვნილია არა საზოგადოების დაწინაურებული ფენებისათვის, არამედ ყველასათვის. ამას ადასტურებს, სწორედ ხიზნების მიმართ გამოხენილი ყურადღება. ასეთი დამოკიდებულება დაბალი ფენის წარმომადგენელთა მიმართ ძველი აღთქმის ფუძემდებლურ პრინციპებზეა დაფუძვნებული, რომ-

ლის თანახმად, ღმერთმა ადამიანები არ განასხვავა ერთ-მანეთისაგან და ყველას მიმართ ერთნაირ მზრუნველობას იჩენს. ნიშანდობლივია ავრეთვე წიგნიერების გავრცელების საკითხიც. ღმერთი აქაც წერა-კითხვის საყოველთაოდ გავრ-ცელებას მოითხოვს: „ასწავლეთ ისინი თქვენს ძეთ და ელა-პარაკეთ მათ შინ ყოფნისას, გზაზე სვლისას, დაწოლისას და ადგომისას. და წააწერეთ ისინი თქვენი სახლების წირთხლებს და კარიბჭეებს“ (რჯლ. 11: 19-20).

მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახის სკოლები ებრაელებს მხოლოდ აღთქმულ ქვეყანაში დაბრუნე-ბის შემდეგ შეიძლებოდა ჰქონოდათ. რადგან მათი აღზრდა-განათლება რელიგიური ხასიათისა იყო, მთავარი სასწავლო კერებიც ტაძრებთან არსებობდა. ჩვეულებრივ, სასულიერო პირები, როგორც წესი, ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. ახალგაზრდებს წინასწარმეტყველებიც ასწავ-ლიდნენ: „შეკარი მოწმობა, დაბეჭდე რჯული ჩემს მოწაფეთა შორის“ (ეს. 8:16). წინასწარმეტყველთა წიგნი აშკარად მი-უთითებს მოწაფეთა სიმრავლეზე, რაც თვით სწავლის ფაქტის დადასტურებაა, თუმცა ჩვენ იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ მოწაფეებში მხოლოდ ბავშვები ვიგულისხმოთ, რასაკვირველია არა, იმუამინდელი სწავლება მხოლოდ უფლის სიტყვის ქად-აგებასა და მის განმარტება-შესწავლას გულისხმობდა, რაც ქრისტიანული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძ-ველია. საფიქრებელია, რომ მარტო წინასწარმეტყველები არ ასწავლიდნენ ხალხს, იერემიას წიგნი სხვა მწერლებსა და მწიგნობრებსაც ასახელებს: „და უბრძანა მეფემ იერახმეელს, მეფის ძეს, და შელემია ყაბდიელის ძეს–დაეჭირათ მწერალი ბარუქი და წინასწარმეტყველი იერემია, მაგრამ უფალმა დამალა ისინი“ (იერ. 36:26). მწერლობა, მწიგნობრობა და სწავლა უფლის ნების აღსრულებაა, ამიტომ ამ საქმის მიმ-დევარი ადამიანები ღვთიური მადლით არიან გარემოცულნი. უფლის სიტყვის ქადაგება და სწავლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო, ასეთი ყოფილა ეზრა: „და ის იყო მწიგნობარი, მოსეს რჯულში ჩახედული, რომელიც მისცა უფალმა ის-რაელის ღმერთმა.....,რადგან უფლის ხელი იყო მასზე, რადგან ეზრამ გულს იდვა უფლის რჯულის ძიება, მისი შესრულება და წესისა და სამართლის სწავლება ისრაელში“ (ეზრ. 7:6-10). განსაკუთრებული ცოდნა და განათლება მოეთხოვებოდათ იმ

ადამიანებს, რომლებიც უფლის სიტყვას ასწავლიდნენ: „...მღვდლის ბაგეები უნდა იმარხავდნენ ცოდნას და-მისი პირიდან მოელოდნენ რჯულს, რადგან ცაბაოთ უფლის მოციქულია იგი” (მალ. 2:7). მწიგნობრებს სერიოზული საქმის გადაწყვეტას ანდობენ. ისრაელის ყოველ ტომს გამორჩეული მწიგნობრები ჰყავდა, რომლებიც სამეფო ხელისუფლებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ (1 ნეშ. 24:6). თუმცა მოსეს რჯულიდან გადახვევის ფაქტებიც ბევრი ყოფილა. ისეთი მარადიული ცოდვა, როგორიც მექრთამეობაა, ყოველთვის წამოყოფდა ხოლმე თავს. გასაკუთრებით მძიმე იყო მისი შედეგები სამართლის განსჯისას და სასულიერო მოღვაწეობაში, ამიტომაც არის ასე კატეგორიული წინასწარმეტყველის სიტყვები: „ მისი მთავრები ქრთამით სჯიან სამართალს და მისი მღვდლები გასამრჯელოს ართმევენ დამოძღვრაში....” (მიქ. 3:11).

საკმაო ინფორმაციას გვაწვდის ნეემიას და ეზრას წიგნები საღვთო რჯულის სწავლების თაობაზე (ნეემ. 8:9). როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ეზრა და ნეემია იერუსალიმში იმ ტაძრის აგებას ხელმძღვანელობდნენ, რომელიც სპარსეთის მეფის კიროსის ნებართვით აშენდა დაახლოებით 400 წელს ჩვ. წ. აღ-მდე (ეზ. 6:1-3). რჯულის კითხვა და განმარტება ძველი აღთქმის წიგნებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, აქ ნიშანდობლივი ის გარემოებაა, რომ მარტო წაკითხვას და განმარტებას არ სჯერდებიან და მისი გაგება-შესწავლითაც ინტერესდებიან; „და კითხულობდნენ ისინი წიგნიდან, ღვთის რჯულიდან, გარკვევით, განმარტავდნენ და ხალხიც იგებდა წაკითხულს’ (ნეემ. 8:8). ეზრა მწიგნობარი გარკვეული კატეგორიის ხალხს ცალ-ცალკე ასწავლიდა: „ და მეორე დღეს ეზრა მწიგნობართან მოიყარეს თავი მთელი ხალხის მამისსახლთა თავკაცებმა, მღვდლებმა, ლევიანებმა, რათა მათთვის აეხსნა რჯულის სიტყვები” (ნეემ. 8:13). აღნიშნული ეპიზოდი რჯულის წიგნის განმარტება-შესწავლაში დიფერენცირებულ მიდგომაზე უნდა მიგვანიშნებდეს. კითხვა და რჯულის წიგნის განმარტება ერთჯერადი მოვლენა არ ყოფილა: „ დღითიდღე კითხულობდა იგი ღვთის რჯულის წიგნს-პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე....” (ნეემ. 8,:8). მთელი მარხვის განმავლობაში ღვთის სიტყვას ისმენენ, რასაც ავტორიტეტული მწიგნობრის განმარტებები ახლდა, თუმცა წიგნის კითხვა გარკვეულ რეჟიმს ექვემდებარებოდა, კითხ-

ვისთვის განკუთვნილი დრო, მხოლოდ მეოთხედ დღეს შეადგენდა: „ და იდგნენ თავიანთ ადგილებზე და კითხულობდნენ ღვთის რჯულის წიგნს მეოთხედი დღე, მერე მეოთხედი დღე კი აღსარებას ამბობდნენ, თაყვანსა სცემდნენ უფალს, თავიანთ ღმერთს “(ნეემ. 9:3).

მასწავლებელთა განსაკუთრებული კატეგორია, როგორც ამას ძველი აღთქმის წიგნები მოწმობენ, ისრაელის ქვეყანაში გაჩნდა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ. მართალია, მათ „მწიგნობრებს“ უწოდებდნენ, მაგრამ ისინი საღვთო რჯულის მცოდნე პირები იყვნენ და ასრულებდნენ გადამწერების, მდივნების მოვალეობებს. სწორედ ასეთი მწიგნობრები, რჯულის მეცნიერები და რაბინები ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობასაც. თუ ადრე მოსახლეობის დამოძღვრა, უფლის სიტყვის ქადაგება და ხალხის გათვითცნობიერება რელიგიის საკითხებში წინასწარმეტყველების მოღვწეობის სფეროდ მიიჩნეოდა, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ეს საქმე მწიგნობრებმა, რჯულის მეცნიერებმა და რაბინებმა იტვირთეს. ებრაელთა ყველაზე დიდი მოძღვრებათა კრებული, როგორც ცნობილია, „მიშნის“ სახით ახალი წელთაღრიცხვის 200 წელს ჩამოყალიბდა, რაც თალმუდის უძველეს ნაწილს წარმოადგენს. სწორედ აქ მოიყარა თავი რჩეული ხალხის რწმენისა და სამოძღვრო-პედაგოგიური საქმიანობის ფუძემდებლურმა პრინციპებმა.

სამყაროს შექმნის აქტი დაბადების წიგნიდან გვეუბნება, ღმერთმა იმგვარად შექმნა დედამიწა, რომ გამუდმებით შეახსენებს ადამიანს მის დამოკიდებულებას ღმერთზე. ბიბლია ამბობს: „ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე” (დაბ. 1:5) ეს დებულება განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმის გამო, რომ საგნების სახელდება და შესაბამისად მათი კლასიფიკაცია, საყოველთაო აზრის მიხედვით, სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. მართლაც, მოგვიანებით ღმერთი დაავალებს ადამიანს, რომ სახელები დაარქვას ცხოველებს (დაბ. 2:19), აქედან გამომდინარე, ღმერთმა ადამიანს უფლება მისცა და მოუწოდა კიდეც ცოდნისა და სამეცნიერო საქმიანობისაკენ. ამიტომაც მუდამ მოუწოდებს ბიბლიური მასწავლებელი: „შვილო რომ მიიღებდე ჩემს სიტყვებს და ჩემს ცნებებს დაიცავდე, ყური რომ გქონდეს სიბრძნი-

საკენ მიპყრობილი და გული გონიერებისაკენ გეწეოდეს" (იგავ. 2:1-2).

ძველი აღთქმის პედაგოგიკა სწავლის მოტივაციას უფლის რწმენაში, ღმერთის არსებობაში ხედავს. უზენაესი ძუდან მოუწოდებს ხალხს, დაუჯერონ უფლის სიტყვას, მის მცნებებს, თან ეს უნდა გააკეთონ ზედმიწევნით ზუსტად: არც უნდა დაკლონ რაიმე უფლის სიტყვას და არც უნდა მიუმატონ, ეს მოწოდება „სინაის რჯულში" ისმის (რჯლ. 4:1). ღმერთი ხალხს საჯაროდ ასწავლის, ამის დასტური იყო მოსეს მიერ ათი მცნების საჯაროდ გაცხადება, რაც უფლის ჩაგონებით აღესრულა: „ ... მითხრა მე უფალმა: „შემიკრიბე ხალხი, და გავაგონებ მათ ჩემს სიტყვებს რათა ისწავლონ ჩემდამი შიში მთელი იმ დღეების განმავლობაში, ვიდრე მიწაზე ცოცხლობენ, და ასწავლონ თავიანთ ძეებს" (რჯლ. 4:10).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ღმერთი ყოველთვის ითხოვს, უფრო მეტიც, პირდაპირ ავალდებულებს ხალხს ათი მცნების შესრულებას: „და მოუწოდა მოსემ მთელს ისრაელს, და უთხრა მათ: ისმინე, ისრაელო წესები და სამართალნი, რომელსაც მე ვიტყვი დღეს თქვენს გასაგონად. და შეისწავლეთ ისინი და ეცადეთ მათი შესრულება" (რჯლ. 5,1).

ძველი აღთქმის პედაგოგიკა გარკვეულ რეგლამენტაციასაც აწესებს სწავლისათვის, გარდა ამისა, ყოველი მოწოდების გამჭოლი პედაგოგიური იდეა შესწავლილი სიბრძნის (მასალის) გულში ჩანერგვას ანუ რწმენად ქცევას ემსახურება, სწავლის პროცესი განუყოფელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობისაგან: „ და იყოს ეს სიტყვანი, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს, შენს გულში, ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, და გზაზე სიარულისას, დაწოლისას, და ადგომისას" (რჯლ,. 6:6-7).

განათლება ისრაელში ღვთიური იდეალების საფუძველზე იყო აგებული, როგორც ბიბლია გვასწავლის, ყოველგვარი ცოდნა და სიბრძნე ღვთისაგან მოდის. სამყაროს უპირველესი მასწავლებელი ღმერთია, ამდენად, სიბრძნის და ცოდნის დაუფლება „უფლის შიშით" იწყება. მოსეს უკანასკნელ შეგონებაში გამოკვეთილად ისმის მოწოდება სწორედ უფლის შიშის საფუძველზე სწავლისა, რასაც, ძველი აღთქმის თანახმად, საყოველთაო ხასიათი უნდა ჰქონოდა: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელნიც შენს კარიბ-

ჭეებში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (რჯლ. 31,12). სწავლა-განათლების მთავარი წარმმართველი უფლის რწმენა და შიში იყო. ბავშვების რელიგიური განათლება უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ძველი ებრაელებისათვის. მათ ღრმად სწამდათ, რომ უფლის სიტყვა თაობიდან თაობამდე უნდა გადაეცათ: „შვილებმა, რომლებმაც არ იციან, გაიგონ და ისწავლონ, რომ ეშინოდეთ უფლისა, თქვენი ღმერთისა, დღენიადაგ, სანამ ცოცხლები იქნებით მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადიხართ იორდანეზე“ (რჯლ. 31:13). ბიბლიური მოსე მარტო უფლის სიტყვის ქადაგებით არ შემოიფარგლება, იგი პრაქტიკულად ასწავლის ხალხს უფლის სიტყვას: „და ჩაწერა მოსემ ეს გალობა იმ დღეს და შეასწავლა იგი ისრაელის ძეთ“ (რჯლ. 31:22). თუმცა, რჯულის მასწავლებელი ამით არ კმაყოფილდება და მალევე უბრუნდება ხალხის დამოძღვრას და ადრე შესწავლილის განმტკიცებას: „ჩაიბეჭდეთ თქვენს გულში ყოველი სიტყვა, რომელსაც მე გიმოწმებთ დღეს, რათა უბრძანოთ თქვენს ძეებს, რომ დაიცვან და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (რჯლ. 32:64).

უფლის რწმენაში განმტკიცება ებრაელთა სასიცოცხლო ამოცანაა ყოველთვის. ღმერთის მოწოდება ებრაელი ხალხის ცხოვრების საზრისი უნდა გამხდარიყო მას შემდეგაც, როცა მათი რჩეული წინამძღოლი – მოსე გარდაიცვალა. უფალი მის მაგივრობას იესო ნავეს ძეს ავალებს და მასვე მოუწოდებს რჯულის წიგნის შესწავლას და იქ ჩამოყალიბებული მცნებების ზუსტად აღსრულებას: „ნუ განეშორება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებს; მასზე ფიქრობდე დღე და დამ, რათა დაიცვა აღსასრულებლად ყველაფერი, რაც იქ სწერია, რადგან მაშინ წარგემართება შენ გზები და მოგემართება ხელი“ (იესო, 1:8). უფლის მოწოდება არა მარტო ცოდნის დაუფლებას და სარწმუნოებაში განტკიცებას ისახავს მიზნად, არამედ, სწორედ ცოდნასა და რწმენას უკავშირებს ზოგადად ამსოფლიურ წარმატებებსაც.

ადამიანი ბუნების მოვლენებზე, გარემომცველ სამყაროზე დაკვირვებით გამეცნიერდა, ეს, რასაკვირველია, ერთბაშად არ მომხდარა, მაგრამ კანონები და კანონზომიერებები, რაც ბუნებას და საზოგადოებას ახასიათებს, თავად ბუნებისაგან იშვა.

თავად ბუნება და სამყარო, ადამიანის ჩათვლით, შემოქმედის სიტყვის ძალით შეიქმნა, ამიტომაც ბიბლიაში ხშირად მეორდება სიტყვები „თქვა ღმერთმა".

ღმერთი უთუოდ გამოხატავდა თავის აზრსა და ჩანაფიქრს, როცა სამყაროს ქმნიდა თავისი სიტყვით, ამიტომ არის, რომ რაც უფრო მეტს ვიგებთ სამყაროს აგებულებისა და ბუნების შესახებ, მით უფრო გვაოცებს მისი რაციონალური გამართულობა. სამყარო არ წარმოადგენს უაზრო, გაუცნობიერებელი შემოქმედების ნაყოფს, იგი გონიერების, მიზანშეწონილობის და წესრიგის არაჩვეულებრივი გამოხატულებაა. ყოველ სიტყვას თავისი სემანტიკური დატვირთვა აქვს, რომელთაც ჩვენ ინფორმაციის გადასაცემად ვიყენებთ. შესაქმის ყოველ საფეხურზე ფრაზების „თქვა ღმერთმა" გამეორება იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროს შექმნისათვის აუცილებელი ინფორმაცია უმაღლესი გონისაგან, ღმერთისაგან მოდიოდა: „მე გამოვედი უზენაესის ბაგიდან და ნისლივით დავფარე დედამიწა" (ზირაქ. 24:3), ამიტომ ახალი დაბრკოლების გადასალახავად ახალი ინფორმაცია (სიტყვა) იყო საჭირო და ღმერთიც ძალისხმევას არ აკლებდა და მისი გადაწყვეტილებები სამყაროს ინფორმაციის გადამცემი მატერიის ანუ სიტყვების საშუალებით ევლინებოდა. ამიტომაც ბიბლიაში ხშირად გვხდება უზენაესი სიტყვები „თქვა ღმერთმა"(6.16).

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველგვარი ცოდნა, რაც ადამიანებმა, უფრო მეტიც, მეცნიერებმა შეითვისეს, ბუნებიდან მომდინარეობს, რადგან მასზე დაკვირვების შედეგად შეიმეცნა ადამიანმა სამყაროს განვითარების კანონები და კანონზომიერებები. ეს იმიტომაც მოხდა, რომ ადამიანები სწორედ ბუნებაში ელოდნენ კანონებს, რადგან მათ კანონმდებლის არსებობა სწამდათ, ასეთი კანონმდებელი, რასაკვირველია, ღმერთი იყო.

პედაგოგიური თვალსაზრისით ძველი აღთქმის სიბრძნიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა იგავთა წიგნს ენიჭება. როგორც ბიბლია გვასწავლის, უფლის რჩეული ერი უზენაესის განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოცული, ასეთი ყურადღება მას არც ეგვიპტელთა ტყვეობაში მოჰკლებია. სწორედ აქ, ეგვიპტეში ერთობლივი თანაცხოვრების შედეგად, ამ ორ ხალხს ერომანეთისაგან მრავალი წესი უნდა

გადაეღო. ეს ეხება როგორც მათ ყოფა-ცხოვრებას, ისე ადათ-წესებს და კულტურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ეგვიპტეში ძველი სამეფოს დროს ნნდება ე.წ. „ავტობიოგრაფიული წარწერები“, რომლებიც აკ-ლდამების კედლებზე თავსდებოდა, მათში აღწერილია მიცვალებულის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი კეთილი საქმეები. ალბათ, ავტობიოგრაფიული წარწერების სწორედ ამ ნაწილმა მოახდინა გავლენა დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოე-ბების განვითარებაზე. ჩვენამდე მოაღწია ამ ჟანრის ნაწარმოე-ბებმა „პტახოტეების დარიგებებიდან“, რომელიც დღესაც გარკ-ვეულ ინტერესს აღძრავს: „ნუ იამაყებ შენი ცოდნის გამო, რადგან დახელოვნებას არ აქვს საზღვარი, არც ერთ ხელოვანს არ მიუღწევია სრულყოფილებისათვის... თუ შენ დიდი თანამდებობა გაქვს და შენთან მდაბიო მთხოვნელი მოვიდა, იქონიე მოთმინება, არ გააწყვეტინო სიტყვა. ბოლომდე მოისმინე... თუ გინდა ახალგაცნობილი ოჯახის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო, თვალი შორს გეჭიროს ამ ოჯახის ქალებისაგან“ (7.178). მსგავსი შინაარსის დარიგებები შემონახ-ულია წინასწარმეტყველებათა კრებულებში, რომლებმაც შუა სამეფოს დიდაქტიკურ ნაწარმოებებში ჰპოვა ასახვა. მეცნიერე-ბაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ თხრობის დიდაქტიკური ფორმის სამშობლოს ეგვიპტე წარმოადგენს და რომ სწორედ ეგვიპტურმა „დარიგებებმა“ მოახდინეს უდიდესი გავლენა სოლომონის ბიბლიურ იგავებზე (7.179).

რაც შეეხება იგავთა წიგნის დაწერის დროს, ამის შეს-ახებ გარკვეულ ინფორმაციას თვით იგავები გვაწვდის, მათში ნახსენებია ძველი აღთქმის ორი მეფე: სოლომონი, რომლის მფარველობითაც ისრაელში პირველად აყვავდა სიბრძნის ლიტერატურა, და ხიზკია, რომელმაც ბრძნული გამონათქვამე-ბის ეს კრებული შეადგინა. ბრძნული გამონათქვამების შეგროვების პროცესი და მათგან მთლიანი კრებულის შედგენა, უეჭველია, ამ მეფეების სიკვდილის შემდეგაც დიდხ-ანს გრძელდებოდა. ასე რომ, იგავთა წიგნი ჩვენ გვაცნობს მოძღვრებას სიბრძნის შესახებ, რომელიც ძველი აღთქმისეული პერიოდის მთელ მანძილზე ყალიბდებოდა. მრავალი სწავ-ლული პოულობს ურთიერთკავშირს იგავთა წიგნს და „ოცდაათ ბრძულ გამონათქვამს“ შორის, უფრო მეტიც, ეგვიპ-ტელ ბრძენთა ძველისძველ თხზულებებთანაც. (4.93). როგორც

გამოსვლათა წიგნი გვასწავლის, ეგვიპტელთაგან გასხვავებით, ღმერთი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ღვთის რჩეული ერი უფლის მცნებათა მიმდევარი ყოფილიყო: „მე კი მივიხმენ, თუ რას იტყვის უფალი ღმერთი; რადგან მშვიდობას იტყვის თავის ერზე და თავის წმიდებზე, თუკი დაგმობენ სიბრიყვეს" (ფსლ. 84:9). სწორედ ამისთვის მოძღვრავდა მათ და აზიარებდა ღვთიურ სიბრძნეს. თუმცა ებრაელებმა ეგვიპტელთა ტყვეობაში ბევრი ისწავლეს, როგორც ზოგადი კანონზომიერება ცხადყოფს, სხვადასხვა ხალხების თანაცხოვრება აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მათ კულტურულ და ყოფით ურთიერთობებზე, ამდენად, საფუძვლიანია იმის ვარაუდი, რომ ამ ორი ხალხის ურთიერთობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მათ ადათ-წესებზე და ზნეობრივ შეხედულებებზე, ამიტომ გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგავთა წიგნში წარმოდგენილ სიბრძნეზე გავლენა სწორედ ეგვიპტურმა დარიგებებმა მოახდინა.

როგორც ზემოთ ითქვა, იგავთა წიგნი პედაგოგიური იდეებით გამორჩეული კრებულია. მასში თავმოყრილია, როგორც ძველი აღთქმის სიბრძნე, ისე უძველესი ხალხების ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება და მათი სინთეზის შედეგად ჩამოყალიბებულია ზნეობრივი პრინციპები.

იგავთა წიგნის ცალკეული თავების და დანაყოფების დასათაურებაც კი კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ეს მიზანიც მათშია გაცხადებული. სოლომონის იგავებში დასაბუთებულია იგავთა საჭიროება, მისი დანიშნულება, ანუ სიბრძნის შეცნობის, გონების სრულყოფის აუცილებლობა, რაც ცოდნისა და სწავლის მეშვეობით მიიღწევა. იგავი ბრიყვისთვის გონიერების შეძენას დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ ყმაწვილთათვის მხოლოდ ცოდნის დაუფლებაა საჭირო. ის ვინც სწავლას მიჰყოფს ხელს, სიბრძნის გზაზე დგას: „მოისმენს ბრძენი და შეიმატებს სწავლას, და გონიერი სიბრძნეს შეიძენს" (იგავ. 1:5). თუმცა, ეს არც ისე ადვილია, რადგან ცოდნის შეძენას ისეთივე მოწიწება უნდა, როგორც უფლის სიყვარულს: „უფლის შიში ცოდნის სათავეა, სიბრძნე და დარიგება კი ბრიყვებს ეზიზღებათ" (იგავ. 1:7). ამიტომ სოლომონი ყოველთვის მამის მორჩილებისაკენ მოუწოდებს შვილებს: „ისმინე, შვილო, ჩემო, მამაშენის დარიგება და დედაშენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლებას ნუ მიატოვებ, რადგან ეს მშვენიერი გვირგვინია შენს თავზე, მანიაკი შენს ყელზე“ (იგავ. 1: 8-9).

იგავთა პრაქტიკული დანიშნულება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ხალხმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა ისწავლონ კეთილისა და ბოროტის გარჩევა, გაიგონ სიბრძნის ფასი, მისი დანიშნულება და ცოდნის შეძენის გზები. იგავთა ავტორი თვალსაჩინოებისათვის ხშირად მიმართავს შედარებებს, პარალელს ავლებს გონიერებსა და ბრიყვებს, მცოდნეებსა და უცოდინრებს შორის. ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეები ყველა ეპოქაში ვნებდა საზოგადოების წინსვლას, ამის მიზეზს სწორედ უცოდინრობაში და სიბრიყვეში ხედავს ბრძენი: „როდემდე ეყვარებათ ბრიყვებს სიბრიყვე, თავქარიანნი მასხრობით დატკბებიან, ხოლო სულელებს ეძულებათ ცოდნა“ (იგავ. 1:22). აქედან აშკარად ჩანს, რომ ცოდნის სიძულვილი გონიერი ადამიანისათვის არა მარტო მიუღებელია, არამედ საძრახისიცაა, ამიტომ იგავის დედააზრი ყველასთვის ნათელი ხდება, რადგან ცოდნის სიძულვილით კეთილი მიზნისთვის არავის მიუღწევია.

ცოდნისმოყვარეობა და სათნოება სოლომონის წიგნში ასეთნაირად არის ფორმულირებული: „და თუ ვინმეს სამართლიანობა უყვარს, მისი შრომა სიქველეა, რადგან კეთილგონიერებასა და ჭკუას, სამართლიანობას და მხნეობას ასწავლის, ამათზე სასარგებლო კაცთათვის ცხოვრებაში არაფერია” (სიბრ. 8:7).

სიბრძნე დიდი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია. საერთოდ ცნობილია, რომ ღვთის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მორალური სიწმინდის პირობებში. როგორც სოლომონის სიბრძნე გვასწავლის, მზაკვარ სულში სიბრძნე ვერ შეაღწევს (სოლ. 1:4). რადგან სიბრძნე ღვთიურია, მასთან მიახლება მხოლოდ სულიერად განწმენდილებს შეუძლიათ. როგორც იოანე კიბისადმწერელი ამბობს, ყოველგვარი ღვთისმეტყველების დასაწყისი არის სრულყოფილი სიწმინდე და სისუფთავე. ამდენად, დღევანდელი გადასახედიდან იმის თქმა შეიძლება, რომ სწავლა-განათლება ანუ სიბრძნე ზნეობრივი სრულყოფილების მნიშვნელოვანი წყაროა, სწავლა და სიბრძნე ღვთიური საუნჯეა და მისი დაუფლება ღვთიური მადლია, ამიტომ არის იგი რჩეულთა ხვედრი მთელ ბიბლიურ ისტორიაში, თუმცა ასეთივე მდგომარეობა შენარჩუნდა შემდგომ

ეპოქებში, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ადამიანები ამას სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ, რამაც ძალზე დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოების მორალურ მხარეს და სულიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნე სიკეთის წყარო და საფუძველია, რასაც ღმერთი იძლევა, ხოლო ცოდნა და გონიერება მისგან აღმოცენდება (იგავ. 2:6). სიბრძნე იმავე უფლის რწმენაა, რომელიც ყოველგვარი ცოდნის საწყისია, ამიტომ: „ნეტარია ადამიანი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი-ჭკუის მომხვეჭელი! “ (იგავ. 3:13). თუმცა ასეთი ნეტარება ყველას ხვედრი როდია, ამიტომ ბრძენი ხშირად არიგებს შვილებს რათა არ გაებან „გარყვნილების ხაფანგებში” (იგავ. 5:1-23). განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მონაკვეთიდან იმსახურებს ის ადგილი, სადაც მასწავლებლებზე და მოძღვრებზეა საუბარი. საზოგადო ჭეშმარიტებად აღიქმება იმათი აღიარება, ვინც ყურად არ იღო მასწავლებელთა დარიგება და საბედისწერო ნიშნულამდე მივიდა: „არ მოვუსმინე ჩემს მასწავლებელთა ხმას, და ჩემს მოძღვართ არ მივაპყარ ჩემი ყური, კინაღამ გავნადგურდი სრულიად კრებულში და საზოგადოებაში” (იგავ. 5:13-14). ამიტომ არა მარტო ბრძენი არიგებს ახალგაზრდებს, არამედ მშობლებიც მოწოდებულნი არიან შვილები უფლის მცნებათა შემსრულებლებად აღზარდონ: „რადგან მცნება სანთელია და მოძღვრება–სინათლე, ცხოვრების გზა კი–დამრიგებლური შეგონება” (იგავ. 6:23).

ახალგაზრდას წინასწარ აფრთხილებენ მოსალოდნელი საცთურისაგან. სწორედ ამას ემსახურება გარყვნილი ცხოვრების მანკიერი მხარეების აღწერა და მისი შედეგების ჩვენება. იგავის ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ისეთ პედაგოგიკურ პრობლემებს, როგორიცაა: ცოდნის ინტერესი და ცოდნის მოტივაცია, სწრაფვა წიგნიერებისაკენ, სიბეჯითე და შრომითი ჩვევების დაუფლების აუცილებლობა.

სიბრძნისა და გონიერების შეძენა დიდ შრომას მოითხოვს, ამიტომ ზარმაცებმა ბეჯითებისგან უნდა აიღონ მაგალითი: „წადი ჭიანჭველასთან, ზარმაცო, ნახე მისი გზები და დაბრძენდი” (იგავ. 6:6). იმის მიუხედავად, რომ ჭიანჭველებს არ ჰყავთ ჭკუის დამრიგებლები, მაინც შრომობენ, ზაფხულში აგროვებენ სარჩოს ზამთრისთვის, ხოლო ზოგიერთ ადამიანს ვერ გაუგია, რომ „....ადამიანის ყველაზე დიდი ქონება სიბეჯი-

თეა" (იგავ. 12:27). ამიტომ ასეთებისთვის შოლტიც არ უნდა დაინანოს აღმზრდელმა: „შოლტი და დარიგება სიბრძნეს იძლევა, ხოლო მიშვებული ყმაწვილი არცხვენს ოჯახის დედას" (იგავ. 29.15). ამის მიუხედავად, მაინც სიფრთხილეა საჭიროა შვილის ფიზიკური დასჯისას, რადგან ფიზიკურ ტკივილზე მეტად სულიერ ტკივილებს უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან სულიერ დამოკიდებულება გადამწყვეტია, ამიტომ მიმართავს ბრძენი მშობლებს: „დასაჯე შენი შვილი, მაგრამ არ განაწყო შენი სული მის სასიკვდილოდ" (იგავ.19:18). თუმცა ყოველთვის როდია საჭირო აღსაზრდელის ფიზიკური დასჯა, ასეთი სასჯელები იშვიათად უნდა გამოიყენებოდეს, რადგან ადამიანთა უმეტესობა გონიერია, ხოლო გონიერების მიმართ სულ სხვა მიდგომაა საჭირო: „მხილება უფრო მოქმედებს გონიერზე, ვიდრე ბრიყვზე ასი დარტყმა" (იგავ. 17:10). ამდენად, ბიბლიურმა პედაგოგიკამ შეგონებას მეტი ყურადღება მიაქცია, ვიდრე ფიზიკურ დასჯას. აღნიშნული ტენდენცია უფრო გააძლიერა ახალი აღთქმის პედაგოგიკამ და ჰუმანიზმის უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა.

ძველი აღთქმის წიგნებში საგანგებოდ არის წამოწეული სიბრძნის მარადიულობა და ღვთიურობა: „ყოველი სიბრძნე უფლისგანაა და მასთანაა უკუნისამდე" (ზირ. 1:1), ამიტომ იგი ყველაზე აღმატებული საუნჯეა სამყაროში. მართალია, სიბრძნე ღვთიური მადლია, მაგრამ მასთან ზიარება სწავლითაც შეიძლება, ხოლო სწავლის გზით ცოდნა შეიძინება: „სიბრძნის დასაბამი სწავლის უჯეშმარიტესი სურვილია, ხოლო სწავლაზე ზრუნვა–მისი სიყვარული" (სოლ. 6:17), თუმცა მარტო კითხვით არ უნდა ვიძენდეთ ცოდნას,–გვასწავლის ბრძენი ზირაქი, წიგნის წინათქმაში და იმ აუცილებლობასაც განმარტავს: „....რომ ცოდნის მოყვარულებმა განთესილნიც დამოძღვრონ, როგორც წერილობით, ისე ზეპირი სიტყვით" (2.41). ცნობილი ამბავია, რომ ძველი აღთქმის სხვა წიგნების მსგავსად ზირაქის სიბრძნის წიგნშიც არის მოწოდებები სიბრძნის და ცოდნის დაუფლების შესახებ, მაგრამ აქ ნიშანდობლივია ისიც, რომ ბრძენი ზირაქი უფრო შორს წავიდა და სწავლის ორივე ფორმის, ზეპირისა და წერილობითის შესახებ მიუთითა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ძველი აღთქმის პედაგოგიკისთვის ცნობილია და პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების როგორც ვერბალური, ისე წერილობითი სახეები.

გარდა ამისა, დამოწმებულ ტექსტში მთავარი ყურადღება მიმართულია იმ ადამიანებისაკენ, რომლებიც არ ერიან ჩაბმულნი სწავლებაში, მაგრამ ადრე ყოფილან „[illegible]ლან", ამიტომ მათ უნდა ასწავლონ, დამოძღვრონ ისინი, როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით. ეს საქმე უნდა გააკეთონ არა შემთხვევითმა პირებმა, არამედ „ცოდნის მოყვარულებმა". უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ მოძღვრები ან მასწავლებლები, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ აქ იგულისხმებოდნენ მწიგნობრები ან მსაჯულები, რომლებიც, როგორც ცნობილია, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ, აქ ტერმინებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ იმხანად იყვნენ სპეციალურად, პედაგოგიური საქმიანობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლების ეწეოდნენ სამოძღვრო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით და ასეთ პიროვნებებს ცოდნის მოყვარულებს უწოდებდნენ.

ძველი აღთქმის პედაგოგიკა არ აკონკრეტებს სწავლის დაწყების ასაკს, მაგრამ მითითება იმის შესახებ, რომ სწავლა ბავშვობაში უნდა დაიწყოს, თითქმის ყველგანაა: „შვილო, სიყრმიდანვე დაუდე გული სწავლას და ჭადარის შერთვამდე შეიძენ სიბრძნეს. მხვნელ-მთესველივით მიჰყავი ხელი მას და დაელოდე მის კეთილ ნაყოფს" (ზირ. 6:17-18). აშკარაა, სიყრმისას დაწყებული სწავლა დიდ დროს მოითხოვს და იგი მალე არ გათავდება, მაგრამ მისი დაწყება მაინც ადრე იწყება და სრულ ასაკშიც გრძელდება, რადგან მისი შედეგი საკმაოდ გვიან მოდის, თუმცა მაინც მოთმინებაა საჭირო: „რადგან ერთხანს ქანცი გაგიწყდება მასზე ზრუნვაში, მაგრამ მალე იგემებ მის ნაყოფს" (ზირ. 6,19). იმის მიუხედავად, რომ სწავლა ხანგრძლივი და მეტისმეტად რთული პროცესია, მაინც დიდი მადლია ცოდნის შეძენა და სიბრძნესთან ზიარება: „კაცთმოყვარე სულია სიბრძნე და დაუსჯელს არ დატოვებს იმას, ვისი ბაგენიც გმობას იტყვიან..." (სოლ. 1:6). სიბრძნის პირველწყარო ღმერთია, ამიტომ ყველას ვალია დიდი კრძალვით მოეპყროს ღვთიურ საუნჯეს. სიბრძნის უგულვებელყოფა წარმატებას არავის მოუტანს: „ვინაიდან უბედურია ყველა, ვინც შეიძულა სიბრძნე და სწავლა; ამაოა მათი იმედი, უნაყოფოა მათი შრომა და ურგებია მათი საქმე" (სოლ.3:11).

სიბრძნეს ზიარებული ადამიანი კურთხეულია ღმერთის მიერ, მას პატივს მიაგებენ საზოგადოებაშიც. მნიშვნელობა ... ქვს, განსწავლული კაცი მდიდარია თუ ღარიბი, მთავარი ... გონიერი იყოს: „უპოვარს პატივს სცემენ ცოდნისათვის, მდიდარს კი-მისი სიმდიდრის გამო“ (ზირ.10:29).

ძველი აღთქმის პედაგოგიკის შესახებ, დასკვნის სახით შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იგი დაეფუძვნა სამყაროს ღვთიურ წესრიგსა და ჰარმონიას, რომელმაც ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ზნეობრივი საყრდენის ფუნქცია შეიძინა. ხოლო ძველი აღთქმის პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძველი მოსეს ათი მცნება გახდა. ამდენად, ძველი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლებია: 1. სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია; 2. მოსეს კანონები და 3. ძველი აღთქმის სიბრძნე.

თავი II

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმის პედაგოგიკა

§ 1. ახალი აღთქმის პედაგოგიკა: პოლემიკა თეორიებსა და დეფინიციებზე

ახალი აღთქმა განსაკუთრებულ ნარატიტს, რაღაც ტექსტოლოგიურ „მაკროკოსმოსს" წარმოადგენს, რომელიც სტრუქტურულად ისეა აგებული, რომ ტექსტის ცალკეული მონაკვეთები თავად „მაკროკოსმოსად" გვევლინებიან. მათში საოცრად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან რელიგია და ფილოსოფია, პედაგოგიკა და ეთიკა, ფსიქოლოგია და სამართალი. ცალკეული ფრაზები, სიუჟეტები, იგავები თუ დარიგებები ურთიერთმოქმედებენ და საბოლოოდ ერთი მიზნით მსჭვალავენ როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე ადამიანთა ჯგუფებს, ფენებს და მთელ საზოგადოებასაც. ისინი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მთლიანად საზოგადოების ცნობიერებაზე, მის კულტურაზე და მთელი ეპოქის სულიერებაზეც. ახალი აღთქმის საინფორნაციო ტევადობა წარმოუდგენლად დიდია, მასში გამოყენებულმა ცალკეულმა ლექსემებმაც შესაძლებელია საყოველთაო მნიშვნელობის დამოუკიდებელი სივრცეები შექმნან.

ახალი აღთქმის ღვთაებრივ ქსოვილში პედაგოგიური „ძაფების" (იდეების) წარმოჩენა, მათი შესწავლა და ახალი აღთქმისეული აღმზრდელობითი „დედაბოძის" აღდგენა, არაბუნებრივად რთული ამოცანაა. ამიტომ ჩვენი მცდელობაც ჩვეულებრივი მისწრაფების გამოვლინებად უნდა იქნეს მიჩნეული, რომელსაც რაიმე პრეტენზია არასოდეს ჰქონია და არც შეიძლება ჰქონდეს ღვთიურ გზაზე. მათი პედაგოგიური გააზრება ქრისტიანული აღზრდა-განათლების ისტორიის საწყის პერიოდს ანუ, როგორც მას დასვლეთში უწოდებენ, ბავშვობას შეეხება მხოლოდ.

მთელი ბიბლიური პედაგოგიკა და განსაკუთრებით ახალაღთქმისეული აღმზრდელობითი იდეები ეკლესიური ავტორების მხრივ ქებისა და წახალისების ობიექტად იქცევიან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ათეისტ ავტორებზე, რომლებიც ამ სფეროს მიმართ უბრალო პოზიტიურ დამოკიდებულებასაც კი

მიუღებლად თვლიან. სწორედ ამით უნდა აიხსნას საერო მკვლევართა იშვიათი დაინტერესება ახალი აღთქმის ხარატ-იტების ანალიზით. თუმცა, ისინი უფრო აქტიურად იკვლევენ ნაკლებად საინტერესო, კვლევისთვის აშკარად [illegible] ძეგლებს.

ქრისტიანული პედაგოგიკის მიმართ ასეთი გაორებული დამოკიდებულება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ იგი რწმენის პედაგოგიკაა დღესაც. რადგან ათეისტი მკვლევარი მასში ვერ ხედავს აღზდა–განათლების რაციონალურ მარცვალს, იგი ამას სულიერების დეფიციტის გამო ვერ ახერხებს. რელიგიური პედაგოგიკა გნოსტიკური საშუალებებით მიზანს ვერასოდეს მიაღწევს, მას გულწრფელი რწმენა უნდა ედოს საფუძვლად.

ახალი აღთქმის დიდაქტიკური ტრადიცია, როგორც ჩვეულებრივი წმინდა წიგნის შესწავლის მიმართ, თაობიდან თაობაზე განსაკუთრებული მეთოდებით გადადიოდა, რომლებიდან შეიძლება გამოიყოს საზოგადოების წევრთა პასიური მონაწილეობა რელიგიურ რიტულებში (ნათლობა, ჯვრისწერა) და ინდივიდის პიროვნული აქტივობა (აღსარება, ლოცვა, ლიტურგია). ამიტომ აქ თავს იჩენს ქრისტიანობაში ცალკეულ კონფესიებს შორის არსებული ტერმინოლოგიური და შინარსობლივი განსხვავებანიც, ბუნებრივია, რწმენის საკითხებში ჩვენი მსჯელობა მართლმადიდებლურ მრწამსზე იქნება დაფუძვნებული. რელიგიურ–აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მიმართულება მოიაზრება ისეთ სიტყვათშეთანხმებებში, როგორიცაა: *„ქრისტიანული პედაგოგიკა", „ახალი აღთქმის პედაგოგიკა", „ბიბლიური პედაგოგიკა", „რელიგიური აღზრდა –განათლება".* ცალკეული ავტორები მათში დებენ თავიანთ გაგებას და შინაარსს. მაგრამ ერთი ყველასთვის ცხადია, რომ პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება და აღზრდის ხელოვნება, იმდენად არის გამსჭვალული ქრისტიანული იდეებით, რომ ახალი აღთქმის აღმზრდელობითი ტრადიცია უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერთობის და რწმენის პედაგოგიკა.

როცა ახალი აღთქმის ტექსტების ანალიზისას ისეთ ტერმინებს ვიყენებთ, როგორიცაა „პედაგოგიკა", „აღზრდა" და „განათლება", ჩვენი მიზანი არაა ღმერთის შესახებ ცოდნის დაუფლება (როგორც ეს საერო განათლებაშია–ბუნებისა და საზოგადოების ზოგადი კანონების ცოდნა), არამედ

მივაკვლიოთ იმ გზებს, სადაც ნაჩვენებია ღვთიური სწავლება, რაც არის სწავლების შერწყმა (გაერთიანება) ღმერთში, ღმერთთან და მის ხატად და მსგავსად შექმნილ წმინდანებთან (10. 23).

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში რელიგიური განათლების ცენტრალურ მომენტად ითვლებოდა პერსონალურ დონეზე გახსნა (ახსნა) იმისა, „რაც ხდება ადამიანთან, როცა ის „სულიერად იზრდება" ქრისტეში და მეორედ იბადება სულითა და წყლით და ამით ხდება ეკლესიის წევრი. ზოგიერთი ავტორი ქრისტიანულ რწმენასთან მიმართებას, იმდენად სპეციფიკურ პროცესად მიიჩნევს, რომ ამაში ხედავს არსობრივ სხვაობას მასა და განათლების რაციონალურ სისტემას შორის, რომელიც პედაგოგიკას პროფესიული ცოდნის განსაკუთრებულ სფეროდ მიიჩნევს. ასეთი თვალსაზრისი განავითარა გერმანელმა თეოლოგმა რ. ბულტმანმა. ის ფიქრობს, რომ თვით ასეთი კითხვა ქრისტიანული პედაგოგიკის შესახებ არამართლზომიერია, რადგან ქრისტიანობა დაფუძვნებულია რწმენაზე და არა რაღაც „მეთოდებზე ადამიანის გარდაქმნის შესახებ", ხოლო ღმერთის რწმენა არ შეიძლება ასწავლო, თუნდაც სხვა ადამინის დახმარებით. ერთმანეთს ადარებს რა ბიბლიურ და ბერძნულ კულტურას, იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბერძნულ კულტურაში–ადამიანური არსებობა გამართლებულია ჯანსაღი აზრით, ხოლო ადამიანის განვითარება მოიაზრებოდა, როგორც მისი რაციონალური შესაძლებლობების განვითარება, როგორც ინდივიდის და როგორც კორპორაციული ჯგუფის. ქრისტიანული პედაგოგიკა წარმოადგენს რეაქციას, რომელიც გაივლის ორ ფაზას: „გადაწყვეტილებასა" და „პასუხს" ღმრთის სიტყვაზე, იგი არის ღმერთისავე მოწოდება, გადმოცემული სახარების მეშვეობით, რომელიც გარკვეულწილად გარდაიქმნება უფლის მადლად. გერმანელი თეოლოგი იმასაც ამტკიცებს, რომ მსგავსი შეგნებითა და გადაწყვეტილებით ადამიანი „აღზრდის" საშუალებით ვერ მიაღწევს სასურველ მდგომარეობას, ამას მხოლოდ უფლის ნება წყვეტს. აქედან გამომდინარე, საკითხი ქრისტიანული პედაგოგიკის შესახებ არ უნდა დაისვას (11.188-213). რ. ბულტმანი ასევე სვამს კითხვას – რას მივყავართ ქრისტიანულ რწმენამდე?" და პასუხობს: „უფლის სიტყვას". სწორედ ასეთი პასუხი იძლევა დაეჭვების საფუძველს, რომ მკვლევარი თავის

შეხედულებებში აშკარდ გაორებულია. ანლოგიური კითხვა აწუხებს მრავალ ავტორს, რომლებიც რ. ბულტმანის ძრომების დიდი პატივისცემის მიუხედავად, ხშირად ცხარე პოლემიკას მართავენ მასთან. ახალი აღთქმის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სახარების ტექსტების მცოდნემ არ აღიარა ახალი აღთქმის ტექსტი, შესაბამისი ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების ძეგლად და ამის მიუხედავად, ის მაინც ჩაუღრმავდა ადრეული ქრისტიანობის ისტორიას. ამავე დროს, მან აღიარა ის ფაქტი, რომ სახარების ნარატიტების მკვლევარი ასე თუ ისე დადგება იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მან გააანალიზოს ინფორმაციის გადაცემის პრაქტიკა, მისი შინაარსი, რაც სწავლებაში შუამავლობის პრობლემის არსებობას ნიშნავს. ამით მკვლევარი რ. ბულტმანი უნებლიედ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უფლის სიტყვის შესასწავლად საჭიროა შუამავალი, რაც პედაგოგიური პრობლემის აღიარებას ნიშნავს. ამგვარად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა რელიგიური სწავლება და აღზრდა, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მაცხოვარს სტიქიურად კი არ შემოუღია სწავლება, არამედ გარკვეული წესის მიხედვით დაამკვიდრა იგი. ახალი წესები ძველი რჯულის გასაუქმებლად რომ არ დაუწესებია, ამას გარკვევით აცხადებს იესო ქრისტე (მათ. 5:17), ხოლო, რაც შეეხება სწავლების ახალ წესებს , ამის თაობაზე ასეთ რამეს ამბობს: „ამრიგად, ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ისე ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველთასა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა" (მათ. 5:19). აღნიშნული მონაკვეთის განმარტებისას თეოფილაქტე ბულგარელი წერს: „ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას, სასუფეველსა ცათასა"– პირველადაა „ყოს" და მხოლოდ მერე „ასწავოს", რადგანაც, როგორ შემიძლია წარვუძღვე სხვებს იმ გზაზე, რომლითაც მე თავად არ მივლია. მეორე მხრივ, თუ მე თვითონ ვასრულებ, მაგრამ სხვებს არ ვასწავლი, ჯილდოს ვერ მივიღებ, პირიქით, შეიძლება კიდევაც დავისაჯო, იმ შემთხვევაში თუ შურისა ან სიზარმაცის გამო არ ვასწავლე" (23.42). წმიდა მამის განმარტება კიდევ უფრო აზუსტებს მათე მახარებლის გადმოცემას იმის შესახებ, რომ ქრისტიანული სწავლება ცხოვრებას მოწყვეტილი არ ყოფილა, იმის მიუხედავად, რომ ამ სწავლების არსი მიწიერი ცხოვრე-

ბის პირობებში სამუდამო სასუფევლისათვის მზადებაა, იგი მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამქვეყნიურ ყოფას, ხოლო აქედან გამომდინარე, ახალი აღთქმის პედაგოგიკა, პირად გამოცდილებას მისაღებ მეთოდად მიიჩნევს. ამიტომაცაა აღნიშნულ ამონარიდში ჯერ „ყოს" და მერე „ასწავოს", რადგან მასწავლებელმა მხოლოდ ის უნდა ასწავლოს, რაც მან პირადად გამოსცადა და კარგად იცის. ხსენებულ ამონარიდში კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ როგორც ნეტარი მამა თეოფილაქტე ბულგარელი წერდა, მხოლოდ ის მოძღვარ–მასწავლებელი იმსახურებდა წახალისებას, ვინც ზუსტად ასრულებდა ღვთიურ კანონებს და ამასთან ერთად სხვებსაც ასწავლიდაო, ე.ი. რჯულის მეცნიერი, მოძღვარი ვალდებული ყოფილა, სხვებისთვისაც ესწავლებინა, რადგან სწავლება, ახალ აღთქმის თანახმად, ღვთიური საქმეა. აქედან, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ახალი აღთქმის პედაგოგიკა სწავლებაში აღიარებს პირად გამოცდილებას და ღვთიური მცნებების სწავლებას ავალდებულებს ქრისტეს მოძღვრების მცოდნეებს. ამიტომაც მიიღო მასობრივი ხასიათი მოწაფეობამ ჯერ კიდევ იესო ქრისტეს სიცოცხლეშივე, ხოლო ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ სამოციქულო პედაგოგიკამ გააგრძელა მაცხოვრის მიერ დაწყებული გზა.

იესო ქრისტეს მოვლინებამ სათავე დაუდო უდიდეს ეპოქალურ ცვლილებებს. დაიწყო ადამიანის ადგილისა და ამოცანის ახლებური გააზრება სამყაროში და ურთიერთობა სხვა ადამიანთან. სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა ***რელიგიური და საერო აღზრდის ტრადიციათა თანაფარდობა*** ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

ქრისტიანული პედაგოგიკა, როგორც ცნობილია, აერთიანებს ღვთისმსახურებას, სწავლებას და პრაქტიკას. პედაგოგიური ჩვევებისა და პედაგოგიური ცნობიერების გვერდით, პედაგოგიკური თეორია და პედაგოგიური პრაქტიკა, საერთოა საერო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისთვის (12 .24-31). მასში არის აგრეთვე სარწმუნოებრივი და ლიტურგიული (რიტუალური) კომპონენტები. ახალი აღთქმის დიდაქტიკური თვალსაზრისით განხილვისას მეცნიერებს შესაძლებელად მიაჩნიათ სამი ძირითადი მიმართულების ირგვლივ კონცენტრირება: პირველი – რამდენადაა შესაძლებელი ახალი

აღთქმაში აღზრდა–განათლების საფუძვლების ძიება და თუ ეს ასეა, მაშინ მასში ასახული საგანმანათლებლო იდეები რამდენად შეესაბამება იმდროინდელი ეპოქის სულისკვეთებას? მეორე – შესაძლებელია თუ არა ისტორიული გარემოს ისეთი რეკონსტრუქცია, რომელშიც მიმდინარეობდა ღმერთკაცის ბავშვობა და შემდგომში მისი სამასწავლებლო მოღვაწეობის დეტალების წარმოდგენა (რაც ნიშნავს ამ ისტორიული პიროვნების პედაგოგიკურ და პროპედევტიკურ ცოდნას, უნარებსა და ჩვევებს), როგორი იყო ძირითად ხაზებში მისი დიდაქტიკური მეთოდი ? მესამე მიმართულება – რა სახის ინფორმაციის შეგროვება შეუძლია განათლების ისტორიის მკვლევარს, ქრისტიანული მოწაფეობის ინსტიტუტის ანალიზის საშუალებით ? რაა „პედაგოგიური" ახალ აღთქმაში და რატომ უნდა ჩაითვალოს იგი პედაგოგიური აზროვნების მნიშვნელოვან ძეგლად ?

გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი ვერნერ იენჩი, რომელმაც შრომები ნახევარი საუკუნის წინ შექმნა, მაგრამ მათ დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ფიქრობდა, რომ ძველ აღთქმაში მკვლევარმა უნდა დაინახოს თეოცენტრული* აღმზრდელობითი აზროვნება. რაბინულმა იუდაიზმმა,– მიაჩნდა მას,– თავის ადგილზე დააყენა ღმერთის მიერ შექმნილი რელიგიური პედაგოგიკის კანონიკური აღმზრდელობითი აზრი, თუმცა თავს წარმოიდგენდა ჭეშმარიტების და უძველესი ტრადიციის სამართლიან მემკვიდრედ (13.138). ახალი აღთქმის ძველისაგან განმასხვავებლად ვ. იენჩი თვლიდა, ახალ აღთქმაში აღმზრდელის როლის დაწვრილებით აღწერას, თუმცა, მიაჩნდა, რომ პედაგოგიკის მნიშვნელობა, როგორც ასეთის, ნაკლებად შესამჩნევი გახდა და ძველი აღთქმის ახალთან შედარება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ პირველში „წმინდა პედაგოგიური" მეტია. „პირველ ქრისტიანთა მდგომარეობა, – წერდა გერმანელი მეცნიერი,– ეს არის იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც ისტორიის გარდამტეხ მომენტში ცხოვრობდნენ, ყველაზე არასახარბიელო იყო, ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით", ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მათ მომავალი სამყარო წარმოედგინათ უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე განვლილი, ასეთ სიტუაციაში პრაქტი-

---

* თეოცენტრული ანუ მარადისობაზე ორიენტირებული აღმზრდელობითი სისტემა დაუპირისპირდა ანტიკური ეპოქის სოციოცენტრულ მიმართულებას.

კულად შეუძლებელი იყო სისტემატური პედაგოგიური პროგრამის შემუშავება. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ასეთი შეფასება არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან, სწორედ პირველ ქრისტიანებს ჰქონდათ ყველაზე აღმატებული მოძღვრება, რომელიც შემდგომში ქრისტიანული აღზრდის ქვაკუთხედად იქცა, ამიტომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდენდა კიდევ რაიმე პროგრამების შემუშავება.

ისტორიული ეპოქის მდგომარეობა, – ვ. იენჩის აზრით,–იმის ძირითადი მიზეზია, რომ ახალ აღთქმაში არ არსებობს „მეცნიერულ–რაციონალური პედაგოგიური ტრადიცია" (13. 194). მაგრამ ქრისტიანული თემის ჩაკეტილობამ და ღვთისმსახურებამ, მოძღვართა სისტემატური ქრისტოლოგიური გამოსვლების მოსმენა, საგალობლების ერთობლივი შესრულება, ცოდვების მიტევების მიზნით უფლისადმი ერთობლივი მიმართვები, აქცია ისეთ გარემოებებად, რომელთა მეშვეობით ყმაწვილ ქრისტიანებს სახარებისეული აღზრდა–განათლების მიღება შეეძლოთ (13. 75). ვერნერ იენჩმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თითქოს ახალ აღთქმაში არ გვხვდებოდეს სისტემურად აგებული დოგმატიკა და ეთიკა. მისი აზრით, აქ უპირატესად გხდება მოთხრობები ქრისტეზე, რომლებშიც იმის გაგების მცდელობაა, რომ კაცობრიობის არსებობას აზრობრივი დატვირთვა შესძინოს.

ვ. იენჩის შრომებმა ცხოველი ინტერესი და პოლემიკა გამოიწვია და უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მთელი ისტორიოგრაფიული ტრადიცია ჩამოყალიბდა (14). მისი შრომების ყურადღებით შესწავლამ მრავალი მეცნიერი მიიყვანა ასეთ დასკვნამდე, თუ ახალი აღთქმისთვის უცნობია რაციონალური სისტემატიზირებული პედაგოგიკური აზრი, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იმ დროს პედაგოგიკური აზრი, როგორც ასეთი არ არსებობდა (თუმცა, მართალია, რომ ახალ აღთქმაში არაა პედაგოგიკა თანამედროვე მეცნიერული გაგებით). მრავალწლიანი დისკუსიის შედეგები შეაჯამა გასული საუკუნის ბოლოს მკვლევარმა ვ. რებელმა წიგნში „პირველდაწყებითი ქრისტიანობა და პედაგოგიკა" (15).

ვ. რებელი ვ. იენჩის მთავარ შეცდომად თვლიდა შემდეგს, რომ „ახალ აღთქმაში პედაგოგიკის არსებობის" შესახებ წამოყენებული თეზისი იყო არა ანალიტიკური კვლევის შედეგი, არამედ წინასწარი გზავნილი. თავის წიგნში ვ. რებელმა ხაზი

გაუსვა პირველ ქრისტიანთა ისტორიის კვლევას, რომელსაც უსამართლოდ მცირე ყურადღება ეთმობოდა განათლების ისტორიის მკვლევართა მხრივ, რომლებიც თავიანთ მუშაობას, როგორც წესი, მოგვიანო ხანიდან იწყებდნენ. გასაზიარებელია ვ. რებელის ასეთი მოსაზრება, ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანია ადრეული ტექსტების შესწავლა და იმის შეცნობა, როგორი აღზრდა – განათლების და მენტალობის მატარებლებლები იყვნენ ახალი აღთქმის ეპოქის ადამიანები. ამისთვის საკმარისია ვაღიაროთ, რომ უძველესმა ქრისტიანობამ თავისი ცოდნა უმძიმეს კონფესიურ ბრძოლებში დაიცვა, მაგრამ ამაში მას „კლასიკური" პედაგოგიკა არ დახმარებია. გამარჯვება მხოლოდ რწმენის ერთგულებამ, გულწრფელმა ქადაგებამ, საერთო ლოცვებმა, შეცოდებათა მონანიება – აღსარებამ, ლიტურგიამ, საერთო საქრისტიანო რიტულების განუხრელმა აღსრულებამ და კონონიკური ტექსტებისადმი რუდუნებამ მოიტანა.

როგორი იყო პირველქრისტიანთა პედაგოგიკის შინაარსი, მისი ძირითადი თავისებურება, რომელმაც შეძლო თეოლოგიის „გადატანა" აღმზრდელობით განზომილებაში ? ჩვენ უნდა ვაღიაროთ,–წერდა ვ. რებელი,–რომ ის აღმსარებლობითი ფორმულები, რომლებიც მიიღეს თემის ერთმორწმუნეებმა (მაგალითად, 1კორ.15:3-11), იყო სასწავლო–პედაგოგიკური, რომ თეოლოგიის ასე თუ ისე „პედაგოგიზაცია" მოხდა. რადგან მას არ იღებდნენ მარტო ზრდასრულნი, ამდენად, იგი, ვინც მას ავრცელებდა, ამოდიოდა ბავშვთა „გაგების ჰორიზონტიდან". რამდენადაც ისინი ითვალისწინენდნენ ასეთ „ჰორიზონტს", იმდენად, ფლობდნენ ამა თუ იმ პედაგოგიურ ხერხს. საეკლესიო მსახურებაში სიმღერასა და გალობას იხსომებდნენ მათი პოეტური ფორმის და ემოციური მუხტის მეშვეობით (ფილ. 2:6-11). პირველქრისტიანთა შვილები უფროსებთან ერთად მღეროდნენ და განიცდიდნენ მას, რასაც ასრულენდნენ, ანუ სარწმუნოების ფორმულები მოქმედებდნენ კოგნიტურ*

---

* **კოგნიტური** – (ლათ. kognitio – ცოდნა, შეცნობა) მიმართულება, რომელიც ამერიკულ ფსიქოლოგიაში XX საუკუნის 50-60-იან წლებში წარმოიშვა ბიჰევიორიზმის საწინააღმდეგოდ; პიროვნების კოგნიტური თეორიის თანახმად, ყოველი ადამიანი მის გარემომცველ სამყაროს (მათ შორის საკუთარ თავს) აღიქვამს მისმიერ შექმნილი შემეცნებითი სისტემის - „პერსონალური კონსტრუქტორების" პრიზმას მიღმა.

დონეზე–უფროსთა შემეცნებაში, ხოლო სიმღერები–ბავშვებში, ემოციურ დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ აღთქმაში, მაინც საეჭვოა, მკვლევარმა მოიძიოს ინ-ფორმაცია ბავშვთა საეკლესიო მსახურების და სწავლების შესახებ. იმხანად არ იყო სასწავლო პროგრამებიც, რაც კა-ნონზომიერი იყო იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ღვთის სიტყვის სწავლებას, რაც უფლის განგებით წარიმართებოდა. ამის შესახებ მაცხოვარი ასეთ მითითებებს აძლევს მოწაფეებს: „ჯერ სახარება უნდა ექადაგოს ყველა ერს. როცა წაგიყვანენ გადასაცემად, ნუ იზრუნებთ წინასწარ, რა ილაპარაკოთ; არა-მედ, რაც იმ ჟამს მოგეცემათ, ის ილაპარაკეთ, ვინაიდან თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ სულიწმიდა" (მარკ. 13:10-11), ე.ი. მაცხოვარი უშვებს და სავალდებულოდ მიიჩნევს სწავლებას, მაგრამ მისი შინაარსის გარკვევა ადამიანის გადასაწყვეტი არ არის, იგი ღვთის განგებულებითაა გადაწყვეტილი.

ვ. რებელის და სხვა ავტორების მოსაზრებათა თანახმად, ახალი აღთქმა, როგორც ტექსტუალური კომპლექსი, შეიძლე-ბოდა განხილულიყო ამგვარადაც: .....სკოლის მასწავლებლის მოსაზრებები, მათი შედგენილი, გადამუშავებული და მათივე მეშვეობით გადაცემული სასწავლო მასალა. „ნებისმიერ შემთხვევაში, –წერდა ვ. რებელი,– ახალი აღთქმის გვერდით ან მის ჩრდილში, აშკარად გამოჩნდება სასკოლო მასწავ-ლებლის ფიგურა", მისი აზრით, ადრეული ქრისტიანობა იდეალურ აღმზრდელობით სფეროს წარმოადგენდა, სადაც ყველას ჰქონდა იდენტიფიკაციის საშუალება, თანაც ისე, რომ საერთო ცხოვრებიდან არ გაირიყებოდნენ და უკვე ზრდას-რული ინდივიდები საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილე-ბით" აგრძელებდნენ მოღვაწეობას. (15. 80). მიუღებელია ვ. რე-ბელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მასწავლებელი ჩარეულიყო სასწავლო მასალის არათუ შედგენაში, არამედ გადმუშავებაშიც, რადგან ასეთი რამ ქრისტიანული კა-ნონიკისთვის შეუწყნარებელი იქნებოდა, ამასვე ადასტურებს ახლახანს დამოწმებული მაცხოვრის სიტყვები (მარკ. 13:10-11). ის ვინც ახალ აღთქმას პედაგოგიურ ძეგლად მიჩნევს, აუ-ცილებლად უნდა დაებადოს კითხვა – როგორ მიმდინარეობდა მაშინ რეალურად რელიგიური სწავლება? უცხოელი სპეციალ-ისტები ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად იყენებენ როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ ანალიტიკურ მიდგომებს.

მაგალითად, იმის მიხედვით, როგორ იღებენ სახარების ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს თანამედროვე ბავშვები, ზოგიერთ თეოლოგს ამასთან დაკავშირებით [illegible] ასეთი მცდელობა, რომ სწორედ აქედან გამოიტანოს დასკვნა იმის შესახებ, როგორ შეძლებდნენ ახალი აღთქმის ტექსტების გაგება-შესწავლას ძველი ეპოქის ბავშვები. ამასთან დაკავშირებით აქვე ვიტყვით, რომ ასეთი მიდგომა სახარების ტექსტის მიმართ ძალიან საკამათოა. სხვა არატრადიციული მიდგომა ასეთია–დღევანდელობის რეკონსტრუირება ახალი აღთქმის ეპოქით: წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია იმ ეპოქის ბავშვების დანახვა. როგორ რეაგირებენ ისინი ამა თუ იმ მოვლენაზე, როგორ იზრდებოდნენ მოზარდები იმ ისტორიულ პირობებში თავიანთ თემებში და ბოლოს, როგორ შეეფარდებოდა გარემო პირობებს ფორმირების პროცესში მყოფი მოზარდი თაობა, ან თუ პოვა რამენაირი ასახვა ყოველივე ამან წმიდა წერილში ან „დიდაქეში". ახალი აღთქმის ტექსტის ისტორიული კონტექსტის ახსნის მცდელობისას, პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარი მიზნად ისახავს, კონკრეტულად გაარკვიოს, როგორ ხორციელდებოდა ადრექრისტიანულ ჯგუფებში ბავშვთა აღზრდა, როგორი პედაგოგიური საშუალებით გამოიყენებოდა მაშინდელი „პროტო თეოლოგია"* და როგორ გამოიყურებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმდროინდელი „სასწავლო გეგმა".

მსგავსი დასკვნების გამოტანის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების ქრისტიანული ანთროპოლოგიის სპეციალისტების მიერ საკმაო მუშაობა ჩატარდა. თუ გავითვალისწინებთ მრავალრიცხოვან ანოტაციებს, კომენტარებს და სახარების ტექსტების კვლევას. ამგვარ კვლევათა ერთი ნაწილი ქრისტოლოგიას განეკუთვნება, მეორე–ეთიკას, ხოლო მესამე, სოტეროლოგიას†. ამავე დროს ნებისმიერი გაანალიზებული ტექსტი შესაძლებელია (ასეც უნდა იყოს) პედაგოგიურად შეფასდეს. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ სახარება არა

---

* **პროტო** .....(ძვ. ბერძნ. პროტოს – პირველი) სიტყვის ნაწილი, რომელიც მიუთითებს: 1) პირველადობაზე, პირველ საფუძველზე, მაგ. პროტოტიპი; 2) უმაღლეს ხარისხზე. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება პირველი მნიშვნელობით

† **სოტეროლოგია**, (ბერძნულიდან – მაცხოვარი, სიტყვა) მოძღვრება ქრისტეზე, როგორც კაცობრიობის მხსნელზე.

მარტო თეოლოგიური მონათხრობი იყო, არამედ დიდაქტიკური ძეგლიც, ისეთი ტექსტი, რომელიც ატარებდა შეგონების, სულიერი ამაღლების, პროპედევტიკულ, მოწოდებით ანუ სწავლო ფუნქციას. სწორედ ასეთი ამოცანები დასახეს მარკოზმა და ლუკამ, მათემ და იოანემ. ყოველი მახარებელი თავისი „აუდიტორიისათვის", მრევლისთვის წერდა, რომლის დროსაც ითვალისწინებდა მკითხველის (მსენელის) შემადგენლობას, ვინ როგორ მიიღებდა და რა შედეგი ექნებოდა მაცხოვრის ისტორიის გადმოცემას.

მახარებელთა მიერ თემის (აუდიტორიის) განხილვა მნიშვნელოვან მიმართულებას შეადგენს ახალი აღთქმის ისტორიოგრაფიაში. იგი არსებითია რელიგიურ-ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ყოველ თემში (აუდიტორიაში) შეიძლებოდა ბავშვი ყოფილიყო. ისეთი ფაქტები – როგორც ბავშვთა აღთქმის პრობლემები და ზოგადად კანონების გათავისება - აკცეპტაციაა, კიდევ საფუძვლიან გააზრებას მოითხოვს მომავალში.

როგორც ზემოთ ითქვა, ახალ აღთქმაში ღმერთის და ქრისტეს წინაშე არ ფიქსირდება ბავშვის მდგომარეობა. მასში არ არის მითითება იმის თაობაზე, როგორ უნდა მიიღოს ბავშვმა საღმრთო მსახურებაში მონაწილეობა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახალი აღთქმის ტექსტიდან შეუძლებელია მკვლევარმა რაიმე დაადგინოს ბავშვთა ცხოვრების პირობების შესახებ. სწორედ ამიტომ, გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს შევადაროთ ცნებები „ახალი აღთქმის პედაგოგიკა" და „ახალი აღთქმისდროინდელი პედაგოგიკა". ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძვლების არსში წვდომა, რომელიც ახალ აღთქმაში აისახა, ვიდრე ახალი აღთქმის ეპოქის განათლების ამსახველი ეპიზოდების აღდგენა–ანალიზი, თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ამ უკანასკნელსაც აქვს. *ამიტომ მართებულად მიგვაჩნია, „ახალი აღთქმის პედაგოგიკა" დამკვიდრდეს ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძვლების აღმნიშვნელ ტერმინად.*

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში აღმზრდელები იშვიათად ან საერთოდ არ იწუხებდნენ თავს ქრისტეზე ფიქრით. ამას ამჯობინებდნენ ტრადიციული, ძველი აღთქმის წარმოდგენებს იმის შესახებ,

რომ მომავალი თაობა აუცილებელია აღიზარდოს რომელიმე ზნეობრივი კორდინატის სისტემაში. მკვლევარებმა მრავალჯერ აღნიშნეს, რომ ახალ აღთქმაში თვით სიტყვა (ქრისტეს კი ცნება) „აღზრდა" არ ფიქსირდებოდა (16). მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით 96 წელს დაუმატებიათ იგი. კერძოდ, მოციქულის პირველ წერილზე კორინთელთა მიმართ, რომის მესამე პაპს – კლიმენტის* გაუჩნდა ცნობილი ფორმულა: „თქვენმა ბავშვებმა მიიღონ აღზრდა ქრისტიანისაგან, გაუშვით ისწავლონ, ღმერთის წინაშე მორჩილება, რაც ნიშნავს ღმერთის (წინაშე) ძლიერ სიყვარულს. რა მშვენიერი და დიდებულია ყველას გამომხსნელი ღმერთის შიში" (21:8).

საფიქრებელია, რომ შემდგომში წარმოშობილი პედაგოგიური რეფლექსია, როგორც შედეგი, კერძოდ „მოსაზღვრე მდგომარეობა" ახალსა და ძველ აღთქმას და ანტიკურ აღმზრდელობით ტრადიციებთან, მოითხოვს საგანგებო კვლევას. ცნობილი მოვლენაა, რომ ქრისტიანობამ მოახდინა ძველი აღთქმის ერთღმერთიანობის ადაპტაცია („მოდით, ბავშვებო, მომისმინეთ მე: ღმერთის შიშს გასწავლით თქვენ" (ფს. 33:12) ან „გასწავლი შენ და დაგაყენებ სწორ გზაზე, რომლითაც ივლი, თვალს დავიჭერ შენზე" (ფს. 31:8) საბერძნეთ-რომის კულტურასა და განათლებასთან. მაგრამ ორივე ტრადიციის შეღწევის ხარისხი ახალი აღთქმის „ქსოვილში" ცხარე კამათის საგანს წარმოადგენს. თუკი ის ახლობელი გარემო, რომელშიც დაიბადა იესო, საერთოდ იყო ძველი აღთქმის გარემო, ბუნებრივია, მის ყოველდღიურ სოციალიზაციაში არანაკლები როლის შესრულება შეეძლო ელინისტურ სინამდვილესაც. ამდენად, ზოგიერთი რელიგიური ანთროპოლოგი ხშირად გვახსენებს, რომ ახალი აღთქმა „თავისუფალია" ბერძნული აღზრდის იდეებისაგან. მათი ოპონენტები მოვლენათა ცენტრში აყენებენ გარემოს, რომელშიც გაიზარდა იესო, ამ სახით აჩვენებენ მის შევსებას ანტიკური კულტურისა და განათლების ელემენტებით და მის განსაკუთრებულ კულტს, რაც სათნოებად მიიჩნევა. ამგვარ მიდგომებთან დაკავშირებით ხაზი უნდა

---

* რომის ეპისკოპოსი წმიდა კლიმენტი (92–101) მოწამებრივად აღესრულა ტრაიანეს დროს. მის ეპისტოლეებს იმდენად პატივს სცემდნენ უძველეს ეკლესიებში, რომ მათ კითხულობდნენ ღვთისმსახურებისას მოციქულთა წიგნების გვერდით. დაუზუსტებული ცნობებით წმ. კლიმენტის კიდევ რამდენიმე თხზულება მიეწერება.

გავსვას იმ გარემოებას, რომ ასეთი გნოსტიკური ოპუსები ობიექტურ სურათს ვერ დაგვიხატავს, რადგან საერო პედაგოგიკაში მიღებული ემპირიზმის თეორია ამქვეყნიური შეწიერი ადამიანების ცხოვრებასა და აღზრდას ასახავს, ამიტომ გარემო პირობების გავლენა, თუნდაც ანტიკური განათლების როლი იესო ქრისტეს ჩამოყალიბებაში, მისი ნატურალისტური გამოვლენით, მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვექნებოდა არა ღმერთის ძეზე, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავზე. ამიტომ, როცა ღვთიურ განგებულებაზე ვმსჯელობთ, უკანა პლანზე უნდა გადავწიოთ მატერიალისტური წიაღსვლები, რომლებიც ზოგჯერ გაიელვებს ახალი აღთქმის პედაგოგიკის მკვლევართა შეხედულებებში.

პედაგოგიკის მკვლევართთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ***იესო ქრისტეს პიროვნება, როგორც მასწავლებლისა და ასევე მისი პედაგოგიური მეთოდის შედგენილობა.***

იესო ქრისტეს პიროვნებას კვლევითი თვალსაზრისითაც განსაკუთრებული მიმზიდველობა ახლავს, რადგან მასში თავს იყრის აშკარა და ფარული პრობლემების მთელი ჯაჭვი. მაცხოვართან არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრებაც და სიკვდილიც, ამიტომ საკითხების წრეც უკიდეგანოა, თუმცა ჩვენ გამოვყოფდით რელიგიურ – ისტორიულ (ბავშვობის ისტორია, აღზრდის ისტორია) ასპექტებს. მათ შორის დავასახელებთ პრობლემის ისეთ მხარეებს, როგორიცაა: იესოს ბავშვობა, რომელმაც (მოზარდი იესოს) გავლენა მოახდინა შემდგომ კულტურულ – პედაგოგიურ ტრადიციაზე; სწავლება (სოციალიზაცია) ღმერთკაცისა, მისი განათლების მნიშვნელობა, სწავლა-განათლების გავლენა იესო ქრისტეს ქადაგებების ხასიათზე (იდეებზე). იესო ქრისტეს, როგორც პედაგოგის და მასწავლებლის პიროვნული თვისებები, მასთან კავშირში–მასწავლებლობის და ბრძენი მასწავლებლის ტრადიციის შესწავლა, როგორც ქრისტემდე, ისე მის თანამედროვეობაში. აუცილებელი და შესაძლებელიც არის ერთმანეთს შევუდაროთ მასწავლებლის როლი და ადგილი ელინურ და იუდაისტურ სამყაროში, ჩავწვდეთ ისეთი დეფინიციების მნიშვნელობას, როგორიცაა „მასწავლებელი" და მასთან დაკავშირებული ტერმინები („დამრიგებელი", „მოძღვარი", „სასკოლო დამრიგებელი").

ქრისტოლოგიის თვალსაზრისით, ახალი აღთქმის ტექსტის შესწავლისას, მკვლევარი ვერ გაექცევა სამეცნიერო მუშაობისათვის ტრადიციულ კითხვას „სწავლების საგნის" შესახებ, იმას თუ რა ჩაითვალოს ამად: იესო ქრისტეს პიროვნება და მსოფლაღთქმა მის ჯვარცმამდე და აღდგომამდე თუ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე – მესიის ცხოვრება და ქმნილებანი ? მათთან კავშირში შესაძლებელია თუ არა რეალური იესოს პიროვნების ახსნა, რომ აღზრდის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია – მასწავლებლის რეალური სახე, მთელი მისი მრავალწახნაგოვნებით ? ასეთ კითხვებზე პასუხისთვის მკვლევარი ჩვეულებრივ იმ რეგიონის კონტექსტს მიმართავს, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნაზარეთელი წინასწარმეტყველი. ძალიან ხშირად უძველეს მოძღვრებად და მაცხოვრის რეალურ სახედ მიიღება ისეთი ინტერპრეტაციები, რომლებიც საეკლესიო ტრადიციამ მოგვიანებით ჩამოაყალიბა. ამიტომ პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარი ვერ გაექცევა კითხვას იმის შესახებ: ასწავლიდა პირადად იესო, თუ ქდაგებებში ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრება ? ამასთან ერთად ასეთი კითხვაც იბადება: ვის ეკუთვნის ის ტექსტი, რომელიც გვიხატავს იესოს სამასწავლებლო საქმიანობას ? ავთენტურია იგი იესოსთან თუ უფრო გვიანი პერიოდისაა, როცა პალესტინაში და მის გარეთ ქრისტიანობის გავრცელების პირობებში გაიზარდა ეკლესიის სამოძღვრო ტრადიციისადმი მოთხოვნილება თვით პირველწყარომდე–იესო ქრისტემდე ?

მკვლევართა უმრავლესობა იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომ იესო ქრისტე პირადად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და აღმზრდელობითი ხასიათის ძირითადი სიტყვები და დარიგებები სწორედ მას ეკუთვნის, თუმცა მათაც განიცადეს ცვლილებები და ინტერპოლაცია. არავინ უარყოფს ჯერ კიდევ მრავალი გადაუწყვეტელი და სადავო საკითხის არსებობას, მაგალითად: მემკვიდრეობის ბედის, ტრადიციის თუ ტრადიციების შესახებ; ე. წ. „მოციქულთა კოლეგიის" რედაქტირებული და „ცენტრალიზებული" მოძღვრების შესახებ; ტრადიციის და სულის შეფარდების შესახებ წამოჭრილ პრობლემებს, რაც დაკავშირებულია პირველადი მოძღვრების ტექსტის ცვლილებებთან, მაგალითად, მოციქულ პავლესთან მიმართებაში.

ზოგიერთი ავტორი ამ საკითხებზე მსჯელობისას ხაზს უსვამს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ცოდნის გადაცემის პრაქტიკის თვალსაზრისით, ქრისტიანულ და იუდაიზტურ ტრადიციებში. პროტოქრისტიანულ და ადრექრიტიანულ გარემოში იდეების გავრცელება „მექანიკურად" არ ხდებოდა, არამედ მას განსაკუთრებული ფსიქოფიზიკური ფონი ჰქონდა. ასე ფიქრობენ რიგი ავტორებისა, თუ მათ შეხედულებებს მეცნიერულ-ანალიტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, ალბათ მოგვიწევს უკვე აღნიშნული „იდეების გადაცემის" განხილვა, როგორც პირდაპირი ზემოქმედება აუდიტორიაზე (ხალხზე, მრევლზე), ვეცადოთ დავინახოთ ამგვარი მასწავლებლობის სპეციფიკა, რომელსაც მიმართავდა არა ჩვეულებრივი პიროვნება, არამედ თვით ღვთის ძე, იესო ქრისტე. მკვლევარს ასეთი ანალიზისას უნდა ახსოვდეს, რომ სწავლება მოციქულთა მსახურების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, მოციქულთა და მასწავლებელთა წილი ახალი მოძღვრების გაცხადების პირველ ათწლეულში მკაცრად გამიჯნული არ იყო (ეს მოხდა შემდეგ, მოგვიანო ხანის საღვთო წერილებში, როცა „მასწავლებლობა" ნამდვილად გახდა წოდება და არა ფუნქცია). სწორედ ამიტომ, მკვლევარი ედუკოლოგი* ამოცანად ისახავს დაადგინოს, იმ უძველეს დროში, როგორი მეთოდები და მიდგომები არსებობდა სწავლებაში, შეიძლება ასეთი ინფორმაცია საკმაოდ აღმოჩნდეს სახარების ტექსტებში: უძველესი ტექსტების თანახმად, მოციქულები სწორედ მასწავლებლებად გვევლინებიან, ხოლო მასწავლებლები, თუმცა ისინი განსხვავდებიან მოციქულებისაგან, თავიანთი ფუნქციით და მდგომარეობით ძალიან ახლოს დგანან მათთან (1 კორ. 4:17; კოლ. 2:17; ეფეს. 2:15; ეფეს. 4:6; რომ. 6:17; 16:17).

თანამედროვე თეოლოგთა შრომების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათში სათანადოდ არ არის ასახული შეგონებისა და სწავლების ხერხების ტრასფორმაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა იესოს საქმის გამგრძელებელთა ანუ მოციქულთა და მოწაფეთა საქმინობაში. ედუკოლოგისათვის ასე მნიშვნელოვანი დამრიგებლობის (მოძღვრების) მეთოდი უყ-

---

* **ლათ. educatio – აღზრდა, საგანმანათლებლო; ედიცია** (ლათ. editio – გამოცემა) ტექსტის სამეცნიერო გამოცემა, ტექსტოლოგიის ერთერთი გამოყენებითი მხარე, ძირითადად გამოიყენება კლასიკოსების ნაწარმოებებთან, ისტორიულ, ლინგვისტურ წყაროებთან და დოკუმენტებთან დაკავშირებით.

ურადღებოდ დარჩა, იმის მიუხედავად, რომ ახალი აღთქმის ტექსტების შესწავლას მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიცია აქვს. მათეს სახარებაში აშკარად შეინიშნება ტექსტის ინტერპრეტაციის მცდელობა „სკოლის" და „მასწავლებლის" სულისკვეთებით. მაგრამ ისმის კითხვა: -ახალი აღთქმის ტექსტის ინტერპრეტაცია გამოიწვია თუ არა ადრექრისტიანული კატეხიზმოს ტრადიციულმა თანმიმდევრობამ (რაც ცოდნის გადაცემის პროცესს ნიშნავდა). იგი კვლავ საკამათოდ არის მიჩნეული ახალი აღთქმის ტექსტის, როგორც აღმზრდელობითი ძეგლის ანალიზისას.

დასავლეთ ევროპელ მკვლევართა შრომებში გამოირჩევა ისეთებიც, რომლებიც განიხილავენ იესო ქრისტეს მოღვაწეობას პედაგოგიურ სარბიელზე, ამათგან გამორჩეული ადგილი უჭირავს რ. რისნერის წიგნს „იესო როგორც მასწავლებელი" (17). იგი წარმოადგენს ახალი ერის პირველი საუკუნის იუდაისტური საგანმანათლებლო ინსტიტუტების სიღრმისეულ გამოკვლევას, რომელშიც რეკონსტრუირებულია შესაძლებელი საგანმანათლებლო სივრცის რაღაც „ჩარჩოები", რომელიც შეიძლება იმ დროში შექმნილიყო იესო ნაზარეთელის მიერ, იმის მიუხედავად, იესოს რომც არ ჰქონოდა „რაბინის პროფესიული მომზადება, იგი, - აღნიშნავს მკვლევარი, - მსაჯულად გვევლინება, მან „იცოდა თორა, იმდენად კარგად, რომ თავისუფლად მართავდა დისკუსიებს მწიგნობრებთან და ფარისევლებთან", რომლებიც რაბინების წინამორბედები იყვნენ (ისინი მოღვაწეობდნენ I–III საუკუნეებში, ზეპირად სწავლობდნენ თორას). განათლების ისტორიის მკვლევარმა შეიძლება ბევრი რამ საინტერესო მოიპოვოს რ. რისნერის ნაშრომში. რამდენადაც მას გაანალიზებული აქვს არა მარტო იესო ნაზარეველის მიერ ბერძნული რიტორიკული ფორმების ფლობის საკითხები, არამედ მნემოტექნიკის* ცოდნის საინტერესო მომენტებიც (მნემოტექნიკა–მეხსიერების განვითარების და განმტკიცების ტექნიკა). რაც შეეხება „მასწავლებლის" იმდროინდელ განსაზღვრებას, იგი იმდენად ნაცნობია არამარტო თანამედროვე მკვლევართათვის, არამედ ნების-

---

* **მნემოტექნიკა** (ძვ. ბერძნ. – დამახსოვრების ხელოვნება) ხერხებისა და საშუალეების ერთობლიობა, რომელიც აიოლებს დამახსოვრებას და ხელს უწყობს გონების მოცულობის ზრდას ხელოვნური ასოციაციების შექმნის გზით.

მიერი მორწმუნისათვის და იმდენად ხშირად გამოიყენება სახარებაში, ეჭვს არ უნდა იწვევდეს მისი პირველადი დანიშნულება, თუმცა გამორიცხული არ არის მისი მესიასთან კავშირი.

აღნიშნულს შეიძლება დავუმატოთ შემდეგი, რომ იესოს სიტყვათა გადმოცემა, მის მიმართ მოწაფეთა განსაკუთრებული დამოკიდებულება, იმის საფუძვლიანი ნიშანია, რომ თვით იესო იყო მისი ზეპირი მოძღვრების გავრცელების მოსურნე. საინტერესო იქნება, სპეციალურად იქნეს გამოკვლეული იესოს სიტყვათა აგებულება და შინაარსი, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს იმ განსაკუთრებულ ხერხებს, რომლებიც ააქტიურებს მსმენელის მეხსიერებას და ხასიათდება განსკუთრებული რიტმით, „მეტრით", განმეორებებით, პარალელიზმებით და ა. შ., რომლებიც მის მიერ გამოიყენებოდა. რამდენადაც ასეთ კვლევას შეუძლია თანამედროვე ედუკოლოგიური ცოდნის გამდიდრება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ფოლკლორისგან განსხვავებით (განსკუთრებით – ეპოსი), იესოს ტექსტებმა შემოინახა იგავური სისხარტე, თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, აფორისტულობა და ამით განამტკიცა თავისებური „სასწავლო მუხტი", სწორედ ამგვარი თვისებები ეხმარებოდა იესოს მოწაფეებს მოძღვრების გადაცემაში. მასწავლებელთა მიერ იგავური ფორმის გამოყენებამ ხელი შეუწყო, სხვადასხვა მისწრაფებების ადამიანთა გულებში ახალი მოძღვრების მცნებათა დამკვიდრებას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამგვარი მოკლე სიტყვების წერილობითი გადაცემა სკოლის ჩარჩოებში, შესაძლებელია, იესოს სიცოცხლეშივე დაიწყო, ან მისი სიკვდილის და აღდგომისთანავე.

ახალი აღთქმის სამყაროს ისტორიის სოციალიზაციისათვის არანაკლებ საინტერესოა იესოს როგორც მასწავლებლის აღქმა, მასთან შესაბამისი დამოკიდებულების ისტორია. იგი აისახება არა მხოლოდ ახალ აღთქმაში, არამედ უძველესი იუდეის გამოჩენილი პალესტინელის ი. ფლავიუსის (37–დაახლ. 100) ნაწერებშიც, რომელიც იესოს მიიჩნევდა „იმ ადამიანთა მოძღვრად, რომლებიც ხალისით ითვისებდნენ ჭეშმარიტებას" (18. 300). მან დაინახა იესოში, რომელიღაც „ელინელი მასწავლებლის სათნო" თვისებები და ყოველნაირად უსვამდა ხაზს ქრისტეს სამოძღვრო-აღმზრდელობითი მოღვაწეობის ეფექტურობას.

თანამედროვე რელიგიურ-ანთროპოლოგიურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებულ მიმართულებას შეადგენენ ისეთი შრომები, რომლებშიც იკვლევდნენ ჯ. ფ. „იესოს სკოლების" არსებობის პრობლემებს. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში შეასრულა ამერიკელმა მეცნიერმა რ.ა.კულპეპერმა, რომელმაც ანტიკური სამყაროს მთელი რიგი სკოლების ისტორია გააანალიზა (პითაგორას სკოლა და პლატონის აკადემია, არისტოტელეს ლიკეი და ეპიკურეს ბაღი, კურმანის სკოლა და სტოა, ფილონის სახლი – ალექსანდრიაში და გალილეის - პალესტინაში) და განსაკუთრებით გამოყო „იესოს სკოლა". მასში მეცნიერი გულისხმობდა მოძღვრის ირგვლივ შემოკრებილ ინდივიდთა ჯგუფს ან წრეს (თემი, სარწმუნოების შემსწავლელი საზოგადოება და ა.შ.). ასეთი ჯგუფებისათვის პირველდაწყებითი საქმიანობის ფორმებად გამოდიოდა სწავლება, მასწავლებლის მემკვიდრეობის და სიტყვების შესწავლა, მისი თაყვანისცემა (ღმრთისმსახურება), მისი სიტყვების გადაწერა და სხვა. ამიტომ ასეთი სახის გაერთიანება აუცილებლად უნდა ყოფილიყო. მნიშვნელოვანია მათი არსებობა და არა სახელი, შეიძლება მას ერქვა სკოლა ან „სკოლისმაგვარი გაერთიანება" (19.51). თუკი ს.ს.ავერინცევი შუა საუკუნეების კულტურის მიმართ იყენებს გამოთქმას „სამყარო როგორც სკოლა", მხედველობაში აქვს ადამიანის მიზანსწრაფვა სამყაროს იმდროინდელი ინტერპრეტაციის მიმართ, უფრო რომ დავაზუსტოთ, სამყაროს ისეთი წარმოსახვა, როგორიც ჩამოყალიბდა ღმერთის მიერ ქვის ორ ფიცარზე დაწერილ მოსეს რჯულში (20). მაინც, შედარებით პროტო და ადრექრისტიანული დროის თემებს შეეძლოთ გამოეყენებინათ ფორმულა: „თემი როგორც სკოლა", რამდენადაც თვით თემის შიგნით ახალი ერის I საუკუნეში მიმდინარეობდა ქრისტიანული აღზრდის ძირითადი პროცესები.

იესოს მოწაფეები და მიმდევრები, მკვლევარ რ.ა.კულპერის აზრით, უდავოდ „სკოლას" წაროადგენდა, იესო – მასწავლებელმა უბრალოდ ხომ არ შეკრიბა მოწაფეები, არამედ ასწავლიდა მათ, როგორც ტრადიციის ფუძემდებელი და სიძველის პატივისმცემელი, რომელმაც თავისი მოძღვრება გადასცა სახარებით, რომლის ტექსტშიც მოხდა მისი სიტყვების და საქმეების ფიქსაცია. სწორედ ის წყაროები, რომლებშიც აისახა იესოს პედაგოგიური საქმიანობა, დროის თვალსაზრისით

ძალიან ახლოს დგანან იესოს ცხოვრებასთან, ვიდრე სხვა უძველესი სკოლების დამაარსებელთა შესახებ არსებული წყაროები (21). ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ გამონაკლისია ეპიქტეტის* და კურმანის სამართლიანობის მასწავლებლები. მეცნიერებს სწორედ აქედან გამოჰქონდათ დასკვნები, რომ ახალი აღთქმის ტექსტები მოგვითხრობენ მოძღვრების (დამრიგებლობის) კონკრეტული პრაქტიკის შესახებ, რომელშიც მოსწავლეთა სწავლება მიმდინარეობდა არა იმდენად, რაღაც „პროგრამის" საფუძველზე, რამდენადაც მასწავლებლის შეხედულებისამებრ, რომელსაც უზენაესთან სულიერი კავშირი განაპირობებდა. დამრიგებლობის სწავლება იესოს მსახურების ინტეგრალური ნაწილი იყო. სწორედ ამიტომ, ქრისტე სახარებაში იხსენება სიტყვით „რაბი", თანაც ეს შეინიშნება უძველესი ტექსტების შრეებში (21. 226).

რა ვითარებაში მიმდინარეობდა ბავშვების და მოზარდების დამრიგებლობა-სწავლება ჩვენს მიერ განსახილველ პერიოდში? მკლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ იესო სინაგოგებში იჯდა და ასწავლიდა, კონკრეტულად კი იერუსალიმის ტაძარში და კაპერნაუმში – სახლში: „...ამას ამბობდა

---

* **ეპიქტეტი** (დაახლ. 50–138 წწ.) – რომაული სტოიციზმის წარმომადგენელი, წარმოშობით მონა. მისი მოძღვრება ჩაიწერა არიანემ, ჩვენამდე მოაღწიეს „ეპიქტეტის" მსჯელობებმა და სხვ. თხზულებებმა. ეპიქტეტის მოძღვრება იყოფა ფიზიკად, ლოგიკად და ეთიკად. ეპიქტეტის მოძღვრების მთელი პათოსი ეთიკაშია, სახელდობრ, შინაგანი თავისუფლების ქადაგებაში. ის ამტკიცებს, რომ ბატონი შეიძლება თავისი ვნებების მონა იყოს, მონა კი თავისუფალია თავისი შინაგანი სულიერი დამოუკიდებლობით,. მაგრამ ეს თავისუფლება სამყაროს გარდაქმნით არ მიიღწევა. არა თვით საგნები, არამედ მათზე შეხედულებები ხდიან ადამიანს ბედნიერად, სიკეთე და ბოროტება საგნებში არ არის, არამედ ჩვენს მათდამი დამოკიდებულებაში, ამიტომ, ბედნიერი ვიქნებით თუ არა, ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, ეპიქტეტის ზოგიერთი დებულება გაიზიარა ქრისტიანობამ. კერძოდ, აღმზრდელი ღმერთის ნების აღმსრულებელია, იგი მოძღვარიც არის და მასწავლებელიც, ამიტომ მან არა მარტო სხვას უნდა უქადაგოს ზნეობა, არამედ თვითონაც იყოს ზნეობრივი. ჭეშმარიტმა აღმზრდელმა უარი უნდა თქვას ცოლ-შვილზე და პირად ქონებაზე, მისივე აღზრდილები იგივე შვილები იქნებიან. აღმზრდელის ყველაზე დიდი ჯილდო კარგად აღზრდილი თაობა არის: „გაცილებით მეტი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას მათ, ვინც ორი ან სამი მტირალა ბავშვი მისცა ქვეყანას, თუ მათ, ვინც ბევრი ადამიანი აღზარდა". უპირველესი პედაგოგი ღმერთია, ხოლო აღმზრდელი მისი ნების შემსრულებელია. ბავშვების აღზრდაში ეპიქტეტი პასუხისმგებლობას მშობლებს აკისრებს.

სინაგოგაში, როცა კაპერნაუმში ასწავლიდა" (იოან. 6:59), სწორედ იმგვარად, როგორც ამას შემდგომში აკეთებდნენ რაბინები (22. 58). ზოგიერთი ისტორიკოსი (უ. დეგისი) იმასაც ამბობს, რომ კაპერნაუმის სახლის ბერძნული სახელწოდება - „ოიკომი" – სემიტურ თარგმანში არის „ბეთ", რომელიც გამოიყენება სწორედ სკოლის აღსანიშნავად, თანაც უფრო ორგანიზაციული გაგებით, ვიდრე არქიტექტურული თვალსაზრისით (მაგალითად, „ბეთ გალილეა" – სახელგანთქმული გალილეის სკოლა). ასეთი მსჯელობა საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ „ბეთ იესოზე" – რაც იესოს სკოლის შესატყვისი იქნებოდა. წარმოდგენილი კვლევის შედეგების კომენტირებისას, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ სწავლების პირობები და ხერხები, რომელშიც სწავლება მიმდინარეობდა, იმ ეპოქისათვის არ იყო ჩვეულებრივი. ერთობ უცნაურია ებრაელი მასწავლებლებისათვის, მაგრამ ჩვეულებრივია ბერძნებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სტოიკოსების და კინიკების* – სამასწავლებლო მოღვაწეობა, რომლებიც იმითაც

---

* 1. **სტოიკოსები** – ძველბერძნული ფილოსოფიური მოძღვრების წარმომადგენლები, რომელიც წარმოიშვა IV საუკუნის ბოლოს ძვ. წ. აღრიცხვით ელინისტური კულტურის ბაზაზე, კოსმოპოლიტური და ინდივიდუალისტური იდეების გავრცელებისა და მათემატიკური ცოდნის საფუძველზე ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით. სტოელთა სკოლის ძირითადი წარმომადგენლებია ზენონი და ქრიზიპოსი (ძვ. წ. აღღიცხვით IV–III საუკუნეები). ფინიკიელმა ზენონმა ათენში დაიწყო სამასწავლებლო მოღვაწეობა. თავისი მოწაფეები შემოიკრიბა ჭრელად მოხატულ სვეტებიან დარბაზში – სტოაში და ხელი მიჰყო ფილოსოფიის სწავლებას. სასწავლებლის ადგილის შესაბამისად მათ სტოიკოსები ეწოდათ. მათ წმოაყენეს ბრძენის აღზრდის იდეალი, რომელიც გონების კარნახით აკონტროლებს ადამიანურ მისწრაფებებს. მათი აზრით, მხოლოდ ბრძენი შეიძლება იყოს მდიდარი და თავისუფალი, ხოლო სიმდიდრე და თავისუფლება ბუნებასთან, საკუთარ თავთან და მსოფლიო გონებასთან ანუ ლოგოსთან ურთიერთობით გვეძლევა. ლოგოსი არის ყოველივეს წარმმართველი. იგი ზნეობასაც მართავს და ვნებებს თრგუნავს. ადამიანი უნდა ესწრაფოდეს ისეთ სათნოებებს, როგორიცაა: გონება, სამართლიანობა, ზომიერება და სიმამაცე. მეცნიერების როლისა და ადგილის შესახებ სტოელებმა ასეთი მიმდევრობა ჩამოაყალიბეს: ლოგიკა ზღუდეა, ფიზიკა – ნაყოფიერი ნიადაგი, ეთიკა – მისი ნაყოფი. ფილოსოფიის მთავარი ამოცანა ეთიკაშია; ცოდნა მხოლოდ სიბრძნის, ცხოვრების უნარის მოპოვების საშუალებაა. უნდა იცხოვრო ბუნების შესაბამისად. სტოიციზმს მიმდევრები გამოუჩნდნენ რომის იმპერიაში ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. შემუშავდა სტოიციზმის მორალური პრინციპები, რომელთა საფუძველს რელიგიური ფილოსოფია განსაზღვრავდა. ამ ეპოქის სტიკოსებიდან აღსანიშნავია სენეკა, მუსონიუს რუფი, ეპიქტეტი და მარკუს ავრელიუსი.

გამოირჩეოდნენ ძველი ებრაული სისტემისგან, რომ აქ სწავლება შემოუსაზღვრავ ცოცხალ გარემოში, „ზღვასთან" და „მთებში' მიმდინარეობდა, ასეთი რამ მრავალგზის არის დაფიქსირებული იესო ქრისტესთან (ლუკ. 5:3), როცა მოწაფეებს ასწავლიან სეირნობისას, აგრეთვე „მასის" თანდასწრებითაც.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, იესო ქრისტეს მიერ გამოყენებული სწავლებისა და აღზრდის მეთოდები არაა წინააღმდეგობრივი და აშკარად თავსდება მაშინდელ (რომელიმე) რელიგიურ ტრადიციაში. აკი ქრისტე თავად უსვამდა ხაზს მისთვის ებრაული მოძღვრებისა და მცნებების ცოდნის მნიშვნელობას, მაგრამ მან საკუთარი თავი გამოყო ისრაელის წინამორბედი მასწავლებლებისაგან და თავისი ღვთიური ავტორიტეტით წინ აღუდგა მათ (ეს ვერ გადაწყვიტეს და არ შეეძლოთ გაეკეთებინათ მოძღვრებს სინაგოგებში, რამდენადაც ისინი ასწავლიდნენ ებრაელთა ერთ-ერთი მოძღვრის იახვეს სახელით). იესო ავტორიტეტულად აცხადებდა, რომ იგი ასწავლიდა, როგორც მისი ღვთიური მამის სახელით, ისე თავისი სახელით. ამდენად, პედაგოგიკის მკვლევარი, მასწავლებელს განიხილავს ცენტრალურ ფიგურად, ამავე დროს ინფორმაციის წყაროდ და არა მხოლოდ მექანიკურ გადამცემად. ქადაგებებში იესო არ ახსენებს მის წინამორმოდებს (იოანე ნათლისმცემლის გარდა), არ იმოწმებს იუდეველ და ანტიკურ ავტორიტეტებს. ამდენად, მისი მხრიდან ასეთი „ანგარიშგაუწევლობა" და „აუღიარებლობა" გარდაისახა, როგორც პედაგოგიკის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ თვისებად: იგი ასწავლიდა როგორც არსებული ხელისუფლება და ავტორიტეტი (მათ. 7:8; მარკ. 1:21-22; ლუკ. 4:31-32) და ამას აკეთებდა, თანაც

---

1. **კინიკები** – ძველბერძნული ფილოსოფიური (სოკრატული) სკოლის წარმომადგენლები, ანტისთენეს მიმდევრები. ბედნიერებისა და სათნოების საფუძვლად ისინი მიიჩნევდნენ საზოგადოებრივ ნორმათა უგულებელყოფას. ისინი უარს ამბობდნენ სიმდიდრეზე, პირად განდიდებაზე და ქონებაზე. კინიკების ცნობილი წარმომადგენელი და მიმდევარი იყო დიოგენე, რომელიც კასრში ცხოვრობდა, ამით ის ინარჩუნებდა აბსოლიტურ დამოუკიდებლობას. მათი აღმზრდელობითი სისტემა ბუნებასთან თანაზიარობაში მდგომარეობს, ხოლო ყველაზე სრულყოფილ სათნოებას ბუნება წარმოშობს. დადგენილი კანონები და მატერიალური დოვლათი თრგუნავს ადამიანის შესაძლებლობებს და ხელს უშლის სათნოების ჩამოყალიბებას. ასეთია მოკლედ კინიკების აღმზრდელობითი დოქტრინა.)

ისეთი ავტორიტეტი, რომელიც ბევრად აღემატებოდა მწიგნობრების, მწერლების (არა პირდაპირი, არამედ ფართო მნიშვნელობით), გრამატიკოსების და საერთოდ წერა-კითხვის მცოდნეთა ანალოგიურ ავტორიტეტს, რაც „ახალი ტიპის მოძღვრს" ნიშნავდა.

მოძღვრების პრობლემაზე ფიქრი დღის წესრიგში აყენებს ისეთი საკითხების საგანგებოდ კვლევას, როგორიცაა: იესოს მიმართვები ბავშვებისადმი და მათი როლი სამყაროში, საზოგადოებაში; ჩვეულებრივ მორწმუნეთა შედარება ბავშვებთან, ხოლო ზოგადად ადამიანების - „უფლის ძესთან"; მამაღმერთის არა მარტო ფიზიკურ მამად მიჩნევა, არამედ პედაგოგად, მთელი სამყაროს აღმზრდელად და სხვა. მაგრამ იესოს დამოკიდებულებას ასეთ საკითხებთან არ აქვს დიდი ისტორიოგაფიული ტრადიცია, რადგანაც ტრადიციული რელიგიით ისტორიაში ბავშვთა სახეების იესოსთან განხილვა მეორეხარისხოვნად ითვლებოდა, მხოლოდ ჰუმანიტარული და უფრო კონკრეტულად, დასავლეთის ისტორიულ მეცნიერებებში „ისტორიის ბავშვობის" თემებში (დაახლოებით 1960 წლიდან), საკუთრივ „ბავშვობის თემის" მიმართ, თეოლოგიაში და რელიგიის ისტორიაში განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი, თანაც იმდენად, რომ პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოჩნდა ისეთი გამოცემები, რომლებსაც, თუ კურიოზულს არა, სხვას ვერაფერს უწოდებ. მათში იესო იმგვარად არის წარმოდგენილი, ისეთივე ბავშვების მოყვარულად და მათ მეგობრად, როგორც საბჭოთა ლიტერატურაში ბავშვებისათვის ხატავდნენ „ძია ლენინს" (23). სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები სწორედ მაშინ იჩენენ თავს, როცა მკვლევარი რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჯიუტად ცდილობს მის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის დამტკიცებას. არადა, სულიერების სფეროს კვლევა მეტად სპეციფიკურია და გარდა იმისა, რომ მისი შედეგები პრობლემის ძირფესვიან ანალიზს უნდა ეფუძვნებოდეს, მას რწმენაში განმტკიცებული პიროვნება უნდა წარმართავდეს. ასეთ მიდგომებს რომ ჰქონოდა ადგილი, ზემოხსენებულ კურიოზამდე და აქედან გამომდინარე, მკრეხელურ პარალელამდეც არ მივიდოდნენ.

ახალი აღთქმის ტექსტების მკვლევარებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ სახარების ყურადღებით წაკითხვა საშუალებას იძლევა იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ იესომ ბავშვებს

წარმოუდგენლად მაღალი სტატუსი მიაკუთვნა (მთელი ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციასთან შედარებით), და არ შეგვება მათ ჩაგრულ მდგომარეობას, არამედ გამოიყენა-ძალი-ცალი, როგორც მეტაფორა უფლის მეუფების აღსანიშნავად: ცნობილი ფორმულა: „იყავით ისეთი, როგორიც ბავშვია" დღემდე არ კარგავს აქტუალობას პედაგოგიურ სივრცეში. იესოს მემკვიდრეობის კარდინალურ მნიშვნელობაზე პედაგოგიკის ისტორიაში, ტექნოლოგიაში და ხელოვნებაში არა მხოლოდ პედაგოგიკის მკვლევარები ლაპარაკობენ, არამედ ისტორიკოსებიც აღნიშნავენ საფუძვლიან ცვლილებებს ბავშვებთან დამოკიდებულებაში, რომელიც ქრისტიანობის და ჩვილი იესოს გავლენით მოხდა და ამაღლდა ადამიანის სულის ისეთ შინაგან მდგომარეობამდე, რომელმაც შემდგომში „ბავშვობა" – სამართლიანობის და შეურყვნელობის სინონიმად აქცია.

მოწაფეობის პედაგოგიკამ ახალ აღთქმაში თვისობრივად განსხვავებული დატვირთვა შეიძინა მანამდე არსებული პედაგოგიური სისტემებისაგან. მასში უმნიშვნელოვანესი როლი მოძღვარსა და მოწაფეს შორის ურთიერთობას უჭირავს, რომლის დროსაც გადამწყვეტი სწავლების დიალოგური ფორმაა, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის წინ მიაქციეს ყურადღება.

სახარების ტექსტებში იესოს დიალოგური ფორმებისა და გამონათქვამების პირველადი კლასიფიკაცია ევროპაში დიდი ხანია გააკეთეს (24.39). ისინი სრულად თავსდება ჩვეულებრივი სკოლის მუშაობაში, როგორებიც იმხანად იყო აღმოსავლეთის საბერძნეთ–რომის ქრისტიანულ თემებში (25.29). შესაძლებელია სწორედ ამიტომაც, მათე და მარკოზ მახარებლებლებმა თავიანთ ტექსტებში ხაზი გაუსვეს იესოს სამასწავლებლო საქმიანობას, დაწვრილებით აღწერეს მოწაფეობის ბუნება და აჩვენეს მასში მოწაფეთა როლი.

მოწაფეთა სტატუსი და ფუნქცია, მათი ახლობლობა მასწავლებელთან და ამავე დროს მასწავლებლობის არსის მიუწვდომლობა, გარემომცველ ადამიანებთან მასწავლებლისა და მოსწავლეთა თავისებური ურთიერთობა, საზოგადოების დამოკიდებულება იესოს მოწაფეებთან, ამ საკითხებზე კი თვით მოძღვრის რეფლექსია – ეს სწორედ ის კითხვებია, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მკვლევართა ყურადღებას იქცევს. აღზრდა-განათლების სპეციალისტებს შეუძლიათ, დასახელებულ კითხვებს დაუმატონ მათი

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე „მოწაფეობის პედაგოგიკის" სფეროდან სხვა საკითხები, მაგალითად: იესოს მიერ „რიტუალიზებული ღვთისმოსაობის" ძველი აღმოსავლეთი სისტემის გადალახვა (პირველ რიგში – იუდაისტური), მასწავლებლის სიტყვის მოსმენისა და „შესმენის" შესახებ ახალი მიდგომის თაობაზე (თუმცა სრულიად არ არის ნათელი, ავალდებულებდა თუ არა იესო მოწაფეებს მისივე სიტყვების ტექსტების შესწავლას იმხანად არსებული სასკოლო პრაქტიკის სტილში. ჩვენთვის მხოლოდ ზეპირი სწავლების შემთხვევებია ცნობილი). საუბარი შეეხება აგრეთვე იმის უნარს, რომ თავი გაარიდო ამქვეყნიურ ამაოებას და ხელი მიჰყო ჭეშმარიტების ძიებას.

საკვლევი პრობლემატიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იესოს დამოკიდებულება ოჯახური ცხოვრებისადმი. სახარების ტექსტის ნებისმიერმა მცოდნემ კარგად იცის თეზისი იმის შესახებ, რომ მამა და დედა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია, რომელთაც გადამწყვეტი როლი აკისრიათ შვილების აღზრდაში, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი გარკვეულ წინააღმდეგობებსაც ხედავს ქრისტიანულ აღზრდასა და ოჯახურ აღზრდას შორის, რომელიც წინა პლანზე წამოწევს ყოველდღიურ მატერიალურ ყოფას. მაგრამ გვხვდება განსხვავებული შეხედულებებიც: ახალი აღთქმის ტექსტების კომენტატორთა შორის რელიგიური ანთროპოლოგები (მაგალითად, ავტორი წიგნისა: „მშობლები და შვილები იესოს სიტყვებში" – ხ. შრედერი) იმაში გვარწმუნებენ, რომ მოძღვრის მიმართვები ცალ-ცალკე დედ-მამისა და შვილებისადმი მორწმუნე საზოგადოების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა და ახალი რელიგიის მიმდევრების წახალისებაც იყო, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ სიტუაციას, მაგრამ არ ვრცელდებოდა სხვა დონეზე. ოჯახის დატოვების მოთხოვნას ამიტომაც არ გამოუწვევია მაშინ არავითარი კარდინალური ცვლილება ოჯახურ სტრუქტურაში.

აღნიშნულ თემას აგრძელებს ამერიკელი თეოლოგი ჩ. ტალბერტი, იგი ხაზს უსვამს, რომ საქმე მოციქულთაში (მასში გადმოცემული მოვლენები ამაღლების შედგომ პერიოდს ასახავს), მოწაფეობა წარმოდგენილია ძველი კავშირებისაგან სრულიად განსხვავებული სახით, იგი ახალი ავტორიტეტის ნების აბსოლუტურად მორჩილი ერთობაა. სხვა ავტორები

დასაშვებად მიიჩნევენ თეზისის ფართოდ აღიარებას იმის შესახებ, რომ ქრისტეს მოწაფეების სტატუსში მოხდა ძველი ჩვეულებრივი ცხოვრების წესის გადასვლა და დამკვიდრება, თუმცა ამგვარი სინთეზი არ მიაჩნდათ ასოციალური რადიკალიზმის* გამოვლინებად (26.1-24).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების ისტორიის მკვლევარმა მეტად ღირებული ინფორმაცია შეიძლება მიიღოს, მასწავლებლისა და მოწაფის სიტყვათშეთანხმების ზუსტი მნიშვნელობის შესახებ, სწორედ იესოს მოწაფეთა სახელების ტერმინოლოგიური ანალიზისას. ერთ-ერთი მოწაფე, ახალი ნარატიტის მიხედვით თავს რაბინად (ე.ი. მასწავლებლად) მოიხსენიებდა, სხვები კატეჰეტებად (დამრიგებელი-მოძღვარი), რაც უფრო ნათლად მათეს სახარებაში ჩანს: „თქვენ კი ნუ გიწოდებენ რაბის, ვინაიდან ერთია თქვენი მოძღვარი—ქრისტე და თქვენ ყველანი ძმები ხართ" (მათ. 23:8-10). ზოგიერთი სპეციალისტი ამაში იესოსა და მისი მოწაფეების შემეცნებაში ელინიზირებულ იუდაიზმთან ახლობლობას ხედავს, რამდენადაც მოსაზღვრე მუხლებში არის მსგავსი ტერმინები ივრითზე და ბერძნულ ენაზე; სხვები პირიქით, ხაზს უსვამენ იესოს მოწაფეთა ჯგუფის განსხვავებას ძველი აღთქმის სკოლებისაგან და ანტიკური განათლების კერებისგან, რამდენადაც იესო მსგავს მცდელობას მკაცრად აკრიტიკებს. კ. სტენდალი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი ფრაგმენტი მათეს სახარებიდან, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ამტკიცებს თეზისს იმის შესახებ, რომ მოციქულსა და მათე მახარებელთან ნამდვილად არსებობდა განსაკუთრებული სკოლა, რომელშიც განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა ყველასაგან გამორჩეული მასწავლებელი და მოძღვარი იესო ქრისტე (25. 30).

ამერიკელი ტექსტოლოგები, რომლებიც ახალი აღთქმის ტექსტებზე მუშაობდნენ, აღნიშნავენ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ასწლეულში ისეთი სიტუაცია იყო, როცა იუდეველები, ბერძნები და ქრისტიანები დაახლოებით ერთი და იმავე პრობლემატიკის ეთიკურ მასალებზე მუშაობდნენ, რომელთა შემეცნება და შემდგომ მისი ტრადიციაში გადაცემა სწორედ „სკოლის დამსახურება" იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით პრობლემა ტერმინოლოგიური სიზუსტით

---

* **ასოციალური რადიკალიზმი** – საზოგადოების ინტერესების შემლახავი მოქმედება.

„იხსნება". რამდენადაც, მათი თვალსაზრისით, ლაპარაკი მიდის, ერთ-ერთ შინაარსიან „ენაზე". თუმცა, როგორც ისინი თვლიან, პრობლემური საკითხების გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტები იქნა შემოთავაზებული, მიუხედავად ამისა, გადაცემის მეთოდიკაში ბევრი საერთოს მონახვა შეიძლება (27).

მკვლევარი მ. უილკინსი საკითხს აყენებს ტერმინის „მოძღვრების" ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოყენების თაობაზე. მისი თვალსაზრისით, ფართო მნიშვნელობით, ახალ აღთქმაში შესაძლებელია ქრისტეს ყველა მორწმუნე ასე მოიხსენიებოდეს, როგორც ეს მათეს სახარებაშია: „როცა დაამთავრა იესომ თავისი თორმეტი მოწაფის დარიგება, წავიდა იქიდან მათ ქალაქებში დასამოძღვრად და საქადაგებლად" (მათ. 11:1) ან იმავე მათეს სახარებაში (მათ. 10:2-4) ჩვენ გვხდება ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით გამოყენება, მხოლოდ თორმეტ უახლოეს მოწაფესთან (ზოგჯერ მიუთითებენ 70 ან 72 მოწაფის შესახებაც, (ლუკ. 10:1), მაშინ,– წერს მ. უელკინსი, – ლუკასა და იოანეს სახარებებში გამოყოფილ სიტყვებში უკვე გამოყენებულია ფართო ჯგუფი, რომლებიც მოსდევს იესოსას (ლუკ. 6:17; 19:37; იოან. 6:60, 66), ხოლო სახარების შემდეგ, საქმე მოციქულთაში გამოყენებული ტერმინები განეკუთვნება ქრისტეს ყოველ მორწმუნეს და მიმდევარს.

უცხოელ მკვლევართა ტერმინოლოგიურ შტუდიებში სათანადო ადგილი ეთმობა დეფინიციებს, რომლებიც გამოიყენება არა იესოს მოწაფეების, არამედ– ფარისეველთა მოწაფეების, მწიგნობრების, იოანე ნათლისმცემლის და სხვათა მიმართ. მ. უილკინსზე გაცილებით ადრე გერმანელმა მკვლევარებმა (ე. ფაშერი, ა. შულცი და სხვ.) აჩვენეს, რომ პირველად რაბინთა მოწაფეები, როგორც წესი, წარმოდგენილი არიან ტექსტებში იმგვარად, რომ არ იზიარებენ წინამორბედთა ბედს (28). ახალი აღთქმის ტექსტების გერმანელმა კომენტატორებმა მნიშვნელოვანი მინიშნება გააკეთეს იმის თაობაზე, რომ მოწაფეობის ციკლის გავლა იუდაისტურ სკოლებში და იესოსთან ერთნაირად უკავშირდებოდა სიბრძნის დაუფლებას, რომელიც მაშინ სხვაგვარად ესმოდათ.

ახალი აღთქმის ნარატიტის კვლევა პედაგოგიკის ისტორიის რაკურსში ისეთი თემის გააზრების საშუალებას იძლევა, როგორიცაა იესო – მასწავლებლის მომთხოვნელობა თავისი მოწაფეების მიმართ, რამდენადაც იგი, როგორც ცნობილია,

უნიკალური იყო. მართლაც, არც ერთ სხვა ძველ სასკოლო ტრადიციაში (გამონაკლისი უნდა იყოს ძველი ინდური ტრადიცია) ასეთი რამე არ ფიქსირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმის პედაგოგიკა ახლოს მივიდა ადამიანთან, მისი სულის მოზიარე გახდა, რითაც გადალახა ადრე არსებული ზღვარი პიროვნებასა და მასწავლებელს შორის. ამიტომაც გვხვდება მახარებელთა წმინდა წიგნებში დიალოგი მოძღვარსა და მოწაფეებს შორის. ჭეშმარიტება იმპერატიული ფორმით კი არ მიეცემა მოწაფეს, არამედ ბუნდოვანი საკითხები განემარტება, რაშიც ხშირად სწავლების იგავური მეთოდი გამოიყენება. ამიტომაცაა ახალი აღთქმის წიგნები იესო ქრისტეს იგავებით გაჯერებული. თუმცა, ერთ მეთოდზეც არ არის მიჯაჭვული: „....მე აშკარად ველაპარაკებოდი წუთისოფელს და მუდამ ვასწავლიდი სინაგოგასა და ტაძარში....” (იოან. 18:20). მისი მეთოდი დასახული მიზნიდან გამომდინარეობს და იგავთმეტყველებას ზოგჯერ პირდაპირი, უშუალო საუბარი ცვლის (იოან. 17:29). განმარტებისას მაცხოვარი ხშირად იშველიებს მაგალითებს და პირდაპირაც მოუწოდებს: „რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქეცით” (იოან. 13:15), ან კიდევ: „....თუ ასე არა, თვით საქმეებსაც მაინც ერწმუნეთ” (იოან. 14:11). *ამდენად, შეიძლება დავუშვათ, რომ ახალი აღთქმის პედაგოგიკა მიმართავს არა იძულებას, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი აღმზრდელობითი სისტემისათვის, არამედ დარწმუნების მეთოდს.*

ახალი აღთქმის პედაგოგიკა ამკვიდრებს „მოწაფეობის ინსტიტუტს”, რომელსაც თვით მაცხოვარი უყრის საფუძველს. იესო დაინტერესებულია მოწაფეთა გამრავლებით. იგი კეთილი საქმეებისკენ აქეზებს მიმდევრებს. სწორედ სიკეთის მსახურებით უნდა დაიმსახუროს ყველამ, ქრისტეს მოწაფეობა, ხოლო ასეთი ნაბიჯები, რაც მეტი იქნება, უფრო კარგია: „ამით განდიდდება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ და ჩემი მოწაფეები იქნებით” (იოან. 15:8). ერთი ყველასათვის ცხადია, რომ იესოს მოწაფეობისთვის „კეთილი ნაყოფის” გამოღება აუცილებელი პირობა იყო.

იესომ ახალი ტიპის მასწავლებელი შექმნა, რომელიც გამორჩეული იყო მანამდე არსებული მასწავლებლისაგან. ეს გამორჩეულობა მასწავლებელს მარტო იესოს სიყვარულს კი არ

ავალდებულებდა, არამედ თვით მასწავლებლელებს უნდა ჰყვარებოდათ ერთმანეთი, სწორედ ეს იყო იესოს უპირველესი მოთხოვნა თავისი მოწაფეების მიმართ, ამიტომაც ასე ალერეტებს იესო მთავარ მოთხოვნას: „ახალ მცნებას ვაძლევ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი" (იოან. 13:35). ამასთან ერთად, იესოს სურვილია ფართოდ გავრცელდეს მისი „მასწავლებლობის ინსტიტუტი", რათა ყველამ გაიგოს, ახალი ტიპის მასწავლებელთა შესახებ, რომელთაც ძველი მასწავლებლებისგან ერთმანეთის სიყვარული გამოარჩევს: „ჩემი მოწაფეები რომ ხართ, იმით გაიგებენ ყველანი, თუ სიყვარული გექნებათ ურთიერთს შორის" (იოან. 13:35).

მასწავლებლის მსახურება ქრისტემდეც იყო ცნობილი (მაგალითად, ფარისევლების და რაბინების მოწაფეები). რაბინის მოწაფეს შეეძლო ეკამათა მასწავლებელთან და გაეძარჯვა კიდეც... იესოს საზრუნავს, სხვასთან ერთად, თავის მოწაფეებში ნდობის გამომუშავება შეადგენდა. იესოს მოწაფეთა წრე არ იყო გარდამავალი მდგომარეობა აზროვნების დაბალ საფეხურსა და სულიერ სიმწიფეს შორის: მის მოწაფეებს არასდროს არ შეუწყვეტიათ თავიანთი მოძღვრება, თვით უმძიმეს პერიოდშიც, განსაკუთრებით იესოს ჯვარცმისა და ამაღლების შემდეგ. არც ერთი პერსონაჟი არ იცის წმიდა წიგნებმა, რომელიც იესოს მიმდევარი ყოფილიყო და შემდეგ გადაეხვიოს მისი გზიდან.

ცნობილი ფაქტია, რომ იესო თვით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ მის მოწაფეებს ყოველთვის თან სდევდა განსაცდელი (მათ.5:11). მართალია, ტანჯვის იდეა ცნობილი იყო იუდაიზმისათვის და საერთოდ ძველი სამყაროსთვის, მაგრამ არა იმპერატიული ფორმით. გარდა ამისა, რაბინულ სკოლებში მოწაფეები, პირველ რიგში ცოდნის მატარებლები იყვნენ, ხოლო იესოსთან–მისი მსახურების მონაწილენი და მოწმენი, ისინი მხოლოდ შემდგომში გახდნენ ამ ტრადიციათა მატარებლები და გამავრცელებლებიც.

ძველი აღთქმის პედაგოგიკისაგან განსხვავებით, ახალი აღთქმის პედაგოგიკა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ეფუძვნებოდა მნიშვნელოვან თეზისს, რომელიც გულისხმობდა პერსონალური კავშირის გაგრძელებას მასწავლებელთან, მისი აღდგომის შემდგომ. როგორც ზოგიერთ გამოკვლევაშია აღ-

ნიშნული, ამ ასპექტში, იესოს მოწაფეებს ადარებენ გაღმერთებულ ანტიკურ მოაზროვნეებს–პითაგორეს, პლატონს, ეპიკურეს (29). ახალი აღთქმის ტექსტების სპეციალისტმა, გერმანელმა თეოლოგმა მ. ხენგელმა განსაკუთრებული ... გაამახვილა მარკოზის და სხვა მახარებლების ცნობების შეპირისპირების მნიშვნელობაზე, ეპიქტეტის ცნობებთან (30.16-82).

საზღვარგარეთის ისტორიულ-რელიგიურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებულ თემად ითვლება იესოს წრეში მოწაფეთა ესქატოლოგიური* განწყობის განხილვა. აღნიშნული პრობლემა არსებითია აგრეთვე პედაგოგიკის ისტორიის მკვლევართათვის, რამდენადაც საკითხი დგას „ისტორიულ კონტექსტში" ამა თუ იმ ცოდნის დანერგვის შესახებ (სხვა სიტყვებით: რამდენად გამართლებულია სწავლება, როგორც ასეთი, თუ წინ აპოკალიფსია). ზემოთნახსენები მ. ხენგელი პარალელს ავლებს იესოს მოწაფეებსა და წინასწარმეტყველებს შორის, რომლებმაც პალესტინაში იწინასწარმეტყველეს ისტორიის და სამყაროს დასასრული.

საყურადღებოა მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ წამოწეული, სულიერი გაჯანსაღების თემა, რომელსაც მიმართავდნენ იესოს მოწაფეები. სწორედ ამან შეუწყო ხელი რომაელთა მიერ დაპყრობილი პალესტინელების აპათიიდან გამოსვლას და იმედის სულიერ სამყაროში გადატანას. ქრისტეს მოწაფეთა საზოგადოება არ იყო ჩაკეტილი და ეზოთერული†. მოძღვარს ხშირად ვხედავთ მოსწავლეებთან ერთობლივ ტრაპეზზე, რაც ძველ დროს მრავალი სკოლისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ იესომ ტრაპეზზე მიიწვია მთელი ხალხი, რომლის დროსაც პირადად მიმართავდა დამოძღვრას. ამავე დროს, სწორედ იესომ მიაკუთვნა უმაღლესი სტატუსი მოწა-

---

* **ესქატოლოგია** – (ბერძნ. eschatos- უკანასკნელი, logos – სიტყვა, ცოდნა) რელიგიურ – მისტიკური მოძღვრება წუთისოფლის დასასრულის შესახებ, ესქატოლოგიური იდეები მოცემულია სახარების ერთ–ერთ წიგნში – აპოკალიპსში.

† (ბერძ. სოტერიცოს – შინაგანი და ხოტერიკოს – გარეგანი) – ტერმინი **„ეზოთერული"** ეწოდება იდეას, თეორიას, რომელიც წინასწარ განკუთვნილია და გასაგებია მხოლოდ საქმეში ჩახედულთათვის. ამის საწინააღმდეგოდ ტერმინი „ეზოთერული" გამოიყენება „პოპულარულის", „არასპეციალისტისათვის მისაწვდომის აზრით. გამოიყენებენ აგრეთვე მოვლენათა შინაგანი, არსებითი (ეზოთერული) და გარეგანი (ეგზოთერული) კავშირების აღსანიშნავად.

ფეებს (მათ. 5:13). უკანასკნელი გარემოება უკავშირდება ახალი აღთქმის პედაგოგიკაში იესოს მოწაფეთა როლს მომავალი თაობების მომზადებისათვის: „თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი, მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება" (მათ. 5:14). სწორედ ამაში მდგომარეობს მოციქულობის, როგორც მოწაფეობის ტიპის ინსტიტუტის გავრცელება სოციუმში (31). გვიანდელ რაბინიზმში ჩამოყალიბდა ისეთი ტრადიცია, რომლის თანახმად მასწავლებლის მითითებები შესასრულებლად სავალდებულო უნდა ყოფილიყო მოსწავლეთათვის და ასევე ავტორის სახელითვე გადასცემოდა მომდევნო თაობებს. (32.169-176). ამ თვალსაზრისით, იესო ასწავლიდა, როგორც რაბინი, მისი მოწაფეები სწავლობდნენ, როგორც რაბინის მოწაფეები, ხოლო იესოს ჯვარცმის შემდეგ მათ დააფუძნეს რაბინული აკადემია, რომელმაც გააგრძელა სახელოვანი მასწავლებლის საქმე რაბინული განათლების მეთოდებით და უკვდავყო მათი მოძღვრება ისტორიაში (31). მართალია, მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ „ვინაიდან იგი ასწავლიდა მათ როგორც ხელმწიფების მქონე და არა როგორც მწიგნობარნი" (მათ. 7:29), ხოლო იოანეს სახარება უფრო აზუსტებს ამ აზრს: „შუა დღესასწაულზე ავიდა იესო ტაძარში და ასწავლიდა. გაუკვირდათ იუდეველებს და თქვეს: როგორ იცის წერილები, როცა არ უსწავლიაო? მიუგო იესომ და უთხრა მათ: „ჩემი მოძღვრება ჩემი არაა, არამედ მისია, ვინც მე მომავლინა" (იოან. 7:14-16). საქმე მოციქულთა ცნობებს გვაწვდის იმის თაობაზე, რომ პეტრე და იოანე „უწიგნურნი და მდაბიო ადამიანები იყვნენ" (4:13). სავარაუდოა, რომ ქრისტეს ზოგიერთი მოწაფე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მართლაც უსწავლელი ყოფილიყო. თუკი რაბინები განათლებული ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებთან მუშაობდნენ, იესო უპირატესად ებრაული და რომაული დაბალი ფენების ოჯახებში ეძებდა მოწაფეებს.

ერთობ რთული და ბურუსით მოცული არის ახალი აღთქმის მოწაფეობის სისტემაში სწავლების ფორმები, მასალის გადაცემის მეთოდები, თუმცა ყოველივე ამას პირობითად შეიძლება „სასწავლო პროცესი " ეწოდოს. მკვლევარი მ. სმიტი ფიქრობს, რომ სახარების მასალები ძირითადად ნარატიულია. როგორც ცნობილია, რაბინულს ახსნა-განმარტების ფორმა აქვს, რომლისთვისაც დამახასიათებელია კითხვების გარკ-

ვეული რეგულარული თანმიმდევრობით შერჩევა (სწავლების ორგანიზაციის ასეთი ფორმა ნიშანდობლივი იყო მემორიზაციის სკოლებისთვის, რომლებიც გამოჩენილი ადამიანის ან მოვლენის სადიდებლად და სამახსოვროდ იყო შექმნილი). სწავლების რაბინული ხერხებიდან აღსანიშნავია: არსი, განმარტება, ახსნა, ინფორმაციული ცნობები განსახილველ საკითხებზე, რომლებიც ფიქსირებული იყო პატერნებში* და ავტორიტეტების ვერდიქტებს ეფუძნებოდა, მათში, როგორც წესი ფიქსირებული ფორმულები მყარ სიტყვათშეთანხმებებში გამოიხატებოდა. რაც შეეხება სწავლების მეთოდს, მათზე მუშაობისას იმგვარად უნდა გაეთვალისწინებინათ მნემოტექნიკით გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა, რომ სიტყვების დასაწყისი ასოები ამის შედეგად იოლი დასამახსოვრებელი გამხდარიყო, კერძოდ, მათი ნუმერაცია, მოცემული ჯგუფი (გამოცხადების კლასი) ან ერთმანეთისაგან განმასხვავებელი სხვა ნიშნები, რომლეზედაც, შეჯამებისას კეთდებოდა აქცენტი.

სამწუხაროდ, ახალი აღთქმის ტექსტები მსგავსი ძიების საფუძველს არ იძლევა. სახარების უმეტეს ტექსტებში გადმოცემულია ქადაგებანი (პოლემიკა), მათში თითქმის არ ფიქსირდება მნემონური ფორმულები და მათ ასევე არ დაუტოვებიათ სქოლასტიზმის ნიშნები (მხედველობაშია რაციონალური სწავლება). ახალ აღთქმაში არ იყო თალმუდისათვის დამახასიათებელი მითითებები წმიდა წერილის ტექსტის განმეორებისათვის (ასეთი როლი მოწაფეებს ეკისრებოდათ), მხოლოდ ზოგადი შეგონებები ახსენებდათ იმას, რაც იყო ნათქვამი წმიდა წიგნებში (იოან. 15:20; 16:4,21; საქმ. 20:35; 20:31; ლუკ. 24:8,14); რაბინული ტრადიციის დაცინვა–(იოან. 9:27); იუდაისტური ტრადიციონალიზმის განხილვა, (მარკ. 7:8), აქედან პედაგოგიკის მკვლევარისათვის მთავარი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ იესო ქრისტეს თავისი მოწაფეების მიმართ ჰქონდა სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც მკვეთრად განასხვავებდნენ მას არსებული სასკოლო გარემოსაგან.

სახარების ტექსტების კითხვისას შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა იესოს იდეების მიმბაძველობას, რომელიც უკვე ახ-

---

*პატერნა- წმ. მამათა ცხოვრების ამსახველი ტექტები.

ალი აღთქმის შემდგომ პერიოდში ქრისტიანული პედაგოგიკის ფუძემდებლური პრინციპი გახდა.

ცნობილია, რომ ***ქრისტეს მიმბაძველობის (Imitatio Christi) იდეა და პრინციპი*** მყარად დამკვიდრდა შუა საუკუნეების კათოლიკური ეკლესიის აღმზრდელობით იდეალებში (33). ამ იდეის წარმოშობის ისტორისათვის თვალის გადევნებისას, ახალი აღთქმის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ თვით იესო უჭერდა მხარს მის მიმდევრებს, მაგრამ ასეთივე აზრი არ ჰქონდა მიმბაძველების მიმართ, ე.ი. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებდა მიმდევრებსა და მიმბაძველებს. როგორც იესოს სიცოცხლეში და საერთოდ მოციქულობის დროს, ისე იესოს მოწაფეთა შორის და პირველქრისტიანებში, საზოგადოებაში ბატონობდა გულწრფელობა, ჭეშმარიტი რწმენა და სათნოება, ვიდრე მოჩვენებითი მიმბაძველობა (34).

იესოს მოწაფეთა თემა, როგორც ზემოთ ითქვა, ეს არის ღმერთკაცისა და მასწავლებლის თანაფარდობის თემა (ამ პრობლემას გერმანელმა ისტორიკოსმა ა. შულცმა სპეციალური წიგნი მიუძღვნა, რომელშიც გამოკვლეულია ლექსიკური მასალა, როგორც ახალი აღთქმიდან, ისე ბერძნული და ებრაული ტექსტებიდან (35), ანალოგიური დაინტერესება გამოამჟღავნეს გერმანელმა მეცნიერებმა პავლე მოციქულის მიმართ (30).

აღნიშნული თემა საბოლოოდ შეაჯამეს 1985 წელს სტატიების კრებულში „მოწაფეობა ახალ აღთქმაში", რომელშიც მთავრი ადგილი ფ. სეგოვიას ამავე სახელწოდების სტატიას უჭირავს (36). ვ. კელბერი, რ. ედვარდსი, ჩ. ტალბერტი და თვით ფ. სეგოვია მოწაფეობას განიხილავდა პედაგოგიური სისტემის ვიწრო ჩარჩოებში: „მასწავლებელი–მოსწავლის" დამოკიდებულებით, არა საერთო კულტურული თვალსაზრისით, არამედ ტექნიკური თვალსაწიერიდან. უ. კურცმა, რ. უალდმა, ე. ფიორენცამ, ლ. ჯონსონმა და ჯ. ილიოტმა, პირიქით, თავიანთი დამოკიდებულება მოწაფეობის ინსტიტუტის მიმართ ფართო მნიშვნელობით დააფიქსირეს, რომელიც თავის თავში გულისხმობდა ნებისმიერი ქრისტიანის არსებობას. მათი თვალთახედვით, ძველ ქრისტიანთა თვითშეცნობა, როგორც ქრისტეს მორწმუნეების, თავისთავად ნიშნავდა მათი სულიერი

მოწაფეების „ქრისტიანულ ეგზისტენციას"*. ამ თვალსაზრისის შეფასებისას მას შეიძლება „პანპედაგოგიკური' (ღვთიური პედაგოგიკა) ეწოდოს, რამდენადაც ჩამოთვლილი ავტორები წარმოადგენენ ქრისტიანულ – ედუკოლოგიურ სისტემას, რომელიც არსობრივად უწყვეტი განათლების სისტემაა, მას ახასიათებდა სისტემატური დამოძღვრა და უწყვეტი სწავლება, რამდენადაც მხოლოდ მუდმივი მასწავლებლობა და მოწაფეობა, მიიღება როგორც ძველი ისე ახალ აღთქმაში წმინდანობად (37.9-14). აღნიშნული სტატიების კრებულიდან მეტად დისკუსიური პათოსი აქვს კ. ვერნერის სტატიას მარკოზის სახარებასთან დაკავშირებით (38.24-46). მკვლევარს აინტერესებს მარკოზ მახარებლის მიზანი, თუ რისთვის აკრიტიკებს იგი მოწაფეებს, რატომ უსვამს ხაზს მათ შეცდომებს და იმ გაუგებრობებს, რაც მათ ასე ხშირად მოსდით მასწავლებელთან და ერთამანეთთან მიმართებაში ? კ. ვერნერმა გააანალიზა იესო ქრისტეს და მისი მოწაფეების გზები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მარკოზის ტექსტი არის არსებულ ტრადიციაზე თავისებური რეაქცია. მარკოზ მახარებელი ამ შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს, როგორც თავისი თემის წარმატებული და ბრძენი მასწავლებელი, რომელიც არსებული მდგომარეობის პირუთვნელი შემფასებელიცაა. შესაძლებელია, მისი თვალთახედვა მისივე პედაგოგიური კონცეფციის შედეგიც იყოს.

იოანეს სახარებაში მოწაფეობას აღწერს მკვლევარი ფ. ფერნანდო (39.76-102), რამაც საშუალება მისცა ახალი აღთქმის ტექსტის თანამედროვე კომენტატორებს, არსებითი დასკვნები გაეკეთებინათ აღზრდის ისტორიის პრობლემათა მიმართ, კერძოდ, მისი აზრით, მასწავლებლის შეგონება თანდათანობითი დარწმუნების პროცესს, მისიონერულ აქტივობას ანიჭებს. სამყაროსთან გაუთავებელი ანტაგონიზმი და საკუთარი თავის განსკუთრებული იდენტობა, როგორც „ძე უფლისა", გამოიხატა მოწაფეობის პერიპეტიათა ვრცელ აღწერაში. აქვეა ნაჩვენები სწავლების თავისებურება და მისი სპეციფიკური ნიშნები,

---

* **ეგზისტენცია** (ლათ. existencia – არსებობა) ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, ადამიანური პიროვნების არსებობის წესის აღმნიშვნელი (არსებობის ფილოსოფია), ეგზისტენციალიზმში განასხვავებენ რელიგიურ ეგზისნენციალიზმს (მარსელი, იასპერსი, ბერდიაევი, შესტოვი, ბუბერი) და ათეისტურ ეგზისტენციალიზმს (ჰაიდეგერი, სარტრი, კამიუ, ბოვუარი).

რომლებსაც ცოტა რამე თუ აკავშირებდათ ჩვეულებრივ მიწიერ ცხოვრებასთან.

ახალი აღთქმის ტექსტების პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლა აქტუალურია თანამედროვე პირობებშიც, რადგან ოცსაუკუნოვანმა ისტორიამ ცხადყო ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარტი ბუნება, რომელიც მიწიერი სამყაროს გვირგვინზე – ადამიანზეა ორიენტირებული. ამდენად, მისი წარსული და აწმყო ერთნაირად საინტერესოა. რაც შეეხება ადრეულ ქრისტიანობას და განსაკუთრებით ახალი ერის პირველ საუკუნეს – ეს არის კარდინალური სახეცვლილების, სოციალური კულტურის სტრუქტურაში უდიდესი ტრანსფორმაციის ეპოქა, რომელსაც თან სდევდა ცვლილებები პედაგოგიურ ტრადიციებში. ჩვენი ცოდნა იესო ქრისტეს, როგორც მასწავლებლის შესახებ, შემონახულია ქრისტოლოგიის და ტექსტოლოგიის თანდათანობითი გარდაქმნის შედეგად, თანაც ეს პროცესი შეეხო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების პედაგოგიურ ტრადიციას, რომელმაც ზოგჯერ შეუმჩნეველი, მაგრამ მცირე გავლენა მაინც მოახდინა განათლებისა და აღზრდის თანამედროვე წარმოდგენაზე, რისი უარყოფაც მეტად საეჭვოა.

ქრისტიანული პედაგოგიკისათვის დამახასიათებელია სენსიტიურობა,* იგი წინა პლანზე წამოსწევს სოციუმის მიერ გადაუწყვეტელ პედაგოგიურ პრობლემებს. მათ შორის განსაკუთრებულია მასწავლემლის ზემოქმედება აღსაზრდელებზე, რადგან რწმენა ხომ ცხოვრების განმსაზღვრელია და სწორედ უზენაესისაკენ სწრაფვა დაეკისრა ახალი აღთქმის ეპოქაში ადამიანს, ხოლო მასში დამხმარე და წარმმართველი როლი მასწავლებელმა-მოძღვარმა შეასრულა. აქედან გამომდინარე, როგორ უნდა იწოდებოდეს იდეალური ან თუნდაც მოდელირებული დიდაქტიკური პროცესი, როცა ქრისტიანული მასწავლებლობა არა მარტო რწმენით, არამედ მსოფლმხედველობრივად მსჭვალავს მთელ ქრისტიანულ ტრადიციას.

---

* **სენსიტიური** (ლათ. sensitivus - გრძნობადი), სენსუალური – შეგრძნებებზე და გრძნობებზე დამყარებული შემეცნების თეორია (სენსუალიზმი), რომლის თანახმად გრძნობადი შეგრძნებები წარმოადგენენ ნამდვილი შეცნობის ჭეშმარიტ ფორმას: „არაფერია ისეთი გონებაში, რაც არ არის გრძნობებში", იგი უპირისპირდება რაციონალიზმს.

ქრისტიანული პედაგოგიკა, რომელი ეპოქისაც არ უნდა იყოს იგი, ისტორიული ხასიათისაა. მასთან დამოკიდებულებაში ახალი აღთქმის პედაგოგიკა, პირველი საუკუნის შემდეგ ყველა დროისთვის ნორმატიულ კატეგორიად არის ცნობილი (თუმცა მითითებული დროიდან მოყოლებული საუკუნეების განმავლობაში ახალი აღთქმის ტექსტებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობდა). მაგრამ ქრისტიანობის ზნეობრივ-აღმზრდელობითი საფუძველი აღმოჩნდა მეტად მტკიცე, როგორც ამას თანამედროვე ცხოვრებაც ადასტურებს. ყოველივე ამის გაგება შესაძლებელია, სწორედ თანამედროვე პედაგოგიკის თეორიის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ანალიზის მეშვეობით. ასეთი მასალა მკვლევარს შეუძლია მოიპოვოს, მოახდინოს მისი რეკონსტრუირება პროტოქრისტიანული და ადრექრისტიანული იდეალური კონსტრუქციის მიხედვით, რომელიც შემდგომში დიდაქტიკური და აღმზრდელობითი იდეების ყოვლისმოცველი გააზრების საფუძველი გახდება.

§ 2. იესო ქრისტე – აღზრდის იდეალი და ქრისტიანული პედაგოგიკის ფუძემდებელი, ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი და ძირითადი ცნებები

წინაქრისტიანულ ეპოქაში პიროვნება იმის მიხედვით ფასდებოდა, რამდენად სარგებლობის მომტანი იყო იგი საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნად საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამსახური მიიჩნეოდა. ასეთი აღზრდის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აღზრდის სისტემა ძველ სპარტაში. ამგვარი შეხედულების უმთავრესი ნაკლოვანება ის იყო, რომ იგი არ ითვალისწინებდა ადამიანის მაღალ ღირსებებს და მის პიროვნულ თავისებურებებს.

ძველი ებრაელი ხალხის გამორჩეული ნიშანი იყო: რელიგიური გულწრფელობა და ამ გრძნობათა სიღრმე, მაღალი ზნეობრივი თვითშეგნება, ადამიანური ღირსების და მისი დანიშნულების აღიარება. ამის შესაბამისად,

ებრაელებში მიღებული იყო მკაცრი რელიგიური აღზრდა. უფლის მიერ ბოძებული კანონები განსაზღვრავდა ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას, ამიტომ მათგან განსხვავებული სხვა ეროვნული კატეგორიები არ შეიძლებოდა გამხდარიყო აღზრდის საფუძველი. პედაგოგიურ საწყისს უფლისმიერი კანონები ედო საფუძვლად. როგორც ღმერთმა აღზარდა თავისი რჩეული ხალხი, ისე მამას უნდა აღეზარდა თავისი შვილები ღვთის სიყვარულით, მორჩილებითა და თავდადების შეგნებით.

ებრაელთა შეხედულებები აღზრდაზე იმ ელემენტებს შეიცავს, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ქრისტიანულ სამყაროში.

იესო ქრისტეს მოვლინებით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. რაც, ამავე დროს, ქრიტიანული პედაგოგიკის უმთავრესი პირობა გახდა.

ქრისტიანული მრწამსის თანახმად, ადამიანის აბსოლუტური ღირსება, პირველ რიგში, თვით ადამიანში მდგომარეობს, რადგან იგი, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, ყოველთვის უფლის ყურადღებით არის მოცული, ამიტომ ადამიანის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ღმერთის მიმართ შეგნებული ლტოლვა. ღმერთთან შეერთება ადამიანის მთავარი დანიშნულებაა. მასში გამოიხატება ყველა ხალხის თანასწორობა და სიყვარული უფლისადმი, შესაბამისი ქრისტიანული პრინციპების საფუძველზე მოიაზრება აღზრდაც.

ყველა ჭეშმარიტება ერთბაშად არ მიუღია და ცხოვრებაში არ დაუმკვიდრებია კაცობრიობას. ქრისტიანული სამყაროს სულიერი საწყისი თანდათანობით მიისწრაფის თავისი იდეალისკენ, სახარებისეული მოძღვრება, ჭეშმარიტ ქრისტიანულ სწავლებას წარმოადგენს.

ჩვენს უფალს და ღმერთს იესო ქრისტეს მის ყველა წოდებაზე უფრო მოსწონდა მასწავლებლის სახელი. ახალი აღთქმის თანახმად, პირველი მასწავლებელი სწორედ იესო ქრისტე არის, რადგან იგი უწოდებს თავის მიმდევრებს მოწაფეებს, რაც შემდეგ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ქრისტიანულ სამყაროში იესო ქრისტე იყო პირველი მასწავლებელი და ქრისტიანული აღზრდის ფუძემდებელი. აღმზრდელისა და მასწავლებლის მნიშვნელობას თვით მაცხოვარმა უდიდესი

მნიშვნელობა მიანიჭა, რადგან იესო ქრისტე დიდი სიყვარულით ატარებდა მასწავლებლისა და აღმზრდელის მაღალ წოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტე ჭეშმარიტად არის კაცობრიობის აღმზრდელი და მასწავლებელი. მან, როგორც ღმერთმა და ამასთანავე სრულყოფილმა ადამიანმა, სამყაროს უჩვენა აღზრდის მარადიული იდეალები: ყოველი ქრისტიანი მთელი შესაძლებლობით უნდა ეცადოს დაემსგავსოს ქრისტეს, რასაც მიაღწევს საკუთარ ცოდვებზე გამარჯვების შემთხვევაში. ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ის, რომ იესო ქრისტემ, როგორც ნამდვილმა მასწავლებელმა, ნათლად დაგვანახა თავისი სამაგალითო საქციელი. ახალ აღთქმაში იქადაგა საყოველთაო ძმობა და სიყვარული, სწორედ ქრისტემ გააერთიანა კაცობრიობა ერთ ოჯახად. სწორედ მან დაინახა და იქადაგა ყველაზე დიდი სიბრძნე, რომ ღმერთი არის წმიდა სული, რომლის წინაშეც ქედს უნდა ვიხრიდეთ, როგორც ჭეშმარიტებასთან. მანვე უჩვენა კაცობრიობას ზნეობრივი სრულყოფილების იდეალი თვით განკაცებული ღმერთის სახით. იესო მიმართავდა ხალხს, როგორც ღვთის შვილებს და მოუწოდებდა მათ, რომ ისინიც ყოფილიყვნენ ისეთივე სრულყოფილები, როგორც მათი ღვთიური მამა. ამაზე უფრო ამაღლებული და სრულყოფილი აღზრდის იდეალი წარმოუდგენელიც იყო. „კაცთა მოდგმის ისტორია წარმოუდგენელია იესო ქრისტეს – სრული ღვთისა და სრული კაცის გარეშე, – წერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, – მის გარეშე წარმოუდგენელია კავშირი სამყაროსა და ღმერთს, ადამიანური ყოფის რეალურობასა და აბსოლუტურს შორის. იგია ზეციურის და მიწიერის გადაკვეთის ცენტრი" (3.4-5).

იესო ქრისტე კაცობრიობის უმაღლესი მასწავლებელია. იგი ერთადერთი უმაგალითო მასწავლებელია ცოდნისა და რწმენისა, სიცოცხლისა და სიყვარულისა, არა მარტო თავისი სიტყვით, არამედ საქმითა და თავგანწირვით.

იესო ქრისტეს პედაგოგიური საქმიანობის შინაარსი და ხერხები ისეთ სრულყოფილებას აღწევს, რომ იგი თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისათვის ზღვარდაუდებელია. ყველაზე გამოჩენილი პედაგოგებიც კი მხოლოდ იმეორებენ და განმარტავენ იესოს უკვდავ პედაგოგიურ მოძღვრებას,

რომლის დამახასათებელი თვისებებია: ჭეშმარიტება, სიცხადე და უბრალოება, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება, თვითშემოქმედება და თანმიმდევრობა, სწავლების შესაბამისობა ადამიანის ბუნებასთან, ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ პიროვნებასთან, პიროვნების სიყვარული და პატივისცემა, მსმენელებზე ყოველმხრივი და წარუშლელი ადმზრდელობითი ზემოქმედება.

თვით ყველაზე რთულ და ღრმააზროვან ჭეშმარიტებას იესო გადმოსცემდა გასაგებად და მისაწდომად. თავისი მოძღვრების ადვილად გასაგებად იესო ხშირად იყენებდა მაგალითებს ბუნებიდან და უშუალოდ ცხოვრებიდან, ამის გამო, მისი სწავლება ყოველთვის გამოირჩეოდა სიბრძნით, მისაწვდომობითა და დამაჯერებლობით.

იესო ქრისტეს ქადაგება თვალსაჩინოებაზეა აგებული: იგავებით, ქადაგებებით, მსგავსებით და განმასხვავებელი თვისებებით აღწევს იგი ადამიანების ჭეშმარიტებასთან ზიარებას.

სწორედ სახეებითა და შედარებებით მოქმედებს ქრისტე ადამიანთა გულებსა და მსოფლმხედველობაზე, ამავე მეთოდებით იპყრობს იგი მოსწავლეთა ინტერესებსა და მისწრაფებებს. ადამიანთა გონების დაკმაყოფილებისათვის მის არსენალში ყოველთვის არსებობს ცხოვრებისეული ჭეშმარიტებანი. ამიტომაც არის საფუძვლიანი მისი მოწოდებები: „მე კი არა, ჩემს საქმეებს დაუჯერეთ". – ასე მიმართავდა მაცხოვარი მოწაფეებს, რასაც ღვთიური ქმედებებით ჰფენდა ნათელს. მაგრამ ასეთი რამე ყველას როდი შეუძლია, ადამიანის გონებას და შესაძლებლობას მყარი საზღვარი აქვს, ყოვლისშემძლე მხოლოდ ღმერთია.

სწავლებისას იესო ყოველთვის ითვალისწინებს მოწაფეთა ინდივიდუალურ თვისებებს, იგი განსხვავებულად ასწავლის მათ, ყოველი განსხვავებული ინდივიდისთვის შესაბამისი მეთოდი და ხერხი აქვს მომარჯვებული. ხალხს იგი ეკლესიარაკება იგავებით, ხოლო მოსწავლეთა ჯგუფს–უშუალოდ მიმართავს, ქადაგებისას ყოველთვის ითვალისწინებს ახლობლიდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობზე, მარტივიდან რთულზე გადასვლის პრინციპს. მან კარგად იცოდა, რომ ამგვარი მიდგომით მოწაფეებს უფრო ადვილად აზიარებდა ჭეშმარიტებას. მიუხედავად იმისა, რომ იესოს ქადაგებები

არასდროს იყო მოსაწყენი, მან კარგად უწყოდა, თუ რა შესაძლებლობა ჰქონდა თითოეულ მოწაფეს, რამდენის ათვისებას შეძლებდნენ ისინი. ამიტომ მოძღვარს, მასწავლებელს ზუსტად უნდა განესაზღვრა კონკრეტული ცოდნის გადაცემა დროსა და სივრცეში შემოფარგვლის პირობებშიც. ამიტომ იესო სათანადო ყურადღებას აქცევს იმ პირობებს და მდგომარეობას, სადაც უშუალოდ სწავლება მიმდინარეობს: „დაინახა ხალხი და ავიდა მთაზე, როცა დაჯდა, მივიდნენ მასთან მისი მოწაფეები. მან გახსნა ბაგე, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა" (მათ. 5:1-2), მაცხოვარი მთაზე ადის, რითაც გვასწავლის, რომ მოსაჩვენებლად არაფერი არ უნდა გავაკეთოთ. სურს გვასწავლოს და ამავე დროს გვიჩვენებს, რომ, როცა ვასწავლით, ქვეყნის ყაყანს უნდა გავშორდეთ. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებით, როცა იესოზე წერენ, რომ „მან გახსნა ბაგე, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა" – თითქოს ეს სიტყვები ზედმეტია, მაგრამ არა, რადგანაც იგი ბაგეთა გაუხსნელადაც ასწავლიდა, როგორ ? თავისი ცხოვრებითა და სასწაულებით. ამ დროს კი ბაგეთაგახსნით ასწავლიდა. „ასწავებდა მათ და ეტყოდა" – ასწავლიდა არა მხოლოდ თავის მოწაფეებს, არამედ ხალხსაც. (9.36).

მაცხოვრის ყველა იგავი აღსავსეა ღრმააზროვანი პედაგოგიური იდეებით. იგავი მრავალ პედაგოგიურ პრობლემას ჰფენს ნათელს, მაგალითად: რა განაპირობებს მოსწავლეთა არათანაბარ წარმატებებს ერთსა და იმავე სკოლაში, ერთი და იმავე მასწავლებლის ხელმძღვანელობით, ერთსა და იმავე საგანში? იგავი კეთილ მოძღვარზე ნათლად დაგვანახებს განსხვავებას არა მარტო ცოდნის გადამცემებზე, არამედ ცოდნის მიმღებებს შორის. იგავი მთესველზე ამის ნათელი ილუსტრაციაა (მათ. 13:3–17). აქვე გვაჩვენებს აღზრდის იმ მეტად ეფექტურ საშუალებას, როცა მასწავლებელი ახლოს იცნობს თავის აღსაზრდელებს და მათ სახელებით მიმართავს (ინდივიდუალობა აღზრდაში). ვისაც არ უყვარს ბავშვები, იგი უგუნურ ცხოვრებას ეწევა, რასაც თან ახლავს ადამიანის საცდური და ბიწიერება: „...კაცისაგან გამომავალი შებილწავს კაცს" (მარკ. 7:20). ვისაც არ სწამს უფალი იესო ქრისტე, მან თავი შორს უნდა დაიჭიროს ისეთი წმინდა საქმიანობისაგან, როგორიც ახალგაზრდების აღზრდაა. ვინც გადაწყვიტა მასწავლებლის მაღალი წოდების ტარება, იგი მთელი არსებით

უნდა მიეცეს ამ საქმეს, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული აღზრდასთან, ხოლო სიტყვა – საქმესთან, ისე როგორც მეცნიერება – ბუნებისეული უნდა იყოს ცხოვრებისაგან. მხოლოდ მას ექნება წარმატება, ვინც სწავლასთან ერთად პრაქტიკულად იღვაწებს, სიტყვით გადაცემულს, პირად მოძღვრებას, საკუთარი მაგალითით დაასაბუთებს, ცხოვრებით ცხადყოფს პედაგოგიური მოძღვრების ჭეშმარიტებას. პედაგოგიკაში ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნაღვაწის პირუთვნელ შეფასებას, რომლის თაობაზე არაერთ მინიშნებას იძლევიან მახარებლები, მაგრამ ჩვენ საგანგებოდ ვიმოწმებთ მოგვიანო ხანის ქართველი აგიოგრაფის, ბასილი ზარზმელის ხატოვნად ნათქვამს: „ ...თუ ვითარი ტკბილი და მშვენიერი დამწიფდა ტევანი მათითა მის მოძღვრებისა ნამუშაკევთაი".

კაცობრიობის ისტორიაში პირველმა სწორედ იესო ქრისტემ იქადაგა საყოველთაო ძმობა და სიყვარული, სწორედ მან გააერთიანა მსოფლიოს ხალხები ერთ დიდ ოჯახად, მან დაანახა ქრისტიანულ სამყაროს უფლის ყოვლისმომცველი სიბრძნე და სიკეთე.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანის გონება განათლდა – მაღალი ჭეშმარიტებით, გული – შემწყნარებლობითა და ნეტარებით, ნება – ზნეობრივი მოღვაწეობითა და ძმური სიყვარულით, ამიტომაა რომ ქრისტიანმა ერებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს, როგორც თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ისე უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის სფეროში.

თავისი ცხოვრების მაგალითით იესო ქრისტემ გვაჩვენა ბავშვთა ჭეშმარიტი სიყვარულით აღზრდის ნიმუში. იესო ჯერ კიდევ 12 წლის ყრმა იყო, როცა ეკლესიაში დადიოდა, ნათლად ჰქონდა შეგნებული, რომ უფლის მიმართ ვალდებულება ყველაზე მნიშვნელოვანია: „ყველა მის მსმენელს აოცებდა მისი გონება და პასუხი" (ლუკ. 2:47). ეკლესიაში ყოფნისას იესო ყურადღებას ამახვილებს აღზრდის მნიშვნელოვან მხარეებზე: რადგან იესო მივიდა ტაძარში, ეს უკვე ნათელ მაგალითს წარმოადგენდა სხვა ბავშვებისათვის, რომ მიებაძათ მისთვის და მიახლოებოდნენ უფალს, როგორც სრულყოფილების იდეალს. იესო ხშირად ჩამოჯდებოდა მოძღვრებთან და გულდასმით უსმენდა მათ, რაც ცოდნის

შეძენის და მასწავლებელთა პატივისცემის მაგალითს წარმოადგენდა. რაც შეეხება შესწავლას, იესო ჯერ ისმენდა და შემდეგ ეკითხებოდა– აი, ეს იყო სამაგალითო... ღვაწლშემარიტი რელიგიისა და ყოველგვარი ცოდნის დასაუფლებლად. პირადი მაგალითით ასხივოსნებდა იესო ქრისტე ბავშვებისა და მათი მშობლების ყოფა-ცხოვრებას. იგი ასევე ყოველთვის ემორჩილებოდა მის მშობლებს, ანგარიშს უწევდა მათ მოსაზრებებსა და ნება-სურვილს.

მაცხოვრის იგავები იმდენად მიმზიდველად არის აგებული, რომ იგი მისაწვდომია მცირეწლოვანი ბავშვებისათვის (დაწყებით კლასებში).

მთაზე ქადაგებისას ქრისტე ამბობს: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი" (მათ. 7:12).

მათეს სახარებაში მოტანილია მაცხოვრის მოწოდება, სადაც იესო ქრისტე ისეთ დარიგებებს იძლევა, რომელიც მოიტანს სიმშვიდეს და ტვირთის შემსუბუქებასა და ცხოვრების ჭაპანის წევაში დაეხმარება ადამიანს. ასეთი სწავლა უფლისმიერი გზის ერთგულება და უკიდურესი თავმდაბლობაა: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ, იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს, ვინაიდან ჩემი უღელი ადვილია და ჩემი ტვირთი–მსუბუქი" (მათ. 11:25-30). ამ აზრს ეხმიანება ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც ქრისტიანობასთან დიდ ცოდნა-განათლებას აკავშირებდა: „თუ გსურს ქრისტიანად ყოფნა, შეუდეგი სწავლასა და ჭკუის განათლებასა....უმეცრება და უსწავლელობა მაინც უმეტესად უშლის კაცს მიეახლოს ქრისტეს, მისთვის, რომ უმეცარი ვერ შეიგნებს, რად არს სწავლა სახარებისა" (4.465).

იესო ქრისტეს მიაჩნდა, რომ მისი ყველა მცნება ერთი მცნებიდან გამომდინარეობდა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ეს არის პირველი დიდი მცნება" (მათ. 22:37-38). ხოლო ღმერთის სიყვარულის შესახებ ასეთ განმარტებას იძლევა იოანეს სახარება: „ვინაიდან ღვთის სიყვარული ისაა, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს" (1 იოან. 5:3).

ღმერთის სიყვარული იგივეა, რაც ადამინთა შორის უანგარო სიყვარული. მიწიერ სამყაროში ყველაზე უფრო [illegible] ადამიანია, ამიტომ თითოეული ადამიანის სიცოცხლეში [illegible]ური მადლია, სწორედ ამას გვასწავლის მაცხოვარი ძე შეცდომილის იგავში, რომელმაც მამის ნაბოძები სიმდიდრე გაანიავა და ხელცარიელი, შენდობის მოლოდინში ოჯახს დაუბრუნდა. დაკარგული ადამიანის დაბრუნება ღვთიური მადლია, ხოლო დაკარგული შვილის პოვნაზე მეტი სიხარული მამისათვის რა უნდა იყოს, ამიტომაც არის შვილის მპოვნელი მამა სიხარულისგან აღტაცებული და ამ სიხარულისთვის განაწყობს უფროს ვაჟსაც: „... უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულებდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა" (ლუკ. 15:32).

მაცხოვრის განმარტების თანახმად, მეორე უმნიშვნელოვანესი მცნებაა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" (მათ. 22:37–40). ეს მცნება იესომ ძველი აღთქმიდან დაიმოწმა (ლევ. 19,18). ქრისტიანული ზნეობისთვის კატეგორიულად მიუღებელია არა მარტო ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობა, არამედ მტრობაც დაუშვებელია. თუკი ძველი აღთქმა ქადაგებს მოყვასის სიყვარულს, ახალი აღთქმა უფრო შორს მიდის და მოძულეთა და მტერთა სიყვარულს მოითხოვს: „ხოლო თქვენ, ვინც მისმენთ, გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს, აკურთხებდეთ თქვენს მაწყევრებს და ლოცულობდეთ თქვენსავე შეურაცხმყოფელთათვის" (ლუკ. 6:27-28). მორწმუნე ქრისტიანისთვის მტრად ჩაითვლება, პირველ რიგში, ის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, ვინც შეურაცხყოფს ღმერთს, ძეს ღვთისას და მის მოძღვრებას, მაგრამ არსებობენ ისეთი ადამიანებები, რომლებიც მიწიერი კეთილდღეობისათვის ვნებას აყენებენ სხვა ადამიანებს და ამით უფლისმიერ დაგენილ პრინციპებს ეწინააღმდეგებიან. სწორედ ასეთი პირების მიმართ მოითხოვს ქრისტიანული ზნეობა არა ძალადობას და დათრგუნვას, არამედ შეგონებისა და აღზრდის გზით ჭეშმარიტების ძიებაში დახმარებას: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდით წინაადმდგომს და იცოდეთ, რომ იმისთვის ხართ ხმობილნი, რათა დაიმკვიდროთ კურთხევა" (1 პეტრ. 3,9). ქრისტიანისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ღვთის სასუფეველში მოხვედრაა, ამის

მისაღწევად კი ყველას მიმართ, მათ შორის ბოროტების ჩამდენთა მიმართაც, გულმოწყალე დამოკიდებულებას უნდა ვიჩენდეთ, როგორც მოციქული გვასწავლის: „...ბოროტს ბოროტს, ქმენი კეთილი, მოიძიე, მშვიდობა და მისდიე მას" (1 პეტრ. 3,11).

რჯულის მცოდნის კითხვაზე: „ვინ არის ჩემი მოყვასიო?" იესო ქრისტეს მოყავს იგავი გულმოწყალე სამარიელზე (ლუკ. 10:25-37), რომელიც მრავალმხრივაა საინტერესო. მეორე მცნების დედააზრი ნათელია, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საკუთარი ოჯახისა და ნათესავების, საკუთარი ეროვნების თუ რელიგიური რწმენის ადამიანთა სიყვარული. იესოს მიმდევარს უნდა უყვარდეს ყველა ეთნიკური ჯგუფის, ყველა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი, მიუხედავად იმისა, ვინ არიან ისინი, თუნდაც მოწინააღმდეგენი და მტრები იყვნენ ჩვენი. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი მორწმუნე არათუ უნდა სდევნიდეს სხვა რელიგიის მიმდევარს, არამედ პატივს უნდა მიაგებდეს მას, უნდა უყვარდეს იგი.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მაცხოვარი გულწრფელობას, პირფერობა და სიცრუე დასაგმობია: „თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? " და კიდევ: „ვისაც ამქვეყნიური ქონება აქვს, ძმას კი გაჭირვებაში ხედავს და მისგან კეტავს თავის გულს, როგორ დარჩება მასში ღვთის სიყვარული? " (იოან. 4:10; 3:17).

დაგმობა-გაკიცხვით რომ სიკეთე არ გამრავლდება, ეს კარგადაა ცნობილი ქრისტიანული სწავლებისათვის, ამიტომ ცოდვილთა მიმართ მიმტევებლობის მაგალითებს თვით იესო ქრისტე იძლევა, მან დიდსრულოვნად მიუტევა სიმონის სახლში ცოდვილ დედაკაცს, როგორც მახარებელი გადმოგვცემს, იესო ეუბნება სიმონს: „...მაგას მიეტევება მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შემიყვარა, ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა ცოტათი უყვარს" (ლუკ. 8,47). ამდენად, ადამიანს ქრისტიანული ზნეობა ყოველთვის აძლევს ცოდვათა მონანიების შანსს, ოღონდ ეს უნდა მომდინარეობდეს თვით ადამიანის შინაგანი ბუნებიდან, ღმერთის მიმართ ყველაზე უფრო ფასდება ადამიანის გულწრფელობა. ქრისტიანული სწავლების თანახმად, თუ ცოდვილმა ადამიანმა გულწრფელად განიზრახა უარი

თქვას უკეთური გზით სიარულზე, მას უფლის წყალობა არ მოაკლდება, რაც საბოლოოდ სიკეთის, თვითგანწმენდისა და ღვთიური მადლის მოპოვების მნიშვნელოვანი პირობაა.

ქრისტიანული ზნეობა საყოველთაო ხასიათს ანიჭებს მიტევებას და შემწყნარებლობას. ახალი აღთქმის თანახმად, სიკეთის მიმდევარი მხოლოდ ერთეულები არ უნდა იყვნენ, მას ყველა უნდა მისდევდეს და სწორედ ასეთი გზით გამრავლდება ღვთიური მადლი დედამიწაზე. მათე მახერებელი ასეთ ამბავს გადმოგვცემს: ერთმა ბატონმა მიუტევა მონას ათი ათასი ტალანტი და გაათავისუფლა მონა, ხოლო თავისუფალმა პირქვე დაამხო თავისი მონა-ამხანაგი, რომელსაც ასი დინარი ემართა მისი. ეს რომ ბატონმა შეიტყო, მონას უთხრა: „ბოროტო მონავ! რაკი მთხოვე, მე მთელი ვალი გაპატიე, განა არ მართებდა, შეგეწყალებინა შენი მონა-ამხანაგი, როგორც მე შენ შეგიწყალე? .....ასევე მოგექცევათ თქვენ ჩემი ზეციერი მამა, თუ ყოველი თქვენთაგანი გულით არ მიუტევებს თავის ძმას მის შეცდომებს" (მათ. 18:21–35).

ძალიან ხშირად ახალი აღთქმა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის მიერ ღვთიური ნორმების დაცვაზე, მათგან ერთ-ერთია სიმართლით ცხოვრება, რადგან მართალ გზაზე სიარული გაცილებით ადვილია, ვიდრე ინტრიგებით არსებობა: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ, შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ" (იოან. 8:31-32). ქრისტიანული სწავლების თანახმად, ჭეშმარიტება ანუ სიმართლე არის ის საშუალება, რომელიც სრულყოფილებას ანიჭებს ადამიანს. სრულყოფილი კი მხოლოდ ღვთიური მადლით აღსავსე ადამიანი შეიძლება იყოს, ამისათვის, პირველ რიგში, ღმერთთან მიახლებაა საჭირო, რომელიც მართალი ცხოვრებით მოიპოვება. ამდენად, მართალი გზა–ჭეშმარიტებისკენ სავალი გზაა, ხოლო ჭეშმარიტება იგივე ღმერთია, ამიტომ მაცხოვრის მოწოდებას ჭეშმარიტებისაკენ მუდმივი სწრაფვისათვის, არა მარტო სულიერი დატვირთვა გააჩნია, არამედ უაღრესად დიდი აღმზრდელობითი მუხტის მატარებელია. განსაკუთრებულ აქტუალობას აღნიშნული თეზისი მოზარდებთან მიმართებაში იძენს, რადგან სიცრუე ყველაზე უფრო ბავშვის სულიერ სამყაროს ამახინჯებს.

ქრისტიანული მოძღვრება ადამიანს, როგორც უფლის მსგავსსა და ხატს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ იესო ქრისტე გამოყოფდა ცალკეულ ინდივიდებს ადამიანთა ჯგუფიდან, იგი სათანადოდ იცნობდა თითოეულ პიროვნებას, პირადად მიმართავდა მათ: „ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ: მე ვიცნობ მათ და ისინი მე მომყვებიან" (იოან. 10,27) – ასე მიუგო იესო ქრისტემ სოლომონის სტოაში შეკრებილ იუდეველებს, რომლებმაც არ იწამეს მაცხოვრის სიტყვა.

თითოელი ადამიანი ძვირფასია ღმერთისათვის, ამიტომ მაცხოვარი ცნობს მათ და აინტერესებს მათი საქმეები ცალ-ცალკე. ღმერთს მთელი კაცობრიობა ერთად კი არ უყვარს, არამედ თითოეული ადამიანი ცალ-ცალკე. ამიტომ თანამედროვე პედაგოგიკაში დამკვიდრებული უმნიშვნელოვანესი პრინციპი–აღსაზრდელთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების შესახებ, ქრისტიანულ მოძღვრებაში იღებს სათავეს.

ახალი აღთქმა გვაუწყებს იმის თაობაზე, რომ იესოს ყრმები მოუყვანეს, რათა შეხებოდა მათ. ეს რომ მოწაფეებმა დაინახეს დაუწყეს საყვედური, მაგრამ იესომ მოიხმო ისინი თავისთან და თქვა: „გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით მოვიდნენ ჩემთან, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი" (ლუკ. 18:15-16). რაკი თავად მაცხოვარი ზრუნავს ბავშვებზე, ეს მრავლისმეტყველი მოვლენაა, ამიტომ ქრისტიანული მოძღვრება მას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს. ბავშვს ერთგვარი მაგალითის როლსაც კი ანიჭებს, რადგან იგი ყველაზე სუფთა და მისაღებია ღმერთისათვის: „...ვინც ისე არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, როგორც ბავშვი, ვერ შევა შიგ." (ლუკ. 18, 17).

იესო ქრისტე ადამიანის სულის გადარჩენისთვის ეკლესიურ ცხოვრებას ამკვიდრებს. ეკლესიას კი სარწმუნოების მასწავლებელთა კრებითი ცნობიერება აქვს. (5.14). კრებითი ცნობიერება ადმიანზე სულიერი ზემოქმედების ქმედითი საშუალებაა. ამიტომ გახდა ქრისტიანული პედაგოგიკა ეკლესიური პედაგოგიკა. პედაგოგიკის ეკლესიურობა არ გულისხმობს რაიმე წინააღმდეგობას ცოდნასა და რწმენას შორის, პირიქით, როგორც წიგნის შესავალ ნაწილში იყო საუბარი, ისინი ავსებენ ერთმანეთს. ი. კანტი ამბობდა: „მე უნდა შემომესაზღვრა

ცოდნის ფარგლები, რათა რწმენისათვის ადგილი დამეთმო." ეს მოსაზრება, როგორც ზოგიერთ ათეისტ მეცნიერს მიაჩნია, არ ეწინააღმდეგება მოციქულის ცნობილ გამონათქვამს: „ბიბრძნე ამის სოფლისაი სიცოფე არს წინაშე ღმერთსა" (1 კორ. 3:19), არამედ აქ მოიაზრება მხოლოდ წარმართული ფილოსოფია, რომელიც საერთოდ უარყოფდა ღმერთის არსებობას. ზოგადად, პავლე პოციქული ჭეშმარიტი მეცნიერების აპოლოგეტია: „გამუდმებით მადლს ვწირავ ღმერთს თქვენს გამო, და ჩემს ლოცვებში გიხსენებთ, რათა უფლის ჩვენის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, მოგცეთ თქვენ სული სიბრძნისა და გამოცხადება მის შესაცნობად, და გაანათლოს თქვენი გულის თვალნი, რათა შეიცნოთ, რა არის მისი ხმობის სასოება" (ეფეს. 1:16-17). ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯი გრიგოლ ნოსელი საგანგებოდ მსჯელობს „სიბრძნის სულისა" და „გულის თვალნის" შესახებ.*

ღვთიური სამყაროს ამოხსნა ადამიანის გონების შესაძლებლობებს აღემატება, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა მიუთითებს: „ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაღწევთ ღვთიური საწყისის პირდაპირსა და ადეკვატურ გაგებას, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ხილულ ყოფიერებასთან ანალოგიებზე დაფუძვნებულ არაადეკვატურ გაგებას. ამიტომ იზრდება მნიშვნელობა საღმრთო წერილისა, როგორც ღვთაებრივი გამოცხადებისა, რომელიც ჩვენ მთელი სერიოზულობით და მოწიწებით უნდა შევისწავლოთ. ამგვარად ჩვენი რწმენა დაფუძვნებულია როგორც საღმრთო წერილზე, ასევე ბუნების შეცნობაზე, რადგანაც გარემომცველი სამყაროს – ქმნილების შეცნობა ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს შემოქმედზე დასკვნის გასაკეთებლად" (2. 333). საზოგადოდ, რელიგია უდიდესი წყალობაა ღმერთის მიერ ადამიანთათვის აღმოჩენილი, ხოლო საერო ცოდნა ღვთიური კანონზომიერების უმნიშვნელოვანესი გამოვლენაა ისევ ადამიანთა სამსახურში ჩასაყენებლად. ორივე იმასათვის არის მოწოდებული, რომ ადამიანს დაუმკვიდროს ჭეშმარიტი ნეტარება, თანაც ერთმა ხულულ, ფიზიკურ სამყაროში, ხოლო მეორემ – უხილავ , მარადიულ ქვეყანაში. „რელიგია ემყარება რწმენას , რომელიც გა-

* იხ. გ. ალიბეგაშვილი, წმ. გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შეხედულებები, თბ., 2000 წ.

მოცხადებას გულისხმობს, ხოლო მეცნიერება – ცოდნას, რომელიც ლოგიკური დასაბუთების გზით მტკიცდება. გარკვეული მოსაზრებით, რელიგიაც და მეცნიერებაც დამოკიდებულნი იმ ადამიანებზე, ვინც მათ ემსახურება, ვისი ნაყოფიც არიან. მეცნიერება ისევე აუცილებელია ადამიანისა და მთლიანად საზოგადოებისათვის, როგორც რელიგია, თანაც მოცემულ შემთხვევაში რელიგია უპირატესობით სარგებლობს, რადგან მისი მრევლი გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე მეცნიერების...." (6.50-52). ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ მეცნიერული უნარი მაინც ღმერთს უკავშირდება, რადგან ღმერთმა უბოძა ადამიანს იგი. ეს ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში დაფიქსირდა პირველად, როცა სამყარო შექმნა ღმერთმა და ცოცხალ არსებათა სახელდება ადამს უბოძა.

ახალ აღთქმაში არა თუ დაფიქსირდა ადამიანის დანიშნულება, მისი არსობის მისია და მიზანი, არამედ გამოიკვეთა ის უმთავრესი ორიენტირი. სწორედ იესო ქრისტემ განსაზღვრა სწავლისა და აღზდის ძირითადი მიმართულებები. ახალი აღთქმის თანახმად, აღზრდის ორიენტირის მართებული არჩევა ძირითადად განაპირობებს წარმატებას მოზარდებთან მუშაობაში, ამიტომ აღზრდის მიზანი რწმენიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ აქ დიდი დაკვირვებაა საჭირო. როგორც იოანე ღვთისმეტყველი ამბობდა: ყველა სულს როდი უნდა დავუჯეროთ, საჭირო მისი შემოწმება, ნამდვილად ღვთიურია თუ არა იგი, რადგან მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღმოჩნდა ქვეყანაზეო,–გვასწავლის წმიდა მამა. რწმენა, რომელიც მოდის ქრისტეს აღმსარებლობიდან, არის ღვთიური, ხოლო ის რწმენა, რომელსაც არ აღიარებს იესო ქრისტე და უფალი ჩვენი–არის ანტიქრისტესაგან.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ახალი აღთქმის პედაგოგიკაზე, მხედველობაში გვაქვს აღზრდა-განათლების ის სისტემა, რომელიც მაცხოვარმა დაამკვიდრა და არა ამ ტერმინის – პედაგოგიკის შემოღება. როგორც ცნობილია, პედაგოგიკა ანტიკურ ეპოქაში დამკვიდრდა. პედონომს ეძახდნენ იმ პიროვნებას, რომელიც ბავშვს ატარებდა, ხოლო პედაგოგიკა – მოზარდის აღზრდისა და განათლების შესახებ მეცნიერება გვიან გამოეყო ფილოსოფიას. საქმე ტერმინებში როდია, აღზრდა – განათლების ქრისტიანულმა სისტემამ შესაბისი დარგი შექმნა, რომელსაც თანამედროვეობა პედაგოგიკას უწოდებს. პედა-

გოგიკის დეფინიციებზე ახალ აღთქმაში, ჩვენ წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ, ამჯერად მისი არსის შესახებ გვაქვს მსჯელობა. რადგან ქრისტიანული პედაგოგიკის ძირითადი საფუძველი ახალი აღთქმაა, ამიტომ, სწორედ ახალი აღთქმის კონტექსტში განვიხილავთ ქრისტიანული პედაგოგიკის საგანს, ძირითად ცნებებს და მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. საერთოდ ქრისტიანული პედაგოგიკის სრულყოფილი თეორიული გააზრება–დამუშავება მომავალის საქმეა.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული პედაგოგიკის მიზანს მორწმუნე ადამიანის აღზრდა-განათლება შეადგენს. მაგრამ მთავარია, ამ მიზნის მისაღწევად რა უნდა გაკეთდეს? როგორ გახდეს ადამიანი მორწმუნე. სწორედ ეს არის უპირველესი და უმთავრესი პედაგოგიური პრობლემა და არა მარტო პედაგოგიური.

სულის უკვდავების რწმენა ქრისტიანული აღზრდის ქვაკუთხედია. თუ ადმიანი არ ცნობს სულის უკვდავობას, მაშინ მარადიულ საუფლოზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნება და აქედან გამომდინარე, საიქიო ცხოვრებისათვის აღზრდას აზრი ეკარგება. ასეთ შემთხვევაში პირველადი ხდება ყოფითი ინტერესები და მათი რეალიზაციისთვის ზრუნვა უპირველეს ადგილს იჭერს, როგორც ეს ათეისტებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა ქრისტიანული პედაგოგიკა არ არის მარტო იმისთვის მოწოდებული, რომ აღზარდოს მხოლოდ საიქიო ცხოვრებისათვის. სამუდამო სასუფეველი მიწიერ ცხოვრებისათვის მაცხოვრის მიერ დამკვიდრებული ნორმების სრული დაცვით მიიღწევა, ამდენად, ცათა სასუფეველში დამკვირების უმთავრესი პირობა, ამქვეყნიურ ცხოვრებაში დამკვიდრებული ზნეობრიობით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ქრისტიანისთვის მნიშვნელოვანია ამქვეყნიური ცხოვრებაც, რომელიც სულიერი ცხოვრების სამზადისს წარმოადგენს.

მორწმუნე არ გაურბის უფლის განკითხვას, უფრო მეტიც, იგი სთხოვს ღმერთს: „მიუზღე მათ თავთავიანთი ნაქნარისამებრ, და თავიანთი ბოროტმოქმედებისამებრ; მათ ხელთა გაკეთებულის შესაფერისად მიუზღე მათ, გადაახდევინე მათი დამსახურებისამებრ" (ფსალმ. 27:4).

როგორც თეოლოგები გვასწავლიან, ადამიანის სულს პირველ სტადიაში უზენაესის ნებით ეძლევა საწყისი და იგი ადამიანთან სახიერდება, შემდეგ იგი მოძრაობს სხეულის გა-

რეშე, უბრუნდება ღმერთს – მის მშობელს, თუმცა მრავალი ამქვეყნიური ცოდვათაგან დაღდასმული. ხოლო მესამე სტადია მეორედ მოსვლასთან და განკითხვასთან ასოცირდება.

ღმერთის მიერ შექმნილ ცოცხალ და არაცოცხალ სამყაროში ჰარმონია ღმერთის აღიარებითა და რწმენით მიიღწევა. თანამედროვე პედაგოგიკაში მრავალი მიმართულებაა, მაგრამ ყველას როდი მიჰყავს ადამიანი სულიერ ხსნამდე. თუმცა ყველა პედაგოგიკური თეორიის მიზანს პიროვნების სულიერ-ზნეობრივი ჩამოყალიბების წყაროების ძიება შედგენს. მაგრამ ასეთი წყაროს განსაზღვრა თეორიული მოსაზრებებით შეუძლებელია, მისი მიღწევა შესაძლებელია ადამიანისადმი ბოძებული თავისუფალი არჩევანით: აღიაროს ღმერთი ყოველივეს შემოქმედად თუ უარყოს იგი. სწორედ აქ ჩნდება პედაგოგიკის, როგორც აღზრდის შესახებ მეცნიერების ადგილი, რომელიც ხელს უწყობს და ემსახურება ღვთისმეტყველებას, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან მიმართებაში ყოველთვის ჩანს შემოქმედება და უწყვეტი პროცესი, რომელშიც დასაწყისშივე შეთანხმებულია ადამიანის ყოფითი და ღვთიური, ადამიანური და ღვთაებრივი. მას შემდეგ, რაც ადამიანში მოხდება ზნეობრივი თვითგანსაზღვრა იმისა, რომ იგი არის შემოქმედის ნების გამოხატულება, ადამიანის სული მუდმივი ცხოვრებისათვის იხსნება, რაც ღვთიურ მადლს ანიჭებს მას. სულიერი სრულყოფა და ფერისცვალება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას ასკეტური სიმამაცის გამოჩენა, რის გარეშეც არ არსებობს მუდმივი სულიერი განვითარება, როგორც სამუდამო სასუფევლის დამკვიდრების პირობა.

ქრისტიანული პედაგოგიკა დაფუძნებულია ქრისტიანულ-ზნეობრივ ღვთისმეტყველებაზე, ეკლესიის სწავლებაზე ადამიანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, სულის გადარჩენის შესახებ ეკლესიის წმიდა მამათა მოძღვრებაზე, ასკეტური ცხოვრების წესზე და სხვა ქრისტიანულ დოგმებზე, რომლებიც ღვთიური განგებულებით დამკვირდნენ უფლის ეკლესიაში და მრევლში.

პიროვნების მიერ სულიერი გადარჩენის, სულიერ-ზნეობრივი გამოცდილების შეძენის პროცესი წარმოადგენს ***ქრისტიანული პედაგოგიკის საგანს.***

პასუხი მთავარ კითხვაზე, თუ რა არის ქრისტიანული პედაგოგიკა? შესაძლებელი იქნება გაეცეს მას შემდეგ, რეცა სრულყოფილად წარმოვიდგენთ ქრისტიანულ აღზრდა-განათლების მიზანს, რაც ასევე განუყოფელია მორწმუნე ქრისტიანის ცხოვრებისაგან.

ქრისტიანის ცხოვრება მისი ეკლესიურობაა. უფლისაკენ სწრაფვა თავად ღვთის მიერ არის განსაზღვრული. მისდამი მუდმივი ლტოლვა ქრისტიანის ბუნებაა. ღმერთან სულიერი კავშირი ქრისტიანის უმთავრესი მიზანია.

ადამიანის ცხოვრების ეკლესიურობა არათუ გამორიცხავს, არამედ ხელს უწყობს პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას. ამიტომ აღზრდა კანონზომიერად უნდა მიმდინარეობდეს ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ესთეტიკური, სულიერ-ზნეობრივი და რელიგიური მიმართულებით. სწორედ ქრისტიანული აღზრდის მიზნიდან გამომდინარეობს ქრისტიანული პედაგოგიკის განსაზღვრება და იგი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ქრისტიანული პედაგოგიკა *– ეკლესიური პედაგოგიკაა. პედაგოგიკის ეკლესიურობა ნიშნავს პედაგოგიკის თეორიის ძირითადი კატეგორიების: აღზრდის, განათლების, განვითარებისა და სწავლების ქრისტიანული სულისკვეთებით გამდიდრებას. ქრიტიანული პედაგოგიკა იმისთვის არის მოწოდებული, რომ გაცხადდეს ღვთის სახე ადამიანში: სულიერ-ზნეობრივი სრულყოფილება მოიპოვოს ყოველმა ადამიანმა, რათა სიწმიდემ და სიკეთემ, სულიწმიდის მადლმა გაგვინათოს გული.*

პედაგოგიკის ძირითადი ცნებებია: *აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება.*

განვითარება ქრისტიანულ პედაგოგიკაში დაკავშირებულია ღვთიურობასთან, ხოლო აღზრდა მიჩნეულია სულიერ გადარჩენად. აღზრდა განისაზღვრება პიროვნების ეკლესიურობით, ხოლო ეკლესიურობა განიხილება უფრო ფართო გაგებით, ვიდრე რელიგიური აღზრდა. განათლება უფლის ხატებისა და მსგავსების აღდგენაა ადამიანში. სწავლება, გარდა საკუთრივ ცოდნის შემეცნებისა, შეიცავს სინანულის კერძო ასპექტებს.

ქრისტიანულ პედაგოგიკაში ***აღზრდა*** *წარმოადგენს ადამიანის სულიერი ცხოვრების შექმნის პირობას.* ***აღზრდის მთავარი საკითხებია:*** *განვითარება და ღვთიურობა.*

საერო პედაგოგიკაში აღზრდა დაკავშირებულია განვითარებასთან, ხოლო ქრისტიანულ პედაგოგიკაში ღვთიურობასთან, აქედან გამომდინარე აღზრდა ემსახურება, როგორც განვითარებას, ისე ღვთიურობას.

საერო პედაგოგიკის თანახმად აღზრდა არის პედაგოგიურად ორგანიზებული, მიზანმიმართული ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბავშვის პიროვნებად განვითარებას, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას ემსახურება. აღზრდა, არსებითად, არის უფროსი თაობის მიერ მოზარდი თაობისათვის იმ გამოცდილების გადაცემა, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია მეცნიერების, ტექნიკის, შრომის იარაღების წარმოების, ზნეობის, სამართლის, ხელოვნების–მთელი კულტურის სფეროში. (8.8-9). მაგრამ ქრისტიანული პედაგოგიკისთვის ასეთი განსაზღვრება არ არის საკმარისი.

მართლმადიდებლური აღზრდა იქეთკენაა მიმართული, რომ შექმნას ნაყოფიერი ნიადაგი ადამიანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა–ეს არის ადამიანის ორგანულ იერარქიაში ადამიანური ბუნების აღდგენა და სრულყოფა.

ქრისტიანულ პედაგოგიკაში აღზრდის ამოცანა ორგანზომილებიანია: რაც იმას ნიშნავს, რომ საერო პედაგოგიკისგან განსხვავებით, იგი შემოზღუდული არ არის მხოლოდ ადამიანის ფიზიკური არსებობით, მისი მიზანია აღზარდოს ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება, როგორც ამსოფლიური ცხოვრებისათვის, ისე სამუდამო სულიერი არსებობისათვის. აღნიშნული ამოცანები კი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, პირიქით ერთი ამოცანის შესრულება, განაპირობებს მეორის დაძლევას. ამდენად, პიროვნების ქრისტიანული აღზრდა, მისი ამქვეყნიური ზნეობრივი ცხოვრება, მარადიული სულიერი არსებობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული პედაგოგიკა უფრო ტევადი ცნებაა, იგი საერო პედაგოგიკის ინტერესების სფეროსაც მოიცავს. რადგან მისი მიზანი „ორთავ სოფლისთვის" ადამიანის მომზადებაა, ხოლო საერო პედაგოგიკის ამოცანები ადამიანის ფიზიკური არსებობით შემოიფარგლება.

ქრისტიანულ პედაგოგიკაში გამოიყოფა ქრისტიანული ***პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, დიდაქტიკა (სწავლება) და პიროვნების სულიერ-ზნეობრივი ჩამოყალიბება (აღზრდა).*** სამივე მიმართულება ეფუძვნება ქრისტიანობის ყოვლისმოცველ დოგმატს, სარწმუნოების სიმბოლოს ანუ მრწამსს.

აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ღვთიური მადლითა და ნათლობის საიდუმლოს ზეგავლენით. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ღვთიური მადლი იცავს, ამტკიცებს და იერარქიულ უპირატესობას ანიჭებს ადამიანის აგებულებაში მის სულიერ საწყისს. ამდენად, აღზრდა ქრისტიანულ პედაგოგიკაში განიხილება, როგორც სწრაფვა ადამიანის სწორი იერარქიული აგებულების მიმართ (სული, სამშვინელი და სხეული). ამასთან ერთად, რაც ყველაზე უმთავრესია, აღზრდა არის მომავალი სულიერი ცხოვრების გასაღები.

ქრისტიანულ აღზდაში არ გამოიყენება ისეთი საშუალება, როგორიცაა მოზარდის ფიზიკური დასჯა, ამის ნაცვლად მას აქვს უფრო ეფექტური საშულებები: სიკეთის ქმნა ბოროტების წილ, ხოლო მადლის გაცემა ცოდვის საზღაურად. ღმერთის მიერ დაშვებულია ზნეობრივი ნორმების შესრულების ორი მიმართულება, რაც რეგლამენტაციას უწევს ადამინის ქცევას. აქ შეიძლება გამოიყოს აუცილებლად შესასრულებელი და ამკრძალავი ქმედებები; სწორედ მათ შესრულებასთან მიმართებაში წარმოაჩენს ადამიანი თავს დადებითი ან უარყოფითი კუთხით.

ქრისტიანული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებია: *ღმერთის არსებობის რწმენა; ადამიანის ნების თავისუფლება; სულის უკვდავება და საიქიო სამყაროს რწმენა.*

§3. ახალი აღთქმის პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები

პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები საზოგადოებრივი ფორმაციების და სხვა ეპოქალური ცვალებადობის კვალდაკვალ იცვლებოდა. ყოველი ეპოქა ზნეობრივი ნორმების ახალ გაგებას გვთავაზობდა. ამის შესაბამისად ყალიბდებოდა მორალური კატეგორიები. საერო პედაგოგიკაში „მორალი ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ტოლფასი ღირებულებაა, მორ-

ალი კეთილი ნებაა, სწორედ კეთილი ნება, სიკეთისაკენ მიმართული ქმედება და ქცევა. მორალი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის მოწესრიგების ფორმაა ყოველთვის სიკეთისა და სიყვარულისთვის მიმართული." (7.74). მორალის ამგვარი დეფინიცია დაზუსტებას და შევსებას საჭიროებს, რომელსაც ქვემოთ შევეცდებით, ეხლა მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ ადამიანის უმაღლეს მორალურ ქმედებად უნდა ჩაითვალოს ღმერთის სიყვარული და უფლისმიერი ზნეობრივი ნორმების განუხრელი აღსრულება, რომელიც იძულებით, გარედან კი არ არის თავსმოხვეული, არამედ ადამიანის შინაგანი სამყაროს ნაწილია, უფლისმიერი სიყვარულით აღმოცენებული.

ქრისტიანობა სულის შინაგანი სტრუქტურის სამ ძირითად ელემენტზე მიუთითებს, ესენია: რწმენა, სიყვარული და იმედი.

ზნეობას ღვთისმეტველები მხოლოდ რელიგიის წიაღში მოიაზრებენ. სულიერება ღვთიური ფენომენია და მის გარეშე არ არსებობს. XIX საუკუნეში მკვლევარი ფ. გემმინგერი წერდა: „გამოაცალკევეთ ზნეობა რელიგიისაგან, ანდა რელიგია ზნეობისაგან და ამით გათიშავთ იმას, რაც ყოველთვის იყო და არის მჭიდრო და შინაგან ერთიანობაში, და რომ ერთი მეორის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ზნეობა რელიგიის გარეშე იგივეა, რაც ხე უფესვებოდ, რაც მას ძალასა და სიცოცხლეს ანიჭებს. რელიგია ზნეობის გარეშე ხდება მხოლოდ უშინაარსო და მკვდარ ფორმად". *(40.301).* ამდენად, რელიგია და ზნეობა უნდა არსებობდნენ ერთად, მხოლოდ ერთინობაში მიაღწევენ თავისი ჭეშმარიტი მიზნის განხორციელებას.

ახალი აღთქმის პედაგოგიკა და აქედან გამომდინარე ზნეობრივი პრინციპები ეყრდნობა დოგმატებს, რომელიც მარტო რწმენას როდი ემსახურება, ის ადამიანებს მოუწოდებს, რომ სწორედ რწმენაზე დააფუძვნონ საკუთარი ცხოვრება, ქცევა და სხვა ადამინებთან ურთიერთობა.

სწორედ იესო ქრისტემ წამოაყენა ახალი ზნეობრივი პრინციპები: „შეიყვარეთ თქვენი მტრები", ნაცვლად „გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი"; ან კიდევ – „თვინიერნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას" (მაშინ როცა აგრესიულ და სასტიკ ადამიანებს ეპყრათ ხელისუფლება და ძალაუფლება).

იესოს ბევრი კიცხავდა იმის გამო, რომ მას ცოდვილებთან და საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, ამას მაცხოვარი ასე პასუხობდა: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ... მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი" (მათ. 9:12-13).

იესო ქრისტე ახალი მოძღვრებით კი არ ეწინააღმდეგება ძველი აღთქმის ზნეობრივ პრინციპებს, პირიქით, უფრო აღრმავებს მათ და ახალ სიმაღლეზე აჰყავს ღვთის მსგავსად შექმნილი ადამიანი. მაცხოვარი ყოველთვის არ იმეორებს მოსეს რჯულში მოცემულ მცნებებს, უფრო მეტიც, განსხვავებულ შეხედულებებსაც გამოთქვამს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მათ შორის რაიმე წინააღმდეგობას: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწრმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი" (მათ. 5:17). ისიც უნდა ითქვას, რომ იესო ქრისტემ ძველი აღთქმიდან გააუქმა მოსეს რჯულის მთელი რიგი გარეგნული ნიშნები, როგორიცაა: წინადაცვეთის წესი. სისხლიანი მსხვერპლშეწირვა. ძველი რიტუალებისადმი გადამეტებული ყურადღება, სამართლის ნორმები და სხვა. მათ ნაცვლად მორწმუნეთათვის დააწესა საიდუმლოებანი, რასაც აღასრულებს ეკლესია. (44.36). მაგალითად, იესომ გააუქმა შაბათის უქმე იმ სახით, როგორც იგი ძველ აღთქმაში იყო: „შაბათი ადამიანისათვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისათვის" (მარკ. 2:27) – ასწავლიდა იესო. ამით მან ადამიანი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და ყოველი მიწიერი მას დაუქვემდებარა.

იესო დაწვრილებით განმარტავს იმ სიახლეებს, რომელსაც ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპები ეფუძვნება. მართალია, ისინი განსხვავდებიან მოსეს კანონებისაგან, მაგრამ კი არ უარყოფენ მას, არამედ ავითარებენ. ამის შესახებ თავად მაცხოვარი ასე გადმოგვცემს: „თქვენ გსმენიათ, ეთქვათ ძველებს: არა კლა! ვინც მოკლავს სასჯელის თანამდები იქნება, მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება (მათ. 5:21-22). ე.ი. თუ მოსეს მცნება კრძალავს ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინებას, ქრისტეს მიხედვით, უნდა დაისაჯოს არა მხოლოდ მკვლელი, არამედ ვინც უმიზეზოდ განურისხდება სხვას. შემდეგი მცნება მრუშობის აკრძალვაა: „გსმენიათ, რომ თქმულა:

არ იმრუშო. მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან იმრუშა მასთან თავის გულში" (მათ. 5:27-28). ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამ მუხლს ასე განმარტავს: „ვინც დიდხანს ცქერით ავხორცობას აღიგზნებს და ნდომით აღსავსე მზერას მაინც არ აშორებს, მან უკვე ჩაიდინა თავის გულში ცოდვა მრუშობისა. და თუ საქმითაც არ იმრუშა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეეძლო, თორემ რომ შეძლებოდა, მყისვე ჩაიდენდა ბოროტებას. ისე კი იცოდე, რომ, თუ სურვილი გაგიჩნდება, მაგრამ მისი საქმის აღსრულებისას წინააღმდეგობას შეხვდები, ცხადია, რომ მადლი გმფარველობს. ასევე ქალებიც, თუ მხოლოდ იმიტომ ირთვებიან, რომ თავი მოაწონონ–სცოდავენ, თუნდაც მომწონებელი არავინ გამოჩნდეს, რადგან მათ მოამზადეს სასმელი, რომელიც არავინ შესვა." (9.45).

ძველი აღთქმის თანახმად, აუცილებელია ფიცის აღსრულება, ხოლო იესო ქრისტე დაფიცებას ეწინააღმდეგება (მათ. 5:33-37). ასევე შორს მიდის იესო სამაგიეროს გადახდასთან დაკავშირებით და არათუ კრძალავს მას, არამედ ჯერ არგაგონილ კაცთმოყვარეობას გვიქადაგებს: „ვინც ერთ მილზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაჰყევი. ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს." (მათ. 5:41-42).

თუკი მოსეს რჯული მოყვასის სიყვარულს და მტრის სიძულვილს აკანონებდა, იესო მტრის სიყვარულისკენ მოგვიწოდებს (მათ 5:44-48). გაჭირვებაში ჩავარდნილის დახმარება ქრისტიანის ცხოვრების წესი უნდა იყოს, რომელსაც ისე უნდა ვაკეთებდეთ, რომ ზედმეტი ყურადღება არავინ მოგვაქციოს (მათ. 6:1-4). ქრისტიანისთვის ღმერთთან მიმართება ლოცვაში გამოიხატება, ამიტომ ლოცვა უნდა იყოს გულწრფელი და მორიდებული, მიუღებელია მოჩვენებითი ლოცვა მარტო იმისათვის, ხალხს თავი მოაჩვენო (მათ. 6:5-8). განსაკუთრებულია ასევე „მამაო ჩვენოს" წარმოთქმის წესები, რომელიც მიტევებისა და ცოდვათა მონანიებისთვის არის გამიზნული, რადგან ღმერთი მიუტევებს გულწრფელ მონანიებას ყოველ ცოდვილს. ამიტომ ადამიანს მართალ გზაზე სიარულის და სიკეთის ქმნის შანსი მუდამ ექნება თუ ღვთის მოშიში და მოყვარული იქნება (მათ. 69-15). ახალი მოძღვრება პიროვნულ პასუხისმგებლობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. თითოეული ადამიანი საკუ-

თარი თავის მიმართ უნდა იყოს მომთხოვნი და ამის შემდეგ შეეძლება სხვის მიმართ ასეთივე დამოკიდებულება. მაცხოვარი გვასწავლის სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაზე. „ეს მხოლოდ მამა ღმერთს შეუძლია სხვისი განკითხვა, ამიტომ ადამიანებმა ერთმანეთი არ უნდა განიკითხონ, რამეთუ სხვათაგან არ იყვნენ შემდგომში განკითხულნი (მათ. 7:1). მაცხოვარი მოუწოდებს ყველას თვითგანწმენდისა და პიროვნული პასუხისმგებლობისაკენ: „რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ? ანდა, როგორ ეტყვი შენს ძმას: მიმიშვი, ამოგიღო თვალიდან ბეწვიო, და აჰა, შენს თვალში კი დირეა! თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან" (მათ. 7: 3-5). აქედან გამომდინარე, იესოსთვის მიუღებელია ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ უკეთურებას ყურადღებას არ აქცევს და სხვის თვალში ბეწვს უყურებს. მაცხოვარი ასევე გარკვეულ წესებს გვიწესებს ჭამასმაზე და ჩაცმა-დახურვაზე, ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავზე, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ისეთ ადამიანებზე ამახვილებს, ვისაც ცხოვრების მიზნად სიმდიდრის დაგროვება გადაუწყვეტია: „შვილებო, რა ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა მათთვის, ვინც სიმდიდრეზეა მინდობილი! უფრო იოლია აქლემის გაძვრომა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღვთის სასუფეველში" (მარკ. 10:24-25).

ქრისტიანობა ახალისებს ადამიანის გარჯას. ამავე დროს იგი გმობს მცონარობას და სიზარმაცეს. იესო ქრისტე სამაგალითოდ მიიჩნევდა ინიციატივიან და შრომისმოყვარე ადამიანებს, სწორედ ამას გვასწავლის მათეს სახარებიდან იგავი ტალანტზე, რომელშიც მოთხრობილია ინიციატივიან, შორსმჭვრეტელ ადმიანებზე და უუნარო და ზარმაც მონაზე. პირველებმა ფულს კუდევ ფული მოაგებინეს, ხოლო ზარმაცმა მონამ მიწაში დაფლა ფული, ნაცვლად იმისა, რომ ევაჭრა და მისგან სარგებელი ეშოვნა, ამიტომ მაცხოვრის შეგონება ამასთან დაკავშირებით ცალსახაა: „...მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს" (მათ. 25:29). თუმცა იესოსთვის ასევე სავალდებულოა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის ხელის გაწვდენა. ახალი აღთქმაში რამდენჯერმე არის მითითება იმის თაობაზე, რომ იესო ცხოვრებაში თავად შეხვედრია უსულ-

გულო, გულქვა ადამიანებს, რომლებიც გაჭირვებულს არად აგდებდნენ, ხოლო გამორჩეულ ადამიანებს, ვისაც მათი დახმარება არც ჭირდებოდათ, თავს ევლებოდნენ. მათ შორის იყო მაცხოვარი, მისი გულის მოგება მდიდართა და წარჩინებულთა მთავარ მიზანს შეადგენდა, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ ასეთ უსამართლობას კაცობრიობის მოძღვარი და უდიდესი მასწავლებელი არ დაუშვებდა, ამიტომ შეუვალი და კატეგორიული იყო იესო ასეთი ადამიანების მიმართ: „...ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ" (მათ. 25:45). შემოქმედი, ახლის მაძიებელი ადამიანი ყოველთვის მიიღებს უფლის მფარველობას: „ითხოვდეთ და მოგეცემათ; ეძებდეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ყოველი, ვინც ეძებს- პოულობს და ვინც აკაკუნებს – კარი გაეღება" (მათ. 7:7-8). მართალია, ყველა ადამიანს ძალიან ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ სხვისი კეთილდღეობისათვის ყველამ უნდა მოიცალოს, იგი უპირველესი საზრუნავია თითოეული ქრისტიანისათვის, ამიტომ, როგორც მაცხოვარი გვასწავლის: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი" (მათ. 7:12).

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლია ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრების თანახმად ცხოვრება, სანამ ღვთის სულს არ მივიღებთ: „რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი, არამედ გადარჩენილიყო მის მიერ (იოან. 3:17). ან კიდევ: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არა სნეულებს ჭირდებათ; მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსაწოდებლად მოვედი" (მარკ. 2:17). აქედან მთავარი მიზანი, რომლის გამოც იესო მოევლინა ქვეყნიერებას, ისევ და ისევ უმაღლესი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია. უცოდველი ძე ღვთისა ადმიანთა ცოდვების გამოსასყიდად მოავლინა თავად ღმერთმა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება. მაგრამ ეს არაა მაცხოვრის მოვლინების ერთადერთი მიზანი, სწორედ იესომ უნდა ახაროს კაცობრიობას ცათა სასუფევლის შესახებ (რომელიც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმაც იცოდნენ), რომ საჭიროა ამისათვის მუდმივი მზადება, რათა მონანიების გზით ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში

ELIBRARY.GE

დავიმკვიდროთ ადგილი, რაც მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებისათვის აუცილებელი პირობაა. ხოლო ამ გზაზე სვლისათვის ადამინის ყველა მოქმედება თუ [illegible] რწმენიდან, ანუ ქრისტიანული ზნეობიდან უნდა გამომდინარეობდეს. სწორედ აქ ჰპოვებს ქრისტიანული ზნეობა მის პრაქტიკულ დანიშნულებას. მხოლოდ ის დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, ვინც უფლისმიერ გზაზე ერთგულად ემსახურება ქრისტეს მიერ გაცხადებულ ზნეობრივ პრინციპებს. ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებისათვის, რადგან, როდის დადგება იგი, არავინ უწყის, როგორც ქრისტე ამბობს, იგი მოულოდნელად დადგება, როგორც ძველი აღთქმის, ნოეს დროს მოხდა წარღვნა, ამიტომ, ამისთვის ყველა მზად უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებისათვის დიდი სამზადისია საჭირო, ხოლო სამზადისი შეეხება ყველა ადამიანს, დიდსა და პატარას. უფლისმიერი პრინციპებით ცხოვრება დიდ რწმენას მოითხოვს, მაგრამ მარტო რმენითაც ყველაფერი ვერ მიიღწევა, რწმენასთან მისასვლელი გზა ცოდნაზე გადის. ამიტომაცაა ახალი აღთქმაში მოძღვრებაზე, სწავლაზე და ცოდნის დაუფლებაზე მთავარი აქცენტი გადატანილი.

ცოდნის დაუფლება და აღზრდა განყენებული კატეგორია კი არ არის, არამედ იგი პრაქტიკულ მიშვნელობას იძენს ახალ აღთქმაში და მთელ სამოციქულო პედაგოგიკაში. სწორედ ამის თაობაზე მიუთითებს მოციქული: „ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!" (რომ. 11:33). საღვთო სიბრძნით სამყაროს ყოფიერება ერთი მიზნისკენ მიემართება, ეს არის სრულყოფა და გარდაქმნა ყოველივესი. ამიტომაც არის მიმართული ქრისტეს მთელი მიწიერი ცხოვრება მუდმივი მოძღვრება-სწავლებისაკენ. როგორც ცნობილია, ქრისტემ იქადაგა 3 წელი. მან მაშინ დაიწყო ქადაგება, როცა უკვე 30 წლის იყო. მისი სამოძღვრო-პედაგოგიური მოღვაწეობა ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა. პირველი წარუმატებელი ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში შედგა (ლუკ. 4:14-30), რასაც მისი ქალაქიდან განდევნა მოჰყვა. ამის შემდეგ ქრისტემ შეცვალა მასებზე ზემოქმედების ფორმები. იგი წყვეტს ინდივიდუალურ მოღვაწეობას და სწავლების ჯგუფურ ფორმაზე გადადის. ამ მიზნით შემოიკრიბა 12

მოწაფე: სიმონი (პეტრე), ანდრია, იაკობი (უფროსი), იოანე, იაკობი (მცირე), იუდა, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, სიმონი (კანანელი), იუდა (ისკარიოტელი). ქრისტეს სწავლების ახალმა ფორმამ გაამართლა, მათი მოძღვრება ყოველდღიურად უფრო მეტ მხარდამჭერს იძენდა. სავარაუდოა, რომ იესო და მისი 12 მოწაფე ვედარ აუდიოდა ახალი მოძღვრების შესწავლაზე მზარდ მოთხოვნილებას და ამიტომაც შეარჩია იქრისტემ კიდევ 70 მოწაფე (ლუკ. 10:1), რომლებიც დაგზავნა სხვადასხვა კუთხეებში ქრისტიანული მოძღვრების სასწავლებლად.

ისმის კითხვა, რადგან ღმერთი ყოვლისშემძლეა და მისი ნების განმახორციელებელი მიწაზე იესო იყო, ისინი ხომ უარყოფითად ეკიდებიან ბოროტებას, მაშ რატომ არ შეაჩერებენ ბოროტ გზაზე შემდგარ ადამიანებს, რატომ არ აიძულებენ მათ მხოლოდ სიკეთის ქმნას და ბოლოს, რატომ არ სჯიან ბოროტების ჩამდენთ ?

ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. როგორც ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, ღმერთს მართლაც შეუძლია შეაჩეროს ბოროტება, უფრო მეტიც, მას შეუძლია სიკეთის საკეთებლად აიძულოს ადამიანები, ხოლო ვინც არ დაემორჩილება – დასაჯოს კიდეც, მაგრამ მაშინ ხომ ადამიანები რობოტებად გადაიქცეოდნენ. ღმერთი მოგვიწოდებს გვიყვარდეს იგი მთელი არსებით, მაგრამ არ გვაიძულებს ამას, რადგან იძულებითი სიყვარული, სიყვარული არ არის, იგი ნებაყოფილობითი აქტია, ამიტომ ღმერთს არ სურს არჩევანის უფლება წაართვას მას, ვინც თვითვე შექმნა. მაგრამ მიწიერ სამყაროში ცხოვრებისათვის იესო აწესებს ზნეობრივ პრინციპებს, რომელთა შეცნობა-შესწავლა (ლუკ. 1:4) აუცილებელია. სწორედ ამისთვის მოგვიწოდებს მაცხოვარი: „თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით" (იოან. 14:15). ამ მცნებებში უფლისა და მოყვასის სიყვარულთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თვით მაცხოვრის სიყვარულს, იესოს სურს, ადამიანებს ის უყვარდეთ ყველაზე მეტად (მათ. 10:37). ასეთი სიყვარული კი ამაღლებულია და ჩვეულებრივ მოკვდავთ სასუფევეში მოხვერის შანსი უჩნდებათ: „ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე" (მათ. 10: 32-33). იესო ქრისტე ზნეობის კრიტერიუმად მის მიმართ ერთგულებას აცხადებს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიხატება რწმენისათვის დევნაში და ლანძღვაში, რადგან წინასწარმეტყველებსაც ასე დევნიდნენ (მათ. 5:11-12).

იესო კარგად არჩევს ერთმანეთისგან მორწმუნეს ... ნოს, აქედან გამომდინარე – მოწაფეს და მიმდევარს: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე" (იოან. 10:14). აქედან შეიძლება ითქვას, რომ განაჩენის გამოტანისას, მაცხოვართან პირადი ურთიერთობის ანუ ჭეშმარიტი რწმენის საკითხი დაისმება. თუმცა იმასაც შეგვახსენებს მაცხოვარი, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში უკანასკნელ სამსჯავროზე მსაჯული თავად იქნება, „რადგან მამა არავის განიკითხავს, არამედ მთელი განკითხვა ძეს გადასცა, რათა ყველამ სცეს პატივი ძეს, როგორც მამას სცემენ პატივს.... და (მამამ) სამართლის გაჩენაშიც ხელმწიფება მისცა მას, რადგან კაცის ძეა იგი" (იოან. 5: 22-23, 27). იესო აცხადებს, რომ მას ყოველნაირი ცოდვების მიტევების უფლება აქვს (მაგ. დაუძლურებულის გაჯანსაღების ისტორია, ლუკ. 5: 17-20). იესომ კარგად იცოდა, რომ მისი სიკვდილი დაედებოდა საფუძვლად ღმერთის მიერ ცოდვილთა მიტევებას (მათ. 26: 27-28). მანვე განაცხადა, რომ ჯვარცმის და ამაღლების შემდეგ მამის გვერდით დაიჭერდა ადგილს (იოან. 14:2-3). მაცხოვარი ყველასგან პირუთვნელობას მოითხოვს, მისთვის მიუღებელია პირფერობა. ამასთან დაკავშირებით გვაფრთხილებს: „ვინც მე მეუბნება: „უფალო, უფალო!" ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში.... მე განვუცხადებ მათ: „მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო" (მათ.7:21-23). აქედან შეიძლება ითქვას, რომ განაჩენის გამოტანისას, მაცხოვართან პირადი ურთიერთობის ანუ ჭეშმარიტი რწმენის საკითხი დაისმება.

ქრისტეს ბოროტების ჩამდენთა სიკვდილით დასჯაც შეუძლია, მაგრამ ასეთი ქმედებით კაცობრიობა განადგურდებოდა. ბიბლია გვიხსნის, რომ „უფალი..... სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ მოვიდეს მოსანანიებლად (2 პეტ. 3:9). „ჩვენ მაცხოვარ ღმერთს..... ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტ შემეცნებას (1 ტიმ. 2:4). იესო წუთისოფლის განკითხვისათვის კი არ მოსულა, არამედ ადამიანთა ხსნისათვის (იოან. 3:17), მას ბოროტების განადგურება არც უცდია, მძიმედ განიცდის

მაცხოვარი იმ გარემოებას, რომ ადამიანები გულქვანი გახდნენ, რადგან უყურებენ და ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ უყურებენ, ამიტომ აირჩია მათი გამოფხიზლებისათვის ოსტატ იგავის სტილი, რასაც მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. კაცობრიობის უპირველესმა მოძღვარმა და მასწავლებელმა ყველაზე ადრე იგრძნო ხალხის უმძიმესი სულიერი მდგომარეობა, როგორც მათეს სახარება გადმოგვცემს: „ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალით არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ, გულით არ გაიგონ და მოიქცნენ, რათა განვკურნო ისინი" (მათ. 13:15). მიზანი ცხადია, მაცხოვარს ადამიანთა ზნეობრივი განკურნება აქვს მიზნად დასახული და მის პედაგოგიურ არსენალში უშუალო შეგონებების გვერდით იგავთმეტყველება საპატიო ადგილ იჭერს.

ახალი აღთქმის დიდაქტიკა აღიარებს მისაწვდომობის და დასაძლევობის პრინციპს, ისე როგორც ახლობლიდან შორეულზე გადასვლის აუცილებლობას სწავლებაში, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და როგორც აღინიშნა, პრაქტიკაში შემოაქვს ძველი აღთქმისთვის კარგად ნაცნობი იგავური სწავლება. ასეთი მიდგომით ფაქტიურად, ახალი აღთქმის პედაგოგიკამ დაამკვიდრა სწავლების დილოგური ანუ სუბრის მეთოდი. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ხშირად მაცხოვრის იგავებს მათი განმარტებებიც მოსდევს: „მრავალი ასეთი იგავით ეუბნებოდა იგი სიტყვას, რამდენის მოსმენაც შეეძლოთ. იგავის გარეშე არ ესაუბრებოდა მათ, თავის მოწაფეებს კი ცალკე განუმარტავდა ყველაფერს" (მარკ. 4:33-34). რაც იმასაც გვაფიქრებინებს, რომ მახარებლებლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს პედაგოგიკის და კერძოდ, მისი ერთ-ერთი დარგის, დიდაქტიკის განვითარებაში, მხედველობაში გვაქვს სწორედ მათ მიერ პედაგოგიური დანიშნულებით შედგენილი მაცხოვრის ცხოვრება, რომელშიც იგავთა განმარტებებისას ახსნითი კითხვის ელემენტებსაც ვხვდებით (იხ. იგავთა განმარტებები სახარების ტექსტებში).

იგავთმეტყველება ქრისტიანული ზნეობის ჩამოყალიბების ქმედით საშუალებად განიხილება ახალ აღთქმაში. სწორედ იგავები ასრულებენ ახალი აღთქმის პედაგოგიკაში თვალსაჩინოების და ცხოვრებასთან კავშირის როლს, სწორედ ეს უკანასკნელნი შეადგენენ თანამედროვე პედაგოგიური მეცნ-

ნიერების ფუძემდებლურ პრინციპებს. ამდენად ჩვენ საქმე გვაქვს ამ პრინციპების საწყისებთან სწორედ ქრისტეს ტექსტებში იგავების სახით. ამ მეთოდთან დაკავშირებით ასეთივე აზრს ავითარებს მღვდელი გიორგი ხიტირი: „ადამიანს, რომელიც ღმერთმა თავის ხატებად შექმნა, რამდენიმე უნიკალური ნიჭი მიეცა, რომელთა შორის უდიდესი – თავისუფალი ნებაა. ღმერთის მხრიდან ამ ნიჭის პატივისცემა იგავებით სწავლების მეთოდში ჩანს. ეს იგავები სიტყვახატულა მოთხრობებია, რომლებიც სულიერი ჭეშმარიტების გადმოსაცემად ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ სურათებს იყენებს. მეტად არსებითია თითოეული მსმენელის რეაქცია ამა თუ იმ მონათხრობზე. იგავები მსმენელს დააფიქრებს და გზავნილში დაფლულ საიდუმლოს გაანდობს." (45.75).

ახალი აღთქმის პედაგოგიკა გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს იმათთვის, ვისაც ცათა სასუფეველში დამკვიდრება სწადია ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ერთგვარი სამოქმედო გეგმა ან სასწავლო გეგმა, რომელიც ყოველმა მორწმუნე ქრისტიანმა უნდა შეითვისოს. კონკრეტულად ამ გეგმაში შედის ძველი აღთქმის, ანუ მოსეს რჯულის ზნეობრივი პრინციპები, რომელიც აუცილებელ საფეხურს წარმოადგებს ახალი აღთქმის შესწავლისათვის. ხოლო შემდეგ უმთავრესია ქრისტეს მცნებების შესრულება, რაც საბოლოოდ ნიადაგს ამზადებს ცათა სასუფევლის შეცნობაზე. სწორედ ამ მიზნით მაცხოვარმა ჩამოაყალიბა ცხრა ნეტარება, რომელთა შესწავლა და გათავისება ცათა სასუფეველში მოხვედრაზე ფიქრის საფუძველია. აი, ისინიც, ცხრა ნეტარება:

1. ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

2. ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან.

3. ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.

4. ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.

5. ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან.

6. ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან იხილნი ღმერთს იხილავენ.

7. ნეტარ არიან მშვიდობის მოქმედნი, ვინაიდან ღვთის ძეებად იწოდებიან.

8. ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა.

9. ნეტარ ხართ თქვენ როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირად ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო (მათ. 5: 3-11).

ახალი აღთქმის ცხრა ნეტარება ახალი ეტაპია ქრისტიანულ პედაგოგიკაში. მისი შესწავლა–შეცნობა პირველივე საუკუნიდან მიწიერი ცხოვრების მიზანი და უმაღლესი სასოება გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. სწორედ მან დაამკვიდრა ახალი ზნეობრივი ნორმები, რომელიც განუზომელ სამსახურს უწევს კაცობრიობას 20 საუკუნის განმავლობაში.

ცხრა ნეტარების კომენტირებისას ფსიქოლოგი დ. ციცქიშვილი წერს: „უმთავრესი პირობა ჩვენს ცნობიერებაში ღვთაებრივი სამყაროდან მომდინარე აზრების, იდეების, წარმოდგენების მოსაცემად არის ის, რომ შევეცადოთ, რაც შეიძლება მოვერიდოთ ცოდვას, ვიცხოვროთ ღვთისათვის სათნოდ. სწორ აზროვნებას, ღვთაებრივი ნაპერწკლის გაჩენას ცნობიერებაში დამსახურება უნდა. განა შეიძლება მას გზა არ გადაუკეტოს ცოდვით დაცემებმა, ვნებების გახელებამ. გულის სიწმინდის შენარჩუნება მართლმადიდებლური სწავლებით გულისხმობს არა მხოლოდ საქმით, არამედ ფიქრითაც, რაც შეიძლება ნაკლებ შეცოდებას.” (46.8).

რადგან ქრისტიანული მოძღვრება ნათლად ქადაგებდა ახალ ზნეობრივ პრინციპებს, რომელსაც დაეფუძვნა ახალი აღთქმის პედაგოგიკა, ამდენად, ეს პრინციპები ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს პედაგოგიკისათვისაც. თუ ძველი აღთქმის პედაგოგიკა სამყაროს ღვთიურ ჰარმონიას და კანონის (მოსეს რჯულის) უზენაესობას ეფუძვნება, ახალი აღთქმის პედაგოგიკა რწმენაზეა აღმოცენებული და აქედან გამომდინარე, იგი რწმენის პედაგოგიკაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

კონფესიური სკოლების აღმოცენება და მოციქულობის პედაგოგიკა

§1. ქრისტიანობის გავრცელება და კონფესიური სკოლების აღმოცენება

ვიდრე უშუალოდ შევუდგებოდეთ უძველესი ქრისტიანული სკოლების და პედაგოგიური იდეების ანალიზს, მანამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე პერიოდის ზოგადი მიმოხილვა.

რელიგიის ისტორიის მკვლევარები ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე გამოყოფენ ქრისტიანობის ისტორიის სამ პერიოდს: პირველი პერიოდი 30–125 წლებს მოიცავს, რომელიც ხასიათდება ქრისტიანობის სწრაფი ექსპანსიითა და ქრისტიანული თემების პროგრესული ემანსიპაციით იუდაიზმთან მიმართებაში, სწორედ მის წიაღში აღმოცენდა ახალი რელიგია; მეორე ეტაპი პირობითად გრძელდება 125–250 წლებში, რომლის დროსაც, როგორც ვარაუდობენ, გამოიკვეთა პატარა სექტების გაერთიანებისა და მათი ეკლესიებად ჩამოყალიბების ნიშნები. ამ პერიოდს ახასიათებს, როგორც დედა ეკლესიებთან ახალი ქრისტიანული სექტებისა და ეკლესიების შეერთება, ისე ელინისტური ცივილიზაციის მძლავრი ნაკადის შემოდინება ქრისტიანობაში. ეს არის პირველი დიდი ერესების (გნოსტიციზმი, მარკიანელობა, მონტანიზმი და სხვ.) და ქრისტიანული აპოლოგეტების (კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე და სხვ.) აღმოცენების ეპოქა, როდესაც წესდება ეპისკოპოსების, რწმენის კონფესიების და ბიბლიის კანონები. მესამე ეტაპი მოიცავს 250–325 წლებს, რომელიც ქრისტიანობის ტრანსფორმაციით ხასიათდება. ამ პერიოდს ემთხვევა ქრისტიანთა საშინელი დევნა, რომელიც მეტნაკლები ძალით III საუკუნის II ნახევარსა და IV საუკუნის დასაწყისში ბობოქრობდა რომის იმპერიის ამა თუ იმ

ნაწილში. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანობა ამ დროს ფეხს იკიდებდა არა მარტო რომის იმპერიაში, ეფესში, ფერსეთში, სომხეთში და საქართველოში (1.197), პირველ საუკუნეში გაუთავებელი თეოლოგიური ბრძოლები იმართებოდა იმის შესახებ, ქრისტიანობა დამოუკიდებელი რელიგია იყო, თუ იგი მხოლოდ იუდაიზმის განშტოებად რჩებოდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ქრისტიანობაში პირველი განშტოება „იუდეო ქრისტიანობის" სახით. ეს მიმდინარეობა იერუსალიმში შეიქმნა, მის ძირითად წევრებს ებიონიტები და ნაზარეველები შეადგენდნენ. „მოციქულთა საქმეებში" მათი სახელით პეტრე მოციქული და იაკობი–იესოს ხორციელი ძმა საუბრობენ. „იუდეო ქრისტიანებს" სწამდათ, რომ მესია უკვე მოვიდა, მაგრამ ისინი ამავე დროს მისდევდნენ მოსეს კანონებს. ახლადგაჩენილი ქრისტიანობის შექმნა მათთვის მიუღებელი იყო (2.37). მას შემდეგ, რაც მოციქულებმა გადაწყვიტეს წარმართების გაქრისტიანება, „იუდეო-ქრისტიანები' სექტად გადაიქცნენ.

ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრების პირველ საუკუნეებში გარდაცვლილ ქრისტიანებს გაფანტულად კრძალავდნენ, რადგან მათ არ ჰქონდათ თავიანთი კონფესიური სამარხები. რომში არსებული ქრისტიანული კატაკომბები I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება (3.143). ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მკვლევარი ი. ლენცმანი და ქრისტიანული თემების წარმოშობას რომში II საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს. რადგან ეპისკოპოსების სია პეტრედან დაწყებული პირველად გვხდება ირინეოსთან და სარწმუნოა მხოლოდ II საუკუნის II ნახევრიდან,–აღნიშნავს მკვლევარი ი. ლენცმანი (4.31). როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქრისტიანული ეკლესია ტერიტორიის პრინციპით დაიყო ხუთ ნაწილად, რასაც საფუძვლად დაედო საეპისკოპოსო კათედრათა მოციქულებრივი წარმომავლობა, კერძოდ, რომის საყდარი წმ. პეტრემ დაარსა, ალექსანდრიის - მარკოზ მახარებელმა, ანტიოქიის—ლუკა მახარებელმა, კონსტანტინეპოლის (ეფესოდან გადმოტანილი)—იოანე ღვთისმეტყველმა, იერუსალიმის - წმ. იაკობმა (მაცხოვრის ძმამ). ამ წესს ანუ ხუთმთავრობას (პენტარქიას) ბიზანტიაში ადარებდნენ ხელის ხუთ თითს ან ადამიანის ხუთ გრძნობით ორგანოს. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „ქრისტემ თავის

სხეულში, ესე იგი ეკლესიაში, დააწესა იმდენი საპატრიარქო კათედრა, რამდენიც გრძნობაა მოკვდავი ადამიანის სხეულში; თუ ეს კათედრები შეკავშირებულნი არიან ერთი ხელმძღვანელობით, მაშინ მთელი ეკლესია ჯანსაღია ისე, როგორც ადამიანის სხეული მრთელია, როდესაც ხუთივე გრძნობა მრთელი და უზადოა" (5.349).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება აღზრდა-განათლებას, უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის პერიოდში იმთავითვე მოხდა საერო და რელიგიური განათლების გამიჯვნა. საერო სკოლების ფორმირება მიმდინარეობდა ცალკე, სასულიეროსი – ცალკე. საერო სასწავლებლებს პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის, განათლების ფუნქცია ჰქონდა, ხოლო რელიგიური განათლების მიცემა ოჯახსა და ეკლესიას ეკისრებოდა (6.91). ეკლესიების დაარსებამ ხელი შეუწყო ქრისტიანული რწმენის გავრცელებას. სწორედ ეკლესიები გახდნენ ის ადგილები, სადაც მოსახლეობა ახალი რელიგიის-ქრისტიანობის შესახებ ცოდნას იღებდა. ქრისტიანული სწავლების გავრცელების ერთ-ერთ ორგანიზებულ ფორმად **კათაკმევლთა სკოლები** იქცნენ, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ითვლებიან.

კათაკმევლთა სკოლებში არა მარტო ბავშვები იღებდნენ ახსნა-განმარტებებსა და დარიგებებს, არამედ ყველა ასაკის სქესისა და ეროვნების ადამიანი პასუხს სცემდა სარწმუნოების წიაღში წამოჭრილ კითხვებს. მათში უპირატესად იმ არაქრისტიან ადამიანთა ჯგუფებს და პიროვნებებს მოიაზრებენ, რომლებმაც ზრდასრულ ასაკში გადაწყვიტეს ქრისტეს შედგომა. აქედან გამომდინარე, მათ გარკვეულ დროს უნიშნავდნენ რწმენაში გასანათლებლად და ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლად.

ნიკეის I მსოფლიო კრების მე–14 კანონის საფუძველზე, ის კათაკმევლები, რომლებიც სარწმუნოებას განუდგებოდნენ, წმიდა და დიდი კრების დადგენილების თანახმად, ვალდებულნი იყვნენ სამი წელი ყოფილიყვნენ საღვთო წერილის მსმენელებად და შემდეგ სხვა კათაკმევლებთან ერთად ელოცათ (12. 71.) კანონის ხსენებულ მუხლში ჩვენს ყურადღებას სწორედ ის მონაკვეთი იქცევს, რომელშიც აშკარად დასტურდება კათაკმევლთა რეგულარული ჯგუფის არსებობა და სისტემატური სახით საღვთო წერილის შესწავლა.

კათაკმეველთა სკოლის შესახებ მითითებები ძრავალგზის დასტურდება წმიდა წერილში (რომ. 2:18; გალ. 6:6; საქმ. 18:25; 1 კორ. 14:19). ცნობილია, რომ თავდაპირველად კა-
ეროვნული ბიბლიოთეკა
თაკმეველთა სკოლები ქრისტიანი მასწავლებლების სახლებში ან ეკლესიებთან არსებულ სანათლავ ადგილებში იხსნებოდა, ხოლო შემდეგ, როცა ამის საშუალება გაჩნდა, დაიწყეს მათთვის სპეციალური შენობების გამოყოფა. ქრისტიანული მოძღვრების შესწავლას კატეხიზისი, კატეხიზაცია ან ლოგოს კატეხიტიკოს (institutio catechetica) ეწოდებოდა, მასწავლებელ–მოძღვარს კატეხიტის ერქვა, ხოლო იმ ადგილებს, სადაც სწავლა მიმდინარეობდა ანუ სკოლებს -კატეხუმენიო, ხოლო მოსწავლეებს–კატეხუმენატებს უწოდებდნენ. სწავლება ზეპირი ფორმით მიმდინარეობდა. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, სწავლების ერთადერთ მეთოდად ამჟამად უკვე ტრადიციად ქცეული კატეხიზმო იყო მიჩნეული.

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს კათაკმეველთა რამდენიმე ჯგუფს, მაგრამ იმაში ყველა თანხმდება, რომ ორი ჯგუფი მაინც არსებობდა. თუ რომელიმე წარმართი ან ებრაელი გამოთქვამდა ქრისტიანად გახდომის სურვილს, მას პირველ რიგში უნდა მიემართა ქრისტიანი ერისკაცისთვის ან დიაკონისათვის, რომელიც მას მღვდელთან ან ეპისკოპოსთან წაიყვანდა. სწორედ ისინი უკითხავდნენ დაწესებულ ლოცვანს, გადასახავდნენ პირჯვარს და შეჰყავდათ კათაკმეველთა პირველ თანრიგში, რომელსაც ქრისტიანული მოძღვრების პირველი ჭეშმარიტებანი გადაეცემოდა. ისინი იწოდებოდნენ აკრომენტოდ (audientees), რამეთუ მათ ნება ეძლეოდათ დასწრებოდნენ ეკლესიაში ლიტურგიას და წმიდა წერილისა და სახარების კითხვა მოესმინათ, რის შემდეგაც ისინი მაშინვე უნდა გამოსულიყვნენ ტაძრიდან. პირველ თანრიგში კათაკმეველები ჩვეულებრივ, სამ წელიწადს რჩებოდნენ, თუმცა ეს დრო შეიძლებოდა შემცირებულიყო ან გახანგძლივებულიყო კონკრეტული პირის მონდომებისა და ქცევის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა კატეხიტი ხედავდა, რომ მისი მოწაფენი საკმარისად არიან გაცნობიებულნი ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში, და რომ ისინი თავიანთი კეთილი ქცევით პატივს იმსახურებენ, იგი ნებას რთავდა მათ კათაკმეველთა მეორე თანრიგში გადასულიყვნენ, სადაც უკვე ვრცლად გადაეცემოდათ ქრისტიანული მოძღვრება და განსაკუთრებუ-

ლად, სრულად და დაწვრილებით განემარტებოდათ რწმენის სიმბოლო (12. 73-74). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოციქულთა განწესებებში (VI,15) მოხსენიებულია ბავშვთა ნათლისღებას გარკვეული ვადები, რაც ამისათვის სპეციალურ მომზადებას ანუ სახარების პირველდაწყებით სწავლებას გულისხმობდა.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კათაკმევლთა სკოლებში გამოიყოფოდა ორი საფეხური, რომლებსაც ერთმანეთისგან მხოლოდ სწავლის სიღმე გამოარჩევდა. პირველი საფეხური ქრისტიანული რელიგიის შესავალს, ხოლო მეორე საფეხური სახარების შესწავლას ითვალისწინებდა. საერთოდ, კათაკმევლთა სკოლები პირველი ორგანიზებული დაწესებულებები იყვნენ, რომელთაც რელიგიურ-საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდათ. როგორც ცნობილია, პირველად ეკლესიებში სხვა ტიპის სასწავლებლები იმხანად არ არსებობდა, ამიტომ ამ სკოლებმა დიდი როლი შეასრულეს ქრისტიანობის გავრცელება–განმტკიცების საქმეში. რაც შეეხება წერა-კითხვისა და სხვა საერო საგნების შესწავლას, იგი წარმართულ სკოლებში იყო შესაძლებელი, სადაც ადრეული ქრისტიანობის პერიოდში ქრისტიანებსაც შეჰყავდათ თავიანთი შვილები. სწორედ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ათენის წარმართული აკადემიებიდან გამოვიდნენ შემდგომში ქრისტიანობის უდიდესი ბურჯები: წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. იოანე ოქროპირი.

იმის მიუხედავად, რომ წარმართული სკოლები ზოგადი განათლების საფუძველს წარმოადგენდა, ისინი მაინც არ აღმოჩნდნენ მისაღები ქრისტიანებისათვის, ქრისტიანულმა სკოლამ და კერძოდ ლათინურმა სკოლამ ბევრი მიიღო წარმართობისაგან, თუმცა სასკოლო სწავლებაში არსებული ძველი ბერძნული მეთოდები, რა თქმა უნდა, არ იყო სავსებით მისაღები ქრისტიანული აღზრდისათვის, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს, უფრო მეტიც, ეკლესიის მამები აშკარა საფრთხეს და მტრულ დამოკიდებულებას ხედავდნენ წარმართულ სკოლებში. ამიტომ ქრისტიანები, მეტი კატეგორიულობით მოითხოვდნენ ქრისტიანული სკოლების ქსელის გაფართოებას. სწორედ ამის გამო, პირველი საუკუნის ბოლოს მრავალი კერძო ქრისტიანული სკოლა გაიხსნა, რომლებშიც ისწავლებოდა არა მარტო ჭეშმარიტი სარწმუნეობა, არამედ სხვადასხვა მეცნიერებათა ელემენტებიც.

პირველი ქრისტიანული სკოლა არ აღმოცენებულა ცარიელ ადგილზე. მსოფლიოს ძველ ხალხებს I საუკუნეში თავიანთი სკოლები ჰქონდათ, რომელთა შინაარსშიც გამოსახულია ამ ხალხების რწმენა, ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებანი, ეთნიკური, ინტელექტუალური, სამოქალაქო და პიროვნული თვისებები.

ახალი სარწმუნოებით იწყება ახალი ონტოლოგიური ეპოქა. ქრისტიანობამ მოიტანა ახლებური წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე და ცხოვრებაზე. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენები და არჩევანი ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ ახალი განცდები და გრძნობები ყველას შეეხო, რადგან მათ შეძრეს მთელი სამყარო.

სახარების გავრცელებამ დაარღვია თანაფარდობა სხვადასხვა პედაგოგიურ სისტემას შორის. როგორც ცნობილია, სახარება არ იყო მხოლოდ ერთ ხალხის საკუთრება, იგი ყველას სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. ახალმა რწმენამ ინტერესით აღავსო მსოფლიოს ხალხები. ადამიანთა თვითშეგნება სულის ხსნის იმედით განიმსჭვალა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პავლე მოციქულის სიტყვები: „იუდეველთათვის გავხდი, როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა; რჯულის ქვეშ მყოფთათვის, როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ არამყოფი, რათა რჯულის ქვეშ რჯულში მყოფი შემეძინა" (I კორ. 9:20).

აღნიშნულიდან კიდევ უფრო მყარდება აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა კი არ არღვევდა რომელიმე ხალხის ეროვნულ თავისებურებებს, არამედ პირიქით, ცხოვრების ეროვნულმა ფორმებმა შეიძინეს ჭეშმარიტი შინაარსი და განვითარების ახალი იმპულსი მიიღეს. მხოლოდ ჭეშმარიტების ფონზე გახდა შესაძლებელი იმის შეცნობა, რომ ადრინდელი იდეები ამუხრუჭებდნენ ჭეშმარიტების შეცნობას და ხალხებს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირებს. ქრისტიანობას არ შემოუთავაზებია ცხოვრების და სკოლის მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმები. მან ხალხებს მოუწოდა, თვით შეექმნათ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლების ახალი ფორმები, რომელიც დაეფუძნებოდა სახარების სწავლებას.

ქრისტიანული განათლება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქრისტიანობასთან, ქრისტიანული ოჯახის აღმოცენებასთან და ქრისტიანული ცხოვრების წესის

დამკვიდრებასთან ერთად ჩამოყალიბდა. ეგრეთ წოდებული ცხოვრებისეული აღზრდისას, ბავშვის ფორმირება გარემოში ხდება და მასში უფროსების გავლენას [illegible] მნიშვნელობა ენიჭება.

პირველმა ქრისტიანებმა ჩამოაყალიბეს ეკლესიური საზოგადოებები, რომელთა წევრებიც ძმური სიყვარულით და მტკიცე რწმენით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი: ყველა ერთი მიზნით და მისწრაფებით საზრდოობდა. პირველად ეკლესიათა წევრების სულიერმა კავშირმა სულ მალე ეკლესიის გარეგნულ აგებულებაზეც მოახდინა შესაბამისი გავლენა. ქრისტიანული თემის სათავეში ადგილი დაიმკვიდრა საეკლესიო იერარქიამ, რომელთა სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ, როგორც მოციქულთა უშუალო მემკვიდრენი. ეკლესიათა მეთაურები–ეპისკოპოსები განაგებდნენ ქრისტიანული თემის, როგორც შინაურ, ისე საგარეო საქმიანობას. მათ გამგებლობაში იყო საეკლესიო ქონება, ისინი ზრუნავდნენ ღარიბებზე და ავადმყოფებზე, თვალყურს ადევნებდნენ ქრისტიანული ცხოვრების ყველა მხარეს. ეპისკოპოსები წარმოადგენდნენ თავიანთ საზოგადოებებს საეკლესიო კრებებზე, სადაც განიხილებოდა სარწმუნოებრივი და ქრისტიანული თემის საერთო ყოფა-ცხოვრებითი საკითხები და მიიღებოდა შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება მთელი ეკლესიისთვის სავალდებულო იყო. ეპისკოპოსის, როგორც უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს მორწმუნეთა გულებში და გონებაში ქრისტიანული რწმენის განმტკიცება, ხოლო არაქრისტიანთა შორის მისი გავრცელება წარმოადგენდა.

თავდაპირველად ქრისტიანებს ისეთი სპეციფიკური სკოლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების სწავლება და გავრცელება, არ გააჩნდათ. ქრისტიანული სწავლების მთავარ იარაღად გამოიყენებოდა: მქადაგებელთა ცოცხალი სიტყვა, პირადი მაგალითი და ქრისტიანული ოჯახის სათნო ცხოვრების წესი. ქრისტიანული ოჯახი, რომელიც მისდევდა ზეცად ამაღლებული იესო ქრისტეს და წმიდა მოციქულთა სწავლებას, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჭეშმარიტებასთან ზიარების და აღზრდის ერთადერთ სკოლად. ოჯახურმა ცხოვრებამ გზადაგზა ეკლესიურობა შეიძინა: ერთობლივი სასულიერო გალობა და

წმიდა წერილის ერთობლივი კითხვა გახდა ოჯახის წევრთა უმთავრესი სულიერი საზრუნავი. ქრისტიანულმა ოჯახმა კარგად უწყოდა „არა იხარებენ მამად ძესა ზედა უსწავლელსა" და „ვინც ბრიყვს შობს, ისევ თავის ჭირად, და ვერ ხარობს არამზადის მამა" (იგავ. 17:21), ოჯახის უფროსს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მოციქულის სიტყვისებრ, „თვისსა სახლსა კეთილად გამგებელი" იქნება და თავისი „შვილნიმცა უსხდენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა" (I ტიმ. 3:4). ოჯახში ქალს ჯეროვანი ადგილი ეკავა. იოანე ოქროპირის გადმოცემით იყო დრო, „როცა ქალები მამაკაცთა თანასწორნი იყვნენ; ეხლა სხაგვარადაა, დაუკვირდით რა მოხდა იესო ქრისტეს მოვლინების შემდეგ, ქალები აღმატებულნი არიან ჩვენზე კეთილშობილებით, ქრისტიანული გულწრფელობით, ღვთისმოსაობით, მაცხოვრის მიმართ სიყვარულით, რომელმაც იხსნა ისინი დამცირებისაგან. ასევე აღმატებული შეხედულების იყვნენ ქრისტიან დედებზე ტერტულიანე და ეკლესიის წმიდა მამები, ხოლო წარმართმა ლიბანიოსმა, ქრისტიანი დედების კეთილზნეობით გაოცებულმა, თავი ვერ შეიკავა და უნებურად წამოიძახა: „რა უცნაური ქალები გყავთ ქრისტიანებსო."

ბავშვები პირველი ეკლესიების, ოჯახის და საზოგადოების გულითადი მზრუნველობის საგანი იყო. მათ აღზრდაში ქრისტიანი მშობლები ერთმანეთს უთავსებდნენ სიმკაცრეს და სიყვარულს. ყოველთვის, როცა მშობლები აფასებდნენ ბავშვების მოქმედებას, როგორც წესი, მიუთითებდნენ საიქიო ცხოვრებაზე, საიდანაც ქრისტიანები უნდა ელოდნენ ჯილდოს და განკითხვას. ბავშვთა ფიზიკურ დასჯას ქრისტიანი მშობლები უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. პირველად ქრისტიანულ ოჯახს ყველაზე უფრო უბრალოება ამშვენებდა. ასევე უბრალო იყო მათი საკვები და სამოსი. მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ბავშვებთან დამოკიდებულებაში უფრო მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ, მათ შინაგან, სულიერ ცხოვრებაზე, ვიდრე გარეგნულ იერსახეზე. მათ სახელმძღვანელო მითითებას ყოველთვის წარმოადგენდა პავლე მოციქულის შეგონება: „შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, ვინაიდან ასეა მოსაწონი უფლისათვის" (კოლ. 3: 20), თუმცა აქ მეორე მხარის მოვალეობებიც ნათლად იყო ჩამოყალიბებული:

„მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, რათა თავი არ მოაბეზროთ". (კოლ. 3 : 21). რაც შეეხება შრომით საქმიანობას, გოგონები თავიანთი დედებისაგან სწავლობდნენ ხელიდასხა საოჯახო ხელსაქმეს, ხოლო ვაჟები მამის მეშვეობით ხელობას ეუფლებოდნენ.

წარმართულ სამყაროში, როგორც ცნობილია, მეტად უგულისყუროდ ექცეოდნენ ბავშვებს. ხშირი იყო მათი ნივთივით ყიდვა-გაყიდვა და ავადმყოფი და გარეგნულად მახინჯი ბავშვების ფიზიკური განადგურების შემთხვევები. ანტიკური საბერძნეთის ცნობილი ისტორიკოსი პლუტარქე იმასაც გვაუწყებს, რომ ძველ სპარტაში ახალდაბადებულ ბავშვს სპეციალურად სინჯავდნენ, თუ რომელიმე ბავშვი ავადმყოფი ან ფიზიკური ნაკლის მქონე აღმოჩნდებოდა, ასეთ ბავშვებს ტაიმეტის უფსკრულში ყრიდნენო. ქრისტიანულ საზოგადოებაში ასეთი ბარბაროსული ქმედებანი უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. უფრო მეტიც, ავადმყოფების, ობლებისა და უპატრონო ბავშვების თავშესაფარზე და აღზრდაზე ქრისტიანული თემი და ეკლესია განსკუთრებით ზრუნავდა. ადგილობრივი საეკლესიო კრებები პირდაპირ ავალდებულებდნენ ეპისკოპოსებს, რომ უპატრონო ბავშვები და მათ შორის ის მოზარდები, რომელთა მშობლები ქრისტიანების დევნილობის პერიოდში მოწამებრივად აღესრულნენ, მათ მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ქრისტიანულ ოჯახებს და მთელ მრევლს, ეკლესიის მეთაურობით. ამ კეთილშობილურ საქმეში გამორჩეული ადგილი ქრისტიან ღვთისმოსავ დედებს ეკავათ. ეს წამოწყება შემდგომ საუკუნეებში ტენდენციად იქცა და მას განსაკუთრებული საქველმოქმედო, უდედმამოთა და ობოლთა თავშესაფრების ჩამოყალიბება მოჰყვა: IV საუკუნეში ასეთი სახლი იყო კონსტანტინეპოლში, ხოლო უფრო გვიან, VIII საუკუნეში კი მილანში.

ქრისტიანობის პირველი წლებიდანვე აღმზრდელობითი თვალსაზრისით ოჯახში პირველი ადგილი დედას ეკავა. დედობრივი მადლი მთელი თავისი ძალით ქრისტიანულ ოჯახში წარმოჩინდა. დედა და ბავშვი სიყვარულის და სათნოების სინონიმები გახდა. დედობრივმა გრძნობამ აქ ისეთი სიღრმისეული გამოხატულება ჰპოვა, როგორც არასდროს. ღმრთისმშობელი ხელში ჩვილი იესოთი–ეს ისეთი უდიადესი სახეა, რომელიც ყოველთვის შთააგონებდა ქრისტიან ქალებს

უმაღლეს დედობრივ ვალდებულებებს და შვილების მზრუნ-
ველობისა და თავდადებისათვის განაწყობდა მათ. ქრისტიანი
დედების მიბაძვის საგანი და უმაღლესი იდეალი ქოველთვის
ღმრთისმშობელი იყო.

უძველესმა სასულიერო ლიტერატურამ შემოგვინახა
ქრისტიანული პედაგოგიკის სამაგალითო ნიმუშები, რომლებ-
შიც გადმოცემულია ეკლესიის წმიდა მამათა აღზრდის ეპი-
ზოდები. სწორედ აქ წარმოჩინდა უდიდეს ქრისტიან დედათა
როლი და ადგილი მოზარდის ქრისტიანულ აღზრდაში. ქრის-
ტიანული ეკლესიის ისტორიას ამშვენებენ ასეთი დედები, რო-
მელთა ღვაწლის თაობაზე მათ მიერვე აღზრდილი შვილების,
ეკლესიის გამორჩეული მნათობების, გაცნობის კვალდაკვალ
გვექნება საუბარი წინამდებარე წიგნის შესაბამის მონაკ-
ვეთებში.

როგორც წყაროებიდან ჩანს, იმხანად ბავშვის
აღზრდას დაბადებიდან დედა იწყებდა. სწორედ ქრისტიანი
დედა მოუთხრობდა წმინდანთა შესახებ და ასწავლიდა
სულიერებით გაჯერებულ წიგნებს და არა წარმართულ
იგავებს და მათ მსგავს პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც
ნამდვილად არ მატებდა ღირსებას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბე-
ბელი გოგო-ბიჭების მრწამსს. ქრისტიანი დედები ბავშვებისათ-
ვის არჩევდნენ წიგნებს სოლომონის და დავითის სიბრძნიდან,
ნაწყვეტებს საღვთო წერილიდან და ლექსებს ფსალმუნიდან,
რომლებშიც მოცემული იყო უფლის დიდება, ლოცვები და
ზნეობრივი შეგონებებები.

პირველი საუკუნის ქრისტიანები ცდილობდნენ, არა
მარტო თვით მიახლოვებოდნენ ცათა სასუფეველს, არამედ
მთელ ძალას მიმართავდნენ იმისთვის, რომ მათი შვილებიც
გამხდარიყვნენ სასუფევლის ღირსეული წევრები. სწორედ ამას
ემსახურებოდა მთელი მათი სწავლა-მოძღვრება.

პირველი ქრისტიანები ცდილობდნენ, ბავშვის გონებაში
აღებეჭდათ იესო ქრისტეს ცოცხალი რწმენა. მაცხოვრის
სახელს ბავშვები ითავისებდნენ დედის რძესთან ერთად, ამი-
ტომაც არაერთი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ, როცა
უმძიმესი წამების დროსაც, რწმენაზე უარს არ ამბობდნენ
ქრისტიანები, მათ შორის ბავშვებიც.

მაცხოვრის გამომხსნელი მისიის ქადაგებასთან ერთად
ბავშვებს უნერგავდნენ ქრისტეს სწავლებებს რწმენისა და

ღვთისსათნო ცხოვრების შესახებ. ისეთ კატეგორიებზე, როგორიცაა, მაგალითად სწავლება სამებაზე, საუკუნო სიცოცხლეზე, თვინიერებაზე და ღვთისადმი უანგარო სიყვარულის შესახებ. ბავშვებს მოძღვრავდნენ ყოველდღიური მოვალეობის შესრულებაში, რათა გამოეჩინათ უფლისმიერი სიყვარული, ჰქონოდათ ღვთის შიში, პატივი მიეგოთ მშობლებისა და უფროსებისათვის. ასწავლიდნენ მოთმინებას, მიმტევებლობას, ურისხველობას, ქველმოქმედებას და უბიწოებას.

ბავშვებს წიგნიერი განათლების მიღებას ბიბლიის კითხვით აწყებინებდნენ, ხოლო წერის სწავლებისას იყენებდნენ წმიდა წერილის განმარტებებს. გადაწერაში ვარჯიში იყო ერთადერთი ფორმა, რომელიც წერის შესწავლას უზრუნველყოფდა. საერთოდ, სწავლა და აღზრდა გამიჯნული არასოდეს ყოფილა, უფრო მეტიც, ერთი განაპირობებდა და გზას უხსნიდა მეორეს, ამიტომ თვით რწმენის დოგმატთა თუ სხვა ქრისტიანულ მოვალეობათა შესწავლა ამ საშუალებით მიმდინარეობდა.

პირველ საუკუნეთა ქრისტიანები თავიანთი მიწიერი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდნენ და ამასვე ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მათი ცხოვრება იყო განუწყვეტელი ლოცვა უფლის წინაშე.

ქრისტიანი მშობლები ცდილობდნენ, თავიანთი ბავშვები მოერიდებინათ იმ სანახაობებისაგან, რასაც შეეძლო მათში ბოროტი გულისთქმებისა და ვნებების აღძვრა. ამიტომ ისინი არ დაჰყავდათ საქორწილო სუფრებზე და სხვა სანახაობებზე, არიდებდნენ მათ წარმართულ წიგნებს, არ ასმენინებდნენ ხორციელი ვნებების ამაფორიაქებელ მუსიკას, მათი ჩაცმულობაც სადა და უბრალო იყო.

აღზრდაში აქტიურად გამოიყენებოდა პირადი მაგალითის ძალა. ბავშვებს მეტწილად თვითონ მშობლები, კერძოდ კი დედა ზრდიდა. სწორედ დედა უნერგავდა სითბოსა და სიყვარულს, რაც განაპირობებდა მის სულიერ სრულყოფას.

მშობელი დედა ზრუნვას იწყებდა ბავშვებზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი დედის მუცელში იმყოფებოდა. დედა ზრუნავდა, როგორც მის ფიზიკურ, ასევე მის სულიერ

ჯანმრთელობაზე. იგი თავისი ლოცვით, ბავშვისათვის ითხოვდა მადლსა და წყალობას ღვთისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრეული ასაკიდანვე, როდესაც ბავშვს ცნობიერება უვითარდება, მშობელი ცდილობდა მისი მრწამსი უფლისაკენ წარმართვა. ამისთვის მას განამტკიცებდნენ ღვთის რწმენასა და სიყვარულში, ბიბლიურ წარმოდგენას უქმნიდნენ ამსოფლიურ ცხოვრებაზე. პირველქრისტიანთა შვილებმა მცირეწლოვანი ასაკიდანვე იცოდნენ ერთი ღმერთის მარადიული ცხოვრების შესახებ, უფლის სიყვარულსა და მორჩილებაზე. მშობლების შემდეგ ბავშვთა აღზრდაში დიდ როლს ასრულებდნენ ნათლიები, რომელთაც ღვთის წინაშე ჰქონდათ აღებული მოვალეობა თავიანთი ნათლულების სულიერ აღზრდაზე.

ზოგიერთი ქრისტიანი, როგორც ზემოთ ითქვა, შვილების განათლებას მარტოოდენ ღვთის სიტყვის შემეცნებით ფარგლავდა და წარმართული ცოდნის დაუფლებას უკრძალავდა, სხვები პირიქით, არ ერიდებოდნენ წარმართულ ცოდნას და ამ ცოდნიდან არჩევდნენ ზოგადი განალებისათვის სასარგებლო მონაკვეთებს.

არსებული განსხვავების მიუხედავად, პირველი საუკუნის ქრისტიანები უმთავრესში ერთიანნი იყვნენ: ისინი ეროხმად ადიარებდნენ, რომ ნებისმიერი მეცნიერების შესწავლას საფუძვლად უფლის სწავლება უნდა დასდებოდა. მათი აზრით, განათლებისათვის აუცილებელი და უმთავრესი ქრისტიანული სწავლება იყო. ქრისტიანული აღზრდის შესაბამისად, წარმართული ფილოსოფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეიძლებოდა მხოლოდ ქრისტიანობაში განმტკიცებულებს შეესწავლათ. ამ საკითხთან დაკავშირებით დავა-კამათი დიდხანს გაგრძელდა და შემდგომ საუკუნეებში ეკლესიის მამებმა თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბეს, ოღონდ საბოლოოდ ერთნაირ ლანკესანდრე ვერ მივიდნენ. ამასთან დაკავშირებით მათი შეხედულებები განხილულია წინამდებარე წიგნის შემდეგ თავებში, ამიტომ აქ თავს შევიკავებ მათზე მსჯელობისგან.

სულ სხვა მდგომარეობა იყო არაქრისტიანული ყოფა-ცხოვრებითი აღზრდისას, რომელიც მიმდინარეობდა არა მარტო ოჯახში, მონასტერში და სკოლაში, არამედ ყველგან—საზოგადოებრივ საერთო საქმიანობაში. გარემო პირობები, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მოზარდში ავითარებს

ისეთ თვისებებს, რომელიც მას ესაჭიროება სწორედ ასეთივე გარემოში თანაცხოვრებისათვის, ანთროპოლოგიური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ამგვარი პედაგოგიკა ბუნებრივად ზღუდავს ბავშვის შესაძლებლობებს, რადგან იგი იწვევს მის გადატვირთვას, ჩაკეტვას რაღაც სოციალურ-კულტურულ ერთგვაროვნებაში და თავისებურ სულიერ სივრცეში, რომელიც იკვებება მხოლოდ გარემომცველი ცხოვრების შესაძლებლობებით.

ყოფა-ცხოვრებითი აღზრდისას, რომელიც ანტიკური საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენდა, ბავშვისთვის შეზღუდული იყო პირადი არსებანი, ხოლო პიროვნების ინდივიდუალური მისწრაფებები გარემოს მოთხოვნებს ექვემდებარებოდა. ასეთი ყოფითი აღზრდა თავისი არსით არ ითვლება საზოგადოებრივ საქმედ, რისკენაც ყოველთვის ილტვის პედაგოგიკა. იგი არის კერძო, უკიდურეს შემთხვევაში— **კორპორაციული**. აღნიშნული წინააღმდეგობების გამო, იგი ვერ გახდა ქრისტიანული პედაგოგიკისთვის მისაღები.

§ 2. მოციქულობის პედაგოგიკა

საეკლესიო ისტორიის თანახმად, იოანე ღვთისმეტყველით მთავრდება ქრისტიანობის I საუკუნე, როცა უკვე ყველა წმიდა მოციქული აღესრულა, ვისაც თვალით ენახა და უშუალოდ მათგან მოესმინა ღვთის სიტყვა, თუმცა მათი საქმე ვააგრძელეს შემდეგი თაობის ეკლესიის მამებმა, რომელთა შორის არც თუ ცოტანი იყვნენ წმიდა მამანი, რომლებმაც წამების გვირგვინიც კი დაიდგეს. „ის წმიდა მამანი, რომელთაც პირდაპირ მოციქულთაგან მიიღეს დარიგება, საეკლესიო ისტორიაში იხსენიებიან, როგორც წმიდა მოციქულთა სწორნი მამანი. მათ შორის ზოგი ცნობილი არის საეკლესიო მოღვაწეობით, ზოგი კი ეპისტოლეებით და საღვთისმეტყველო საქმიანობით.. (7.19).

მაცხოვრის წამების, აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ ქრისტიანობაში იწყება ახალი ხანა – მოციქულობის ეტაპი, სწორედ მასთან ერთად უნდა მოვიაზროთ მოციქულობის პედაგოგიკის დასაწყისი. მოციქულთა საქმეები აშკარად

მოგვითხრობენ იმის თაობაზე, რომ მაცხოვრის მიერ დაწყებული მოღვაწეობა გრძელდება ახალი ძალით, რასაც საფუძველს უმაგრებდა თვით ღმერთაცის ზეცად ამაღლება, როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლეშია: „ვინაიდან ქრისტეს გულისთვის მოგეცათ თქვენ არა მარტო რწმენა, არამედ მისთვის ტანჯვაც" (ფილ. 1:29). სწორედ მოციქულთა წიგნებით მტკიცდება, რომ ბიბლიის იდეალი განხორციელებადია: „ვისაც ვუყვარვარ ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს" (იოან. 14:23). იესოს მოწაფეები არ უშინდებიან არავითარ განსაცდელს და კვლავ აგრძელენენ ახალი მოძღვრების საყოველთაო ქადაგებას: „...აგერ ის კაცები, რომლებიც თქვენ საპყრობილეში ჩაამწყვდიეთ, ტაძარში დგანან და ასწავლიან ხალხს" (საქმ. 5:25). ისინი კატეგორიულ წინააღმდეგობასაც არ უშინდებიან: „...სასტიკად აგიკრძალეთ, რომ არ გესწავლებინათ ამ სახელით: და აჰა, თქვენ აღავსეთ იერუსალიმი თქვენი მოძღვრებით....." (საქმ. 5:28). ასეთ თავდადებას უშედეგოდ არ ჩაუვლია: „იზრდებოდა ღვთის სიტყვა და ძალიან მრავლდებოდა მოწაფეთა რიცხვი იერუსალიმში და მღვდელთაგანიც ბევრი ემორჩილებოდა რწმენას" (საქმ. 6:7). მოციქულებმა სამოძღვრო მოღვაწეობა გააჩაღეს რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. სავლემ, იგივე პავლე მოციქულმა პირველად იქადაგა დამასკოში (სამ. 9:19-20), ხოლო მოწაფეებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები ანტიოქიაში, როცა ხალხს ასწავლიდნენ (საქმ. 11:26). მაგალითად, პავლე მოციქული მილეტში ამგვარად მიმართავდა ხალხს: „...გახსოვდეთ, რომ სამ წელიწადს, დღე და ღამე განუწყვეტლივ ცრემლით ვასწავლიდი თითოეულ თქვენთაგანს" (საქმ. 20:31). მოციქულთა მოღვაწეობა, პედაგოგიური თვალსაზრისით, ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ახალი აღთქმის პედაგოგიკასა და სამოციქულო პედაგოგიკას შორის. ფორმით იგი უფრო ახლოსაა ახალი აღთქმის პედაგოგიკასთან, ხოლო იდეურ - მეთოდიკური თვალსაზრისით სამოციქულო პედაგოგიკაა.

განსაკუთრებული პედაგოგიური დანიშნულებით გამოირჩევა მოციქულ პავლეს შემოქმედება. მისი თეორიული მემკვიდრეობა საგანგებო შესწავლის საგანია. ხოლო ზოგადად, იმის თქმა შეიძლება, რომ მოციქულს აღზრდა-განათლების საკითხებზე საკუთარი შეხედულებები აქვს

ნამოყალიბებული. მისი პედაგოგიური იდეების საფუძველს სიყვარულის ზოგადქრისტიანული დოგმატი წარმოადგენს, ამიტომაც საგანგებოდ მოუწოდებს ყველას, რომ ღმერთის სიყვარულის გარეშე არავითარი ცოდნა არ არსებობს: „... რადგან ყველას გვაქვს ცოდნა, მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს. ვინც ფიქრობს, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს. მაგრამ ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან" (I კორ. 8:1-3).

საზოგადოდ სიყვარულის ზოგადქრისტიანული დოგმატი ქრისტიანული პედაგოგიკის, კერძოდ კი ქრისტიანული ზნეობის აღზრდის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რომელიც ახალი აღთქმის პედაგოგიკამ უმაღლეს ნიშნულამდე აიყვანა. სწორედ მის განმარტება-ინტერპრეტაციებთან გვაქვს საქმე სამოციქულო პედაგოგიკაში, თუმცა წმ. მოციქულ პავლეს ეპისტოლეებში, როგორც ზემოთ ითქვა, პეგაგოგიური პრობლემების გამორჩეულად ღრმა თეორიულ განსჯასთან გვაქვს საქმე, რაც სპეციალური კვლევის საგანია.

წმიდა მოციქულთა სწორი მამების შრომათაგან ზოგიერთი ყურადღებას იქცევს აგრეთვე პედაგოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ მხრივ მეტნაკლებად ' გამორჩეულია: „თორმეტ მოციქულთა მოძღვრება" ანუ „დიდაქე", ჰერმესის „მწყემსი", მოციქულთა სწორი ბარნაბას, წმ. კლიმენტი რომაელის, ეგნატე ღმერთშემოსილის, წმ. პოლიკარპე სმირნელის, წმ. იუსტინე ფილოსოფოსისა და მარტვილის მოღვაწეობა და თხზულებები.

ქართულ ენაზე არსებობს სამოციქულოს განმარტების სამი თარგმანი: ორი მათგანი ეფთიმე მთაწმინდელს ეკუთვნის, მესამე ეფრემ მცირეს. ორივე მთარგმნელს დედნად შეურჩევია კირილე ალექსანდრიელის სახელით წარწერილი კატენები, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან. (16.166). სამოციქულო პედაგოგიკის ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ უფლის მოწამეთა ავტორობით ცნობილი შრომა „მოძღვრება თორმეტი მოციქულისა", რომელიც „დიდაქეს" (მოძღვრება) სახელითაც მოიხსენიება, ეს სახელწოდება მან ბერძნული ტექსტის პირველი სიტყვისგან მიიღო. ძეგლი მოციქულთა ეპოქას ეკუთვნის და წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს „ახალი აღთქმიდან' აპოსტოლარულ მემკვიდრეობამდე.

„დიდაქე" შემოგვინახა ერთადერთმა ხელნაწერმა (Hierosolumitanus-54), რომელიც 1873 წელს აღმოაჩინა მიტროპოლიტმა ფილთეოს ბრიენნიოსმა კონსტანტინეპოლში. ხელნაწერი 1887 წელს იერუსალიმში იქნა გადატანილი. იგი სპეციალურად შეისწავლა ა. პაპადოპულო-კერამეუსმა. ხელნაწერი გადანუსხულია 1056 წლის 11 ივნისს ლეონის მიერ, რომლის ავტობიოგრაფიაც დართულია თვით ხელნაწერის ბოლოს." (8.31). როგორც კ.კეკელიძე და სხვა მეცნიერები ვარაუდობენ, აღნიშნული თხზულება ქართულ ენაზე გვიან საუკუნეებში უნდა ეთარგმნათ.* „დიდაქეს" იცნობდა ეკლესიის მრავალი მამა, მას ეყრდნობოდა კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო ათანასე დიდი კი „თორმეტ მოციქულთა მოძღვრებას" თავის ღვთივსულიერ წიგნთა ჩამონათვალშიც ახსენებს.

თხზულების I–VI თავებში მსჯელობა არის ორ გზაზე: „...ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა." ასეთი მიდგომა ახასიათებდათ როგორც პირველი საუკუნის ქრისტიანებს, ისე იუდეველებს. სიცოცხლის და სიკვდილის გზების განმარტებისას „დიდაქეში" დამოწმებულია ძველი და ახალი აღთქმის მცნებები. ფაქტიურად ეს არის გარდამავალი ეპოქის აზროვნება, რაც სარწმუნოებრივთან ერთად ზნეობრივ-აღმზრდელობით ფუნქციასაც ასრულებს. წმინდა წერილში მითითებულია: „ნუ აიღებ ხელს შენი ვაჟისაგან და ქალიშვილისაგან, არამედ სიყრმითგან ჩაუნერგე ღვთის შიში." უცნობი ავტორი 'მოძღვრებაში" გადმოგვცემს ფორმით ძველი აღთქმის ზნეობრივ სენტენციებს, ხოლო შინაარსობლივად საქმე გვაქვს სახარებისეულ სწავლებასთან, რაც თავის თავში მოიცავს სიყვარულს მოყვასისას და მტრისას. წინა პლანზეა ბრძნული იდეალი და გაფრთხილება სიკვდილის გზის შესახებ: „შვილო ჩემო, განეშორე ყოველგვარ სიავეს და ყოველივეს, რაც მისი მსგავსია. ნუ განრისხდები, რადგანაც რისხვა დაღუპვისაკენ წაგიძღვება; ნუ იქნები შურიანი, ნურც მოკამათე, ნურც გულმწყრალი, ყველა მათგანი სიკვდილს შობს". (დიდაქე, 3, 1-2, მოძღვრება თორმეტი მოციქულისა, თარგმანი ე. ჭელიძისა). „მოძღვრების"

---

* კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, გვ. 514; ი. კვაჭაძე, შენიშვნები „დიდაქეს" ქართული თარგმანის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1947, გვ. 375-377

ავტორი დიდ სიფრთხილეს იჩენს მასწავლებელთა მიმართ, რადგან ყველა სწავლებას არ შეიძლება ქრისტიანმა ყური გაუდოს, მან კარგად იცის მავნე სწავლებათა შესახებ, ამიტომ აფრთხილებს მოწაფეებს: „იქნებ მოძღვარი თვით მიიქცეს სხვა სწავლებისაკენ. თუ თქვენს წარწყმედას ცდილობს იგი, არაფერი არ ისმინოთ მისი, მაგრამ თუ სურს, კიდევ უფრო შეგემატოთ სიმართლე და ცოდნა უფლისა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი. “ (დიდაქე, 11, 2). ცხოვრებას მოწყვეტილი სწავლება მაშინაც მიუღებელი ყოფილა, ამასთან ერთად, ყურადღებას აქცევენ სწავლების კავშირს ცხოვრებასთან, მოძღვრის პირად მაგალითს ანუ სიტყვისა და საქმის ერთიანობას: „ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჯეშმარიტებას ასწავლის, მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუწინასწარმეტყველია იგი.” (დიდაქე, 11, 10). ავტორის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია სისტემატური სწავლა და სულის მარგებელი სწავლება. სწავლებას და სულის სიწმინდეს მხოლოდ მაშინ დაეუფლება ადამიანი, როცა მასთან მუდამ ექნება კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადრე ნასწავლით ვერავინ მიაღწევს სრულყოფილებას, ამიტომ საჭიროა: „ხშირად და ხშირად შეიკრიბეთ; გამოეძიეთ უმჯობესი თქვენი რწმენის მთელი წინა დრო, თუ არ იქნებით სრულყოფილნი ბოლო ჟამისთვის.” (დიდაქე, XVI, 2).

ამრიგად, „დიდაქეს” ადამიანის აღზრდა სახარებისეულ სიმაღლეზე აჭყავს, რასაც პირველქრისტიანთა ყოველდღიურ ყოფას უკავშირებს. თხზულებაში წარმოჩენილია ქრისტიანული ზნეობის შედგენილობა და მასთან ზიარების საშუალებები, რომლის ძირითად საფუძვლად ძველ და ახალ აღთქმას მიიჩნევს. როგორც ვარაუდობენ, „დიდაქე” უნდა დაწერილიყო I საუკუნის ბოლოს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა წმიდა მამათა აპოსტოლარული თხზულებანი, ამიტომ გარდამავალ საფეხურზე მას სახარებასთან ერთად უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა.

პირველქრისტიანთა სამოძღვრო-პედაგოგიურ თხზულებებს მიეკუთვნება წიგნი ჰერმესის „მწყემსი”, რომელიც დაწერილია II საუკუნის 40-იან წლებში. ავტორს ხშირად ურევენ პავლე მოციქულის მიერ ნახსენებ ჰერმესში (რომ. 16:14). ეს სახელწოდება წიგნს მიუღია სინანულის ანგელოზის მიერ: „მე ვარ ის ჰერმესი, რომელსაც შენ ეკუთვნი”. არსებობს ვარაუდი

იმის შესახებ, რომ ამ სახელწოდებაში გადმოცემულია თხზულების ზნეობრივი შედგენილობა, მოციქულთა ეპისტოლეების მსგავსად, სახარებაშიც მწყემსი მოძღვარად წინამძღოლად და გამაერთიანებლად მოიაზრება, რომელთა სწავლებას ყურს უგდებენ და სწავლობენ: „მე ვარ მწყემსი კეთილი. მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე. როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას. ჩემს სულს ვდებ ცხვართათვის. მე სხვა ცხვრებიცა მყავს, არა ამ ფარეხისა. მე უნდა მოვიყვანო და მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი." (იოან. 10:14-16). წიგნი ჰერმესის „მწყემსი" პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს: ხილვებად, მცნებებად და იგავებად.

ჰერმესი წყალზე კოშკების აგებით აღწერს ღვთის ეკლესიის დაარსებას მორწმუნეთა გულებში. მშენებლებს მოჰქონდათ სხვადასხვა ზომის ქვები, ზოგი პირდაპირ ერგებოდა ეკლესიის მშენებარე კედლებს, ზოგს დამუშავების შემდეგ იყენებდნენ, ხოლო ზოგი საერთოდ უსარგებლო აღმოჩნდებოდა. ამ ეპიზოდში კოშკი-გოდოლი-ეკლესიაა, წყალი სადაც ეკლესია შენდება, ნათლისღების წმიდა წყალია, მშენებლობისთვის ვარგისი ქვები-უცოდველი სულებია, ხოლო ის ქვები, რომელთა დამუშავება ხდება-ცოდვილი სულებია, თუმცა მათ აქვთ ხსნის შანსი. მშენებლობისათვის გამოუსადეგი ქვები - ცოდვას დამონებული და უფლის უარმყოფელი სულებია. ამის შემდეგ თხზულებაში მოცემულია ხილვები დედა ეკლესიაზე, რომელშიც გაისმის ყრმათა დარიგებები ერთმანეთის გაფრთხილების, ცოდნის მიღებაში ურთიერთდახმარების, ლოცვისა და მოწყალების შესახებ. წიგნში ასევე გვხვდება დარიგებები მშობელთა მიმართ. თვით ჰერმესი იმხილებოდა თავის ოჯახში შექმნილი არეულობის გამო: შვილები აუმხედრდენ მას და ამით უფლის წინაშეც შესცოდეს, მაგრამ ამაში დამნაშავედ მამაა მიჩნეული, რადგან მან დაუშვა ასეთი რამ: „ამისათვის წყრება შენზე უფალი,- ეუბნება ხილვისას ეკლესია ჰერმესს, როგორც მჭედელი თანდათან აძლევს სასურველ ფორმას რკინას, ასევე მშობელმაც არ უნდა შეწყვიტოს შვილთა ყოველდღიური შეგონება, რაც გაამარჯვებინებს ყოველგვარ ბოროტებაზე" (9. 200). მშობლების მიერ „მწყემსი' კატეგორიულად ითხოვს შვილების სისტემატურ დარიგებას და აღზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სიყვარული სა-

თანადო აღზრდის გარეშე, არათუ დადებითი შედეგის მომცემია, არამედ იგი ცოდვად მიიჩნევა, ამიტომ პირველი დარიგება, რაც მშობლებმა შვილებს უნდა მისცენ, საკუთარი ცოდვების უკუგდებაა.

აზრთა სხვადასხვაობაა მოციქულ ბარნაბას ეპისტოლეს მიმართ: ზოგიერთი მოსაზრებით იგი დაწერილია II საუკუნის 20-30-იან წლებში უცნობი ავტორის მიერ, თუმცა მის პედაგოგიურ დანიშნულებაზე ამას არსებითი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან II საუკუნეც იმ გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება, როცა არსებითად იწერებოდა ანალოგიური, ქრისტიანული ზნეობის შემცველი თხზულებები. ეპისტოლეში ყურადღება გამახვილებულია მარხვაზე, როგორც ადამიანის შინაგანი განწმენდის საშუალებაზე, რომლის დროსაც ხდება ყოველი არაწმინდისაგან თავის დაცვა, თუმცა აქაც საჭიროა მშიერთა დაპურება, შიშველთა შემოსვა და სხვა კეთილი საქმეების კეთება. აქვე არის დამოწმებული ფსალმუნიდან: „ვასწავლი დამნაშავეებს შენს გზებს და ცოდვილნი დაბრუნდებიან შენთან." (ფს. 50:15)

მეორე ნაწილში განხილულია მოძღვრება ორი გზის: ნათლის და ბნელის შესახებ, ერთ მხარეს ანგელოზნი არიან, მეორეზე კი დემონები. როდესაც ნათლის გზას განიხილავს, მოციქული მშობლებისაგან მოითხოვს ძველი აღთქმის პრინციპების დაცვას: „არ მოკლა ჩვილი ნაადრევი შობით, არცა თუ ნაშობი მოაკვდინო; ნურაფერი გწადია შენი მოყვასისა (გამოსლ. 20:17; II სჯ. 5:21).

ეპისტოლეს ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მისი თხზულების მთავარი დანიშნულება არის დარიგება სულის გადასარჩენად, რისთვისაც იყენებს ძველი და ახალი აღთქმის შეპირისპირებას. მოციქულ ბარნაბას აზრით, მთავარია ადამიანმა შეძლოს გარეგანი ქცევებისა და შინაგანი მდგომარეობის სიკეთისკენ ორიენტაცია და აქედან გამომდინარე სულიერად უნდა ჩამოყალიბდეს განსაზღვრული ცხოვრების სახე.

წმიდა კლიმენტი რომაელი თანამშრომლობდა პავლე მოციქულთან, ხოლო წმიდა პეტრე მოციქულის მიერ ხელდასხმულ იქნა რომის ეპისკოპოსად. იგი ყურადღებას ამახვილებდა ბავშვთა თავმდაბლურ აღზრდაზე. მისი აზრით, ქრისტიანი ბავშვები ყველასგან უნდა გამოირჩეოდნენ შინაგანი

სიწმინდით, ზომიერებით და თავშეკავებული ცხოვრებით. მათ ამ საქმეში გამოადგებათ ძველი აღთქმის შესწავლა, რადგან მასში ძალიან ბევრი ზნეობრივი მაგალითია. ამ მოსაზრებით, წმ. კლიმენტი აღიარებს მაგალითის და გარემოს ძალას აღზრდაში.

მოციქულთა სწორი მამების საეკლესიო დასში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წმიდა **იგნატი ანტიოქიელს, რომელიც იგნატი ღმერთშემოსილის** სახელით არის ცნობილი. წმიდა იგნატის შესახებ წმიდა იერონიმე თავი სახელგანთქმულ შრომაში „ბრწყინვალე კაცთა შესახებ" გადმოგვცემს, რომ იგნატი იყო ანტიოქიის ეკლესიის მესამე ეპისკოპოსი პეტრე მოციქულის შემდეგ, როდესაც ტრაიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, იგი მხეცებთან შესაბრძოლებლად რომში გაგზავნეს. მისი მოწამებრივი აღსრულება დაახლოებით 110 წელს უნდა მომხდარიყო. სწორედ რომში გადაყვანისას დაუწერია წმ. იგნატის შვიდი ეპისტოლე, რომლებიც შემდეგ შეუკრებია მის მოწაფეს, წმიდა პოლიკარპე სმირნელს.

წმ. იგნატის ეპისტოლეების აღმზრდელობითი დანიშნულება დამოძღვრაში გამოიხატება. მათში გამოსჭვივის ადამიანის შინაგან სამყაროში წვდომის მცდელობა, წმიდა მამა ქრისტიანობას მიიჩნევს უმაღლესი ზნეობის საფუძვლად, ხოლო მასთან მიახლებას მხოლოდ ჭეშმარიტი მორწმუნენი თუ შეძლებენ, ამისათვის კი ქრისტიანული თავმდაბლობაა საჭირო: „არასოდეს გშურდეს ვინმესი; სხვებს ასწავლიდით, მსურს მტკიცედ ეგოს ყოველივე, რაც თქვენ ასწავლეთ და განაჩინეთ, – წერდა წმიდა იგნატი, – ჩემთვის მარტოოდენ ის ითხოვეთ, ძალა მომეცეს შინაგანად და გარეგანად, რომ არა მხოლოდ სიტყვით ვამბობდე, მსუდეს კიდეც; არა მხოლოდ მერქვას ქრისტიანი – ვიყო კიდეც და ვიქნები, მეწოდება კიდეც ამგვარად, მორწმუნე კი მაშინ გავხდები, ქვეყნად რომ აღარ გამოვჩნდები. ჩენილთაგან რა არის კარგი? მამაში მყოფი ღმერთი ჩვენი იესუ ქრისტე უმეტესად არის ჩენილი. არათუ რწმუნების საქმეა ქრისტიანობა, არამედ – სილაღის, როდესაც მოიძულებს მას სამყარო". (10.14).

წმ. იგნატი ღმერთშემოსილი დაწვრილებით განიხილავს მოძღვრის დანიშნულებას და პრესვიტერებს მოუწოდებს ზუსტად შეასრულონ ეს მაღალი მოვალეობა, რომელიც, ერთის მხრივ, არის ღმერთის სამსახური და მისი ნების აღსრულება,

ხოლო მეორეს მხრივ, მიმართულია ჩვეულებრივ მოცდავთა სულების გასპეტაკებისა და ადამიანთა აღზრდისათვის. ამის შესახებ წმიდა მამა წერდა: „ეცადე ერთიანობისა და წრფელ ერთიანობისათვის, იყავი თავმდაბალი და ყველასადმი ყურადღებიანი, დაუღალავი ლოცვაში, ატარე ყველას უძლურებანი, რამეთუ, სადაც არის ბევრი შრომა, იქ ბევრი მოპოვებაც არის. იყავი ფხიზელი და მოღვაწე ღვთისა, იდექი მტკიცედ, როგორც გრდემლი წრთობის დროს, რომელსაც ურტყამენ და მაინც მტკიცედ დგას. კარგ მოჭიდავეს ყოველთვის ახასიათებს, მიიღოს დარტყმები, საბოლოო ჯამში კი მოიპოვოს გამარჯვება. განსაკუთრებით ჩვენ უნდა მოვითმინოთ ღვთის გულისათვის, რათა მან მოგვითმინოს და აგვიტანოს. ისწავლე იყო გონიერად ყველა სიტუაციაში და გაითვალისწინე დროის ფაქტორი. საღვთისმსახურო შეკრებებზე ხშირად დაესწარი". ამდენად, წმ. იგნატი უპირველეს ადგილს სამოძღვრო ღვთისმეტყველებაში მღვდელს ანიჭებს, სწორედ მან უნდა წარმართოს მორწმუნეთა სულები სიკეთისაკენ, აზიაროს ღვთიურ განგებულებას, რისთვისაც საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა და დღენიადაგ ადამიანთა აღზრდაზე ზრუნვა.

მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში **წმ. ირინეოს ლიონელის** სახით ახალი ეპოქა დაიწყო, რადგან მას მოღვაწეობა მოუხდა მოციქულთა სწორი მამების უკანასკნელ წარმომადგენლებთან და ამავე დროს, მის კვალდაკვალ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები. წმ. ირინეოს ლიონელმა, როგორც გამორჩეულმა თეოლოგმა მკაცრად გაილაშქრა გნოსტიკური მწვალებლობის წინააღმდეგ და ამხილა მათი ცრუ სწავლება იმის შესახებ, თითქოს გნოსტიკოსთა მოძღვრება მარიამ მაგდანელისაგან იღებდა სათავეს, რადგან თვით გნოსტიციზმის მიმდევართა მტკიცებით, აღმდგარმა უფალმა მას ბევრი საიდუმლო გაუმხილა და სწორედ მისგან მოდის ყველა ეზოთერული სწავლება, რომლებიც სამყაროს შესახებ დუალისტურ წარმოდგენებს ეყრდნობოდნენ, რასაც ისინი ძველი აღთქმის სრულ უარყოფამდე მიჰყავდა.

წმ. ირინეოსი ადამიანს ერთ მთლიანობად მიიჩნევდა, რომელშიც სულიერი და ფიზიკური საწყისები ერთმანეთისაგან განცალკევებულად არ იმყოფება, თუმცა ადამიანში განარჩევენ სულს, სამშვინველს და სხეულს. წმ. ირინეოსის

ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, სულს გააჩნია მეფეობა სხეულზე, ხოლო სამშვინველი მათ შორის მოძრაობს: რამდენადაც ადამიანი უახლოვდება ღმერთს, იმდენად უახლოვდება სულს სამშვინველი, ხოლო, რაც უფრო „უშველა" სხეულისაკენ და მიწიერებისაკენ, მით უფრო ცოდვილი ხდება ადამიანი. წმ. ირინეოსის თვალსაზრისით, ადამიანის ფსიქო–ფიზიოლოგიური განვითარებით შესაძლებელია სულიერი იდეალების მიღწევა, მას მიაჩნია: „უმჯობესი და სასარგებლოა დარჩეთ უბრალო და ნაკლებად განათლებულ ადამიანად, მაგრამ მიუახლოვდეთ სიყვარულის მეშვეობით უფალს, ვიდრე თავი წარმოიდგინოთ ღრმად განათლებულად და დიდი გამოცდილების მქონედ, თუმცა სინამდვილეში აღმოჩნდეთ ღმერთის მაძაგებელნი და შექმნათ სხვა „ღმერთი და მამა". სწორედ ამიტომ, პავლე მოციქული წამოიძახებს: „...ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს." (I კორ. 8:1). ეს არა იმიტომ, რომ იგი კიცხავდა ჭეშმარიტ ცოდნას ღმერთზე, ვინაიდან სხვა შემთხვევაში პირველად საკუთარ თავს დაიდანაშაულებდა." (11.186).

წმიდა ირინეოს ლიონელი განსაკუთრებულ მოვალეობებს უყენებს მოძღვრებს, რომლებიც მიაჩნია ადამიანთა ზნეობის მესაჭეებად. ის საგანგებოდ უსვამს ხაზს უღირსი პრესვიტერების მოქმედებას და მოუწოდებს მათ, რათა განეშორონ იმათ, რომლებიც არიან ძალიან პატივცემული მოძღვრები, მაგრამ ემსახურებიან თავიანთ ვნებებს, თუმცა ჩანან, თითქოს გულებში აქვთ ღვთის შიში, სინამდვილეში სხვებს ამცირებენ და თავიანთი უპირატესობით ამპარტავნობენ და დაფარულად ბოროტებას სჩადიან. წმიდა ირინეოსი ასწავლის მათ, რათა ჰქონდეთ ურთიერთობა მხოლოდ იმათთან, ვისაც დაცული აქვთ მოციქულთა სწავლება და იცავენ რა პრესვიტერის მოვალეობებს, ჯანმრთელ მოვალეობებს აწვდიან სხვებს და შესაბამისად ცხოვრობენ სათნო ცხოვრებით სხვათა დამოძღვრისათვის. სწორედ სხვათა დამმოძრვრელს ევალებოდა, რომ თავად ყოფილიყო სანიმუშო. მოძღვარი ხომ მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდა, ამიტომ იგი სამაგალითოც უნდა ყოფილიყო.

ამვე პრობლემაზე, მოძღვარ–მასწვლებლის მოვალეობებზე საუბრობს წმიდა პოლიკარპე სმირნელიც (80–169). იგი კატეგორიულად მოითხოვს, რომ პრესვიტერები იყვნენ

გულკეთილნი, მოწყალენი ყველას მიმართ, მოაქცევდნენ დაბნეულებს, ესტუმრებოდნენ და ყურადღებას აქცევდნენ ავადმყოფებს, ზრუნავდნენ ქვრივებზე, ღარიბებზე და ობლებზე, თავი შეიკავონ მრისხანებისაგან, სამაგიეროს გადახდისაგან, წუწუნისა და უსამართლობისაგან, განეშორონ ყოველგვარ ვერცხლისმოყვარეობას, არ იყვნენ სწრაფნი, მსუბუქი ქცევის და ჭორებს ადვილად არ აჰყვნენ (13.505).

ამდენად, სამოციქულო პედაგოგიკამ ქრისტიანულ აღზრდაში, ადამიანის ზნეობრივ ფორმირებაში განსაკუთრებული როლი მაგალითის ძალას მიანიჭა. სწორედ ქრისტიან მოძღვრებს ეკისრებათ მორწმუნის სულიერი წარმართვა, ამიტომ მოძღვარმა უნდა იზრუნოს მის ზნეობრივ თვისებებზე, რომ თითოეულმა ადამიანმა იმგვარად გაატაროს თავისი მიწიერი ცხოვრება, რომ უგუნურებით არ დაეხშოს სულიერი ნეტარების გზები. ამისთვის კი მიზანმიმართული სწავლება და აღზრდაა საჭირო.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ქრისტიანულ პედაგოგიკა ორი ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად: პირველი ითვალისწინებს ბავშვის მომზადებას მარადიული ცხოვრებისათვის, ხოლო მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი –ესაა მომზადება ამ ცხოვრებისათვის, რადგან ეს ცხოვრება იძლევა როგორც მარადიული ცხოვრების მოპოვების, ისე მისი დაკარგვის შესაძლებლობას, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, როგორ გავატარებთ მიწიერ ცხოვრებას.

აქედან გამომდინარე, უძველეს ქრისტიანულ სკოლებს საერთო მიზნები ამოძრავებდათ, რაც ქრისტიანული რწმენის და ზნეობრივი ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ შორის იყო განსხვავება მხოლოდ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებში, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანული სკოლების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში ეროვნულმა თავისებურებებმა განმასხვავებელი შტრიხები გამოკვეთა.

*როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ეროვნულ-კულტურული გარემო, რომელშიც გავრცელდა ქრისტიანობა, წარმოადგენდა სამი მთავარი ელემენტის – **ბერძნულის, სემიტური (უმთავრესად სირიულის) და ლათინურის ერთობას.***

თითოეული მათგანი გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული ნაციონალური სასიათით, კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციებით. ამის შესაბამისად, უძველეს ქრისტიანულ სკოლებში შეიძლება განვასხვაოთ სამი ძირითადი ტიპი: **ბერძნული, სირიული და ლათინური**. თავდაპირველად ეს სკოლები იყო იმათთვის, ვინც მოსანათლად ემზადებოდა. ქრისტიანული სკოლის სწორედ ამ სამი მიმდინარეობის შესახებ გვექნება საუბარი წიგნის შემდეგ თავებში.

თავი IV

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ–ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლა

§1. ბერძნულ-ალექსანდრიული სკოლების ზოგადი მიმოხილვა

ბერძნული სულიერების განვითარების უმაღლეს საფეხურზე, მის ეროვნულ თავისებურებად წარმოჩინდა ცოდნისკენ ისეთი ლტოლვა, როგორც ამას ძველი ბერძნები ხელოვნების მიმართ აკეთებდნენ. ამის გამო, ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა ყოვლისმომცველ ფილოსოფიური ცოდნის საწყისს, რაც მდგომარეობდა ადამიანის სულიერ აღზრდასა და მშვენიერების აღქმაში. ჭეშმარიტ ფილოსოფოსად იწოდებოდა არა ბევრის მცოდნე, არამედ ის, ვინც თავისი სამაგალითო ქცევით გამორჩეული იქნებოდა. ბერძნული განათლების სისტემა აგებული იყო ორ საწყისზე: დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო მეცნიერებებს, რომელთაც თავისუფალ მეცნიერებებს უწოდებდნენ და მეორეც—ისინი მნიშვნელოვანი იყვნენ არა თავისთავად, არამედ სინთეზური თვალსაზრისით, რომელსაც მათ ფილოსოფია ანიჭებდა. იდეალური თვალსაზრისით, ბერძნული საგანმანათლებლო სისტემა ფილოსოფიის თაოსნობით თავისთავად წარმოადგენდა ცოცხალ ორგანიზმს. თუმცა ქრისტიანობის საწყის ეტაპზე იგი თითქმის აღარ იყო სიცოცხლისუნარიანი, რადგან ბერძნული ფილოსოფია ამ დროს ღრმა კრიზისს განიცდიდა.

მას შემდეგ, რაც ბერძნებმა ქრისტიანული სწავლება აღიარეს, როგორც წმიდა მამები იტყოდნენ, ეზიარნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას და ფილოსოფიას, რომელმაც სწრაფად გამოაცოცხლა მათი სკოლა და თვით შეიძინა სტრუქტურული ცოდნის ნიშნები. ამით ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელობით სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი სრულად იქნა შენარჩუნებული. ქრისტიანული განათლების გავრცელებას უპირატესად განაპირობებდა თვით სარწმუნოების არსი, თუმცა მას ასევე დიდად უწყობდა ხელს ეკლესიის ორგანიზაციული წყობა და იერარქიული აგებულება.

ქრისტიანულ სამყაროში ალექსანდრიის საპატრიარქოს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა. იგი უძველესი მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესიაა. ალექსანდრიის საპატრიარქო კათედრა მოხსენიებულია 325 წელს ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. იგი აერთიანებდა ეგვიპტის დიოცეზში შემავალ ეპარქიებს. მისი მეთაური იწოდებოდა პაპად, ხოლო ამჟამად ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის ტიტულს ატარებს. V საუკუნემდე ალექსანდრიის საპატრიარქო მეტოქეობას უწევდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს. ამ დროს ალექსანდრიის საპატრიარქოში შედიოდა 6 პროვინცია. არაბების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, VII საუკუნეში, მისი მნიშვნელობა დაეცა. ამჟამად ალექსანდრიის საპატრიარქო რამდენიმე ასეულ ათას მორწმუნეს აერთიანებს, უმთავრესად ბერძნების, აფრიკელი და ეთიოპიელი მართლმადიდებლების სახით.

ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლას მდიდარი ელინისტური კულტურა უძღოდა წინ. რომელიც აქ დიდხანს შეუნარჩუნებიათ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ალექსანდრიის ნეოპლატონური სკოლა, რომელიც ცდილობდა ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დოგმათა გათვალისწინებას, არ დაუხურავთ, ათენში 529 წელს ანტიკური ფილოსოფიის სწავლების აკრძალვის შემდეგაც (1.1). აღნიშნული მოსაზრება სრულად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, რადგან ალექსანდრიის ქრისტიანული სკოლა არათუ ითვალისწინებდა ქრისტიანულ „დოგმებს", არამედ მას ქრისტიანული სწავლების თვალსაზრისით მოწინავე პოზიციებიც ეჭირა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეგვიპტის წარმართულმა სკოლებმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო რეგიონის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაზე, ამჟამად ეჭვს არ იწვევს და ამდენად იგი საყოველთაოდ აღიარებულია.

ცნობილი ამბავია, რომ ჯერ კიდევ ადრე, სწავლა-განათლებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ეგვიპტის წარმართი მმართველები, მაგალითად, ანტიკური სამყაროს მნიშვნელოვან სასწავლო–კულტურულ ცენტრს ალექსანდრიის მუსეიონი (მუზების ტაძარი) წარმოადგენდა, იგი დაუარსებია ათენელ ფილოსოფოს - პათეტიკოსს დემეტრიოს ფალორონელს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, პტოლემე I-ის დროს, სასწავლებელი პლატონის

აკადემიისა და არისტოტელეს ლიკეონის მსგავსი იყო. აქ მოღვაწეობდნენ ლეგენდარული ევკლიდე და არქიმედე, კოპერნიკის წინამორბედი არისტარქე სამოსელი, ასტრონომი, გეოგრაფი და მათემატიკოსი ერატოსთენე კირენელი და სხვა გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი. ისტორიული წყაროებით დასტურდება აგრეთვე ელინისტური ეპოქის უდიდესი წიგნთსაცავის— ალექსანდრიის ბიბლიოთეკის არსებობა. იგი III საუკუნეში დაუფუძნებიათ ალექსანდრიის მუსეიონთან. ეგვიპტის მმართველი პტოლემეები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ბიბლიოთეკის გამდიდრებას. გამოჩენილ სწავლულს—კალიმაქეს ბიბლიოთეკისათვის შეუდგენია სისტემატური კატალოგი, რომელიც 120 ნაწილისაგან შედგებოდა. ალექსანდრიელები განსაკუთრებულად ზრუნავდნენ ბიბლიოთეკის შევსებაზე. მეფის ბრძანებით ალექსანდრიის ნავსადგურში შემავალ ყოველ გემს ბიბლიოთეკისათვის რაიმე წიგნი უნდა შეეწირა. ასეთი დამოკიდებულებით ბიბლიოთეკის წიგნადმა ფონდმა გრანდიოზულ მაშტაბებს მიაღწია, მაგრამ ალექსანდრიის ე. წ. დიდი ბიბლიოთეკა რომაულ–ეგვიპტურ ბრძოლებისას განადგურდა, რომლის ნაწილობრივი აღდგენა დედოფალმა კლეოპატრამ მოახერხა, მაგრამ ადრინდელი მაშტაბები მან ვერ დაიბრუნა, თუმცა საუკუნეების განმავლობაში ალექსანდრიის ბიბლიოთეკა კვლავ რჩებოდა აღმოსავლური განათლების და მეცნიერების მძლავრ კერად. შემდგომში ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი რელიგიურ ბრძოლებს შეეწირა, ხოლო დანარჩენი დამპყრობელმა მუსლიმანებმა საბოლოოდ VII-VIII საუკუნეებში გაანადგურეს. სწორედ ასეთი მდიდარი კულტურული ტრადიციები გახდა ის ზოგადი საფუძველი, რომელზედაც დაეფუძნა ალექსანდრიის ქრისტიანული სკოლა. თუმცა იგი კიდევ უფრო ართულებდა საქმეს, რადგან წარმართული მსოფლმხედველობა იმდენად ფესვგადგმული იყო მოსახლეობაში, რომ მისი დამარცხება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელიც კი იყო, მაგრამ ჭეშმარიტმა ქრისტიანულმა სწავლებამ შეუძლებელიც კი შეძლო. სწორედ ასეთი სკოლის მაგალითად იქცა ძველ ქრისტიანულ სამყაროში ალექსანდრიის კატეხიზური სკოლა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დაუარსებია წმიდა მარკოზ მახარებელს (2). ამავე წყაროს ცნობით სეპტიმუს სევერუსის მიერ ჩატარებული ქრისტიანთა დევნის დროს ალექსანდრიაში განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით მორწმუნეებმა დაიდგეს

წამებულთა გვირგვინი. ნიკეის 325 წლის მსოფლიოს I საეკლესიო კრებაზე, რომლის ორგანიზატორიც ალექსანდრე ალექსანდრიელი იყო, ხოლო მისი მოწაფე და თანამოძმიანთ, ათანასე ალექსანდრიელი აღნიშნულ კრებაზე "ძლევამოსილი" რწმენის სიმბოლოს ავტორად არის მიჩნეული. ევსების ისტორიითვე დასტურდება, რომ ქრისტიანულ სწავლებასთან ერთად, აქ ძალიან ადრე (II საუკუნის დასაწყისში) დაუწყიათ თავისუფალი საგნების სწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინდელი სწავლულები ცდილობდნენ ცოდნისა და რწმენის ჰარმონიული სინთეზისათვის მიეღწიათ. ალექსანდრიაშივე 190 წლის ახლო პერიოდში დაუარსებიათ საღვთისმეტყველო სკოლა, რომელიც მარკოზ მახარებლის მიერ დაარსებული კატეხიზური სკოლის მემკვიდრედ მოიაზრება. ალექსანდრიის სასწავლებელში სწავლობდნენ III საუკუნის გამოჩენილი ღვთისმეტყველები: გიორგი ალექსანდრიელი, გრიგოლ ნეოკესარიელი (საკვირველმოქმედი) და მოწამებრივად აღსრულებული მეთოდე ოლიმპიელი და პეტრე ალექსანდრიელი.

ალექსანდრია მდიდარი იყო სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების სასწავლებლებით: სტოიკოსები, პითაგორელები, „საშუალო პლატონიზმის წარმომადგენლები", არისტოტელიზმის ანუ "პერიპატეტიკოსთა" მიმდევრები („პერპტინა"-ბერძ. სეირნობა). ალექსანდრიაში გავრცელებული იყო აგრეთვე ირანული დუალისტური რელიგიები, ეგვიპტურ რელიგიებსა და თვით რომის იმპერიაში გავრცელებულ კულტმსახურებასაც აქ ღრმად ჰქონდა ფეხი მოკიდებული. II-III საუკუნეებში ალექსანდრიაში არსებობას განაგრძობდნენ ტრადიციული ანტიკური და ებრაულ-იუდაისტური სკოლები.

IV საუკუნისათვის ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლაში თავი მოუყარეს ეკლესიის მამათა ვრცელ აპოლოგეტურ, ფილოსოფიურ, დოგმატურ და სხვა ხასიათის საღვთისმეტყველო შრომებს. ჭეშმარიტი ქრისტიანული ფილოსოფიური ენით მხილებულ იქნა ფსევდო ფილოსოფია და ფსევდოგნოსტიკა.. (3). ალექსანდრიის სკოლას წლების მანძილზე სათავეში ედგა თვით კლიმენტი ალექსანდრიელი, ხოლო მისი რექტორები უკანასკნელ ხანებში ყოფილან დიდიმე ალექსანდრიელი და ეპისკოპოსი თეოფილე ალექსანდრიელი. სკოლა IV საუკუნის შუა წლებამდე მოიხსენიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროებში. ანალოგიური სასწავლებლები III საუკუნეში დაუარსებიათ კესარიასა და ანტიოქიაში.

ბერძნულ–ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლები ხშირად აღმოჩენილან დოგმატური შეხლა–შემოხლის ეპიცენტრში. ამ სკოლიდან გამოსული წმ. მამები ყოველთვის ტონს აძლევდნენ იმხანად მიმდინარე ცხარე თეოლოგიურ ბრძოლებს. სწორედ მათმა უცთომელმა გამოსვლებმა ბევრად განაპირობეს მართლმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტი გზა. რწმენის დოგმატის თაობაზე ფუძემდებლური გადაწყვეტილება მიიღო 431 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელმაც დაგმო ნესტორის ღვთისმეტყველური შეხედულებები. მართლმადიდებლების მთავარი დამცველი წმ. კირილე ალექსანდრიელი იყო: „წმ. კირილეს მსჯელობა რწმენაზეა დაფუძვნებული, რადგანაც გონებრივი, ცოდნის საკუთრებად ვერასოდეს იქცევა. კირილეს მსჯელობა ქრისტიანის რელიგიურ გრძნობას აკმაყოფილებს და ამაშია მისი მაღალი ღირსება და განუზომელი უპირატესობა ნესტორის რაციონალურ აზრებთან შედარებით. დოგმატი ღმრთის პირთა სამობის შესახებ მიუწვდომელი დარჩა ათანასე დიდის, ბასილი დიდის და გრიგოლ ღვთისმეტყველის მრავალმხრივი განმარტების შემდეგაც; იგივე შეიძლება ითქვას ძე ღმერთის განხორციელების დოგმატის შესახებაც: კირილეს მიერ საფუძვლიანი ახსნის შემდეგაც იგი ისევ დაფარულად რჩება. რწმენა თავისთავად გამორიცხავს განსჯის გზით წვდომას" (5. 20). მსგავსი შეხედულებები აქვს განვითარებული ათანასე დიდს, რომელიც მიიჩნევდა, რომ გონება რწმენას უნდა ექვემდებარებოდეს, სარწმუნოებრივი საკითხების გამორკვევისას გონებას ზღვარი უნდა დაედოს, რადგანაც რწმენა გონებაზე მაღლა დგას.

ალექსანდრიის სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა პლატონის მეთოდოლოგიას. ალექსანდრიული თეოლოგიისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგებდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობა, რაც მრწამსისათვის რაციონალურ საფუძველს გულისხმობდა, ხოლო სწავლების მეთოდად ბიბლიის ალეგორიული ახსნა იყო მიჩნეული. ალექსანდრიის სკოლაში პოპულარული გახდა ცნობილი თეოლოგის და პედაგოგის ალექსანდრე ალექსანდრიელის ფორმულა: „სიტყვა მაშინ ხდება ნაყოფის მომტანი, როცა მას გავცემთ,

მსგავსადვე მოგვცემს შედეგს სმენა, როცა შევისმენთ," აქედან გამომდინარე, ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს ის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, რასაც იმხანად ეწეოდნენ ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლებში, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ცოდნის დაუფლება იყო რწმენის განმტკიცების მნიშვნელოვანი ბერკეტი, ამიტომ გზადაგზა ავითარებდნენ პედაგოგიურ მეთოდებსა და ხერხებს. ჯერ კიდევ II საუკუნეში, ალექსანდრიაში არსებობდა კათაკმეველთა სკოლა მათთვის, ვინც მოსანათლად ემზადებოდა. ალექსანდრიის სკოლა ცნობილია განსაკუთრებული მიმართულებით და სწავლების ხარისხით. სწორედ II-III საუკუნეების საღვთისმეტყველო სასწავლებლებში მოხდა ეკლესიური მოძღვრების სრულყოფილი გამოთქმა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა დოგმატიკა, რაშიც უდიდესი როლი ალექსანდრიის სკოლამ შეასრულა. ბერძნულ-ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ: **პანტენი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე** და სხვები.

§2. პანტენი

პანტენი ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ღვთისმეტველია. მისი წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი წყაროს თანახმად იგი არიანელი იყო, სხვა ცნობის მიხედვით – სიცილიელი. ქრისტიანად მოქცევამდე სტოიკოსი ყოფილა. კარგად სცოდნია წარმართული ფილოსოფია, ხოლო შემდეგ უწამებია იესო ქრისტეს მოძღვრება და მისი ერთგული დამცველი გამხდარა. ის საფუძვლიანად განსწავლულა ქრისტიანულ თეოლოგიაში და მოღვაწეობის სფეროდ მეცნიერება და პედაგოგიკა აურჩევია, რაც იმითაც დასტურდება, რომ 179–190 წლებში იგი სათავეში ედგა ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლას. სწორედ პანტენი მოიხსენება წყაროებში აღნიშნული სკოლის პირველ წარმომადგენლად. ევსევის „საეკლესიო ისტორიაში" პანტენი დახასიათებულია, როგორც ეკლესიის ღირსეული მამა და ყოვლისმომცველი სწავლული. ზოგიერთი ცნობის თანახმად, სწორედ მას მიეწერება ქრისტიანობის ქადაგება ინდოეთში და სამხრეთ არაბეთში. პანტენი იმდენად აღიარებული პედაგოგი და თეოლოგი ყოფილა, რომ

დიდი ხნის განმავლობაში ალექსანდრიის სკოლას მისივე სახელით მოიხსენიებდნენ. აღნიშნული სკოლა მარკოზ მახარებელს დაუარსებია. იგი განკუთვნილი ყოფილა ებრაელებისა თათვის და ქრისტიანობაში ნაკლებად განმტკიცებულთათვის. გადმოცემის თანახმად, პანტენს დიდი თეორიული მემკვიდრეობა შეუქმნია, მაგრამ მათ თანამედროვეობამდე არ მოუღწევია, რასაც ეჭვქვეშ აყენებს იერონიმეს ცნობილი გამოთქმა, რომ პანტენს ზეპირი სიტყვით მეტი სამსახური გაუწევია ეკლესიისთვის, ვიდრე კალმით. თეოდოტის ეკლოგებში მოხსენებულია მხოლოდ მე–18 ფსალმუნის განმარტება, ხოლო ანასტასია სინაითთან საუბარია პანტენის მიერ შესაქმის (ექვსი დღის) განმარტების შესახებ. მისი თხზულებებიდან მიკვლეული ნაწყვეტები შეაგროვა და გამოსცა გალუამ.

პანტენის სახელოვან მოწაფედ ითვლება კლიმენტი ალექსანდრიელი, რომელიც ასე ახასიათებს თავის სახელოვან მასწავლებელს: „იგი იყო ნამდვილად სიცილიური ფუტკარი, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მდელოდან სიტკბოებათა შემკრები, რომელიც მსმენელის სულებში აღბეჭდავდა სუფთა სიბრძნეს. ბრძენი მამები უსმენდნენ მოციქულებს: პეტრეს, იაკობს, იოანეს და პავლეს, და როგორც შვილები იღებდნენ მამისგან მემკვიდრეობას. ღვთის ნებით, იგი მოვიდა ჩვენამდეც „და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მსმენელები აღფრთოვანდებიან ამით, არა თვით ამ ჩემი შრომით, არამედ იმ ერთადერთობით რა გადმოცემებიცაა დაცული მასში" (1 სტრ. 1.1).*

სამწუხაროდ, პანტენის თეოლოგიური და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ თანამედროვეობას მეტად მწირი ცნობები მოეპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პანტენმა განსაზღვრა ალექსანდრიის სკოლის მიმართულება, რაც გამოიხატებოდა ფილოსოფიის უტილიზაციაში და რელიგიურ სწავლებასთან მეცნიერული ცოდნის სოლიდარობაში. კატეხისტური სკოლის კურსი მისი მმართველობის პერიოდში გამოიხატებოდა წმიდა წერილის განმარტებასა და რწმენის დოგმატების გადმოცემაში. ასევე მას მიეწერება ალექსანდრიის სკოლაში სტოიკური ფილოსოფიის კურსის, პითაგორეს, ეპიკურეს, პლატონის და სკეპტიკოსების თხზულებების სწავლება.

---

* სტრომატების თარგმანი შესრულებულია ედიშერ ჭელიძის მიერ, იხ. „გზა სამეუფო", 1994, №2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§3. კლიმენტი ალექსანდრიელი (150 (153) –220 წწ.)

ფლავიუს კლიმენტი (ალექსანდრიელი) დაიბადა საბერძნეთში, წარმართულ ოჯახში, 150 – 153 წლებს შორის. პირველი განათლება წარმართულ სკოლაში მიიღო, შემდეგ იგი განათლების შეძენის მიზნით გაემგზავრა აღმოსავლეთში. ამის შემდეგ, როგორც ევსევი კესარიელი გადმოგვცემს, კლიმენტი ცნობილი გამხდარა ალექსანდრიაში, რადგან იგი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევდა საღვთო წერილის შესწავლაში. ხოლო მისი განსწავლა მოციქულთა მოწაფეს თვით კლიმენტი რომაელს უკისრია, იგი თავის პირველ მასწავლებელს პანტენოსად (პანტენად – ავტორის შენიშვნა) მოიხსენიებს. შემდეგ ევსევი იმასაც გვაუწყებს, რომ პანტენი შეუცვლია კლიმენტის, რომელიც ალექსანდრიის კატეხისტური სკოლის ხელმძღვანელი იყო. ვარაუდობენ, რომ სწორედ მოგზაურობისას მიიღო მან ქრისტიანობა. შემდეგ იგი კარგა ხნით ალექსანდრიაში მკვიდრდება, სადაც გაიშალა მისი საღვთისმეტყველო-პედაგოგიური საქმიანობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მოღვაწეობა ალექსანდრიის სკოლის რექტორის პოსტზე. როგორც ცნობილია, ალექსანდრია ძველი და ახალი აზროვნების სიმბიოზს წარმოადგენდა, რომელიც II საუკუნის დასასრულს გნოსტიკური აზროვნების ცენტრად იქცა, რომელშიც თეოსოფიური აზროვნება იყო წარმმართველი. სწორედ გნოსტიკური სექტების მიერ შედგენილი საღვთო ისტორიების მხილება იქცა წმ. კლიმენტის და მის თანამებრძოლთა უპირველეს ამოცანად. კლიმენტი ალექსანდრიელმა 202 წელს, ქრისტიანთა დევნისას, დატოვა ეგვიპტე და იქ აღარ დაბრუნებულა, ვარაუდობენ, რომ იგი გადავიდა სირიაში ან კაბადოკიაში. მისი მოღვაწეობის შესახებ სხვა ცნობები არ მოიპოვება. წმ. კლიმენტი უნდა გარდაცვლილიყო 215–220 წლებს შორის.

ევსევის „საეკლესიო ისტორიიდან" ცნობილია კლიმენტი ალექსანდრიელის საღვთისმეტყველო - პედაგოგიური ხასიათის თხზულებები: „ელინელთა მიმართ", „პედაგოგი" და „სტრომატები" ანუ „ნაირგვარობანი", „აღდგომის შესახებ", „მარხვის შესახებ", „ცილისწამების შესახებ", „შეგონებანი სიმტკიცი-

სათვის", „საეკლესიო კანონთა შესახებ" და სხვ. ამათგან პირველი სამი ალექსანდრიის სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისად იყო შედგენილი და წარმოადგენდა ალექსანდრიელი სკოლის სახელმძღვანელოებს.

ალექსანდრიის სკოლაში სწავლება 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აქედან 1 წელი მოსამზადებელ კურსს ეთმობოდა, სადაც სწავლობდნენ მოსანათლი წარმართები. სწორედ მათთვის, სხვა საგნებთან ერთად, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი, გათვალისწინებული იყო კლიმენტი ალექსანდრიელის ცნობილი წიგნი „ელინელთა მიმართ", I კურსზე სწალობდნენ ამავე ავტორის „პედაგოგს", ხოლო მეორე კურსზე „სტრომატებს".

ბერძნულ–ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლის საერთო მიმართულებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კლიმენტი ალექსანდრიელის მსოფლმხედველობამ და პრაქტიკულმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ.

კლიმენტის თეოლოგიურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რწმენისა და ცოდნის, შემეცნებისა და სწავლების ფილოსოფიური პრობლემების კვლევას.

დიდი თეოლოგი და პედაგოგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფოლოსოფიის ადგილისა და როლის გარკვევას ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. მისი აზრით, ფილოსოფია ბერძნებმა ძველი აღთქმიდან აიღეს, რადგან მას ღმერთი ფლობდა, შემდეგ ანგელოზებმა იგი ადამიანებს გადასცეს. დიდი მადლია, რომ ფილოსოფია ბერძნებს ეწყალობათ: „ფილოსოფია... არის ჭეშმარიტების ცხადი ხატი, ელინთათვის ბოძებული საღვთო ძღვენი" (სტრომატა I,20,1) ბერძნებისადმი რომ მართლაც ღვთიური მადლი გაიღო ღმერთმა, ამას კლიმენტი ამგვარად გადმოსცემს: „ჩანს, რომ ელინური პირველსწავლება თვით ფოლოსოფიასთან ერთად ღვთისაგან მოიწია ადამიანებზე...ისე, როგორც წვიმები გადმოისხმება" (სტრომატა, I,37,1). კლიმენტი ფილოსოფიას ნამდვილად ღვთიურად მიიჩნევს, რადგან მას ადარებს ძველსა და ახალ აღთქმას: „თვით ღმერთი არის ორივე აღთქმის მომნიჭებელი, რომელიც არის აგრეთვე ელინებისათვის მომცემელი ფილოსოფიისა, რითაც ელინთა შორის იდიდება ყოვლისმპყრობელი". ამ აზრს უფრო აღრმავებს კლიმენტი „პედაგოგში": „არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ზოგადი აზრით

ყოველივე ის, რაც საჭირო და სასარგებლოა ცხოვრებაში, ღვთისაგან მოდის ჩვენამდე, ფილოსოფია კი, რომელიც ელინებს უფრო მათთვის შესაფერისი „აღთქმის" მსგავსად მიეცათ, არის ქვედა საფეხური ქრისტესმიერი ფილოსოფიისა" (პედაგოგი, IX,283-284).

ამდენად, კლიმენტი ალექსანდრიელს მიაჩნია, რომ რადგან ფილოსოფია ღვთიური წარმოშობისაა, ამიტომ მასზე შეიძლება დაეფუძვნოს ქრისტიანობა, ხოლო სწავლება-შემეცნების თვალსაზრისით იგი მოსამზდებელი ანუ „ქვედასაფეხურია" ჭეშმარიტი (ქრისტიანული) ცოდნის დასაუფლებლად.

კლიმენტი ალექსანდრიელის აზრით, ქრისტიანული სრულყოფილება შედგება სიკეთის შეცნობისა და ღმერთის მსგავსებით. ქრისტიანის მიზანი ღვთის შეცნობა და მისი დანახვაა. სრულყოფილი გნოსტიკოსობა–მარადიული მჭვრეტელობაა. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელმაც სრულ სიმშვიდეს მიაღწია, დაჯილდოებულია ცოდნით და იგი არის ჭეშმარიტი გნოსტიკოსი. კლიმენტი ალექსანდრიელის გნოსტიკოსს საერთო არაფერი აქვს ერეტიკოსების მიერ ხსენებულ „გნოსტიკოსებთან". კლიმენტის აზრით, ქრისტიანი გნოსტიკოსები არ მიეკუთვნებიან ცალკეულ „კასტას". ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და უმაღლესი ზნეობის მაგალითებს აძლევენ საზოგადოებას. განსაკუთრებით დადებითადაა იგი განწყობილი პლატონის ფილოსოფიის მიმართ, თუმცა უმაღლესი შემოქმედისა და რჩეული ერის უპირატესობას ცალსახად აღიარებს: „...ჭეშმარიტების ღვთაებრივი მირონი ლოგოსისგან, მარადიული პირველმდვდელმსახურისაგან თავდაპირველად გარდამოედინებოდა მის რჩეულ ერზე, შემდეგ კი გავრცელდა ბერძნულ ფილოსოფიაზეც".

კლიმენტი ალექსანდრიელი ყოველთვის მოუწოდებდა ბერძნებს, ევლოთ ეკლესიაში და მიეღოთ ქრისტიანობა. იგი მუდამ ამტკიცებდა ქრისტიანობის უპირატესობას წარმართობასთან მიმართებაში, მაგრამ ამავე დროს დადებითად იყო განწყობილი ბერძნული ფილოსოფიისადმი: „ფილოსოფია მაცხოვრის მოვლინებამდე სამართლიანობისათვის ესაჭიროებოდათ ბერძნებს, თუმცა იგი სასარგებლოა ეხლაც ჭეშმარიტი რწმენის შეცნობისათვის, როგორც მოსამზადებელი

საგანი მათთვის, ვინც სარწმუნოებაში თვალსაჩინო წარმოდგენების საშუალებით შემოდის....., რადგან ...ღმერთი ყოველგვარი სიკეთის წყაროა, მისკენ უნდა ვიღტვოდეთ, უშუალოდ, ისე როგორც ძველ და განსაკუთრებით ახალ აღთქმაშია, უშუალოდ ან ფილოსოფიის მეშვეობით. არსებითია იგიც, რომ ფილოსოფია უშუალოდ მიეცა ბერძნებს, რადგან პედაგოგიკა (ფილოსოფიის ნაწილი იყო) „ბავშვის ტარებას" ნიშნავდა, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „...რჯული იყო ჩვენი წარმმართველი ქრისტესაკენ, რათა გავმართლებულიყავით რწმენით" (გალ. 3:24). ელინიზმი ქრისტესთან, – აგრძელებს შემდეგ კლიმენტი ალექსანდრიელი, – ისეთივეა, როგორც მოსეს კანონები ებრაელებთან. ამდენად, ფილოსოფია ერთგვარ მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა, რომელიც საფუძვლად დაედო ადამიანის მარადიულ სვლას სრულყოფილებისაკენ ანუ იესო ქრისტემდე (7.43). როცა კლიმენტი ალექსანდრიელი ბერძნულ ფილოსოფიასა და „ბავშვის ტარებას" შორის პარალელს ავლებდა, ალბათ მხედველობაში ჰქონდა ძველი ბერძნული ტრადიცია იმის შესახებ, რომ მაშინდელი ფილოსოფოსები თავიანთ თავს პედაგოგებს უწოდებდნენ, ხოლო პედაგოგიკა სიტყვასიტყვით ბავშვის ტარებას ნიშნავდა. სწორედ, ამით უნდა აიხსნას აღნიშნული მოსაზრებაც.

ცოდნის უზენაესიდან მომდინარეობას მრავალგზის უსვამს ხაზს კლიმენტი ძველ აღთქმაშიც: „რას ეუბნება მათ სხვა წინასწარმეტყველი მოსე? „აჰა, ამას ამბობს უფალი ღმერთი: შედით კეთილ მიწაზე, რომელიც ჰფიცა უფალმა ღმერთმა აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა, და იმემკვიდრეთ იგი, - მიწა, რომელსაც გამოსდის რძე და თაფლი" (გამოსლ. 33:1,3). შემდეგ აქცენტი კეთდება ჭეშმარიტ ანუ ღვთიურ ცოდნაზე, ავტორი აგრძელებს მასზე მსჯელობას და სვამს კითხვას,– რას ამბობს ცოდნა? ისწავლეთ: „სასოებდეთ, ამბობს, იესოს, რომელიც ხორცში უნდა გამოგიჩნდეთ თქვენ, რადგანაც ადამიანი არის ვნებადი მიწა; რადგან ადამის შეძერწვა მოხდა მიწის ზედაპირისაგან. ამრიგად, რატომ ამბობს: მიწა კეთილი, რომელსაც გამოსდის რძე და თაფლი"? კურთხეულია ჩვენი უფალი, ძმანო, რომელმაც ჩადო ჩვენში მის დაფარულთა სიბრძნე და გონება, რადგანაც ამბობს წინასწარმეტყველი: „ვინ შეიცნობს უფლის იგავს, თუ არა ბრძენი, მეცნიერი და საკუ-

თარი უფლის მოყვარე" (შდრ. იგავ. 1:6; ესაია 40:13; „ბარნაბას ეპისტოლე" 6:8-10). ამდენად, ადამიანს ყველაფერში ცოდნაც არ შეუძლია, ეს მხოლოდ ღვთიურ სიბრძნესთან წილნაყარობის ძალუძთ. რადგან ცოდნა ზედაპირზე არ დევს, მისი მადლის შეცნობა მხოლოდ უფალს შეუძლია: „.....და ღამე ღამეს აუწყებს ცოდნას" – საიდუმლოდ დაფარულს, „და არ არის სიტყვები, არც ნათქვამები, რომელთა ხმები არ გაიგონება" უფლის მიერ, რომელიც ამბობს: „იქმს ვიდაც ფარულად, და განა არ ვხედავ მას? " ამიტომ ეწოდება სწავლებას „განათლება", რადგანაც დაფარულს აცხადებს იგი. მხოლოდ მოძღვარმა გახსნა თავი კიდობნისა. პოეტები კი პირიქით, იმას ამბობენ, რომ ზევსმა თავი დაუცო სიკეთის ჭურჭელს, გახსნა კი უკეთურება. მოციქული ამბობს: „ვიცი, რომ თქვენთან მოშავალი, ქრისტეს კურთხევის სავსებაში" (რომ. 15:29), „ქრისტეს სავსებად" უწოდა რა იმ „სულიერ მადლსა" და იმ მცოდნეობით გადმოცემას, რის განდობაც სურს მათთვის, იქ მყოფთათვის, იქ მოსულს (რადგანც არ შეიძლებოდა, რომ ეპისტოლეს მიერ გაემხილა იგი).

კლიმენტის არ აკმაყოფილებს სახარების ზედაპირული გაგება, მისი მიზანი არსში წვდომაა: „ისინი, რომლებიც მარტივად იგებენ წერილს, მხოლოდ რწმენას ფლობენ, ხოლო რომლებიც წინ მიიწევენ, წარემატებიან ჭეშმარიტების ზედმიწევნით გამორჩევაში, ესენი არიან „მცოდნეები" (სტრომატა, VII,95,9). შემდეგ იგი უფრო შორს მიდის და ცოდნის ამგვარ დეფინიციას იძლევა: „უზენაესი მტკიცება, რაშიც ვგულისხმობთ „მეცნიერულს", წერილთა თანაშეწყობისა და განმარტების გზით რწმენას ენერგავს სწავლისმოსურნეთა სულებს, რაც იქმნება „ცოდნა"(სტრომატა, II,49,3). ამდენად, კლიმენტისათვის მიზეზ–შედეგობრივი კავშირი, ქვეტექსტების მნიშვნელობა და მათი განმარტებები არ არის უცხო და მიუღებელი, უფრო მეტიც, სწორედ ასეთი მიდგომები ახასიათებს მეცნირებას.

ამგვარად, კლიმენტის აზრით, ერთი მხრივ, არსებობს უზენაესის რწმენა, რომელსაც არავითარი მტკიცება არ ეჭირდება, მაგრამ ასეთი რწმენა „მეცნიერულ" ცოდნამდე არ მიდის. ხოლო მეორეს მხრივ, როგორც დამოწმებული მონაკვეთიდან ჩანს „მეცნიერული ცოდნა მიიღწევა წერილთა თანაშეწყობისა და განმარტების გზით", რაც აუცილებლად

გულისხმობს მტკიცებას. ამდენად, კლიმენტის მოსაზრების თანახმად, პირველ შემთხვევაში „ცოდნა" დაფუძნებულია „რწმენაზე" და წარმოადგენს მის სრულყოფას, ოდენ სწორედ ამას ადასტურებს კლიმენტის შემდეგი სიტყვები: „ცოდნა უმჯობესია რწმენაზე, „ცოდნა არის სრულყოფა რწმენისა...", მეორე მხრივ, თვით „რწმენა" გამომდინარეობს „ცოდნიდან", როდესაც სწავლისმოყვარე სული „ირწმუნებს" რაიმეს „მეცნიერული მტკიცების" ანუ განმარტებითი მოძღვრების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში თვით „რწმენაა" „ცოდნის" სრულყოფა. რაც მინიშნებულია კლიმენტის შემდეგ სიტყვებში: „რწმენა უფრო მადლმოსილია მეცნიერებაზე და წარმოადგენს ამ უკანასკნელის კრიტერიუმს" (სტრომატა, II,15,5).

ადამიანის სულიერება, კლიმენტის აზრით, აღზრდაზეა დამოკიდებული: „ვისაც სულიერი ხედვა ცუდი აღზრდისა გამო დასუსტებული აქვს, მაშინ მისდიოს იმ სწავლებას, რომლის სინათლეზე საგნები წარმოჩინდებიან თავიანთი ჭეშმარიტი ბრწყინვალებით. მან თავისი თავი უნდა შეამოწმოს წმიდა წერილის ჯანმრთელი და წმიდა სწავლებით, სჯულით, რომლითაც ჩვენთვის ბუნებითად დამახასიათებელი მოვლენები აიხსნებიან". ასეთია გზა ზნეობისაკენ, გზა, რომელიც რწმენისა და ცოდნის საზომზე გადის, რადგან მარტოოდენ „რწმენა", რელიგიური აზრით კლიმენტისათვის არ არის სრულყოფის ნიმუში. ეს სრულყოფა ადამიანს „ცოდნით" ეძლევა, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა „რწმენა" მოსდევს „ცოდნას", ამოსავალი წერტილი მაინც „რწმენაა", რამდენადაც ყოველგვარი ცოდნა აუცილებლად გულისხმობს აქსიომატურ რწმენას ანუ „რწმენას" მეცნიერულად დაუმტკიცებელ და თავისთავად სარწმუნო პირველსაფუძვლისადმი (4. 25). სწორედ ესაა ის ორი „რწმენა" (ერთია „რწმენა" დაუსაბუთებელ–დაუმტკიცებელი და თავისთავად სარწმუნო დასაბამიერი პირველაფუძვლისადმი და მეორეა „რწმენა" დაფუძნებული „ცოდნაზე", მეცნიერული მტკიცებულებებიდან და განმარტებითი მოძღვრებიდან გამომდინარე), რასაც კლიმენტი არსებრივად ერთ „რწმენად" წარმოგვიდგენს, ანუ უფრო ზუსტად, მეორე „რწმენას" პირველის სრულყოფად გვისახავს. ესა იგივე „მცოდნეობითი რწმენა", რაც სრულყოფილი ქრისტიანის თვისებაა და რაც თავს იჩენს კლიმენტის სიტყვებში: „ამგვარად, სარწმუნოა ცოდნა და მცოდნეობითია რწმენა" (სტრო-

მატ. II,16,2). ხოლო „ცოდნა" ანუ „გნოსისი" კლიმენტი ალექსანდრიელისათვის უპირველესად გულისხმობს ქრისტიანული მოძღვრების ღრმა ცოდნას და წვდომას, „ეს ნიშნავს - წევა საღვთო წერილის და დაფარული აზრის შეცნობის, ბიბლიურ საიდუმლოებათა საცნაურობის გზით, – წერს დ. ბოგვერაძე (14.9), რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ.*

დიდი თეოლოგი საგანგებოდ მსჯელობს რა რწმენისა და ცოდნის შესახებ, განმარტავს ცოდნას, სიბრძნეს, როგორც სწავლის გზით შეძენილს, მაგრამ ცალკე გამოყოფს მეცნიერებას, რომელიც ღმერთისაგან მოგვემადლება. რწმენა და მეცნიერება არ შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდნენ. ტერმინში „მეცნიერება" იგულისხმება უცვალებელი და დაუმარცხებელი ჭეშმარიტების აღმოჩენა, რომელიც მაცხოვრის სწავლების მეშვეობით აშენებულია რწმენის ფუნდამეტზე და გონება მიჰყავს ცოდნისაკენ, სრულყოფილი უცოდველობის მიღწევისათვის (სტრომატები, გვ. 843). რადგან ადამიანის უმაღლესი მიზანი „გნოსტიკოსად" ქცევაა, ამ გზაზე წმ. კლიმენტის აზრით, პირველი ნაბიჯი სარწმუნოების მიღებაა, მეორე კი რწმენიდან მეცნიერებაში გადასვლაა, ხოლო უმაღლესი, ყოველგვარი შემმეცნებელის - ღმერთის სიყვარული და მასთან კავშირია. ამდენად, ყოველგვარი სიკეთის და უმაღლესი სათნოების საფუძველი ღმერთია, ხოლო მისი წარმმართველი და უშუალო განმხორციელებელი იესო ქრისტეა. სწორედ იგია კაცობრიობის უპირველესი მოძღვარი და მასწავლებელი.

ამგვარად, სახეზეა რწმენისა და ცოდნის ისეთი შეფასებები, რომელიც რაიმე წინააღმდეგობას კი არ შეიცავს, არამედ სრულ თანხმობაშია ერთმანეთთან. როდესაც კლიმენტი ასაბუთებს რწმენის ცოდნიდან მომდინარეობას, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი ეწინააღმდეგებოდეს მისსავე ადრე გაცხადებულ დებულებას იმის შესახებ, რომ „ცოდნა დაფუძნებულია რწმენაზე", რასაკვირველია, აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ ცოდნის საწყისი ანუ „გნოზისი" ღვთიურია, ამდენად, რწმენის და ცოდნის ურთიერთგანპირობებულება, მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. აკი თვით წმიდა მამა

---

* ანლოგიური შეფასებები უფრო ვრცლად იხ. ე. ჭელიძე, „გზა სამეუფო", 1994.

აცხადებდა, რომ „ის ვინც მხოლოდ მორწმუნეა—მონაა ღვთისა, ხოლო ვინც მორწმუნეცაა და მცოდნეც—ღვთის მეგობარია,"–სწორედ ამ სიტყვებმა შეიძინა საეროდ მნიშვნელობა და დღესაც აქტუალურია, როგორც სასულიერო, ისე საერო აღზრდა-განათლების სფეროში

კლიმენტი ალექსანდრიელმა მის თანამედროვეთაგან განსხვავებით განსაკუთრებული ამაგი გასწია კატეხისური სკოლის სწავლების შინაარსის სრულყოფაში. ამ მხრივ მან ფილოსოფიის გვერდით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ასტრონომიის და გეომეტრიის შესწავლის მნიშვნელობას, რაც იმხანად კატეხისტური სკოლისათვის მართლაც უპრეცენდენტო მოვლენას წარმოადგენდენდა. კლიმენტის აზრით, „ასტრონომიის გზით გონებრივად დედამიწიდან ზე ადის ადამიანი, მაღლდება იგი ცამდე, თანამოიქცევა წრებრუნვაში და მარადიულად იმეცნებს როგორც საღვთო (საიდუმლეობებს), ასევე (სამყაროს) ურთიერთშეწყობილობას" (სტრომატა, VI,80,3). კლიმენტი ასტრონომიის შესახებ კიდევ უფრო აღრმავებს თავის მოსაზრებას: „ყოველივე იმის შესწავლით, რაც ეხება ზეციურს (სხეულებს), აგრეთვე ყოვლიერების აღნაგობას, ცის ბრუნვასა და ვარსკვლავთა მოძრაობას, უფრო ახლოს მიჰყავს მას (ასტრონომიას) სული შემოქმედ ძალებთან" (სტრომატა, VI,90,3). შემდეგ მას მოჰყავს ანალოგიები ძველი აღთქმიდან, აბრაამთან მიმართებაში და ასეთ რამეს ამბობს: „შემდეგ კი აღიხილა მან ცისკენ... შეიცნო ღმერთი, უმჯობესი შესაქმეზე და მის ყოველგვარ წესზე, მიიღო... ცოდნა ერთი ღვთისა" (სტრომატა, V,8,6). დახლოებით ანალოგიური აზრია განვითარებული შემდეგ მონაკვეთშიც: „მათგან (ციურ სხეულთაგან) აღძრული აბრაამი შემოქმედის ცოდნამდე ამაღლდა" (სტრომატა, VI,80,3) ან კიდევ: „აბრაამი ციურთა ჭვრეტიდან ღვთისეულ რწმენამდე მივიდა".

ასეთივე დამოკიდებულება აქვს კლიმენტი ალექსანდრიელს გეომეტრიის მიმართ, რადგან მისი აზრით, სწორედ გეომეტრია „გრძნობათაგან გონისეულთაკენ გადაგიყვანს (სტრომატა, VI,90,4) ან კიდევ: „გეომეტრიის მიერ (ადამიანი) არსებას ჭვრეტს თავისთავად, რითაც იგი ეჩვევა... სხეულთაგან განსხვავებული უცვლელი არსის მოაზრებასაც" (სტრომატა, VI,80,2).

ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ე. ჭელიძე აღნიშნავს, რომ კლიმენტის თანახმად, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება ენციკლური სწავლებანი, ფილოსოფია და „ცოდნა" ანუ „გნოზისი". დიალექტიკა, ასტრონომია და გეომეტრია ადამიანს ათავისუფლებს გრძნობათობისაგანაც და გონისეულთა შესაცნობად აღძრავს მას. ასე რომ ეს საგნები საფუძველს უმზადებს ფილოსოფიას, ხოლო ფილოსოფია, თავის მხრივ არის ქვედასაფეხური „ცოდნისა" (4.32).

როგორც ცნობილია და ზემოთაც აღინიშნა ამის შესახებ, ძველ საბერძნეთში „პედაგოგს" უწოდებდნენ ისეთ პიროვნებას, რომელიც ბავშვს ატარებდა. კლიმენტი ბავშვებს ღვთის შვილებს უწოდებს: „ეხლა აზრის თანმიმდევრობას თუ დავიცავთ, აუცილებლად უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ ჩვენი პედაგოგის სახელი იესო ქრისტეა" (6.68). შემდეგ დიდი ღვთისმეტყველი აგრძელებს მსჯელობას და განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს იესო ქრისტეს როლსა და ავტორიტეტს სწავლების, აღზრდის და განსაკუთრებით რწმენის განმტკიცების საქმეში. ასევე ფართოდ არის განხილული ადამიანისათვის მისაღები ჩვევების შეძენის, ქრისტიანული ქცევის აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მოკლედ რომ შევაფასოთ კლიმენტი ალექსანდრიელის პედაგოგიური თხზულებები, შეიძლება ითქვას, რომ „ელინელთა მიმართ"–დაკავშირებულია ჩვეულების აღზრდასთან, „პედაგოგში"–როგორც აღინიშნა, გადმოცემულია მოზარდის მოქმედების ანუ ქცევის აღზრდა, ხოლო „სტრომატები" მოწოდებულია სულიერი საშიშროებისაგან და სხვადასხვა საცთურისაგან დაიცვას მორწმუნე ქრისტიანი. დამრიგებელი, პედაგოგი და მასწავლებელი საბოლოოდ პერსონიფიცირდება ღვთის სიტყვის, ლოგოსის, შემომქმედის და იესო ქრისტეს სახით: „პედაგოგიკის სფერო – პრაქტიკაა და არა თეორია, ზნეობრივი სრულყოფაა და არა სწავლება, აი ეს არის პედაგოგიკის მიზანი, – წერს კლიმენტი ალექსანდრიელი „პედაგოგში". მისი აზრით, ქრისტიანული მორალი განმსაზღვრელია ადამიანის ფორმირებაში, იგი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა ბრძენის ცხოვრებას, სწავლულთან (მეცნიერთან) შედარებით, რადგან მისი აზრით, სულიერება სწორედ ბრძენის ხვედრია, სულიერად მდაბალთ, ვიდრე ისინი არ განიწმინდებიან, არ ძალუძთ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური წარმატე-

ბის მიღწევა,–მიაჩნია დიდ ღვთისმეტყველსა და პედაგოგს. მისივე აზრით, მიზანშეწონილია, ქრისტიანული ცოდნა მიეცეთ ღირსეულთ ანუ სულიერად სრულყოფილებს, ხოლო ამის მის აღწევად აუცილებელია ადამიანის აღზრდა. ამის საილუსტრაციოდ კლიმენტი პარალელს ავლებს ძველ ბერძნებთან და ამბობს, რომ თუკი ელინი ფილოსოფოსები თავინთ ცოდნას მხოლოდ გამორჩეულებს აზიარებდნენ, მით უფრო მართებთ ჭეშმარიტ ფილოსოფოსებს გაუფრთხილდნენ ღვთიურ საუნჯეს და მოარიდონ იგი უზნეო და უმეცარი ადამიანებისგან, „ვინაიდან წვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა" (მათ. 22:14).

კლიმენტი ალექსანდრიელმა ახსნა პედაგოგიკის სულიერი საზრისი, აღზრდა მიიჩნია სულიერი გადარჩენის უმთავრეს საშუალებად. ტერმინი „პედაგოგია" მის ნააზრევში წარმოაგენს ვნებათა ერთობლიობას, იგი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მასში მოიაზრება აღმზრდელი და მასწავლებელი; აღსაზრდელი და მოსწავლე; ამ ტერმინითვე აღინიშნება აღზრდის აქტი და თვით ქრისტიანულ მოძღვრებასთან ზიარება ანუ წმიდა წერილის შესწავლა. ამის შესახებ კლიმენტი წერდა: „პედაგოგიკა რომ არის ბავშვთა მიყვანა რაიმემდე, მუდავნდება თვით ამ სიტყვიდან. სიტყვა „პედაგოგიკა' სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. მასში იგულისხმება აღსაზრდელი, შემდეგ აღმზრდელი და განმსწავლელი; მისით აღინიშნება, მესამედ, თვით აღზრდის აქტი; მეოთხედ, გადაცემული მოძღვრება, მაგალითად მცნებები" (6: 35,68).

ამდენად, კლიმენტი ალექსანდრიელმა ქრისტიანულ პედაგოგიკაში პირველმა მოგვცა „პედაგოგიკის' დეფინიცია, მანვე ერთმანეთისგან გამიჯნა აღზრდა და სწავლება. იგი ამავე დროს გამოყოფს აზრდასა და სწავლებაში მონაწილე მხარეებს – აღმზრდელ-მასწავლებლებსა და მოწაფეებს.

დიდი თეოლოგის აზრით, ვნებებისგან განკურნებულ ადამიანს შუძლია ჭეშმარიტების შემეცნება, ამისთვის კი აღმზრდელია საჭირო. წმინდა მამა უმაღლეს აღმზრდელად ღმერთს მიიჩნევს, მაგრამ იგი ამასთან ერთად მიწიერ აღმზრდელსაც აღიარებს, რომელიც „გამამხნევებელი მაგალითებით სულს ამაგრებს" და ადამიანს ამზადებს ჭეშმარიტების შემეცნებისათვის. აღმზრდელი, კლიმენტის აზრით, იგივე პედაგოგია, ხოლო მათგან განსხვავებულია მასწავლებელი, რომელიც სულიერად განწმენდილს აზიარებს „ქრის-

ტიანული სწავლების საიდუმლეობებს", ე. ი. წარმართავს სას-
წავლო პროცესს. თუმცა საბოლოოდ კლიმენტის დასკვნა
მაინც ერთ ცნებაში – ღვთაებრივ ლოგოსში იყრის თავს:
„ვნებებისაგან განკურნება არის შედეგი იმისა, რომ
აღმზრდელი გამამხნევებელი მაგალითებით სულს ამაგრებს
და სიყვარულით სავსე რჩევებით ავადმყოფებს სხვა ცხოვრე-
ბისკენ, ჭეშმარიტების სრული შემეცნებისაკენ უკვალავს გზას..
ისევე როგორც სხეულით ავადმყოფის განსაკურნებლად ექიმია
აუცილებელი, ასევე სულიერი უძლურება პედაგოგს საჭი-
როებს, რათა მან ჩვენი ვნებანი მოათვინიეროს; მხოლოდ მოგ-
ვიანებით ხდება საჭირო მასწავლებელი, რომელიც შეძლებდა
სულის შეყვანას წმინდა გნოსისში, რომლის მიღებით მას
შეეძლებოდა ჩასწვდომოდა ქრისტიანული სწავლების
საიდუმლეობებს. რამდენადაც ახლა ლოგოსი, არის რა ადა-
მიანთა ყოველმხრივი მეგობარი და თანდათანობით მიჰყავს
ისინი ხსნამდე, მიისწრაფვის მოგვცეს ჩვენ სავსებით სრულ-
ყოფილი აღზრდა, იმდენადვე იღვწის ის მშვენივრად და უაღ-
რესად ყაირათიანად; დასაწყისში ის გვევლინება შემგონე-
ბლად, შემდეგ პედაგოგად და ბოლოს მასწავლებლად" (6.30).
ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ნათელს ჰფენს ეკლესიის მამის
შემდეგი სიტყვები: „ჩვენი მასწავლებელი კი წმინდაა; ის არის
ღვთაებრივი იესო, ლოგოსი, ხელმძღვანელი მთელი კაცო-
ბრიობის; თვით ის, კაცთმოყვარე ღმერთი, არის ჩვენი
აღმზრდელი" (6: 75,71).

მიუხედავად იმისა, რომ კლიმენტი უმაღლეს მასწავ-
ლებლად იესო ქრისტეს აღიარებს, იგი ასევე საჭიროდ მიიჩ-
ნევს ამსოფლიურ აღზდას და სწავლებას, რომელსაც წარ-
მართავენ ამ საქმისათვის მოწოდებული პედაგოგები: „არის რა
მიწიერი ღვთიური ძალის მიწიერი ხატი აღსავსე ყოველგვარი
სრულყოფილებით, გნოსტიკოსის სული ფორმირდება ბუნე-
ბრივი მონაცემების განვითარების, აღზრდისა და გონივრული
საწყისის შედეგად." (6: 7.1164,6). თუმცა ჭეშმარიტი
გნოსტიკოსის ჩამოყალიბებას განაპირობებს სამი საწყისი: ა)
ბუნებრივი მონაცემები, ბ) აღზრდა–განათლება და გ) გო-
ნივრული საწყისი ანუ ღვთაებრივი ლოგოსი. აქ საეჭვო
ნამდვილად არ არის, რომ წმ. მამის აზრით, ღვთაებრივი ლო-
გოსი წარმართავს ადამიანის ფორმირების პროცესს, მაგრამ
განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იგი

ჭეშმარიტი გნოსტიკოსის აღზდის პირობად ამასთან ერთად მიიჩნევს ბუნებრივ მონაცემებს და აღზრდას. ამდენად, ბუნებრივ მონაცემებში უნდა ვიგულისხმოთ ადამიანის გონიერი განვითარება, გარემო პირობები და ის მხარეები, რასაც ქრისტიანული ანთროპოლოგია აღიარებს ადამიანის თვისებებად, ხოლო აღზდაში წმ. მამა მოიაზრებდა აღმზრდელ – მასწავლელების მიერ განხორციელებულ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ღვთაებრივი ლოგოსის ხემძღვანელობით.

კლიმენტი ალექსანდრიელისათვის ახლობელია ბერძნული მისტერიები, რადგან მას საფუძვლიანი ელინური განათლება ჰქონდა მიღებული. მისი აზრით მისტერიები იწყება განწმენდით, რაც ქრისტიანული აღსარების ანალოგიას წარმოადგენდა წარმართულ სამყაროში. პირველად განწმენდას ანუ მისტერიებს მოსდევს „მცირე მისტერიები", როგორც სწავლება ანუ მომზადება „უდიდესი მისტერიებისათვის" ანუ საიდუმლეობებისათვის, როცა ფაქტიურად დასრულებულია სწავლება და საშუალება გვეძლევა სამყაროში არსებულ რეალობას ვჭვრეტდეთ. სწორედ ეს არის ქრისტიანული აღმსარებლობის უმაღლესი საფეხური–ღვთისმჭვრეტელობისა, რომელიც ანალიზის გზით მიიღწევა, – წერს კლიმენტი ალექსანდრიელი თავის „სტრომატებში" (6: 5,11).

კლიმენტი ალექსანდრიელი, როგორც სტოიკოსთა მსოფლმხედველობაზე აღზრდილი, იზიარებს მათ მიერ დამკვიდრებულ ოთხივე სათნოებას (გონიერება, სიმართლე, თავშეკავება, სიმამაცე), ხოლო თავად სათნოება სულის მიდრეკილებად მიაჩნია, რაც ადამიანის გონებასთან სრულ თანხმობაშია. რაც შეეხება სათნოების საწყისს, იგი მაცხოვრისგან მომდინარეობს: „სათნოება არის აღმზრდელისაგან ანუ ქრისტესაგან გადმოცემული გონიერება". თუმცა ეს არ არის საკმარისი სათნო ადამიანად ჩამოყალიბებისათვის. საჭიროა ასეთი მიდრეკილება ჭეშმარიტ სათნოებად იქცეს, რაც, წმ. მამის აზრით, სისტემატური სწავლების, ვარჯიშის და აღზრდის შედეგია, ამიტომ თითოეული სწავლულის ვალია ამრავლოს სათნოება ანუ აღზარდოს მომავალი თაობა, როგორც ამას ფილოსოფოსები აკეთებენ. სწორედ, სათნობას მიიჩნევდა იგი სიკეთის საწყისად: „როგორც არ არსებობს სინათლე, რომელიც არ ანათებს; არაფერი მოძრავი, რომელიც არ მოძრაობს, სიყვარული, რომელიც არ იწვევს სიყვარულს, ასევე

არ არსებობს არანაირი ზნეობრივი სიკეთე – სათნოება, რომელიც არ იქნება სასარგებლო და მაცხოვნებელი". – წერდა წმ. მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტის აზრით, რადგან „ქრისტიანი ფილოსოფოსი უპირველესად მჭვრეტელია, შემდეგ აღასრულებს მცნებებს და მესამე შემთხვევაში, აღმზრდელია სხვა ადამიანებისა და სათნოებამდე. ეს სამი თვისება ერთ პიროვნებაში ქმნის ჭეშმარიტ გნოსტიკოსს". ხოლო ქრისტიანული გაგებით გნოსტიკოსად მას მიაჩნია ისეთი ადამიანი, რომელიც უმაღლესი შეგნებით ემორჩილება ღვთიურ განგებულებას და მზადაა სულის სისპეტაკეს დაუქვემდებაროს საკუთარი სხეული და მიწიერი კეთილდღეობა.

სათნოების თითოეულ გამოხატულებაზე მსჯელობისას აშკარად ჩანს, რომ კლიმენტი ალექსანდრიელი კარგად იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას, რაც ამ ეპოქის მოაზროვნეთა შრომების ციტირებაშიც ვლინდება, მაგრამ მათგან განსხვავებით ყველა სათნოებათა სათავედ წმ. მამას ღმერთი მიაჩნია. ერთგან კლიმენტი ალექსანდრიელი პირდაპირ მიუთითებს, რომ სათნოების (სამართლიანობის) პლატონური გაგება და ასახვა არაფერია, თუ არა მოსეს კანონების არსში წვდომაო. პლატონის ცნობილ დებულებას სახელმწიფოს მართვის შესახებ, აზუსტებს წმ. კლიმენტი და დასძენს, რომ სათნოებისთვის საკმარისი არ არის ის, რომ სახელმწიფო მართონ ფილოსოფოსებმა, აუცილებელია იგი მართონ სამართლიანად და კეთილსინდისიერად და რაც მთავარია, საზოგადოებაში იყოს მაღალზნეობრივი ადამიანი, ამისათვის კი სამართლიანი კანონებია საჭირო, ხოლო ყველაზე სამართლიანი კანონია წმიდა მცნებები, რომელიც უნდა შევისწალოთ და ვიწამოთ. ადამიანის სულიერ აღზრდას კლიმენტი ალექსანდრიელი მთავარ პრობლემად მიიჩნევს. სათნოებათა შორის ზომიერება და თავშეკავება მისი ყურადღების ცენტრში იყო. ცნობილია, რომ ეს საკითხი ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა კვლევის საგანსაც წარმოადგენდა. მაგალითად, არისტოტელე ადამიანური ვნებების მართვის მომხრეა, მისი აზრით, „ვნებებს ის კი არ იმორჩილებს, ვინც მათგან სრულიად იკავებს თავს, არამედ ის, ვინც მათ ისე იყენებს, როგორც მართავენ გემს ან ცხენს, ესე იგი, იქით მიჰყავთ, საითაც საჭირო და სასარგებლოა." ხოლო კლიმენტი ალექსანდრიელი სიმკაცრეს იჩენს ვნებებთან

ბრძოლაში. სწორედ ასეთი მიდგომა მიაჩნია მას ბავშვებში ცოდვების აღმოფხვრის ეფექტურ საშუალებად: „აღზრდის მკაცრი მეთოდები ბავშვებისათვის სასარგებლოა, მისი ცილებლობა იმდენად დიდია, რომ მას სხვა რამეთი ვერ შევცვლით. მრავალი ვნება აღმოიფხვრება მხოლოდ დასჯის საშუალებით, რომელიც გამოიხატება ზნეობრივი მცნებების უმკაცრეს სწავლებაში, როგორც, მაგალითად, სულიერი ვნების გამო გაკიცხვა ერთგვარ ქირურგიულ ოპერაციას წარმოადგენს" (6.79-80).

მაგრამ ადამიანურ გონებას რამდენად შეუძლია ვნებების არსში წვდომა. რადგან ვნება ღმერთისეული არ არის, ის უნდა განვაგდოთ, თუმცა წარმართული ფილოსოფიის დოქტრინა ამგვარი არ ყოფილა, ამიტომ წმ. კლიმენტი ვნებებისაგან განთავისუფლებისათვის სჯულის ანუ რწმენის გავრცელებას მოითხოვს. მისი აზრით, ჭეშმარიტ რწმენასთან ვნება ვერ დაივანებს. ყოველგვარი უკეთურებისგან განკურნება „ლოგოსის" მეშვეობით ხდება, რადგან იგი იმყოფება როგორც სამყაროში, ასევე ადამიანთა გონებაში. „ლოგოსი" კაცობრიობის ისტორიაში სახვადასხვაგვარად ვლინდებოდა: თავდაპირველად როგორც ბუნებითი კანონი, შემდეგ როგორც ათი მცნება – ძველი აღთქმის საღვთო ბრძანებანი, და ბოლოს, ახალი აღთქმის წერილის სახით. ესენი ემსახურებიან ერთ მიზანს – განკურნონ დაცემულ ადამიანში ვნება და აღადგინონ ადამიანის სულში ჰარმონია" (14. 48).

კლიმენტის აზრით, სწორედ უფალს უპყრია აღმზრდელის უპირველესი კვერთხი, ამიტომ მას აქვს სრული უფლება ვნებებისაგან განკურნოს ადამიანი: „მკურნალი აღმზრდელია, ამიტომ მიეცა მას კვერთხი აღზრდისა, იმეფოს, იბატონოს, სწორედ ამის საშუალებით, ვისაც დამარწმუნებელი სიტყვა ვერ განკურნავს, როზგი განკურნავს; მათ, ვისაც როზგიც ვერ განკურნავს, ცეცხლი გაანადგურებს... ისინი ვინც უფლის მიერ აღიზრდებიან, თავს დააღწევენ სიკვდილს... ჩვენ გვსურს, რომ უფლის მცნებები საქმით გვიყვარდეს, განკაცებულმა უფალმა თავად ცხადად დაგვანახა, რომ სათნოება მიმართულია საქმეებისკენ, ასევე შემეცნებისკენ; მოდი, მივიღოთ უფალი როგორც კანონი და მის მცნებებში შევიცნოთ გზა მარადისობისკენ; რადგან მისი ბრძანებები სავსეა დამარწმუნებლობის ძალით და არა შიშით" (6: 24,10).

რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა და გულმხურვალე ლოცვების დიდ მნიშვნელობაზე გააამახვილა ყურადღება კლიმენტი ალექსანდრიელმა. ძველ ქრისტიანთა წეს-ჩვეულებების და ლოცვის შესახებ იგი წერდა: „ლოცვისას თავს და ხელებს აღვაპყრობთ ზეცისკენ, დასასრულს კი ფეხებს ვამოძრავებთ", ეს ნიშნავს, რომ ლოცვისას დაჩოქილები იყვნენ, დასასრულს კი ფეხზე წამოდგებოდნენ. იგი ამბობდა: „ლოცვის დროს ჩვენ ზეცას შევცქერით, ხელები გაშლილი გვაქვს და თავზე გვახურავს", ავადმყოფთთათვის დასაშვები იყო დამჯდარი ლოცვა. გაშლილი ხელები სიმბოლურად გამოხატავდა ჯვარცმას. ლოცვის წინ მოუწოდებდნენ ხელების დაბანას და ლოცულობდნენ პირით აღმოსავლეთისაკენ, რადგანაც აღმოსავლეთიდან მოდის სულიერი ნათელი. მოციქულთა სწავლების თანახმად, მამაკაცები ლოცულობდნენ თავდაუბურავები, ხოლო დედაკაცები თავდაბურულები.

ღვთივსულიერი მამა ზომიერებისკენ მოუწოდებდა ტრაპეზის დროსაც. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა, რომ ქრისტიანებმა ტრაპეზის დროს უნდა იკითხონ ფსალმუნები და შეასრულონ საგალობლები; იკვებონ ზომიერად, რადგან ზომიერი საკვები ხელს უწყობდა სულის სიწმინდეს და ორგანიზმის ჯანმრთელობას. ღვინის შესახებ ღირსი მამა მოუწოდებდა მცირე რაოდენობით მიღებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს მოუწოდებდა თაშეკავებისკენ: „ამ ასაკში ღვინის სმა იგივეა, რაც ცეცხლში ცეცხლის დამატება, ღვინისგან აღიგზნება მთელი ორგანიზმი." ძლიერ მანკიერებად მიაჩნდა მას ლოთობა, განსაკუთრებით ზრუნავდა ბავშვზე, რათა ისინი მოერიდებინათ ამ მანკიერებისაგან. ტრაპეზის დროს ქრისტიანებისათვის მიუღებლად ითვლებოდა ხმაური, მუსიკა და ცეკვები. მოგვიანებით ქრისტიანებისათვის კანონით აიკრძალა წარმართებთან ტრაპეზი. ლაოდიკიის ტაძრის მიერ 370 წელს გამოცემული ბრძანებულების თანახმად: „თუ ქრისტიანები არიან წვეულებაზე, მათ არ უნდა მიიღონ ცეკვებში მონაწილეობა, მოკრძალებულად უნდა იტრაპეზონ, ხოლო მოძღვრებმა არ უნდა უყურონ გასართობ სანახაობას, ისინი უნდა წამოვიდნენ წვეულებიდან, როგორც კი იქ კომედიანტები გამოჩნდებიან."

ქრისტიანული ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალწულობას. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ

ქორწინება ახალი აღთქმის შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია. მხოლოდ ერეტიკულ სექტებს მიაჩნდათ დაუშვებლად ქორწინება. იმავე განგრის ტაძრის ბრძანებულებით: „თუ ვინმე დაუქორწინებელია და თავს იკავებს არა დათმენის გამო, არამედ იმიტომ, რომ ქორწინება სძულს, ანათემას გადაეცემა." (8.25). კლიმენტი ალექსანდრიელი დაქორწინებულთა მიმართ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე უქორწინებელთა მიმართ: „სრულყოფილი ქრისტიანი, თუ დაქორწინდა უფლის ნებით, მას მოციქულები ჰყავს მაგალითად (რომელთაც მისი აზრით, ჰყავდათ ცოლები), ასეთი ადამიანი ყოველთვის დაუქორწინებელზე უფრო მაღლა დგას. ცოლიანი კაცი თავისი სახლის უფროსია, მას ბევრი ცდუნება აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მაინც სარწმუნოების ერთგული რჩება. ვისაც საზრუნავი არა აქვს, მას არც ცდუნებები ხვდება. ასეთი ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, ამიტომ სულიერების თვალსაზრისით, იგი უფრო დაბლა დგას მასზე, ვინც ნაკლებად ზრუნავს მხოლოდ საკუთარი სულის გადარჩენაზე, მაგრამ უფრო სასარგებლო ცხოვრებით ცხოვრობს." შემდეგ კლიმენტი ალექსანდრიელი სტრომატებში ამგვარად აღწერს „ჭეშმარიტ კაცს" და ქორწინების მნიშვნელობას: „ქორწინების უწმინდესი მიზანია შვილების გაჩენა, უმაღლესი კი – მათი კარგად აღზრდა. ქორწინება ეფუძნება არა ოქროსა და სილამაზეს, არამედ ზნეობას..... ჩვენთვის ხომ ცნობილია მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ადამიანმა აუცილებლად როდი უნდა აირჩიოს მარტოხელა ცხოვრება, თუმცაღა ის აღემატება მას, ვინც მოთვინირიებული ქორწინებით, ბავშვების გაჩენითა და აღზრდით, სახლზე ზრუნვით ცხოვრობს, თუმცა ვნებისა და განცდის გარეშე, საოჯახო მეურნეობაზე ზედამხედველობის მიუხედავად, არ კარგავს ღვთაებრივ სიყვარულს და ახერხებს გადალახოს ყველა ცდუნება, რომლებიც თავს იჩენენ ბავშვების, ცოლის, შინაურების და ქონების გამო, ოჯახის არმქონე გაცილებით მეტად თავისუფალია ცდუნებებისგან" (6:7,12,70. 7-8).

საოჯახო აღზრდა დაწვრილებით გაანალიზა კლიმენტი ალექსანდრიელმა და ამ საქმეში უმთავრესი პასუხისმგებლობა მშობლებს დააკისრა. მისი აზრით, მორწმუნე ოჯახური გარემო ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს ბავშვთა აღზრდისთვის. მისი ყურადღების არეალში ასევე მოექცა აღსაზრდელის სამე-

გობრო. მისი აზრით, მშობლების ვალია კარგად შეისწავლონ ის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს მოზარდის აღზრდა, რადგან მოზარდის ჩამოუყალიბებელი ხასიათი ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ამიტომ აუცილებელია ბავშვები მოვარიდოთ სულიერად საეჭვო თანატოლთა წრეს. ამგვარი სიფრთხილე, წმიდა მამის აზრით, სრულიად არ ნიშნავს, რომ მოზარდებს არ ჰყავდეთ მეგობრები, პირიქით, აუცილებელიც კი არის ბავშვები გაიზარდონ მეგობრულ გარემოში, მაგრამ სამეგობრო წრე კეთილგონიერი ბავშვებისგან უნდა შედგებოდეს.

კლიმენტი ალექსანდრიელი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ქალთა აღზრდის საკიხებს, მისი აზრით, რადგან ქალიც უფლის გაჩენილია, მის აღზრდაზე ისევე უნდა იზრუნონ, როგორც ვაჟების აღზრდაზე: „რადგან ლოგოსი ერთნაირი აღმზრდელია ქალების და კაცების, რადგან კაცსა და ქალს ერთიდაიგივე სათნოებანი ახასიათებთ, რადგან ორივეს მხოლოდ ერთი ღმერთი ჰყავთ, ორივეს მხოლოდ ერთი აღმზრდელი, ერთი და იგივე ეკლესია, ზნეობა, სირცხვილის გრძნობა, საერთო საკვები, სათნოება და ცხოვრების წესიც საერთო, ქალებსა და მამაკაცებს სახელიც ერთი აერთიანებს – ადამიანი" (6 : 9).

კლიმენტი ალექსანდრიელმა სათავე დაუდო ანტიერეტიკულ მწერლობას, მას წილად ხვდა, მეცნიერული სახით ჩამოეყალიბებინა დოგმატური და ზნეობრივი ღვთისმეტყველება. მის პირად დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების გარკვევა, ფილოსოფიის როლის და ადგილის განსაზღვრა, მისი თავსებადობა ქრისტიანობასთან, სწორედ მან ჩამოაყალიბა ისეთი ცნებების დეფინიციები, როგორიცა ცოდნა, სწავლა, აღზრდა, მეცნიერება და სხვა. რაც ყველაზე უმთავრესია, კლიმენტი ალექსანდრიელი თეორიულ საღვთიმეტყველო –მეცნიერულ მოღვაწეობას უთავსებდა პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას, რითაც ღრმა კვალი დააჩნია ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიას.

§4. ორიგენე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიგენე ალექსანდრიის სკოლის უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც კლიმენტი ალექსანდრიელის შემდეგ უძღვებოდა აღმოსავლური ქრისტიანობის ამ უძველეს სასწავლო კერას.

ორიგენეს ბიოგრაფია შემონახულია ევსევის „საეკლესიო ისტორიაში", წმ. გრიგოლ სასწაულმოქმედისა და ნეტარი იერონიმეს თხზულებებში. ორიგენე 185 წელს ალექსანდრიაში შეძლებული ქრისტიანის ოჯახში დაიბადა. მისი მამა-ლეონიდე ქრისტიანობის გამორჩეული დამცველი იყო. სწორედ მამას მოუხდენია შვილის აღზრდაზე გადამწყვეტი გავლენა. როგორც ძველი ქრისტიანული ოჯახებისთვის იყო დამახასიათებელი, პატარა ორიგენეც უფლის რწმენით აღუზრდიათ, თავად მამა ხელმძღვანელობდა ბავშვის რელიგიურ აღზრდას, რისთვისაც პირველ რიგში იყენებდა სახარებას. ყოველდღე სახარების ტექსტიდან გარკვეულ მონაკვეთს აძლევდა სასწავლად, რასაც დღის ბოლოს გამოჰკითხავდა ხოლმე. მაგრამ ამ გამორჩეული ქრისტიანული ოჯახის მყუდროება ქრისტიანთა მასობრივმა დევნამ დაარღვია. ორიგენეს მამა – ლეონიდე მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა 202 წელს. ამის შემდეგ მათ ჩამოართვეს საოჯახო ქონებაც და 17 წლის ყმაწვილი მატერიალურ სივიწროვეში აღმოჩნდა დედასთან და ექვს უმცროს ძმასთან ერთად. ამის გამო, ოჯახის რჩენის მიზნით, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ორიგენემ გრამატიკის და რიტორიკის მასწავლებლობა დაიწყო. ქრისტიანთა დევნის გამო ალექსანდრიის ინტელექტუალური ძალები ისე დაიქსაქსა, რომ არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ალექსანდრიის სკოლას ჩაუდგებოდა სათავეში. ახალგაზრდა ორიგენე მალე კათაკმეველთა სკოლის ხელმძღვანელი გახდა. მან უდიდესი სიმამაცე გამოიჩინა და განსაცდელის ჟამს ნუგეშს არ აკლებდა სარწმუნოებისათვის დევნილთ, სისტემატურად აკითხავდა მათ საპყრობილეებში და წამების ადგილებში.

ორიგენე მკაცრი ასკეტური ცხოვრების მიმდევარი გახდა. მთელი ღამეების განმავლობაში იგი სწავლობდა სახარებას, მკაცრად იცავდა მარხვას, ეძინა შიშველ მიწაზე. მრავალი განათლებული წარმართი ორიგენეს მოწაფე გახდა, რაც

გამოჩენილი პედაგოგის პირადი ცხოვრების მაგალითით და მაღალი ინტელექტუალური მომზადებით იყო განპირობებული.

ხანმოკლე დროში ორიგენემ შეიცვალა დამოკიდებულება საერო საგნების, პირველ რიგში ფილოსოფიის სასარგებლოდ. ალექსანდრიის კათაკმეველთა სკოლაში სასულიერო საგნებთან ერთად შემოიღეს საერო საგნების სწავლება, ხოლო სკოლაში შემსვლელთათვის დაწესებული შესღუდვა მოიხსნა.

პედაგოგიურ მოღვაწეობაში ორიგენეს უპირველეს ამოცანას ზოგადად ღვთისმეტყველებაში გარკვევა, ხოლო კონკრეტულად სახარების განმარტება წარმოადგენდა. სანამ უშუალოდ ბიბლიის შესწავლას დააწყებინებდა თავის მოწაფეებს, მანამ გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს, რომელიც გულისხმობდა დიალექტიკის, ფიზიკის, მათემატიკის, გეომეტრიის და ასტრონომიის შესწავლას. ამის შემდეგ ისწავლებოდა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრიის სკოლაში ჯერ კიდევ პანტენისა და კლიმენტი ალექსნდრიელის დროს პატივისცემით ეპყრობოდნენ ანტიკურ კლასიკურ მეცნიერებას და ორიგენეც მტკიცედ აგრძელებდა ამ კურსს. როცა სკოლაში გაიზარდა უფრო განათლებულ მოსწავლეთა რაოდენობა, ორიგენემ მოსამზადებელი ჯგუფის მეცადინეობა მის ყოფილ მოსწავლეს დაავალა, თვითონ კი მაღალი საფეხურის მოწაფეთათვის ხელი მიჰყო ღვთისმეტყველების და სახარების სწავლებას.

ორიგენეს სამასწავლებლო საქმიანობა რამდენჯერმე შეწყდა, მისი არც თუ ხანმოკლე მოგზაურობის გამო. მან 212 წელს იმოგზაურა რომში, 215 წელს–არაბეთში, ხოლო 216 წელს, დევნილობისას, იგი თავს აფარებდა პალესტინას, სადაც ეპისკოპოსებმა–ალექსანდრე იერუსალიმელმა და თეოქტისტე კესარიელმა საპატიო თავშესაფარი მისცეს და, თუმცა ჯერაც ერისკაცი იყო, აკურთხეს მრევლის წინაშე საღმრთო წერილის მქადაგებელ – კომენტატორად. მალე ხარისხშიც აღიყვანეს და 228 წელს მღვლად აკურთხეს, რამაც ალექსანდრიის მღვდელმთავრის–დიმიტრიოსის აღშფოთება გამოიწვია. მან გაიხსენა და ირწმუნა ადრე გავრცელებული ჭორი და მას ბრალად დასდო: 1. თვითკასტრაცია, 2. უფლებამოსილების გადაჭარბება (რომ ერისკაცი ეპისკოპოსის წინაშე ქადაგებდა ბიბლიას) და 3. საეკლესიო კანონების აბუჩად აგდება (რადგან

ალექსანდრიის მოქალაქედ ითვლებოდა, იქაური ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე სხვა ეპარქიაში მისი ხელდასხმა ეკრძალებოდა). 231 წელს მისი საქმე განიხილა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ და გამოიტანა უმკაცრესი განაჩენი,–ორიგენე გამოცხადდა უღირს პედაგოგად და განაშიშვლა მღვდლობისაგან, რაც საგანგებო სიგელებით ეცნობა მეზობელ მღვდელმთავრებს. ზოგიერთმა ეკლესიამ, მათ შორის, ცხადია, კესარიისა და იერუსალიმის ეპისკოპოსებმა აღნიშნული განჩინების მადლმოსილება არ ცნეს და, მეტიც, ორიგენეს პალესტინის კესარიაში გაახსნევინეს სასულიერო სასწავლებელი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე, 20 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. სკოლამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ბევრი მსმენელი მიიზიდა, ხოლო მასწავლებლის ავტორიტეტმა მწვერვალს მიაღწია. ორიგენემ მრავალრიცხოვანი მოგზაურობისას ბევრი გნოსტიკოსი კათოლიკე ეკლესიას დაუბრუნა. ორიგენეს ძალიან მდიდარი თეორიული მემკვიდრეობა დაუტოვებია, მაგრამ მისმა უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ორიგენე შეეცადა ქრისტიანული სარწმუნოების სისტემატიზირებულ განმარტებას ელინური სააზროვნო კატეგორიებით. ამ გზას უფრო ადრე დაადგა კლიმენტი ალექსანდრიელი, რომლის სწავლება გნოსტიციზმისკენ მიისწრაფოდა. თუ კლიმენტი ალექსანდრიელი მორალისტია, ორიგენე–ღვთისმეტყველი, ეგზეგეტიკოსი, აპოლოგეტი და ასკეტური ცხოვრების მასწავლებელია. მისთვის ქრისტიანები იყოფიან ორ კატეგორიად: ერთნი–მორწმუნენი, ხოლო მეორენი–სწავლულნი არიან. მაგრამ ყოველი ქრისტიანი უნდა მიისწრაფოდეს სამყაროს შეცნობისაკენ. ღვთიური გამოცხადება მოწოდებულია, როგორც უბრალოების, ისე სრულყოფილებისათვის. ზოგისთვის იგი არის ზნეობრივი მოძღვრება, ხოლო სხვათათვის „გნოსისი", მოძღვრება სამებაზე ანუ „თეოლოგია" (9.37). სრულყოფილება ღვთის მსგავსებაა. „ხატი" ჩვენ უკვე მოგვეცა, ხოლო „მსგავსება" განიხილება როგორც შესაძლებელი სრულყოფილება, რომელსაც შევიძენთ მაშინ, როცა ღმერთი იქნება საყოველთაო და ყველაში,–წერდა ორიგენე (10.294).

ლიტერატურული და პედაგოგიური საქმიანობით ორიგენემ მნიშვნელოვნად გაუსწრო თავის მასწავლებელს. ორი-

გენე იყო უდიდესი ღვთისმეტყველი, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა ქრისტიანულ აზროვნებაზე, თუმცა მის მოძღვრებაში შეინიშნება ზოგიერთი გადახრა სამყაროს გადმოცხადებიდან, რამაც მოგვიანებით „ორიგენიზმის" სახით სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობებში იჩინა თავი. თუმცა ორიგენეს დამსახურება მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დიდია, მან პირველმა დაიწყო ქრისტიანული დოგმატების მეცნიერულ – ფილოსოფიური თვალთახედვით განხილვა და ამით მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქრისტიანული თეოლოგია. მისი აზრით, ლოცვას სარწმუნოებრივ სიმტკიცეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან „ქრისტიანის მთელი ცხოვრება ერთი დიდი ლოცვაა". სწორედ ორიგენემ აღზარდა ღვთისმეტყველთა მთელი თაობა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს დიონისე ალექსანდრიელმა და გრიგოლ საკვირველმოქმედმა. ორიგენეს დიდ პატივს მიაგებდნენ კაბადოკიელი წმ. მამები.

ორიგენემ, როგორც ეკლესიის გამოჩენილმა მასწავლებელმა, დიდ წარმატებებს მიაღწია. მის პედაგოგიურ მემკვიდრეობას და პირად ცხოვრებას ქრისტიანი პედაგოგების აღიარება ხვდა წილად. ორიგენეს მოღვაწეობა არა მარტო საწავლო პროცესს ემსახურებოდა, არამედ მისი მიზანი მოსწავლის ზნეობრივი ფერისცვალება და მათი ცხოვრების გარდაქმნა იყო, ამაში კი ცოცხალ ღვთისშემეცნებას და ღვთისმეტყველებას უპირველესი ადგილი ეჭირა. ორიგენე კარგად უთავსებდა მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ანტიკური ფილოსოფიის და საერო საგნების, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლას.

ალექსანდრიის სკოლის მიზნის შესახებ ასეთ ფორმულირებას იძლევა თვით კლიმენტი ალექსანდრიელი: „სრულყოფილი და მიზანმიმართული ცოდნის ძირითადი საფუძვლების შეძენა, რომელიც განუყოფლად უკავშირდება უმაღლეს ზნეობრივ თვისებებს", აქედან გასაგებია, რომ სკოლა განკუთვნილი იყო ყველა მსურველისთვის, იგი ამზადებდა არა ეკლესიის მსახურებს, არამედ ზოგადად ქრისტიანებს. პირველ საფეხურზე სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი თავისუფალი (ზოგადსაგანმანათლებლო) მეცნიერებების შესწავლას, როგორიცაა: გრამატიკა, დიალექტიკა, ლოგიკა, გეომეტრია, ასტრონომია, ბუნებისმეტყველება, ალბა-

თობა და პითაგორეს რიცხვთა თეორია. აღნიშნული საგნები ავითარებდნენ ადამიანის აზროვნების უნარს, ხელს უწყობდნენ მართებულ აზროვნებას, რაც ღვთისმეტყველებისათვის და წმიდა წერილის შესწავლისათვის სერიოზულ მომზადებას უწყობდა ხელს. ორიგენე კიდევ უფრო აკონკრეტებს საერო მწერალთა შემოქმედების საჭიროებას და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როცა მოწაფეს უშუალოდ არ შეუძლია წმიდა წერილის აზრის წვდომა და მისი მშვენიერების აღქმა, მან უნდა ისწავლოს საერო მწერალთაგან ანუ „მზეს წყალში ხედავდეს" და თავისი სულიერი თვალი ჯერ არაქრისტიან მწერლებზე ავარჯიშოს, რადგან მათგანაც შეიძლება საკმაოდ ისწავლოს ადამიანმა. მთავარია მოწაფემ ნექტარის შეგროვება ისწავლოს, რომელიც საერო ლიტერატურაშიც შეიძლება აღმოჩნდეს, ოღონდ მოერიდოს გარეგნულ ბრწყინვალებას, მაგრამ ისწავლოს ღირსეულის მიღება, რაც აუცილებელია სულიერი აღმშენებლობისთვის. ამდენად, ორიგენე საერო ლიტერატურას ერთგვარ შემაზადებელ ფუნქციას ანიჭებს რელიგიური აღზრდა – განათლებისთვის.

გარდა ამისა, ორიგენეს სკოლაში საწავლო პროცესი იმგვარი იყო, აქცენტები ისე იყო განაწილებული, რომ მსმენელთა ყურადღება ამაღლებულისკენ იყო მიპყრობილი, როგორც პავლე მოციქული ამბობდა; „ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვთაება სოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობა.." (რომ. 1:20).

მეორე საფეხურზე ალექსანდრიის სკოლაში ისწავლებოდა ფილოსოფია. ღვთისმეტყველური განათლებისათვის მას დიდი პედაგოგიკური და პროპედევტიკული* მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ იყო მარტო ფორმალური განათლება, მასში იყო ჭეშმარიტების „მარცვლები" გაბნეული სხვადასხვა ფილოსოფოსთა შემოქმედებაში, რომელთა შეგნებულ გარჩევას არანაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც ასევე შედიოდა საწავლო პროგრამაში. თვით ფილოსოფიის შესწავლა ალექსანდრიის სკოლაში ეკლექტი-

---

* **პროპედევტიკა** (ბერძ. პროპაიდეეო–წინასწარ ვასწავლი)–წინასწარი ვარჯიში, მოსამზადებელი, შესავალი კურსი რომელიმე მეცნიერებაში, გადმოცემული სისტემატიზირებული და შეკუმშული ფორმით. წინ უსწრებს ცოდნის შესაბამისი დარგის უფრო საფუძვლიან შესწავლას. ფილოსოფიის პროპედევტიკას ზოგჯერ ფილოსოფიის საწყის კურსს უწოდებდნენ

კური იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ უპირატესობას არც ერთ ფილოსოფიურ სკოლას არ ანიჭებდნენ. მაგრამ ღვთის შეცნების საკითხში აქ ნებისმიერი არჩევითობა გამორიცხული იყო, ამიტომ სასწავლო სიიდან ამოღებული იყო მხოლოდ ის ფილოსოფოსები, რომლებიც უარყოფდნენ ღმერთის არსებობას და შემოქმედის ყოვლისშემძლეობას. ამას აკეთებდნენ არა მარტო იდეოლოგიური, არამედ სასწავლო თვალსაზრისითაც, რადგან სასწავლო დროის არარაციონალურად განაწილება, სშირად არაარსებით საგნებზე გადაჭარბებულ ყურადღებას იწვევდა, თუმცა ზოგადი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მომზადების თვალსაზრისით, ალექსანდრიის სკოლას მოწინავე პოზიციები ეჭირა. წმიდა გრიგოლ სასწაულმოქმედის სიტყვებით: „სკოლა არ ტოვებდა მოსწავლეს უყურადღებოდ, ხელჩაკიდებული გააცარებდა მას მზაკვარ ფილოსოფოსთა იდეებზე და ყველგან და ყოველთვის გზას უნათებდა ღვთიური ჭეშმარიტების მადლით".

ალექსანდრიის სკოლაში მალევე დარწმუნდნენ იმ ჭეშმარიტებაში, რომ ქრისტიანობისათვის ისევე აუცილებელია გონებითი არგუმენტები, როგორც რწმენა. ზოგიერთი თეოლოგი ადრეული ქრისტიანობიდანვე ინტერესდება ფილოსოფიით და მასში მოკავშირეს ხედავს, რაც იმას ნიშნავდა, რომ რწმენა და გონება მათ აპრიორულ მოწინააღმდეგეებად აღარ მიაჩნდათ, მათ ამით მხარი დაუჭირეს იმ მოსაზრებას, რომ ყველაზე მტკიცე რწმენა ის არის, რომელსაც გონების მხარდაჭერაც აქვს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გონება არ უპირისპირდება მას. ამის საფუძველს ესაია წინასწარმეტყველთანაც ვხვდებით: „თუ არ იწამებ ვერ გაიგებ". ამიტომ კლიმენტი ალექსანდრიელი ერთგვარ ახსნას უძებნიდა პავლე მოციქულის უარყოფით დამოკიდებულებას ფილოსოფიის მიმართ: „ნურავინ იცდუნებთ თავს. თუ ვინმეს ამ სოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგნურდეს, რათა ბრძენი გახდეს" (I კორ. 3:18). მოციქულის აღნიშნული მოსაზრება მხოლოდ ეპიკურეს ეკუთვნოდაო,–წერდა კლიმენტი ალექსანდრიელი. დიდი თეოლოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ არ არსებობს ცოდნა რწმენის გარეშე და პირიქით, რომ მათ შორის სრული ჰარმონია უნდა სუფევდეს. უფრო შორს წავიდა ტერტულიანე: „გონებას წარმართავს რწმენა, ხოლო რწმენა გაიგება გონებით", ამით ფაქტიურად

წაშლილია ზღვარი მათ შორის. ტერტულიანეზე უფრო ზომიერი შეხედულებები განავითარა ორიგენემ, რომელიც ფილოსოფიას პლოტინთან სწავლობდა. ორიგენეს შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ „ მის მიერ სტოელთა მოძღვრების ასპექტში დანახული პლატონიზმის საფუძველზე სამების, სიკეთის აბსოლუტურობის, ღმერთისა და სამყაროს მიმართების და სხვა საკითხთა გაგების ცდამ არიანელობას მოუმზადა საფუძველი, რაც დაგმობილ იქნა ნიკეის საეკლესიო კრებაზე. ორიგენესა და მის მიმდევართა შეცდომები პლატონს მიაწერეს, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქრისტიანობის უპირატესი ორიენტაცია არისტოტელეზე მომდევნო საუკუნეებში." (11.11). ბერძნულ-ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, წარმართული ფილოსოფიის მიზანშეწონილი შესწავლისა და გამოყენების მაგალითი მისცეს ქრისტიანულ სამყაროს კაბადოკიელმა და ლათინურ-რომაული ეკლესიის წმიდა მამებმა: ბასილი დიდმა, გრიგოლ ღვთისმეტყველმა, იოანე ოქროპირმა, ნეტარმა იერონიმემ, ამბროსი მედიოლანელმა, ნეტარმა ავგუსტინემ და სხვებმა. მათ დამოკიდებულებას საერო მეცნიერების მიმართ კარგად გამოხატავს ნეტარი იერონიმე: „რა გასაკვირია, თუკი მეც, განვწმენდ რა წარმართულ მეცნიერებას ყოველივე არაწმიდა და ცრუსაგან, მარჯვედ ვიყენებ მისი მჭერმეტყველების დახვეწილობას ეკლესიის წევრთა გამრავლებისათვის". ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ ბევრი მათგანი, ვისთვისაც ძვირფასი იყო ქრისტეს ეკლესიის ინტერესები, გულმოდგინედ შეისწავლიდა საერო მეცნიერებებს. ძველ დროში კი სწორედ ეს, წარმართული მეცნიერებები არსებობდა: ოღონდ იმის გამო კი არ შეისწავლიდნენ, რომ გული მიუწევდათ მათკენ; არც უბრალო სიამოვნების გამო, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ სარგებლობა მოეტანათ მაშინ ჯერ კიდევ ახლადაფუძვნებული ქრისტეს ეკლესიისათვის: შეისწავლიდნენ იმ მიზნით, რომ დაეცვათ ქრისტიანობა წარმართობის ბოროტი მზაკვრებისაგან და იმიტომაც, რომ სურდათ წარმართობისავე იარაღით დაემარცხებინათ ეს უკანასკნელი,–მსგავსად მწყემსი დავითისა, ისრაელის მომავალი მეფისა, წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნისა, რომელმაც ამპარტავან გოლიათს მისივე მახვილით მოჰკვეთა თავი (12.87).

ბერძნულ-ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლისთვის დამახასიათებელია წმინდა წერილის ალეგორიული ახსნა-განმარტება, რომელიც ჩაისახა ჯერ კიდევ ადრე, იუდეურ გარემოში და შემდგომი განვითარება ჰპოვა ისეთი რელიგიური ფილოსოფოსის მიერ, როგორიც იყო ფილონ ალექსანდრიელი. მისი პრინციპები მისაღები აღმოჩნდა ალექსანდრიელი მამების: წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელის, წმიდა გრიგოლ ნოსელის და ორიგენეს მიერ. ალეგორიული ახსნა-განმარტება გამოდიოდა იმ აზრიდან, რომ ბიბლიის ტექსტი შეიცავს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე იქიდან შეიძლება იქნეს გამოტანილი მისი ასო-ასო განმარტებიდან. ამიტომ, ალექსანდრიული სკოლის მიმდევრები ცდილობდნენ ალეგორიების ახსნა-განმარტებით აეხსნათ წმინდა წერილის ტექსტების აზრი. მაგრამ ასეთი მეთოდიც არ იყო უნაკლო, რადგან ალეგორიული მეთოდით ახსნა ბიბლიის ტექსტის ცალკეული დეტალების არასწორ ინტერპრეტაციასაც იწვევდა, ამიტომ მისი გაუნივერსალება არ იყო მართებული. თუმცა იმ ისტორიულ ეპოქაში წმინდა წერილის ალეგორიულმა განმარტებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

როგორც ცნობილია,, არსებობს წმინდა წერილის ახსნა-განმარტების ტიპოლოგიური, ლიტერატურულ-კრიტიკული და ისტორიულ-ღვთისმეტყველური მეთოდები, რომელიც ამბობს, რომ ბიბლიაში შედის მრავალსახოვანი წინასახეები ისტორიული პერიოდებისა, გადარჩენისა, რომელიც მიეკუთვნებიან ხან ერთ, ხან მეორე ეპოქას. მაგალითად, ეგვიპტიდან გამოსვლა, ტიპოლოგიური ანალიზის მიხედვით გაიგება, როგორც მომასწავებელი ტყვეობიდან გამოსვლისა, ხოლო ახალ აღთქმაში, როგორც ადამიანის გამოსვლა ცოდვის მონობისაგან. მაგალითად, წყლიდან გამოსვლა გაიგება, როგორც მომასწავებელი წინასახე ნათლობისა. ეს მეთოდი ბევრი მამის მიერ იქნა შეთვისებული (წმ. ბასილი დიდი (329-379), ნეტარი იერონიმე (420) და ა.შ.). დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის სულიერი ერთობის გაგებას, რომელიც ასახავს ერთი ღმერთის მოქმედებას, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში და ორივე მიუთითებს ქრისტეზე და ადამიანის ცხოვნებაზე.

ამრიგად, ღვთისმეტყველებისა და წმიდა წერილის შესწავლას ალექსანდრიის სკოლაში წინ უძღოდა სამყაროს და კაცობრიობის წარსულის პიროვნული გააზრება და შეცნობა.

სწორედ ასეთმა მიდგომამ ხელი შეუწყო ღვთისმეტყველების სისტემატური კურსის აღმოცენებას. ჩამოყალიბდა მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა აპოლოგეტიკა – ბიბლიური ღვთისმეტყველება და დოგმატიკა, რომელთა შესწავლა წინ უძღოდა ეგზეკეტიკის კურსს, ანუ წმიდა წერილის განმარტებას. ალექსანდრიის სკოლაში აზროვნების განვითარებას დედუქციური გზით მიმართავდნენ. კლიმენტი ალექსანდრიელი თავის თავზე ამბობდა, რომ მისი გონებაჭვრეტითი დიალექტიკური მოძრაობა არა კერძოდან ზოგადისკენ, არამედ სრულიად სხვაგვარად –ზოგადიდან კერძოსკენ მიდის.

ასეთი იყო ბერძნული ყაიდის ქრისტიანული სკოლა, პლატონის ტრადიციებითა და სოკრატეს დიალოგის მეთოდზე დაფუძვნებული, სკოლა ცოდნისა და რწმენისა. იგი არსებობდა II საუკუნის ბოლოდან V საუკუნის დასაწყისამდე. ცნობილი მილანის ედიქტის შემდეგ, ანუ 312 წელს, როცა ქრისტიანობა, სახელმწიფო რელიგია გახდა, კულტურის ცენტრი კონსტანტინეპოლში გადავიდა. კონსტანტინეპოლის სახელმწიფო სკოლა გახდა ალექსანდრიის სკოლის მემკვიდრე. იგი არსებობდა IX საუკუნის დასაწყისამდე და ლიკვიდირებულ იქნა ხატმებრძოლი იმპერატორის ლეონ II ისავრიელის (717—740) მიერ, რომელმაც მეცნიერებს შესთავაზა „შეერთებოდნენ მის ულმერთობას", წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლებთან და წიგნებთან ერთად სკოლის გადაწვით დაემუქრა. ასეთმა ბარბაროსულმა დამოკიდებულებამაც ვერ გაწყვიტა უკვე ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო ტრადიცია. ისტორიკოსთა მტკიცებით, გამოჩნდებოდნენ თუ არა ბიზანტიაში მეცნიერები და პედაგოგები, უმალვე აღმოცენდებოდნენ ცოდნისა და რწმენის დიალოგური ტიპის სკოლები. ასეთ ფაქტებს ადასტურებენ სამონასტრო ბიბლიოთეკები, ეკლესიები და საეპისკოპოსო კათედრები, როლებშიც შემონახულია სხვადასხვა მიმართულების ავტორთა სამეცნიერო, საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და სამედიცინო წიგნები. ამ სახით დიალოგური ტიპის ბერძნულმა სკოლამ, როგორც ჩანს, იარსება ბიზანტიის იმპერიის ბოლომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

სირიულ–ანტიოქიური ქრისტიანული სკოლა

§1. სირიულ-ანტიოქიური სკოლების ზოგადი მიმოხილვა

ქრისტიანული აღმოსავლეთის სკოლების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ანტიოქიის ეკლესიამ და სკოლებმა შეასრულეს. როგორც ცნობილია, ანტიოქია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქალაქია. პირველი ქრისტიანული თემი ანტიოქიაში (იმპერიაში სიდიდით მესამე ქალაქში, რომისა და ალექსანდრიის შემდეგ) უნდა აღმოცენებულიყო, სირიელები იყვნენ წარმართთაგან პირველები, ვინც ქრისტიანობა მიიღეს და სწორედ ატიოქიაში უწოდეს პირველად „ქრისტიანები" ახალი დამოუკიდებელი რელიგიის მიმდევრებს (საქმ. 11:19-26).

საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად, იერუსალიმი მსოფლიო რელიგიის ცენტრია, მაგრამ ყველა ქრისტიანის ჭეშმარიტი ფუძე მაინც ანტიოქიაა. სწორედ აქ აღმოცენდა იუდაიზმისაგან დამოუკიდებელი პირველი ეკლესია და დაიწყო მოციქულთა ეპოქა. აქ ჩამოყალიბდა წმიდა პავლე, როგორც მოციქული და აქედან დაიწყო მისი მისიონერული მოღვაწეობა. ანტიოქიას ზოგიერთი მეცნიერი ქრისტიანობის განვითარების II ეტაპს უწოდებს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ქრისტიანული ეკლესიებიდან სიწმინდით მას ვერც რომი, ვერც ალექსანდრია და ვერც კონსტანტინეპოლი ვერ შეედრება. სირიელები ანუ ასურელები სემიტური მოდგმის ხალხია, ისინი სხვადასხვა სახელით (ქალდეველები, აშურელები) ხშირად იხსენებიან ძველ აღთქმაში. ასურეთში ძველთაგან გავრცელებული იყო არამეული ენა, თუმცა ბერძნულ ენას ოფიციალური სტატუსი აქ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ მიუღია, ხოლო არამეულისთვის მეორე ოფიციალური ენის ფუნქცია მიუნიჭებიათ. ამის მიუხედავად, აქ, ქრისტიანობის გავრცელების დროს, მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის ბევრი მორწმუნეც,

არამეულად საუბრობდა*. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პოპულარობა კვლავ ბერძნულმა ენამ მოიპოვა. ანტიოქიაში ძალიან ბევრი ქრისტიანად მოქცეული ებრაელი ცხოვრობდა სწორედ ანტიოქიაში გადაიდგა პირველი ნაბიჯები გაქრისტიანებულ წარმართებთან დასაახლოებლად. აქ აღსრულდა სახვადასხვა ერებსა და რასებს შორის რელიგიური კავშირი, რაც ქრისტიანობის იდეალს წარმოადგენდა ყოველთვის და რაზეც თვით იესო ოცნებობდა (3.516).

ანტიოქიის საპატრიარქო IV საუკუნეში დაუარსებიათ. იგი ალექსანდრიის საპატრიარქოს გვერდით მოხსენიებულია ნიკეის 325 წლის მსოფლიო საეკლესიო კრების VI კანონში. ანტიოქიის საპატრიარქო აერთიანებდა აღმოსავლეთის დიოცეზში შემავალ ეკლესიებს. V საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქო მოიცავდა 15 ეპარქიას. მის სიძლიერეზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აქაური მიტროპოლიტი იწვევდა საეკლესიო კრებებს (4.46). მას ექვემდებარებოდა რამდენიმე ეპისკოპოსი. III საუკუნეში ანტიოქიაში რამდენჯერმე ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელსაც პონტოსა და ეგვიპტის ეპისკოპოსებიც ესწრებოდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 264-269 წლებში ჩატარებული სამი კრება, რომელიც ერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე XI საუკუნეში მოღვაწე ეფრემ მცირესა და ნიკონს თუ დავუჯერებთ, ქალკედონის მსოფლიო კრებამდე მხოლოდ ანტიოქიაში ხდებოდა წმინდა მირონის კურთხევა და დანარჩენი ქრისტიანული ეკლესია ანტიოქიაში დამზადებულ მირონს იყენებდა (7.12). ანტიოქიის ეკლესია განსაკუთრებით გაძლიერდა IV საუკუნის დასაწყისში, მისი გავლენა ვრცელდებოდა არა მარტო მცირე აზიაზე, პონტოსა და აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე, არამედ შორეულ სპარსეთზე, სომხეთსა და საქართველოზე (6.379). ანტიოქიის ეკლესიის ძალაუფლება შეიზღუდა ნიკეის I საეკლესიო კრებაზე. ამ კრების მე-6 კანონით ანტიოქიის ეკლესიის ძალაუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ 2 ეპარქიაზე (6.379). ამის მიუხედავად,

---

* ახალი აღთქმის ხანაში ისრაელში მცხოვრები ებრაელებიც არამეულად ლაპარაკობდნენ. თვით იესო ქრისტეც არამეულად საუბრობდა. არამეულადვე წარმოსთქვა მაცხოვარმა ჯვარცმისას უკანსკნელი სიტყვები: „ტალითა კუმი, აბბა და ელი, ელი ლამა საბაქთანი" (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე ?) (მათ. 27:46).

ანტიოქიის ეკლესია აზიურ ნაწილში მაინც პირველობას ინარჩუნებდა. საეკლესიო კრებებს თუ რომისა და ალექსანდრიის ეპისკოპოსები არ ესწრებოდნენ, მაშინ მას ერთპიროვნულად ანტიოქიის ეპისკოპოსი თავმჯდომარეობდა, ხოლო თუ ეროვნულ ქრისტიანობის აზიურ ნაწილში ტარდებოდა, ასეთ შემთხვევებში, იმის მიუხედავად, მას ესწრებოდნენ თუ არა რომის და ალექსანდრიის ეპისკოპოსები, როგორც იმხანად დამკვიდრებული წესი, მას ანტიოქიის ეპისკოპოსი უძღვებოდა. VII საუკუნიდან ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენა თანდათან შემცირდა, რაც ამ მხარეში მუსლიმანთა ხშირი ლაშქრობებისა და შემდგომში გაბატონების შედეგი იყო. ანტიოქიის ეკლესიასთან საქართველოს ძველთაგანვე კულტურულ-რელიგიური ურთიერთობა ჰქონდა. აღსანიშნავია VI საუკუნეში ანტიოქიიდან საქართველოში ასურელ მამათა ჩამოსვლა, რომლის შესახებ ნარკვევების III ტომში საგანგებოდ ვისაუბრებთ. ანტიოქიის საპატრიარქოსთან საქართველოს ეკლესიას იერარქიული დამოკიდებულებაც ჰქონია. ამჟამად, ანტიოქიის საპატრიარქოს მეთაური იწოდება „ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქად". საპატრიარქო კათედრა განთავსებულია დამასკოში (სირიაში). იგი აერთიანებს ლიბანელ და სირიელ მართლმადიდებლებს მთელ მსოფლიოში, აქვს 6 ეპარქია–სირიაში, 6–ლიბანში, 3–თურქეთში, თითო–აშშ–ში, ბრაზილიაში და არგენტინაში.

ანტიოქიის თეოლოგიურ-ფილოსოფიური სკოლა შეიქმნა IV-V საუკუნეებში მცირე აზიაში–ქალაქ ანტიოქიაში, რომელიც ალექსანდრიასთან, კაბადოკიასთან და სხვა ქალაქებთან ერთად ქრისტიანული კულტურის დასაყრდენს წარმოადგენდა აღმოსავლეთში. ანტიოქიის სკოლაში შემუშავდა წარმართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის შერწყმის ტიპოლოგიური მეთოდი, რაც უპირისპირდებოდა ალექსანდრიული სკოლის ალეგორიულ მეთოდს და იცავდა წმიდა წიგნების სიტყვასიტყვით გაგებას. ამ სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო ლუკიანე. ანტიოქიის ქრისტიანულ სკოლაში ადრიდანვე დაინტერესდნენ რელიგიური ფილოსოფიით და მრავალ ბუნდოვან საკითხს თავისებური ახსნაც მოუძებნეს. მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორიცაა „სუბსტანცია", „არსი" და „პიროვნება", მკვლევარ ა. დონინის აზრით, სწორედ ამ სკოლაში ხასიათდება უფრო სრულყოფი-

ლად, ვიდრე ალექსანდრიულ სკოლაში (5.163). ანტიოქიის სკოლაში ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის მისაღებად ჩაითვალა პლატონის ფილოსოფია. ამ სკოლას ეკუთვნიან ევსტათი ანტიოქიელი, წმ. ეფრემ ასური, წმ. იოანე ოქროპირი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ერეტიკული მოძღვრების - ნესტორიანობის ფუძემდებელი-ნესტორი და სხვა.

ევფრატის აღმოსავლეთით, ქალაქ ედესაში შეიქმნა სკოლის განსხვავებული ტიპი, რომელიც სირიის ქრისტიანული სკოლის სახელით მოიხსენიება. მის დამაარსებლად მიჩნეულია მოციქული თადეოსი, ხოლო ზოგიერთი მოსაზრებით სკოლის დაარსება წმ. ეფრემ ასურს მიეწერება. სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ 363 წელს სკოლის მასწავლებელი გამხდარა აღმოსავლური ქრისტიანობის ერთ-ერთი მნათობი, წმიდა ეფრემ ასური. ედესის სკოლა არსებობდა V საუკუნის დასასრულამდე, იმპერატორმა ზენონმა 489 წელს სკოლა, როგორც ნესტორის იდეების მატარებელი, დახურა, შემდეგ იგი გადაიტანეს ნიზიბინში, სადაც ედესის ტიპის ახალი სკოლა ჩამოაყალიბეს. მასწავლებელთა და მოწაფეთა ყოფა-ცხოვრებისა და სწავლისათვის შედგენილი იყო სპეციალური წესები ანუ რეგლამენტი, რომლის განუხრელ შესრულებას მოითხოვდა ყველა მისი მონაწილისგან. აღნიშნული წესები მოგვიანებით შუა საუკუნეების უნივერსიტეტების მუშაობის საფუძვლად იქცა.

ედესის სკოლაში ძირითადად შემუშავდა ანტიოქიური სკოლისთვის დამახასიათებელი მეცადინეობის ისტორიულ-გრამატიკული პრინციპი. მოწაფეები იწერდნენ, არჩევდნენ და შეისწავლიდნენ მოსეს ხუთწიგნეულს და წინასწარმეტყველთა წიგნებს, შემდეგ კი ახალი აღთქმის ტექსტებს. ყურადღება გამახვილებული იყო მოწაფის გულმოდგინებაზე და საზრიანობაზე, რაც წმიდა ტექსტების მართებულად გაგების საფუძვლად მიიჩნეოდა.

მეთოდური თვალსაზრისით ამ სკოლამ გარკვეულწილად გააგრძელა ძველი აღთქმის პედაგოგიური ტრადიცია, რომელიც გულისხმობდა რჯულის მეცნიერთა, დამრიგებელთა და მასწავლებელთა მომზადებას ქრისტეშობამდე პერიოდში, რომელიც შემდგომ შეერწყა ახალი აღთქმის პედაგოგიკის შინაარსს.

ედესა-ნიზიბინის სკოლის პროგრამა და სწავლების მეთოდიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ალექსანდრიის სკოლისაგან. თუ ალექსანდრიის სკოლაში უმთავრეს მიზანად თვლებად ითვლებოდა მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის არსის დაუფლება, აქ უმთავრეს მიზანს საწავლო მასალის არა მარტო შინარსის ზუსტი და სრულყოფილი დამახსოვრება, არამედ მის ფორმასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთი ტრადიცია ახლოს იყო ებრაულ სკოლასთან. სემიტური ერები, რომლებსაც სირიელებიც მიეკუთვნებიან, სულიერი აღნაგობით ძალიან განსხვავდებოდნენ ბერძენ-არიანელთაგან. თუკი ბერძენი ეტანებოდა მჭვრეტელობასა და სინთეზს, სირიელმა განსაკუთრებული მიდრეკილება გამოავლინა ანალიტიკურ და პოზიტიურ აზროვნებაში, სირიელისათვის პირველ ადგილზე ზნეობრივი და პრაქტიკული ხასიათის ინტერესები იდგა, რომელთა გადაწყვეტისას ამოსავალი მხოლოდ გონება არ იყო, არამედ ასეთ შემთხვევებში ეძებდნენ მტკიცე საყრდენებს ავტორიტეტებში. იუდეველთა მსგავსად, სირიელებიც ავტორიტეტს თავდადებაში ხედავდნენ, სირიელები ავლებდნენ აშკარა ზღვარს ღვთიურსა და ადამიანურს, რელიგიასა და კულტურას შორის.

სირიულ სკოლაში მთლიანი ცოდნისა და რწმენის სინთეზი შეუძლებელი იყო, უფრო მეტიც, უკვე მეორე საუკუნეში სირიული წარმოშობის ღვთისმეტყველებმა გამოხატეს აშკარა პროტესტი ბერძნული განათლების წინააღმდეგ. თავისი არსით ეს იყო სწავლების მეთოდების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი.

ახალი ეპოქის მიჯნაზე ბერძენთა დიალოგური ცნობიერება რეალურად მზად იყო ეღიარებინა ღვთიური გამოცხადება, აღმოცენდა ჭვრეტითი სულიერების ახალი ტიპი, რომელიც გამოვლინდა აღმოსავლურ-ბიზანტიურ წმინდანთა სრულყოფილებაში. თვით ადამიანის ფერისცვალების იდეა, ბერძნული კულტურისგან განსხვავებით, სემიტებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული გზით მიმდინარეობდა.

იუდაისტური პედაგოგიკა ეფუძნებოდა საკრალური ტექსტის კულტურას, რაც გამოიხატებოდა რელიგიური რიტუალის გააზრებაში, რომლის მეშვეობით ხორციელდებოდა კავშირი ღმერთთან, მორწმუნის იდეალს აქ ისეთი ბრძენი წარმოადგენდა, რომელიც სიბრძნეს საღვთო წიგნებიდან

იძენდა. იუდეველები წიგნიერი ხალხი იყო, ამიტომ ხშირად, სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისას, დამარცხებისაგან წიგნებს მიმართავდნენ. წიგნი იუდეველთა ყოფა-ცხოვრებაში უმაღლეს ავტორიტეტს და ჭეშმარიტების წყაროს წარმოადგენდა. ადამიანის პირადი გამოცდილება მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენად კარგად იცოდა მან წმიდა წერილი. აქედან გამომდინარე, იუდეველთა სკოლა წიგნიერებაზე იყო დაფუძნებული. ამდენად, საღვთო წერილის კითხვა, მისი განმარტება და ტექსტის ზეპირად სწავლა, ცოდნის შეძენის უმთავრეს გზას წარმოადგენდა. სწორედ ეს ელემენტები გამოვლინდა სირიის ქრისტიანულ სკოლაში.

ნიშანდობლივია, რომ სირიაში იყენებდნენ არისტოტელეს სისტემას, თუმცა იგი გადაკეთებული და ადაპტირებული იყო ქრისტიანულ გარემოში. ნიშანდობლივია, რომ ალექსანდრიის სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველს პლატონიზმი წარმოადგენდა. ეს ორი ანტიკური ფილოსოფოსი— პლატონი და არისტოტელე, მასწავლებელი და მოსწავლე, ისტორიაში დამკვიდრდნენ, როგორც ინტელექტუალური მისტიკის მესაძირკვლენი. ის, ვინც ფორმას აძლევდა უპირატესობას, არისტოტელეს რიტორიკას და დიალექტიკას ეყრდნობოდა, ხოლო მჭვრეტელობისა და მისტიური აზროვნების მიმდევრები – პლატონის მოძღვრებით იკვებებოდნენ. მაშინდელი პედაგოგიკისათვის ის კი არ იყო მნიშვნელოვანი, თუ „რას" ამბობდნენ ანტიკური სამყაროს გამორჩეული ფილოსოფოსები, არამედ მთავარი იყო „როგორ" გრძნობდნენ და აზროვნებდნენ, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს და თავის თავს სამყაროში.

სირიული და იუდაისტური აღმოსავლეთი არისტოტელეს მიმდევარი იყო. *ედესა–ნიზიბინის** სკოლამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა საღვთო გამოცხადების ფორმების ზუსტად დაუფლებას. სკოლა ემსახურებოდა არა ზოგად რელიგიურ–საგანმანათლებლო მიზნებს, როგორც სირიაში, არამედ კონკრეტულ ამოცანებს ისახავდა, რაც სკოლისათვის –

---

* ედესა-ნიზიბინის სკოლის ტრადიციების გაგრძელებას ხედავს აკად. კ. კეკელიძე შუა საუკუნეების ქართული სასულიერო განათლების შინაარსში და ორგანიზაციულ ფორმებში. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980, ტ., I, გვ. 80-113. აღნიშნული კავშირის შესახებ ვრცელი ანალიზი მოცემული იქნება წინამდებარე შრომის შესაბამის მონაკვეთში – „სასულიერო განათლება და პედაგოგიური აზრი ძველ საქართველოში".

მასწავლებლების, ხოლო ეკლესიისათვის – მრევლის მომზადებაში გამოიხატებოდა. აღსანიშნავია ის გარემრება, რომ აქაურ სკოლაში დიდი ყურადღება მასორეტულ ხელნაწერებს ექცეოდა, რაც წმიდა წერილის ტექსტების გაგებაში (გალობაში), მის პუნქტუაციასა და გალობა-სიმღერაში გამოიხატებოდა. სახარების განმარტებისას ბატონობდა ისტორიულ – გრამატიკული მეთოდი. მკაცრად იზღუდებოდა ყოველგვარი მჭვრეტელობა და ალეგორიები. ახსნის პროცესში მასწავლებელი ვალდებული იყო ზუსტად ეხელმძღვანელა „სკოლის ანდერძით", რომელიც V საუკუნემდე გამორიცხავდა წმიდა ეფრემ ასურის გარდა სხვათა განმარტებების გამოყენებას. აქ მოიაზრება ღირსი მამის ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული სახარების ტექსტის „დიატესარონეს" კომენტარები. რაც შეეხება ზემოხსენებულ ანდერძს, სირიელთა რწმენით, თქმულება ჩაწერილი უნდა იყოს თვით მოციქული თადეოსისაგან. მოკლედ რომ ითქვას, *ედესა–ნიზიბინის სკოლა* შეიძლება შეფასდეს, როგორც სიძველისაგან გადატვირთული.

სკოლის სასწავლო კურსი ზუსტად განსაზღვრული პროგრამით 3 წელზე იყო განაწილებული. არ ითვალისწინებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლას. დღის სანიმუშო სასწავლო განაწესი დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: წერა-კითხვა, სასკოლო (ტექსტის) განმარტება და გალობა. აღნიშნული მიმართულებები ახლოს იდგა იუდეურ სკოლებთან, სადაც ასევე სამწლიანი სკოლა იყო და ამ პერიოდში საფუძვლიანად შეისწავლებოდა: თორა, ნიშნა და თალმუდი.

შემონახულია ნიზიბინის სკოლის წესდება (ტიპიკონი), რომელიც მოწმობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად არსებობდა ისეთი აღმზრდელობითი წესები, რომელიც ქცევის რეგლამენტაციას ახდენდა, იგი გულისხმობდა წახალისებასა და დასჯასაც. ქცევის წესების მთავარი დანიშნულება იყო მკაცრი საეკლესიო წესების შესრულების ხელშეწყობა და მოსწავლეებში ყურადღების უნარის გამომუშავება. მართალია, სკოლა არ იყო სამონასტრო, მაგრამ მოწაფეები ვალდებულნი იყვნენ სამონასტრო ცხოვრებასთან მიახლოებული წესებით ეცხოვრათ: დასწრებოდნენ ყველა გაკვეთილს და საეკლესიო მსახურებას, უნებართვოდ არ გამოსულიყვნენ სკოლიდან, ძმურ

დამოკიდებულებაში ყოფილიყვნენ მოწაფეებთან და დამორჩილებოდნენ თავიანთი სენაკების წინამძღოლებს.

ერთ-ერთ პირველ ქრისტიან პედაგოგად წყაროებში მოხსენებულია ვინმე ***პროთოგენე,*** რომელიც სხვადასხვა მეცნიერებას ასწავლიდა მის მიერვე ბავშვთათვის გახსნილ ედესის სკოლაში. პროთოგენეს მაგალითზე მსგავსი სკოლები გაუხსნიათ სხვა ქრისტიანულ თემებშიც, რომლებშიც მთავარ საგანს სახარების კითხვა წარმოადგენდა, ასწავლიდნენ აგრეთვე ლოცვებს და ფსალმუნთა გალობას. პირველი ქრისტიანული სკოლები, განსაკუთრებით კი – კათაკმევლთა სკოლები, მასობრივად იხსნებოდა უფრო ძლიერ ქრისტიანულ თემებში, რადგან ეკლესიებში წიგნის მკითხველზე დიდი მოთხოვნილება იყო. ქრისტიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოების კვალდაკვალ, დაწინაურებილ ეკლესიებთან უფრო მეტი სკოლა იხსნებოდა, როლებიც ძირითადად ედესის სკოლის ყაიდაზე იყო აგებული, თუმცა მათ მუშაობას თავისებურებებიც ახასიათებდა, რაც მოგვიანებით გამოიკვეთა

ედესა-ნიზიბინის სკოლა ტიპიური იყო აღმოსავლური სირიისათვის. მცირე აზიის მრავალრიცხოვანი სკოლები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ მონასტრებთან და საეპისკოპოსო კათედრებთან, თითქმის ზუსტად იმეორებდნენ აღნიშნული სკოლების სასწავლო გეგმებს და სასკოლო წესებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სირიის ქრისტიანული განათლების უმაღლეს მიღწევად ***ანტიოქიის სკოლა*** ითვლება, რომელიც ამასთანავე წარმოადგენდა ედესის სკოლის მემკვიდრეს. როგორც ცნობილია, ანტიოქია მდებარეობდა ელინისტურ ტერიტორიაზე ანუ ევფრატის იქეთა სირიაში, ამიტომ, ბუნებრივია, მან ბერძნული კულტურის დიდი გავლენა განიცადა. ზოგადსაგანმანათლებლო მეცნიერებებთან აქ უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულება იყო, თუმცა ელინური მიმართულების საგნები ამოიღეს სკოლის სასწავლო გეგმებიდან, მაგრამ მოწაფეებს საშუალება ეძლეოდათ მომზადებულიყვნენ საერო სკოლაში. ანტიოქიელთა აზრით, საერო მეცნიერების შესწავლა ხელს უწყობდა მეტყველებისა და აზროვნების განვითარებას, სწორედ ამიტომაც, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მათი უპირველესი ამოცანა საერო მეცნიერებათა დაუფლება იყო, კერძოდ, არისტოტელეს

ფილოსოფიის უმკაცრესი განსჯით ჭეშმარიტი რწმენისა და შემეცნების წიაღში შეღწევას ცდილობდნენ, ხოლო სასარგებლოს განმარტებისას ანტიოქიელები, ისე როგორც ნიკომიდიელები, ისტორიულ-გრამატიკულ მეთოდს ეყრდნობოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღებას აქცევდნენ საბაბს, მდგომარეობას და მიზანს. ასეთი მიდგომები დამკვიდრდა ანტიოქიის სკოლებში ქრისტიან ავტორთა შრომებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელი ეგზეკეტიკოსები პირველ რიგში სახარების ზედმიწევნით აზრს ეძებდნენ და მას განსაზღვრავდნენ გრამატიკული, ლექსიკური, რიტორიკული და ლოგიკური ელემენტებით. ანტიოქიის მთელი განათლება და ღვთისმეტყველება ინდუქციური გზით, კერძოდან ზოგადისაკენ მიმდინარეობდა. მის უმთავრეს მიზანს ცალკეული ელემენტებისაგან ღვთიური გამოცხადებისა და ღვთიური შთაგონების მკაცრი სურათის შექმნა წარმოადგენდა.

§2. წმიდა ეფრემ ასური

ეფრემ ასურის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ჯერ კიდევ ზუსტად დადგენილი არ არის არც მისი დაბადების წელი, არც გარდაცვალებისა და, საერთოდ, არც მისი ცხოვრების უმთავრესი ქრონოლოგია. უდავოა, რომ იგი IV საუკუნის პირველ ნახევარში დაბადებულა, უფრო კი პირველ წლებში. კერძოდ, ყველაზე ხშირად მისი დაბადების თარიღად 306 წელს ასახელებენ, ზოგიერთი ცნობით ეფრემმა 100 წელზე მეტიც კი იცოცხლა (1.352).

წმიდა ეფრემი დაიბადა ქალაქ ნისიბინში, მესოპოტომიაში. მამამისი კერპთაყვანისმცემელი იყო, რომელმაც შვილი სახლიდან გააგდო, რადგან მამის რჯულს ქრისტიანობა ამჯობინა. ეფრემის მასწავლებლად ითვლება ნისიბინის ეპისკოპოსი იაკობი, რომელმაც იგი ნიკეის პირველ საეკლესიო მსოფლიო კრებას დაასწრო. 338 წლიდან ეფრემი დიაკონია და დიაკვნადვე დარჩა თავისი სიცოცხლის ბოლომდე. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეფრემი დაკვნად აკურთხა ბასილი დიდმა. სპარსელების მიერ 363 წელს ნისიბინის დაპყრობის შემდეგ მან სხვა ქრისტიანებთან ერთად დატოვა მშობლიური ქალაქი და საბოლოოდ დასახლდა ურაჰაში (ედესაში). მის

იქაურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულია, როგორც ჩანს, ე.წ. სპარსელთა სკოლის ჩამოყალიბება (9.567). კორნელი კეკელიძის აზრით, ეფრემს ედესაში - ლეთოლოგ-ველების სკოლა დაუარსებია, სადაც მთავარი შესასწავლი საგანი საღმრთო წერილი ყოფილა, რასაც სხვა მკვლევარებიც ადასტურებენ (10.302). ეფრემ ასურის თხზულებები მოგვიანებით ექვთიმე ათონელს ქართულად უთარგმნია, რომლებიც სამონასტრო სკოლებში გამოიყენებოდა. მათში ყურადღება გამახვილებულია მოწაფის სულიერ სიმტკიცეზე და წინააღმდეგობათა გადალახვის უნარის ფორმირებაზე. ექვთიმეს თარგმანში ასეთ აზრს ვხვდებით: „ვითარცა ცეცხლი ბრძმედსა შინა გამოცდის ოქროსა და ვერცხლსა, აგრეთვე განსაცდელითა შინა გამოიცდებიან სულნი კაცთანი."*

ეფრემის თხზულებებში, რომელთა რაოდენობა ათასს აჭარბებს, პირველ ადგილზეა საღმრთო წერილის კომენტარები, რომლებმაც ჩვენამდე სრულად ვერ მოაღწია. აღმოსავლეთის ეკლესიის ეგზეტიკოსებს შორის ეფრემს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. იგი თავის ცნობილ კომენტარებში განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ებრაული ენის, პალესტინის ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის ცოდნას. წმ. ეფრემის თხზულების გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს ქადაგებანი, რომლებიც დიდაქტიკურ – დამრიგებლობითი პათოსით გამოირჩევიან. ღირსი მამა ღვთის მიმართ ყოველგვარ ეჭვიანობას გამორიცხავს და ქრისტიანული მორალის დაცვისაკენ მოუწოდებს მოწაფეებს: „მოძღვრება ჩემი დაიმარხენით და ნუ გადახვალთ მას, მოწაფენო ჩემნო, ვინაცა იჭვობს ღმრთისა მიმართ, ვითარცა კაენი იყოს იგი ქვეყნად „იწროებითა და ძრწოლითა" (დაბ. 4:12)... მოწაფენო ჩემნო, ყურად იღეთ და დაიმარხეთ მოძღვრება ჩემი და ნუ გადახვალთ რწმენისა და სიტყვისა ჩემისაგან" (8.103). შემდეგ წმიდა ეფრემი განსაკუთრებულ გაფრთხილებას იძლევა იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი უსამართლო სასჯელმაც არ უნდა გააბოროტოს: „....უწყოდეთ, რომ თუ მეფის განქიქებისთვის

---

* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A, 467, ფურც. 16. საგანგებო მსჯელობას მოითხოვს აგრეთვე საკუთრივ წმ. ექვთიმე ათონელის პედაგოგიური შეხედულებები, რომელიც წინამდებარე ნარკვევების III ტომში იქნება წარმოდგენილი.

შეგიპყრეს, წაგიყვანებენ სამსჯავროზე და დაგკითხავენ. თუმცა შენ არ შეგირაცხგიყვია მეფე, გარნა პასუხს გაგებინებენ და დაგსჯიან, რომ შური არ იძიე მეფისათვის. ამისთვის ნუ ეზრუნავ ცრუმოძღვრებს და ნუ შეერთვი ცდუნებულთ" (8.102).

ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან ეფრემ ასური თავისი საქმიანობით და მოწოდებით მასწავლებელი და ცნობილი ქრისტიანული სკოლის ხელმძღვანელი იყო.

წმ. ეფრემ ასურის ქადაგებები იმდაგვარად არის აგებული, რომ მასში აშკარად ჩანს ავტორის პედაგოგიური ხელოვნება. კერძოდ, მსმენელისათვის ნათელია, თუ რა არის მისაღები და რა არის დასაგმობი. ეფრემის დარწმუნების ხერხი მეთოდის რანგშია აყვანილი და მას წმიდა მამის პედაგოგიურ პრაქტიკაში ასეთ მიდგომებს ხშირად ვხვდებით. მაგალითად, წმ. მამის ნაშრომში „წესი და განგებაჲ საცოურთა ეშმაკისათაჲ", დახასიათებულია ადამიანის ისეთი დადებითი თვისებები და ქცევები, როგორიცაა: ღმრთის სიყვარული და შიში, სულგრძელობა, სასოება, მოთმენა, უშფოთველობა, მორჩილება და სხვა. ასევე მათ გვერდით წარმოდგენილია მათი საპირისპირო ცნებები და კატეგორიები: სიცრუე, მოშურნეობა, მრისხანება, მაგინებლობა და სხვა (8.232–248).

ღირსი მამა საღმრთო მოწოდებას ადარებს წერა-კითხვისა და საერთოდ ცოდნის შეძენას: „როგორადაც შეუძლებელია უშრომლად, მხოლოდ სასყიდლის გაღებით შევიძინოთ წერა-კითხვის თუ რომელიმე ხელობის ცოდნა, ასევე შეუძლებელია გულმოდგინებისა და საღმრთო მოშურნეობის გარეშე მოვიპოვოთ ღმერთისათვის სათნო წესჩვეულებები" (2.19).

ეფრემ ასური დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაგალითის როლს აღზრდაში: „...აუცილებელია რომ ასაკით უფროსნი ყველა სათნოებაში აძლევდნენ მაგალითს უმცროსებს და არნაირად არ უწყობდნენ ხელს მათ ცდუნებას, – წერდა ეფრემ ასური, –რამეთუ, თუკი ჩვენ, მოზრდილნი არა ვართ მორჩილნი, როგორ შევძლებთ მოზარდები განვაწყოთ მორჩილებისათვის?! თუკი ჩვენ მივეცემით ნაყროვანებას, ღვინის სმასა და სიძუნწეს, როგორღა შევძლებთ ბავშვებს შევაგონოთ თავშეკავება, უბრალოება და გულუხვობა მოწყალებაში?! თუკი თვითონვე ვართ გაფანტულნი, მრავალმესიტყვენი, დაუდეგარნი

და მერყევნი, ჭაბუკებს როგორდა ვასწავლით სიდინჯეს, მდუმარებასა და სიმტკიცეს?! “ (2.19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდა ეფრემს ეკუთვნის ბიბლიური ტექსტების კომენტარები, თეოლოგიური ხასიათის პოლემიკური ნაშრომები, მოსეს ხუთწიგნეულის განმარტებანი, დიდაქტიკური ხასიათის ჰომილიები, ჰიმნები საღვთისმეტყველო და ისტორიულ თემებზე. აღსანიშნავია მისი ჰიმნები ნისიბინზე „ჩარმინა ნისიბინა” (პირველი ოცი ჰიმნი დაწერილია ნისიბინში, 350-363 წწ., დანარჩენი 52 –ედესაში, 363-373 წწ.). სირიულ პოეზიაში მის მიერ უნდა იყოს შეტანილი მადრაშის (სასიმღერო ლექსების) ერთ-ერთი სახეობა „სოღითა” და ლექსების შვიდმარცვლიანი ზომა. წმიდა ეფრემ ასურის საღვთისმეტყველო თეორიულმა და პრაქტიკულმა პედაგოგიურმა საქმიანობამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ედესა-ნიზიბინის ქრისტიანული სკოლის მიმართულებაზე.

§3. წმ. ბასილი დიდი

ქრისტიანული აღზრდა-განათლების თვალსაზრისით გასაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთის ქრისტიანობის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, ღირსი მამა *ბასილი დიდი*, რომელიც კაბადოკიის კესარიაში დაბადებულა დაახლოებით 330 წელს.* მისი ოჯახი ქრისტიანობისათვის იდევნებოდა ჯერ

---

* ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად კაბადოკიელები ქართველური მოდგმის ტომს–მესხებს გულისხმობს. ბასილი დიდის მესხობას ადასტურებს მეცნიერთა ერთი ნაწილი, ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ბასილი დიდი ძალიან პოპულარული ყოფილა საქართველოში, შემონახულია წმიდა მამისადმი მიძღვნილი ორიგინალური ქართული ჰიმნები, ერთის ავტორი უნდა იყოს იოანე მტბევარი (იხ. პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ტფ., 1913, გვ. 90-98), ასევე დასტურდება ორიგინალური ჰიმნები მიქელ მოდრეკილთან იხ. მიქელ მოდრეკელის ჰიმნები, ტ. II, თბ., 1978, გვ. 110). ბასილი დიდისადმი განსაკუთრებული გამოხატულების გამოძახილად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ ერეკლე მეორემ, მის მიერ 1758 წელს დაარსებულ საღვთისმეტყველო სასწავლებელს წმიდა ბასილი დიდის სახელი მიაკუთვნა: „ირაკლიმ შჯჰმზადა სხოლა თჳსსა პალატსა შინა სახელსა ზედა წმიდისა მღვდელმთავრისა ვასილი კესარიელისა”, იხ. ხელნაწერი, 2564, გვ. 103—105. ბასილი დიდის მესხურ წარმომავლობასთან დაკავშირებით იხ. ე. ხინოიბიძე, ქართულ - ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობისათვის, თბ., გვ. 224; წმიდა ბასილი დიდი,

კოდევ დიოკლეტიანეს დროს. წმიდა ბასილის დედა—ემილია, მოწამის შვილიშვილი იყო, ხოლო მამა—რიტორიკის ძალზე ცნობილებელი და ადვოკატი. მომავალი წმინდანის ოჯახში 10 ბავშვი გაიზარდა, მათგან ხუთი: ბასილი, მაკრინე, გრიგოლ ნოსელი, პეტრე სებასტიელი და ღირსი თეოზვა დიაკონისა წმინდანად იქნა შერაცხული. ბასილი დიდის ოჯახი განსაკუთრებული სულიერებით იყო გამორჩეული. ამის შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველი წერდა: „მათი ოჯახიდან გამოვიდნენ მღვდელმთავრებიც, მონაზონნიც და ქორწინების უღელში შებმულნიც, ოღონდ ისინი ისე ცხოვრობდნენ, რომ ქორწინება სულაც არ უშლიდათ ხელს სხვათა მსგავსად წარმატებულნი იყვნენ სათნოებებში და ეს სწორედ იმის გამო იყო, რომ მათი მშობლები გამორჩეული ღირსების ქრისტიანები იყვნენ, სამაგალითონი თავიანთი შვილებისთვისაც და სხვებისთვისაც. ბასილის მშობელთა ქორწინება, – განაგრძობს გრიგოლ ღვთისმეტყველი,–იმდენად ხორციელ კავშირში არ მდგომარეობდა, რამდენადაც სათნოებისაკენ თანაბარ მისწრაფებაში. ისინი აპურებდნენ ღარიბ-ღატაკთ, შეიწყნარებდნენ მწირთ, სულს განიწმენდნენ მოთმინებითა და თავშეკავებით, ღმერთს მიუძღვნიდნენ თავიანთი ქონების გარკვეულ ნაწილს.... ამიტომაც იყო ყოვლადქებული ბასილი დიდი სწორედ ამგვარ სათნო მშობელთაგან წარმოშობილი...”

დაწყებითი განათლება ბასილის მამის ხელმძღვანელობით მიუღია, შემდეგ სწავლობდა კაბადოკიის კესარიაში. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიბეჯითით. სწორედ ამის გამო ადფრთოვანებას ვერ მალავს გრიგოლ ნაზიანზელი: „რიტორი იყო რიტორთა შორის უწინარეს საფილოსოფოსოდსა სწავლისა და უზეშთაესიცა ვთქუ, მღვდელ იყო ქრისტიანეთად”. კესარიის სასწავლებლის შემდეგ ბასილი კონსტანტინეპოლში გადასულა და სახელმოხვეჭილ ლიბანიოსთან გაუგრძელებია რიტორიკის შესწავლა. ამის შემდეგ მომავალმა წმინდანმა ათენში დაასრულა ფილოსოფიური განათლება და დაახლოებით 357 წელს იგი კესარიაში დაბრუნებულა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ბასილი ხშირად გამოდის საჯარო სიტყვებით ფილოსოფიის და რწმენის საკითხებზე, ოცდახუთი წლის ასაკში იგი ცნობილი პედაგოგი და ადვოკატი გახდა.

თხზულებანი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, მეორე გამოცემა, თბ., გვ. 8–17

მას შემდეგ, რაც ბასილს მამა გარდაეცვალა, მისმა დედამ-ემილიამ უფროს ასულთან და რამდენიმე ქალწულთან ერთად ასკეტური ცხოვრება იტვირთა და მდინარე ირის ნაპირას-ვარეულო მამულში განმარტოვდა, ხოლო ბასილი მოინათლა და კესარიელი ეპისკოპოსის, დიანას კერთხევით მედავითნედ იქნა დადგენილი. ამის შემდეგ ბასილი აქტიურად შეუდგა მონაზვნური ცხოვრების წესის გაცნობას, ამ მიზნით მან იმოგზაურა ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მომავალმა წმიდანმა მთელი ქონება მოწყალებად გასცა, შემდეგ კი იმ სავანესთან ახლოს, სადაც მისი დედა და და, ემილია და მაკრინე იყვნენ განმარტოებულნი, დაარსა ძმათა საცხოვრისი, აქვე მოიზიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და სულიერ ძმებთან ერთად ეწეოდნენ ეკლესიურ ცხოვრებას და მძიმე ფიზიკურ შრომას. წმინდა სავანეში ბასილი და გრიგოლი გულმოდგინედ სწავლობდნენ წმიდა წერილს, ეცნობოდნენ მის განმარტებებს, კერძოდ, ორიგენეს ნაშრომებს, რომლის თხზულების მიხედვით შეადგინეს კრებული „ფილოკალია" (სიკეთისმოყვარეობა). სავანეშივე ღირსმა ბასილიმ დაწერა ზნეობრივი ცხოვრების წესების სახელმძღვანელო, მანვე შექმნა მის მიერვე დაარსებული ორივე მონასტრის ტიპიკონი. აღნიშნულ მონასტრებში ბასილის უშუალო ხელმძღვანელობით ასწავლიდნენ იმ ყმაწვილებსაც, რომლებიც მოსანათლად ემზადებოდნენ.

ბასილი დიდის მოღვაწეობა იმ დროს გაიშალა, როცა მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა არიოზის ცრუსწავლება, რომელსაც აშკარად დაუპირისპირდნენ ბასილი დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი. არც ერთ წმინდა მამას უკან არ დაუხევია ეკლესიის დოგმატების დაცვისას თვით იმპერატორის წინაშეც. წმიდა ბასილმა 370 წელს დაიკავა კესარიის ეპისკოპოსის კათედრა, იგი საეკლესიო საქმეებთან ერთად დიდი რუდუნებით უძღვებოდა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო და პედაგოგიურ საქმიანობას. ღვაწლმოსილი ღირსი ბასილი დიდი აღესრულა 379 წლის 1 იანვარს 49 წლის ასაკში.

ბასილი დიდი საფუძვლიანად ასაბუთებს აღზრდის ადრეულ ასაკში დაწყების აუცილებლობას. მაშინ, როცა „მისი სული ნაზია და ცვილივით მორჩილი", მან კარგად იცის, რომ განათლებას ადამიანის ზნეობრივ სრულყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: „ფუტკარი როდი ჩნდება

ყველა ყვავილზე,–წერდა ბასილი დიდი, – არამედ მხოლოდ იმაზე, რომელიც ვარგისია მისი საქმიანობისათვის... და როგორც ვარდს ვწყვეტთ ბუჩქიდან და გავურბივართ ეკალს, ასევე დასაწყისშივე უნდა ავირჩიოთ ის მეცნიერებანი, რომელიც მიზანთან მიგვიყვანს.” ამ აზრს წმიდა მამა კიდევ უფრო აფართოებს და კონკრეტულ რეკომენდაციებსაც იძლევა სწავლების შინაარსის შესახებ.

წმიდა ბასილი დიდის მრავალრიცხოვანი საღვთისმეტყველო შრომები საუკუნეების განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა ქრისტიანულ აღმოსავლეთში, როგორც ეკლესიის წმიდა სწავლების არიანელთა და სხვა ერეტიკოსთა შემოტევებისაგან დასაცავად, ისე საღვთისმეტყველო სკოლებში ეკლესიის მსახურთა სწავლებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი საუბრები: „ყმაწვილთათვის იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა შეიძლება ჰქონდეს წარმართულ თხზულებებს”, რომელშიც წმ. ბასილი განსაკუთრებით გამოყოფს ანტიკური სამყაროს პოეზიას, ფილოსოფიასა და ისტორიას, რომელთა გამოყენება გონიერ აღმზრდელს შეუძლია ქრისტიანი ახალგაზრდების აღსაზრდელად. დიდი ღვთისმეტყველი უფრო შორს წავიდა და წარმართი ავტორების ორგანიზებული შესწავლის რეკომენდაციაც კი ჩამოაყალიბა იმისათვის, რომ ამგვარი თხზულებების საშუალებით, მისი აზრით, შესაძლებელი იყო ახალგაზრდებში აღეზარდათ მაღალი ზნეობა და ჭეშმარიტი სულიერება, მაგრამ ამ საქმეში დიდი დაკვირვება და პედაგოგიური ალღო იყო საჭირო: „ამ ცხოვრებაში ჩვენ ვეყრდნობით წმ. წერილს, – წერდა ბასილი დიდი, – რომელიც გვაძლევს საიდუმლოთა ცოდნის შესძლებლებლობას, მაგრამ რადგანაც ჩვენი სულიერი თვალი ჯერ კიდევ უძლურია და საჭიროებს წვრთნას, უნდა ვივარჯიშოთ და ჩავიხედოთ სხვა წიგნებშიც (წარმართულში), როგორც ერთგვარ აჩრდილში ჭეშმარიტებისა. თუმცა ანტიკური სწავლებიდან უნდა ავიღოთ ის, რაც სასარგებლოა ჩვენი სულისათვის. ისევე, როგორც ახლად თვალახელილი ადამიანისათვის საშიშია პირდაპირ მზის ჭვრეტა, ასევე სულიერად ჩვილი ადამიანი უცბად ვერ მისწვდება ჭეშმარიტებას, ამიტომ ფილოსოფიის, ისტორიის და სხვა მეცნიერებების ცოდნა აუცილებელიც კი არის მანამ, სანამ ჩავიხედავთ საღვთო სიბრძნეში....’ აქ წმიდა მამა განსა-

კუთრებული ყურადღების გამახვილებას ურჩევდა ქრისტიან პედაგოგებს ანტიკური თხზულებების იმ მონაკვეთებზე, სადაც სიკეთისა და მაღალი ზნეობის მაგალითები იყო მოცემული. საერთოდ ბოროტების მიმართ ბასილი კესარიელს ცალსახა უარყოფითი დამოკიდებულება არ ჰქონია, რადგან, მისი აზრით, ბოროტებაც შეიცავს რაღაც პოზიტიურს, რომელიც შეიძლება ზნეობისთვის სარგებლობის მომტანი გახდეს, თუმცა ეს თავისთავად არ მოხდება, ამისათვის დიდი გონიერებაა საჭირო. სწორედ ამ მოსაზრებას ავითარებს მკვლევარი მ. მახარაძე: „ბასილი დიდის აზრით, ანტიკური მოაზროვნეების - პლატონისა და პლოტინის მსგავსად, ბოროტებას გარკვეული დადებითი მნიშვნელობა გააჩნია (პირველებთან სიკეთის გამოსამჟღავნებლად, ბასილ;ი დიდთან კი ადამიანის გამოცდისათვის)" (11.65).

თავის „ზნეობრივ კანონებში" ბასილი დიდი გამოყოფს ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობას და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისციპლინას და წესრიგს: „ბავშვები უნდა უჯერებდნენ თავიანთ მშობლებს, ესმოდეთ მათი ყველაფერი, რომ წინ არ აღუდგნენ ღვთიურ ადთქმას". ამავე დროს, იგი აყალიბებს მშობლების მოვალეობებს შვილების მიმართ: „მშობლებმა თავიანთი შვილები უნდა აღზარდონ შემწყნარებელნი, კეთილნი და ღვთიური მცნებებით აღსავსე, რომ მათ შეძლონ წყნარად გადაიტანონ შეურაცყოფა და ალაგმონ მრისხანება და შურისძიება" (24.90). ხოლო მათ, ვინც არ შეასრულებდა დედის მოვალეობას უმკაცრესი სასჯელი ელოდა, კერძოდ, ბასილი დიდის 48-ე კანონის თანახმად: „დედამ, რომელმაც შობა და მიატოვა შვილი შუა გზაზე, სიკვდილის ღირსია," – თუმცა ამ მოთხოვნის აღსრულების ფაქტები არ მოიპოვება, რადგან ქრისტანობის მრწამსი ასეთ ქმედებას ძირშივე ეწინააღმდეგება. მაგრამ კანონში მისი შეტანა თვალნათლივ აჩვენებდა გადაგვარებულ დედებს ასეთი საქციელის სისასტიკეს, რომელიც ისეთ სასჯელს იმსახურებდა, რომლის აღსრულება ქრისტიანისათვის მიუღებელი იყო.

შვილების მიმართ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ბასილი დიდი მამებს აკისრებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია შვილის წერილი მამისადმი, რომელიც ბასილი დიდის ჰომილიებშია მოხმობილი: „ოჰ, მამავ ჩემო, რო-

მელსაც ღმერთმა მოგცა მადლი აქვე იყო ღმერთი, შექმნელმა და უხრწნელმა ღირსგყო იყო კეთილი და ხრწნადი მამა, რათა მიწიერთაც და მოკვდავთაც გქონდეთ პატივი და დიდება, რადგანაც როგორც ქრისტე არის მეუფე სამყაროსი, ასევე მამა თავისი შვილებისათვის არის ღმერთი, რადგანაც ისიც უნდა იყოს კეთილი მწყემსი. მოისმინე ღვთაებრივი მოწყალებით ჩემი სიტყვები: რატომ ტანჯავ შენს შვილებს? რატომ შემოვიდა შენს ოჯახში ბოროტება და განდევნა იქიდან ბედნიერება? მივდევ რა ბუნების მოთხოვნილებას, მსურს, რომ მშობელი ჩემი იყოს ყველაზე აღმატებული, რომელსაც ხალხში კეთილი სახელი ექნება, მაგრამ როგორ გცემს შენ პატივს სხვა, როცა საკუთარ შვილებზე ასე მრისხანებ? შენ, რომელიც თავად ხშირად ევედრებოდი ღმერთს ჩვენს მოვლინებას, მაშინ, როცა დავიბადენით, მრისხანებ ჩვენზე? კარგი ვარ მე თუ ცუდი, ეს შენი დიდებაა და შენი სირცხვილი. ყველასათვის ცნობილია, რომ კარგი უნდა გიყვარდეს, ხოლო ცუდს უნდა უმკურნალო. იმ ჩიტზე არ წუხან, რომელიც ბუდეში ზის, არამედ რომელიც გადმოვარდა, ასევე ცუდი შვილი უნდა გეცოდებოდეს და მოწყალება აღმოუჩინო, ოორემ სათნონი უცხოს მიერაც არიან შეწყნარებულნი. ქრისტე ცოდვილთათვის მოკვდა. ასევე მამამ უძღები შვილი შეიბრალა და გულში ჩაიკრა. იყავ მამავ მოწყალე. მშობლობა მარტო ის არ არის, ხორციდან და სისხლიდან, რომ იწყება...., შენში არის მრისხანება, რომელიც ბოროტმა მოგაწოდა...., იყავი შენი შვილებისათვის ისეთივე მამა, როგორსაც ისურვებდი ტანჯვის დროს იყოს ღმერთი შენდამი...., გაიხსენე დავით მეფე, რომელიც მოწყალე იყო თავისი შვილის მიმართ, რომელიც მამას მოკვლას უპირებდა და როცა დაიღუპა, ის დაიტირა დიდი მწუხარებით. თუ შეისმენ მამა ჩემს სიტყვებს კარგი, თუ არა და შვილებს ჰყავთ ღმერთი." ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ღირსი მამა თვით მაცხოვრის ტოლ მოვალეობებს უწესებს მამებს შვილების აღზრდაში და საერთოდ მოვლა-პატრონობაში, თუმცა ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოსავალი მაინც არსებობს და ეს ყოლისშემძლე ღვთიური მადლია, რომელიც შვილებს მზრუნველობას არ დააკლებს, მაგრამ მაინც უმჯობესია მამები თუ შეასრულებენ თავიანთ ვალს.

ბასილი დიდი არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ სასულიერო მოღვაწეთა მიმართ ყურადღებით. მისი მიზანი ჭეშმარიტი სარწმუნოების საყოველთაოდ გავრცელება – ეს სწორედ მის ზნეობრივ-ასკეტურ თხზულებებში საპატიო ადგილი უჭირავს კანონებს, რომელიც ღირსმა მამამ ქრისტიან ერისკაცთათვის შეადგინა. საქართველოშიც ძველთაგანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ წმიდა მამის ზნეობრივი ხასიათის ნაწარმოებების მიმართ. ამიტომაც იყო, რომ ექვთიმე ათონელმა, „ქართველი ხალხის ზნეობრივი სიკეთის და სიმრთელის დიდმა მოჭირნახულემ", კესარია-კაბადოკიის ეპისკოპოსის თხზულებებიდან სათარგმნელად, უწინარესად, სრულიად კანონზომიერად მისი სხვადასხვა ქადაგებიდან–„სწავლანი" შეარჩია (12.09). გარდა ამისა, ბასილი კესარიელის საღვთისმეტყველო–პედაგოგიური ხასიათის შრომები ადრიდანვე პოპულარული იყო საქართველოში, მისი „ითიკა", ორივე ნაწილი თარგმნა ექვთიმე ათონელმა, ასევე ითარგმნა „სწავლანი", „თარგმანება ფსალმუნთა", „ექუსთ დღეთაღსა", ქართულად შემონახულია მათი X-XIII საუკუნეების რედაქციები, რომელიც გრიგოლ ნოსელის თხზულებასთან „კაცისა აგებულებისათვის" ერთად 1964 წელს ილია აბულაძემ გამოსცა.

ჩვენი თვალთახედვით მეტად საინტერესოა ბასილი დიდის „ფსალმუნთა განმარტებანი", რომელიც იმდენად მისაწვდომად არის შედგენილი, რომ მასში აშკარად გამოსჭვივის ღრმა პედაგოგიური აზრი. როცა ავტორი ზნეობრივ აღზრდაზე და ჭეშმარიტ სათნოებაზე მსჯელობს, განსკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად მისაწვდომი და დასაძლევია ესა თუ ის შეგონება-სენტენცია: „...სათნოებაში წვრთნა კიბეს წააგავს, სწორედ იმ კიბეს, რომელიც ოდესღაც ნეტარმა იაკობმა იხილა; მისი ბოლო თითქმის მიწას სწვდებოდა, ხოლო თვითონ ზეცაზე მაღლაც კი იყო აღმართული. ასე რომ, ვინც სათნოებით ცხოვრებას იწყებს, ჯერ პირველ საფეხურზე უნდა მოიმაგროს ფეხი და იქიდან განუწყვეტლივ ვიდოდეს მაღლა და მაღლა, მანამ, სანამ თანდათანობითი წარმატებით კაცებრივი ბუნებისათვის მისაწვდომ სიმაღლეზე არ დადგება..." (13.1340).

ბავშვთა აღზრდა, – წმიდა ბასილი დიდის წარმოდგენით, -- ყოველი ქრისტიანის ღირსება და მოვალეობაა. მის თხზულებებში საპატიო ადგილი უჭირავს არა მარტო

ზოგადად აღზრდას, არამედ მოზარდთა მომზადებას მონოზვნური ცხოვრებისათვის. ამისათვის კი მისი აზრით, მანამდე არის საჭირო ზრუნვა, სანამ ბავშვები სრულწლოვანნი გახდებიან. დირსი მამა იმოწმებს პავლე მოციქულის ეპისტოლეს; „თქვენ კი მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის მოძღვრებითა და დარიგებით" (ეფეს. 6:4). თუკი ბავშვები აღზრდის მიზნით მიგვყავს მონასტერში, ამისათვის საჭიროა წინასწარ მომზადება; კერძოდ, წმიდა მამა მიუთითებს იმის თაობაზე, რომ ბავშვების სქესის მიხედვით უნდა გამოიყოს მათთვის შესაბამისი ადგილები, შეირჩნენ გამოცდილი, გონიერი და დიდსრულოვანი აღმზრდელ-მასწავლებლები. ბავშვები უნდა ესწრებოდნენ საერთო ლოცვებს უფროსებთან ერთად, ხოლო სხვა დროს მათთვის უნდა მიმდინარეობდეს კონკრეტული მეცადინეობებები სახარების შესწავლის მიზნით. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შორის შეჯიბრის მოწყობა, თუ ვინ უფრო კარგად დაიმახსოვრებს ახალ მასალას, რაც მთავრდება წარჩინებულთა შექებითა და დაჯილდოებით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ინტერესის ზრდას სწავლისადმი, ამასთან ერთად, მეცადინეობის პროცესი ნაკლებ მოსაწყენია. სწავლებაში მნიშვნელოვანია ცოდნის შემოწმების სისტემატურობა, მასწავლებელმა უნდა იცოდეს მოსწავლის სულის მდგომარეობა და ამის მიხედვით უნდა ააგოს სწავლება, რადგან მოსწავლის სულიერი განწყობა ყოველთვის არ იძლევა შემმეცნებელი ძალების მოქმედების საშუალებას, ამიტომ მოწაფის უმანკოების აღქმა ბევრად განსაზღვრავს ჭეშმარიტ განსჯას და ღვთის შემეცნებას, რომლისკენაც მიისწრაფის ქრისტიანული სწავლება, -- აღნიშნავს წმიდა ბასილი დიდი (14.484).

ყურადღებას იმსახურებს ბასილი დიდის „ჰომილიები ექვსი დღისათვის", რომელიც მრავალ საგულისხმო დებულებას გვთავაზობს ადამიანის სათნოებისა და დანიშნულების შესახებ. მე-9 ჰომილიაში „ხმელეთის ცხოველთა შესახებ",–წმიდა მამა შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „ჩვენ გვაქვს ბუნებითი სათნოებანი, რომელთანაც სულის ნათესაობა არა აცობრივი განსწავლის შედეგად აქვს, არამედ ბუნებით. არც ერთი მეცნიერება არ გვასწავლის, ავადმყოფობა შეიძულეთო, მაგრამ ჩვენ თვითონვე გვძაგს ყოველივე, რაც მწუხარებას გვაყენებს. ასე რომ, სულშიც არის რაღაც, რომელიც გან-

სწავლის გარეშეც ერიდება ბოროტებას. ყოველგვარი ბოროტება უძლურებაა სულისა, ხოლო სათნოება—სიჯანსაღე" (15.312). შემდეგ დიდი ღვთისმეტყველი პარალელს ავლებს ადამიანებსა და ცხოველებს შორის შვილებთან დამოკიდებულებაზე: „უკეთუ ძუ ლომს უყვარს ნაშობნი მისნი და მგელიც თავისი ლეკვებისათვის იბრძვის, რაღა ეთქმის ადამიანს, რომელიც მცნებასაც არღვევს და ბუნებასაც შეურაცხყოფს, კერძოდ, რაჟამს შვილი პატივს არ სცემს მამის სიბერეს, ხოლო მამა მეორე ქორწინებისა გამო თავის პირველ შვილებს ივიწყებს" (15.312).

ბასილი დიდის თხზულებათა ღირსების შესახებ, ყველაზე კარგად, მისივე თანამედროვე და ეკლესიის უდიდესი მნათობი, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი გადმოგვცემს: „როცა მე მისი „ექვსთა დღეთათვის" მიჭირავს და ხმამაღლა ვკითხულობ, მაშინ შემოქმედთან ვარ, შესაქმის კანონებს ვწვდები და შემოქმედით უფრო მეტად ვარ განცვიფრებული, ვიდრე მანამდე, როცა მოძღვრად მხოლოდ მხედველობა მყავდა. როცა ჩემს წინაშე მისი ერეტიკოსთა სამხილებლად დაწერილი სიტყვებია, მაშინ ვხედავ სოდომურ ცეცხლს, რომელშიც ცბიერი და უსჯულო ენები იფერფლებიან და თვით ხალანის სვეტს, საზიანოდ აღმართულს და სიკეთისათვის დანგრეულს. როცა ვკითხულობ სიტყვას სულზე, მაშინ ღმერთს, რომელიც მყავს, ხელახლა ვიძენ და ავდივარ რა მისი ღვთისმეტყველებისა და მჭვრეტელობის საფეხურზე, ჭეშმარიტებას განცხადებულად ვაუწყებ...., როცა ზნეობრივსა და პრაქტიკულ სიტყვებს ვკითხულობ, სულითა და ხორცით ვიწმინდები, ღმრთის სამკვიდრებელი ტაძარი და ინსტრუმენტი ვხდები; რომელზეც სულიწმიდა უკრავს, მომღერალი ღმერთის დიდებასა და ძლიერებაზე და ამის გამო გარდავიქმნები, ვწესრიგდები, ერთი ადამიანიდან მეორე ვხდები და ღმრთეებრივი ცვლილებით ვიცვლები" (15.17–18).

§4. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასილი დიდის საუკეთესო მეგობარი და თანამოაზრე იყო წმიდა გრიგოლი, რომელსაც იოანე მოციქულის მსგავსად ღვთისმეტყველი ეწოდა. იგი დაიბადა კაბადოკიაში 329 წელს, მის მამასაც გრიგოლი ერქვა, დედას—ნონა. მშობლების შესახებ თვით გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე მოგვითხრობს: „თუ მე შესაფერისი ვარ აღთქმისა, ეს წყალობაა, ღვთისგან ბოძებული, ხოლო თუ აღთქმას არ შევეფერები – ეს უკვე ჩემი ცოდვაა".

გრიგოლ ღვთისმეტყველის მამა – წმიდა გრიგოლ ნაზიანზელი თითქმის 45 წლისა იყო, როცა მეუღლის, კეთილმსახური ნონას გავლენით თავი კათაკმევლად გამოაცხადა, შემდეგ მოინათლა, და ბოლოს ნაზიანზოსის ეპისკოპოსიც გახდა. გრიგოლ ღვთისმეტყველი დიდი სიყვარულით იხსენებდა მამას: „მამაჩემი იყო მშვენიერი და ფრიად კეთილი მოხუცი, უბრალო ზნის, ცხოვრებაში სამაგალითო, ჭეშმარიტი პატრიარქი, მეორე აბრაამი. თავდაპირველად ცდომილებაში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ ქრისტეს მეგობარი შეიქნა, ბოლოს – მწყემსი და მწყემსმთავარიც" (16.11).

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა ყრმობიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინა სწავლისადმი, ამ მიზნით იგი ჯერ ალექსანდრიაში გაემგზავრა, შემდეგ კი–ათენში, სადაც შეხვდა და დაუმეგობრდა წმ. ბასილი დიდს. ათენის აკადემიაში სწავლამ მათ ურთიერთობაზე წარუშლელი კვალი დატოვა, რომელსაც თვით გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „ერთი სული ორ სხეულში".

362 წელს გრიგოლმა, ნაზიანზოსის ეპისკოპოსმა, შვილი–გრიგოლ ღვთისმეტყველი მისი სურვილის წინააღმდეგ აკურთხა მღვდლად. შეწუხებული გრიგოლ ღვთისმეტყველი დასამშვიდებლად პონტოში თავის მეგობარ ბასილი დიდს ეწვია, თუმცა ბასილი დიდიც ისევე მოექცა, როგორც საკუთარი მამა. მან გრიგოლ ღვთისმეტყველი, მამამისის თანხმობით, კაბადოკიაში–სასიმას ეპისკოპოსად გაამწესა, რაზედაც წმ. გრიგოლმა მტკიცე უარი განაცხადა და ნაზიანზონში გააგრძელა ცხოვრება თავის მშობლებთან ერთად. 379 წელს გრიგოლი, როგორც ქრისტიანულ აღმოსავლეთში ცნობილი პიროვნება,

კონსტანტინეპოლში მიიწვიეს არიოზის ერესისაგან მართლმადიდებლობის დასაცავად, რასაც მან ბრწყინვალედ გაართვა თავი.

380 წელს იმპერატორ თეოდოსის (379—395) მხარდაჭერით გრიგოლ ღვთისმეტყველი კონსტანტინეპოლის პატრიარქად აკურთხეს, მცირე დროში ახალმა მწყემსმთავარმა მთელი ქრისტიანული სამყარო აღაფრთოვანა საპატრიარქო კათედრაზე მოღვაწეობით, მაგრამ წმიდა გრიგოლმა მაინც განმარტოება არჩია. იგი კვლავ თავის მამულში დამკვიდრდა, სადაც 390 წელს გარდაიცვალა.

წმ. გრიგოლ ნაზიანზელის თეოლოგიური მემკვიდრეობიდან შემორჩენილია ორმოცდახუთი საღვთისმეტყველო სიტყვა და ავტობიოგრაფიული ხასიათის პოეტური თხზულებები.

გრიგოლ ღვთისმეტყველი ყოველთვის გამორჩეულ პატივს მიაგებდა თავის მშობლებს, რომელთა დამსახურებადაც თვლიდა წმიდა მამა არჩეულ ღვთიურ ცხოვრებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მომავალი წმინდანის მონათხრობი მისი ქვეყნად მოვლინებისა და საღვთო ცხოვრების არჩევის შესახებ: „ჯერ კიდევ მაშინ, როცა მხოლოდ ერთი სურვილით ენთო - კალთაში ჩაესვა ძე, იგი მართალი ანას მიბაძვით ასე შეჰღაღადებდა უფალს: მეუფეო ჩემო, ქრისტე ღმერთო! მომადლე მე სიხარული ძის ხილვისა, და ჩემი სხეულის ჩვილ ნაყოფს შენს ზღუდეთა წიაღში მიიღებ!... ასე შეჰღაღადებდა იგი უფალს, და მანაც შეისმინა მისი ვედრება: ზეგარდმო მოვლენილ სიზმრისეულ ხილვაში მას მომავალი ძის სახელიც კი ეუწყა, ბოლოს კი ძეც მოემადლა და თავისი აღთქმაც უფლისადმი პირნათლად შეასრულა: „ხელნი ჩემნი, -- იგონებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, – მან განწმიდა საღმრთო წიგნებით....", დიდი თეოლოგის მსჯელობა მთლიანად მიმართულია ღვთის მოშიშებით აღზრდისადმი და ბავშვის სულიერების გასაძლიერებლად. ამისათვის კი ოჯახში უნდა დაიწყოს მტკიცე საფუძვლების ჩამოყალიბება, როგორც ეს მომხდარა მომავალი წმინდანის მიმართ. სწორედ მშობლების გავლენამ მისცა სწორი მიმართულება გრიგოლის ცხოვრებას, რომელსაც არასდროს გადუხვევია ერთხელ აღებული გეზიდან. ამის შესახებ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე მოგვითხრობს; „...ჩემი ჭაბუკი სული კეთილმსახურების ახალ

სახეობას იღებდა... თვით უფალი განცხადებულად ესაუბრებოდა თავის მონას და შემკრავდა კეთილკრძალულებისა და უშანკოებისადმი სიყვარულით, აღვირს აღასხამდა ჩემს სხეულს და შთამბერავდა მგზნებარე სიყვარულს ღმრთაებრივი სიბრძნისადმი...., ამიტომ ის, რაც ესოდენ უხარის სიკაბუკეს–არც მშვენიერი შესამოსელი, არც თმის ლამაზი კულულები, არც უსირცხვილო საუბრების მაცდუნებელი მომხიბლაობა, არც თვშეუკავებელი სიცილი და არც ხორციელ სიამეთადმი ლტოლვა. სხვებს დავუთმე უფსკრულნი და მთები, მოჭიხვინე ბედაურები და მეძებარი ძაღლები. ქვეყნიური შება-სიამენი უარვყავი და ქედი მკაცრ კეთილკრძალულებას მივუპყარ. ის მასაზრდოებდა, მიალერსებდა და დიდებისათვის განმამზადებდა. მან მზრუნველად მიმცა ქრისტეს ხელთ."

თუ წმ. ბასილი დიდი ადამიანის შესახებ წერდა ასკეტიკურ–აღმზრდელობითი თვალსაზრისით, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამ თემას სხვადასხვა მხრივ განიხილავდა. მან თავისებური ანთროპოლოგია შექმნა; მის ცალკეულ ნაშრომებში ხშირად გვხდება ფართო მსჯელობა ადამიანის დანიშნულების შესახებ. ის ადამიანის შესახებ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობს, მას სჯერა ადამიანის მადალი დანიშნულება და მიუხედავად ეროვნული სხვადასხვაობისა, ერთი იდეის მახურებისთვის მოუწოდებს ყველას: „ყველას, მადალთ, – ჰოი, ადამიანო! – ერთი სამშობლო აქვს – ზეციური იერუსალიმი, რომელშიც დაცულია ჩვენი ცხოვრება. ყოველი ერთი გვარ-ტომისა და წარმოშობისა ვართ – თუკი ქვეყანას, ამქვეყნიურს მოვხედავთ, ეს მიწაა, მტვერი, ხოლო თუკი უზენაესისაკენ მივაპყრობთ მზერას, – ეს (ღვთაებრივი) სულია, რომლის თანაზიარნიც ჩვენ შევიქენით, რომლის დამარხვაც ჩვენ აღთქმად მოგვეცა და რომლითაც ჩვენ უნდა წარვსდგეთ კიდეც ღმრთის სამსჯავროს წინაშე, რათა პასუხი გავცეთ, თუ როგორ შევინარჩუნოთ ჩვენი ზეციური კეთილ–შობილება და ხატი, მსგავსება ღმრთისა" (18.75).

ღვთის სიყვარულისთვის წმინდა მამას აუცილებლად მიაჩნდა ადამიანის აქტიური ქმედება: „ღმერთზე ლაპარაკი უდიდესი საქმეა, მაგრამ გაცილებით მეტია ჩვენი განწმენდა უფლისათვის"– მოძღვრავდა სულიერ შვილებს ღირსი მამა.

არიანელებთან ცხარე კამათისას გრიგოლ ღვთისმეტყველი პირველ რიგში იბრძოდა გადაჭარბებული ფუჭსიტყვაო-

ბის კავშირზე ღვთისმეტყველებასთან. არიანელთა ღვთისმეტყველებით ცნობიერებას მან დაუკავშირა შემეცნებითი პედაგოგიკის მოთხოვნები. იგი ყოველთვის ცდილობდა ,,ქრისტეანი ყველა, თუნდაც ისინი ერესში ყოფილიყვნენ ,,ნაცვენილნი, უფლისმიერი მცნებებისათვის, სამყაროს მშვენიერებისა და ჰარმონიისათვის: „მე კი ძველებივით მიჭირავს თავი ფილოსოფიურადაც, ასე, რომ ჩემდა ერთია ზეცა, და იგი ყველასათვისაც – ერთია; ასევე საერთოდვე მივიჩნევ ყველასათვის; მზისა და მთვარის მიმოქცევას, რიგსა და მდებარეობას ვარსკვლავებისას, სითანაბრეს და კეთილმოქმედებას დღე–ღამისა; კვალად ყველასათვის საერთოდ მივიჩნევ მონაცვლეობას წელიწადის დროთა...", შემდეგ მსჯელობა კვლავ გრძელდება ჩვენი საერთო სახლის– დედამიწის შესახებ, რომლისგანაც შექმნა უფალმა ადამიანი და რომელთანაც მიიქცევა ყველა მოკვდავი. განსაკუთრებით კი დიდი ღვთისმეტყველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ სოფლიდან გასვლის შემდეგ არც ერთ ადამიანს უპირატესობა არ ექნება სხვასთან. ბოლოს კი ყველას მოუწოდებს: „ ვადიაროთ გონება, სჯული, წინასწარმეტყველნი და თვით ქრისტეს ვნებაც, რომელთა მიერაც ჩვენ განვახლდით..." (18.72).

განსწავლულობა გრიგოლ ღვთისმეტყველს ადამიანის დიდ სიკეთედ მიაჩნდა, ამიტომ, როცა ის ლაპარაკობს ბავშვთა აღზრდა-განათლებაზე, პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს მოზარდობის ხანის აქტიურად გამოყენებას, როცა ყველაზე უფრო არის შესაძლებელი ცოდნისა და ზნეობის შეძენა, როგორც უშუალოდ ბუნებისაგან, ისე წიგნებიდან. ისეთი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ცოდნას ეძებენ და არ ზრუნავენ ზნეობრივ თვითსრულყოფაზე, ემგავსებიან ბრმებს, რომლებიც „ ითმენენ დიდ დანაკარგებს, როცა თვითონ უყურებენ, მაგრამ უფრო მეტ სირცხვილს, როცა მათ უყურებენ." ამ ცხორებაში სრულყოფას მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც „იქაურ ნეტარებას განიცდის", ამიტომ მეტი უნდა მოასწრო, როგორც სიტყვით, ისე საქმით ,– გვასწავლის წმ. მამა.

ეკლესიის წმ. მამებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ისეთ პედაგოგიურ პრობლემას, როგორიცაა სწავლის დაწყების დრო. ამ საკითხს შეეხო გრიგოლ ღვთისმეტყველიც: ,,უფრო ადვილია დასაწყისშივე არ მივეცეთ მანკიერებას და თავიდან ავიცილოთ იგი, როცა ჯერ მხოლოდ ჩვენს ახლოს

იმყოფება, ვიდრე ის, რომ აღმოვიკვეთოთ იგი და აღვმაღლდეთ მასზე მაშინ, როცა მანკიერება უკვე ღრმად არის დამკვიდრებული ჩვენში; ასევე ლოდის შეჩერებაც დასაწყისშიც "ეფორ" - აღვილია, ვიდრე იმ დროს, როცა იგი ქვევით მიექანება, " – გვასწავლის წმიდა მამა.

სწავლა–აღზრდის დროულად დაწყებაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ვითარებაში, როგორ გარემოში და თანატოლთა წრეში იზრდება ახალგაზრდა. ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ ერთად გატარებული განსწავლის პერიოდი. ეკლესიის ამ ორმა თვალშუდგამმა სვეტმა მართლაც რომ გაამდიდრეს ერთმანეთის სულიერი სამყარო და გონებრივი შესაძლებლობები. სწორედ ამ მეგობრობაზე და თანამშრომლობაზე მიუთითებს წმ. გრიგოლი: „ვინ დამიბრუნებს მე გარდასულ დღეთა სიხარულს, როცა შენთან ერთად ვიზიარებდი ყველა მწუხარებას? ვინ დამიბრუნებს უწინდელ ფსალმუნთ გალობასა და ღამისთევას, ლოცვით მსხვერპლშეწირვას ღმრთისადმი და თითქოსდა სხეულის გარეშე ცხოვრებას? ვინ დამიბრუნებს ჩვენს ერთობლივ მეცადინეობას საღმრთო წერილის შესწავლაში და იმ ნათელს, რომელიც ჩვენ ერთად შევიძინეთ მასში სულიწმიდის წინამძღვრობით?....მაშ ჩემთან იყავი სულით და შემეწიე მე იმაში, რომ წარვემატო სათნოებათა შორის! შენით უფრო მეტად ვსუნთქავ მე, ვიდრე ჰაერით; და ოდენ იმით ვცოცხლობ, რომ შენ წარმოგიდგენ მარადის ჩემს გვერდით, რაკი შენს სახეს დავატარებ სულში." (ვ. ბურკაძის თარგმანი) იშვიათია მოიძებნოს ისეთი მაგალითი მეგობრობისა, როგორც ორი წმიდა მამის შემთხვევაში მოხდა, თუმცა მსგავსი მაგალითები არც თუ ცოტა იყო ქრისტიანულ სამყაროში. სწორედ ასეთი მეგობართა წრე უწყობდა ხელს კეთილად აღზრდასა და საფუძვლიანი განათლების მიღებას, რაც კარგად იცოდნენ ეკლესიის გამოჩენილმა მოღვაწეებმა და უძველესი ეპოქის ქრისტიანმა მასწავლებლებმა.

პროგრესულად მოაზროვნე ქრისტიანმა პედაგოგებმა და ეკლესიის წმიდა მამებმა თავიდანვე მართებული პოზიცია დაიკავეს წარმართული ცოდნის მიმართ. მათ დასაშვებად მიაჩნდათ ასეთი ცოდნის დაუფლება ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი განმტკიცებული იყო სარწმუნოე-

ბაში. სხვა გამოჩენილ თეოლოგებთან ერთად ასეთი პოზიცია ჰქონდა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველსაც, იგი ამ მხრივ ეჭვო შორს წავიდა და განაცხადა, რომ საერო მეცნიერებათა შეს- წავლა არა თუ ეწინააღმდეგებოდა სასულიერო აღზრდას, არამედ ხელს უწყობდა წარმართთა მავნე სწავლებისაგან თავდაცვაში. სწორედ ამის გამო, მან მკაცრად გაილაშქრა იმ- პერატორ იულიანე განდგომილის წინააღმდეგ, რომელმაც ქრისტიანებს წარმართულ სასწავლებლებში განათლება აუკრძალა: „დაე, ჩემი აღშფოთება სიტყვიერების ყველა მოყ- ვარულმა გაიაზროს, რომელნიც მას ვითარცა წმინდა საქმეს მისდევდნენ,– წერდა გრიგოლ ღვთისმეტყველი,– მათ, ვის შო- რის ყოფნაზე მეც არ ვიტყოდი უარს! რამეთუ სხვა ყოველივე დანარჩენი სხვებს დავუტოვე..... აი, ეს არის პირველი რამ, რაც მე შევიყვარე და რაც ახლაც მიყვარს უპირველესის, ანუ ღვთაებრივის შემდეგ, და იმ სასოებათა შემდგომ, რომელნიც ყოველივე ხილულსა და წარმავალს აღემატება". შემდეგ წმ. მამა იმასაც აღნიშნავს, რომ სასარგებლო ქვეწარმავალთა შხამშიც მოიპოვება და მას წამლის დასამზადებლად ხმარო- ბენ, ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ წარმარული განათლებაც ჩვენივე რწმენის განსამტკიცებლად: „ვფიქრობ, ნებისმიერი გო- ნიერი ადამიანი,–აგრძელებს შემდეგ წმ. გრიგოლი,– დიდ სიკეთედ მიიჩნევს განსწავლულობას. და არა მხოლოდ ჩვენს იმ უკეთილშობილეს ცოდნას, რომელსაც .....მხედველობაში მხოლოდ ცხოვნება აქვს, არამედ გარეგან, საერო განსწავ- ლულობასაც.... ცა, მიწა, ჰაერი და სხვა ყოველივეც, არ უნდა მოვიძაგოთ იმის გამო, რომ ზოგიერთებმა ბოროტად მოიაზრეს ისინი და ჭეშმარიტი ღმრთის ნაცვლად სწორედ მათ მიაგეს პატივი და თაყვანისცემა. პირიქით, ვისარგებლებთ რა მათგან ყველაფერ იმით, რაც ცხოვრებისათვის გვესაჭიროება, ჩვენ თავიდან ავიცილებთ ყოველივე სახიფათოს და არ შევუდგე- ბით უგუნურებთან ერთად ქმნილების დაპირისპირებას შემო- ქმედი ღმრთისადმი, არამედ ქმნილებათა მიერ, პავლე მო- ციქულის სიტყვისაებრ, ვიმსჯელბთ მათ დამბადებელზე, რომლის ძალითაც ჩვენ განმზადებულნი ვიქნებით „დასარდვევად ძნელოვანთა" და უსათუოდ დავარღვევთ „ვინაიდან ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი არ არის, არა- მედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად." (II კორ. 10:4). გრიგოლ ღვთისმეტყველის მსჯელობა წარმართული

ცოდნის შესახებ, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მის სარგებლიანობაზე, მათივე მავნე სწავლების დასამარცხებლად. თუმცა საერო მეცნიერებათა შესახებ კვლავ აგრძელებს საუბარს წმ. მამა და თავის გამოცდილებას გვიზიარებს: „მე ვცდილობდი გარეგანი (საერო) განსწავლულობითაც განმემდიდრებინა თავი, რათა ჭეშმარიტი განათლების დასახმარებლად გამომეყენებინა იგი და რათა ოდენ ცარიელი მჭევრმეტყველების მცოდნენი, მუღერი სიტყვებით რომ მოაქვთ თავი, არ აღმაღლებულიყვნენ ჩემზე და არც თავიანთ ბადეში გავეხვიე მზაკვრული ბრძნობით." წმიდა მამა სწორედ იმ პრაქტიკული მიზნისათვის იყენებდა საერო მეცნიერებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ წარმართები მათივე მეცნიერების გამოყენებით დაემარცხებინათ. ამგვარ მოსაზრებას იზიარებდა ეკლესიის ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორიც ბასილი დიდი იყო, ხოლო იოანე ოქროპირი საპირიპირო იდეებს ავითარებდა, იმის მიუხედავად, რომ განათლება მის მეგობრებთან ერთად წარმართულ სასწავლებელში შეიძინა.

გრიგოლ ღვთისმეტყველის ნააზრევში ვხდებით არა მარტო ზოგად საუბარს საერო განათლების თაობაზე, არამედ კონკრეტულ მსჯელობას სწავლების შინაარსის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა მისი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქმული ბასილი დიდის საფლავზე, რომელშიც ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებიც ერთად შეისწავლეს წმიდა მამებმა ათენის წარმართულ აკადემიაში. მოვუხმოთ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს: „რაგვარი მეცნიერება არ შეუსწავლია მას?!....თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ამ მეცნიერებას ეუფლებოდაო მთელი ცხოვრების განმავლობაში?! ისე ღრმად შეისწავლა მან ყოველივე, როგორც სხვამ არავინ, ერთი მეცნიერებაც კი! თითოეული მეცნიერება მან იმგვარი სრულყოფილებით იცოდა, თითქოს სხვა არაფერი ესწავლოს....ვინ შეედრება მას *მჭერმეტყველებაში*,.... მასავით ვის შეეძლო სათანადო წესები დაემკვიდრებინა *გრამატიკასა თუ ენაში*, მწყობრად დაელაგებინა *ისტორიული* მოვლენები, დაუფლებოდა *ლექსის ზომებს, კანონები დაედგინა ლექსთწყობისათვის?!* ვინ იყო ეგზომ ძლიერი *ფილოსოფიაში,*– ნამდვილად ამაღლებულ ზენასოფლისაკენ მიმართულ *სიბრძნისმეტყველებაში*, და ასევე ფილოსოფიის იმ ნაწილში, რომლის საგანიც *ლოგიკური* დასაბუთებანი და ურთიერთდაპირისპირებანია, აგრეთვე

პაექრობანი, და რომელიც *დიალექტიკად* იწოდება?!... *მკურნალობის მეცნიერება*,...სულ მცირითგან დაიწყო მან, და დიდადაც დახელოვნდა ამ მეცნიერებაშიც....ერთის სიტყვით ეს იყო ხომალდი, იმდენად დატვირთული განსწავლულობით, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებას ძალუძს დაიტიოს". წმიდა მამის მიერ ჩამოთვლილი საგნებიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა ფართო განათლებას იღებდნენ საერო მეცნიერებისაგან თვით ღვთივგანბრძობილი მამები, რასაც სრულყოფილებას სძენდა სასულიერო საგანთა ფართო სპექტრი.

იმის მიუხედავად, რომ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი მომხრე იყო ქრისტიანთათვის ესწავლებინათ საერო საგნები, რომლის თვალსაჩინო მაგალითს თვით წმიდა მამა იძლეოდა, ყოველივე ამას, მისთვის ხელი არ შეუშლია ენერგიული ბრძოლა გამოეცხადებინა, როგორც წარმართებისათვის, ისე ქრისტიანულ საბურველში გახვეული ერეტიკოსებისათვის, ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ საღვთისმეტყველო საგალობლებში ასე მიმართავდნენ წმინდა მამას: „საღვთისმეტყველო სიტყვით რიტორთა ქარგის დამარღვეველო, დიდებულო მამაო, რომელმა ზეგარდმო მოქსოვილი სიშორით შეჰმოსე მართლმადიდებელი ეკლესია, გიხაროდეს, ღვთის სიტყვით აღსავსეო! " (17.84). წმინდანის განდიდებასთან ერთად მოხმობილ საგალობელში, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დიდი ღვთისმეტყველი მაშინვე უდიარებიათ „რიტორთა ქარგის დამარღვეველად", რაც წარმართული მჭევრმეტყველების წინააღმდეგ მის ეფექტურ ბრძოლას უნდა ნიშნავდეს. ცნობილია, რომ თავის მოწაფეებს გრიგოლ ღვთისმეტყველი მუდამ მოძღვრავდა და სულიერი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა: „მხნედ და ძლიერად მსურს ვთქვა, რათა უკეთესნი გახდეთ თქვენ და ხორციელისაგან სულიერისაკენ მოიქცეთ, რათა მართლად აღიმაღლოთ სული თქვენი" (17.84).

საყოველთაოდ აღიარებულია ქრისტიანული ოჯახის უდიდესი მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდაში. ამ გარემოებას და მშობლების როლს აღზრდაში სხვა წმინდა მამასთან ერთად საგანგებო ყურადღებას უთმობდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. ღირსი მამა წერილში „შეგონებანი ოლიმპიადას" საპროგრამო დებულებებს აყალიბებს ცოლ - ქმრული ურთიერთობისა და ოჯახში ზნეობრივი სიჯანსაღის შენარჩუნებისათვის: „უწყოდე, ოლიმპიადა – ძვირფას ქვათაგან შეჭედილ ოქროთი არ

განმშვენდებიან ლედანი; ხოლო ხატებას ღვთისას ნუ დაიფარავ ფერ-უმარილით - ამ სამარცხვინო საკეკლუცოთ და პირ-სახეს შენსას ნუ წარხოც სხვა რამ მომაკვდინებელ ...ებით..... ლედაკაცში ყოველთა ფერთა მშვენიერია კეთილზნეობა, რომელ მყარია და არა სადა დაუტევებს მას მშვენება ესე." – შემდეგ წმ. გრიგოლი შეახსენებს თავის სულიერ შვილს, რომ საჭიროა „უწინარესად თაყვანს სცემდე უფალს და მერმედ მეუღლეს შენსას – რომელ თვალია შენის ცხორების და წინამძღოლი ზრახვათა შენთა." (18.60).

ღვთისმეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი სწავლებასა და აღზრდას უჭირავს, ამიტომ გრიგოლ ღვთისმეტყველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამოძღვრო მასხურებას. იგი სამართლიანად მიიჩნევს მოძღვარს სანიმუშო პიროვნებად, რომელსაც ანგელოზური ბუნება უნდა გააჩნდეს. წმიდა მამა ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებს ზოგიერთ მის თანამედროვე მოძღვარს, რომლებიც არც სულიერებით და არც განათლებით არ გამოირჩეოდნენ, სწორედ ასეთები ბღალავდნენ ამ საპატიო წოდებას , რასაც მოძღვარი ჰქვია. წმიდა მამა სინანულით აღნიშნავს, რომ ისეთი ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან სათნოებას და მორალურად არ არიან მომზადებულნი, თითქმის აღემატებიან რიცხვით იმათ, ვისზედაც ისინი უფროსობენ. ვინც არ იცის რა აკეთოს და ილაპარაკოს, ხშირად გამოდის, რომ მან არ იცის რა ისწავლოს და სხვებს ასწავლის. ამიტომ წმ. მამის აზრით, წარმოუდგენელია სხვისთვის რაიმეს სწავლება მანამ, სანამ მოძღვარი თვით არ განისწავლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ქმედება დაემსგავსება უგუნურთა ქცევას, როცა ისინი სათნოებას ქადაგებენ, მაგრამ მისი არსის შესახებ არაფერი გაეგებათ. წმიდა გრიგოლი კატეგორიულია იმ ახალგაზრდების მიმართ, ვინც ორ-სამ სიტყვას დაიხსომებენ ძველი და ახალი აღთქმიდან და თავს დიდ მასწავლებლად წარმოიდგენენ: „სანამ პირველ თმებს მოიჭრიან და საბავშვო ტიტინს თავს დაანებებენ, წმინდა წერილის სახელებსაც კი ისწავლიან და ასოების გარჩევას ძველი და ახალი აღთქმისა, ორ–სამ სიტყვას დაიმახსოვრებენ სათნოებაზე, ისიც ყურმოკვრით, უკვე თავს ბრძნებად, მწიგნობრებად, სჯულის მოძღვრებად და ცდილობენ სხვა ადამიანები მათ უწოდებდნენ მოძღვრებსა და მასწავლებლებს".

მოძღვარ–მასწავლებლად ჩამოყალიბებისთვის საკმარისი არ არის პრაქტიკული სათნოებების ცოდნა. ამისთვის განსაკუთრებული თეორიული მომზადებაა საჭირო, რაც ხანგძლივი სწავლით მიიღწევა: „ვოქვათ, - წერდა წმიდა მამა, - ზოგნი, რომელნიც არ არიან ამორალურნი და მივიდნენ რადაც განსაკუთრებულ სათნოებამდე, მე მაინც ვერ ვხედავ, თუ შესაბამისი თეორიული ცოდნა არა აქვთ, როგორ აიღებენ თავის თავზე ამ მსახურებას, რამეთუ მართავდე ადამიანს, რომელიც ყველაზე რთული არსებაა, არის ხელოვნებათა შორის უმაღლესი ხელოვნება, მეცნიერებათა შორის მეცნიერება. ამისთვის საჭირო არის გონება, ძალიან ღრმა და ნაზი ცოდნა ადამიანის ბუნებისა და სულისა, გამჭრიახობა და გამოცდილება...." აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველი მოძღვარ–მასწვლებელს მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან წოდებად, რამეთუ სწორედ მათ ევალებათ „ადამიანის მართვა", რაც ყველა ხელოვნებაზე და მეცნიერებაზე აღმატებულია. ამდენად, მასწავლებლის სოციალური სტატუსი განუზომლად მნიშვნელოვანია, ისე როგორც მღვდლის, ამიტომ ამ წოდების დასაუფლელად თეორიულ მომზადებასთან ერთად გამოცდილებაც ე. ი. ასაკობრივი სიმწიფეც აუცილებლად მიაჩნია წმიდა მამას.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველს, მართალია, უშუალოდ სასწავლო სახელმძღვანელო არ დაუტოვებია, მაგრამ მისი მდიდარი თეოლოგიური მემკვიდრეობა საუკუნეების მანძილზე უდიდეს სამსახურს უწევდა ქრისტიანულ აღზრდა – განათლებას, სწორედ ამ თვალშეუდგამი წმიდა მამის თავდადებული მოღვაწეობის შედეგად აღმოსავლეთის ეკლესია ბრწყინავდა საუკუნეების მანძილზე და მასთან ერთად ანტიოქიის ქრისტიანულმა სკოლამაც არნახულ წარმატებებს მიაღწია. წმიდა მამა ღვთისმოშიშების მისაბაძ მაგალითს აძლევდა ყველას. სწორედ მისი ცხოველმყოფელი სიტყვებით დავასრულებთ მასზე საუბარს, სადაც წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ღმერთს ასე შეჰღაღადებს: „მხოლოდ შენ აღძრავ ჩემში ცრემლსა და შიშს, უფალო! ქრისტე, მეუფეო! შენა ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ჩემი ნეტარება, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის! ნეტავ მეღირსოს, ღმერთო, რომ მრავალი ტანჯვისა და მწუხარების საზღაურად განსვენება ვპოვო შენში! " (17.86).

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 5. წმიდა იოანე ოქროპირი

„ასწავა კაცთა სათნოებაჲ და სარწმუნოებაჲ
მართალი და აღიმაღლამცა ქვეყანით ზეცად.”

ანტიოქიის ქრისტიანული სკოლის გამორჩეული წარმომადგენელია წმიდა იოანე ოქროპირი. იგი დაახლოებით 347 წელს დაბადებული ანტიოქიაში. მისი მამა მხედარმთავარი ყოფილა, რომელიც ადრე გარდაცვლილა. მომავალი წმიდანის აღზრდა 20 წლის დაქვრივებულ დედას-ანთუსას უკისრია, რისთვისაც სამაგალითოდ გაურთმევია თავი. ანტიოქიაშივე დაემოწაფა ჭაბუკი იოანე, ცნობილ წარმართ ორატორს და მასწავლებელს-ლიბანიოსს, სწორედ მას მოუთხრო მომავალმა წმინდანმა დედის განსაკუთრებულ ღვაწლზე მის აღზრდაში, რომელმაც თურმე გაოცებისგან წამოიძახა: –ჰოი, ღმერთებო, რა საკვირველნი დედაკაცნი ჰყოლიათ ქრისტიანებსო! შემდეგ ჭაბუკმა იოანემ ლიბანიოსის ხელმძღვანელობით „მცირედ ჟამთა დაისწავლნა ზეპირით უმრავლესნი ფილოსოფოსთა ძველთა წიგნნი, რომელნი-რაჲ პოის კეთილი მათ შინა, მოისთულის, ხოლო ეკლოანი იგი და უნდოჲ განაგდის”. თვით სახელგანთქმული ლიბანიოსიც მოხიბლულა ნიჭიერი მოწაფის წარმატებებით და როცა მას კითხეს, თუ ვის ისურვებდა მემკვიდრედ, არჩევანი იოანეზე შეაჩერა, თუმცა დასძინა, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქრისტიანები მას არ წაგვართმევენო (19.12). სავარაუდოა, რომ ლიბანიოსმა კარგად იცოდა ჭაბუკი იოანეს სულიერი სამყარო, რომელსაც მისი ბიოგრაფებიც გადმოგვცემენ: „და ვითარცა აღიზარდა იოვანე ჰასაკისა და მოიწია სწავლისა ჟამთა წმიდათა წიგნთაგან, მისცეს იგი ერთსა მოძღუარსა, რაჲთა ისწაოს სწავლაჲ. და იყო ერმაჲ ესე ფრიად შემწყნარებელ, და დაისწავლნა მცირედთ, ჟამთა სწავლის მოყუარებითა მით მისითა საღმრთონი წიგნნი. და იყო მის თანა მისი ღმრთისაჲ და დიდი და სიმდაბლეჰ, და აიძულებდა თავსა თვისსა დღე და ღამე სწავლად, ვიდრემდის დაასრულა ყოველი სწავლაჲ” (20.016).

სწავლის გასაგრძელებლად იოანე ათენში მიემგზავრება და საფუძვლიან განათლებას ეუფლება. მალე ღრმად განსწავლულმა მომავალმა წმინდანმა თავისი ორატორული ნიჭის

წყალობით ფართოდ გაითქვა სახელი, მაგრამ მალევე ხელი წარმართული ცოდნის ამაოება და რადიკალურად შეიცვალა ცხოვრების წესი, მოელი არსებით დაიწყო წმიდა წერილის შესწავლა და მალე მოინათლა კიდეც (ზოგიერთი ცნობით იგი ბავშვობაშივე მონათლულა). ათენის მთავარეპისკოპოსმა მისი მღვდლად კურთხევაც გადაწყვიტა, მაგრამ იოანე ანტიოქიაში დაბრუნდა და განდეგილ ცხოვრებას მიჰყო ხელი, რადგან მონოზნობა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა მცირე ხნით ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ დედის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მონასტერშია. აქ დაწერა მან თავისი თხზულებები: „გულის შემუსვრილებისათვის" და „ეპისტოლე თეოდორეს მიმართ".

წმიდა იოანე ყოველთვის გაურბოდა საეკლესიო თანამდებობებს, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქს ფლავიანეს მაინც დაყაბულდა და მღვდლად ეკურთხა. თორმეტი წლის განმავლობაში იგი უფლის სიტყვას ქადაგებდა, რამაც უდიდესი ავტორიტეტი მოუხვეჭა მას, ამიტომაც მადლიერმა მორწმუნეებმა ნეტარ მამას „ოქროპირი" უწოდეს. იოანე რწმენის განმტკიცების გზად ეკლესიას მიიჩნევდა: „...ეკლესია ზღუდეა, თუ ამ ზღუდის შიგნით იმყოფები, მგელი ვერ შეგეხება, ხოლო თუ გარეთ გახვალ, ნადირი მოგიტაცებს. ნუ განეშორები ეკლესიას,–მოუწოდებს ქრისტიანებს წმიდა მამა,–ამ ქვეყნად მასზე ძლიერი არაფერია. ის არის შენი იმედი, მასშია შენი ცხოვრება". მალე იონე კონსტანტინეპოლში მიიწვიეს და იმპერატორის თხოვნით პატრიარქი გახდა 398 წელს. თუმცა ამ თანამდებობაზე მას მრავალი უსიამოვნება შეხვდა, რადგან იოანე ოქროპირი ყოველთვის მკაცრად ამხელდა დედაქალაქში არსებულ აღვირახსნილობას, განსაკუთრებით კი სასახლის კარზე დამკვიდრებულ უზნეობას და ვერცხლისმოყვარეობას. ამ საქმეში განსკუთრებით გამოირჩეოდა დედოფალი ევდოქსია. სწორედ მასთან დაპირსპირების გამო იოანე ოქროპირი ორჯერ გადააყენეს პატრიარქობიდან და გადასახლება მიუსაჯეს პიტიუნტში (კოლხეთში), თუმცა წმიდანმა იქამდე ვერ ჩაადწია და კომანაში (საქართველო, აფხაზეთი) გარდაიცვალა, შემდეგ წმიდანის უხრწნელი ნაწილები 438 წელს კონსტანტინეპოლში გადასვენეს.

იოანე ოქროპირი დიდ საეკლესიო მოღვაწეობას უთავსებდა სამეცნიერო – თეოლოგიურ საქმიანობას. რამდენადაც პედაგოგიკა ფილოსოფიის წიაღში აღმოცენდა, ამიტომ

პედაგოგიკის მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს წმიდა მამის ეთიკური და ფილოსოფიური შეხედულებებიც. აღნიშნულ პრობლემაზე ქართველმა მეცნიერებმაც სერიოზული ნაშრომები გამოაქვეყნეს. მკვლევარი მ. მახარაძე -ამასთან დაკავშირებით წერდა: „იოანე ოქროპირი არსებითად ბიბლიაში მოცემული ზნეობრივი პრინციპების განმარტებას ახდენს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ის არ კმაყოფილდება მხოლოდ განმარტებებით და საკუთარ თვალსაზრისს გვათავაზობს, რაშიც მჟღავნდება მისი სიახლოვე ფილოსოფიასთან. გამომდინარე აქედან, იოანე ოქროპირის შემოქმედება ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიის პოზიციებიდანაც" (21.16). რაც დიდი თეოლოგის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობის პედაგოგიური გააზრებისთვის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

იოანე ოქროპირის პედაგოგიური შეხედულებებიდან წამყვანი ადგილი უჭირავს ბავშვის აღზრდას ოჯახში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ქადაგება „ქრისტიანული ქორწინება", რომელშიც წმიდა მამა საუბრობს იმის შესახებ, რომ მშობლები შვილებზე წარუშლელ კვალს ტოვებენ, ზოგჯერ სწორედ აქედანვე იღებს სათავეს ის უღირსი საქციელი, როდესაც ღვიძლი ძმები ერთად ცხოვრებაზე უარს ამბობენ და მოუთმენლად ესწრაფიან გაყრას. რადგან მშობლებმა ბავშვობიდანვე არ შთაუნერგეს მათ ურთიერთსიყვარული, ერთმანეთის გატანა და პატივისცემა, არც სიტყვით და არც საქმით.

კარგ ოჯახში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. იქ მშობლები ყოველთვის თვალყურს ადევნებენ თავიანთი შვილების მოქმედებას და უშუალოდ აძლევენ მართებულ მიმართულებას, რადგან იციან, რომ კარგად აღზრდილი შვილები სიბერისა და აღსასრულის ჟამს მოხუც, უსუსურ მშობლებს არ მიატოვებენ განსაცდელში. ასეთი მშობლების აღზრდილი შვილები თავადაც კარგი მეუღლეები და მშობლები იქნებიან, რადგან მუდამ ემახსოვრებათ, რომ მშობელთა ლოცვა-კურთხევის გარეშე არასოდეს იქნებიან ბედნიერნი და ვერც მშვიდად იცხოვრებენ (29.209).

იოანე ოქროპირს მიუღებლად მიაჩნია ისეთი მოვლენები, როცა მამა ყველა ღონეს მიმართავს შვილის მატერიალური კეთილდღეობისათვის, ხოლო მისი ღვთის მოშიშებისა და კეთილმსახურად აღზრდისათვის არაფერს აკეთებს.

სწორედ ეს არღვევს ამქვეყნიურ წესრიგს, რადგან ამით მშობლები თვით ბავშვების მიმართ ავლენენ დაუდეგრობას: ზრუნავენ მათ სიმდიდრეზე, ხოლო მათ სულებს, რაზომლაც ივიწყებენ, ეს მეტიმეტად უგუნური საქციელია, – მიაჩნია წმიდა მამას.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლოდ წმისა მამას აღმზრდელის შერჩევა მიაჩნდა, თუმცა მაშინდელი პრაქტიკის მიმართ აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან ყოველთვის როდი აქცევდნენ სათანადო ყურადღებას კეთილგონიერი მასწავლებლების შერჩევას: „დღესდღეობით ცხენებზე და ვირებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე ბავშვებზე. თუ ქირაობენ ვირების მომვლელს, ხშირად არკვევენ: სულელი, ლოთი ან ქურდი ხომ არაა, გამოცდილია თუ არა, ხოლო როცა მასწავლებელი აჰყავთ, ირჩევენ ნებისმიერს და არ ფიქრობენ, რომ ბავშვის აღზრდაზე უფრო ძნელი ხელოვნება არ არსებობს." (23.29). ე.ი. იოანე ოქროპირს ბავშვების აღზრდა გამორჩეულ საქმიანობად, პროფესიად და უფრო მეტიც ხელოვნებად მიაჩნდა: „არ არსებობს უფრო დიდი ხელოვნება, ვირე ბავშვთა აღზრდა" – წერდა ამის შესახებ წმ. მამა. ასეთივე აზრი XVI საუკუნეში განავითარა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელმა იან ამოს კომენსკიმ.

აღმზრდელობით საქმიანობაში იოანე ოქროპირი განსკუთრებულ როლს მოძღვარს ანიჭებს, მაგრამ მოძღვარი დიდად განათლებული და მაღალი ზნეობის ადამიანი უნდა იყოს. სწორედ განათლებული ადამიანის თვისებაა მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა და მუდამ საკუთარ თავზე მუშაობა, რადგან წარმატება დამოკიდებულია არა თანდაყოლილ ნიჭიერებაზე, არამედ სწავლაზე: „მღვდელი უნდა იყოს განათლებული, – წერდა წმიდა მამა, – განსაკუთრებით უნდა ერკვეოდეს წმინდა წერილსა და წმინდა დოგმატებში, იყოს გამოწრთობილი კამათებში, რადგან გამოუცდელობით ბევრი ადამიანი მიდის დაღუპვამდე. მღვდელმა და კანდიდატმა უნდა იმუშაონ სიტყვის, ნიჭის განვითარებაზე. ეს ნიჭი დამოკიდებულია არა ადამიანის ბუნებით ნიჭზე, არამედ სწავლაზე. განათლებულმა ადამიანებმა მეტი უნდა იშრომონ, ვიდრე გაუნათლებელმაო" – გვასწავლის წმ. იოანე ოქროპირი.

აღმზრდელმა სიბრძნის წყაროდ აბსოლუტი ღმერთი უნდა მიიჩნიოს, რადგან მისგან მომდინარეობს უმაღლესი ჭეშ-

მარიტება: „ბრძენი რომ იყო, საკმარისია ღვთის შიშს და ამა სოფლის საკითხების სწორად შეფასების უნარს ფლობდეს; რადგან სიბრძნის მწვერვალი სწორედ ის არის, რომ [illegible] ღირებული საგნებისადმი არ მიისწრაფოდე" (29.32-33), – გვასწავლის წმ. მამა, თუმცა ასეთი რჩევა სულაც არ გამორიცხავს, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვანი საკითხებისადმი ყურადღების მოდუნებას, რადგან აღზრდა–განათლებაში, იოანე ოქროპირის აზრით, არ არსებობს წვრილმანი: „ალბათ მრავალს გაუკვირდება, რომ ჩვენ ამ წვრილმანებზე ვზრუნავთ... და სწორედ ის, რასაც ჩვენ წვრილმანს ვუწოდებთ, ყველაფერს ანგრევს და აფუჭებს." (20: 11, 22, 23, 24, 29, 47).

შვილების აღზრდაში უპირველესი მოვალეობა მშობლებს ეკისრება. იოანე ოქროპირი საგანგებოდ აღნიშნავს: „ღმერთმა იმისთვის შთაუნერგა მშობლებს შვილთა სიყვარული, რომ მათი სახით ბავშვებს სათნოებათა მასწავლებლები ჰყოლოდათ. მარტო ბავშვის მუცლად ტარება კი არ შექმნის ადამიანს დედად, არამედ კეთილი აღზრდაც" (2.17). ამიტომ აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს იგი, არა მარტო ცალკეულ ინდივიდთა ზნეობრივ ფორმირებაში, არამედ საზოგადოების მორალურ გაკეთილშობილებაში: „თუკი კარგად აღზრდი შენს ძეს, – წერს იოანე ოქროპირი,–ის კი თავისას და მისი ძეც–თავის შვილებს და თუ ასე მოიქცევა ყველა, მაშინ მშვენიერი ცხოვრების რიგი სამარადუამოდ გაგრძელდება. მამები რომ გულმოდგინედ ზრდიდნენ თავიანთ შვილებს, მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო არც კანონები, არც სასამართლოები, არც დამნაშავეთა დასჯა–წამება." აქ აშკარად აღზრდის როლის უნივერსალიზაციასთან გვაქვს საქმე, რაც მოგვინებით სხვა მოაზროვნეებმაც გაიმეორეს მცირეოდენი სახეცვლილებით.

ღირსმა მამამ კარგად იცის, რომ აღზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულ რეაგირებას. ამიტომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვევების განვითარებას, რადგან ადრეულ ასაკში ბავშვი „არაჩვეულებრივად ადვილი სამართალია", ხოლო როცა აღზრდაში ვაგვიანებთ, მავნე ჩვევები „აღწევენ ბუნებრივი უნარის მდგომარეობას" (29.16). იმ ზნეჩვევებს, რომლებიც ყრმობისას უნდა შეიძინოს მოზარდმა, მოწიფულობისას ვერ დაეუფლება, ამიტომ, ყოველ ასაკობრივ

საფეხურს თავისი ამოცანა აქვს. ასეა მავნე ჩვევებს აღმოფხვრის შემთხვევაშიც. სწორედ ამის თაობაზე იოანე ოქროპირი წერდა: „განა შენი შვილი თავიდანვე შენთან არ დავამკვიდრე?–გკითხავს უფალი; არ დაგადგინე მის მეძღვრად, მზრუნველად და პატრონად? განა სრული ძალაუფლება არ მოგეცი მასზე; ჩვილ ასაკში გიბრძანე მისი ჩამოყალიბება და წარმართვა! რას იტყვი შენ? - იმას, რომ იგი აულაგმავი და ჯიუტია? ეს დასაწყისში უნდა გაგეთვალისწინებინა, როდესაც იგი ნორჩი იყო აღსაზრდელად და ადვილად უნდა აგელაგმა, გულმოდგინედ გესწავლებინა თუ რა ევალებოდა, გამოგესწორებინა და დაგესაჯა სულიერი მანკიერებების გამო. ყოველგვარი ეკალი ბავშვს ხელსაყრელ დროს უნდა ამოვაძროთ, სათუთ ასაკში ის უფრო ადვილი მოსაცილებელი და მოსაშუშებელია, რათა უყურადღებოდ დატოვებული ვნებები არ გაძლიერდნენ და არ გახდნენ ძნელად გამოსასწორებელნი, ამიტომ ამბობს ბრძენი: „არიან თუ შენდა შვილნი, სწავლენ იგინი და მოუდრიკენ სიყრმითგან ქედნი მათი" (ისუ ზირაქი, 7;25).

წმ. მამა მოზარდის აღზრდაში სასარგებლოდ მიიჩნევს დასჯისა და წახალისების მეთოდების გამოყენებას: გაკიცხვა, დამცირება, მუქარა, გაფრთხილება, შექება, შეშინება, დასჯა (ფიზიკურიც), მისი აზრით, ბავშვის აღზრდას ემსახურება. ამასთან დაკავშირებით იგი ასეთ რჩევას იძლევა: თუ შვილი ცუდ რამეს სჩადის „დააბი ცოდვილო... თუ შენ მას შეკრავ, მაშინ უფლისაგან აღარ იქნება იგი შეკრული. თუ არ შეკრავ, მაშინ მას უფალი სამუდამოდ შეკრავს..." (29.39). ამასთან ერთად, საჭიროა კარგად დაფიქრება და სასჯელი შემდეგ უნდა აღსრულდეს. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს აგრეთვე წახალისებასაც. თუმცა სასჯელის შიშიც, მისი აზრით, დადებითად მოქმედებს მოზარდზე. სწორედ ბავშვის სიყვარულია ის ძალა, რომელიც მისთვის სწორი გზის მისაცემად, ბავშვის დასჯას აიძულებს აღმზრდელსო,– მიაჩნია წმ. მამას. ამიტომ სანამ უფალი მოგკითხავს, მანამ მამამ უნდა აღზარდოს შვილი, რადგამ მას ჩააბარა იგი უფალმა აღსაზრდელად: „დააბი იგი იმ თოკით, რომელიც შესაფერისია მის გამოსასწორებლად" (29.32).

იოანე ოქროპირი შვილების მკაცრ დასჯასაც არ ერიდება, როცა ისინი ამას იმსახურებენ, რაგან, მისი ღმა

რწმენით, ასეთი მოპყრობა თვით ბავშვებისთვის არის საოგბ-ლობის მომტანი. მხოლოდ დარიგება ყოველთვის არ არის საკმარისი,- გვასწავლის წმიდა მამა,- საჭიროა ბავშვს უდიდესი შიში ჩაუნერგო, რათა მისი ყმაწვილური უხრუნ-ველობა აილაგმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მან საბედისწერო რამ ჩაიდინოს, ასეთ შემთხვევაში მამები უნებუ-რად საკუთარი შვილის მკვლელნი ხდებიან, რადგან უმკაცრეს ზომებს არ მიმართავენ დაუდევარი ბავშვების მიმართ და ღვთისადმი კეთილმოშიშებას არ ითხოვენ მათგან. ასეთი ბავშ-ვები ხშირად სიკვდილითაც ისჯებიან, ამიტომ, გთხოვთ და გემუდარებით,– მოუწოდებს ღირსი მამა მშობლებს,–უდიდესი მზრუნველობით მოეპყარით ბავშვებს და გამუდმებით იღვაწეთ მათი სულის გადარჩენისათვის. შენ ხარ მოძღვარი მთელი ოჯახისა და შენ ჩაგაბარა უფალმა ცოლიცა და შვილიც. შემდეგ მოყავს პავლე მოციქულის სიტყვები ცოლზე: „ხოლო უკეთუ სწავლის რაიმე უნდეს, სახლსა შინა თვისთა ქმართა ჰკითხევდ მათ” (I კორ. 14:35): ხოლო შვილებზე კი ბრძანებს: „განზარდეთ იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაჲთა” (ეფეს. 6:4).

დიდი ღვთისმეტყველი შემდეგ უფრო შორს მიდის და აღზრდას განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მისი აზ-რით, მამები რომ გულისხმიერებით ეკიდებოდნენ აღზრდის საქმეს, მაშინ საჭირო არ იქნებოდა კანონები, სასამართლოები, სასჯელები, არც წამებანი და სახალხოდ სიკვდილით დას-ჯანი, მაგრამ ზედმეტად მიმტევებელი მშობლები გან-საცდელში აგდებენ შვილებს, იმის გამო, რომ დროზე არ იზ-რუნეს ყმაწვილთა ვნებების დაოკებაზე. აქვე წმიდა მამა იმა-საც აღნიშნავს, რომ ასეთი დამოკიდებულება შვილების მი-მართ იმას კი არ გულისხმობს, რომ ულმობელნი ვიყოთ შვილების მიმართ, არამედ ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ მათ აბუნად არ აგვიგდონ. თუკი ცოლს უნდა ეშინოდეს ქმრისა, შვილს–მითუმეტეს.

იოანე ოქროპირი აღზრდაში ორ ეტაპს გამოყოფს, ერ-თია ბავშვების მორიდება მავნე სანახაობებისადმი, რომელიც თავისუფლებს ყოველგვარი მანკიერებისგან მოზარდის ჩვევებს და მეორე ეტაპზე აუცილებელია „ბავშვის მორალური ცხოვრება სწორი გზით წარვმართოთ” (29. 11)

წმიდა იოანე ოქროპირი ერთმანეთს ადარებს გარეგნულ განათლებას და შინაგან აღზრდას და მთელი კატეგორიულობით გმობს გარეგნულ ეფექტებს და მოჩვენებიან ღვთისმსახურებას. ყოველგავარი მანკიერება,–მიაჩნია წმიდა მამას, – ჩვენივე უზრუნველობის გამო იბადება, რადგან თავიდანვე შვილებს არ ვაჩვევთ ღვთისმოშიშებას, მხოლოდ იმისთვის ვზრუნავთ, რომ მათ გარეგნული განათლება მივაღებინოთ, ამისათვის მათ ვგზავნით სამხედრო სკოლაში, მაგრამ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ისინი ანგელოზთა მეუფებისათვის იყვნენ სასარგებლონი. სანახაობებზე წასვლის უფლებას ხშირად ვაძლევთ, ხოლო ეკლესიაში სიარულს არასოდეს არ ვაიძულებთ, ბავშვი ტაძარში ერთი–ორჯერ კიდეც რომ მივიდეს, მაინც ამაო და უსარგებლოა მისი იქ ყოფნა, რადგან იგი ამით მხოლოდ ერთობა. არა, ასე არ უნდა იყოს, არამედ როგორც სასწავლებელში მოსიარულე ბავშვს ვთხოვთ ნასწავლის ანგარიშს, ასევე უნდა მოვიქცეთ, როცა მათ ეკლესიაში ვგზავნით,–გვასწავლის იოანე ოქროპირი. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მითითება, რომ წმიდა მამამ კარგად იცის სწავლებაში და აღზრდაში სისტემატურობისა და თანამიმდევრულობის შესახებ, რაც პედაგოგიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. მხოლოდ სტაბილურ და მიზანმიმართულ სასწავლო-აღზრდელობით მუშაობას შეუძლია დადებითი შედეგების მოცემა, რასაც თან უნდა ახლდეს შედეგების ასევე სისტემატური შემოწმება, ამიტომ სწავლა და აღზრდა, სახლში თუ ეკლესიაში, სისტემატური კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, ამიტომ მიაჩნია წმიდა მამას, რომ ბავშვები ეკლესიაში თავად მამებმა უნდა ატარონ და შემდეგ მოსთხოვონ, რამდენად დაიმახსოვრეს ეკლესიაში ნაქადაგები და მოსმენილი. ამდენად, მისი აზრით, ადვილი და მოსახერხებელი იქნება ბავშვის გამოსწორება, რადგან თუ ისინი სახლშიც მოისმენენ კეთილგონიერ რჩევებს, მაშინ ეკლესიაში და სახლში მიღებული მოძღვრება ერთმანეთს შეავსებს და უმალ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, თუ ასე არ მოიქცევიან მამები და მზრუნველობას არ გამოიჩენენ თავიანთი შვილების მიმართ, მაშინ ისინი საერო კანონებით გასამართლდებიან.

აღზრდაში დიდი როლი ენიჭება ვარჯიშს: „ვარჯიში წარმოადგენს აღზრდას. სწორედ ვარჯიშის წყალობით ძლიერდება შეჯიბრში მონაწილე და ხდება დაუმარცხებელი

ბრძოლაში" – ვარჯიში, მისი აზრით, უმთავრესია აღზრდაში. (29. 27).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ოქროპირმა ქალთა აღზდასაც მნიშვნელობა მიანიჭა, როგორიც ვაჟებისას. მის თხზულებაში „ამპარტავნებისა და ბავშვთა აღზრდის შესახებ" პირდაპირი მიმართვაა: „დედებო, ეცადეთ, რომ ამავე ხერხით აღზარდოთ თქვენი ქალიშვილები" (29.33). ხოლო მათეს სახარების 49-ე ჰომილიაში განმარტავს, რომ „ეს ეხება არა მარტო ვაჟებს, არამედ გოგონებსაც, რადგან ისინიც სჩადიან იმავე ცოდვებს". წმიდა მამის აზრით, ქალის და კაცის მოვალეობათა განსხვავების მიუხედავად, ქალს მაინც დიდი ამოცანა აქვს: „თუმცა მას ხელთ არ ეწიფება საზოგადო საქმეების მოგვარება, მაგრამ ბავშვების, ჩვენი ყველაზე უფრო ძვიფასი საუნჯის აღზრდა კი ძალიან კარგად შეუძლიათ", ხოლო ცოლის ზნეობაზე პასუხისმგებლობას იგი ქმარს აკისრებს.

იოანე ოქროპირი დადებითადაა განწყობილი ბერული ცხოვრების მიმართ, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იძულებით, წმინდა მამისთვის მთავარია სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბება, რომელმაც სააქაო სიცოცხლით უნდა დაიმსახუროს ჭეშმარიტი ქრისტიანის სახელი: „აღზარდე ქრისტესათვის მებრძოლი და ასწავლე ამა სოფელშიც ღვთის შიშით იცხოვროს ყმაწვილობიდან... მაგრამ იგი არც მეტად რბილი უნდა იყოს, არც მეტად ველური, ის ხომ ერთი მხრივ კაცია, მაგრამ მეორე მხრივ ადამიანი" (29:1,27).

იოანე ოქროპირი მონასტრული აღზრდის აპოლოგეტად რჩება, რადგან მისი აზრით, საერო სკოლაში არსებული მდგომარეობა სულის მარგებელი არ იქნება ბავშვისათვის: „საზოგადოებრივი სკოლები საიმედო რომ იყოს, კი არ დავატოვებინებდი ახალგაზრდებს, არამედ კიდევაც ვიტყოდი, რომ იქ დარჩენილიყვნენ და იმათ დავტუქსავდი, ვინც, როგორც ქვეყნის მტერი განმარტოებულ ცხოვრებას მოითხოვდა და საზოგადოებისათვის დიდი სიკეთის მოპარვას შეეცდებოდა, მაგრამ, რადგანაც ამგვარი სკოლა არ არსებობს, რა სარგებელი მოაქვს სასწავლებლად ბავშვების გაშვებას, სადაც მჭევრმეტყველებიდან უკეთურებას შეისწავლიან, და მხოლოდ უმცირესს მიიღებენ, მაშინ როდესაც უდიდესს დაკარგავენ, სულის სიჯანსაღეს და ძალას". .....შემდეგ კვლავ აგრძელებს ამ აზრს და დასძენს: „მე არ მინდა არც ბავშვები დავაბრკოლო სკო-

ლაში სიარულისგან და არც უფროსები საზოგადოებრივი საქმიანობისგან, მაგრამ უღირს სკოლაში არ უნდა დადიოდნენ", წერდა წმიდა იოანე მეოთხე სიტყვაში ანას შესახებ.

ამდენად, ბავშვის აღზრდაში გადმწყვეტი მნიშვნელობა წმ. მამის აზრით ოჯახს ეკისრება, მაგრამ მათთან ერთად მიშვნელოვანია სამონასტრო აღზრდაც.

იოანე ოქროპირს ზოგადპედაგოგიკურ შეხედულებებთან ერთად გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრებები დიდაქტიკის საჭირბოროტო პრობლემების ირგვლივ, ამ მხრივ, მისი თვალსაწიერის სფეროშია, როგორც სწავლის საწყისი პერიოდი, ისე მისი შემაჯამებელი საფეხურიც. წმიდა მამა დიდ ყურადღებას იჩენს მცირეწლოვანი ბავშვის მიმართ, რადგან კარგად უწყის, რომ კეთილისა და ბოროტების „დამტკიცების ჟამი" სწორედ ამ ასაკზე მოდის, ამიტომ სწავლის დაწყების საუკეთესო პერიოდი სწორედ ადრეული ბავშვობაა: „რამეთუ იგი ჰასაკი ჩვილთაჲ უმეტესად შემძლებელ არს მიღებად სწავლათა სილბოჲსათვის ბუნებისა მათისა, ვითარცა ცვილმან ლბილმან მიიღონ კეთილად ბეჭედი, და კუალად ამისთვისცა რამეთუ ჰასაკსა მათსა აქვს ჟამი დამტკიცებისაჲ, გინა თუ კეთილსა ზედა, გინა თუ ბოროტსა" (25.24). ავტორს მხედველობაში ის გარემოება აქვს, რომ ბავშვობაშივე შეიძლება მოზარდის სული მიიდრიკოს სიკეთის ან ბოროტების მხარეზე, ამიტომ მიაჩნია მას მართებულად აღსაზრდელისათვის ჭეშმარიტი გზის გაკვალვა, რადგან სიკეთე და სათნოება შემდგომში ჩვევად ექცეს: „შეექმნას მას სათნოებაჲ ბუნებად და არღარა ენებოს კეთილისაგან მიდრეკად, რაჟამს ჩვეულებაჲ სათნოებისა მიმართ მიჰზიდვიდეს" (25.24).

იმის მიუხედავად, რომ სწავლის დაწყებისათვის საუკეთესო დრო სწორედ ადრეული ბავშვობაა, დიდმა თეოლოგმა ისიც კარგად იცის, თუ რა სიძნელეები ახლავს სწავლის დაწყებას, თუმცა ამ პროცესს კეთილი შედეგიც გარანტირებული აქვს: „სასასა ჩვენსა მწარედ ჩნდეს წამალი იგი სწავლისაჲ, არამედ გვიხარობდენ, რამეთუ უკანაჲსკნელ ფრიად ტკბილი ნაყოფი მოგვეცეს ჩვენ" (25.24). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართველი კლასიკოსი დავით გურამიშვილი, რომელიც გვაფრთხილებდა იმის შესახებ, რომ „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების", ამიტომ, სიძნელეთა მიუხედავად, სწავლა–განათლება ჭაბუკებმა

დროულად უნდა მიიღონ: „სულ ადრეული ასაკიდანვე დაიწყეთ მათთვის იმ სიმდიდრის დაუნჯება, ზეციური ცხოვრებისათვის რომ არის სჭირო, ისე, რომ არც მიწაში დაფლავა ეჭირო და არც ვერცხლის შეგროვება დაიწყოთ, არამედ ბავშვის სული გაამდიდროთ სიმშვიდით, ურისხველობით, კეთილკრძალულებით, სიდინჯით და ყველა სხვა სათნოებით," – მოუწოდებდა წმიდა მამა აღმზრდელებს.

ცოდნის დაუფლებას საოცრად რაციონალურად უდგება იოანე ოქროპირი, მისი აზრით, შეძენილი ცოდნა აუცილებლად უნდა გამოიყენოს ადამიანმა, რადგან ამის გარეშე მას აზრი არ ექნებოდა. მან, ვინც ისმენს და სწავლობს ღვთის სიტყვას, უფლისმიერ გზას უნდა მისდიოს: „რაჲ არს სარგებელი სმენისაჲ, უკეთუ წარხულეთ, და ვითარცა არა გასმიოდა, ესრეთ არარაჲ იცოდით?" (25.22). იოანე ოქროპირის ამ სიტყვებით საინტერესო პარალელს ავლებს მკვლევარი გ. მურღულია (26). შოთა რუსთაველთან:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა,

მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა."

ასეთივე პარალელს ხედავს გ. მურღულია იოანე ოქროპირის მართლის თქმის პრინციპებსა და დავით გურამიშვილის მოსაზრებათა შორის, კერძოდ, მას მოჰყავს იოანე ოქროპირის მიერ დამოწმებული მაცხოვრის სწავლება „...ესრეთ ადვილ-ყო სიტყუაჲ თჳსი, ვიდრეცა ყრმათაცა მცირეთა მიერ საცნაურ არიან, რამეთუ ჭეშმარიტ არიან და საჴმარ ყოველთათჳს.... და ყოველ სოფელი მიიზიდა მისა მიმართ." (25.16). ამას უკავშირებს დ. გურამიშვილის ცნობილ სიტყვებს: „ამისთვის მე არ შევძეძვე, რაც დავრგევ იგავთ ხე ველად, უფრო ადვილად აღვლიან ზედ ყრმანი დასარხეველად."

წმ. იოანე ოქროპირის აზრით, რადგან განათლება ღვთიური სიტყვის მოსმენა და გააზრებაა, რაც ზეცასთან ზიარებას, ღვთის სადიდებელი სათნო ცხოვრების ძიებას გულისხმობს, ბუნებრივია, წმ. იოანე ოქროპირი საგანგებოდ დიდ ყურადღებას აქცევს ნებისყოფის და ყურადღების კონცენტრაციას. თუკი ნებისმიერი წუთისოფლური საქმის შესწავლა სათანადო ძალისხმევას მოითხოვს, მითუმეტეს

საღვთო სიტყვასთან ზიარება, ზეციურ ჭეშმარიტებასთან მიახლება განუზომლად დიდ ყურადღებას და განწყობას მოითხოვს: „უკეთუ წინწილსა და ფანდურს ვერვინ დაისვავლის, უკეთუ არა ყოველი გონებაჲ თვისი მუნ შეშჭვალოს, ვითარ შეეძლოთ საღმრთოთა ამათ საიდუმლოთა დახსნილობით სმენად?" (25.10).

წმ. იოანე ოქროპირისთვის მისაღები არ არის პითაგორას და პლატონის ბუნდოვანი სენტენციები, ეს მით უფრო მიუღებელია მაშინ, როცა საქმე ბავშვის სწავლებას ეხება. ამიტომ მისთვის მისაღებია მხოლოდ ნათლად და გასაგებად მიწოდებული ცოდნა, როგორც ამას თვით მაცხოვარი აკეთებდა: „ესრეთ ადვილ–ჰყო სიტყვაჲ თვისი, რამეთუ ჭეშმარიტ არიან და სახმარ ყოველთათვის და ყოველი სოფელი მიიზიდა მისა მიმართ."

მართალია, ადრეული ქრისტიანობის დროს პედაგოგიკის და დიდაქტიკის პრინციპები გასაგები მიზეზების გამო ჩამოყალიბებული არ იყო, მაგრამ ქრისტიანული სწავლება კარგად იცნობდა და პრაქტიკულად იყენებდა ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, როგორიცაა: ცოდნის მისაწვდომობისა და დასაძლევობის, სწავლების თანამიმდევრობისა და სისტემატურობის, ნებისყოფის ჩამოყალიბების, ცოდნის მტკიცედ დაუფლების პრინციპები.

სწავლებაში წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვით სწავლის მიმართ ინტერესის აღძვრაზე. რაშიც დიდ როლს ასრულებს მასწავლებელი, რომელსაც თავად უნდა ჰქონდეს გათავისებული შესასწავლი მასალა: „თუ ჩვენ თავად არ ვართ ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებაში დარწმუნებულნი, როგორ უნდა დავარწმუნოთ სხვები ?" ლოგიკურ კითხვას სვამს წმ. მამა.

გასათვალისწინებელია კავშირი ცოდნასა და რწმენას შორის, წმ. იოანე ოქროპირის აზრით, „განსაკუთრებით მაშინ გვწამს, როცა ვგებულობთ მიზეზს, თუ რა რატომ ხდება", რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო. ვიდრე სწავლას დავიწყებდეთ, მასწავლებელმა აუცილებლად მხედველობაში უნდა მიიღოს მოწაფის გონებრივი მომზადემის დონე და მისი შესაძლებლობები. წმიდა იოანე ოქროპირს დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით შევუდგეთ სწავლებას, რომლის დროსაც აუცილებლად იმ დოზით უნდა ვას-

წავლოთ, რამდენსაც აითვისებს ადამიანი: „ამისათვის მცირედ–მცირედ გითხრობ თქვენ, რაჲთა შეძლოთ ადვილად სწავლად ყოველსავე და არა დაგავიწყდებოდის....უდებსა და დახსნილსა ადრე მოეწყინების და მცირედი დიდად, ანუ ადვილი –ძნელად." (25.216). დიდმა მოძღვარმა ისიც კარგად იცის, რომ უდებისთვის ანუ ზარმაცისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე დოზებად სწავლებას, რადგან მათთვის ძალიან ადვილიც, ძნელად შესასწავლია, ამიტომ, სწავლება მარტივიდან უნდა იწყებოდეს. აღსანიშნავია აგრეთვე ციტირებული ტექსტის ის მონაკვეთი, სადაც მინიშნებულია ზარმაც მოწაფეებზე. ე. ი. იოანე ოქროპირი ითვალისწინებს მოწაფის ინდივიდუალურ თავისებურებებს სასწავლო პროცესში. მისთვის დასაშვებია, როგორც ბეჯითი, ისე ზარმაცი მოწაფის არსებობა, რომელთა მიმართ ერთნაირი მიდგომა უშედეგო იქნება, ამიტომ მასწავლებელი მათ სხვადასხვაგვარად უნდა მოექცეს. შემდეგ ყურადღება გამახვილებულია მისაწვდომობაზე სწავლებაში, რიგიანმა მასწავლებელმა: „სწავლად ახლად მოსრულათა ყრმათა მოძღვარნი არცა შინა ფრიადსა სწავლას მიუთხრობენ, არცა დასდებენ მათ ზედა მძიმეთა ტვირთთა სწავლათა, არამედ მცირედ-მცირედ ასწავლონ მათ და ერთსა სიტყუასა მრავალგზის უთხრობენ, რაჲთა ესრედ კეთილად შევიდენ სწავლანი იგი გონებად მათთა და რაჲთა არა შეშინდეს პირველსავე დაწყებასა ფრიადთა მათ სწავლათაგან და იწყონ უდებება...." (25.21).

იოანე ოქროპირი კონკრეტულად მიუთითებს, რომელ ასაკში რა სახის ბიბლიური მოთხრობები უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, ამასთან ერთად, არ უნდა დაირღვეს სწავლებაში თანამიმდევრობა და ძველად შესწავლილსა და ახალ მასალას შორის კავშირი(ძველ და ახალ აღთქმას შორის). წმ. მამისთვის უცხო არ არის ინტერესის გაღვივება სწავლისადმი და შესწავლილის მტკიცედ შეთვისება, რასაც მისი აზრით, ხელს უწყობს კითხვების დასმა, ანუ დიალოგი ბავშვთან. ასევე საინტერესოა მისი რჩევა იმის თაობაზე, რომ ძნელად გასაგები ადგილები საგანგებოდ უნდა იქნეს განმარტებული. სწორედ მან მოგვცა ამის მაგალითი, როცა წმინდა წერილის განმარტებები შემოგვთავაზა.

ასაკობრივი განვითარების შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს სწავლება: ჯერ კიდევ ყრმას, რვა-ათი წლის

ასაკში ასწავლე წარღვნის შესახებ, სოდომის დანგრევა, მოუყევი ეგვიპტის ამბები და საერთოდ ისტორიები დვიის სამსჯავროს შესახებ, 15 წლიდან კი გააცანი სწავლება სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ. ასაკის მომატებასთან ერთად უნდა მოხდეს ახალი ისტორიების ნელ-ნელა მიწოდება, რათა უფრო ადვილი გახდეს ყველაფერი (29. 23).

იგი უფრო დაწვრილებით მითითებებსაც იძლევა: თუ როგორ უნდა შევისწავლოთ კაენისა და აბელის, ესავისა და იაკობის თავგადასავალი, ან კიდევ – დიდი მასალა ნაწილ-ნაწილ უნდა ვასწავლოთო. აბსტარაქტული მასალები კონკრეტულის საფუძველზე შეისწავლება ანუ გადასვლა ახლობლიდან შორეულზე უნდა მიმდინარეობდეს.

ყოველგვარი სწავლება საბოლოო შედეგით ფასდება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შესასწავლი მასალის ნაწილ-ნაწილ მიწოდებას მოწაფეებისათვის. ასეთი მუშაობა დიდ ნებისყოფას მოითხოვს, რადგან ცოდნის შედეგი რამდენიმე წლის შემდეგ გახდება თვალსაჩინო, თუმცა აჩქარება მაინც არ ეგების, რადგან ცოდნის ერთბაშად შეძენა ისევე არ შეიძლება, როგორც კედლის აშენება, სწორედ ამას გვასწავლის ღირსი მამა: „არა ყოველსავე ერთბაშად გეტყვით, რაჲთა კეთილად და ადვილად შეუძლოთ თქმულთა მათ დამარხვად, რამეთუ რომელი–იგი კედელსა აღაშენებს და ვიდრე ერთი ქვაჲ არა დაამტკიცოს სხუაჲ დადვის თუ მის ზედა იგი უხმარსა კედელსა აღაშენებს. ხოლო რომელი პირველდადებულთა მათ ქვათა დაამაგრებდეს, და ესრეთ სხუათა დასდებდეს, იგი მტკიცე და შეურყეველყოფდეს ნაშენებსა მას ნელად და კეთილად გებისა მისითა. და ჩვენცა უკვე ვჰბაძვიდეთ ესევითარსა მათ მაჰშენებელთა და ესრეთ სახედ აღვაშენებდეთ სულთა თქვენთა, რამეთუ გუეშინის, ნუუკუე ვიდრეცა პირველაღშენებული იგი არა განმტკიცებულ იყოს, სხვაჲ მოვაწიოთ მის ზედა სიღრმე სიტყუიღაჲ და ვერ იტვირთოს გონებამან იგი ყოველი, რაჲ არს უკუე, რომელი–ესე დღეს აღმოვიკითხედ.” (25.21).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესწავლილის ცხოვრებაში გამოყენებას, ანუ შესწავლილის გათავისებას. ამის თაობაზე შესაქმეს I თავის VIII ჰომილიაში წერს: „ყოველი მასწავლებელი დიდი სიხარულით გადასცემს საკუთარ ცოდნას, როდესაც ხედავს, რომ ბავშვები ყოველივეს

მეხსიერებაში ჩაიბეჭდავენ და ნაყოფი კი მათ საქციელში გამოსჭვივის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების შინაარსთან დაკავშირებით იოანე ოქროპირს ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს სასულიერო განათლების სასარგებლოდ. მთავარი პედაგოგიური პრობლემა, რომელიც გარკვეულ ზღვარს ავლებს ეკლესიის წმიდა მამათა შეხედულებებში, არის მათივე დამოკიდებულება წარმართული ფილოსოფიისადმი. იმის მიუხედავად, რომ იოანე ოქროპირის მასწავლებელი სახელოვანი ლიბანიოსი იყო და იგი ათენის წარმართულ აკადემიაში განისწავლა, მან ზურგი აქცია ანტიკურ ფილოსოფიას და მიემხრო ტერტულიანეს მოწოდებას – „იერუსალიმი და არა ათენი", რომლის საპირისპირო თეორია განავითარა კლიმენტი ალექსანდრიელმა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევდა „იერუსალიმსაც და ათენსაც".

ამასთან დაკავშირებით ასეთ აზრს ავითარებს მკვლევარი ს. ლობჟანიძე, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ: „წმ. იოანე ოქროპირი ქრისტიანთათვის საზიანოდ მიიჩნევს ბერძნული ფილოსოფიის შესწავლას არა მარტო იმიტომ, რომ იგი მასში ვერ ხედავს ჭეშმარიტების მარცვალს, არამედ იმიტომაც, რომ ფილოსოფია ადამიანს უნერგავს ლოგიკური აზროვნების უნივერსალურობის რწმენას, მაშინ როდესაც, ადამიანის ლოგიკა სრულიად გამოუსადეგარია ღვთაებრივ საიდუმლოებათა წვდომის საქმეში". (27.78). ამავე საკითხთან დაკავშირებით ასეთივე პოზიცია დაფიქსირებულია ფილოსოფოსების მხრივაც: „რწმენა არის უმაღლესი ცოდნა, უმაღლესი ჭეშმარიტება, რაც ამქვეყნიურ საგნებსა და მოვლენებს კი არ ეხება, არამედ ზეციურს, ღვთიურს. ამიტომაა, რომ მის გასაგებად ადამიანის გონება არ გამოდგება. იგი არასრულფასოვანი და არასრულყოფილია მის მისაღებად. ერთადერთი ორგანო, რომლითაც ადამიანი შეიძლება „წვდეს" რელიგიურ რწმენას, არის ღვთიური მადლით გაცისკროვნებული და ღვთიური სიყვარულით სავსე გული." (28.325). გამოდის, რომ თანამედროვე სეკულარულ მსოფლიოშიც მეცნიერება რწმენის პრიმატის აღიარებამდე მიდის, ამიტომ ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ნეტარი მამის მოსაზრება, რომელიც განათლების უმთავრეს ამოცანად საღვთო წიგნების შესწავლას თვლის, რადგან „ვერავინ ვერ ასწავლის ადამიანს ისე, როგორც ღმრთის სიტყვა..,– მოგვი-

წოდებს წმ. მამა,–გევედრებით ყველას, ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებას ხართ მიჯაჭვულნი: მოისმინეთ ღმერთის სიტყვა, წაიკითხეთ იგი! შეიძინეთ საღმრთო წიგნები–ჩვენ - სულთა - ხა კურნებელი საშუალება! სხვას თუ არ ისურვებთ, ახალი აღთქმის წიგნები მაინც შეიძინეთ და იკითხეთ, ჩვენი მუდმივი მოძღვარნი – წმიდა მოციქულთა საქმე, სახარება. მწუხარება თუ გეწვევათ, მიეახლეთ მათ, ვითარცა იმ ჭურჭელს, რომელიც საკურნებელი ნივთიერებითაა სავსე. რაიმე დანაკლისი თუ შეგემთხვევათ, – ახლობელ ადამიანთა სიკვდილი, მაშინაც სწორედ საღმრთო წიგნებიდან ეძიეთ ნუგეში თქვენი უბედურებისათვის. ანდა, უმჯობესია, ოდენ კი ნუ მიეახლებით მათ, არამედ თქვენი არსების წიაღში მიიღეთ ისინი და მარადის გონებაშიც დაიმარხეთ. ყოველგვარი ბოროტება–სწორედ საღმრთო წერილის უცოდინარობისაგან მომდინარეობს! რამეთუ მის გარეშე ჩვენ თითქოს საჭურველის გარეშე გამოვდივართ ბრძოლის ველზე, და როგორღა გავიმარჯვოთ?! როგორღა ვცხონდეთ?! წმიდა წიგნებით ცხოვნება ადვილია, ხოლო მათ გარეშე–შეუძლებელი! “

იოანე ოქროპირი ზოგადად, ერთნაირ მოთხოვნებს უყენებს აღმზრდელ-მასწავლებლებს. მის ნააზრევში ერთმანეთისგან აშკარად არ არის გამიჯნული მათი მოვალეობები და მუშაობის შინაარსი, ამიტომ ძალზე რთულია გამიჯნო, წმ. მამის აზრით, აღზრდა და სწავლება. მაგრამ თუ ერთიანად გავიაზრებთ მის პედაგოგიურ შეხედულებებს, მათში მაინც შეინიშნება აღზრდისა და სწავლების, როგორც ორი განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესის არსებობა. წმ. მამის აზრით:

–აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ოჯახში, მასში – მთავარია მშობლების, განსაკუთრებით კი მამის როლი;

–სამონასტრო აღზრდას უპირატესობა აქვს საზოგადოებრივ სკოლებთან;

– აღზრდას აქვს ინდივიდუალური მიმართულება, გასათვალისწინებელია აგრეთვე ასაკობრივი განვითარების თავისებურებები აღზდასა და სწავლებაში;

– აღზრდა უნდა დაიწყოს ბავშვის სულის გაწმენდით მანკიერებისგან, რაც სულიერი მომზადების საფუძველია;

– დასაშვები და აუცილებელიც არის დასჯა და წახალისება აღზრდაში;

– აღზრდაში დაცული უნდა იყოს ქალთა და გაუთა თანაბარუფლებიანობა;

–აღზრდაზე გავლენა აქვს გარემო პირობებს, ამიტომ მოზარდები მორიდებულნი უნდა იქნენ თეატრებს და სხვა სანახაობებს;

–სწავლებაში (დიდაქტიკაში) გასათვალისწინებელია: ა) თანამიმდევრობა და სისტემატურობა; ბ) მისაწვდომობა და დასაძლევობა; გ) კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის; დ) დიალოგი სწავლებაში; ე) მაგალითი და ვარჯიში (ცოდნის მტკიცედ დაუფლება); ვ) გარემომცველი სამყაროს როლი სწავლებაში.

იოანე ოქროპირის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მან დაუდო სათავე თანამედროვე პედაგოგიკის თეორიაში დამკვიდრებულ ზოგადპედაგოგიკურ და ზოგადდიდაქტიკურ პრინციპებს, რომელთა შემდგომი სრულყოფა წილად ხვდა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს იან ამოს კომენსკის და სხვა კლასიკოსებს.

წმიდა იოანე ოქროპირის სახით არამარტო ანტიოქიის ქრისტიანულმა სკოლამ შეიძინა დიდი ღვთისმეტყველი და მოძღვართ-მოძღვარი, არამედ მისი პედაგოგიური მოძღვრება მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის გახდა ჭეშმარიტი მართლმადიდებლის აღზრდის საფუძველთა–საფუძველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI

ლათინურ–რომაული ქრისტიანული სკოლა

§ 1. ლათინურ–რომაული ქრისტიანული სკოლის ზოგადი მიმოხილვა

ვიდრე ძველი ქრისტიანული სკოლის მესამე ტიპის – ლათინური სკოლის განხილვას შევუდგებოდეთ, პირველ რიგში, მოკლედ იმის შესახებ, როგორ დაფუძვნდა რომის ეკლესია და რა თავისებურებები ახასიათებდა რომაულ განათლებას და კულტურას.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სვეტონიუსი კლავდიუსის კანონების საფუძველზე 52 წელს იუდეველები რომიდან გაუძევებიათ, თუმცა ისინი მალევე დაბრუნებულან რომში. მკვლევარი მ. პოსნოვი ფიქრობს, რომ ქრისტიანები სწორედ მაშინ გამოეყვნენ ღვთისმსახურებაში იუდეურ სინაგოგებს. (1.72-73). ტაციტუსი 64 წელს უკვე იცნობს ქრისტიანებს, როგორც ცალკე, განკერძოებულ მცხოვრებლებს (2).

რომის ეკლესიის დაარსება მიეწერებათ მოციქულებს, წმიდა პეტრესა და წმ. პავლეს. ამის შესახებ მიუთითებს 170 წელს დიონისე კორინთელი, ამაზე მოგვითხრობს წმიდა ირინეოსიც („ერესების წინააღმდეგ", III, I; III, 3). როგორც ცნობილია, წმ. პეტრე ჯვარზე გააკრეს, ხოლო წმ. პავლეს თავი მოჰკვეთეს. 64 წელს ქრისტიანები სასტიკად დასაჯა ნერონმა. I საუკუნის ბოლოსათვის რომის ეკლესიის ავტორიტეტი კიდევ უფრო განმტკიცდა, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა რომის მეოთხე ეპისკოპოსმა და გამოჩენილმა სწავლულმა კლიმენტი რომაელმა. ზოგიერთი წყაროს ცნობით იგი მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა ხერსონესში (ყირიმში).

მე-3 საუკუნის შუა ხანებში რომში არანაკლებ 30000 ქრისტიანობის ერთგული პირი და 150 კლირი ცხოვრობდა. მომდევნო საუკუნეებში დედაქალაქში სულიერების როლი არ ეცემოდა, პირიქით, იზრდებოდა კიდეც. აქ წამებულთა თაყვანისცემას ქალაქიდან მოშორებითაც მიმართავდნენ (3. 509-510).

რომის ეკლესიის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში". რომში 251 წელს იყო 46 პრესვიტერი, 7 დიაკვანი, ამდენივე ეპოდიაკვანი, 42 მსახური, 52 შემლოცველი ადამიანი, მკითხველი, მეკარე და 1500-ზე მეტი ქვრივი და ძაბუნი („საეკლესიო ისტორია", VI, 420). ამ დროს რომში ერესების გამო მოუწვევიათ სინოდი, რომელსაც 60 ეპისკოპოსი დასწრებია. რომშივე შეუდგენიათ პირველი საეკლესიო კატალოგი, რომელიც იწყება მოციქულებით–პეტრეთი და პავლეთი (1.126).

რომის იმპერიის დასავლეთის პროვინციებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ტაციტუსი და კლიმენტი რომაელი, რომელთა აზრით, ახალი რელიგიის მიმდევრები ურიცხვნი არიან („მულტიტუდო ინგენს"). მეორე საუკუნეში ამავე საკითხზე საუბრობს ტერტულიანეც. იგი აღნიშნავს, რომ ქრისტე ირწმუნა ყველამ და ჩამოთვლის სხვადასხვა მოდგმის ხალხსა და სახელმწიფოებს, რომელთა შორის ვხვდებით ესპანეთს, გალების სხვადასხვა ტომის ხალხებსა და რომაელთათვის შორეულ ბრიტანეთის მოსახლეობას.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა უპირატესად ქალაქის მოსახლეობაში იკიდებდა ფეხს. აღნიშნული ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც არ აღიარებდა ქრისტიანობას, პაგანს უწოდებდნენ (ლათინური პაგანუს), ასეთი კატეგორიის ადამიანები ძირითადად სოფლის მოსახლეობას შეადგენდნენ, მათ შედარებით გვიან მიიღეს ქრისტიანობა, ამდენად, ტერმინი „პაგანი" შემდგომში წარმართობის სინონიმი გახდა.

აფრიკაში (კართაგენში) 197 წლის ქრისტიანთა დევნის ამბებს აღწერს ტერტულიანე თხზულებაში „წამებულები", იგი წერს; „ჩვენ აქ გამოვჩნდით მხოლოდ გუშინ და უკვე შევავსეთ მიწები და მთელი ჩვენი სამფლობელოები, ქალაქები, გარეუბნები, გამაგრებული პუნქტები, მუნიციპიები, ყაზარმები, კვარტლები, *სკოლები,* ეზოები, ფორუმი („აპოლოგეტიკა", XXXVII). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ჩრდილოეთ აფრიკაში დაიწყო ეკლესიის ლათინიზაცია და არა რომში, სადაც III საუკუნემდე ქრისტიან იმიგრანტებს შორის ბერძნული ენა ჭარბობდა. აფრიკაში, სადაც რომმა დანერგა

ლათინური ენა, პირველად ითარგმნა ბიბლია ლათინურად ნეტარი იერონიმეს მიერ 386–406 წლებში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აფრიკამ ლათინური ეკლესიის მაგალითი მისცა მსოფლიოს. სწორედ კართაგენში III საუკუნეში ცოცხალ ეობდა წმ. კიპრიანე, რომელიც მეტოქეობას რომის ეპისკოპოსსაც კი უწევდა. მათთან ერთად კართაგენის ეკლესიას სხვადასხვა დროს ამშვენებდნენ წმ. ამბროსი მედიოლანელი და ნეტარი ავგუსტინე, რომელთა პედაგოგიური ღვაწლის შესახებ ცოტა ქვემოთ ვიმსჯელებთ.

რომაული კულტურის თვითმყოფადობას მრავალი მკვლევარი საეჭვოდ მიიჩნევს, რაც მთელი რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. რადგან რომი უდიდეს იმპერიას წარმოადგენდა, აქედან გამომდინარე, კოლონიათა კულტურულმა მიღწევებმა თავი მეტროპოლიაში მოიყარა, ამიტომ მოხდა სხვადასხვა კულტურების თავისებური სინთეზი რომის დომინანტობით. ყველაზე დიდი გავლენა რომაული კულტურის წინსვლაში მაინც ბერძნულმა კულტურამ შეასრულა. მას შემდეგ, რაც რომმა საბერძნეთი დაიპყრო და დიდებული ელადის ნაცვლად რომის პროვინცია—აქაიამ იწყო დამკვიდრება, ელინურმა კულტურამ ფართოდ შეაღწია რომის ყოფა – ცხოვრებაში. ბერძნული კულტურის უპირატესობას ლათინურ კულტურაზე, თვით რომშიც კარგად გრძნობდნენ, ამიტომაც იყო, რომ რომის სენატმა 70 წელს ბერძენი სწავლულების რომიდან გაძევების გადაწყვეტილებაც კი მიიღო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან თვით მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებიც შვილების აღმზრდელებად, რასაკვირველია ფარულად, ბერძენ პედაგოგებს იწვევდნენ. აღნიშნულმა გარემოებამ რომი ბერძნული კულტურის ერთგვარ მომხმარებლად აქცია. ბერძნები ყოველთვის ესწრაფვოდნენ სამყაროს შემეცნებას, ხოლო რომაელები—ძალაუფლებას სამყაროში, ბერძნები—ჭვრეტდნენ ჭეშმარიტებას, რომაელები—ჭეშმარიტ სამართალს, ბერძნები—ელტვოდნენ სილამაზეს, ხოლო რომაელები– სიამოვნებას. ამ შედარებაში მაძიებელმა გონებამ შეიძლება რაღაც სამწუხარო კანონზომიერება დაინახოს. ამგვარი პროცესები დამახასიათებელი იყო რომაული კულტურისათვისაც, მან ეს პროცესები ნაყოფიერად გაიარა და ზოგადსაკაცობრიო კულტურა,

როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული, მრავალი შედეგრით გაამდიდრა.

რომაულ კულტურას ფლობის კულტურას ან ფლობაზე უფლების კულტურასაც უწოდებენ, რაც ფლობით სიამოვნებას გულისხმობს. რომაულ კულტურაში ფორმა ყოველთვის წამყვანი იყო. მას ექვემდებარებოდა შინაარსი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლათინური კულტურა ანტიოქიის კულტურის სირიულ - ელინურ სიმბიოზს ემსგავსება.

რომაელთათვის საკამათო არ იყო პრაქტიკულის, საზოგადოებრივი საწყისის პრიმატი, პიროვნულსა და გონებამჭვრეტელობაზე. პედაგოგიკის საფუძველს პოლისის იდეოლოგია შეადგენდა. ეს იყო სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს (პოლისის) წევრთა იდეოლოგია, როგორც მეტნაკლებად თანასწორუფლებიანი, თავისუფალი მოქალაქეებისა, რომლებიც სახელმწიფოსთან საერთო მოვალეობებით იყვნენ დაკავშირებულნი. სწორედ აქედან გამომდინარეობს რომაული სკოლის მთავარი მახასიათებელი, რაც ისეთი მოქალაქის აღზრდას ემსახურებოდა, რომელიც შეძლებდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას. პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე ნათელია, რომ უპირატესობა ორატორულ ხელოვნებას ენიჭებოდა, რადგან სწორედ ორატორებს შეეძლოთ სალხზე ზემოქმედება და მათი დარწმუნება. აქ მნიშვნელოვანი არ იყო ადამიანის შინაგანი ფსიქიკური განცდები, არამედ აქცენტი მუდამ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე და თანამოქალაქეთა მოწოდებაზე კეთდებოდა. ამის შემდეგ უფრო ადვილი იყო ატორიტეტის მოპოვებაზე ზრუნვა, რაც სირიის სკოლაშიც გვხდება.

ამდენად, ლათინური ქრისტიანული სკოლა თავიდანვე გაორებული იყო. მან შეითვისა ბერძნული და სირიული სკოლის დამახასიათებელი ნიშნები და მათ მისიონერული მიმართულება მისცა. ლათინებმა მიიღეს ბერძნული ზოგადი განათლების სისტემა, მაგრამ უკუაგდეს მისგან ყველაზე მთავარი—ფილოსოფია. მათ უარყვეს არა მარტო ფილოსოფიის ისტორია, არამედ ადამიანის უნარ-შესაძლებლობათა ჩამოყალიბების და თეორიული აზროვნების განვითარების საფუძველი. რომაელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტორიკის შესწავლა იყო, ზოგადი საგნები სწორედ მის დაუფლებას ემსახურებოდა. განათლებულ ადამიანად ლათინები

იმას კი არ მიიჩნევდნენ, ვინც ჭეშმარიტ მეცნიერებას მიუძღვნა თავი, არამედ მას, ვისაც მსმენელთა ინტერესების შესაბამისად ყველა საკითხზე გასაგებად, ლამაზად და [illegible] შეეძლო წერა და ლაპარაკი. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ლათინურმა ქრისტიანულმა სკოლამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო წარმართული რომისაგან, რომლის გადალახვა ძალიან ნელა მიმდინარეობდა და მას დასავლეთ ევროპის მრავალი ქრისტიანი პედაგოგის პირადი გმირობა დასჭირდა.

ვიდრე რომში ქრისტიანობა ოფიციალური რელიგიის სტატუსს მიიღებდა, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მისი გავლენა მაინც დიდი იყო. ანალოგიურ ზემოქმედებას ახდენდა ქრისტიანობა ბავშვთა აღზრდაზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა თვით მოციქულთა სწორის, იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანების ისტორია. როგორც ცნობილია, იგი შეესწრო დიოკლიტიანეს ეპოქაში ქრისტიანთა მასობრივ დევნას. წარმართთა მიერ ქრისტიანთა საშინელ დევნა-შევიწროებას ოფიციალური ხელისუფლებაც ხელს უწყობდა. იმის მიუხედავად, რომ მომავალი იმპერატორი წარმართი მშობლების ოჯახიდან გამოვიდა, მასზე ღრმა კვალი დაუტოვებია მისივე მშობლების კეთილგანწყობას ქრისტიანთა მიმართ. ამის გამო, მომავალ იმპერატორსაც იგივე დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა ახალი სარწმუნოებისადმი. შემდგომ წლებში, კარგი ფილოსოფიური განათლების შედეგად მან შეძლო ერთმანეთთან შეედარებინა იდეებისაგან გამოფიტული წარმართობა და სულიერებით აღსავსე ქრისტიანობა. სწორედ ეს უკანასკნელი ქადაგებდა სიყვარულს და სიკეთეს, მისი მიმდევრები ურთიერთთანადგომით გამოირჩეოდნენ. თუმცა იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანების შესახებ გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიუღია. იგი 312 წელს კვლავ წარმართად რჩებოდა, მაგრამ ქრისტიანებთან განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც მისი ბავშვობიდან, კერძოდ ოჯახური აღზრდიდან მომდინარეობდა. როგორც ცნობილია, 313 წელს იმპერატორმა მილანში გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც ყველას ანიჭებდა უფლებას, მისთვის სასურველი აღმსარებლობის მიმდევარი გამხდარიყო.

საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე იულიანე განდგომილის შემთხვევაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ

ადრეულ ბავშვობაში მოზარდის ცნობიერებაში აღბეჭდილი შეხედულებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის შემდგომ ჩამოყალიბებაზე. სწორედ პირველად განცდებზე და პირველად აწყებით აღმზრდელობით ღონისძიებებზეა ხშირად დამოკიდებული პიროვნების მსოფლმხედველობა და რწმენა. სწორედ ამ მხრივ იმსახურებს ყურადღებას იულიანე განდგომილის ისტორია. იგი ტაძარში იზრდებოდა, მედავითნეობასაც ასრულებდა იქ, მაგრამ არიოზელი აღმზრდელების უკიდურესად მკაცრმა მოპყრობამ მასში ქრისტიანობის საპირისპირო გრძნობები განავითარა. შემდეგ მისი შეხედულებები უფრო გაძლიერდა ლიბანიოსის ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში. იმის მიუხედავად, რომ იმპერატორის ბრძანებით მას და სხვა ქრისტიანებს ამ სკოლაში ლექციების მოსმენა აკრძალული ჰქონდათ, ისინი მაინც ისმენდნენ ცნობილი წარმართი მეცნიერის და პედაგოგის ლექციებს და არცთუ უშედეგოდ, ამავე სასწავლებელში იულიანე დაუახლოვდა ნეოპლატონური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს (ედესიას, მაქსიმე ეფესელს), შემდეგ კი ათენის წარმართულ აკადემიაში გააგრძელა სწავლა, სადაც შეხვდა ეკლესიის დიდ მნათობებს; წმ. ბასილი დიდს და წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს, მაგრამ მასში იმდენად იყო გამჯდარი ქრისტიანობის სიძულვილი, რომ რაიმეს შეცვლა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. იულიანეს ყველაზე კარგად მისი მასწავლებელი ლიბანიოსი იცნობდა, სწორედ ბავშვობაში ჩამოყალიბებული თვისებებით, ამიტომაც დაახასიათა ასე საფუძველიანად ყოფილი მოწაფე: „იულიანე ადამიანი სხეულით იყო. სულით კი ღმერთი. ღმერთებისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ საჭმელს ჭამდა, ხოლო სათნოებაში ღმერთები წვრთნიდა და სულიერი თვისებებით იგი მათ უტოლდებოდა.” (5.131).

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 2. ტერტულიანე

ლათინურენოვან სამყაროში კვინტუს სეპტიმუს ფლორენს ტერტულიანე (155 დაახლ.–220 წწ.) იყო პირველი ღვთისმეტყველი.. იგი არ ეკუთვნის ეკლესიის წმინდა მამათა დასს, რადგან გადუხვია ჭეშმარიტი მართლმადიდებლობიდან და 207 წლის შემდეგ ჩავარდა ერესში–მონთაიზმში. აღნიშნული ერესი ტერტულიანიზმის სექტის სახით არსებობდა V საუკუნემდე.

ტერტულიანე დაახლოებით 155 წელს კართაგენში (აფრიკაში) დაბადებულა, მისი მშობლები წარმართები იყვნენ. მან კარგი იურიდიული განაღლება მიიღო და რომში გამოჩენილი ადვოკატი გახდა, მას ასევე საფუძვლიანად შეუსწავლია ბერძნული ენა, წარმართული მითოლოგია და მწერლობა. ტერტულიანე ინტერესს არ იჩენდა ატიკური ფილოსოფიის მიმართ, უფრო მეტიც, აბუჩად იგდებდა ბერძნული ფილოსოფიის კორიფეებს–პლატონსა და სოკრატეს. ზოგიერთი მკვლევარი ქრისტიან ტერტულიანესთან აიგივებს იურისტ ტერტულიანეს, რომელიც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის „კორპუს ციკილის" ავტორია. ტერტულიანე ქრისტიანობას საკმაოდ გვიან, დაახლოებით 193 წელს ეზიარა, იგი მალე გახდა პრესვიტერი, თუმცა შემდეგ გადავიდა რომში და იურიდიულ პრაქტიკას მიჰყო ხელი. პარალელურად ბევრს წერდა ღვთისმეტყველების შესახებ. მისი თხულებები გამოირჩევა ასკეტურობით, პოლემიკური სიმწვავით და ჭეშმარიტების ძიების გულმხურვალე განცდებით.

ტერტულიანე აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა 193–220 წლებში, მის მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. იმის მიუხედავად, რომ იგი ერესში გადავიდა, მის ადრეულ შემოქმედებაში მაინც გვხვდება მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების მართებული გაგება.

შემეცნებისა და რწმენის საკითხში ტერტულიანეს საკუთარი აზრები აქვს განვითარებული, მისი ცნობილი გამოთქმა: „მწამს, რადგან აბსურდია", ქრისტიანული თეოლოგიისთვის იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან უფლის შეცნობის გზაზე ხელოვნური ბუნდოვანება ჭეშმარიტი სარწმუნოებისათ-

ვის ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ ტერტულიანეს და მის მიმდევართა რადიკალურ მოსაზრებები ხშირად დავა-კამათის საგანი გამხდარა.

ტერტულიანეს აპოლოგეტიკური თხზულებებიდან მნიშვნელოვანია მისი „აპოლოგეტიკა" და გნოსტიციზმის წინააღმდეგ შექმნილი ტრაქტატი, რომელსაც „ერესების უარყოფა" ჰქვია. ყოველგვარი ერესის სათავედ ტერტულიანე წარმართულ ფილოსოფიას მიიჩნევს, ამიტომ, როცა იგი ლაპარაკობს განათლებაზე, ხაზგასმით მიუთითებს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სწავლება წმიდა წერილის დაუფლებაში მდგომარეობს, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთმა უკომპრომისობამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თვით ტერტულიანე მიიყვანა ერესამდე და ეკლესიიდან განდგომამდე.

ტერტულიანეს ზნეობრივი შინაარსის თხზულებებიდან აღსანიშნავია შემდეგი შრომები: „სანახაობათა შესახებ", „ქალთა ჩაცმულობის შესახებ", „წერილი ცოლისადმი", „წიგნი ერთცოლიანობის შესახებ" და „დარიგება უბიწოების შესახებ", რომლებიც გამოირჩევა მკაცრი მორალური შეგონებებითა და შეზღუდული ქცევის წესების ქადაგებით, რაც ავტორის, აზრით ჭეშმარიტი ქრისტიანის ყოველდღიური ცხოვრების სახელმძღვანელო ნორმას უნდა წარმოადგენდეს.

ტერტულიანემ სულიერ აღზრდაში უმნიშვნელოვანესი როლი ლოცვებს და ფსალმუნების კითხვას მიაკუთვნა. „მამაო ჩვენოს" ლოცვას იგი მთელი სახარების მოკლე შინაარს უწოდებდა. ტერტულიანე დამნაშვედ თვლიდა ყველას, ვინც მთელ დღეს ლოცვის გარეშე ატარებდა. იგი ლოცვისას ყურადღებას აქცევდა მლოცველის გარეგნულ იერსახეს. იგი იმის გამო წუხდა, რომ ქალიშვილები თავსაბურავის გარეშე ლოცულობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ გათხოვილი ქალისათვის იყო თავზე დაბურვა აუცილებელი. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა ქალიშვილებისათვის, რომ ბიბლიაში მოყვანილი სიტყვა „ქალის" ქვეშ იგულისხმებოდა, როგორც გათხოვილი, ისე გაუთხოვარი ქალები.

ნაშრომში „სანახაობათა შესახებ" ტერტულიანემ გააკრიტიკა საცირკო, თეატრალური და სხვა სანახაობათა მომხრენი, რომელთაც კერპთაყვანისცემაში დასდო ბრალი. მან ასევე დაგმო აღნიშნულ სანახაობათა არაქრისტიანული

ხასითი, რომელიც მისი აზრით, უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა ბავშთა და მოზარდთა ზნეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში „ქალთა ჩაცმულობის შესახებ" ტერტულიანემ დაგმო ქრისტიან ქალთა მიერ ძვიფასი სამკაულების და კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება, რადგან ასეთი მოკაზმულობა მაცდენებელ გავლენას ახდენდა მორწმუნე ადამიანზე. ამიტომ ისინი, როგორც საცდურნი ქრისტიანისგან შორს უნდა ყოფილიყო. ქალიშვილები ისეთი სულისკვეთებით უნდა აღეზარდათ, რომ ზომიერება ყველა ქრისტიანი ქალის ცხოვრების წესად ქცეულიყო, როგორ თვითონ ამბობდა: „რადგან ჩვენ ყველანი ვართ ტაძარნი ღვთისა, მოკრძალებულობა არის ამ ტაძრის სიწმინდეთმოქმედი და მღვდელი" (6.16).

ტერტულიანემ ყურადღება გაამახვილა ქრისტიანული ტრაპეზის აღმზრდელობით მნიშვნელობაზეც: „ლოცვის შედეგ მაგიდას მიუსხდებიან, ჭამენ იმდენს, რამდენიც საჭიროა შიმშილის მოსაკლავად, სვამენ ცოტას და ინარჩუნებენ სიფხიზლეს; საუბრობენ წყნარად, რადგან იციან, რომ მათ საუბარს ღმერთი უსმენს. ტრაპეზი მთავრდებოდა ლოცვით".

ქორწინების სიწმინდეს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ტერტულიანე ოჯახურ ბედნიერებაში: როგორ შეიძლება გამოიხატოს ქორწინების ბედნიერება, რომელიც ეკლესიის მიერაა ნაკურთხი და დალოცვილია უფლის მიერ. ხოლო ისეთ გასაიდუმლოებულ ქორწინებებს, რომლებიც არაა ნაკურთხი ეკლესიის მიერ, თან სდევს დიდი სიფრთხილეც, რადგანაც ასეთი ქორწინებები მრუშობის ტოლფასია, –წერდა ტერტულიანე. მისი აზრით, ასეთ ოჯახებში მაღალი სულის ბავშვების აღზრდა მას შეუძლებლად მიაჩნდა.

ქრისტიანული ოჯახის სიწმინდეს განსკუთრებით მიმზიდველად აღწერს ტერტულიანე შემდეგ ამონარიდში: „რაოდენ ტკბილია და საამური უღელი ორი გულისა, რომელიც ერთი იმედით, ერთი სწავლებით, ერთი სჯულით არის გაერთიანებული. ისინი არიან ვითარცა ერთი მამის შვილები, ერთი ბატონის მონები; არ არის მათ შორის არანაირი განხეთქილება, არც სულიერი და არც სხეულებრივი. ისინი არიან ორნი ერთ ხორც. სადაც ერთი ხორცია იქ სულიც ერთია. ისინი ერთად ლოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ, ერთმანეთს შეაგონებენ და შეეწევიან. ისინი ერთად არიან ეკლესიაში, ერთად ესწრებიან უფლის ტრა-

პეზს, ერთად ითმენენ დევნას, ერთადვე ტკბებიან სიმშვიდით. ისინი არაფერს არ უმალავენ ერთმანეთს, არასოდეს არ ბეზრდებათ ერთმანეთი. ერთად მოინახულებენ სნეულთა, გაიმეტებენ მოწყალებას, ეკლესიაში ლოცვისას ერთად დგანან ჩაღრმავებულნი, ერთად გალობენ ფსალმუნებს და საგალობლებს და აღძრავენ ურთიერთს განსადიდებლად უფლისა." (7.28).

ასეთი ოჯახი, მართლაც, საუკეთესო ნავთსაყუდელი იქნებოდა ბავშვების აღზრდისთვის. ცოლ-ქმრული დამოკიდებულება, ოჯახში დამკვიდრებული სულიერება და აქედან გამომდინარე ზნეობრივი პრინციპები ყველაზე უწინარესად განაპირობებენ მოზარდის სულიერ-ზნეობრივ ჩამოყალიბებას. ამიტომაც წარმოგვიდგენს ქრისტიანული ოჯახის იდეალს ასე ხატოვნად ტერტულიანე, რომელმა იდეალმაც 18 საუკუნის შემდეგ არა თუ დაკარგა აქტუალობა, არამედ თანამედროვე ოჯახის ერთ-ერთ საჭირბოროტო პრობლემად იქცა.

ტერტულიანეს ცნობილი მოწოდება: „იერუსალიმი და არა ათენი!" ანტიკური განათლების მიმართ ავტორის აშკარად უარყოფით დამოკიდებაზე მეტყველებს. მისი აზრით, ქრისტიანს არავითარი მეცნიერება არ სჭირდება, ყველაზე აღმატებული ქრისტეა, ამიტომ რა კავშირი უნდა ჰქონდეს იერუსალიმს ათენთან, ან ეკლესიას აკადემიასთან? ჩვენ, ქრისტიანებს არავითარი აკადემია და მეცნიერება არ გვჭირდება, გარდა სახარებისა, – წერდა ტერტულიანე.

§ 3. კართაგენის ეპისკოპოსი წმ. კიპრიანე

კართაგენის ეპისკოპოსი წმ. კიპრიანე (200(210)–258) დაიბადა კართაგენში, რომელიც იმ დროს მსხვილ სავაჭრო და ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენდა. მომავალი წმინდანის მშობლები საკმაოდ შეძლებული წარმართები იყვნენ, ამიტომ შვილს კარგი განათლება მისცეს. კიპრიანემ ადრე დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა, იგი ასწავლიდა რიტორიკას და ამავე დროს საადვოკატო პრაქტიკას ეწეოდა. საკმაოდ გვიან, 40 წელს იყო გადაცილებული კიპრიანე, როცა ქრისტე იწამა და მოინათლა. ამის შემდეგ რადიკალურად იცვლება მისი ცხოვრების წესი. მან მიატოვა ყოველგვარი მიწიერი საზრუნავი და გულმხურვალედ მიეცა ქრისტიანობის

სამსახურს. კიპრიანე წმიდა წერილთან ერთად ძალიან ბევრს კითხულობდა ტერტულიანეს თხზულებებს და იგი თავის მასწავლებლად მიაჩნდა. წმ. კიპრიანე მოგვიანებით ეკლესიის პრესვიტერად, ხოლო შემდეგ კართაგენის ეპისკოპოსი გახდა.

250 წელს, ქრისტიანთა ცნობილი დევნის დროს, კიპრიანე განერიდა მას და თავი შეაფარა შედარებით წყნარ ადგილს, ამიტომ მისი საქციელი უარყოფითად შეაფასეს. თავად წმიდა კიპრიანე თვლიდა, რომ ქრისტიანთა დევნა ამ სარწმუნოების მიმდევართა მიერ ცოდვებმა გამოიწვია, ამიტომ მოუვლინათ ღმერთმა სასტიკი ანგარისწორება. აქედან გამომდინარე, წმიდა კიპრიანეს მიაჩნდა, რომ ამ შეცოდებისთვის პასუხი უნდა ეგო არა ყველა ქრისტიანს, რომელიც დევნისას თავის გადარჩენას ცდილობდა, არამედ მათ ეპისკოპოსს. აღნიშნული მდგომარეობის განსჯას მიუძღვნა წმ. კიპრიანემ თხზულებები „დაცემულთა შესახებ" და „კათოლიკე ეკლესიის ერთიანობის შესახებ", ხოლო თვითონ ქრისტიანთა ახალი დევნისას, 258 წელს, წამებით დაასრულა სიცოცხლე.

წმ. კიპრიანეს მიერ ზნეობრივ თემებზე შექმნილი თხზულებები ენათესავებიან ტერტულიანეს შრომებს, ცნობილია წმ. კიპრიანეს რამდენიმე საინტერესო ტრაქტატი: „ქალწულთა ჩაცმულობა", „მოთმენის სარგებლობა", „ეჭვიანობა და შური", „მიცვალებულის შესახებ" და სხვა.

ადრეულ ქრისტიანობას ეკუთვნის წმ. კიპრიანეს „წიგნი უფლის სავედრებლის შესახებ", რომელშიც მოცემულია „მამაო ჩვენოს" ლოცვის კომენტარები. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქრისტიანისათვის და განსაკუთრებით კი მოზარდთა აღზრდისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ასევე ნაშრომი „ეკლესიის ერთიანობის შესახებ", რომელშიც იხსენებს მაცხოვრის სიტყვებს: „მეც გეუბნები შენ: შენ ხარ პეტრე და კლდეზედ ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ მიწვდებიან ბჭენი ჯოჯოხეთისანი" (მათ. 16:18), ამიტომ, წმ. კიპრიანეს აზრით, იესო მუდამ თავს დასტრიალებს თავის მიერ შექმნილ ეკლესიას და იცავს მის ერთიანობას.

წმიდა კიპრიანეს შეგონებანი ბავშვთა აღზრდის თაობაზე ეკლესიის ერთიანობაზე არის დაფუძვნებული. მისი აზრით, ბავშვები იმ შეგნებით უნდა აღიზარდონ, რომ ყველა მორწმუნეს ქმედება ერთიანი ეკლესიის წიაღში სულის გადარჩენას ემსახურებოდეს, თუ ასეთი განწყობა ბავშვობისას არ

ჩაისახა, ზრდადასრულებულნი ვეღარ შეძლებენ ეკლესიის წევრობას, ხოლო ეკლესიის გარეთ სულის გადარჩენა შეუძლებელია. ამ საკითხს კიდევ უფრო უღრმავდება წმ. კიპრიანე და დაწვრილებით განიხილავს პავლე მოციქულის შეხედულებებს იმის შესახებ, რომ ოჯახი, იგივე–ეკლესიაა, რომელიც წმიდა წერილის მსგავსად უნდა იყოს აგებული. კაცი–ოჯახის მამა საოჯახო ეკლესიის თავია, მსგავსად მაცხოვრისა. ქალმა, იგივე–დედამ, მაგალითი უნდა მისცეს შვილებს ღვთის მოშიშებასა და სიყვარულში, ხოლო შვილები მშობლების მიმდევრები უნდა იყვნენ შემოქმედისაკენ მიმავალ გზაზე. ეკლესიის ერთიანობის ყოვლისშემძლეობა ოჯახის ერთიანობაში წარმოჩინდება და მის წევრთა სულიერ კავშირს ცხადყოფს ის გარემოება, რომ ქრისტიანულ ოჯახში სუფევს სულის, სიტყვის და საქმის ერთიანობა, ოჯახის წევრები ერთად შრომობენ, ისვენებენ და ტრაპეზსაც ერთად იღებენ და რაც უმთავრესია, ერთად ადიდებენ ღმერთს. საოჯახო აღზრდისას, რომელიც ჩვილობისას უნდა დაიწყოს და ყრმობისა და სიჭაბუკისას უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს, იმის წინაპირობას იძლევა, რომ ზრდასრულ ასაკში დედა–ეკლესიის ჭეშმარიტი წევრი გახდება და ნაყოფიერად იღვაწებს ღვთის სადიდებლად,– აღნიშნავს წმ. კიპრიანე.

§ 4. წმიდა ამბროსი მედიოლანელი (340–397)

წმიდა ამბროსი მედიოლანელი დასავლურ–რომაული ქრისტიანული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი დაიბადა ქალაქ ტრირში (იტალიაში) 340 წელს. მისი მამა იმპერატორის ნაცვალი იყო გალიის (საფრანგეთი) მხარეში და დასავლეთის პროვინციებში. მამის გარდაცვალების შემდეგ ამბროსის ოჯახი რომში გადავიდა საცხოვრებლად. მომავალმა მღვდელმთავარმა სწორედ რომში მიიღო შესანიშნავი იურიდიული განათლება. 370 წელს მომავალი წმიდანი ლიგურიისა და ემილიის ოლქების გამგებლად დანიშნეს. მალე–374 წელს გარდაიცვალა მედიოლანის (მილანის) ეპისკოპოსი ავქსენტი, რომლის ნაცვლად ეპისკოპოსის თანამდებობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც მართლმადიდებლები, ისე არიანელები. ამას დიდი შფოთი და არეულობა მოჰყოლია.

რომის პრეფექტს ორივე მხარის დაშოშმინება ამბროსისათვის დაუვალებია. მილანში წარგზავნილ ამბროსის საკათედრო ტაძარში მომლოდინე ხალხისთვის მიუმართავს. ამ დროს, [illegible] ტაძარში გაისმა ჩვილი ყრმის ხმა „ ამბროსია ეპისკოპოსი! “ –ეს შეძახილი ხალხს აუტაცნია და მართლმადიდებელიც და არიანელიც ამბროსის ეპისკოპოსობას მოითხოვდა. ამბროსიმ ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ჯერ მონათლულიც არ იყო, იგი მხოლოდ კათაკმევლად იყო დადგენილი, ამიტომ იგი არ შეეფერებოდა ამ მაღალ წოდებას. აღნიშნული მიზეზის გარდა ამბროსიმ თავისი უღირსობის დასადასტურებლად მრავალი სიცრუეც შეთხზა, თითქოს იგი აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა; რათა თავიდან აეცილებინა ეპისკოპოსად არჩევა: უბრძანა მსახურთ, ყველას დასანახად მოეყვანათ მის სახლში გარყვნილი დედაკაცები, რათა მედიოლანის მცხოვრებთ შესძულებოდათ იგი, როგორც მემრუშე, მაგრამ ხალხი კვლავ თავისას მოითხოვდა და ყველა ცოდვას თავის თავზე იღებდა.* შემდეგ მომავალი წმინდანი შეეცადა ქალაქიდან გაქცევას, მაგრამ როცა საქმეში იმპერატორი ჩაერია, ამბროსიც დანებდა ხალხის ნებას. ნეტარი ამბროსი მოინათლა, შვიდ დღეში გაიარა საეკლესიო იერარქიის ყველა საფეხური და 374 წლის 7 დეკემბერს მედიოლანის ეპიკოპოსად იქნა დადგენილი. ამის შემდეგ იგი გულმხურვალედ იღვწოდა ეკლესიის ერთიანობის, ღვთის სიტყვისა და რწმენის განმტკიცებისათვის. წმიდა ამბროსიმ ენერგიული ბრძოლა გამოუცხადა არიანელებს, იგი აქტიურად ერეოდა სახელმწიფო საქმეებშიც, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა მას.

წმიდა ამბროსის პიროვნებას სასწაულმოქმედებებიც უკავშირდება. მას მრავალი სნეულის განკურნება მოუხერხებია: ერთხელ ფლორენციაში, წმიდა ამბროსის გადმოცემის თანახმად, მკვდარი ყრმა გაუცოცხლებია, მასვე უწინასწარმეტყველებია თავისი აღსასრულის მოახლოება და ღვთისმსახურებისათვის უთქვამს: „მე მხოლოდ უფლის ბრწყინვალე აღდგომამდე დავრჩები თქვენთანო!” სწორედ ბრწყინვალე აღდგომის ღამეს, 397 წლის 4 აპრილს აღსრულებულა წმიდა მამა.

---

* მამათა ცხოვრება, წმ. ამბროსი მედიოლანელი, მთარგმნელი ვ. ბურკაძე, თბ., 1996, გვ. 6.

ამბროსი მედიოლანელის ავტორიტეტი იმდენად გაზრდილა, რომ მის მოსასმენად სხვა ქვეყნებიდანაც კი მოდიოდნენ. მათ შორის ყოფილა ნეტარი ავგუსტინეც, რომელმაც ძრავალი თხზულება მიუძღვნა ქრისტიანული ზნეობით ბავშვთა აღზრდას.

როგორც ცნობილია, წმ. ამბროსის და – მარცელინა, მონაზონი იყო. სწორედ მას მიუძღვნა ნეტარმა მამამ მონაზვნობის შესახებ დაწერილი წიგნები. ეს წიგნები მჭევრმეტყველების იმგვარი ძალით იყო შექმნილი და ისე საინტერესოდ იკითხებოდა, რომ დედებმა იმის შიშით, რომ მათი გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ და მონაზვნობის გზას დაადგებოდნენ, თავიანთ ქალიშვილებს მათი წაკითხვა აუკრძალეს (5.209).

ამბროსი მედიოლანელი, უდიდეს საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად, ცნობილია, როგორც დიდი თეოლოგი და საეკლესიო მწერალი. მის კალამს ეკუთვნის 5 წიგნი სარწმუნოების შესახებ, სამი წიგნი სულიწმიდის შესახებ და ორიც – სინანულზე; სარწმუნოების სიმბოლოს განმარტება, სიტყვები მაცხოვრის განკაცებაზე, წმინდა საიდუმლეობებზე და სხვები. თხზულებებში ქრისტიანული ზნეობის შესახებ წმინდანი ცხადად გვიჩვენებს ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრების აღმატებულებას წარმართულ ზნეობრივ სწავლებაზე. მღვდელმთავრის ცნობილი ნაშრომი „მღვდელმსახურთა მოვალეობების შესახებ" ცხადად მოწმობს, რომ მას ღრმად ჰქონდა შეცნობილი მოძღვრის უფლება-მოვალეობანი" (8.489).

წმ. ამბროსი მედიოლანელი საეკლესიო გალობის რეფორმატორიცაა. მან დასავლეთის ეკლესიაში აღმოსავლური ეკლესიის მიბაძვით შეიტანა ანტიფონური გალობა, რომელიც „ამბროსიანული კილოს" სახელითაა ცნობილი. იმის გამო რომ ეკლესია პერიოდულად დევნას განიცდიდა, საეკლესიო გალობა და შესაბამისი მელოდიის შემუშავება კარგა ხანს ვერ მოხერხდა, ამიტომ ეს მძიმე, მაგრამ საპატიო მისია წმ. ამბროსი მედიოლანელს ხვდა წილად. მანვე დაარსა შესაბამისი სკოლები, სადაც მასობრივად ასწავლიდნენ საეკლესიო გალობას. ამბროსი მედიოლანელის ღვაწლის შეფასებისას სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მან ისეთივე როლი შეასრულა დასავლეთის ეკლესიისათვის, როგორც აღმოსავლეთში წმ. ბასილი დიდმა.

ამბროსი მედიოლანელმა თავის ეპარქიაში დაარსა არა მარტო საეკლესიო გალობის შემსწავლელი სკოლები, არამედ ჩვეულებრივ, ქრისტიანული – წმიდა წერილის შემსწავლელი სკოლები, რომლებშიც წამყვანი ადგილი სწავლებასა და აღზრდის ინდივიდუალურ სისტემას ეკუთვნოდა.

ამბროსი მედიოლანელის თეოლოგიური მემკვიდრეობაში გაბნეულია უამრავი მოსაზრება, რომელიც გადმოგვცემს ავტორის შეხედულებებს ბავშვთა აღზრდის შესახებ. წმიდა მამა ბავშვთა აღზრდაში, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს იმ საცთურებისაგან ბავშვთა დაცვაზე, რამაც შესაძლებელია გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს მოზარდის ზნეობის ფორმირებაში. ასეთ საშიშროებებად მას მიაჩნია: ზედმეტობა საკვების მიღებისას, გარყვნილება, მშობლებისადმი ურჩობა და აულაგმავი მრისხანება. სწორედ ამათ წინააღმდეგ უნდა წარმართონ სისტემატური მუშაობა ყოველ მორწმუნე ოჯახში; გადამეტებული კვება და ნაყროვანება არა მარტო ჯანმრთელობისთვის არის საზიანო, არამედ იგი ზნე-ხასიათის მახინჯი მხარეების გამოვლენასაც უწყობს ხელს. გარყვნილება ყველაზე საშინელი სენია ადამიანისათვის და მისი თავიდან აცილება დიდ წინდახედულებას და სიფხიზლეს მოითხოვს სწორედ მშობლებისაგან. მეთვალყურების გარეშე ბავშთა მიტოვება, ვიდრე მათი ნებისყოფა არ განმტკიცებულა, დანაშაულის ტოლფასია, – მიაჩნია წმ. მამას. ხოლო მშობლების ურჩობა, რომელიც მშობლებისავე მიზეზით წარმოიშობა, ღვთის განგებულების საწინააღმდეგო მოვლენაა და მისგან გათავისუფლება ყველასთვის ღვთიური საქმე უნდა იყოს. რაც შეეხება აულაგმავ მრისხანებას, იგი ბავშვობაში ყალიბდება და მისი აღმოფხვრაც იმთავითვე უნდა მოხდეს, რადგან მცირე გამოვლინებანი უფრო იოლი სამკურნალოა, ვიდრე შორს წასული ავადმყოფობა, – გვასწავლის ამბროსი მედიოლანელი.

მოზარდებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების თაობაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ნეტარ მამას. მისი აზრით, მართალია, აღზრდას ერთი მიზანი აქვს, მაგრამ საშუალება – მრავალი. სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობისათვის საჭიროა, მასწავლებელს ჰქონდეს ღვთისგან მომადლებული სიკეთე და ამასთანავე იყოს მუყაითი, მუდამ ხელმძღვანელობდეს თავდაჯერებულობითა და მორჩილების შეგნებით; საჭიროა სიფრთხილე მშიშართა და მოკრძალე-

ბულთა მიმართ; მასწავლებლებმა პირად ღირსებებში უნდა დაარწმუნონ ზედმეტად ეჭვიანები, მაგრამ აქვე უნდა გაითვალისწინონ ის გარემოებაც, რომ ასეთ აღსაზრდელებს ზედმეტად აღმატებული წარმოდგენა არ ჩამოუყალიბდეთ საკუთარ თავზე; ზარმაცებს და უსუსურებს საჭიროა გაუღვიძონ პასუხისმგებლობა, რათა ისინი მზრუნველობით განიმსჭვალონ საკუთარ სულზე და სხეულზე, იმგვარად, რომ შეინარჩუნონ ზომიერება და ყოველთვის შეძლონ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა; აგზნებულ ბავშვებს მოთმინების უნარი იმდაგვარად უნდა გამოუმუშაონ, რომ გულგრილებმა მასში ვერ პოვონ თავიანთი დაუდევრობის საზღაური; საჭიროა გულგრილი და ზოზინა ბავშვების იმ ზომამდე გათამამება, რომ ზღვარგადასულ ფანატიკურ სიფიცხეს არ მიუახლოვდნენ; ძუნწებს დროულად უნდა მოუწოდონ გულუხვობისაკენ, ხოლო მფლანგველებს – მომჭირნეობისაკენ, – გვასწავლის წმიდა მამა.

ეკლესიის წმიდა მამის მოსაზრებები მრავალმხრივ არის საინტერესო: პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მან ზედმიწევნით იცოდა მოზარდის ინდივიდუალური თავისებურებებები და აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს მოუწოდებს, ყველა ზნე–ხასიათის მოზარდთან შესაბამისი მეთოდებით იმუშაონ. ამასთან ერთად, მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვის სულიერ სამყაროს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს მასზე ზემოქმედებას. წმიდა მამა ადმიანის საკმაოდ ბევრ თვისებას ჩამოთვლის, რომელთა შორის არის, როგორც მისაღები, ისე მიუღებელი და უფრო მეტიც, დასაგმობი თვისებებიც, რაც საშუალებას მისცემს აღმზრდელს შედარება–შეპირიპირების გზით, აქტიურად გამოიყენოს ცხოვრებისეული მაგალითები და ზნეობრივი ზეგავლენა მოახდინოს აღსაზრდელზე.

ამბროსი მედიოლანელი ზომიერების მომხრეა სწავლო–აღმზრდელობით მუშაობაში. მართალია, იგი დისციპლინას დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ ზედმეტი სიმკაცრე მიუღებლად მიაჩნია: „ჭრილობებს ღვინით მოჰბანენ ადამიანს და მალამოთი შეუხორცებენ. ამგვარადვეა აღზრდის საქმეშიც: შემწყნარებლობა და ალერსიანობა ყოველთვის შეერთებული უნდა იყოს სიმკაცრესთან", – მოუწოდებს აღმზრდელებს ნეტარი მამა.

§5. ნეტარი იერონიმე

ნეტარი იერონიმე დასავლური თეოლოგიური სკოლის უდიდესი წარმომადგენელია, რომლის მსოფლმხედველობაზეც გადამწყვეტი გავლენა აღმოსავლურ ქრისტიანობას მოუხდენია. ნეტარი იერონიმე დაიბადა 340 (342) წელს ქალაქ სტრიდონში (დალმაციასა და პანონიას შორის) ღირსეულ ქრისტიანულ ოჯახში. განათლების მისაღებად მშობლებმა ჭაბუკი იერონიმე რომში გაგზავნეს, სადაც იგი სრულად ეზიარა ანტიკურ განათლებას. თავდაპირველად დედაქალაქში ჩასული იერონიმე ქალაქური ფუფუნებითა და ახალგაზრდული თავაშვებულობით ცხოვრობდა, მაგრამ მალე მასში გაიღვიძა სულიერმა ძალებმა და იგი ძირფესვიანად ცვლის ცხოვრების წესს; 20 წლის ასაკში მომავალი წმიდანი მოინათლა.

372 წელს იერონიმე მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. დედ-მამა გარდაცვლილი დახვდა, ამიტომ უმცროს და-ძმაზე ზრუნვა სწორედ მას მოუწია. ამ დროს იერონიმეს ბერად აღკვეცა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა საოჯახო საქმეებმა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება გამოიწვია. ამ პერიოდში იგი აქტიურად სწავლობდა საღვთო წერილს. მალე ნეტარი მამა აღმოსავლეთში გაემგზავრა და სირიის უდაბნოებში შეუდგა სამონასტრო ცხოვრებას. აქ იერონიმე ინტენსიურად მუშაობდა წმიდა წერილზე და მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას მისდევდა. იერონიმემ საფუძვლიანად შეისწავლა ებრაული და ქალდეური ენები. ჩვენამდე მოაღწია მისმა 120-მა წერილმა. მალე ანტიოქიაში საეკლესიო უთანხმოება დაიწყო, რამაც იმ მონასტერშიც იჩინა თავი, რომელშიც ნეტარი იერონიმე მოღვაწეობდა, ამიტომ იგი მონასტერს ტოვებს და ანტიოქიაში გადადის. აქ ეპისკოპოსმა პავლინემ იერონიმე მღვდლად აკურთხა. შემდეგ იგი კონსტანტინეპოლში ჩავიდა, სადაც ხანგძლივი თეოლოგიური თანამშრომლობა ჰქონდა აღმოსავლური ქრისტიანობის უდიდეს მღვდელმთავრებთან: წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან და წმ. გრიგოლ ნოსელთან. 381 წელს მომავალი წმინდანი რომში გაემგზავრა და რომის პაპთან ერთად სამეცნიერო მოღვაწეობა გააგრძელა. სამი წლის შემდეგ იგი კვლავ უდაბნოს ცხოვრებას დაუბრუნდა . 386 წელს ნეტარი იერონიმე ბეთლემში, სწორედ იმ გამოქვაბულში

განმარტოვდა, სადაც ქრისტე იშვა და მკაცრ სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. სწორედ ეს პერიოდი გამოირჩევა ყველაზე მეტი ნაყოფიერებით ნეტარი იერონიმეს სამეცნიერო მოღვაწეობიდან. მან მდიდარი წერილობითი მემკვიდრეობა დატოვა: დოგმატურ-პოლემიკური და ზნეობრივ-ასკეტიკური ნაწერები, წმინდა წერილის განმარტებები, ისტორიული თხზულებები... მისი უმთავრესი ნაშრომია ძველი და ახალი აღთქმის სადვთო წიგნების ხელახალი თარგმანი ლათინურ ენაზე. ეს თარგმანი, რომელსაც ვულგატა უწოდეს, დასავლეთის ეკლესიაში საყოველთაო ხმარებაშია.

წმიდა იერონიმე აღესრულა დაახლოებით 420 წელს. მისი წმიდა ნაწილები რომში გადაასვენეს.

ნეტარი იერონიმე პედაგოგიურ ქმნილებებში უპირატესად განიხილავს ქრისტიანი ქალების აღზრდის პრობლემებს. წერილებში „ლეთასა და გავდენციას", დაწვრილებით აყალიბებს ქრისტიანული აღზრდის წესებს და წარმოადგენს გოგონათა აღზრდის ერთიან სისტემას. ნეტარი იერონიმეს მიერ გამოთქმული პედაგოგიური შეხედულებები მრავალმხრივაა საინტერესო.

ღირსი მამის აზრით, სწავლება და აღზრდა განუყოფელ კავშირშია ერთმანეთთან. ამასთან ერთად, მათი მიზანი არის არა მარტო გონების განვითარება, არამედ ადამიანის სულიერი ძალებისა და უნარების ჩამოყალიბება. უმთავრესი პირობა, რომელიც განსაზღვრავს გონების ჭეშმარიტ განათლებას, კეთილი ზნეობაა: „ბოროტად მოხატული სული ვერ ხედავს დიდ სიბრძნეს", თუკი ნება მიმართულია სიკეთისაკენ, გონება თვითონ მიაკვლევს ჭეშმარიტებას. განსჯა ხომ გონების მანათობელია, რომლითაც ადამიანს შეუცდომლად შეუძლია წარმართოს თავისი საქმიანობა: „როცა თავი ჯანმრთელია,– გვასწავლის ნეტარი იერონიმე,–ნაწილებიც ჯანმრთელია". რაც შეეხება ჩვენი ბუნების ფიზიკურ მხარეს, იგი სრულიად უნდა ემორჩილებოდეს სულიერებას: „სხეული ბავშვია, ხოლო სული – პედაგოგი", – წერდა ღირსი მამა.

ნეტარი იერონიმე უფრო შორს მიდის და თავისი დროისათვის მართლაც უპრეცენდენტო საკითხს, აღმზრდელობითი სწავლების იდეას ავითარებს. მისი აზრით, აღმზრდელობითი სწავლების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტი ქრისტიანი და წმიდა ეკლესიის

მორჩილი შვილი. ამ მიზნის მისაღწევად, ნეტარი მამის აზრით, საჭიროა მორწმუნე ქრისტიანის აღზრდა ღვთის შიშით და სიყვარულით. უფლის შიში მთავარი რელიგიური ძალა, რომელიც უნდა მსჭვალავდეს და ამასთან მართავდეს ადამიანის ყოველგვარ განცდას სწავლის პროცესში. სიბრძნისა და სათნოების საწყისი, ამაღლებული რელიგიურ–ზნეობრივი აღზრდაა, რაც გამსჭვალული უნდა იყოს ღმერთის შიშით. მაგრამ თუკი უფლის შიში სიბრძნის შემეცნების დასაწყისია, მაშინ მისი სიყვარული – ყველა სათნოების მშობელია. სიყვარული განწმენდს ღვთის შიშს და განდევნის მისგან შეუთავსებელს. იგი მის უზენაესობას იცავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აღძრავს მასში შიშს ან წყალობის სურვილს, არამედ იმიტომ, რომ ღვთის უზენაესობა თვითონ უმაღლესი სიკეთეა. ბოლოს მესამე გრძნობა, რომელსაც ნეტარი იერონიმე გამოყოფს, სწორედ მან უნდა განამტკიცოს აღზრდა, იგი წარმოადგენს ერთგვარ კარიბჭეს, რომლითაც ქრისტიანის სულში შემოდის თვით მაცხოვარი – იესო ქრისტე, სწორედ იგია ყველაზე ღრმა და გულითადი რწმენა.

ნეტარი ირონიმეს შეხედულებით ქალწულთა აღზრდაში გამოიყოფა სამი პერიოდი, რომელიც შეესაბამება აღსაზრდელთა ასაკს. შვილებისათვის დედა ყველაზე ახლობელი და შეუცვლელი აღმზრდელია, განსაკუთრებით მათი ცხოვრების პირველ პერიოდში. ჩვილობისას ბავშვები ისე სუსტები არიან, რომ მათ სულიერ აღზრდაზე ზრუნვა ნაადრევია. მაგრამ როგორც კი ბავშვში გამოკრთება შემეცნების ნიშნები, იგი უკვე შეძლებს დედის ხმისა და ღიმილის შემჩნევას, ამასთან ერთად, დაიწყებს თუ არა დანაწევრებულ მეტყველებას, სწორედ ეს არის ის დრო, როცა დედამ სერიოზულად უნდა დაიწყოს ზრუნვა ბავშვის აღზრდაზე და ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს: „როგორც წყალი სწორ ადგილზე მიყვება თითით გაკვალულ გზას, ასევე ბავშვის სათუთი და რბილი ასაკი მიიდრიკება იმ მხარეს, საითაც მას მივმართავთ", გვასწავლის ღირსი მამა. როცა აღზრდაში მაგალითის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, ნეტარი იერონიმე ყველასგან მოითხოვს, რომ არა მხოლოდ დედა, გადია და ძიძა, არამედ მათთან ერთად მასწავლებლები განსაკუთრებულად უნდა იყვნენ მაღალი მორალური თვისებების მატარებელნი და რაც მთავარია, მტკიცე რელიგიური მრწამსის

მქონენი, რომ მათი სიტყვა და საქმე არასოდეს შეერდებოდეს ერთმანეთს.

დიდი თეოლოგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს ბრძოლა, აღმზრდელმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ასეთი ჩვევების ტყვეობაში არ აღმოჩდნენ ბავშვები, რადგან ასეთი გამოცდილება წმ. მამას ჯერ კიდევ ადრე, სკოლაში სწავლისას შეუძენია. ამიტომ ამასთან დაკავშირებით ასეთ გაფრთხილებას იძლევა; „ჯერ კიდევ ბიჭუნა ვიყავი, როცა სკოლაში წავიკითხე: ძნელად შეებრძოლები იმას, რისთვისაც ჩვეულებად გადაქცევის საშუალება მიგიცია შენს ცხოვრებაში.”

შვიდი წელი ის ასაკია, როცა, ნეტარი იერონიმეს აზრით, უნდა შევუდგეთ სისტემატურ სასკოლო სწავლებას და აღზრდას. ცოდნის დაუფლების უმთავრესი საშუალება წიგნიერებაა, ამიტომ ანბანის შესწავლა უნდა დაეფუძვნოს სასკოლო განათლებას. ანბანის სწორად დაუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც შეგნებული კითხვისა და ბავშვთა საერთო განვითარების წინაპირობად მიაჩნდა, ნეტარმა იერონიმემ არა მარტო წერა–კითხვის სწავლების მისაწვდომი მეთოდები და ხერხები ჩამოაყალიბა, არამედ კითხვის შემდგომი განვითარების პროგრამის და სასწავლო მასალის მონახაზიც შეადგინა. კითხვის სწავლების მეთოდი, რომელიც ნეტარმა იერონიმემ შეიმუშავა, არის ჩვეულებრივი ასოთშეერთების მეთოდი, მაგრამ სწავლება მიმდინარეობდა მოძრავი ანბანით, რომლის გამოგონებაც მასვე მიეწერება. ნეტარი მამა აუცილებლად მიიჩნევს კითხვასთან ერთად წერის შესწავლასაც. ამ მოსაზრების მართებულობას იგი საფუძვლიანად ასაბუთებს და ამასთან ერთად რეკომენდაციებს იძლევა წერა–კითხვის სწავლების მეთოდების შესახებ.

ბავშვთა რელიგიურ–ზნეობრივი აღზრდისთვის, ნეტარი იერონიმეს აზრით, სწავლება უპირატესად უნდა წარიმართოს რელიგიური საგნების შესწავლის გზით: „სული, რომელიც ღმერთის ტაძარი უნდა შეიქმნას, და, ისე აღიზრდებოდეს, რომ მხოლოდ იმის მოსმენასა და ლაპარაკს სწავლობდეს, რაც ღმრთის მოშიშებას განეკუთვნება, დაე, ნუ ესმის მას სამარცხვინო სიტყვები, საერო სიმღერები ნუმც სცოდნია, დაე, ყრმობის ასაკიდანვე ენამ მისი ტკბილი ფსალმუნების გალობა

ისწავლოს". ამდენად, წმიდა მამას ადრეული ბავშვობიდან და შემდგომ წლებშიც, უმთავრეს სასწავლო საგნად წმიდა წერილი მიაჩნია. ამასთან ერთად, იგი სასარგებლოდ მიიჩნევს სასულიერო–ზნეობრივი ხასიათის წიგნების კითხვას. ასეთებად მას მიაჩნია: აპოკრიფული წიგნები, ეკლესიის მამებისა და მასწავლებლების თხზულებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარკვეული დოზით ნეტარი იერონიმე დასაშვებად მიიჩნევს საერო მწერალთა ნაწარმოებების კითხვას. თუმცა ამ წიგნთა კითხვას წინ უნდა უძღოდეს მათი მკაცრი შერჩევა იმ მიზნით, რომ ზიანი არ მიადგეს ბავშვთა ჯერ კიდევ სულიერად ჩამოუყალიბებელ ზნეობას და რწმენას. ასეთი წინდახედულების მიუხედავად, ნეტარ იერონიმეს მაინც საყვედურობდნენ წარმართული მეცნიერებისადმი გამოჩენილი ინტერესის გამო. თუმცა ასეთ საყვედურებს უპასუხოდ არც ნეტარი მამა ტოვებდა; „რა გასაკვირია, თუკი მეც, განვწმენდ რა წარმართულ მეცნიერებას არაწმიდისაგან და ცრუსაგან, მარჯვედ ვიყენებ მისი მჭერმეტყველების დახვეწილობას ეკლესიის წევრთა გამრავლებისათვის?!" (9.86).

რელიგიურ–ზნეობრივი განათლების დამხმარე საშუალებად ნეტარი იერონიმე მიიჩნევს მოგზაურობას იმ ადგილებში, სადაც გაცხადდა ჩვენი მაცხოვრის–იესო ქრისტეს სასწაულები. ასეთი თვალსაზრისით იგი თანამედროვე დიდაქტიკაში დამკვიდრებული სწავლების დამხმარე ფორმის – სასწავლო ექსკურსიის აღიარებამდე მიდის, რაც მეტად მრავლისმეტყველ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ქალთა აღზრდა, ნეტარი იერონიმეს შეხედულებით, მოწყვეტილი არ უნდა იყოს ცხოვრებისაგან. სწორედ ამიტომ, იგი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს გოგონებისაგან ხელსაქმის ცოდნას. შვიდი წლის ასაკში პატარა პავლამ ყოველგვარი საოჯახო საქმე უნდა ისწავლოს, – მიაჩნია წმ. მამას და ჩამოთვლის იმ ჩვევებს, რომელიც სწორედ ამ ასაკიდან უნდა ჩამოუყალიბდეს აღსაზრდელ გოგონას.

წარმატებას სწავლებაში დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა სამეგობრო წრე და მათ შორის შეჯიბრი. ამასთან ერთად, წმიდა მამას მიაჩნია, რომ დაუშვებელია განსხვავებული სქესის ბავშვების ერთად სწავლება. ასევე დაუშვებლად მიაჩნია მას ზედმეტად მკაცრი სასჯელები, რადგან გადაჭარბებული სიმკაცრე გამოიწვევს აღსაზრდელთა

დაშინებას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გაწყვეტს მასწავლებლებთან გულითად კავშირს.

ნეტარი იერონიმე გულისხმირებისკენ მოუწოდებდა მასწავლებლებს და მუდამ შეახსენებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მათ დიდი საუნჯე ებარათ, რომელსაც კეთილად აღზრდის შემთხვევაში დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ყველასათვის, ამიტომ სწორედ მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მოწაფეთა ზნეობაზე. წმიდა მამა აუჩქარებელი, გონებითა და გულით განსჯის მომხრე იყო; იგი მოწაფეებს და ყველას საქმის დამშვიდებით აწონ-დაწონას და შემდეგ გადაწყვეტილების მიღებას ურჩევდა.

ქალთა აღზრდაში ზნეობრივი ღირებულებების დაცვა ყოველი ქრისტიანის მოვალეობად მიაჩნია წმ. მამას და ამასვე ურჩევს ზემოთ აღნიშნულ წერილში კეთილმსახურ ლეთას, რომელმაც რჩევა სთხოვა წმიდა მამას, ქალიშვილის აღზრდასთან დაკავშირებით. ნეტარი იერონიმე ასე პასუხობს: „ძვირფასი ქვებისა თუ აბრეშუმის ნაცვლად მას საღმრთო წიგნები უნდა შეაყვარო; ოქროქსოვილი და ბაბილონური მატყლი კი არ უნდა იზიდავდეს მას, არამედ დაკვირვებული და გულმოდგინე შესწავლა ყოველივე იმისა, რაც სარწმუნოებას განეკუთვნება. პირველყოვლისა კი, დაე, ფსალმუნები შეისწავლოს მან და მათი გალობით ინუგეშოს თავი; დაე, სოლომონის იგავებით შეისწავლოს მან ცხოვრების მეცნიერება; დაე, ეკლესიასტედან შეიძინოს ჩვევა ყოველივე საეროს მოძაგებისა; მართალი იობის წიგნში იპოვის იგი სათნოებასა და მოთმინების მაგალითს. ხოლო როცა სახარების შესწავლაზე გადავა, დაე, ნურასდროს გაუშვებს ხელიდან წიგნს... დასასრულ ყოველგვარი შიშის გარეშე შეისწავლოს წიგნი ქებათა ქებისა, რათა მისი თავიდანვე წაკითხვით არ ავნოს თავის სულს იმით, რომ ეგებ, ვერ გულისხმა-ჰყოს, რომ გრძნობისმიერ ხატებათა მიღმა აქ სულიერი მეუღლეობის ხატოვანი განდიდება გვაქვს...” (9.81). როგორც დავინახეთ, ნეტარ იერონიმეს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია არც გოგონათა გარეგნული იერსახე და არც მათი სულიერი სამყაროს ფორმირება, რადგან მიაჩნდა, რომ არა მარტო ქცევაში გამოიხატება ადამიანის ზნეობრივი მახასიათებლები, არამედ მის ჩაცმულობაშიც. ამიტომ ნეტარი მამა მოუწოდებს დედებს, ყურადღება მიაქციონ გოგონათა ტანსაცმელს. მას დაუშვე-

ბლად მიაჩნია შემოჭერილი კაბების ტარება და სამკაულებით მორთვა. ასევე წინააღმდეგია სახის მოხატვის, თმის შეღებვის და ისეთი სამოსის ჩაცმის, რომელიც სრულად არ ფარავს სხეულის ყველა ადგილს და გამომწვევ იერს ანიჭებს ადამიანს. ეს, რაც წმიდა მამის აზრით, მიუღებელია ქრისტიანული აღზრდის სისტემისათვის და გაკიცხვას იმსახურებს.

განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის ნეტარ იერონიმეს ბიბლიის სწავლების საქმეში. მან ყველაზე კარგად უწყოდა ის გარემოება, რომ ბიბლიის ტექსტის გაგება არათუ მოზარდთათვის, არამედ მოწიფული ადამიანებისთვისაც არ იყო იოლი. ამიტომ იგი ბერძნულ-ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლისგან გასხვავებით, სადაც წმიდა წერილის ალეგორიული ახსნა-განმარტება იყო გაბატონებული, ამკვიდრებს ახსნა-განმარტების ლიტერატურულ-კრიტიკულ და ისტორიულ-ღვთისმეტყველურ მეთოდს. ამ მეთოდმა უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი მიმდევრები მიმართავენ ბიბლიის ტექსტის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. ასევე ახდენენ სხვა რელიგიებთან მიმართებაში შედარებით ანალიზს. განიხილავენ მომიჯნავე კულტურებს, ძველი აღმოსავლეთის ხალხის რელიგიების ისტორიასა და კულტურასთან შეპირისპირებით, რომელთა გარემოშიც ვითარდებოდა ბიბლიური მოვლენები.

§ 6. ნეტარი ავგუსტინე

ლათინური ქრისტიანული სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ნეტარი ავგუსტინე, რომელიც 354 წელს ნუმიდიის (ალჟირი) ქალაქ ტოგასტაში დაიბადა. მისი მამა პატრიციუსი წარმართი იყო, ხოლო დედა მონიკა – ქრისტიანი. იგი ჯერ გადაურაში სწავლობდა, რომლის შესახებ თავად მოგვითხრობს: „ჩემს სიყმაწვილეში, რომელიც ნაკლებ შიშს მინერგავდა, ვიდრე სიჭაბუკე, გულს ვერ ვუდებდი სწავლას, თუკი არ მაიძულებდნენ მემეცადინა. იძულებით კი, ოცოცხლე, მაიძულებდნენ, და ეს სასიკეთო გამოდგა ჩემთვის, თუმცა მე თვითონ ცუდად ვიქცეოდი: რომ არ ვეიძულებინეთ, საერთოდ ხელს ავიღებდი სწავლაზე. ვინ აკეთებს რამეს კარგად, თუ ეს

მის ნება-სურვილს ეწინააღმდეგება, – კარგ საქმესაც რომ აკეთებდეს ? ცუდად იქცეოდა ყველა, ვინც მაიძულებდა შემეცადინა, მაგრამ თუ ეს იძულება სასიკეთო გამოდგა ჩემთვის, ამას მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე უფალო" (15.14).

შემდეგ კართაგენში მიიღო იურიდიული განათლება და იქვე დაიწყო მასწავლებლობა. ამის შემდეგ ავგუსტინე კართაგენს ტოვებს და სამშობლოში დაბრუნებული აგრძელებს გრამატიკის მასწავლებლობას, ოცდაცხრა წლის ასაკში მან მანიქეველთა სწავლებაში მრავალი წინააღმდეგობა აღმოაჩინა. ნეტარი ავგუსტინე გაეცნო ციცერონის შრომებს და ყურადღება გაამახვილა ეთიკასა და ზნეობრივი აღზრდის პრობლემებზე. ამის შემდეგ იგი რომს გაეგზავრა, აქ დიდხანს არ დარჩენილა და მილანში გადავიდა წმიდა ამბროსი მედიოლანელის ქადაგებათა მოსასმენად. ისევე როგორც კართაგენში, იგი აქაც აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას. წმიდა ამბროსი მედიოლანელის შესახებ შემდგომში იგი წერდა: „მე მასთან ღმერთმა მიმიყვანა, რათა მის ღმერთთან მივსულიყავი". აღნიშნულმა ქადაგებებმა მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა და 387 წელს მოინათლა კიდეც, ამის შემდეგ მისი ცხოვრება ღმერთის ჭეშმარიტ სამსახურს ეძღვნება.

396 წელს ნეტარი ავგუსტინე აარსებს სკოლა-მონასტერს ჰიპონიაში და თავად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ავგუსტინემ მრავალი შრომა დაწერა იმ დროს, როცა ის იყო მანიქეველი, სტოიციზმის მიმდევარი თუ ნეოპლატონიკოსი. მაგრამ მისი შემოქმედება უფრო ნაყოფიერი გახდა ქრისტიანად მოქცევის შემდეგ. ამ ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ნეტარი ცხოვრების შესახებ", „კანონზომიერების შესახებ", „მონოლოგები" და მის გაგრძელებად მიჩნეული „სულის უკვდავების შესახებ". მანიქეველების წინააღმდეგ გაილაშქრა ნეტარმა ავგუსტინემ შრომაში: „ამორჩევის თავისუფლების შესახებ", სადაც განხილულია ბოროტების საწყისის საკითხი. ამავე დროს მიეკუთვნება ავგუსტინეს შრომები გრამატიკაზე, დიალექტიკაზე, მათემატიკაზე, მუსიკასა და რიტორიკაზე. პედაგოგიური მოღვაწეობის ხანაში ნეტარმა ავგუსტინემ შექმნა შრომები: „სამება" (400—410 წწ.), „აღსარება" (400 წწ.) და „ღვთის ქალაქი" (410—426 წწ.). ნეტარი ავგუსტინე გარდაიცვალა 430 წელს.

ნეტარი ავგუსტინეს მიერ დაარსებული სკოლა-მონასტერი ქალაქ ჰიპონიაში წარმოადგენდა ადგილობრივი საეკლესიო დასის წევრთა საერთო საცხოვრისს, მის მთავარ ფუნქციას ეკლესიის მსახურთა მომზადება შეადგენდა, სწორედ ამის მიხედვით იყო შედგენილი სკოლის სასწავლო პროგრამა. გავრცელებული აზრის თანახმად, ეკლესიის მსახურთა მომზადებას ანტიკური ტექსტების საფუძველზე იწყებდნენ. ამ მიზნით შეისწავლიდნენ რიტორიკას, ხოლო საეკლესიო მჭერმეტყველების განვითარებისათვის აუცილებლად მიიჩნევდნენ ციცერონის თხზულებების კითხვას, ამიტომ აქ ეკოლვენცია (წყობილსიტყვაობა) მნიშვნელოვან საგნად ითვლებოდა, მაგრამ მთავარი სასწავლო საგანი მაინც ეგზეგეტიკა (წმიდა წერილი) და იყო, რადგან სკოლის მიზნიდან გამომდინარე მოსწავლეს სცოდნოდა და ამავე დროს შეძლებოდა სხვებისთვისაც ესწავლებინა საღვთო რჯული. ამის თაობაზე თავის „ქრისტიანულ მეცნიერებაში" ნეტარი ავგუსტინე მიუთითებდა, რომ წმიდა წერილის ცოდნა თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისი ცოდნა იძლევა მასალას ქადაგებისათვის. აქედან ჩანს, რომ ავგუსტინეს სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარად იყო აგებული, რომ იგი ორიენტირებული ყოფილიყო პრაქტიკული სამოძღვრო საქმიანობისადმი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ რომის ქრისტიანული სკოლისათვის დამახასიათებელი იყო ეკლესიოლოგიური (საღვთისმსახურებო) პრაგმატიზმი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა საეკლესიო წეს-ჩვეულებებს და ქცევებს. სწორედ ამგვარმა მიდგომებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი რომის ლათინურენოვანი ქრისტიანული სკოლის საერთო მიმართულებაზე, რომელიც უპირატესად, ალექსანდრიული სკოლის მსგავსად ანტიკური ლიტერატურის მიმართ ლოიალობაში გამოიხატებოდა, თუმცა ეს პოპულარული მოსაზრება ჩვენი აზრით დაზუსტებას მოითხოვს, რადგან მიგვაჩნია, რომ ასე ცალსახად ამ პრობლემას არ უყურებდნენ. ამის დასტურად მრავალი ფაქტის გახსენება შეიძლება. ისტორიამ შემოგვინახა ისეთი ცნობები, რომლებიც გვაუწყებენ ქრისტიანული და ანტიკური მსოფლმხედველობის უკიდურეს დაპირისპირებაზე. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკა, რომელიც რელიგიური ბრძოლების სამიზნე

გახდა, ან ცნობილი რიტორიკული სკოლის ხელმძღვანელის მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს (42–118წწ.) პედაგოგიური ტრაქტატი „ორატორის დარიგებანი" 12 წიგნად, რომელიც ქრისტიანული რელიგიის წარმართულთან შეუთანხმებლობის გამო დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული იყო და იგი საუკუნეების შემდეგ, 1415 წელს ბოჯო ბრაჩოლინომ პადუის ეკლესიაში აღმოაჩინა. რადგან ტექსტი არ შეიცავდა სარწმუნოებრივ სენტენციებს და იგი მთლიანად ორატორის აღზრდის პრობლემებს ეძღვნებოდა, ამიტომაც შეიწყნარეს და არ გაანადგურეს, მაგრამ არა იმდენად, რომ ამ წიგნით აღეზარდათ მომავალი თაობა. თუმცა კვინტილიანეს „ორატორის დარიგებანი", როგორც წარმართული ეპოქის თხზულება, მაინც მიუღებელი აღმოჩნდა პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობისათვის. მან მხოლოდ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძინა ახალი სიცოცხლე და კვლავ პოპულარული გახდა, მაგრამ მხოლოდ საერო სასწავლებლებში.

ამდენად, აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სარწმუნოებრივ დაპირისპირებას პერიოდულად მძაფრი ხასიათი ჰქონდა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი თეოლოგი აქტიურად იყენებდა ანტიკური ეპოქის თხზულებებს მოწაფეთა ზოგადი განათლებისათვის, მაგრამ ამის მოწინააღდეგენიც არ იყვნენ ცოტანი.

ნეტარი ავგუსტინე პირადი გამოცდილებით აფასებს მისი თანამედროვე დაწყებითი სკოლის ავკარგიანობას და ზეპირობის წინააღმდეგ ილაშქრებს. იგი მიუღებლად მიიჩნევს სწავლებას არამშობლიურ ენაზე, მით უფრო კატეგორიულია სწავლებაში ძალდატანებაზე, მიუხედავ იმისა, რომ ასეთი ზემოქმედებით მან წარმატებებს მიაღწია. მაგრამ საბოლოოდ მაინც ღვთის განგებამდე დაჰყავს მთელი სასწავლო პროცესი: „მაგრამ რა იყო იმის მიზეზი, რომ ასე ძალიან მძულდა ბერძნული, რომლითაც სიყრმიდანვე მჭყიპავდნენ? მართალი გითხრათ, დღესაც არ ვიცი. – წერდა ავგუსტინე, – ლათინური კი მიყვარდა, მაგრამ არა ის, რასაც დაწყებით სკოლებში ასწავლიან, არამედ ეგრეთწოდებული გრამატიკოსთა გაკვეთილები. წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლა თავდაპირველად ისევე ძნელი და აუტანელი მეჩვენებოდა, როგორც ბერძნული. რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, თუ არა ცოდვა და ცხოვრებისეული ამაოება ? რადგან მე ვი-

ყავი „ხორცი და ცდომილი სული, უკან რომ არ შემოიქცევა." და მაინც, ეს პირველდაწყებითი სწავლა, რომელიც ბოლოსდაბოლოს, საშუალება მომცა სხვისი ნაწერიც მეკითხა და თვითონაც მეწერა, რაც კი მომეპრიანებოდა, გაცილებით უფრო უკეთესი და სასარგებლო იყო, ვიდრე ის გაკვეთილები, სადაც მაიძულებდნენ დამეზუთხა ვიღაც ენეასის ხეტიალი და, ამრიგად, დამევიწყებინა ჩემი საკუთარი ხეტიალი ცოდვისა და ცდომილების გზით..." (15. 14–15).

ნეტარი ავგუსტინე საფუძვლიანად დაინტერესდა ადამიანის განვითარების კანონზომიერებათა კვლევა-ძიებით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ნაშრომი „ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის", რომლის პირველივე თავში გაისმის ნეტარი მამის წუხილი იმის შესახებ, რომ „ფილოსოფოსები სხვაგვარად ასწავლიდნენ სარწმუნოებას სკოლაში და სხვაგვარად ადიარებდნენ მას ტაძარში", ამიტომ ყოვლისმომცველი ცოდნა არის სწორედ ღვთიური ცოდნა, რომელიც ასახული არის საღმრთო განგებულებაში, ამიტომ: „თავიდან ყურადღება უნდა მივაპყროთ ბუნებასა და აღზრდას, – წერს ნეტარი ავგუსტინე, – პირველი მისი ასაკი ყრმობა, – სხეულებრივ საზრდოობაში მოედინება და სრულიად დავიწყებულია მოზრდილის მიერ. ამ ასაკს მოსდევს სიყმაწვილე, რომლიდანაც ჩვენ უკვე ვიწყებთ რაღაცის დამახსოვრებას. სიყმაწვილეს მოსდევს სიჭაბუკე, რომლისთვისაც ბუნებას შთამომავლობის გაგრძელების უნარი მოუნიჭებია და ადამიანს მამად შექმნის. შემდეგ დგება ვაუკაცობის ხანა, რომელშიც ადამიანს უკვე საზოგადოებრივ საქმეთა აღსრულებაც შეუძლია, მაღალ თანამდებობათა დაკავებაც და კანონთა წინაშე მორჩილებაც..." (9.58). როგორც ჩანს, ნეტარი მამა ადამიანის ფიზიკურ არსებობაში გამოყოფს ოთხ პერიოდს: პირველი ასაკი – ყრმობაა, მეორე – სიყმაწვილე, მესამე – სიჭაბუკე, ხოლო მეოთხე კი – ვაუკაცობის ხანა. აქვე ახასიათებს თითოეულ მათგანს და გამოყოფს მოცემული ასაკისათვის დამახასიათებელ საქმიანობას. წარმოდგენილ ასკობრივ პერიოდიზაციაში სწავლისათვის ოპტიმალურ ასაკად მას მეორე პერიოდი – სიყმაწვილე მიაჩნია, რაც სრულიად გამართლებულია, თუმცა მარტო ამ ასაკობრივ ჯგუფში არ ხდება მოზარდის შემეცნებითი ძალების განვითარება. ეს პროცესი მეტ-ნაკლებად ყველა ასაკობრივ საფეხურზე მიმდინარეობს, განსაკუთრებით ოპტიმალური პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობები სწავლისთვის, ნეტარი ავგუსტინეს მიერ მოცემული პერიოდიზაციით, მესამე საფეხურის – სიჭაბუკის ტოლფასი არის (11.84-85).

ნეტარი ავგუსტინე ერთმანეთისაგან მიჯნავს გონებას და გრძნობებს. ეს განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნია მას მაშინ, როცა საქმე ეხება გარემომცველი მოვლენების შემეცნებას: „გონიერი სიცოცხლე მხოლოდ იმაზე კი არ მსჯელობს, რაც გრძნობებს არის დაქვემდებარებული, არამედ თვით ამ გრძნობებსაც სჯის; მაგალითად, გონებას შეუძლია განსაჯოს, თუ რატომ გვეჩვენება ხოლმე ნიჩაბი წყალში ტეხილად, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი მრთელი და სწორია, ანდა ის, თუ რატომ ხედავს მას თვალი ამგვარად – ტეხილად წყალში; ამ მოვლენის აღნუსხვა თუ დადასტურება თვალს ნამდვილად შეუძლია, მაგრამ მასზე მსჯელობა კი – არ შეუძლია. აქედან ცხადია, რომ რამდენადაც გრძნობით დაჯილდოებული სიცოცხლე აღმატებულია უსიცოცხლო სხეულზე, ამდენადვე გონიერი სიცოცხლე ორივეს ამათ აღემატება," (10.65). – ასკვნის ნეტარი მამა და ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს ავტორის თვალთახედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან გონიერი სიცოცხლე ღვთიური ძალის მატარებელია, ამიტომაც არის იგი აღმატებული, როგორც უსიცოცლო სხეულებზე, ისე გრძნობით დაჯილდოებულ სიცოცხლეზეც კი. ამასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს „ავგუსტინესთან ადამიანურ გონებას ღმერთის მხოლოდ უარყოფითი განსაზღვრულობები გააჩნია. ამიტომ რაციონალური გზით ღმერთი მიუღწეველია, სულის უმაღლესი მიზანია ნეტარი სიმშვიდის მიღწევა ღვთაებრივი ჭეშმარიტების ჭვრეტაში" (12.27). ზემოთ მოტანილ ნაწყვეტშიც აშკარად გამოიკვეთა ნეტარი ავგუსტინეს დადებით დამოკიდებულება ადამიანურ გონებაზე, ხოლო, რაც შეეხება სულის უმაღლეს მიზანს, აქ საეჭვო ნამდვილად არაფერია.

როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ გონიერი სიცოცხლე ანუ ღმერთი არის ყველას უმაღლესი მასწავლებელი, რომელიც არის არა მარტო რწმენის საფუძველი, არამედ ცოდნის პირველწყაროც: „ჩვენი ბუნება რომ ჩვენგან ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სიბრძნეც ჩვენი პროდუქტი იქნებოდა და ამისთვის არ დაგვჭირდებოდა ზრუნვა იმაზე, იგი სწავლით მოგვეპოვებინა... მაგრამ რადგან ჩვენ, ბუნებას უფალი ჰყავს მისი არსებობის

შემქმნელად, ჩვენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე... იგი მასწავლებლად უნდა გვყავდეს" (14. 549).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ნეტარი ავგუსტინე მსჯელობს „გონიერების ხარისხზე, მის სხვადასხვა დონეზე და შემეცნების, ცოდნის დაუფლების აუცილებლობამდე მიდის: „თუკი გონიერი სიცოცხლე თავისი თავით განსჯის, მაშასადამე მასზე აღმატებული უკვე არავითარი ბუნება არ არის. მაგრამ რადგანაც ცხადია, რომ იგი ცვალებადია–ხან გამოცდილია ხოლმე, ხან კი– გამოუცდელი, ამასთან, მით უფრო უკეთესად სჯის, როცა გამოცდილია, ხოლო გამოცდილი მით უფრო არის, რაც უფრო მეტად არის დაუფლებული რომელიმე ხელოვნებას, მეცნიერებასა თუ სიბრძნეს," (12.65) აქედან ცხადია, რომ ცოდნის საჭიროებას, მის დაუფლებას უმთავრესი ყურადღება ეთმობა, რადგან, წმიდა მამის აზრით, სწორედ მეცნიერებას, ხელოვნებას და სიბრძნეს ნაზიარები ადამიანი არის სრულყოფილი ანუ გამოცდილი.

ავგუსტინეს აზრით, რაც სარწმუნოა, თავის მხრივ ჭეშმარიტია, რასაც ვიმეცნებთ გვწამს კიდეც, შემეცნებისათვის აუცილებელია რწმენა. რწმენა არის შემეცნების საფუძველი და ამ მხრივ რწმენას უპირატესობა აქვს ცოდნის წინაშე. მისი უპირატესობა იმაშიც ჩანს, რომ, რაც გვწამს, ყველაფრის შემეცნება არ შეგვიძლია (13. 597).

წმიდა წერილის განმარტებათაგან ავგუსტინეს საუკეთესო და სასარგებლო თხზულებაა „ქრისტიანული მეცნიერება". ეს არის შესანიშნავი გამოკვლევა წმიდა ჰერმენევტიკისა ანუ სახელმძღვანელო იმისათვის, თუ როგორ უნდა აიხსნას წმიდა წერილი და როგორ გადმოიცეს განმარტება საეკლესიო დარიგებისა. (5.259).

ნეტარი მამა ყურადღების გარეშე არ ტოვებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: მშვენიერების აღქმა, მისი სწორი განსჯა, ჰარმონია, თანაფარდობა და პროპორცია: „ყველაზე ჭეშმარიტი და უპირველესი ერთიანობა სხეულებრივი თვალებით ან რომელიმე სხეულებრივი გრძნობით კი არ აღიქმება, არამედ მხოლოდ მოაზროვნე გონებით შეიმეცნება...., თუმცა ჩვენს გონებას აღემატება ის კანონი, რომელიც ჭეშმარიტებად იწოდება." (5.67-68). —ასკვნის ნეტარი ავგუსტინე, ამიტომ ღმერთისაკენ მუდმივი ლტოლვა, რაც ყველაზე დიდ ჭეშმარიტებად მიაჩნდა მას, მიიღწეოდა მხოლოდ

სულიერი აღზრდა–განათლებით, რაც ავგუსტინესეული სკოლის მიზანს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით, ნეტარი ავგუსტინეს სკოლა ახლოს იდგა სირიულ ტრადიციებთან. ღვთისმეტყველების სისტემატური კურსი თითქმის არ შეისწავლებოდა, თუ არ ჩავთვლით ბიბლიური ღვთისმეტყველების მოკლე კურსის ზოგად მიმოხილვას, რომელიც წინ უძღოდა წმიდა წერილის შესწავლას. ავგუსტინე სწავლების შინაარსიიდან უპირატესობას დიალექტიკას და რიცხვთა თეორიას ანიჭებდა, რადგან, მისი აზრით, ფილოსოფიას სწორედ მათი საშუალებით ვეზიარებით, ხოლო ეს უკანასკნელი ღვთის შემეცნებისთვის ყველაზე აუცილებელია. სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნები არ ისწავლებოდა (ლათინურ სკოლებში ასეთი საგნები VI საუკუნეში გამოჩნდა). ზოგადად ფილოსოფიის შესახებ იმის თქმა შეიძლება, რომ როგორც ამას კლიმენტი ალექსანდრიელი თვლიდა, ფილოსოფია ღმერთის მიერ ებოძა ბერძნებს, ამიტომ მისი გამოყენება აუცილებელი და სასარგებლო იყო. ამავე აზრს იზიარებდა ნეტარი ავგუსტინეც და პლატონის ფილოსიფიას დადებით შეფასებას აძლევდა. მისი აზრით, ანტიკური ფილოსოფიის საშუალებით შესაძლებელია ჩავწვდეთ ქრისტიანულ მოძღვრებას. ამდენად, მისთვის ანტიკური ფილოსოფია თვითმიზანი კი არ არის, არამედ ქმედითი საშუალებაა ქრისტიანული მოძღვრების არსში ჩასაწვდომად.

თვით წმიდა წერილის შესწავლა აგებული იყო შემდეგნაირად: თავდაპირველად მოსწავლე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე კითხულობდა ბიბლიის ყველა კანონიკურ წიგნს, რათა წინასწარ გაცნობოდა მას, თუნდაც მხოლოდ ზოგად აგებულებას, შემდეგ მასწავლებელი იძლეოდა იმ ადგილების განმარტებას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული გამოყენებისათვის, ხოლო მოსწავლეები თავიანთი ხელნაწერი წიგნების არეებზე მიაწერდნენ განმარტებებს.

გარდა ამისა, სკოლაში ისწავლებოდა ჰომილეტიკა, რაც ქადაგების ხელოვნებას წარმოადგენდა. მნიშვნელობას ანიჭებდნენ არა მარტი შინარსს, არამედ სიტყვის წარმოთქმის გარეგნულ ფორმას. ჰომილეტიკის გვერდით მიმდინარეობდა პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთი საგნის სწავლება, როგორიცაა სამოძღვრო ღვთისმეტყველება. იგი აგებული იყო ნეტარი ავგუსტინეს სამოძღვრო პრაქტიკის შესაბამისად

თავისუფალი საუბრების სახით. სულის მკურნალობა ნეტარი მამის აზრით, წვრთნით ანუ აღზრდით არის შესაძლებელი.

ავგუსტინეს სკოლაში აღმზრდელობით ხელოვნებას-ეს ნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. სკოლის გეგმაზომიერ მუშაობას დიდ ყურადღებას უთმობდა ნეტარი მამა. იგი სკოლის მუშაობის რეჟიმზეც გამოთქვამს მოსაზრებას, გამორიცხავს ღამით სწავლას და მიაჩნია, რომ სწავლა მხოლოდ დღისით უნდა მიდინარეობდეს, იგი ლოცვით უნდა დაიწყოს და მთელი დღე გაგძელდეს.

ნეტარი ავგუსტინე მოწოდებული იყო, პრაქტიკულად განეხორციელებინა პირველქრისტიანთა იდეალი საერთო საკუთრების შესახებ. სამონასტრო დისციპლინა სკოლაში ხელს უწყობდა ზნეობრივ აღზრდას, რომლის საფუძველს შეადგენდა აღზრდის ისეთი პრინციპი, როგორიცაა „იძულება". შედგომში მრავალი ლათინური სკოლის პროტოტიპად იქცა ნეტარი ავგუსტინეს სკოლა, თვით ავგუსტინეს მოწაფეებმა, ღირსეული მასწავლებლის მიბაძვით, თავიანთ ეპარქიებში მსგავსი სკოლები გამართეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავრელიუს კასიოდორი, რომელიც თავს ბერძნულ-რომაული ქრისტიანიზებული კულტურის მატარებლად მიიჩნევდა. იგი ჯერ სენატორი იყო, ხოლო შემდეგ სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეჭირა მეფის სასახლეში. 535 წელს რომის პაპთან (აგაპიტთან) ერთად შეადგინა ალექსანდრიის და ნიზიბინის სკოლის ტიპის პროექტი რომის საზოგადოებრივი სკოლისათვის, მაგრამ ბიზანტიასთან მომხდარმა ომმა მის განხორციელებას ხელი შეუშალა. ამის შემდეგ 540 წელს კასიოდორმა დაარსა სამონასტრო სკოლა თავის მდიდრულ მამულში. ამ სკოლაში სრული მოცულობით ისწავლებოდა საერო საგნები. მართალია, მათი მნიშვნელობა განისაზღვრა, როგორც დამხმარე საშუალებისა წმიდა წერილის განმარტების პროცესში, მაგრამ კასიოდორის სკოლის ზოგადი აგებულება, სწავლების მეთოდები და აღზრდის სისტემა ახლოს იდგა ნიზიბინის სკოლასთან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სახარების შესავალი კურსი ნიზიბინის სკოლის ანალოგიით ისწავლებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ტექსტის გარეგნულ მხარეს, ორთოგრაფიას, პუნქტუაციას და კალიგრაფიას. თითოეული მათგანის შესასწავლად განსაზღვრული დრო იყო გამოყოფილი.

რაც შეეხება ეგზეკეტიკას, იგი მოწოდებული იყო, რაც შეიძლება მეტი და ამომწურავი განმარტებები მიეწოდებინა მოსწავლეთათვის, ავტორთა შერჩევისას უპირატესობა ლათინებს ენიჭებოდათ. კასიოდორის სკოლამ საკუთარი [illegible] ვერ გამოიმუშავა, თუმცა იგი მაინც სანიმუშო გახდა სხვა მონასტრებისა და ორდენების სკოლებისათვის, პირველ რიგში კი ბენედიქტების ორდენის სკოლებისათვის. სხვათა შორის, ამჟამადაც იეზუიტური სკოლები იმავე საფუძველზე არიან აგებული, როგორც ადრე იყო კასიოდორის სკოლები.

თუ შევაჯამებთ წინამდებარე მსჯელობას, შეიძლება ითქვას, რომ უძველეს ქრისტიანულ ეპოქაში სკოლები სხვადასხვაგვარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი მოწოდებული იყო მოსწავლეთათვის მიეცა უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება, წმიდა წერილისა და საეკლესიო სწავლების საფუძველზე, ცალკეულმა სკოლებმა მაინც შესძლეს აღზრდა-განათლების თავისებური პრინციპებისა და მეთოდების გამომუშავება, ბერძნულმა სკოლამ მიზნად განათლებული ქრისტიანის აღზრდა დაისახა. ამიტომაც ცდილობდნენ შეესწავლათ ისეთი ზოგადსაგანმანათლებლო საგნები, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ღვთისმეტყველებასთან. განსაკუთრებულ განვითარებას აქ ქრისტიანულმა ფილოსოფიამ მიაღწია, დაწინაურდა სისტემატური მეცნიერებები: აპოლოგეტიკა, დოგმატიკა, ზნეობრივი ღვთისმეტყველება და სხვა.

აღმოსავლურ-სირიული და ლათინური სკოლა მისდევდა პროფესიულ და პრაქტიკულ ამოცანებს. სწორედ სირიელების, განსაკუთრებით კი ანტიოქიელების დამსახურებაა წმიდა წერილის განმარტების ისტორიულ-გრამატიკული მეთოდის დამუშავება, რომელმაც შემდეგში სასიკეთო ნაყოფი გამოიღო; ლათინურ-რომაულმა სკოლამ სათავე დაუდო მაღალ საეკლესიო მჭევრმეტყველებას. საერთოდ, მე-3 საუკუნის ქრისტიანობაში გამოიკვეთა ორი მიმართულება წარმართული განათლების და ზოგადად ფილოსოფიისადმი: ერთი ატარებდა თეორიულ ხასიათს და დადებითად იყო განწყობილი, მეორე–კი პრაქტიკულ ხასიათს და უარყოფითად იყო განწყობილი. პირველს განასახიერებდა აღმოსავლური ქრისტიანობა, ხოლო მეორეს– ლათინურენოვანი დასავლური ქრისტიანობა.

ამრიგად, სწორედ სამმა უძველემა ქრისტიანულმა სკოლამ დაუდო სათავე ქრისტიანულ პედაგოგიკას. რომლის მემკვიდრეც ჩვენი ეკლესია და მის წიაღში არსებული საგანმანათლებლო სისტემაა, რადგან ქართული მართმადიდებლური ეკლესია მოციქულთა დაარსებულია. როგორც დავინახეთ, სკოლები სხვადასხვა ამოცანებს ისახავდნენ, ამიტომ დღევანდელმა სკოლამაც დაუფიქრებლად არ უნდა მისდიოს ავტორიტეტებს, არამედ პედაგოგიური საქმიანობის მიზნები და ამოცანები შეუსაბამოს უძველეს პედაგოგიურ გამოცდილებას. იქ, სადაც გვაქვს საგანმანათლებლო ხასიათის ამოცანები, ანდა მართმადიდებლური მსოფლმხედველობაზე დაფუძვნებული სამყაროსა და კულტურის შემეცნების პრობლემები, საჭირო იქნება გავითვალისწინოთ ალექსანდრიის სკოლის გამოცდილება. მაგრამ როცა ლაპარაკია პროფესიული განათლების აგებაზე, მათთვის, ვისი მსოფლმხედველობაც იმდენად არის ჩამოყალიბებული, რომ საეკლესიო ცხოვრება მათი არსებობის ერთადერთი საშუალებაა, ასეთი კატეგორიის მორწმუნე ახალგაზრდებმა უმაღლესი დაოსტატებისათვის შესაძლებელია გამოიყენოს როგორც ალექსანდრიის, ისე დასავლეთისა და სირიის სკოლების გამოცდილება.

რაც შეეხება უნიკალურ საეკლესიო მჭევრმეტყველებას, რომელიც უპირატესად ლათინურმა სკოლის მონაპოვარია, ასეთი გამოცდილება იმდენად აუცილებელია ქრისტიანული ქადაგებისთვის, რომ იგი სასარგებლო იქნება მხოლოდ სულიერად მომწიფებული ადამიანებისათვის. მჭევრმეტყველების ხერხების უცოდინრობა, როგორც წესი, ხშირად იწვევს უბრალოდ ლაქლაქსა და ფუჭსიტყვაობას. ვინც უფალმა თავისი სიტყვით დააჯილდოვა, აუცილებლად უნდა შეინახოს იგი უმანკოდ, რადგან სიტყვა ემსახურება ღვთიურ გამოცხადებას და გამოხატავს ადამიანის პირად სულიერ განწყობას.

ქართული მართმადიდებლური სკოლა, როგორც უძველესი სამოციქულო ეკლესიის შემადგენელი ნაწილი, კანონიერად ითვლება უძველესი ქრისტიანული სკოლების მემკვიდრედ. ამიტომ ის ჭეშმარიტი სულიერება, რომელიც გზას უნათებდა ჩვენს ეკლესიას საუკუნეების მანძილზე, ქართული ქრისტიანული განათლების მტკიცე საფუძველი უნდა იყოს ამჟამადაც და მომავალშიც.

ძირითადი დასკვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანული პედაგოგიკა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ერთ-ერთი ნაწილია, ამიტომ მისი თეორიული საფუძვლების გააზრება აუცილებელია იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის შესწავლისათვის, რასაც ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორია ისახავს მიზნად.

რაც შეეხება საკუთრივ ქრისტინულ პედაგოგიკას, დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული პრობლემატიკით გასულ საუკუნეში დაინტრესდნენ, ხოლო ამავე საუკუნის 50-60 – იანი წლებიდან დღემდე არაერთი საყურადღებო ნაშრომი შეიქმნა ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში. წინამდებარე შრომა პირველი მცდელობაა ქართულ ენაზე ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიის საკითხების გაშუქებისა.

როგორც ქრისტიანობა, ისე ქრისტიანული პედაგოგიკაც ღვთის სიტყვიდან იღებს დასაბამს. ამდენად, ძველი და ახალი აღთქმა ქრისტიანული პედაგოგიკის ზოგად საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნაშრომში შესწავლა – ანალიზის ობიექტიც ეს წმინდა წიგნებია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პედაგოგიკა თავისი არსით სიყვარულის ზოგად-ქრისტიანულ დოგმატზეა ორიენტირებული, ამის შესახებ ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი"(იოან. 13:34), ხოლო პედაგოგიურ პროცესს გამჭოლ იდეად ბავშვის სიყვარული გასდევს, რაც საფუძველშივე აახლოებს მას ქრისტიანობის მარადიულ იდეალებთან.

როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიოში გრანდიოზული სახეცვლილება განიცადა იდეოლოგიამ. ძირეულად შეიცვალა ადამიანთა ცნობიერებაც, ძველმა იდეოლოგიურმა პოსტულატებმა არსებობა შეწყვიტეს, რამაც დიდი სიცარიელე წარმოშვა ადამიანთა სულიერ სამყაროში, ამიტომ საზოგადოება სულიერი ქაოსის წინაშე აღმოჩნდა.

იმ ქვეყნებში, სადაც ქცევის ნორმებს ათეისტური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა, მათი გაქარწყლების შემდეგ, გულგატეხილობამ მოიცვა საზოგადოების დიდი ნაწილი, ამიტომ ადამიანთა რელიგიისაკენ შემობრუნება ბუნებრივ

რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა დღესაც მსოფლიოს ძრავალ კუთხეში რელიგიის სახელით ებრძვიან, აწამებენ და ხოცავენ განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევრებს. რაც იმდამიანურ ღირებულებათა თავზარდამცემი გაუკუღმართებაა. ასეთი რამ არც თუ იშვიათად, რელიგიური დებულებების არასწორად გაგებასაც მოსდევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიგიის არსიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: რადგან სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და ჰარმონია პირდაპირ შეესაბამება უფლის მიერ დადგენილ წესებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიწიერი სამყაროს უზენაესი არსება ადამიანი უფლის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშაა, აქედან გამომდინარე, ადამიანი ღვთიური წესრიგის მთავარი წარმმართველი ძალა უნდა იყოს, რაც უფლის მიერ დადგენილი წესებით ცხოვრებაში გამოიხატება. თუმცა, სწორედ ეს აღმოჩნდა ყველაზე რთული პრობლემა ცოდვით დაცემული ადამიანისათვის. ამიტომაც არის უფლის ძალისხმევა მიმართული ადამიანის გაკეთილშობილებისკენ, რაშიც გარკვეულ როლს ღვთიური რწმენით აღვსილი ადამიანის აღზრდა ასრულებს.

გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში მოზარდის განვითარების, პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული და მას ემპირიზმის თეორიის სახით იცნობენ. სწორედ ის გარემო პირობები ახდენს ბავშვის აღზრდაზე ზემოქმედებას (მემკვიდრეობასთან და აღზრდასთან ერთად), რომელიც ღვთიური წესრიგის და ჰარმონიის სრული განსახიერებაა. *ამიტომ იგი ძველი აღთქმისეული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.*

როგორც ცნობილია, ყოველი საზოგადოება გარკვეული ზნეობრივი ორიენტირებით ცხოვრობს, რაც გავლენას ახდენს მომავალი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაზე. სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესი, მორალური კატეგორიები ასრულებენ წარმმართველ როლს ახალგაზრდობის აღზრდაში. ხოლო თუ საზოგადოება იმდენად არის დაწინაურებული, რომ მას ქცევის მარეგლამენტიერებელი ნორმები აქვს, ეს უკვე დიდი წარმატებაა. მაგრამ სრულიად სხვა სიმაღლესთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა საუბარი ღვთის სიტყვაზე, ანუ მარადიულ, ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე და

სამყაროს შემოქმედზეა. ამდენად, ჩვენს წინაშეა არათუ სრულყოფილი, არამედ აღმატებული შინაარსის, ღვთიური სიბრძნით დატვირთული და უმაღლესი სულიერებით აღსავსე მოქმედებისა და არსობის საწყისი და უდიადესი მიზანი.

ათასეული წლების წინ საჭირბოროტოდ მიჩნეული ისეთი პრობლემები, როგორიც ღვთის სიტყვამ ათი მცნების სახით შემოგვინახა, დღესაც ზღვარდაუდებელია, თუმცა დაცემული ადამიანის ცოდვების გამოსასყიდად მოვლენილმა მაცხოვარმა კიდევ უფრო სრულყო და განავითარა ადამიანის მისია და აქედან გამომდინარე, აღზრდის იდეალი.

ათი მცნების მთელი საზრისი აღმზრდელობით დანიშნულებას ატარებს. იმ დროს, როცა მოსემ სინას მთაზე ახალი კანონები მიიღო და ღმერთმა აღთქმა დადო რჩეულ ხალხთან, კაცობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გზების ძიებაში იყო, რომელსაც შემდგომში უნდა უზრუნველეყო მათი სწორი განვითარება და ყოფა-ცხოვრება. მოსეს კანონებში უფალი მიუთითებს, რომ ასეთი გზა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ადამიანის კავშირს შემოქმედთან მამაშვილური ხასიათი ექნება. ათი მცნება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის მიერ მოცემული ადამიანის სინდისის ნორმათა განსაზღვრება და მათი ქცევის მკაცრი რეგლამენტაცია, რამაც განუზომლად დიდი გავლენა მოახდინა აღზრდაზე.

ზოგადად ძველი აღთქმისეული აღზრდა პირდაპირ შეესაბამებოდა საღვთო გამოცხადებას. სადაც ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ისინი იყვნენ „ღვთის ხატად“ შექმნილნი, მაგრამ ამავე დროს ცოდვის მემკვიდრენი. მშობლები თავიანთი შვილების აღზრდისას ღვთიური კანონებით ხელმძღვანელობდნენ და ყოველი ადამიანის აღზრდა ღმერთის სამსახურისთვის მიმდინარეობდა, აღზრდის ძირითადი პრინციპი ასეთი იყო: „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფსალმ. 110:10). აღზრდა საღვთო გამოცხადების შესწავლით და გაცნობიერებით უნდა წარმართულიყო: „რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი, განიწმინდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე...“ (ლევ. 11:44). მეორეს მხრივ, აღზრდის პროცესში აუცილებელი იყო გაეთავისუფლებინათ ბავშვები მავნე მიდრეკილებებისაგან და ცოდვებისაგან, რომლებიც ადრეულ წლებში იღებს სათავეს.

პედაგოგიური თვალსაწიერიდან, მოსეს კანონების აღზრდის საფუძვლად დამკვიდრებამ, დღის წესრიგში დააყენა ისეთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც თავისუფლებისა და განვითარების მიმართება კანონთან. ამიერიდან სწორედ ამ ჩარჩოებში განიხილებოდა ადამიანის აღზრდაზე და მის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე ღმერთისა და აღმზრდელის გავლენა.

ძველი აღთქმის წიგნებში საგანგებოდ არის წამოწეული სიბრძნის მარადიულობა და ღვთიურობა: „ყოველი სიბრძნე უფლისგანაა და მასთანაა უკუნისამდე" (ზირ. 1:1), ამიტომ იგი ყველაზე დიდი, აღმატებული საუნჯეა სამყაროში. მართალია, სიბრძნე ღვთიური მადლია, მაგრამ მასთან ზიარება სწავლითაც შეიძლება, ხოლო სწავლის გზით ცოდნა შეიძინება: „სიბრძნის დასაბამი სწავლის უჭეშმარიტესი სურვილია, ხოლო სწავლაზე ზრუნვა–მისი სიყვარული" (სოლ. 6:17), თუმცა მარტო კითხვით არ უნდა ვიძენდეთ ცოდნას,–გვასწავლის ბრძენი ზირაქი წიგნის წინათქმაში და იმ აუცილებლობასაც განმარტავს: „...რომ ცოდნის მოყვარულებმა განთესილნიც დამოძღვრონ, როგორც წერილობით, ისე ზეპირი სიტყვით" (2.41). ამდენად, ძველი აღთქმა სწავლებაში საჭიროდ მიიჩნევს, როგორც წერითი ისე ზეპირი ფორმების გამოყენებას. ამასთან, ეს საქმე უნდა გააკეთონ არა შემთხვევითმა პირებმა, არამედ „ცოდნის მოყვარულებმა". უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ მოძღვრები ან მასწავლებლები, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ აქ იგულისხმებოდნენ მწიგნობრები ან მსაჯულები, რომლებიც, როგორც ცნობილია, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღთქმის პედაგოგიკა დაეფუძვნა სამყაროს ღვთიურ წესრიგსა და ჰარმონიას, რომელმაც ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის ზნეობრივი საყრდენის ფუნქცია შეიძინა. ხოლო ძველი აღთქმის პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძველი მოსეს ათი მცნება გახდა. *ამდენად, ძველი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლებია: 1. სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია; 2. მოსეს კანონები და 3. ძველი აღთქმის სიბრძნე.*

ძველი აღთქმის პედაგოგიკა რჯულზე ანუ კანონზე (მოსეს ათი მცნება) ორიენტირებული პედაგოგიკაა, რომელსაც მკაფიოდ გადმოსცემს ეზრას წიგნი. სწორედ ეზრაულმა იუ-

დაიზმმა აქცია უპირველეს ამოცანად კანონის უზენაესობის დაცვა, რომლის თანახმად საღვთო რჯულის ყველა მოთხოვნა ზუსტად უნდა შესრულდებულიყო, რადგან ეს ღვთის რჩეული ერის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ეზრაულმა იუდაიზმმა ვიწრო ეთნიკური ხასიათი შეიძინა და რჯულის მიმდევრობა იუდეველად აღზრდის საფუძვლად გამოცხადდა. ამიტომ ეზრა და რჯულის სხვა მასწავლებლები იწერდნენ და კითხულობდნენ მოსეს კანონებს, ასწავლიდნენ მას, რომ იგი გამხდარიყო უფრო გასაგები და ყველასთვის ადვილად შესასრულებელი ყოფილიყო (1 ეზრ. 8:19; 9:48).

სრულიად ახალ საფეხურთან გვაქვს საქმე ახალ აღთქმასთან მიმართებაში, მათი პედაგოგიური თვალსაზრისით შესწავლა აქტუალურია თანამედროვე პირობებშიც, რადგან ოცსაუკუნოვანმა ისტორიამ ცხადყო ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარტი ბუნება, რომელიც მიწიერი სამყაროს გვირგვინზე – ადამიაზეა ორიენტირებული. ამდენად, მისი წარსული და აწმყო ერთნაირად საიტერესოა. რაც შეეხება ადრეულ ქრისტიანობას და განსაკუთრებით ახალი ერის პირველ საუკუნეს – ეს არის კარდინალური სახეცვლილების, სოციალური კულტურის სტრუქტურაში უდიდესი ტრანსფორმაციის ეპოქა, რომელსაც თან სდევდა ცვლილებები პედაგოგიურ ტრადიციებში, რაც სავსებით კანონზომიერია, რადგან ეპოქალური ცვლილებები პირდაპირ აისახება აღზრდის სოციალურ იდეალებზე, სწორედ ასეთ მოვლენებთან გვაქვს საქმე კონკრეტულად ახალ აღთქმაში.

ჩვენი ცოდნა იესო ქრისტეს, როგორც მასწავლებლის შესახებ, შემონახულია წმიდა წიგნებში, რომლებიც ასევე ქრისტოლოგიის და ტექსტოლოგიის გამორჩეულ ნარატიტებს წარმოადგენენ. სწორედ სახარების ტექსტების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად წინამდებარე წიგნის II თავის პირველ პარაგრაფში განხილულია ახალი აღთქმის შესახებ არსებული თეორიები (ვ. იენჩი, ა.შლემანი, ვ. ბეზროგოვი, რ. ბულტმანი, ვ. სტენდალი, რ. კულპეპპერი, ფ. სეგოვია, მ. სმიტი, ფ. ფერნანდო და სხვ.) მოცემულია იესო ქრისტეს პედაგოგიური მეთოდის შედგენილობის სტრუქტურა, დახასიათებულია რელიგიურ და და საერო აღზრდის ტრადიციათა თანაფარდობა ახალ აღთქმაში, სწორედ მისი გავრცელების პირველივე საუკუნეში.

აქვე ჩამოყალიბებულია ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძველი და ნაჩვენებია მოწაფეობის, საამოძღვრო ანუ ახალი აღთქმის პედაგოგიკის დეფინიციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეფინიციებთან მიმართებაში შხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ ახალი აღთქმის თანახმად, თვით მაცხოვარი პირადად მიმართავდა დამოძღვრას. ამავე დროს, სწორედ იესომ მიაკუთვნა უმაღლესი სტატუსი მოწაფეებს (მათ. 5:13). უკანასკნელი გარემოება უკავშირდება ახალი აღთქმის პედაგოგიკაში იესოს მოწაფეთა როლს მომავალი თაობების მომზადებისათვის: „თქვენ ხართ წუთისოფლის ნათელი, მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება" (მათ. 5:14). სწორედ ამაში მდგომარეობს მოციქულობის, როგორც მოწაფეობის ტიპის ინსტიტუტის გავრცელება სოციუმში. ამდენად, გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს შევადაროთ ცნებები „ახალი აღთქმის პედაგოგიკა" და „ახალი აღთქმისდროინდელი პედაგოგიკა". ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძვლების არსში წვდომა, რომელიც ახალ აღთქმაში აისახა, ვიდრე ახალი აღთქმის ეპოქის განათლების ამსახველი ეპიზოდების აღდგენა–ანალიზი, თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ამ უკანასკნელსაც აქვს. *ამიტომ დეფინიციებთან მიმართებაში მართებულად მიგვაჩნია, მეცნიერულ მიმოქცევაში ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძვლების აღმნიშვნელ ტერმინებად დამკვიდრდეს „ძველი აღთქმის პედაგოგიკა", „ახალი აღთქმის პედაგოგიკა" და „მოციქულობის პედაგოგიკა". წმინდა წიგნების პედაგოგიკური თვალსაზრისით შესწავლა სწორედ ასეთი დიფერენციაციის საფუძველს იძლევა.*

ქრისტიანული პედაგოგიკა, რომელი ეპოქისაც არ უნდა იყოს იგი, ისტორიული ხასიათისაა. მასთან დამოკიდებულებაში ახალი აღთქმის პედაგოგიკა, პირველი საუკუნის შემდეგ ყველა დროისთვის ნორმატიულ კატეგორიად არის მიჩნეული (თუმცა მითითებული დროიდან მოყოლებული საუკუნეების განმავლობაში ახალი აღთქმის ტექსტებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობდა). მაგრამ ქრისტიანობის ზნეობრივ-აღმზრდელობითი საფუძველი აღმოჩნდა მეტად მტკიცე, როგორც ამას თანამედროვე ცხოვრებაც ადასტურებს. ყოველივე ამის გაგება შესაძლებელია, სწორედ თანამედროვე პედაგოგიკის თეორიის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სა-

ფუძვლიანი ანალიზის მეშვეობით. ასეთი მასალა მკვლევარს შეუძლია მოიპოვოს, მოახდინოს მისი რეკონსტრუირება პროტოქრისტიანული და ადრექრისტიანული იდეალური კონსტრუქციის მიხედვით, რომელიც შემდგომში დიდაქტიკური და აღმზრდელობითი იდეების და მიდგომების საფუძველი გახდა.

ქრისტიანული პედაგოგიკისათვის დამახასიათებელია სენსიტიურობა, იგი წინა პლანზე წამოსწევს სოციუმის მიერ გადაუწყვეტელ პედაგოგიურ პრობლემებს. მათ შორის განსაკუთრებულია მასწავლებლის ზემოქმედება აღსაზრდელებზე, რადგან რწმენა ხომ ცხოვრების განმსაზღვრელია და სწორედ უზენაესისაკენ სწრაფვა დაეკისრა ახალი აღთქმის ეპოქაში ადამიანს, ხოლო მასში დამხმარე და წარმმართველი როლი მასწავლებელმა-მოძღვარმა შეასრულა.

იესო ქრისტე კაცობრიობის უმაღლესი მასწავლებელია. იგი ერთადერთი უმაგალითო მასწავლებელია ცოდნისა და რწმენისა, სიცოცხლისა და სიყვარულისა, არა მარტო თავისი სიტყვით, არამედ საქმითა და თავგანწირვით.

იესო ქრისტეს პედაგოგიური საქმიანობის შინაარსი და ხერხები ისეთ სრულყოფილებას აღწევს, რომ იგი თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერებისათვის ზღვარდაუდებელია. ყველაზე გამოჩენილი პედაგოგებიც კი მხოლოდ იმეორებენ და განმარტავენ იესოს უკვდავ პედაგოგიურ მოძღვრებას, რომლის დამახასათებელი თვისებებია: ჭეშმარიტება, სიცხადე და უბრალოება, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება, თვითშემოქმედება და თანმიმდევრობა, სწავლების შესაბამისობა ადამიანის ბუნებასთან, ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ პიროვნებასთან, პიროვნების სიყვარული და პატივისცემა, მსმენელებზე ყოველმხრივი და წარუშლელი აღმზრდელობითი ზემოქმედება.

თვით ყველაზე რთულ და ღრმააზროვან ჭეშმარიტებას იესო გადმოსცემდა გასაგებად და მისაწდომად. თავისი მოძღვრების ადვილად გასაგებად იესო, ხშირად იყენებდა მაგალითებს ბუნებიდან და უშუალოდ ცხოვრებიდან, ამის გამო მისი სწავლება ყოველთვის გამოირჩეოდა სიბრძნით, მისაწვდომობითა და დამაჯერებლობით.

მართლმადიდებლური აღზრდა იქეთკენაა მიმართული, რომ შექმნას ნაყოფიერი ნიადაგი ადამიანის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. პირველი

და ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა–ეს არის ადამიანის ორგანულ იერარქიაში ადამიანური ბუნების აღდგენა და სრულყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ღვთიური მადლითა და ნათლობის საიდუმლოს ზეგავლენით. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ღვთიური მადლი იცავს, ამტკიცებს და იერარქიულ უპირატესობას ანიჭებს ადამიანის აგებულებაში მის სულიერ საწყისს. ამდენად, აღზრდა ქრისტიანულ პედაგოგიკაში განიხილება, როგორც სწრაფვა ადამიანის სწორი იერარქიული აგებულების მიმართ (სული, სამშვინელი და სხეული). ამასთან ერთად, რაც ყველაზე უმთავრესია, აღზრდა არის მომავალი სულიერი ცხოვრების გასაღები.

ქრისტიანულ აღზდაში არ გამოიყენება ისეთი საშუალება, როგორიცაა მოზარდის ფიზიკური დასჯა, ამის ნაცვლად მას აქვს უფრო ეფექტური საშულებები: სიკეთის ქმნა ბოროტების წილ, ხოლო მადლის გაცემა ცოდვის საზღაურად. ღმერთის მიერ დაშვებულია ზნეობრივი ნორმების შესრულების ორი მიმართულება, რაც რეგლამენტაციას უწევს ადამინის ქცევას. აქ შეიძლება გამოიყოს აუცილებლად შესასრულებელი და ამკრძალავი ქმედებები; სწორედ მათ შესრულებასთან მიმართებაში წარმოაჩენს ადამიანი თავს დადებითი ან უარყოფითი კუთხით.

ქრისტიანული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებია: ღმერთის არსებობის რწმენა; ადამიანის ნების თავისუფლება; სულის უკვდავება და საიქიო სამყაროს რწმენა.

პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები საზოგადოებრივი ფორმაციების და სხვა ეპოქალური ცვალებადობის კვალდაკვალ იცვლებოდა. ყოველი ეპოქა ზნეობრივი ნორმების ახალ გაგებას გვთავაზობდა. ამის შესაბამისად ყალიბდებოდა მორალური კატეგორიები.

რადგან ქრისტიანული მოძღვრება ნათლად ქადაგებდა ახალ ზნეობრივ პრინციპებს, რომელსაც დაეფუძვნა ახალი აღთქმის პედაგოგიკა, ამდენად, ეს პრინციპები ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს პედაგოგიკისათვისაც. თუ ძველი აღთქმის პედაგოგიკა სამყაროს ღვთიურ ჰარმონიას და კანონის (მოსეს რჯულის) უზენაესობას ეფუძვნება, ახალი აღთქმის პედაგოგიკა რწმენაზეა აღმოცენებული და აქედან გამომდინარე იგი რწმენის პედაგოგიკაა.

უდიდესმა ეპოქალურმა ცვლილებებმა, რაც ქრისტიანობის დამკვიდრებას მოჰყვა, დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი სასწავლო–აღმზრდელობითი სკოლების დაფუძვნება. რასაც ადრეულ ქრისტიანობაშივე ბუნებრივად მოჰყვა საერო და რელიგიური განათლების გამიჯვნა. საერო სკოლების ფორმირება მიმდინარეობდა ცალკე, სასულიეროსი – ცალკე. საერო სასწავლებლებს პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის, განათლების ფუნქცია ჰქონდა, ხოლო რელიგიური განათლების მიცემა ოჯახსა და ეკლესიას ეკისრებოდა. ეკლესიების დაარსებამ ხელი შეუწყო ქრისტიანული რწმენის გავრცელებას. სწორედ ეკლესიები გახდნენ ის ადგილები, სადაც მოსახლეობა ახალი რელიგიის-ქრისტიანობის შესახებ ცოდნას იღებდა. ქრისტიანული სწავლების გავრცელების ერთ-ერთ ორგანიზებულ ფორმად კათაკმეველთა სკოლები იქცნენ, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ითვლებიან.

ქრისტიანობა კი არ არღვევდა რომელიმე ხალხის ეროვნულ თავისებურებებს, არამედ პირიქით, სწორედ მის წიაღში ცხოვრების ეროვნულმა ფორმებმა შეიძინეს ჭეშმარიტი შინაარსი და განვითარების ახალი იმპულსი მიიღეს. მხოლოდ ჭეშმარიტების ფონზე გახდა შესაძლებელი იმის შეცნობა, რომ ადრინდელი იდეები ამუხრუჭებდნენ ჭეშმარიტების შეცნობას და ხალხებს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირებს. ქრისტიანობას არ შემოუთავაზებია ცხოვრების და სკოლის მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმები. მან ხალხებს მოუწოდა, თვით შეექმნათ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლების ახალი ფორმები, რომელიც დაეფუძნებოდა სახარების სწავლებას.

თავდაპირველად ისეთი სპეციფიკური სკოლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების სწავლება და გავრცელება, არ არსებობდა. ქრისტიანული სწავლების მთავარ იარაღად გამოიყენებოდა: მქადაგებელთა ცოცხალი სიტყვა, პირადი მაგალითი და ქრისტიანული ოჯახის სათნო ცხოვრების წესი. ქრისტიანული ოჯახი, რომელიც მისდევდა ზეცად ამაღლებული იესო ქრისტეს და წმიდა მოციქულთა სწავლებას, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჭეშმარიტებასთან ზიარების და აღზრდის ერთადერთ სკოლად.

ELIBRARY.GE

წმიდა მოციქულთა სწორი მამების შრომათაგან ზოგიერთი ყურადღებას იქცევს პედაგოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამ მხრივ მეტნაკლებად გამორჩეულია: „თორმეტ მოციქულთა მოძღვრება" ანუ „დიდაქე", ჰერმესის „მწყემსი", მოციქულთა სწორი ბარნაბას, წმ. კლიმენტი რომაელის, ეგნატე ღმერთშემოსილის, წმ. პოლიკარპე სმირნელის, წმ. იუსტინე ფილოსოფოსისა და მარტვილის მოღვაწეობა და თხზულებები.

უძველეს ქრისტიანულ სკოლებს საერთო მიზნები ამოძრავებდათ, რაც ქრისტიანული რწმენის და ზნეობრივი ნორმების ცხოვრებაში დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მათ შორის იყო განსხვავება მხოლოდ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებში, ხოლო მოგვიანებით ქრისტიანული სკოლების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში ეროვნულმა თავისებურებებმა განმასხვავებელი შტრიხებიც გამოკვეთა.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, ეროვნულ-კულტურული გარემო, რომელშიც გავრცელდა ქრისტიანობა, წარმოადგენდა სამი მთავარი ელემენტის—ბერძნულის, სემიტურის (უმთავრესად სირიულის) და ლათინურის ერთობას. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა აშკარად გამოხატული ნაციონალური ხასიათით, კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციებით. *ამის შესაბამისად უძველეს ქრისტიანულ სკოლებში შეიძლება განვასხვაოთ სამი ძირითადი ტიპი: ბერძნული, სირიული და ლათინური. ქრისტიანული სკოლის სწორედ ამ სამი მიდინარეობის შესახებ არის საუბარი წიგნის IV–VI თავებში.*

ბერძნულ ალექსანდრიულ სკოლაში უპირატესობა ენიჭებოდა პლატონის მეთოდოლოგიას. ალექსანდრიული თეოლოგიისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგებდა ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობა, რაც მრწამსისათვის რაციონალურ საფუძველს გულისხმობდა, ხოლო სწავლების მეთოდად ბიბლიის ალეგორიული ახსნა იყო მიჩნეული. ალექსანდრიის სკოლაში პოპულარული გახდა ცნობილი თეოლოგის და პედაგოგის ალექსანდრე ალექსანდრიელის ფორმულა: „სიტყვა მაშინ ხდება ნაყოფის მომტანი, როცა მას გავცემთ, მსგავსადვე მოგვცემს შედეგს სმენა, როცა შევისმენთ," აქედან გამომდინარე, ბუნებრივად უნდა მოგვეჩვენოს ის სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, რასაც იმხანად

ვწეოდნენ ალექსანდრიის ქრისტიანულ სკოლებში, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ცოდნის დაუფლება იყო ერწმენის განმტკიცების მნიშვნელოვანი ბერკეტი, ამიტომ გამოიყენეს ავითარებდნენ პედაგოგიურ მეთოდებსა და ხერხებს. ჯერ კიდევ II საუკუნეში, ალექსანდრიაში არსებობდა კათაკმევლთა სკოლა, მათთვის ვინც მოსანათლად ემზადებოდა. ალექსანდრიის სკოლა ცნობილია განსაკუთრებული მიმართულებით და სწავლების ხარისხით. სწორედ II-III საუკუნეების სალვთისმეტყველო სასწავლებლებში მოხდა ეკლესიური მოძღვრების სრულყოფილი გამოთქმა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა დოგმატიკა, რაშიც უდიდესი როლი ალექსანდრიის სკოლამ შეასრულა. ბერძნულ-ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლის სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ: *პანტენი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ორიგენე და სხვები.*

კლიმენტი ალექსანდრიელს წილად ხვდა მეცნიერული სახით ჩამოეყალიბებინა დოგმატური ღვთისმეტყველება, რაც შემდგომში გააგძელა მისმა სახელოვანმა მოწაფემ–ორიგენემ. ამასთან ერთად, მან პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობით და თავისი სახელმძღვანელოებით ღრმა კვალი დააჩნია ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიას, მისმა დებულებამ იმის შესახებ, რომ „ის ვინც მხოლოდ მორწმუნეა—მონაა ღვთისა, ხოლო ვინც მორწმუნეცაა და მცოდნეც—ღვთის მეგობარია," – საპროგრამო მნიშვნელობა შეიძინა და დღესაც აქტუალურია, როგორც სასულიერო, ისე საერო აღზრდა-განათლების სფეროში.

კლიმენტი ალექსანდრიელმა ქრისტიანულ პედაგოგიკაში პირველმა მოგვცა „პედაგოგიკის' დეფინიცია, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯნა აღზრდა და სწავლება. იგი ამავე დროს გამოყოფს აზრდასა და სწავლებაში მონაწილე მხარეებს – აღმზრდელ-მასწავლებლებსა და მოწაფეებს. გარდა ამისა, სწორედ მას მიეწერება კატეხისტურ სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების და ფილოსოფიის შემოტანა, რომელიც შემდგომში წარმატებით გააგრძელა ორიგენემ. საყოველთაოდ ცნობილია კლიმენტი ალექსანდრიელის დადებითი დამოკიდებულება ფილოსოფიის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, ბერძნებს ღმერთისგან მიეცათ.

ამრიგად, ღვთისმეტყველებისა და წმიდა წერილის შესწავლას ბერძნულ - ალექსანდრიულ სკოლაში წინ უძღოდა

სამყაროს და კაცობრიობის წარსულის პიროვნული გაგება და შეცნობა. სწორედ ასეთმა მიდგომამ ხელი შეუწყო ღვთისმეტყველების სისტემატური კურსის აღმოცენებას. ჩამოყალიბდა მეცნიერების ისეთი დარგები, როგორიცაა აპოლოგეტიკა, ზნეობრივი ღვთისმეტყველება და დოგმატიკა, რომელთა შესწავლა წინ უძღოდა ეგზეგეტიკის კურსს, ანუ წმიდა წერილის განმარტებას. ალექსანდრიის სკოლაში აზროვნების განვითარებას დედუქციური გზით წარმართავდნენ. კლიმენტი ალექსანდრიელი თავის თავზე ამბობდა, რომ მისი გონებაჭვრეტითი დიალექტიკური მოძრაობა არა კერძოდან ზოგადისკენ, არამედ სრულიად სხვაგვარად –მარტივიდან კერძოსკენ მიდის.

ასეთი იყო ბერძნული ყაიდის ქრისტიანული სკოლა, პლატონის ტრადიციებითა და სოკრატეს დიალოგის მეთოდზე დაფუძვნებული, სკოლა ცოდნისა და რწმენისა. იგი არსებობდა II საუკუნის ბოლოდან V საუკუნის დასაწყისამდე. ცნობილი მილანის ედიქტის შემდეგ, ანუ 312 წელს, როცა ქრისტიანობა, სახელმწიფო რელიგია გახდა, კულტურის ცენტრი კონსტანტინეპოლში გადავიდა. კონსტანტინეპოლის სახელმწიფო სკოლა გახდა ალექსანდრიის სკოლის მემკვიდრე.

ქრისტიანული აღმოსავლეთის სკოლების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ***სირიულ–ანტიოქიურმა*** ეკლესიამ და სკოლებმა შეასრულეს. როგორც ცნობილია, სირია (ასურეთი) ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. პირველი ქრისტიანული თემი ანტიოქიაში (იმპერიაში სიდიდით მესამე ქალაქში, რომისა და ალექსანდრიის შემდეგ) უნდა აღმოცენებულიყო, სირიელები იყვნენ წარმართთაგან პირველები, ვინც ქრისტიანობა მიიღეს და სწორედ ატიოქიაში უწოდეს პირველად „ქრისტიანები" ახალი დამოუკიდებელი რელიგიის მიმდევრებს (საქმ. 11:19-26).

სირიულ–ანტიოქიური ქრისტიანული სკოლებიდან განსაკუთრებული ადგილი ***ედესა-ნიზიბინის სკოლას*** განეკუთვნება. ამ სკოლათა პროგრამა და სწავლების მეთოდიკა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ალექსანდრიის სკოლისაგან. თუ ალექსანდრიის სკოლაში უმთავრეს მიმართულებად ითვლებოდა მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის არსის დაუფლება, აქ უმთავრეს მიზანს საწავლო მასალის არა მარტო შინარსის ზუსტი და სრულყოფილი დამახსოვრება,

არამედ მის ფორმასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთი ტრადიცია ახლოს იყო ებრაულ სკოლასთან. სემიტური ერები, რომლებსაც სირიელებიც მიეკუთვნებიან, სულიერი აღნაგობით ძალიან განსხვავდებოდნენ ბერძენარიანელთაგან. თუკი ბერძენი ეტანებოდა მჭვრეტელობასა და სინთეზს, სირიელმა განსაკუთრებული მიდრეკილება გამოავლინა ანალიტიკურ და პოზიტიურ აზროვნებაში, სირიელისათვის პირველ ადგილზე ზნეობრივი და პრაქტიკული ხასიათის ინტერესები იდგა, რომელთა გადაწყვეტისას ამოსავალი მხოლოდ გონება არ იყო, არამედ ასეთ შემთხვევებში ეძებდნენ მტკიცე საყრდენებს ავტორიტეტებში. იუდეველთა მსგავსად, სირიელებიც ავტორიტეტს თავდადებაში ხედავდნენ, სირიელები ავლენდნენ აშკარა ზდვარს ღვთიურსა და ადამიანურს, რელიგიასა და კულტურას შორის.

სირიულ სკოლაში მთლიანი ცოდნისა და რწმენის სინთეზი შეუძლებელი იყო, უფრო მეტიც, უკვე მეორე საუკუნეში სირიული წარმოშობის ღვთისმეტყველებმა გამოხატეს აშკარა პროტესტი ბერძნული განათლების წინააღმდეგ. თავისი არსით ეს იყო სწავლების მეთოდების წინააღმდეგ მიმართული პროტესტი.

ედესა–ნიზიბინის სკოლამ უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა სადვთო გამოცხადების ფორმების ზუსტად დაუფლებას. სკოლა ემსახურებოდა არა ზოგად რელიგიურ – საგანმანათლებლო მიზნებს, როგორც სირიაში, არამედ კონკრეტულ ამოცანებს ისახავდა, რაც სკოლისათვის მასწავლებლების, ხოლო ეკლესიისათვის–მრევლის ჭომზადებაში გამოიხატებოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქაურ სკოლაში დიდი ყურადღება მასორეტულ ხელოვნებას ექცეოდა, რაც წმიდა წერილის ტექსტების გახმოვანებაში (გალობაში), მის პუნქტუაციასა და გალობა-სიმღერაში გამოიხატებოდა. სახარების განმარტებისას ბატონობდა ისტორიულ – გრამატიკული მეთოდი. მკაცრად იზღუდებოდა ყოველგვარი მჭვრეტელობა და ალეგორიები. ახსნის პროცესში მასწავლებელი ვალდებული იყო ზუსტად ეხელმძღვანელა „სკოლის ანდერძით", რომელიც V საუკუნემდე გამორიცხავდა წმიდა ეფრემ ასურის გარდა სხვაგვარ განმარტებას. აქ მოიაზრება ღირსი მამის ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული სახარების ტექსტის „დიატესარონეს" კომენტარები. რაც შეეხება ზემოხსენებულ

ანდერძს, სირიელთა რწმენით, თქმულება ჩაწერილი უნდა იყოს თვით მოციქული თადეოსისაგან. მოკლედ ითქვას, *ედესა–ნიზიბინის სკოლა* შეიძლება შეფასდეს, [illegible] ველისაგან გადატვირთული.

სკოლის სასწავლო კურსი ზუსტად განსაზღვრული პროგრამით 3 წელზე იყო განაწილებული. არ ითვალისწინებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლას. დღის სანიმუშო სასწავლო განაწესი დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: წერა-კითხვა, სასკოლო (ტექსტის) განმარტება და გალობა. აღნიშნული მიმართულებები ახლოს იდგა იუდეურ სკოლებთან, სადაც ასევე სამწლიანი სკოლა იყო და ამ პერიოდში საფუძვლიანად შეისწავლებოდა: თორა, ნიშნა და თალმუდი.

შემონახულია ნიზიბინის სკოლის წესდება (ტიპიკონი), რომელიც მოწმობს, რომ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად არსებობდა ისეთი აღმზრდელობითი წესები, რომელიც ქცევის რეგლამენტაციას ახდენდა, იგი გულისხმობდა წახალისებასა და დასჯასაც. ქცევის წესების მთავარი დანიშნულება იყო მკაცრი საეკლესიო წესების შესრულების ხელშეწყობა და მოსწავლეებში ყურადღების უნარის გამომუშავება. მართალია, სკოლა არ იყო სამონასტრო, მაგრამ მოწაფეები ვალდებულნი იყვნენ სამონასტრო ცხოვრებასთან მიახლოებული წესებით ეცხოვრათ: დასწრებოდნენ ყველა გაკვეთილს და საეკლესიო მსახურებას, უნებართვოდ არ გამოსულიყვნენ სკოლიდან, ძმურ დამოკიდებულებაში ყოფილიყვნენ მოწაფეებთან და დამორჩილებოდნენ თავიანთი სენაკების წინამძღოლებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სირიის ქრისტიანული განათლების უმაღლეს მიღწევად ანტიოქიის სკოლა ითვლება, რომელიც ამასთანავე წარმოადგენდა ედესის სკოლის მემკვიდრეს. როგორც ცნობილია, ანტიოქია მდებარეობდა ელინისტურ ტერიტორიაზე ანუ ევფრატის იქეთა სირიაში, ამიტომ, ბუნებრივია, მან ბერძნული კულტურის დიდი გავლენა განიცადა. ზოგადსაგანმანათლებლო მეცნიერებებთან აქ უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულება იყო, თუმცა ელინური მიმართულების საგნები ამოიღეს სკოლის სასწავლო გეგმებიდან, მაგრამ მოწაფეებს საშუალება ეძლეოდათ მომზადებულიყვნენ საერო სკოლაში. ანტიოქიელთა აზრით, საერო მეცნიერების შესწავლა ხელს უწყობდა მეტყველებისა

და აზროვნების განვითარებას, სწორედ ამიტომაც, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ ხელი შეუშალონ მეცნიერებათა დაუფლებას, კერძოდ, არისტოტელეს ფილოსოფიის უმკაცრესი განსჯით ჭეშმარიტი რწმენისა და შემეცნების წიაღში შეღწევას ცდილობდნენ, ხოლო სახარების განმარტებისას ანტიოქიელები, ისევ როგორც ნიზიბინელები, ისტორიულ-გრამატიკულ მეთოდს ეყრდნობოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღებას აქცევდნენ საბაბს, მდგომარეობას და მიზანს. ასეთი მიდგომები დამკვიდრდა ანტიოქიის სკოლებში ქრისტიან ავტორთა შრომებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიელი ეგზეგეტიკოსები, პირველ რიგში, სახარების ზედმიწევნით აზრს ეძებდნენ და მას განსაზღვრავდნენ გრამატიკული, ლექსიკური, რიტორიკული და ლოგიკური ელემენტებით. ანტიოქიის მთელი განათლება და ღვთისმეტყველება ინდუქციური გზით, კერძოდან ზოგადისაკენ მიმდინარეობდა. მის უმთავრეს მიზანს ცალკეული ელემენტებისაგან ღვთიური გამოცხადებისა და ღვთიური შთაგონების მკაცრი სურათის შექმნა წარმოადგენდა.

სირიულ–ანტიოქიურ ქრისტიანულ სკოლას ამშვენებენ მარლმადიდებლობის ისეთი პურჯები, როგორებიც იყვნენ გამოჩენილი თეოლოგები და ეკლესიის მასწავლებლები: წმ. ეფრემ ასური, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. იოანე ოქროპირი. სწორედ მათმა თეორიულმა ნაازრევმა და უდიდესმა სამოძღვრო მოღვაწეობამ განსზღვრა სირიულ–ანტიოქიური ქრისტიანული სკოლების საერთო მიმართულება. თუმცა ისიც ყურადსაღებია, რომ მათ ერთნაირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ წარმართული ფილოსოფიის შესწავლის მიმართ. იმის მიუხედავად, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი ათენის წარმართული აკადემიის აღზრდილები იყვნენ, მათი მიდგომები ქრისტიანული განათლების მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა; თუ გრიგოლ ღვთისმეტყველი სასარგებლოდ მიიჩნევდა ანტიკურ ფილოსოფიას, ამას ვერ ვიტყვით იოანე ოქროპირზე, რომელიც მხოლოდ ქრისტიანული სწავლებით შემოიფარგლებოდა. თუმცა პედაგოგიკური პრობლემატიკის დამუშავებით ბევრად აღემატებოდა არა მარტო მის თანამედროვე თეოლოგებს და ეკლესიის მასწავლებლებს, არამედ შემდგომი პერიოდის უდიდეს მოღვაწეებსაც, რომელმაც ერთ–ერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველმა ჩამოაყალიბა ქრისტიანული აღზრდა–განათლების ორიგინალური სისტემა. ამაზე მისი პედაგოგიური მოღვაწეობის უბრალო ჩამოთვლაც საკმარისია, აი ისინიც:

–აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ოჯახში, მასში – მთავარია მშობლების, განსაკუთრებით კი მამის როლი;

–სამონასტრო აღზრდას უპირატესობა აქვს საზოგადოებრივ სკოლებთან;

– აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს ინდივიდუალურად, გასათვალისწინებელია აგრეთვე ასაკობრივი განვითარების თავისებურებები აღზდასა და სწავლებაში;

– აღზრდა უნდა დაიწყოს ბავშვის სულის გაწმენდით მანკიერებისგან, რაც სულიერი მომზადების საფუძველია;

– დასაშვები და აუცილებელიც არის დასჯა და წახალისება აღზრდაში;

– ქალთა და ვაჟთა თანაბარუფლებიანობა აღზრდაში;

–აღზრდაზე გავლენა აქვს გარემო პირობებს, ამიტომ მოზარდები მორიდებულნი უნდა იქნენ თეატრებს და სხვა სანახაობებს;

–სწავლებაში (დიდაქტიკაში) გასათვალისწინებელია: ა) თანამიმდევრობა და სისტემატურობა; ბ) მისაწვდომობა და დასაძლევობა; გ) კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის; დ) დიალოგი სწავლებაში; ე) მაგალითი და ვარჯიში (ცოდნის მტკიცედ დაუფლება); ვ) გარემომცველი სამყაროს როლი სწავლებაში.

იოანე ოქროპირის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მან დაუდო სათავე თანამედროვე პედაგოგიკის თეორიაში დამკვიდრებულ ზოგადპედაგოგიკურ და ზოგადდიდაქტიკურ პრინციპებს, რომელთა შემდგომი სრულყოფა წილად ხვდა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელს იან ამოს კომენსკის.

უძველესი ქრისტიანული სკოლების განსაკუთრებული მიმართულება ჩამოყალიბდა ***ლათინურ–რომაულ*** სამყაროში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვიდრე რომში ქრისტიანობა ოფიციალური რელიგიის სტატუსს მიიღებდა, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მისი გავლენა მაინც დიდი იყო. ანალოგიურ ზემოქმედებას ახდენდა ქრისტიანობა ბავშვთა აღზრდაზეც. ლათინურ–რომაულ ქრისტიანულ სკოლებზე გადამწყვეტი

გავლენა მოახდინეს ეკლესიის ისეთმა გამოჩენილმა მამებმა და თეოლოგებმა, როგორებიც იყვნენ: *ტერტულიანე, წმ. კიპრიანე, წმ. ამბროსი მედიოლანელი, ნეტარი იერონიმე და ნეტარი ავგუსტინე.* თითოეული მათგანი პირადად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და ამასთანავე მეურვეობდნენ მათსავე ეპარქიებში დაარსებულ ქრისტიანულ სკოლებს.

ბავშთა აღზრდა ქრისტიანულ ოჯახში, ქრისტიანული ზნეობის ჩამოყალიბების ქმედით საშუალებად მიაჩნდა *წმ. კიპრიანეს,* რადგან მისი აზრით, ოჯახური იერარქია დადებით ზეგავლენას ახდენდა ჭეშმარიტი მორწმუნის აღზრდაზე, რასაც ეკლესიის ერთიანობის კონტექსტში განიხილავდა.

წმ. ამბროსი მედიოლანელის აზრით, საჭიროა აღმზრდელმა გაითვალისწინოს მოზარდის ინდივიდუალური თავისებურებები და მათ შესაბამისად წარმართოს აღმზრდელობითი მუშაობა. კერძოდ, წმ. მამა აღმზრდელებს ურჩევს პირად ღირსებებში დაარწმუნონ ბავშვები, ხოლო მათ, ვისაც აღმატებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, რადგან მიუღებელი თვისებები ბავშვობიდანვე იდგამს ფეხს, ისინი დროულად უნდა აღმოიფხვრას. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე წმ. ამბროსის მიერ დაარსებული წმიდა წერილისა და გალობის შემსწავლელი სკოლები, სწორედ მასვე მიეწერება ანტიფონური გალობის შეტანა და სწავლება დასავლეთის ეკლესიებში.

ნეტარი იერონიმე თავისი დროისათვის მართლაც უპრეცენდენტო– აღმზრდელობითი სწავლების იდეას ავითარებს და მისი განხორციელების რჩევებს იძლევა; აღსანიშნავია მისი მოწოდება იმის შესახებ, რომ 7 წლიდან ბავშვები ჩაებათ სასკოლო ცხოვრებაში. მასვე მიეწერება ასოთშეერთების მეთოდისა და მოძრავი ანბანის შემოღება. ნეტარ მამას დასაშვებად მიაჩნდა საერო წიგნების კითხვა იმ პირობით, თუ მათ წინასწარ შეარჩევდნენ აღმზრდელები. განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის ნეტარ იერონიმეს ქალთა აღზრდა-განათლების პრობლემების დამუშავებაში.

დასავლეთის ეკლესიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა ნეტარი ავგუსტინე, რომელმაც ასევე დიდი როლი შეასრულა როგორც პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობით, ისე თავისი თეოლოგიური და პედაგოგიური შინაარსის თხზულებებით. ნეტარი ავგუსტინე ადამიანის ფიზიკურ არსე-

ბობაში გამოყოფს ოთხ პერიოდს: პირველი ასაკი-ყრმობაა, მეორე-სიყმაწვილე, მესამე-სიჭაბუკე, ხოლო მეოთხე – კოვაუკაცობის ხანა. აქვე ახასიათებს თითოეულ მათგანს და გამოყოფს მოცემული ასაკისათვის დამახასიათებელ საქმიანობას. წარმოდგენილ ასაკობრივ პერიოდიზაციაში სწავლისათვის ოპტიმალურ ასაკად მას მეორე პერიოდი-სიყმაწვილე მიაჩნია, რაც სრულიად გამართლებულია, თუმცა მარტო ამ ასაკობრივ ჯგუფში არ ხდება მოზარდის შემეცნებითი ძალების განვითარება. ნეტარი მამა ყურადღების გარეშე არ ტოვებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: მშვენიერების აღქმა, მისი სწორი განსჯა, ჰარმონია, თანაფარდობა და პროპორცია. ამიტომ ღმერთისაკენ მუდმივი ლტოლვა, რაც ყველაზე დიდ ჭეშმარიტებად მიაჩნდა მას, მიიღწეოდა მხოლოდ სულიერი აღზრდა-განათლებით, რაც ავგუსტინესეული სკოლის მიზანს წარმოადგენდა. სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით, ნეტარი ავგუსტინეს სკოლა ახლოს იდგა სირიულ ტრადიციებთან. ღვთისმეტყველების სისტემატური კურსი თითქმის არ შეისწავლებოდა, თუ არ ჩავთვლით ბიბლიური ღვთისმეტყველების მოკლე კურსის ზოგად მიმოხილვას, რომელიც წინ უძღოდა წმიდა წერილის შესწავლას. ავგუსტინეს სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო საგნები არ ისწავლებოდა, ლათინურ სკოლებში ასეთი საგნები VI საუკუნეში გამოჩნდა.

ნეტარი ავგუსტინეს საყურადრებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ზოგადად შემეცნების და ამავე დროს ცოდნის დაუფლების მეთოდებისა და ხერხების შესახებ. თვით წმიდა წერილის შესწავლა აგებული იყო შემდეგნაირად: თავდაპირველად მოსწავლე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე კითხულობდა ბიბლიის ყველა კანონიკურ წიგნს, რათა წინასწარ გასცნობოდა მას, თუნდაც მხოლოდ ზოგად აგებულებას, შემდეგ მასწავლებელი იძლეოდა იმ ადგილების განმარტებას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული გამოყენებისათვის, ხოლო მოსწავლეები თავიანთი ხელნაწერი წიგნების არეებზე მიაწერდნენ განმარტებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავგუსტინეს დადებითი დამოკიდებულება საერო ფილოსოფიის მიმართ.

ნეტარი ავგუსტინეს სკოლაში აღმზრდელობით სისტემას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. მის საფუძველს სამონასტრო დისციპლინა წარმოადგენდა, სადაც გამოიყენებოდა

აღზრდის ისეთი მეთოდი, როგორიცაა „იძულება“. შემდგომში ნეტარი ავგუსტინეს სკოლა მრავალი ლათინური სკოლის პროტოტიპად იქცა. თვით ავგუსტინეს მოწაფეებმა, ლიონელი მასწავლებლის მიბაძვით, თავიანთ ეპარქიებში — ოცამდე სკოლები გამართეს. მათში სასწავლო პროცესი იმგვარად იყო აგებული, რომ მოსწავლეს სცოდნოდა და ამავე დროს შეძლებოდა სხვებისთვისაც ესწავლებინა საღვთო რჯული, ამიტომ, მთავარი სასწავლო საგანი ეგზეგეტიკა და ეკოლვენცია (წყობილსიტყვაობა) იყო. ამის თაობაზე თავის „ქრისტიანულ მეცნიერებაში“ ნეტარი ავგუსტინე მიუთითებდა, რომ წმიდა წერილის ცოდნა თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისი ცოდნა იძლევა მასალას ქადაგებისათვის.

ლათინურ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყო პრაქტიკული სამოძღვრო საქმიანობისადმი. საერთოდ, დასავლეთის ქრისტიანული სკოლებისათვის დამახასიათებელი იყო ეკლესიოლოგიური (საღვთისმსახურებო) პრაგმატიზმი, რომელიც განსკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა საეკლესიო წეს-ჩვეულებებს და ძცევებს. სწორედ ამგვარმა მიდგომებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი რომის ლათინურენოვანი ქრისტიანული სკოლის საერთო მიმართულებაზე. ლათინურ-რომაული ქრისტიანული სკოლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მაღალი საეკლესიო მჭევრმეტყველების დამკვიდრება. თუმცა მათი სკოლა გამოირჩეოდა პრაქტიციზმით, რამაც წარმართული განათლებისადმი და ზოგადად საერო ფილოსოფიის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას დაუდო სათავე.

რომაელთათვის საკამათო არ იყო პრაქტიკულის, საზოგადოებრივი საწყისის პრიმატი, პიროვნულსა და გონებამჭვრეტელობაზე. წარმართობის ხანაში პედაგოგიკის საფუძველს პოლისის იდეოლოგია შეადგენდა. ეს იყო სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს (პოლისის) წევრთა იდეოლოგია, როგორც მეტნაკლებად თანასწორუფლებიანი თავისუფალი მოქალაქეებისა, რომლებიც სახელმწიფოსთან საერთო მოვალეობებით იყვნენ დაკავშირებულნი. სწორედ აქედან გამომდინარეობს რომაული სკოლის მთავარი მახასიათებელი, რაც ისეთი მოქალაქის აღზრდას ემსახურებოდა, რომელიც შეძლებდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ

საქმიანობას. ამდენად, ლათინური ქრისტიანული სკოლა თავიდანვე გაორებული იყო. მან შეითვისა ბერძნული და სირიული სკოლის დამახასიათებელი ნიშნები და ასევ მისეულ-ერული მიმართულება მისცა. ლათინებმა მიიღეს ბერძნული ზოგადი განათლების სისტემა, მაგრამ უკუაგდეს მისგან ყველაზე მთავარი-ფილოსოფია. მათ უარყვეს არა მარტო ფილოსოფიის ისტორია, არამედ ადამიანის უნარშესაძლებლობათა ჩამოყალიბების და თეორიული აზროვნების განვითარების საფუძველი. რომაელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტორიკის შესწავლა იყო, ზოგადი საგნები სწორედ მის დაუფლებას ემსახურებოდა. აღნიშნული გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანულმა სკოლამ და კერძოდ ლათინურმა სკოლამ ბევრი მიიღო წარმართობისაგან, თუმცა სასკოლო სწავლებაში არსებული ძველი ბერძნული მეთოდები, რა თქმა უნდა, არ იყო სავსებით მისაღები ქრისტიანული აღზრდისათვის.

ქრისტიანული პედაგოგიკის ჩამოყალიბებიბისა და განვითარების ადრეულ პერიოდში, მთავარ პედაგოგიურ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ აღზრდა–განათლების დამოკიდებულება ანტიკური განათლების სისტემასთან. როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესიის პოზიციების განმტკიცებამ, დღის წესრიგში დააყენა ქრისტიანული განათლების ურთიერთობის საკითხი ბერძნულ - რომაული ანტიკური განათლების სისტემასთან, რაც უმთავრეს მსოფლმხედველობრივ და პედაგოგიკურ პრობლემად იქცა. ამასთან დაკავშირებით, წამოიჭრა მთელი რიგი პედაგოგიური საკითხები, კერძოდ:

– შეეძლო თუ არა ქრისტიან პედაგოგს სწავლებაში გამოეყენებინა ანტიკური აზროვნების მიღწევები ?

– საჭირო იყო თუ არა ქრისტიანული მეცნიერება, ლიტერატურა, ისტორია და მჭერმეტყველება საერთოდ, თუკი ჭეშმარიტება მოცემული იყო წმიდა წერილში ?

– წმიდა წერილის განმარტებისას რისი გამოყენება იყო შესაძლებელი და რა იყო კატეგორიულად მიუღებელი ?

ამ კითხვებზე მრავალჯერ გასცეს პასუხი ეკლესიის წმინდა მამებმა III–IV საუკუნეებში. თუმცა მათ შეხედულებებში საკმაო წინააღმდეგობებიც შეინიშნება. როგორც ცნობილია, ქრისტიანული განათლება აღმოცენდა ანტიკურ ისტორიულ–კულტურულ გარემოში, სწორედ მან მიიღო ანტიკურო-

ბიდან მემკვიდრეობით ენა, ლოგიკა, სამართალი და გამოყენებითი მეცნიერებების დარგები. ანტიკური რომის ენა, ანუ ლათინური, გახდა საერთო ევროპული მწერლობის ენა, ისევ როგორც, ძველი ბერძნული ენა უძველესი ბერძნული ფილოსოფიური სკოლების დამკვიდრების, სხვადასხვა მეცნიერული ტერმინოლოგიების აღმოცენების მტკიცე საფუძველი შეიქმნა, რომელიც ორგანულად შეერწყა ღვთისმსახურებას და შემდგომში განსაზღვრა კიდეც ბიზანტიური განმანათლებლობის არსებითი მხარეები.

ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების კვალდაკვალ, ნელა, მაგრამ თანდათან მოხდა ანტიკური ფილოსოფიური სკოლების შერწყმა საეპისკოპოსო ანუ კათედრალურ სკოლებთან. ასკეტი ფილოსოფოსების ადგილი ასკეტმა ღვთისმსახურებმა დაიკავეს. ლათინური და ბერძნული ენების მეშვეობით ქრისტიანი პედაგოგების აზროვნების სტილით განიმსჭვალა ანტიკური რაციონალისტური ლოგიკა.

ანტიკური სამყაროს მდიდარმა მეცნიერულმა მემკვიდრეობამ დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანული განათლების გზებისა და საშუალებების ჩამოყალიბებაზე. სასკოლო განათლების სისტემაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო, ღვთის შემეცნება თვით ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს და მათ შორის ადამიანისათვის მომადლებული გრძნობების, უნარების, ცოდნისა და სათნოებათა საშუალებით, რომელიც შემეცნების პროცესში ვითარდებოდა. ამასთან ერთად, ღვთის შემეცნების გზაზე არსებობდა გამოცხადება, მისტიური გაბრწყინება და ადამიანის ზნეობრივი ფერისცვალება. ეს გზა სამონასტრო ცხოვრებას, მართლმადიდებლურ განდეგილობას და ასკეტიზმს მოითხოვდა. ორივე გზა გავრცელებული იყო უძველეს ქრისტიანობაშიც და ადრეულ შუა საუკუნეებშიც, მაგრამ ისინი ერთდროულად თითქმის არ გვხდება.

ქრისტიანული და ანტიკური განათლების სისტემათა სინთეზმა ძირითადად განაპირობა პედაგოგიური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა ევროპაში.

ქრისტიანობამ ძირეულად შეცვალა ანტიკური საგანმანათლებლო ტრადიცია. მთავარი ყურადღება ადამიანის გარეგნულობიდან – მის შინაგან სამყაროზე, სულიერებაზე გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ უკუაგდო თვითნებობა და ინდივიდუ-

ალიზმი, მას არ უარყვია ზოგადად ინდივიდუალობა, იგი ყოველთვის ხელს უწყობდა ადამიანის სულის სიწმინდესა და პიროვნებაში ღვთის ხატის აღდგენას.

ამდენად, მოკლედ რომ შევაჯამოთ განხილულ (V საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით) პერიოდში ქრისტიანული პედაგოგიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ასეთ დასკვნამდე მივალთ: საანალიზო პერიოდში მოხდა ქრისტიანული პედაგოგიკის თეორიული საფუძვლების ფორმირება, განისაზღვრა აღზრდის მიზანი და ძირითადი პრინციპები. ქრისტიანობის ადრეულ საფეხურზე დაფუძნება იწყო კონფესიურმა სკოლებმა, რომელთა მუშაობის შინაარსი და მიმართულება ჩამოაყალიბეს ეკლესიის წმინდა მამებმა და პედაგოგებმა. სწორედ მათ განსაზღვრეს სწავლების შინაარსი, პრინციპები და მეთოდები, რომელთა შემდგომი განვითარება და შევსება მომდევნო საუკუნეებში განხორციელდა.

Resume

ეროვნული ბიბლიოთეკა

Christian pedagogy is one of the parts of Christian theology. So to consider the theorical principle it's necessary to study that country-old cultural past that intends Christian pedagogical history.

As for its research, in western Europe and in the U.S.A. they have shown a great interest of this problems in the previous century, and a lot of important works on Christian pedagogical history and theory have been made from the 50s and 60s of the same century till today. The following work is the first experiment which illuminates the questions about Christian pedagogical history in Georgian.

Christianity and also its pedagogy come from the God's word. So The Old and The New Testaments are the general principles of the Christian pedagogy. Consequently these St. Books are the objects of analysis and studying of this work.

Generally the training by using The Old Testament is in direct accordance with the theopany. People were sure that they had been made like the image of God, but they also believe to be the heirs of sin at the same time. Parents guided with Christian laws as training their children, and they were bringing up each person to be in god's service. The basic principles of training were that "The fear of the lord is the beginning of wisdom; and the knowledge of the holy is understanding" (The Proverbs of Sol.9:10). People had to teach their children the theopany. "For I am the lord your God: ye shall therefore sanctify yourselves, and ye shall be holy; for I am holy" (Levitius 11:44). On the other hand in training process it was necessary to free children from bad habits and sins.

From the pedagogical point of view, Moose's Laws, which became the base of upbringing principles, took in agenda to solve such practical problem, as the attitude of liberty and development toward the law. From now on, god's and tutor's influence on human being's upbringing and moral formation was considered in these ways.

The Old Testament Books say that the eternity and the divinity of wisdom are the most important because "Any wisdom is God's and it's with him for ever "(Ziraqi 1:1) .That's why it is the most elevated treasure in the world. Although the wisdom is god mercy, we also

can get it by studying. "The beginning of wisdom is the most veritable desire to study and care of study- its love." (Sol. 6:17)

Surely the pedagogy of The Old Testament is based on the world divine order and harmony that has adopted the function of the moral support of a man, who has been made like the image of god. Moose's Ten Commandments have become the ideological base of The Old Testament pedagogy. So the basic principles of The Old Testament are: 1.The world divine order and harmony, 2. Moose's Laws and 3. The wisdom of The Old Testament.

The New Testament is absolutely innovative step. To study it, even in modern conditions, is actual from the pedagogical point of view, because the 20 century history has revealed the veritable nature of Christianity, which is oriented on a human being – the crown of the Earth.

The epochal changes have reflected directly on social ideals of training.

Our knowledge about Christ's teachings is stored in books which are the important works of Christology and textology. The works of the researchers (Schmemant A; Bultmann R; Bezrogov V.R; Jensch W: Culpepper R.A; Bultman R; Stendal K; Segovia F.F; Smith M; Fernando F.F.) and the theories developed by them are considered in the 1_{st} paragraph of the 2_{nd} chapter of this book. There is shown the structure of Jesus Christ's pedagogical methods; the correlations of religious and secular traditions are characterized during the first century of its expansion. There are formed the theological basis of Christian pedagogy and shown the definitions of The New Testament.

The methods and content of Jesus Christ's pedagogical activities are so perfect that they are unlimited for the modern pedagogical science. Even the most famous teachers only repeat and define Christ's unfading pedagogical teachings that have the following characteristics: the truth, lucidity, simplicity and the use of visual methods, self-activities and sequence; the accordance of teaching with the human nature, the individual approach with each person; people's affection and respect; making an ineffaceable influence upon the listeners. Even the most difficult and profound truth was told clearly by Christ.

Jesus Christ often took examples from nature and life to make his teachings clear. Because of this his teachings were distinguished by its wisdom, clearness and persuasion.

The physical punishment of children was not used in Christian trainings; instead of this it had more effective ways, they were: good for evil and the grace instead of sin.

The two directions of fulfilling the moral standards that regalement human activity are allowed by god. Here we can divide actions into two categories: actions that must be necessarily fulfilled, and the prohibited actions. A man shows his negative and positive sides as accomplishing these actions.

The greatest epochal changes, which arrived with Christianity, made it necessary to found proper educational-upbringing schools, which was naturally followed by separation of secular and religious education even in ancient Christianity. Secular and religious schools were formed separately.

At first there were not the specific schools where teaching of Christ's studies would be possible. Main arm of Christian studies was: alive word of preacher, personal example and rule of virtuous life of Christian family. Christian family, that followed the studies of Christ and St. Mediators, was for a long time considered as the only school of cognition of the truth and education.

Some of the works of fathers equal to St. Mediators are important in pedagogical points of view. Just they are: "Teaching of twelve Mediators" or "Didake", "Pastor" of Hermes, Activity and works of Barnaba equal to Mediators, St. Clement Romanian, Egnate God vested, St. Policarpe Smirneli, St. Justin Philosopher and Martyr.

As it is known national-cultural environment, where Christianity was spread, was unity of three main elements – Greek, Semitic (mainly Syrian) and Latin. Each of them was distinguished by clearly expressed national character, cultural and educational traditions. We can distinguish three main types in ancient Christian schools accordingly: **Greek, Syrian and Latin**. Content of the IV-VI chapters of the book includes just these three courses of Christian schools.

In Greek- Alexandrian school priority was granted to Platoon methodology. Main problem for Alexandrian Theology was relation

between human beings and deity, which implied rational basis for Belief, but the method of teaching, was considered as allegorical explanation of Bible. Just in the 2nd century, school of undipped was in Alexandria, for those people who were prepared for baptism. Alexandrian school is famous with special course and teaching quality. Complete expression of church teaching took place just in these religious schools of the II-III centuries and finally dogmatics was formed, in which the greatest role was played by Alexandrian school. Famous representatives of Greek-Alexandrian Christian School were: ***Pantene, Clement Alexandrian, Origene*** and others.

Clement Alexandrian formed dogmatic theology in scientific view that further was continued by his famous pupil – Origene. Clement Alexandrian was the first who gave us definition of "Pedagogy" in Christian pedagogy, that parted upbringing from training. At the same time he separated parties participating in upbringing and training, tutor-teachers and pupils. Besides, he brought in catechine schools general educational subjects and philosophy that successfully was continued by Origene. Clement Alexandrian has a positive attitude toward philosophy that he thought was given to Greek people by God.

Syrian-Antioch church and schools played an important role in the development of Christian East schools. Endesa-Nibizin has an important place in Syrian-Antioch Christian Schools. Program and training methodic of these schools were different from Alexandrian school. If study of essence of the material already studied by a pupil was considered as the main course in Alexandrian school, here the main goal was not only complete remember of content of school material but special importance was placed on its form as well. Such tradition was near to Jewish school. Semitic nations, including Syrian, were different from Greek-Arian by their spiritual nature. If the Greek applied eloquence and synthesis, Syrian was especially kneed on analytic and positive thinking. Moral and practical interests were at first place for Syrian and during the determination a key was not only mind. They searched hard support in authorities in such cases. Like Judeans, Syrians saw authority in devotion, they showed the boundary line between the divine and human, religion and culture.

Synthesis of entire knowledge and faith was impossible in ***Syrian school***, moreover, in the first century Syrian theologians expressed distinct protest against Greek education. This was the protest against methods of teaching. Edesa-Nizibini school placed the greatest importance on mastering of the forms of god's commandments. The school served not to general religious-educational goals, as in Syria, but it planed concrete tasks, which was expressed in preparing teachers for school and a parish - for church. It must be mentioned that in this school great attention was paid to masoret art, which was expressed in chant of Holly Scripture texts, in punctuation and chant-singings. Historical-grammatical method was dominated within the explanation of Gospel. Any looking-on and allegories were limited strictly. During the process of explanation, the teacher had to use "school testament", which excluded other explanations except St. Ephrem Asuri till V century.

School training course consisted of 3 years strictly defined program. They didn't foreseen studies of general educational subjects. Educational regulations should be as follows: writing-reading, explanation and chant of school texts. The above mentioned courses were near Judaic schools, which were three-year schools either. There Tora, Nishna and Talmudi were thoroughly taught in this period.

There is Nizibini school regulations (Tipikoni), which certifies that together with educational program there were the rules of upbringing, which made regulation of behavior. It considered encouragement and punishment as well. The rules of behavior were considered to support the performance of church rules and to make pupils be attentive. Though the school was not monastic the pupils had to live under rules close to monastic life: to attended all lessons and public worship, not to be gone out of school, to be in a good relation with pupils and to obey the leader of their cells.

It should be noted that Antioch School is considered as the main achievement of Syrian Christian education, which was a successor of Edesi School at the same time. As it is known, Antioch was located at the Hellenistic territory or in Syria out of Euphrates, that's why it is natural that it was greatly influenced by Greek culture. There was much more tolerentive relationship toward general educational sci-

ences there. It must be mentioned that Antioch exegeticians searched punctual opinion of gospel at first and explained it by grammatical, lexical, rythorical and logical elements. The whole education and theology of Antioch by induction way went on general way from private. Its main aim was to make severe picture of god's commandments and divine inspiration from separate elements.

The most outstanding figures of **Syrian- Antioch Christian School** were Saint Ephraim Asuri, Saint Basil the Great, Saint Grigol Gvtismetkveli (Theologian), and St. John Okropiri (Zlatoust). Just their theory thinking and greatest teaching activity has defined the common direction of Syrian-Antioch Christian schools. The most famous among them is Saint John Okropiri (Zlatoust), who was one of the first who has founded original system of Christian upbringing and education. Here are his pedagogical findings: Upbringing should be carried out in a family, in this process parents' especially fathers' role is greatest; Monastic schools have priority to compare with public schools; Upbringing has individual character. So, the peculiarities of age-specific development in upbringing and teaching is important; Upbringing should begin by cleaning a child's soul from fallaciousness, which is a basis of spiritual preparation; Women and men must be with equal powers in upbringing process; Environment conditions greatly influence on upbringing, so the adults must be far from theatres and other sights.; In teaching (didactics) a) consistency and systematic character; b) accessibility and surmount ability; c) connection between old and new matters to be studied; d) dialogue in teaching; e) example and exercise (mastering of knowledge well); f) role of environment world in teaching should be taken into consideration

According to conclusions and provisions made by John Okropiri, we may say that he was the founder of general pedagogical and didactical principles inculcated in modern pedagogical theory, the further improvement of which have been carried out by the founder of scientific pedagogic Jan Amos Kominski.

The most important course of ancient Christian schools was founded in **Latin-Roman** world. It is very well-known that before Christianity received status of official religion in Rome, its influence on public was great enough. Christianity influenced analogically on

children's upbringing. The famous fathers and theologians as Tertuline, Saint Cyprian, Saint Ambrosia Mediolanel, Blissful Jeronim and Blissful Augustine made determinant influence on Latin-Roman Christian schools founded in their eparchies.

Saint Cyprian thought that child's upbringing in a Christian family was active mean of founding Christian moral, as in his opinion, family hierarchy positively influenced on upbringing of true believer, which was considered with in the context ofchurch unity.

Saint Ambrosia Mediolanel thought that the tutor should foresee individual characters of an adult and carry out upbringing activity according to their character. Privately, St. Father advised to tutors to convince the children in their personal dignity, but who had great impression of themselves, had to eradicate it in its time. Great attention is paid to schools of teaching Holly Scripture and chant founded by St. Ambrosia who implemented antiphonic chant in western churches.

Blissful Jeronim developed unprecedented upbringing teaching and gave advices of its implementation; He considered that the children should enter school since 7 years of age. He established a letter-joining method and a moveable alphabet. Blissful father considered it would be better to read the secular books if they were selected by tutors previously. Blissful Jeronim played great role in processing the problem of women's upbringing and education.

Blissful Augustine was a special figure in western churches that played a great role by his practical pedagogical activity and with theological and pedagogical works as well. Blissful Augustine distinguishes 4 basic periods in human being's physical life: the first age was baby, the second - adult, the third – youth, and the fourth – man. He characterized each of the periods. He considered that optimal age of study is the second period – adult, however, the development of adult's cognition didn't take place in this aging group only. Blissful father didn't leave without attention the discussion of the issues as: perception of beauty, its correct discussion, harmony, correlation and proportion. That's why constant aspiration towards God, which was great truth, was reached only by spiritual upbringing-education, which was an aim of Augustine-like school. In view of

teaching methodic, Blissful Augustine schools stood near Syrian traditions.

Blissful Augustine expressed his opinions about cognition and methods and ways of mastering knowledge. Teaching of Holly Writ was structured as follows: at first the pupil should read any canonic books of Bible without any explanations, to study at least its general structure, than a teacher gave explanation of those places that were very important for the practical purpose. On the edge of their manuscript books pupils should write the notes.

Upbringing system has the most important place in Blissful Augustine School. Its basis was monastic discipline, where the method of upbringing as "compulsion" was used. Late Blissful Augustine's School became prototype of many Latin Schools.

Training process was oriented toward practical teaching activity in Latin school. Generally, ecclesiastic, (religious) pragmatism was characteristic to western Christian schools, which paid special attention to church rites and behavior. Such approaches had a great influence on common courses of Roman-Latin language Christian schools. The establishment of high church eloquence must be considered as a result of Latin-Roman Christian schools.

Primate of practical, public beginnings on personal and prescience was not disputable for Romans. Basis of pedagogic was the ideology of a policy in heathenism age. This was the ideology of civil society, and the ideology of members of state (policy) as of the free citizens having more or less equal rights, and they were connected to state by joint liabilities. From this ideology came the main characteristic of Roman school, which served to up bring citizens, who could make state and public activity.

In early period of formation and development Christian pedagogic, the main pedagogical problem was considered the dependence of upbringing-education toward the system of antique education. As it is known, strengthening of the positions of Christian church stood in agenda issue of relation of Christian education with Greek-Roman antique educational system, which became the main pedagogical problem. In connection with the above, the difference of opinion is in thinking of St. Fathers and famous theologians as well. Some of them

thought that teaching of antique philosophy and public sciences (St. John Okropiri, Tertuliane. .) is categorically inadmissible, but others (St. Clement Alexandrian, Blissful Jeronim, Blissful Augustine) thought that they are not even acceptable but secular works selected rationally are even necessary for Christianity. After spreading and improving Christianity, slowly but one by one antique philosophic schools joint archbishop or cathedral schools. The rich scientific inheritance greatly influenced on the foundations of Christian education ways and means. Synthesis of Christian and antique education systems stipulated formation of pedagogical system, which spread widely in Europe in early middle ages.

Christianity changed antique educational tradition fundamentally. The main attention was moved on human being's internal word – soul, from their appearance. Despite it rejected to act willfully and in individually, general individuality was not refused by Christianity, it always helped pureness of human being's spirit and restoration of God image in a person.

So, if we make brief conclusion of the basic tendencies of developing Christian pedagogic in the discussed (including the 1st quarter of the 5th century) period, we go to such conclusion: formation of theory basis of Christian pedagogic have been taken place in analysis period, aim of upbringing and basic principles have been determined. Confessional schools were founded on the earlier stage of Christianity, the content of the work and the direction of which were formed by St. Fathers and teachers. Just they have defined content of teaching, principles and methods, further development and filling of which were carried out in the next centuries.

დამოწმებული ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. ილია მეორე (დუდუშაურ-შიოლაშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1997.
5. პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკად. ნ. ვასაძე, თბ., 1998.
6. არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე, I, თბ.,1994.
7. ვასაძე ნ. „პედაგოგიკა", თბ., 2000.

I თავი: ძველი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. სიბრძნე ზირაქისა, წინათქმა, ბიბლია, თბ., 2001.
3. პროტოპრესვიტერი მიქაელ პოზამანსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, თარგმნა ნინო ბელთაძემ, (სერია; მართლმადიდებლური დოგმატიკა, თბ., 2004.
4. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, თბ., 1998.
5. კიკნაძე ზ., ძველი აღთქმის წუთისოფელი, თბ., 2003.
6. დევიდ ვ. გუდინგი, ჯონ ლენოქსი, ბიბლია და ეთიკური განათლება, თბ., 2000.
7. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, „მეცნიერება", თბ., 1988.
8. ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2003.
9. დეკანოზი მამა გიორგი (სხირტლაძე), ღვთისმეტყველება, თბ. 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. გადამუშავებული გამოცემა. ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, 1991.
2. ილია მეორე (ღუდუშაურ-შიოლაშვილი), სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი, ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, წიგნი I, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1987.
3. ილია II, საახალწლო ეპისტოლე (1987 წ.), საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1988.
4. ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. I, ქუთაისი, 1993.
5. პროტოპრესვიტერი მიქაელ პოზამანსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2004.
6. კუკანია ა., რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების შესახებ, „რელიგია", 2004, №2-3.
7. პედაგოგიკა, რედ. ჯ. ბერიშვილი, თბილისის სახემწიფო უნ–ტი, 1994.
8. მალაზონია შ. პედაგოგიკა, თბ., 2001.
9. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტება, თბ., 2003.
10. Schmemann A. Liturgy and Life: Christian Development through Liturgical Experiance. N.Y., 1974. P. 23.
11. Bultmann R. Die Bedeutung des geschitlichen Jesus fuer die Theolgie des Paulus // Glaiben und Ferstehen. Gesammelte Aufsaetze. 1. Bd.Tuebingen, 1980.
12. Безрогов В.Г. Эпистемологические проблемы истории педагогики // Корнетов Г.Б., Безрогов В.Г., ред. Всемирный историко-педагогический процесс: концепции, модели, историография. М., 1996.
13. Jentsch W. Urchristliches Erziehungsdenken. Die Paideia Kyriu im Rahmen der hellenistisch-juedischen Umwelt. Gutersloh, 1951.
14. Stockmeier P. Glaube und Paideia. Zur Begegnung von Christentum und Antike // H.-T.Johann(Hrsg.). Erziehung und Bildung in der heidnichen und christlichen Antike. Darmstadt, 1976. S. 527-548; Aland K. Die Stellung der Kinder in den fruehen christlichen Gemeinden — und ihre Taufe // Aland K. Neutestamentliche Entwuerfe. Muenchen, 1979. S. 198-232; Stegemann W. Lasset die Kinder zu mir kommen. Sozialgeschichtliche Aspekte des Kindrevangeliums // W.Schotroff und W.Stegemann

(Hrsg.). Traditionen der Befreiung. Sozialgeschichtliche Bibelauslegungen. Bd. 1: Methodische Zugaenge. Muenchen-Berlin, 1980. S. 114-144; Mueller P. In der Mitte der Gemeinde: Kinder im Neuen Testament. Neukirchen-Vluyn, 1992; etc.
15. Rebell W. Urchristentum und Paedagogik. Stuttgart, 1993.
16. Paul E. Geschichte der Christlichen Erziehung. Band I: Antike und Mittelalter. Freiburg im Breisgau, 1993.
17. Riesner R. Jesus als Lehrer. Eine Untersuchung zun Ursorung der Evangelien-Ueberlieferung. Tuebingen, 1981.
18. Иосиф Флавий. Иудейские Древности в 2-х тт. Пер. с греч. Г.Г.Генкеля. Т.2. М., 1994.
19. Culpepper R. A. The Johannine School: An Evaluation of the Johannine School Hypothesis Based on an Investigation of the Nature of Ancient Schools. PhD Thesis. Department of Religion, Duke University, 1974.
20. Аверинцев С.С. Поэтика ранневизантийской литературы. М., 1975.
21. Culpepper R. A. The Johannine School: An Evaluation of the Johannine School Hypothesis Based on an Investigation of the Nature of Ancient Schools. Missoula, 1975.
22. Bultman R. Jesus and the World. N.-Y., 1958. P. 58.
23. Rost D. und Machalke J. Jesus und seine Freunde. Hamburg, 1986.
24. Bultmann R. Die Geschichte der synoptischen Tradition. 2. Aufl. Goettingen, 1931.
25. Stendal K. The School of St. Matthew And Its Use of the Old Testament. 1st. ed.1954. 2d ed. Philadelphia, 1968.
26. Segovia F. F. Call and Discipleship — Toward a Re-Examinaion of the Shape and Character of Christian Existence in the New Testament // Segovia F. F., ed. Discipleship in the New Testament. Philadelphia, 1985.
27. Nock A. D. Conversion: The Old and the New in Religion from Alexander the Great to Augustine of Hippo. Oxford, 1933; Hatch E. The Influence of Greek Ideas on Christianity. N.-Y., 1957; Cornelius van Unnik W. First Century A.D. Literary Culture and Early Christian Literature // Nederlands Theologisch Tijdschrift, 25, 1971.
28. Fascher E. Jesus der Lehrer: Ein Beitrag zur Frage nach dem «Quellort der Kirchenidee» // Theologische Literaturzeitung, 79, 1954. S. 325-342; Schulz A. Nachfolgen und Nachahmen: Studien ueber das Verhaeltnis der neutestamentlichen Juengerschaft zur urchristlichen Vorbildethik // Studien zum Alten und Neuen Testament, 6, 1962; Idem. Juenger des Herrn: Nachfolge Christi nach dem Neuen Testament. Muenchen, 1964.

29. Robbins V. K. Jesus the Teacher: A Socio - Rhetorical Interpretation of Mark.Philadelphia:Fortress,1984.
30. Hengel M. Nachfolge und Charisma: Eine exegetisch-religionsgeschichtliche Studie zu Mt 8:21f. und Jesus Ruef in die Nachfolge // Beiheft zur Zeitschrift fuer die neutestamentliche Wissenschaft und die Kunde der aelteren Kirche, XXXIV. Berlin, 1968.
31. Gerhardsson B. Memory and Manuscript. Oral Tradition and Written Transmission in Rabbinic Judaism and Early Christianity. Uppsala, 1961.
32. Smith M.. A Comparison of Early Christian and Early Rabbinic Tradition // Journal of Biblical Literature, 82, 1963.
33. Constable G. Three studies in medieval religious and social thought: the interpretation of Mary and Martha; the ideal of the imitation of Christ; the orders of society. Cambridge, 1995.
34. Schulz A. Unter dem Anspruch Gottes: das neutestamentliche Zeugnis von der Nachahmung. Muenchen, 1967.
35. Schulz A. Nachfolgen und Nachahmen. Studien ueber das Verhaeltnis der neutestamentlichen Juengerschaft zur urchristlichen Vorbildethik. Muenchen, 1962.
36. Segovia F. F., ed. Discipleship in the New Testament. Philadelphia, 1985.
37. Безрогов В.Г. Сущностные черты средневековой педагогики // Послушник и школяр, наставник и магистр. Средневековая педагогика в лицах и текстах. М., 1996.
38. Werner H.K. Apostolic Tradition and the Form of the Gospel // Segovia F. F., ed. Discipleship in the New Testament. Philadelphia, 1985.
39. Fernando F.F. «Peace I Leave with You; My peace I Give to You»: Discipleship in the Fourth Gospel // Segovia Fernando F., ed. Discipleship in the New Testament. Philadelphia, 1985.
40. Геммингер Фр. Апологи Христянства, ч. 1, СБ., 1873.
41. თოდუა ლ. ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ფუნქცია, თბ., 1995.
42. კოჭლამაზაშვილი თ., სამოციქულოს განმარტების ეფთიმე მთაწმინდელისეული თარგმანი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2000.
43. Зеньковский В.В., Педагогика, М., 1996.
44. კაცობრიობის დიდი მასწავლებლები (ლაო-ძი, კონფუცი, ბუდა, მოსე, ქრისტე, მუჰამედი), საქ. ტექნ. უნივერსიტეტი, თბ., 2002.

45. მღვდელი გიორგი ხიტირი, საგანმანათლებლო პროცესი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2005.
46. ციცქიშვილი დ. მართლმადიდებლური ფსიქოლოგია, თბ., 2001 .

III თავი: კონფესიური სკოლების აღმოცენება და მოციქულობის პედაგოგიკა

1. Historie des religions, t.II. Paris, 1977, Etien Tocme, Le Christiasme jusqu'a 325, p. 197.
2. Misouni S.C. Le Sudeo christianisme ancien essais historique, Paris, 1998.
3. Tristan F. Les Premieres images christiennes: Du simbole á L'icône: II-e – V-e siecle, Paris, 1996.
4. Ленцман Я. А. Происхождение Христианства, М., 1960.
5. კეკელიძე კ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ., 4, 1947.
6. ჭანტურია თ., რწმენისა და განათლების ურთიერთმიმართების საკითხები, ჟურნალი რელიგია, 2004, №1-2-3.
7. პობედონოსცევი კ. პ., ისტორია მართლმადიდებელი ეკლესიისა ეკლესიათა განყოფამდე, მთარგმნელი მღვ. ი. ჯავაშვილი, თბ., 1995, იხ. წიგნში „საერო დღესასწაულები" თ. რაფ. ერისთავის იუბილის გამო, ექ. ხელაძის გამოცემა, თბ., 1899.
8. ჭელიძე ე., „დიდაქეს" შესახებ, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა", 1988, №3, გვ. 31. (ტექსტის ანალიზისას მისივე თარგმანია მითითებული);
9. Писания мужей апостольских, Рига, 1992.
10. წმ. იგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლე რომაელთა მიმართ, თარგმნა და შენიშვნები ე. ჭელიძისა, „ჯვარი ვაზისა", 1991, №1
11. Ириней Лионский, святитель. Творения. СПБ., 1900.

12. სერია: მართლმადიდებლური კანონიკა, ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), ნიკეის წმიდა I მსოფლიო კრების კანონები, განმარტებები, თბ., 2004.
13. დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე, ღვთისმეტყველება, თბ., 2002.

IV თავი – ბერძნულ–ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლა

1. ინგოროყვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნალი „მნათობი", 1939, №2.
2. ევსები „საეკლესიო ისტორია", II.
3. გაგუა მ., ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლა, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი", 2002 წ., №25.
4. კლიმენტი ალექსანდრიელი, სტრომატა, თარგმანი შენიშვნები და კომენტარები ე. ჭელიძისა, ჟურნალი „გზა სამეუფო, თბ, 1994, №2.
5. მსოფლიო საეკლესიო კრებები, დოგმატური ღვთისმეტყველება, მეორე გამოცემა, შეადგინა გრ. რუხაძემ, საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2004.
6. Климент Александрииский, Педагогог, М., 1996.
7. Отцы и учители Церкви IV века, М., 1996, т. 1.
8. ლებედევი ა., ძველი ქრისტიანების ოჯახური ცხოვრება, იხ. წიგნში: „ქორწინება და ოჯახური ცხოვრება", გამოცემლობა „საგანძური", თბ., 2005.
9. Лосский В. Н. Боговидение, М., 1995.
10. Ориген, О началах, Казан, 1899.
11. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწილი I, თბ., 1981.
12. დობრონრავოვი მ., ბავშვთა აღზრდა-განათლება საღმრთო წერილისა და წმიდა მამების გამოცდილების მიხედვით, თბ., 2001.
13. ზვიადაძე გ., წმიდა გრიგოლ ნოსელი - „ქალწულებისათვის და საღმრთოისა მოქალაქეობისა" (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 2004.
14. ბოგვერაძე დ., კლიმენტი ალექსანდრიელის ეთიკური სწავლებანი „სტრომატების" მიხედვით, თბილისის სასულიერო აკადემია, 1997.

V თავი: სირიულ–ანტიოქიური ქრისტიანული სკოლები

1. მამათა ცხორებანი, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა, თსუ-ს გამომცემლობა, 1975.
2. წმიდა მამათა გამონათქვამები, მთარგმნელი და შემდგენელი ვ. ბურკაძე, საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო-ბეჭვდითი ცენტრი, თბ., 2000.
3. Попсов М.Э. История христианской церкви до распада церкви 1054, Брюсель, 1964.
4. ევსები „საეკლესიო ისტორია" VI, 46
5. Донин А. У истоков христианства (от зарождения до Юстиниана), М., 1989.
6. Риддлянов П.В. Восточные патриархи в период четирех первых вселенских соборов, ярославль, 1908.
7. ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.
8. მამათა სწავლანი, X–XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ, რედაქტორი ა. შანიძე, თბ., 1955.
9. Б С Э,т.15, с.567 .
10. Кекелидзе К, Житие и подвиги Иоана, Католикоса Урпайнского, с. 302.
11. მახარაძე მ., ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში, თბ.,1999.
12. ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთიმე ათონელისეული თარგმანი, თბ., 1983.
13. წმიდა ბასილი დიდი, ფსალმუნთა განმარტებანი, ძველ-ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, საქართველოს ეკ-ლესიის კალენდარი, 199.
14. Древние иноческие уставы, М., 1892.
15. წმიდა ბასილი დიდი, თხზულებანი, (ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ), თბ., 2000.
16. წმინდანთა ცხოვრება, წიგნი პირველი, თბ., 2002.
17. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1990.
18. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992.

19. Иоанн Златоуст, святитель, Полное собрание творений. М., 1991. Т. 1. Кн. 2.
20.. იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რ. გვარამიამ, თბ., 1986.
21. მახარაძე მ., იოანე ოქროპირის ეთიკური შეხედულებები, „ჯვარი ვაზისა", 1990, №2.
22. ინდუაშვილი მ., წმიდა მამათა სახვთისმეტყველო შრომების თარგმანები, თბ., 2004.
23. ქორწინება და ოჯახური ცხოვრება, გამოცემლობა „საგანძური", მთარგმნელი თ. ვაშაკიძე–სახეიშვილი, თბ., 2005.
24. Антология педагогической мисли христианского средневековъя, М., 1994. Т,1.
25. განმარტება იოანეს სახარებისა, წმ. ექვთიმე მთაწმინდელის თარგმანი, გამოსცეს მზ. შანიძემ და ზ. სარჯველაძემ, თბ., 1993.
26. მურღულია გ., იოანე ოქროპირის პედაგოგიური შეხედულებანი, გაზეთი „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია", 2001 წ,. №5(17).
27. ლობჟანიძე ს., წმ. იოანე ოქროპირი და ნეტარი ავგუსტინე – ჭეშმარიტი ქრისტიანის აღზრდის ორი გზა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესისთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2005.
28. ბალანჩივაძე რ., ასათიანი ვ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1997.
29. Иоанн Златоуст, Полное собрание сочинений, т 1 1991г.

VI თავი – ლათინურ–რომაული ქრისტიანული სკოლა

1. Поснов М. Э. История християнской церкви до распада церкви 1054, Брюсель, 1964.
2 ტაციტუსი, ანალები, XV, 44.
3. Simon M. La Civilisation de l'Antiguite.., paris, 1972.
4. ევსები, „საეკლესიო ისტორია", VI, 420.

5. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, IV–VI სს. ალექსანდრე ბახმეტევას სახელმძღვანელოს მიხედვით შეადგინა გ. კოპლატაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2003.
6. I–VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები, ნაწილი III, შეადგინა ე. ჭელიძემ, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემლობა, თბ., 2002.
7. ქორწინება და ოჯახური ცხოვრება, გამოცემლობა „საგანძური", მთარგმნელი თ. ვაშაკიძე–სახეიშვილი, თბ., 2005.
8. წმინდანთა ცხოვრება, ივლისი–დეკემბერი, წიგნი მეორე, თბ., 2004.
9. მ. დობრონრავოვი, ბავშვთა აღზრდა–განათლება საღმრთო წერილისა და წმიდა მამების გამოცდილების მიხედვით, მთარგმნელი ვ. ბურკაძე, თბ., 2001.
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991.
11. ა. ასათიანი, ლათინურ – რომაული ქრისტიანული სკოლები და ეკლესიის მამათა პედაგოგიური შეხედულებები, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესისთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2005.
12. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, რედაქტორი გ. თევზაძე, ნაწილი I, თბ., 1981, გვ. 27.
13. Антологиа мировой философии, т.1, ч. 2, М., 1969, с. 597
14. Блаженный Августинъ, О Граже божием, Минск-Москва; Харвест—АСТ, 2000.
15. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., „ნეკერი", 1995.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი ----------5

I თავი: ძველი აღთქმის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები ----------16

§ 1. სამყაროს ღვთიური წესრიგი და ჰარმონია–უმაღლესი ზნეობის საფუძველი ----------16

§ 2. აღზრდის იდეალი ძველ აღთქმაში ----------32

§ 3. სიბრძნე და სწავლა–განათლება ძველ აღთქმაში ----------45

II თავი: ახალი აღთქმის პედაგოგიკა ----------61

§ 1. ახალი აღთქმის პედაგოგიკა: პოლემიკა თეორიებსა და დეფინიციებზე ----------61

§ 2. იესო ქრისტე–აღზრდის იდეალი და ქრისტიანული პედაგოგიკის ფუძემდებელი, ქრისტიანული პედაგოგიკის საგანი და ძირითადი ცნებები ----------95

§ 3. ახალი აღთქმის პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები ----------112

III თავი: კონფესიური სკოლების აღმოცენება და მოციქულობის პედაგოგიკა ----------124

§ 1. ქრისტიანობის გავრცელება და კონფესიური სკოლების აღმოცენება----------124

§ 2. მოციქულობის პედაგოგიკა ----------136

IV თავი: ბერძნულ–ალექსანდრიული ქრისტიანული სკოლები ----------148

§ 1. ბერძნულ-ალექსანდრიული სკოლების ზოგადი მიმოხილვა ----------148

§ 2. პანტენი ----------153

§ 3. კლიმენტი ალექსანდრიელი ----------155
§ 4. ორიგენე ----------172
V თავი: სირიულ–ანტიოქიური ქრისტიანული სკოლები ----------181
§ 1. სირიულ-ანტიოქიური სკოლების ზოგადი
მიმოხილვა ----------181
§ 2. წმიდა ეფრემ ასური ----------189
§ 3. წმიდა ბასილი დიდი ----------192
§ 4. წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ----------201
§ 5. წმიდა იოანე ოქროპირი ----------211
VI თავი: ლათინურ–რომაული ქრისტიანული სკოლები ------228
§ 1. ლათინურ-რომაული ქრისტიანული სკოლების ზოგადი
მიმოხილვა ----------228
§ 2. ტერტულიანე ----------234
§ 3. წმიდა კიპრიანე ----------237
§ 4. წმიდა ამბროსი მედიოლანელი ----------239
§ 5. ნეტარი იერონიმე ----------244
§ 6. ნეტარი ავგუსტინე ----------250
ძირითადი დასკვნები ---------- 261
რეზიუმე ინგლისურ ენაზე ----------283
დამოწმებული ლიტერატურა ----------292

CONTENT

Preface.....5
Chapter I: General principles of The Old Testament pedagogic.....16
1. The world divine order and harmony – the highest moral principle.....16
2. Upbringing ideal in The Old Testament.....32
3. Wisdom and education in The Old Testament.....45
Chapter II: The New Testament pedagogic.....61
1. The New Testament pedagogic: polemics on theories and definitions.....61
2. Jesus Christ – the ideal of upbringing and the founder of Christian pedagogic.....95
3. Moral principles in The New Testament pedagogy.....112
Chapter III: Arising of the confessional schools and the Apostolic pedagogic.....124
1. Expansion of Christianity and arising confessional schools..... ..124
2. Apostolic pedagogic.....136
Chapter IV: Greek-Alexandrine Christian schools.....148
1. General review of Greek-Alexandrine Christian schools.....148
2. Pantene.....153
3. Climent Alexandrine 155
4. Origene.....172
Chapter V: Syrian-Antioch Christian schools.....181
1. General review of Syrian-Antioch Christian schools.....181
2. St. Ephraim Asuri.....189
3. St. Basil The Great.....192
4. St. Grigol The Theologian.....201
5. St. John Okropiri.....211
Chapter VI: Latin-Roman Christian schools.....228
1. General review of Latin-Roman Christian schools.....228
2. Tertuliane.....234
3. St. Cyprian.....237
4. St. Ambrose Mediolanian.....239
5. Blissful Jeronim.....244
6. Blissful Augustine.....250
Basic inferences in Georgian.....261
Resume 283
Used literature..... 292

AVTANDIL ASATIANI

Essays from the history of Christian pedagogy

Forming general principles of Christian pedagogy and the basic tendencies of development including the first quarter of the fifth century

Volume I

ავთანდილ ჭიჭიკოს ძე ასათიანი
ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან

ქრისტიანული პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების ჩამოყალიბება და განვითარების ტენდენციები V საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით

ტომი I

გამოცემის რედაქტორი: ლადო კვირკველია

მხატვრული გაფორმება: არჩილ ასათიანი

კომპიუტერული დაკაბადონება: ნიკო ბურჯანაძე

კორექტორი: მარინე რაზმაძე

გამომცემლობა
პ ე დ ა გ ო გ ი კ ა
თბილისი
2 0 0 7

დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში,
თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის პრ. № 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISBN 99928-11-37-0